ჟუჟუნა ფეიქრიშვილი
რუსუდან საღინაძე

ქართული ენა

ფონეტიკა, მორფოლოგია

(მეორე შევსებული გამოცემა)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2016

სახელმძღვანელო განკუთვნილია ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისთვის, აგრეთვე ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **დამანა მელიქიშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **რუსუდან ზექალაშვილი**

რეცენზენტი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ნონა მამისეიშვილი

© ჟ. ფეიქრიშვილი, რ. საღინაძე, 2016

გამომცემლობა „უნივერსალი", 2016

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

შინაარსი

წინასიტყვა.....11

ნაწილი პირველი

ფონეტიკა 13

თავი I. ენათმეცნიერების დარგები.....15
თავი II. ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა 19
2.1. სამეტყველო ბგერა და ასო. ანბანი.....19
2.2. საწარმოთქმო ორგანოები 23
2.3. არტიკულაცია და საარტიკულაციო ბაზისი....26
2.4. ხმოვანთა დახასიათება 29
2.5. თანხმოვანთა დახასიათება.....33
2.6. ბგერათშეერთების წესები. თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსები.....41
თავი III. ზეპირი და წერითი მეტყველების საკითხები.....44
3.1. ზეპირი და წერითი მეტყველების მიმართება 44
3.2. ორთოგრაფია და ორთოეპია (ზოგადი მიმოხილვა) 45
3.3. ორთოგრაფიის პრინციპები.....47
3.4. მარცვალი.....49
3.4.1. მარცვლის რაობა. მისი შედგენილობა.....49
3.4.2. სიტყვის დამარცვლისა და გადატანის წესები.....52
3.5. მახვილი 53
3.5.1. მახვილის სახეები 53
3.5.2. მახვილის საკითხი ქართულში 56

თავი IV. ძირითადი ფონეტიკური მოვლენები 60
4.1. ფონეტიკურ ცვლილებათა ზოგადი მიმოხილვა.....60
4.2. ასიმილაცია 61
4.3. დისიმილაცია 64
4.4. მეტათეზისი 66
4.5. სუბსტიტუცია.....68
4.6. ალტერნაცია 69
4.7. რედუქცია.....70
4.8. ხმოვნის შეკვეცა (მოკვეცა), ბგერის ჩართვა, ბგერათა შერწყმა 73
4.9. ბგერითი ანალოგია, კონტამინაცია.....75

ლიტერატურა.....78
დანართი 81

ნაწილი მეორე

მორფოლოგია 85
თავი I. მორფოლოგიის საგანი
(ზოგადი მიმოხილვა).....87
1.1. სიტყვა. სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა (ძირი, ფუძე, აფიქსი)..... 88
1.1.1. აფიქსთა კლასიფიკაცია 89
1.1.2. გრამატიკული კატეგორია 95
1.2. მეტყველების ნაწილები 96
1.2.1. მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია..... 96
1.2.2. მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის საკითხი თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში..... 99

ლიტერატურა.....101

თავი II. არსებითი სახელი 102
2.1. არსებითი სახელის რაობა. მისი მნიშვნელობა 102
2.2. არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფები 103
2.2.1. არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფების ტრადიციული კლასიფიკაცია 103
2.2.2. არსებით სახელთა შინაარსობრივი დაჯგუფების საკითხი თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში 106
2.3. არსებით სახელთა ბრუნება 108
2.3.1. ბრუნვები და მათი ნიშნები 108
2.3.2. ბრუნვის ნიშნების გავრცობა. ემფატიკური ა 112
2.3.3. ბრუნვათა სინტაქსური და სემანტიკური ასპექტები 114
2.4. ბრუნვათა რიგის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში 117
2.5. არსებითი სახელის რიცხვი 119
2.5.1. რიცხვის რაობა. მისი სახეები (მხოლობითი და მრავლობითი) 119
2.5.2. მრავლობითი რიცხვის წარმოება 121
2.6. სახელის ფუძე 123
2.7. საზოგადო არსებითი სახელის ბრუნება 125
2.7.1. თანხმოვანფუძიანი საზოგადო არსებითი სახელები 125
2.7.2. ხმოვანფუძიანი საზოგადო არსებითი სახელები 129
2.8. საკუთარ სახელთა ბრუნება 135
2.9. სახელთა ბრუნების თავისებურებანი მართლწერის საკითხებითურთ 139
2.10. არსებით სახელთა ბრუნების ტიპები. მათი კლასიფიკაციის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში 141
2.11. თანდებულიანი და ნაწილაკიანი ბრუნვები 143
2.11.1. თანდებულიან ბრუნვათა ფუნქციური დახასიათება 143
2.11.2. ნაწილაკიანი ბრუნვები 146
2.11.3. თანდებულიან სახელთა მართლწერა 147

ლიტერატურა 149

თავი III. ზედსართავი სახელი 154
3.1. ზედსართავი სახელის ფუნქცია. მისი სახეები 154
3.2. ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები 156
3.2.1. უფროობითი ხარისხი 156
3.2.2. ოდნაობითი ხარისხი 159
3.2.3. ხარისხის ფორმათა წარმოების თავისებურებანი 160
3.3. ზედსართავი სახელის ბრუნება 162

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა 164

თავი IV. რიცხვითი სახელი 166
4.1. რიცხვითი სახელის რაობა 166
4.2. რაოდენობითი რიცხვითი სახელები. თვლის სისტემა 167
4.3. რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელების წარმოება 170
4.4. რიცხვითი სახელის ბრუნება 171
4.5. რიცხვით სახელთა მართლწერა 172

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა 175

თავი V. ნაცვალსახელი 176
5.1. ნაცვალსახელთა შინაარსობრივი ჯგუფები 176
5.2. ნაცვალსახელთა წარმოება და ბრუნება 178
5.2.1. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები 178
5.2.2. კითხვითი ნაცვალსახელები 182
5.2.3. კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი და ურთიერთობითი ნაცვალსახელები 185
5.2.4. განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი და უარყოფითი ნაცვალსახელები 188
5.3. ნაცვალსახელთა მართლწერა 190
5.4. ნაცვალსახელთა წარმოება – ფუნქციის ზოგიერთი თავისებურება 191

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა 193

თავი VI. მსაზღვრელ-საზღვრული 195
6.1. მსაზღვრელის ტიპები. მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა 195
6.2. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება 196
6.2.1. ატრიბუტული მსაზღვრელი 198
6.2.2. სუბსტანტიური მსაზღვრელი 204
ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა 207

თავი VII. ზმნა 208
7.1. ზმნის ზოგადი დახასიათება 208
7.2. ზმნის პირი და რიცხვი 210
7.2.1. სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები 215
7.2.2. ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები 219
7.2.3. პირის ნიშანთა მართლწერა 222
7.2.4. სუბიექტური და ობიექტური წყობა 224
7.3. ზმნის გარდამავლობა 225
7.4. პირის ნიშანთა ინვერსია 229
ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა 233

7.5. დ რ ო 237
7.5.1. დროის სახეები 237
7.5.2. დროის ფორმათა სემანტიკური თავისებურებანი 238
7.6. კ ი ლ ო 239
7.6.1. კილოს რაობა. მისი სახეები 239
7.6.2. კილოს ფორმათა დამატებითი სემანტიკური ნიუანსები 244
7.7. ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი 245
7.7.1. ზმნისწინის რაობა. მისი ფუნქციები 245
ზმნისწინთა მართლწერა 247
7.7.2. ზოგიერთი ზმნისწინის წარმომავლობა-ფუნქციის თავისებურებანი 248
7.8. გ ე ზ ი და ო რ ი ე ნ ტ ა ც ი ა 251
7.9. ა ს პ ე ქ ტ ი 254
7.9.1. ასპექტის სახეები. უასპექტო ზმნები 254
7.9.2. ასპექტის სისტემის შეცვლა 256

7.10. გ ზ ი ს ო ბ ა 258
7.11. ა ქ ტ ი 260
7.12. თ ა ნ ა მ დ ე ვ რ ო ბ ა 261
ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა 263

7.13. ს ე რ ი ე ბ ი და მ წ კ რ ი ვ ე ბ ი 267
7.13.1. მწკრივის რაობა (ზოგადი მიმოხილვა) 267
7.13.2. I სერიის მწკრივები 269
7.13.3. II სერიის მწკრივები 271
7.13.4. III სერიის მწკრივები 272
7.13.5. სერიებად და მწკრივებად დაყოფის საკითხი 274
7.13.6. უღლების ნიმუშები 276
7.14. გ ვ ა რ ი 279
7.14.1. ზმნურ ფორმათა დაჯგუფების საკითხი 279
7.14.2. გვარის სახეები (ზოგადი მიმოხილვა) 280
7.14.3. დინამიკურობა-სტატიკურობის საკითხი ქართულ ლინგისტიკაში 281
7.14.4. მოქმედებითი გვარი. კონვერსია 283
7.14.5. ვნებითი გვარი 285
დინამიკური ვნებითი 285
სტატიკური ვნებითი 287
აღწერილობითი ვნებითი. ვნებითის ნიუანსები 289
7.14.6. საშუალი გვარი 291
7.14.7. გვარის ფორმათა წარმოების ზოგიერთი თავისებურება მართლწერის საკითხებითურთ 296
7.15. დ ი ა თ ე ზ ა 299
7.16. ქ ც ე ვ ა 304
7.16.1. ქცევის რაობა. სახეები. ქცევის ფორმათა მართლწერა 304
7.16.2. ხმოვანპრეფიქსების ფუნქციური კვალიფიკაციის საკითხი 310
7.17. კ ო ნ ტ ა ქ ტ ი 313
7.17.1. კონტაქტის სახეები. მისი წარმოება 313
7.17.2. კაუზატივის კატეგორიის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში 315

7.18. ზმნის ძირი, ფუძე, თემა 316
7.18.1. ძირი და ფუძე (ზოგადი მიმოხილვა) 316
7.18.2. თემა. თემის ნიშნები 317
7.18.3. თემის ნიშანთა მართლწერა 322
7.19. თავისებური ზმნები 323
7.19.1. რთული და მიმღეობითი ზმნები 323
7.19.2. ფუძემონაცვლე ზმნები 325
7.19.3. სხვადასხვა სახის თავისებური ზმნები 328

ლიტერატურა 330

თავი VIII. სახელზმნა 339
8.1. სახელზმნის რაობა. მისი სახეები
(ზოგადი დახასიათება) 339
8.2. საწყისი 341
8.2.1. საწყისის რაობა. მისი კატეგორიები 341
8.2.2. საწყისის წარმოება 342
8.3. მიმღეობა 343
8.3.1. მიმღეობის რაობა. მისი კატეგორიები 343
8.3.2. მიმღეობის წარმოება 345

ლიტერატურა 348

თავი IX. ფორმაუცვლელი მეტყველების
ნაწილები 350
9.1. ზმნიზედა 351
9.1.1. ზმნიზედის მნიშვნელობა და ფუნქცია 351
9.1.2. ზმნიზედის შინაარსობრივი ჯგუფები 352
9.1.3. ზმნიზედათა მართლწერა 355
9.1.4. ზმნიზედის ადგილი მეტყველების ნაწილთა
სისტემაში და ზოგიერთი ფორმის
კვალიფიკაციის საკითხი 356
9.2. თანდებული 357
9.2.1. თანდებულის ფუნქცია და შედგენილობა 357
9.2.2. თანდებულის შესწავლის ზოგიერთი საკითხი 360

9.3. კავშირი 361
9.3.1. კავშირის შედგენილობა. მისი სახეები 361
9.3.2. ზოგიერთი კავშირის ფუნქციური თავისებურებანი 363
9.4. ნაწილაკი 365
9.4.1. ნაწილაკის რაობა. მისი ფუნქცია 365
9.4.2. ნაწილაკის ჯგუფები ფუნქციის მიხედვით 366
9.5. შორისდებული 369
9.5.1. შორისდებულის რაობა. ჯგუფები წარმოების მიხედვით 369
9.5.2. შორისდებულის შინაარსობრივი ჯგუფები 371

ლიტერატურა 374

დანართი
სავარჯიშო მასალა (წინადადებები) 377

მეორე გამოცემის წინასიტყვა

წარმოდგენილი ნაშრომი „ქართული ენა (ფონეტიკა, მორფოლოგია)“ სახელმძღვანელოს მეორე გამოცემაა. მასში უფრო ვრცლადაა ასახული როგორც ტრადიციული მეცნიერული შეხედულებები, ისე თანამედროვე ქართული ლინგვისტიკის მიღწევები, პრობლემები და ამ მიმართებით თავჩენილი სიახლეები, დაემატა ახალი პარაგრაფები... გარდა ამისა, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ამჯერად უფრო გამოკვეთილია წიგნის ავტორთა პოზიცია, მათი მოსაზრებანიც; თითქმის ორჯერაა გაზრდილი და თემატურად დაკონკრეტებული სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალი.

ჟ. ფეიქრიშვილი, რ. საღინაძე
2016 წელი

პირველი გამოცემის წინასიტყვაობიდან

ქართული ენა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონეა. ბრუნვათა განვითარებული სისტემა, ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის თავისებურება, დერივაციული სისტემის მოქნილობა, ლექსიკური ფონდის სიმდიდრე და ბევრი სხვა განსაკუთრებული თვისება წარმოაჩენს მის ღირსებასა და უნიკალურობას.

ქართული ენის აგებულების შესწავლას მიეძღვნა არაერთი მნიშვნელოვანი ცალკეული სამეცნიერო ნაშრომი, გრამატიკები, სახელმძღვანელოები... შექმნილია საკმაოდ ღრმა საფუძველი ენის სხვადასხვა ასპექტით კვლევისა და შესწავლისა. ანტონ I-ის, სილოვან ხუნდაძის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, ბესარიონ ჯორბენაძის... ენათმეცნიერულ ნაშრომებში ჩადებულია ის მუხტი, რომელიც ამოძრავებს თანამედროვე ლინგვისტურ საზოგადოებას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის ქართველოლოგიურ ცენტრებში... მიუ-

ხედავად ამისა, ბევრი პრობლემა, სადავო საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში კვლავაც რჩება გადაუჭრელი.

...ენის სისტემაში ხდება გარკვეული ცვლილებები, შესაბამისად იცვლება ხედვა, საკვლევი საკითხებისადმი მიდგომა; ჩნდება ახალ-ახალი თეორიები, შეხედულებები; ენათმეცნიერებაში ბევრი რამ გადაფასდა, რაც უსათუოდ უნდა აისახოს სასწავლო პროცესშიც, რათა მომავალმა თაობამ დროულად აღიქვას ენაში მიმდინარე ცვლილებები, უკეთ ჩასწვდეს ქართული ენის ბუნება-კანონზომიერებას. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ჩვენი წიგნი „ქართული ენა (ფონეტიკა, მორფოლოგია)“...

ნაშრომს თემატური პრინციპით დართული აქვს ლიტერატურა, რამდენიმე სქემა; ასევე: ცხრილები და სავარჯიშო მასალა (წინადადებები).

სახელმძღვანელო, რომელსაც საფუძვლად უდევს წინამორბედ და თანამედროვე ენათმეცნიერთა მდიდარი გრამატიკული ლიტერატურა, წიგნის ავტორთა სამეცნიერო საქმიანობა და სტუდენტებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, სწავლების პროცესში თავჩენილი სირთულეების გაცნობიერება და მათი დაძლევის გზების ძიება, ხელს შეუწყობს ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებას.

ჟ. ფეიქრიშვილი, რ. საღინაძე
2014 წელი

შემოკლებანი

თქსენ – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.
იკე – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება
სბი – სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში
სმამ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე
ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ქელს – ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში
ქესს – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები
ქსკს – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები
შდრ – შეადარეთ

ნაწილი პირველი

ფ ო ნ ე ტ ი კ ა

თავი I. ენათმეცნიერების დარგები

ენის შემსწავლელ მეცნიერებას **ენათმეცნიერებას** (უცხოურად ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა ს) უწოდებენ. სხვაგვარად: „ადამიანის ენაში არსებულ ყოველგვარ ელემენტსა და მოვლენას, რომელიც საუკუნეობით არის შემუშავებული, მემკვიდრეობით გადმოცემული და საყოველთაო ხმარებით განმტკიცებული, სწავლობს მეცნიერება, რომელსაც ენათმეცნიერება ჰქვია“ (ა. შანიძე).

ენა ვლინდება მეტყველების სახით, რაც, თავის მხრივ, ხორციელდება სიტყვების მეშვეობით. ასე რომ, ენათმეცნიერების ძირითადი საკვლევი ობიექტია **სიტყვა.** ყოველ ენაში სიტყვას განიხილავენ სხვადასხვა ასპექტით: ბგერითი შედგენილობის, ფორმის (სტრუქტურის), ფუნქციის, სემანტიკის მიხედვით.

ენის ყოველმხრივმა შესწავლამ გამოიწვია ენათმეცნიერების რამდენიმე დარგის შექმნა. ეს დარგებია: ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკოლოგია, ეტიმოლოგია, სტილისტიკა, დიალექტოლოგია.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ენათმეცნიერების დარგების მეტ-ნაკლებად განსხვავებული კლასიფიკაციებიც:

1) ლექსიკოლოგია, გრამატიკა (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), სტილისტიკა (ა. შანიძე);

2) მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია, სემასიოლოგია, ეტიმოლოგია, სტილისტიკა, ფონეტიკა (არნ. ჩიქობავა);

3) ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკოლოგია, სემასიოლოგია, ეტიმოლოგია, სტილისტიკა (ვ. თოფურია)...

გრამატიკა სწავლობს ენის აგებულებას, სიტყვათა ფორმასა და ფუნქციას. გრამატიკის ნაწილებია: მორფოლოგია და სინტაქსი.

მორფოლოგია ზოგადად არის მოძღვრება სიტყვის ფორმის (სტრუქტურის), მისი ცვლილებების შესახებ, სინტაქსი კი სწავლობს სიტყვათა შეწყობა-შეკავშირების წესებს და არკვევს სიტყვის ფუნქციას წინადადებაში.

ლექსიკოლოგიის საგანია ენის ლექსიკური მარაგი, სიტყვათა ან გამოთქმათა მნიშვნელობა და ცვლილებები, სიტყვათა ტიპები, ლექსიკონები, მათი ძირითადი სახეები.

ეტიმოლოგია სიტყვის წარმომავლობის შემსწავლელი დარგია, კერძოდ, მისთვის საინტერესოა სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა და მისი შემდგომი განვითარება. სხვაგვარად: ეტიმოლოგია გულისხმობს სიტყვის ფუძეში ჩაქსოვილი შინაარსის გაშიფვრასა და სახელდების მოტივაციის ამოცნობას.

სტილისტიკა სწავლობს ენობრივ საშუალებებს გადმოსაცემ შინაარსთან მიმართებით, ანუ, ა. შანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სტილისტიკა სწავლობს ლექსიკური მარაგიდან და გრამატიკულ ფორმათა ქონებიდან ამა თუ იმ საჭიროებისათვის უფრო შესაფერისი მასალის შერჩევის საშუალებას და გამოყენების ხერხებს“.

დიალექტოლოგია ენათმეცნიერების ისეთი დარგია, რომელიც დიალექტებს (კილოებს) იკვლევს ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური, სტილისტური და სემასიოლოგიური ასპექტებით. დიალექტოლოგიას ასეც განმარტავენ: „დისციპლინა, რომელიც ენათმეცნიერული პრინციპებითა და მეთოდებით სწავლობს დიალექტს, არის დიალექტოლოგია“ (ბ. ჯორბენაძე).

ფონეტიკის საგანი

ფონეტიკა, ზოგადი გაგებით, იკვლევს ენაში არსებულ სამეტყველო ბგერებს, სიტყვის ბგერითს შედგენილობას, ბგერათა ცვლილებებს და არკვევს ამ ცვლილებათა კანონზომიერებას. ტერმინი „ფონეტიკა“ ბერძნული წარმოშობისაა (phonetikos), რაც ნიშნავს მოძღვრებას „ხმის, ბგერის შესახებ“ (ამოსავალია სიტყვა „ფონე“ = ხმა, ბგერა).

ფონეტიკა, როგორც მეცნიერული დისციპლინა, შეიძლება იყოს ზოგადი, კერძო, აღწერითი, ისტორიული.

ზოგადი ფონეტიკა ემყარება განსხვავებულ ენათა მასალას და იკვლევს ადამიანის სამეტყველო მოქმედებების შესაძლებლობებს საერთოდ და აანალიზებს ბგერით ერთეულთა ფიზიოლოგიურ და აკუსტიკურ თავისებურებებს, აღქმის ზოგად კანონზომიერებებს და ა. შ.

კერძო ფონეტიკის საგანია კონკრეტული ენის ბგერითი მხარის შესწავლა.

აღწერითი ფონეტიკა იკვლევს ცალკეულ ენათა ბგერითს მოვლენებს სინქრონიულ ჭრილში, დროის გარკვეულ მონაკვეთზე.

ისტორიული ფონეტიკა შეისწავლის ბგერითი მხარის ცვალებადობას დროში (განვითარებაში, წინა საფეხურების გათვალისწინებით), ცვლილებათა მიზეზებსა და მათს მიმართებას (ი. ქობალავა).

შესასწავლი ობიექტის სიახლოვის გამო ფონეტიკასთან კავშირში განიხილავენ **ფონოლოგიასაც** (ბერძნ. phōne – ბგერა, logos – სიტყვა, მოძღვრება), რომელიც ენის ბგერითს მხარეს შეისწავლის ფუნქციონირების თვალსაზრისით, თუმცა ზოგჯერ ფონეტიკა და ფონოლოგია მიჩნეულია დამოუკიდებელ დისციპლინებად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ენათმეცნიერებაში ტერმინი „ფონეტიკა“ გამოიყენება ვიწრო და ფართო მნიშვნელობით. პირველ შემთხვევაში საკუთ-

რივ ფონეტიკის საგნად მიიჩნევენ სამეტყველო ბგერის არტიკულაციურ-აკუსტიკურ შესწავლას, ხოლო ფართო მნიშვნელობით იგი გულისხმობს ბგერის არტიკულაციურ-აკუსტიკურ და ფუნქციურ დახასიათებას.

მართალია, სამეტყველო ბგერებსა და საწარმოთქმო ორგანოებზე დაკვირვებას დიდი ხნის ისტორია აქვს (მათზე მსჯელობდნენ ჯერ კიდევ ძველ ინდოეთში, ანტიკურ მეცნიერებაშიც), მაგრამ ფონეტიკა, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დარგი, ყალიბდება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ფონეტიკას, როგორც მოძღვრებას, აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. თეორიული მნიშვნელობა ისაა, რომ ბგერითი ცვლილებების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია აიხსნას მორფოლოგიური მოვლენები, ლექსიკისა და გრამატიკული წყობის მეცნიერული ისტორია. მაგალითად, სიტყვაში **ქალაქიდან** ისტორიულად სახეცვლილია როგორც ბრუნვის ნიშანი, ისე თანდებული. ამ ცვლილების ახსნა შეუძლებელია ფონეტიკური მოვლენების გაუთვალისწინებლად: ქალაქ-ით-გან > ქალაქ-იდ-გან > ქალაქ-იდ-ან > ქალაქიდან.

მაშასადამე, ფონეტიკა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორიული საფუძველი ენათმეცნიერების სხვა დარგებისათვის.

არანაკლებია ფონეტიკის პრაქტიკული ღირებულებაც. ენის ბგერითი შედგენილობისა და ცალკეულ ბგერათა თვისებების ცოდნა აუცილებელია უმწერლობო ენისათვის ანბანის შექმნისას ანდა ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას. ახალი ენის შესწავლის დროსაც საჭიროა მოცემული ენის ბგერათა თვისებების გათვალისწინება. ფონეტიკა მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ლოგოპედიისათვის, მედიცინის იმ დარგისათვის, რომელიც მეტყველების დეფექტებს იკვლევს და მკურნალობს.

თავი II. ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა

2.1. სამეტყველო ბგერა და ასო. ანბანი

ფონეტიკის ძირითადი საკვლევი ობიექტია **სამეტყველო ბგერა,** ენის ბგერითი მხარე.

ბუნებაში არსებობს მრავალგვარი ბგერა: ზოგს გამოსცემს არაცოცხალი საგანი (შრიალი, ჭრიალი, კაკუნი...), ზოგს – ცოცხალი: ადამიანი ან ცხოველი, ფრინველი (ლაპარაკი, ყეფა, ბღავილი, კივილი, სტვენა...). არაცოცხალი საგნის მიერ გამოცემული ბგერები ფიზიკური ბგერებია, ხოლო სულიერი არსების მიერ გამოცემული – ბიოლოგიური, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს სამეტყველო და არასამეტყველო.

სამეტყველო ბგერების საშუალებით დამყარებულ ურთიერთობას ეწოდება სიტყვიერი ურთიერთობა ანუ **ბგერითი მეტყველება.**

სიტყვა (მეტყველების უმარტივესი ერთეული) წარმოითქმება სამეტყველო ბგერებით. მათი მეშვეობით მყარდება ურთიერთობა ადამიანთა შორის: ადამიანები აგებინებენ საკუთარ აზრს სხვას და იგებენ სხვის ნათქვამს, ე.ი. სამეტყველო ბგერას სოციალური ფუნქცია აქვს, ანუ სხვაგვარად: **ბგერა** არის სოციალურად ღირებული უმარტივესი ელემენტი სიტყვისა.

სამეტყველო ბგერას უცხოურად **ფონემა** ჰქვია. ფონემა არის განსაზღვრული არტიკულაციურ-აკუსტიკური თვისებების მქონე ისეთი უმცირესი ერთეული მეტყველებისა, რომელსაც შეუძლია სემანტიკურად განასხვაოს ერთმანეთისაგან ენობრივი ფორმები. შესაბამისად, სიტყვებში: ბარი, ფარი, ქარი, თარი, ტარი, კარი, ჯარი, ზარი... დასაწყისი ბგერები (ბ, ფ,

ქ, თ, ტ, კ, ჯ, ზ) ფონემებია, მაგრამ ენაში არსებული სამეტყველო ბგერა ყოველთვის არ არის ფონემა. მაგალითად, სიტყვა კარგად ზოგჯერ გამოითქმის ასე – კარგათ. ამ შემთხვევაში **თ** ფონემად არ ჩაითვლება, რადგან იგი ვერ ცვლის სიტყვის მნიშვნელობას (შდრ. **თ**არი და **ტ**არი). ანალოგიური ვითარებაა სხვა სიტყვებშიც: აკეთებს – აკეთეფს, მოხდა – მოხთა, გქონდა – ქქონდა...

მაშასადამე, ენაში ერთი და იგივე ობიექტი (სამეტყველო ბგერა) ზოგჯერ განსხვავებულია როგორც საკუთრივ ფონეტიკური (არტიკულაციურ-აკუსტიკური), ისე ფუნქციური ასპექტით.

ყოველი სამეტყველო ბგერა გამოიხატება გარკვეული წერილობითი ნიშნით ანუ გრაფიკული გამოსახულებით, რომელსაც **ასო** (უცხოურად **გრაფემა**) ჰქვია. ბგერა წარმოითქმის და გვესმის, ხოლო ასო იწერება და ვხედავთ. ამდენად, ბგერა აკუსტიკური მოვლენაა, ასო კი – ოპტიკური. ბგერასა და ასოს შორის კავშირი პირობითია, ანუ ასო არის ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი. ასე რომ არ იყოს, მაშინ ყველა ენაში არსებული ბგერები ერთნაირი ასოებით უნდა იწერებოდეს. სინამდვილეში კი ვითარება სხვადასხვაგვარია. მაგალითად, **დ** ბგერის წერილობითი ნიშანი ქართულში არის **დ**, რუსულში – **Д** (**д**), ლათინურში – **D** (**d**) და ა.შ.

ასოსა და ბგერის (გრაფემისა და ფონემის) შესაბამისობას, ანუ ცოცხალი მეტყველების წერითი ნიშნებით გამოხატვის წესებსა და საშუალებებს სწავლობს მოძღვრება **გრაფიკა** (რაც ქართულად ნიშნავს „ხაზვას, ხატვას“).

ყოველ ენაში სამეტყველო ბგერებისა და ასოების რაოდენობა განსაზღვრულია, მაგრამ იგი ყველგან ერთნაირი არ არის: თანამედროვე ქართულში არის 33 ბგერა და 33 ასო, რუსულში – 31 ბგერა და 33 ასო, ინგლისურში – 44 ბგერა და 26 ასო...

ბგერითი შედგენილობით განსხვავდება არა მარტო სხვადასხვა ენა, არამედ ერთი ენაც განვითარების სხვადასხვა

საფეხურზე. მაგალითად, თანამედროვე (ახალი) ქართული სალიტერატურო ენის სამეტყველო ბგერებია: **ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ ნ ო პ ჟ რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ.**

გარკვეული რიგითა და თანმიმდევრობით დალაგებულ ასო-ბგერებს **ანბანი** (უცხოურად **ალფაბეტი**) ჰქვია. ქართული ანბანის რიგი და ასოთა სახელწოდება ასეთია: **ა** (ან), **ბ** (ბან), **გ** (გან), **დ** (დონ), **ე** (ენ), **ვ** (ვინ), **ზ** (ზენ), **თ** (თან), **ი** (ინ), **კ** (კან), **ლ** (ლას), **მ** (მან), **ნ** (ნარ), **ო** (ონ), **პ** (პარ), **ჟ** (ჟან), **რ** (რაე), **ს** (სან), **ტ** (ტარ), **უ** (უნ), **ფ** (ფარ), **ქ** (ქან), **ღ** (ღან), **ყ** (ყარ), **შ** (შინ), **ჩ** (ჩინ), **ც** (ცან), **ძ** (ძილ), **წ** (წილ), **ჭ** (ჭარ), **ხ** (ხან), **ჯ** (ჯან), **ჰ** (ჰაე). ტერმინი „ანბანი“ მიღებულია პირველი და მეორე ასოს სახელწოდებათა შეერთებით (ან + ბან).

ძველ ქართულში 38 ასონიშანი იყო. ზემოჩამოთვლილთა გარდა, გამოიყენებოდა აგრეთვე: **ჲ** (იოტი), **ჱ** (მერვე ე), **ჳ** (ვი), **ჴ** (ხარი), **ჵ** (ჰოი/ოჰ), რომელთაც დღეს უწოდებენ ხ მ ა რ ე ბ ი დ ა ნ გ ა ს უ ლ ასოებს. ისინი ამჟამადაც გამოიყენება ძველი წერილობითი ძეგლების ამოკითხვა-გადმოწერისა თუ ბეჭდვისათვის, ასოთა რიცხვითი მნიშვნელობების დაცვის მიზნით... **ჲ** და **ჴ** დღემდე არის შემორჩენილი ქართული ენის დიალექტებში.

ახალი ქართული ანბანი უფრო გამარტივებულია, რამდენადაც მასში იმდენი ასონიშანია, რამდენი ბგერაც არის ენაში. ქართულ ანბანში საკმაოდ ზუსტადაა ასახული ქართული ენის ბგერითი შედგენილობა. სწორედ ეს თვისება მიუთითებს ქართული ენისა და ანბანის უნიკალურობაზე.

ქართული ანბანის მთავარი ღირსების მაჩვენებელია:

1. ქართულში ყოველ გრაფიკულ ნიშანს, ჩვეულებრივ, ერთი ბგერითი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, **ა** იკითხება **ა**-დ, მაგრამ ზოგ ენაში ერთი ნიშანი ხშირად რამდენიმე მნიშვნელობის მქონეა: გერმანულში **s** აღნიშნავს **ს**-ს (eins),

ზ-ს (selten), **შ**-ს (spät); რუსულში О გამოითქმის ხან **о**-დ (сто), ხან **а**-დ (вода – вада).

2. ქართულში თითო ბგერა გამოიხატება თითო ნიშნით, რაც აადვილებს ანბანის შესწავლასა და გამოყენებას, ზოგ ენაში კი ერთი და იგივე ბგერა შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა ასონიშნით. მაგალითად, გერმანულში **შ** ბგერა აღინიშნება სამი გრაფემით: **sch** (Schule), **ჩ** – ოთხით: **tsch** (deutsch).

3. ქართულ ანბანში ყველა ასონიშანი სამეტყველო ბგერის გამომხატველია, მაგრამ ყველა ენაში ასე არაა: რუსულში არის **ь** და **ъ** ნიშნები, რომელთაც ბგერა არ შეესატყვისება (**мальчик, подъезд**).

4. ქართულში, სხვა ენათაგან განსხვავებით, არ არის დიდი და პატარა ასოების გარჩევის წესი.

მაშასადამე, ქართული ანბანი არის ზედმიწევნით სრულყოფილი, შესასწავლად მარტივი და გამოსაყენებლად – ადვილი. მისი უნიკალურობა აღიარებულია მთელ მსოფლიოში. მაგალითად, რუსი ლინგვისტი და ეთნოგრაფი პ. უსლარი წერდა: „სხვა ეგეთი ანბანსრული ენა ქვეყანაზე არ მეგულება“; ინგლისელი ქართველოლოგის, უილიამ დევიდ ალენის, შეფასებით, „ქართული ანბანი მთელი სისრულითა და სიზუსტით გადმოსცემს ქართული ენის ბგერათა მრავალფეროვნებას. ყოველ ბგერას შეესაბამება ცალკეული ასო. ყოველი ასო წარმოითქმის ზუსტად და მკაფიოდ და ამ თვალსაზრისით, ვერც ერთი სხვა ანბანი, მათ შორის ვერც სომხური, შეედრება ქართულ ანბანს“...

2.2. საწარმოთქმო ორგანოები

ყოველი ბგერა წარმოითქმის სამეტყველო ორგანოების საშუალებით. ეს ორგანოებია: ფილტვები, დიაფრაგმა, სასუნთქი მილი, ხახა, ხორხი, სახმო სიმები, სასა, ნაქი, ქვედა ყბა, ენა, ნუნები, კბილები, ბაგეები. მათი თავდაპირველი დანიშნულება მხოლოდ ბიოლოგიური იყო: ასრულებდნენ ადამიანის სასიცოცხლო ფუნქციას (სუნთქვა, ყნოსვა, ღეჭვა, ყლაპვა...). საწარმოთქმო აპარატის პირვანდელ მნიშვნელობას დაემატა სამეტყველო ფუნქცია.


სამეტყველო ორგანოები იყოფა სამ დიდ ჯგუფად. ესენია: 1) სასუნთქი ორგანოები ანუ სასუნთქი აპარატი, 2) ხორხი, 3) ხახის, ცხვირისა და პირის ღრუები.

სასუნთქი აპარატის ნაწილებია: სასუნთქი მილი (სასულე), ფილტვები და დიაფრაგმა (შუა საძგიდე).

ს ა ს უ ნ თ ქ ი მ ი ლ ი შედგება ხრტილოვანი რგოლებისაგან და შიგნიდან დაფარულია ლორწოვანი გარსით. იგი იწყება ხორხის ქვეშ, გაივლის გულ-მკერდის ღრუში და განშტოვდება ორ მთავარ ბრონქად. სასუნთქი მილი არის ჰაერნაკადის სამოძრაო გზა ფილტვებიდან გარეთ (ამოსუნთქვისას) და გარედან ფილტვებისაკენ (შესუნთქვისას).

ფ ი ლ ტ ვ ე ბ ი მოთავსებულია გულ-მკერდის ღრუში. იგი რბილი და ელასტიკური სხეულია, წყალზე მსუბუქი. მასში მუდამ არის ჰაერი. ფილტვებს შუა ძევს გული.

დ ი ა ფ რ ა გ მ ა არის ფართო კუნთი, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფს გულ-მკერდისა და მუცლის ღრუებს. მისი შეკუმშვა-მოშვება იწვევს შესუნთქვა-ამოსუნთქვას.




1 – თავის ტვინი; 2 – ცხვირის ღრუ; 3 – მაგარი სასა; 4 – პირის ღრუ; 5 – ბაგეები; 6 – კბილები; 7 – ენის წვერი; 8 – ენის ზურგი; 9 – ენის ძირი; 10 – ხორხსარქველი; 11 – ხახა; 12 – ხორხი; 13 – სასუნთქი მილი; 14 – მარჯვენა ბრონქი; 15 – მარჯვენა ფილტვი; 16 – დიაფრაგმა; 17 – საყლაპავი მილი; 18 – ხერხემალი; 19 – ზურგის ტვინი; 20 – რბილი სასა.

ხ ო რ ხ ი ეწოდება სასუნთქი მილის ზედა გაფართოებულ ნაწილს. იგი შედგება ბეჭდისებრი, ფარისებრი, ციცხვისებრი ხრტილებისაგან და ზემოდან იხურება ხორხსარქველით. ხორხი მთლიანად მოთავსებულია ლორწოვანი აპკით დაფარულ გარსში. მასში არის სახმო სიმები ანუ მბგერი იოგები.

სახმო სიმებს უწოდებენ ფარისებრი ხრტილის კედლების გასწვრივ შიგნიდან გამობურცულ ერთ წყვილ ნაოჭს. თითოეულ ნაოჭში არის კუნთი, რომელსაც სახმო კუნთი ჰქვია. სახმო სიმებს შორის არსებული გასწვრივი ნაპრალი არის ყია.

ხახა ანუ ხახის ღრუ ხორხის ზემოთაა. იგი გაერთიანებულია პირისა და ცხვირის ღრუებთან.

პირის ღრუ სამეტყველო ბგერის წარმოთქმისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია. იგი აგებულებითაც რთულია. პირის ღრუ მდებარეობს ზედა და ქვედა ყბებს შუა: წინიდან შემოსაზღვრულია ტუჩ-კბილებით, ზემოდან – სასით, ქვემოდან – ენით, გვერდებიდან – ლოყებითა და კბილებით, ხოლო უკნიდან – რბილი სასით. კბილები ჩასმულია ბუდეებში, რომლებსაც ნუნებს უწოდებენ.



პირის ღრუში მოთავსებულია ყველაზე მოძრავი ორგანო – ენა. ფონეტიკაში ენას ყოფენ ნაწილებად: ენის წვერი, ენის ტანი ანუ ენის ზურგი, ენის ძირი და ენის გვერდითი კიდეები. ენის ზურგის ნაწილებია: წინა ენა, შუა ენა, უკანა ენა.

ფუნქციის ანუ გამოყენების მიხედვით საწარმოთქმო ორგანოები ორგვარია: აქტიური და პასიური.

აქტიურია ორგანო, რომელიც მთავარ როლს ასრულებს ბგერათწარმოთქმაში. ასეთი ორგანო მოძრავია, ბგერის წარმოთქმისას იღებს სხვადასხვა მდგომარეობას და მოქმედებს სხვა ორგანოების მიმართაც. აქტიური ორგანოებია: სახმო სიმები, ქვედა ყბა, ენა, ბაგეები, რბილი სასა ნაქითურთ, ხახის კედელი და ტუჩები (გ. ახვლედიანი).

პასიურია ორგანო, რომელიც ბგერის წარმოთქმისას არ იცვლის მდგომარეობას და ასრულებს მხოლოდ დამხმარე როლს. ასეთებია: კბილები, ნუნები და მაგარი სასა (გ. ახვლედიანი), ხახის კედელი და ზედა ყბა (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა).

2.3. არტიკულაცია და საარტიკულაციო ბაზისი

ყოველი ბგერის წარმოსათქმელად სამეტყველო ორგანოები მოძრაობენ ანდა იღებენ გარკვეულ მდგომარეობას.

სამეტყველო ორგანოების იმ მოძრაობა-მდგომარეობას, რომელსაც ისინი იღებენ ბგერის წარმოთქმის დროს, ბგერის არტიკულაცია ჰქვია. ყოველ სამეტყველო ბგერას თავისი არტიკულაცია აქვს. მისთვის ამოსავალია სამეტყველო ორგანოების ინდიფერენტული მდგომარეობა, რომელშიც ორგანოები იმყოფებიან საწარმოთქმოდ ამოქმედებამდე.

გამოყოფენ ცალკეული (ერთი) ბგერის წარმოთქმის სამ მომენტს. ესენია: შემართვა, დაყოვნება და დამართვა.

შემართვა ანუ ექსკურსია ისეთი მომენტია, როცა სამეტყველო ორგანოები გამოდიან ინდიფერენტული მდგომარეობიდან და მოემზადებიან ბგერის წარმოსათქმელად.


შემართვას მოჰყვება დაყოვნება ანუ მწვერვალი, რაც გულისხმობს ბგერის წარმოთქმას.

დამართვა ანუ რეკურსია ისეთი მომენტია, როცა საწარმოთქმო ორგანოები თავიანთი ფუნქციის შესრულების შემდეგ უბრუნდებიან საწყის მდგომარეობას. ამ მომენტებიდან ყველაზე ხანგრძლივია დაყოვნება. შემართვა-დამართვის მომენტები თითქმის თანაბარი ხანგრძლივობისაა. ცალკეული ბგერის წარმოთქმის დროს სამივე ეს მომენტი სრულია და ერთმანეთისაგან გამოკვეთილი (იხ. სქემა 1).


წესისამებრ, სამეტყველო ქმედების დროს წარმოიქმნება რამდენიმე ბგერა. ამ პროცესს ფონეტიკაში კოარტიკულაცია ანუ თანაარტიკულაცია ეწოდება. ასეთ შემთხვევაში სიტყვის წარმოთქმისას სრულად არ ხდება შემავალ ბგერათა ცალკეული არტიკულაცია: ყოველი წინა ბგერის დამართვა კვეთს მომდევნო ბგერის შემართვას, რის გამოც ახლოს მდგომი ბგერები ერთმანეთზე ახდენენ ცალმხრივ ან ორმხრივ გავლენას, რაც ვლინდება ფონეტიკური ცვლილებების (ასიმილაცია, დისიმილაცია...) სახით.

არტიკულაციისა და კოარტიკულაციის პროცესი სქემატურად ასე შეიძლება გამოისახოს:

სქემა 1



სქემა 2



მაშასადამე, მთლიანი სიტყვის წარმოთქმისას, როგორც წესი, თითოეული ბგერის დაყოვნება ყოველთვის სრულია, მაგრამ განსხვავებულია მათი შემართვა-დამარ-

თვის მომენტები, კერძოდ: სრულია მხოლოდ პირველი ბგერის (მ-ს) შემართვა და ბოლო ბგერის (ე-ს) დამართვა; დანარჩენთათვის ეს მომენტები ურთიერთგადაკვეთის გამო არასრულია: მ-ს დამართვას მალევე მოჰყვება (კვეთს) ზ-ს შემართვა, ამ უკანასკნელის დამართვას კი – ე-ს შემართვა.

გაბმულ მეტყველებაში ბგერის წარმოთქმის მომენტები მკვეთრად არ გამოიყოფა ერთმანეთისაგან.

ყოველ ენაში არის შემუშავებული და დამკვიდრებული ბგერათა თავისებური წარმოთქმა.

კონკრეტული ენის საწარმოთქმო ჩვევებს, რომლებიც შემუშავებულია ამ ენის განვითარების მანძილზე და მასში ტრადიციითაა დამკვიდრებული, ეწოდება ამ ენის *ს ა ა რ ტ ი კ უ ლ ა ც ი ო ბ ა ზ ი ს ი* (გ. ახვლედიანი).

საარტიკულაციო ბაზისი *ს ო ც ი ა ლ უ რ ი* მოვლენაა და არა ფიზიოლოგიური. ამას ადასტურებს ის, რომ, მართალია, ორი სხვადასხვა ენის წარმომადგენლებს ერთნაირი ფორმის საწარმოთქმო ორგანოები აქვთ, მაგრამ ერთი ენის სამეტყველო ბგერები წარმოთქმის მიხედვით განსხვავდება მეორე ენის ბგერათაგან.

საარტიკულაციო ბაზისით განსხვავებულია არა მარტო ენები, არამედ ერთი ენის დიალექტებიც კი. მაგალითად, თუ რუსული და ქართული ენების საარტიკულაციო ბაზისი აშკარად განსხვავდება, ასევე ცოტაოდენი სხვაობა მაინც შეინიშნება ხევსურისა და გურულის საარტიკულაციო ბაზისშიც.

ცნობილია უცხოურ ენაზე მოლაპარაკის „აქცენტი“, როცა იგი არ არის დაუფლებული ამ ენის სწორ წარმოთქმას. ასეთ დროს მოსაუბრე იყენებს მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზისს და ამიტომ უცხო სიტყვებს გამოთქვამს საკუთარი „აქცენტით“.

საარტიკულაციო ბაზისი, ჩვეულებრივ, ყალიბდება გარკვეულ სოციალურ გარემოში: სხვა ეროვნულ (resp. ენობრივ) გარემოში გაზრდილი ბავშვი მეტყველებს არა მშობლიური ენისთვის დამახასიათებელი საარტიკულაციო ჩვევებით, არამედ იმ ენობრივი გარემოს ჩვევებით, რომელშიც

იგი იზრდება. ბოლოდროინდელი გამოკვლევებით, ვარაუდობენ, რომ საწარმოთქმო ჩვევათა ზოგი ნიშანი შეიძლება ბავშვს დაბადებამდეც განუვითარდეს. ამას ადასტურებს ახალშობილთა საარტიკულაციო ბაზისზე დაკვირვება, მაგალითად, ბავშვის ტირილის შესწავლა.

2.4. ხმოვანთა დახასიათება

სამეტყველო ბგერები იყოფა ხმოვნებად და თანხმოვნებად. ესაა სამეტყველო ბგერათა ყველაზე ძველი კლასიფიკაცია. ამას ამტკიცებს დამწერლობის განვითარების ერთ-ერთი უძველესი საფეხური – მარცვლოვანი დამწერლობა, რომელშიც საგანგებო ასონიშნები შეუქმნეს მხოლოდ თანხმოვნებს, ხმოვნებს კი – არა. პირველი ანბანური (ასოებრივი) დამწერლობა – ფინიკიურიც მხოლოდ თანხმოვნებისაგან (კონსონანტებისაგან (< ლათ. consonans/consonantis) შედგებოდა.

მეცნიერთა ვარაუდით, ანბანურ დამწერლობაში პირველად ბერძნებმა შეიტანეს ხმოვნები (ეს მოხდა ძვ.წ. 403 წელს). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბერძნებმა ფინიკიურის კონსონანტური ანბანი გაახმოვანეს – გახადეს ვოკალიზებული (< ლათ. vocalis = ხმოვანი ბგერა).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში 33 ასო-ბგერაა. აქედან 5 ხმოვანია, 28 – თანხმოვანი. ქართული ენის ფონემატური სისტემა მდიდარია თანხმოვნებით, მაგრამ ღარიბია ხმოვნებით. ქართული ენის ხმოვნები **ა, ე, ი, ო, უ** – ყველა მარტივია. აქ არ არის არც გრძელი და არც უმლაუტიანი ხმოვნები.

იბერიულ-კავკასიურ ენებში ხმოვანთა რაოდენობა განსხვავებულია. მაგალითად, აფხაზურში, უბიხურში ორი ხმოვანია, სხვა ხმოვნები პოზიციურად წარმოიქმნება ამ ორ ფონემასთან შერწყმით. სვანურში ხმოვანთა რაოდენობა

სხვაობს კილოთა მიხედვით: ბალსზემოურში 18 ხმოვანს გამოყოფენ.

ხ მ ო ვ ა ნ ი ჰქვია ბგერას, რომლის წარმოთქმის დროს ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადი შეარხევს სახმო სიმებს, წარმოშობს ტონს და მოედინება დაუბრკოლებლად.

ხმოვნები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობა აქვს ენას და როგორ არის ბაგეები მოწყობილი, ე.ი. ხმოვანთა სხვადასხვაობას განსაზღვრავს პირის ღიაობა და ენისა და ბაგეების მდგომარეობა.

ტრადიციულად ხმოვანთა ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურ კლასიფიკაციას ახდენენ სხვადასხვა ნიშნით. ესენია: 1. რიგი; 2. აწეულობა; 3. დაჭიმულობა; 4. ნაზალიზაცია; 5. ლაბიალიზაცია.

1. **ხმოვანთა რიგი** გარჩეულია იმის მიხედვით, თუ ხმოვნის წარმოთქმისას ენის ზურგის რომელი ნაწილი აიწევა სასის მიმართულებით. შესაბამისად, არსებობს ხმოვანთა სამი რიგი: წინა, უკანა და შუა.

წ ი ნ ა რ ი გ ი ს ა ა ხმოვანი, რომლის წარმოთქმისას ენის ზურგის წინა ნაწილი აიწევა მაგარი სასის მიმართულებით. წინა რიგის ხმოვნებია: **ი, ე.** მათ უცხოურად **პალატალურ** (წინასასისმიერ) ხმოვნებს უწოდებენ.

შ უ ა რ ი გ ი ს ა ა ხმოვანი, რომლის წარმოთქმისას მაგარი სასის მიმართულებით ოდნავ აიწევა ენის შუა ნაწილი. ასეთია **ა.**

უ კ ა ნ ა რ ი გ ი ს ა ა ხმოვანი, რომლის წარმოთქმისას ენის ზურგის უკანა ნაწილი აწეულია მაგარი სასის მიმართულებით. ასეთი ხმოვნებია **ო** და **უ.** უკანა რიგის ხმოვნებს უცხოურად **ველარულ** (უკანასასისმიერ) ხმოვნებს უწოდებენ.

ა ხმოვნის რიგთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ტრადიციულისაგან განსხვავებული ახალი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, **ა** მიჩნეულია არა შუა რიგის, არამედ უკანა რიგის ხმოვნად (იხ. სქემა 4).

2. **ხმოვანთა აწეულობის** სამი საფეხური – მაღალი, საშუალო და დაბალი – გამოყოფილია იმის მიხედვით, თუ

რამდენად არის აწეული ენის ესა თუ ის ნაწილი სასის მიმართულებით. შესაბამისად,

მ ა ღ ა ლ ი აწეულობის ხმოვნებია: **ი** და **უ**

ს ა შ უ ა ლ ო აწეულობისა: **ე** და **ო**


დ ა ბ ა ლ ი აწეულობისა: **ა** (იხ. სქემა 3).

ქართულში არის ხმოვანთა დახასიათების სამკუთხა სისტემა. ხმოვანთა სამკუთხედი გავრცელებულია მსოფლიოში (ლათინურში, რუსულში, იაპონურში...). ზოგ ენაში ხმოვანთა სისტემას აქვს ოთხკუთხედის, კუბის ან სხვა სახე (გ. ნებიერიძე).

რიგისა და აწეულობის მიხედვით ხმოვანთა კლასიფიკაცია „სამკუთხედის" სახით შეიძლება ასე გამოიხატოს:


სქემა 3

(გ. ახვლედიანი)



სქემა 4

(ალ. ონიანი)



3. **ხმოვანთა დაჭიმულობა**. როგორც წესი, წარმოთქმისას ხმოვნებს ახასიათებს მეტ-ნაკლები დაჭიმულობა. ამ თვისებით განსხვავებულია მხოლოდ სხვადასხვა ენის ხმოვნები. მაგალითად, ქართულს, ასევე ფრანგულს, ახასიათებს ხმოვანთა დაჭიმული წარმოთქმა, მაგრამ რუსულისათვის ნიშანდობლივია დაუჭიმავი წარმოთქმა.

4. **ხმოვანთა ნაზალიზაცია.** ხმოვნების წარმოთქმის დროს საჭიროა ჰაერნაკადი, რომელიც გამოედინება პირის

ან ცხვირის ღრუში, ანდა ორივეში ერთდროულად. იმ ხმოვნებს, რომელთა წარმოთქმისას ჰაერნაკადი გამოდის ცხვირითაც და პირითაც, ეწოდება **ცხვირისმიერი** ანუ **ნაზალური**, ხოლო ასეთი ხმოვნის წარმოთქმის პროცესს – ნ ა ზ ა ლ ი ზ ა ც ი ა (ლათ. **nazalum** = ცხვირი).

ქართულს არა აქვს სოციალურად ღირებული ნაზალური ფონემები, მაგრამ, თუ **ა** ან **ე** ხმოვნები მოექცევა ცხვირისმიერი **მ, ნ** თანხმოვნების გვერდით, მაშინ ისინიც იძენს ამ თვისებას. მაგალითად, **ა** და **ე** ნაზალური ხდება სიტყვებში: **ამბავი, ანდერძი, ბანი, გემი**... ნაზალური ფონემები აქვს ფრანგულს...

5. **ხმოვანთა ლაბიალიზაცია.** ლაბიალიზებული ჰქვია ხმოვანს, რომლის წარმოთქმაში აქტიურად მონაწილეობს ბაგეები, ტუჩები. ასეთებად ქართულში მიჩნეულია **ო** და **უ**.

ხმოვნის დახასიათების გეგმა

1. საწარმოთქმო ადგილი
2. რიგი
3. აწეულობა
4. ბაგისმიერობა (ლაბიალურობა).

მაგალითად: **ე** – წინასასისმიერი (პალატალური), წინა რიგის, საშუალო აწეულობის, არაბაგისმიერი (არალაბიალური) ხმოვანი.

უ – უკანასასისმიერი (ველარული), უკანა რიგის, მაღალი აწეულობის, ბაგისმიერი (ლაბიალური) ხმოვანი.

2.5. თანხმოვანთა დახასიათება

თანხმოვანი ჰქვია ბგერას, რომლის წარმოთქმის დროს ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადს უხდება დაბრკოლების გადალახვა.

ქართულში 28 თანხმოვანია. მათი კლასიფიკაცია ხდება საწარმოთქმო ადგილის, დაბრკოლებათა რაგვარობისა და სახმო სიმების მონაწილეობის (მჟღერობა-სიყრუის) მიხედვით.

1. **თანხმოვანთა კლასიფიკაცია წარმოების ადგილის მიხედვით.** თანხმოვნების წარმოთქმაში მონაწილეობენ სამეტყველო ორგანოები: ენა, ბაგეები, კბილები, ნუნები, სასა, ხახა, ხორხი და ა. შ. (უცხოური ტერმინები: ლათ. **bi** = წყვილი; **labium** = ბაგე; **dentum** = კბილი; **alveolum** = ნუნა; **velum** = სასა; ბერძნ. **pharynx** = ხახა; **larynx** = ხორხი; ყელი).

სწორედ იმის მიხედვით, თუ რომელ სამეტყველო ორგანოსთან წარმოიქმნება თანხმოვანი, გამოყოფენ შემდეგ ჯგუფებს:

წყვილბაგისმიერი (ბილაბიალი): **ბ ფ პ მ**
კბილისმიერი (დენტალი): **დ თ ტ**
კბილბაგისმიერი (დენტალაბიალი): **ვ**
ნუნისმიერი (ალვეოლარი): **ნ რ ლ**
წინანუნისმიერი (წინაალვეოლარი): **ძ ც წ ზ ს**
უკანანუნისმიერი (უკანაალვეოლარი): **ჯ ჩ ჭ ჟ შ**
უკანასასისმიერი (ველარი): **გ ქ კ ღ ხ**
ხახისმიერი (ფარინგალი): **ყ**
ხორხისმიერი (ლარინგალი): **ჰ**

ქართულში **ნ, მ** თანხმოვნებს უწოდებენ ცხვირისმიერსაც (ყველა დანარჩენი ბგერა არის პირისმიერი – ორალური), **ნ რ ლ**-ს – ნარნარას, **ძ ც წ ზ ს**-ს – სისინას, **ჯ ჩ ჭ ჟ შ**-ს – შიშინას.

ეს კლასიფიკაცია ეკუთვნის ა. შანიძეს. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს თანხმოვანთა მეტ-ნაკლებად მსგავსი თუ განსხვავებული კლასიფიკაციები, რომლებიც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის დონეზე ანგარიშგასაწევი და საყურადღებოა (ს. ხუნდაძე, გ. ახვლედია-

ნი, ჰ. ფოგტი, ბ. ჯორბენაძე, თ. უთურგაიძე, ალ. ონიანი, ტ. ფუტკარაძე, ი. ქობალავა... იხ. დანართი).

წარმოების ადგილის მიხედვით ერთნაირ ბგერებს უწოდებენ ჰ ო მ ო რ გ ა ნ უ ლ ს, ხოლო განსხვავებულებს – ჰ ე ტ ე რ ო რ გ ა ნ უ ლ ს (ბერძნ. homos = მსგავსი, heteros = სხვა, განსხვავებული).

2. თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი დ ა ბ რ კ ო ლ ე ბ ი ს რ ა გ ვ ა რ ო ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ. ქართულში თანხმოვანთა წარმოთქმის დროს სამეტყველო ორგანოებთან წარმოქმნილი დაბრკოლება სხვადასხვაგვარია. განარჩევენ დაბრკოლების ოთხ რაგვარობას. ესენია: 1) ხშულობა, 2) ნაპრალოვნობა, 3) შერეული რაგვარობა (ხშულ-ნაპრალოვნობა), 4) ღიაობა. შესაბამისად, მიღებული თანხმოვანი შეიძლება იყოს: ხშული, ნაპრალოვანი, ხშულ-ნაპრალოვანი და ზოგიერთ ენაში – ღიაც.

ხ შ უ ლ ი ა თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი, რომლის წარმოთქმის დროს ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადს უხდება სამეტყველო ორგანოებს შორის დახშულ-დაკეტილ არეში გამოსვლა. ხშვას მოსდევს განხშვა ანუ გაღება-სკდომა. ხშულ-მსკდომი თანხმოვნებია: **ბ, ფ, პ, დ, თ, ტ, გ, ქ, კ, ყ.**

ნ ა პ რ ა ლ ო ვ ა ნ ი ა თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი, რომლის წარმოთქმის დროს ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადი გამოედინება სამეტყველო ორგანოებს შორის არსებულ ნაპრალში. ასეთებია: **ზ-ს; ჟ-შ; ღ-ხ; ვ-ჰ** (გ. ახვლედიანი).

უცხოურად ნაპრალოვანს ჰქვია „სპირანტი“ ანუ „ფრიკატივი“ (ლათ. fricare = ხახუნი).

შ ე რ ე უ ლ ი რაგვარობისაა ისეთი თანხმოვანი, რომელიც ერთი ბგერის ფარგლებში შეიცავს ორ სხვადასხვაგვარ რაგვარობას (ხშვასა და ნაპრალოვნობას). შერეული რაგვარობისაა: 1) აფრიკატები: **ძ ც წ ჯ ჩ ჭ**

2) ვიბრანტი ანუ მთრთოლი – **რ**

3) ლატერალი ანუ გვერდითი – **ლ**

4) ნაზალური – **მ ნ**

ღ ი ა ა თანხმოვანი, რომლის წარმოთქმის დროს ჰაერნაკადი მოედინება სამეტყველო ორგანოებს შორის არსებულ ღია არეში.

ქართულში ღია თანხმოვანი არ არის. ასეთად მიჩნეულია **ჲ** და **ჳ**, რომლებიც მიღებული არიან შესაფერისი ხმოვნების დავიწროების შედეგად: **ი > ჲ , უი > ჳ**.

წარმოების რაგვარობის მიხედვით ერთნაირ ბგერებს ეწოდება ჰ ო მ ო გ ე ნ უ რ ი, ხოლო განსხვავებულ ბგერებს – ჰ ე ტ ე რ ო გ ე ნ უ რ ი (ბერძნ. genos = წარმოშობა, წარმოქმნა).

3. თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი ს ა ხ მ ო ს ი მ ე ბ ი ს მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ (მჟღერი და ყრუ თანხმოვნები). ყოველი ბგერის წარმოთქმაში მონაწილეობს სახმო სიმები, რომლებიც პერიოდულად ირხევიან, თრთიან. სახმო სიმების ამ პერიოდულ თრთოლას ანუ ვიბრაციას ფონეტიკაში უწოდებენ ჟღერას. ამიტომ ჟღერის მქონე სამეტყველო ბგერებს ჰქვია მჟღერი. მეორე მხრივ, ზოგიერთი ბგერის წარმოთქმისას სახმო სიმები არ ირხევა პერიოდულად, ე.ი. ყრუდ გამოითქმის. ასეთ ბგერას ჰქვია ყრუ.

სამეტყველო ბგერის ჟღერით თუ ყრუდ წარმოთქმის თვისებას ეწოდება მ ჟ ღ ე რ ო ბ ა-ს ი ყ რ უ ე. ამ თვისების მიხედვით სამეტყველო ბგერა შეიძლება იყოს მჟღერი ან ყრუ.

მჟღერია ბგერა, რომლის წარმოთქმის დროს ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადი სახმო სიმებს პერიოდულად არხევს, რასაც აღვიქვამთ ხოლმე როგორც მუსიკალურ ტონს. სხვაგვარად: მჟღერი ბგერის წარმოთქმისათვის დამახასიათებელია დაძაბული სახმო სიმების პერიოდული რხევა, ვიბრაცია, რომელიც წარმოქმნის ამ ბგერათა ტონს, ანუ ხმას, ამიტომ მჟღერ ბგერებს ხ მ ი ე რ ბ გ ე რ ე ბ ს ა ც უწოდებენ.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არის 13 მჟღერი თანხმოვანი: **ბ, ვ, გ, დ, ზ, ლ, მ, ნ, ჟ, რ, ღ, ძ, ჯ;** მჟღერია აგრეთვე ხუთივე ხმოვანი. ასე რომ, ქართულში 18 მჟღერი ბგერაა.

ყრუ თანხმოვნის წარმოთქმის დროს ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადი არ შეარხევს სახმო სიმებს, არ ჟღერენ სიმები და ბგერას აღვიქვამთ, როგორც მხოლოდ ჩქამს.

ქართულში 15 ყრუ თანხმოვანია: **ფ, თ, ც, ჩ, ქ, ს, შ, ხ, ჰ, პ, ტ, კ, წ, ჭ, ყ.**

ყრუ ბგერის წარმოთქმა უფრო ძნელია, ვიდრე მჟღერისა. მჟღერის წარმოთქმის დროს ისმის ყელის „ღაღანი“, ყრუს წარმოთქმისას – „ჩურჩული“.

ყრუ თანხმოვნებში გამოიყოფა ორი ჯგუფი: მკვეთრები და ფშვინვიერები.

მკვეთრია თანხმოვანი, რომლის წარმოსათქმელად საკმარისია ჰაერის ის მარაგი, რომელიც მოთავსებულია პირის ღრუში, ზესადგამ მილში. მკვეთრ თანხმოვნებს უსუნთქველ თანხმოვნებსაც უწოდებენ. მკვეთრი თანხმოვანი იწარმოება „ყელხშვით“, როცა სახმო სიმები დაკეტილია. ამიტომ მათ უწოდებენ ყელხშულებს ანუ **აბრუპტივებს (გლოტალებს)**.

ტერმინი „მკვეთრი“ დარქმეულია აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით, მაგრამ, როგორც გ. ახვლედიანი აღნიშნავს, აქედან სხვა ტერმინი აღარ იწარმოება, უცხოურადაც გაჭირდა თარგმნა, ამიტომ უმჯობესია გამოვიყენოთ ტერმინი „აბრუპტივი“. იგი ლათინური წარმოშობისაა, რაც ნიშნავს „მოგლეჯას“, „მოწყვეტას“. მართლაც, მკვეთრი ბგერის წარმოთქმისას სამეტყველო ორგანოები სწრაფად სწყდებიან ერთმანეთს.

მკვეთრი თანხმოვნებია: **პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ.**

საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ მკვეთრი თანხმოვნები დამახასიათებელია (სპეციფიკურია) იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, მაგრამ აქვს იგი ინდოევროპული ოჯახის ენებსაც, მაგალითად, ოსურსა და სომხურს (ამიტომ მათ ზოგჯერ „კავკასიურ ხშულებს“ უწოდებენ); დადასტურებულია აგრეთვე ჩრდილოეთ აფრიკისა და ამერიკის ენებში, აღადგენენ წინარე ინდოევროპულ ენებშიც (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი). ამ

საკითხთან დაკავშირებით ქართულ ლინგვისტიკაში არსებობს განსხვავებული შეხედულებები:

1) არნ. ჩიქობავას აზრით, სომხურსა და ოსურში მკვეთრების არსებობა უნდა იყოს სუბსტრატის[1] შედეგი, წარმოქმნილი მეხუთე საუკუნეზე უფრო ადრე; შეიძლება ანალოგიის შედეგიც იყოს, რადგან დღეს ინდოევროპულ ენებში მკვეთრები არაა.

2) თ. გამყრელიძე მიიჩნევს, რომ მკვეთრები ანუ გლოტალები დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო პრეინდოევროპული ენებისთვისაც და სომხურსა და ოსურში მათი არსებობა არაა გვიანდელი მოვლენა, სუბსტრატის შედეგი, ანუ მკვეთრები ისევე ნიშანდობლივია სომხურისა და ოსურისთვისაც, როგორც ქართველური და კავკასიური ენებისათვის; ეს ვითარებაც (სომხურში მკვეთრების არსებობა) მეტყველებს პრეინდოევროპული და ქართველური ენების გენეზისურ ერთობაზე.

ფშვინვიერია თანხმოვანი, რომლის წარმოთქმის დროს ხორხის ნაპრალი ღიაა და მასში მოედინება ჰაერის დიდი რაოდენობა, მისი წარმოთქმა ხასიათდება ძლიერი ფშვინვით. ამის გამო ეწოდება ასეთ თანხმოვნებს ფშვინვიერები ანუ ა ს პ ი რ ა ტ ე ბ ი. ფშვინვიერი თანხმოვნებია: **ფ, თ, ც, ჩ, ქ, ს, შ, ხ, ჰ.**

ს ო ნ ო რ ი და ჩ ქ ა მ ი ე რ ი ბ გ ე რ ე ბ ი. როგორც წესი, ყოველი სამეტყველო ბგერა წარმოითქმის ხმის მეტ-ნაკლები მონაწილეობით, რაც აკუსტიკურად აღიქმება სხვადასხვაგვარად. შესაბამისად, ენაში გარჩეულია სონორი და ჩქამიერი ბგერები.

სონორობა, ტრადიციული გაგებით, ნიშნავს მეტ-ნაკლებ ბგერასავსეობას. იგი განიზომება ამა თუ იმ მანძილზე

[1] **სუბსტრატი** (ლათ. substratum) – *ლინგვ.* ენათა შერევის დროს – ენა, რომელიც გამოდევნა მეორე ენამ, მაგრამ რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა ამ უკანასკნელზე.

ბგერის გაგონების ხარისხით: რაც უფრო ღიაა ბგერა, მით უფრო სონორია (გ. ახვლედიანი...).

სამეცნიერო ლიტერატურაში ლინგვისტური ასპექტით მართებულად მიაჩნიათ სონორი ბგერის ასეთი დახასიათებაც: სონორია მჟღერი თანხმოვანი, რომელსაც არ მოეპოვება მისივე რაგვარობის ჰომორგანული ყრუ ბგერა (ზ. ჯაფარიძე, ალ. ონიანი...).

ქართულში **სონორებია**: ხ მ ო ვ ნ ე ბ ი, თანხმოვანთაგან – **ნ, რ, ლ, მ**, რომლებიც ხმასავსეობით უახლოვდებიან ხმოვნებს (ამიტომაა, რომ ზოგ ენაში ხმოვნის ფუნქციასაც ასრულებენ); სონორ თანხმოვნებად ასახელებენ, აგრეთვე, **ჲ**-ს, **ჳ**-სა და **ვ**-ს.

სონორ თანხმოვნებს მიიჩნევენ გარდამავალ კატეგორიად ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის, მაგრამ, არნ. ჩიქობავას აზრით, უფრო ბუნებრივი იქნება, თუ მათ არ გამოვყოფთ თანხმოვანთა ჯგუფიდან, რომელთანაც ისინი უფრო ახლოს არიან თავიანთი თვისებებით.

ჩქამიერია სახმო სიმების არაპერიოდული რხევით წარმოქმნილი ბგერა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩქამიერია (არასონორია) ყოველი ყრუ ბგერა და ყოველი ისეთი მჟღერი ბგერა, რომელსაც მოეპოვება მისივე რაგვარობის ჰომორგანული ყრუ კორელატი (ბგერა) დამოუკიდებელი ფონემის სახით (ალ. ონიანი). ამგვარად, ჩქამიერია: ყ ვ ე ლ ა ყ რ უ ბ გ ე რ ა და **ბ, გ, დ, ზ, ჟ, ღ, ძ, ჯ** თანხმოვნები. მათში ტონიც მონაწილეობს, მაგრამ ჭარბობს ჩქამი, ისევე როგორც სონორებსა და ხმოვნებში ჭარბობს ტონი, თუმცა შეიმჩნევა ჩქამიც.

რ თ უ ლ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი (ა ფ რ ი კ ა ტ ე ბ ი). ქართულში ზოგიერთი თანხმოვანი რთულია: შედგება ხშული და ნაპრალოვანი თანხმოვნებისაგან. ამის გამო მათ **აფრიკატებს** უწოდებენ (ტერმინი „აფრიკატი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან **africare**, რაც ნიშნავს „ხეხვას“).

აფრიკატი შედგენილია მარტივი ხშულისა და მისი ჰომორგანული ნაპრალოვნისაგან ანუ სპირანტისაგან.

აფრიკატებია:

ძ (დ+ზ)	**ჯ (დ+ჟ)**
ც (თ+ს)	**ჩ (თ+შ)**
წ (ტ+ს)	**ჭ (ტ+შ)**

შესაბამისად, აფრიკატიზაციის გზით მიღებულია: **ცამეტი** (< ძვ. ქართ. **ათსამმეტი**), **ჩვიდმეტი** (< ძვ. ქართ. **ათშვიდმეტი**)...

აფრიკატის შემადგენელი თანხმოვნები მჟღერობა-სიყრუის მიხედვით უნდა იყოს ერთნაირი: ან ორივე მჟღერი, ან ორივე ყრუ. აფრიკატის წარმოება აერთიანებს ხშულისა და ნაპრალოვნის არტიკულაციათა გარკვეულ მომენტებს. ცხადია, აფრიკატი არ უდრის მასში შემავალ ორ თანხმოვანს. ხშულისა და ნაპრალოვნის ელემენტები აფრიკატში ორგანულადაა შერწყმული, რაც ქმნის მთლიან განუყოფელ თანხმოვანს. ამის გამო აფრიკატებს შ ე რ წ ყ მ უ ლ თანხმოვნებსაც უწოდებენ. აფრიკატი აქვს ქართულის გარდა რუსულს, გერმანულს, ინგლისურსა და ზოგიერთ სხვა ენას. არ გააჩნია იგი ფრანგულს.

ს ა მ ე უ ლ ე ბ ი, წ ყ ვ ი ლ ე უ ლ ე ბ ი, ც ა ლ ე უ ლ ე ბ ი. ქართულსა და სხვა კავკასიურ ენებში აბრუპტივები მათს ჰომორგანულ თანხმოვნებთან ერთად ქმნიან სამეულებრივ სისტემას: სამეულში გაერთიანებულია ისეთი სამ-სამი ხშული თანხმოვანი, რომელთაც საერთო აქვთ საწარმოთქმო ადგილი (ამის გამო უწოდებენ ს ა მ ე უ ლ ე ბ ს), მაგრამ განსხვავდებიან წარმოების რაგვარობით: ერთი მჟღერია და ორი ყრუ (ფშვინვიერი და მკვეთრი). სამეულებია:

ბ ფ პ	(წყვილბაგისმიერი)
დ თ ტ	(კბილისმიერი)
ძ ც წ	(წინანუნისმიერი)
ჯ ჩ ჭ	(უკანანუნისმიერი)
გ ქ კ	(უკანასასისმიერი)
- - ყ	(ხახისმიერი)

მეექვსე სამეული დეფექტურია: აკლია მჟღერი და ყრუ ფშვინვიერი. მკვლევართა აზრით, ყრუ ფშვინვიერი იქნებოდა ჴ, რომელიც დღესაც არის შემონახული ზოგ დიალექტში. სპეციალურ ლიტერატურაში უძველესი ქართულისათვის სავარაუდოდ აღდგენილია მეექვსე (ფარინგალური) სამეული ამ სახით: ღ-ჴ-ყ (რომელშიც გადაბრუნებული ღ ფარინგალური მჟღერი თანხმოვნის გრაფიკული გამოსახულებაა). სვანურში მეექვსე სამეული სრულია, ზანურში კი ქართულის მსგავსი ვითარებაა.

ზოგიერთი კავკასიური ენისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ხშულ თანხმოვანთა ო თ ხ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი სისტემა: მჟღერი, სრულფშვინვიერი, ოდნავფშვინვიერი (პრერუპტივი) და აბრუპტივი. ასეთი სისტემა გვხვდება ქვემოადიღეურის დიალექტებში. აქ ოთხეულში შედის მჟღერი, ყრუფშვინვიერი, მკვეთრი, ნახევრადმკვეთრი (არნ. ჩიქობავა).

იმ ენებში, რომლებშიც აბრუპტივები არაა, ხშულ თანხმოვანთა სისტემა წყვილეულებრივია. მათი ჰომორგანული ხშულები ორ-ორია.

ქართულში წ ყ ვ ი ლ ე უ ლ სპირანტებად ტრადიციულად გამოიყოფა: **ზ – ს, ჟ – შ, ღ – ხ** (ა. შანიძე). სამეცნიერო ლიტერატურაში, გარდა ზემოჩამოთვლილისა, წყვილეულებად მიჩნეულია აგრეთვე **მ – ნ, რ – ლ** (გ. ახვლედიანი).

ზოგიერთი თანხმოვანი განცალკევებით დგას. ასეთ თანხმოვანს ც ა ლ ე უ ლ ი ჰქვია. ესენია: **ვ, მ, ნ, რ, ლ, ჰ, ყ** (ა. შანიძე), თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ცალეულებს საერთოდ არ გამოყოფს.

თანხმოვნის დახასიათების გეგმა

1. საწარმოთქმო ადგილი
2. დაბრკოლებათა რაგვარობა
3. მჟღერობა-სიყრუე
4. ფშვინვიერი თუ მკვეთრი
5. სამეულის, წყვილეულის წევრი ანდა ცალეული

6. მარტივი თუ რთული
7. ჩქამიერი თუ სონორი.

მაგალითად: **ბ** – წყვილბაგისმიერი, ხშული, მჟღერი, სამეულის (ბ, ფ, პ) წევრი, მარტივი, ჩქამიერი თანხმოვანი.

ს – წინანუნისმიერი, ნაპრალოვანი, ყრუ, ფშვინვიერი, წყვილეულის (ზ – ს) წევრი, მარტივი, ჩქამიერი თანხმოვანი.

2.6. ბგერათშეერთების წესები. თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსები

სამეტყველო ბგერათა წარმოთქმა, მათი არტიკულაციის მომენტები არაერთგვაროვანია. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს სიტყვაში თითოეული ბგერის პოზიციას. მეტყველების პროცესში ბგერები ზოგჯერ ერთმანეთზე ახდენენ გავლენას და იწვევენ ამა თუ იმ ცვლილებას. იმის მიხედვით, თუ რა სახისაა ეს ცვლილება, სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია ბგერათშეერთების სამი წესი: 1) სრული არტიკულაციის წესი; 2) არტიკულაციის უმოკლესი გზის წესი; 3) არტიკულაციის ერთჟამიერობის წესი (გ. ახვლედიანი, ნ. ქუთელია).

პირველი წესის თანახმად, გვერდიგვერდ მყოფი ბგერების არტიკულაცია ხდება ერთდროულად და არა ცალ-ცალკე თითოეულისათვის. ეს კი შესაძლებელია ორი ერთნაირი ხმოვნის ან თანხმოვნის შეერთებისას. მაგალითად: **აა**გო, **აა**მაღლა, გა**აძ**ლიერა, ირე**მმა**, კოვ**ზზე**, თი**თთან**, გგონია, დი**დდება**...

ამ გზით შეერთებული ბგერებისაგან მიიღება ერთი ხმოვანი და გრძელი ანუ გაორმაგებული თანხმოვანი – გემინატი.

მეორე წესის შემთხვევაში სიტყვაში ერთმანეთის გვერდით მყოფი ორი ჰეტეროგენური ბგერის წარმოთქმისას სამეტყველო ორგანოები მდგომარეობას იცვლიან უმოკლესი გზით: პირველი ბგერის წარმოთქმის დამართვა დასრულებამდე პირდაპირ გადადის მეორე ბგერის შემართვაზე და ა. შ. სწორედ ამ წესითაა მიღებული ქართულში **აი, ეი, ოი, უი** სრული ხმოვნებისაგან (ერთ-ერთის დასუსტებით) **აჲ, ეჲ, ოჲ, უჲ** დ ი ფ თ ო ნ გ ე ბ ი (დედაჲ, დღეჲ /დღჱ, წყაროჲ, ყრუჲ...). დიფთონგი ანუ ორხმოვანა ორი ხმოვნის ისეთი შეერთებაა, როცა მარცვლის შექმნის უნარი შენარჩუნებული აქვს მხოლოდ ერთს. დიფთონგები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღარ გვხვდება.

მესამე წესი გულისხმობს არტიკულაციის **ერთჟამიერობის** პროცესს. კერძოდ: როცა სიტყვაში გვერდიგვერდ არის ორი ჰეტერორგანული ბგერა, შეიძლება მოხდეს ერთჟამიერი შემართვა. ამ თვისებით ხასიათდება თანხმოვანთა ე.წ. ჰ ა რ მ ო ნ ი უ ლ ი კ ო მ პ ლ ე ქ ს ე ბ ი (წყვილები).

ქართულ ლინგვისტიკაში არსებობს ჰარმონიულ წყვილთა სხვადასხვაგვარი დაჯგუფება (გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, გ. მაჭავარიანი, ნ. ქუთელია, თ. უთურგაიძე...). მაგალითად, გ. ახვლედიანი და ნ. ქუთელია გამოყოფენ ჰარმონიულ კომპლექსთა ორ ჯგუფს: დეცესიურსა და აქცესიურს.

დეცესიური (ლათ. decessio – წასვლა, დაშორება) კომპლექსი არის ორი თანხმოვნის ისეთი თანამიმდევრობა, როდესაც პირველი თანხმოვანი უფრო წინა წარმოებისაა, ვიდრე მომდევნო. ამ კომპლექსის კომპონენტები ერთნაირი არიან მჟღერობა-სიყრუით: ან ორივე მჟღერია, ან ორივე ყრუ, ან კიდევ ორივე – მკვეთრი. შესაბამისად, არსებობს დეცესიურ კომპლექსთა A და B სისტემები. მათ საერთო აქვთ პირველი კომპონენტი (ბფპ დთტ ძცწ ჯჩჭ), მეორე კი განსხვავებულია.

A			B		
ბგ	ფქ	პკ	ბღ	ფხ	პყ
დგ	თქ	ტკ	დღ	თხ	ტყ
ძგ	ცქ	წკ	ძღ	ცხ	წყ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ჯღ	ჩხ	ჭყ

ქართულისათვის დამახასიათებლად ითვლება თანხმოვანთა დეცესიური კომპლექსები.

აქცესიურ (ლათ. accessio – აქეთ მოსვლა, შეერთება) კომპლექსებში პირველ ადგილზე წარმოთქმული ბგერა უფრო უკანა წარმოებისაა, ვიდრე მომდევნო. ასეთებია: **დბ, გდ, გზ, შფ, ხთ** და მისთ. ამგვარი წყვილების შემცველი სიტყვები შედარებით მცირეა, რადგან მათში ფიზიოლოგიურად ნაკლებ „ბუნებრივი“ მიმდევრობებია და გამოთქმის სიძნელის გამო ენა თავს არიდებს მათს გამოყენებას (ნ. იმნაძე).

თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსების ბუნებიდან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ ბგერათშეერთების ერთჟამიერობის წესი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დ ე ც ე ს ი უ რ ი თანმიმდევრობის კომპლექსებში.

თავი III. ზეპირი და წერითი მეტყველების საკითხები

3.1. ზეპირი და წერითი მეტყველების მიმართება

დამწერლობის მქონე ენებში მეტყველება ორგვარია: ზეპირი და წერითი. ზეპირი მეტყველება ბგერითია, წერითი – ასოებრივი. პირველი აღიქმება სმენით (აკუსტიკურად), მეორე – მხედველობით (ოპტიკურად).

ზეპირი მეტყველება უწინარესია. მას აქვს სპეციფიკური ნიშნები: გულისხმობს მოლაპარაკესა და მსმენელს, მიმდინარეობს განსაზღვრულ ადგილას და დროის გარკვეულ მონაკვეთში, ქრება წარმოთქმისთანავე. მაშასადამე, ზეპირი მეტყველება ადამიანთა ცოცხალი, უშუალო ურთიერთობის იარაღია, მაგრამ იგი უძლურია ადამიანთა ურთიერთობისა და აზრთა გაცვლისათვის დროისა და სივრცის დიდ მანძილზე, ე. ი. ზეპირ მეტყველებას ახასიათებს დროითა და სივრცით შეზღუდულობა, რაც მისი ნაკლია. ამიტომ დროთა ვითარებაში კაცობრიობამ ამ ნაკლის დასაძლევად გამოიგონა წერითი (ანუ გრაფიკული) ენა.

წერითი მეტყველება საშუალებას იძლევა ურთიერთობა დავამყაროთ დაუსწრებელ მსმენელთან (მკითხველთან). ეს არის მისი განმასხვავებელი თავისებურება. ეს უჩინარი „მსმენელი“ შეიძლება დამწერის თანამედროვე იყოს, მაგრამ შესაძლებელია ათასი წლის შემდეგაც ცხოვრობდეს. დამწერლობის გზით მოაღწია ჩვენს დრომდე ცნობებმა ძველი ჩინეთისა და ეგვიპტის, ძველი შუმერებისა და ხეთების, ასურელებისა და ბაბილონელების ცხოვრების შესახებ. მან შემოუნახა კაცობრიობას ადამიანის აზროვნების

მიღწევები უძველესი და მისი მომდევნო ეპოქებისა (არნ. ჩიქობავა).

წერითი მეტყველების შემუშავება კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია. მისი მნიშვნელობა კულტურის ისტორიაში განუზომლად დიდია. წერითი მეტყველება ზეპირ მეტყველებასთან ერთად ადამიანთა ურთიერთობისა და აზრთა გაცვლის საშუალებაა.

3.2. ორთოგრაფია და ორთოეპია
(ზოგადი მიმოხილვა)

განსხვავებით სხვა ენათა ანბანებისაგან, ქართულ ენაში წერა და წარმოთქმა ძირითადად თანხვდენილია, რადგან ქართულში მაქსიმალური შესაბამისობაა ბგერასა და ასოს შორის: თითო ბგერა თითო გრაფიკული ნიშნით (ასოთი) გამოისახება და, პირუკუ. ქართული წერა ისტორიულად ანგარიშს უწევს ცოცხალ მეტყველებაში მომხდარ ბგერითს ცვლილებებს და მიჰყვება სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულ ახალ წარმოთქმას, რამდენადაც ეს მოსახერხებელია პრაქტიკულ დაწერილობაში.

ქართული სალიტერატურო ენა კონტროლს უწევს წერითსა და ზეპირ მეტყველებას, უქვემდებარებს მათ ენაში შემუშავებულ ორთოგრაფიისა და ორთოეპიის წესებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „ორთოგრაფია“ (ზოგადი გაგებით) გამოიყენება ორი ძირითადი მნიშვნელობით: 1) წერის წესების ჩამოყალიბებული სისტემა ამა თუ იმ სალიტერატურო ენაში; 2) ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის და ადგენს მართლწერის წესებს. ამგვარად, **ორთოგრაფია** (ბერძნ. Orthographia < orthos – სწორი, მართებული, grapho – ვწერ) ანუ **მართლწერა** ჰქვია იმ წესების სისტემას, რომლებიც აწესრიგებენ წერისა და წარმოთქმის ურ-

თიერთობას. იგი ცდილობს ერთგვაროვნება დაამყაროს წერაში; გაარკვიოს, სადავო ფორმათაგან რომელი უნდა ვწეროთ (აღვნიშნე თუ ავღნიშნე, ბიულეტენი თუ ბიულეტინი...).

ყოველ სალიტერატურო ენას მოეპოვება წარმოთქმის სავალდებულო წესების სისტემაც, რასაც **ორთოეპია** ანუ **მართლმეტყველება** (სწორმეტყველება) ეწოდება.

ფართო გაგებით, ტერმინ „ორთოეპიაში" იგულისხმება: 1) საწარმოთქმო ნორმათა ერთობლიობა, რომელიც სალიტერატურო ენის მთლიანობასა და ერთგვაროვნობას განაპირობებს; 2) საწარმოთქმო ნორმების შემსწავლელი სამეცნიერო დარგი.

ორთოეპიის შესწავლის სფეროა ზეპირი მეტყველების ნებისმიერი ასპექტი. ტერმინი „ორთოეპია" ბერძნულია (**orthos** – სწორი, მართებული, **epos** – მეტყველება). რამდენადაც ზეპირი მეტყველება წერითი მეტყველების წინამორბედია, ამდენად, ორთოეპია გარკვეული ასპექტით, ამოსავალი, განმსაზღვრელია ორთოგრაფიისათვის. თავის მხრივ, ორთოეპიული ნორმები ყალიბდება ხანგრძლივად, საუკუნეთა განმავლობაში...

ორთოეპია მკვიდრდება საერთოეროვნული ენის ჩამოყალიბების კვალდაკვალ, მაშინ როდესაც თანდათან ფართოვდება ზეპირი მეტყველების მოქმედების სფეროები. ორთოეპია ბევრად უფრო სწრაფად ექცევა ცოცხალი მეტყველების ენობრივი პროცესების გავლენის სფეროში, ვიდრე ორთოგრაფიის ნორმები. ა. არაბულის მართებული შენიშვნით, ეს გავლენა შეიძლება მომდინარეობდეს როგორც კუთხური მეტყველებიდან, ისე უცხოენოვანი გარემოდან. თუ ტრადიციულად ქართულ მეტყველებაში ნიშანდობლივი იყო კილოური მინარევების არსებობა, ბოლო დროს მეტად გამოიკვეთა უცხო ენებიდან მომდინარე სამეტყველო ნორმები და მანერები, რამაც ქართული მართლმეტყველება არაერთი ახალი პრობლემის წინაშე დააყენა.

3.3. ორთოგრაფიის პრინციპები

ორთოგრაფია, მართალია, საუკუნეთა განმავლობაში იცვლება, მაგრამ იცვლება უფრო ნელა, ვიდრე ზეპირი მეტყველება. რაც უფრო კონსერვატულია ორთოგრაფია, დროთა ვითარებაში მით უფრო შორდება წარმოთქმას, შესაბამისად, რთულდება მართლწერა.

ორთოგრაფიის სირთულე-სიმარტივეს მეტწილად განაპირობებს მიმართება ბგერასა და ასოს შორის, წარმოთქმასა და დაწერილობას შორის. რაც უფრო დაშორებულია ენაში წარმოთქმა და დაწერილობა, მით უფრო რთულია ამ ენის ორთოგრაფია. ამგვარ შემთხვევებში სათანადო ენისათვის შემოღებულია სატრანსკრიფციო, ანუ ნაწერის წაკითხვა-წარმოთქმის წესების სისტემა. მაგალითად, ინგლისურში იწერება **right** (= უფლება; სწორი; მარჯვენა), ხოლო გამოითქმის, როგორც [rait]; გერმანულში **ei** დიფთონგი წარმოითქმის, როგორც **[ai].** ამ მხრივ ქართული ორთოგრაფია შეუდარებლად მარტივია, ვინაიდან ქართულში მაქსიმალური შესაბამისობაა ბგერასა და ასოს შორის... ამასთანავე ქართული სიტყვის ფუძეს არ ახასიათებს ე. წ. მრჩობლი (ორმაგი) თანხმოვნები, რის გამოც საერთაშორისო სიტყვებსა და უცხოურ საკუთარ სახელებში დადასტურებული ორმაგი თანხმოვნები მარტივდება: გრამ(მ)ატიკა, პრეს(ს)ა, ოპ(პ)ონენტი... შილ(ლ)ერი, ბონ(ნ)ი და სხვ. (შ. აფრიდონიძე).

თითოეული ენის ორთოგრაფია ემყარება პრინციპებს. ცნობილია ორთოგრაფიის სამი მთავარი პრინციპი: ფონეტიკური, მორფოლოგიური, ისტორიული (ტრადიციული).

ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი პრინციპის მიხედვით, სიტყვა უნდა დაიწეროს ისე, როგორც წარმოითქმის. ქართულში სიტყვათა დიდი უმრავლესობა ამ პრინციპით იწერება, მაგრამ ზოგჯერ აქაც დარღვეულია ეს პრინციპი. მაგალითად, ზეპირ მეტყველებაში ისმის: მ**ზ**გავსი, მი**ზდ**ევს, კარ**ქათ,** ამა**ქს** და ა. შ., მაგრამ იწერება: მ**სგ**ავსი, მის**დ**ევს, კარ**გად,** ამა**გს**...

სხვაგვარად: ფონეტიკური პრინციპი გულისხმობს წარმოთქმისა და შესაბამისი ბგერითი გამოსახულების სრულ იდენტობას.

რამდენადაც ფონეტიკური პრინციპი ძირითადია ქართული ორთოგრაფიისათვის, ამდენად, სალიტერატურო ენის ნორმირებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მას უნდა მიენიჭოს. იმავდროულად უნდა იქნეს გათვალისწინებული სხვა ფაქტორებიც: გავრცელებულობა, ტრადიცია, ამოსავალი გრამატიკული ფორმის მართებულობა, ენის სისტემის უნიფიცირება, ენის განვითარების შინაგანი კანონი და პერსპექტივა (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ა. არაბული, რ. საღინაძე, ტ. ფუტკარაძე, მ. მიქაუტაძე...).

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი პრინციპით სიტყვა უნდა დაიწეროს ისე, რომ ჩანდეს მისი მორფოლოგიური შედგენილობა (მიუხედავად იმისა, თუ როგორ წარმოვთქვამთ მას). ამ პრინციპით იწერება ქართულში სიტყვები: ბაღში, ერთგული, სახლში, გთხოვა და ა. შ., თუმცა მათში დარღვეულია ფონეტიკური პრინციპი (წარმოითქმის: ბახში, ერდგული, სახში, ქთხოვა...); აგრეთვე: მორფოლოგიური პრინციპის მიხედვით, **უ**-ს წინ იწერება **ვ** ზმნებში: **ვ**უამბე, **ვ**უთხარი... მართალია, ამგვარ შემთხვევებში I სუბიექტური პირის ნიშანი **ვ** არ წარმოითქმის, მაგრამ აუცილებლად უნდა დაიწეროს, რადგან **ვ** განასხვავებს I და II სუბიექტურ პირთა ფორმებს.

ი ს ტ ო რ ი უ ლ ი პრინციპის თანახმად, სწორია სიტყვის ისეთი დაწერილობა, რომელიც მოცემული ენის ორთოგრაფიაში დამკვიდრებულია ტრადიციით, თუმცა ამ დაწერილობით დარღვეულია მორფოლოგიური ან ფონეტიკური პრინციპი. მაგალითად, ქართულში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ზეპირ მეტყველებაში ისმის **-ათ/-თ** და არა **-ად/-დ,** მაგრამ ისტორიულად იწერებოდა **-ად/-დ** (ამით დაცულია მორფოლოგიური პრინციპიც) და ნორმის მიხედვით დღემდეც ასე იწერება. ისტორიული პრინციპით იწერება **თვრამეტი** (< ძვ. ქართ. ათრვამეტი), **თაყვანისცემა** (< ძვ. ქართ. თავ-

ყანისცემა), **დაღმართი** (< დამართი, შდრ. აღმართი), **ვაღიარებ** (< აღვიარებ) და ა. შ. ამოსავალი სწორი ფორმებია: ათრვამეტი, თავყანისცემა, დამართი, აღვიარებ...

საზოგადოდ, სხვადასხვა ენის ორთოგრაფიას სხვადასხვა პრინციპი უდევს საფუძვლად. გ. ახვლედიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, მართალია, „არც ერთი ენის ორთოგრაფიას არ უძევს საფუძვლად მხოლოდ ერთი ამ პრინციპთაგანი, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი მაინც უპირატესია ამა თუ იმ ენის ორთოგრაფიაში. მაგალითად, ქართულში, როგორც ფონეტიკურად ნაკლებად შეცვლილ ენაში, ჭარბობს ფონეტიკური პრინციპი, ხოლო რუსულში – მორფოლოგიური, ინგლისურში – ისტორიული". ფრანგული ენის ორთოგრაფიაც ისტორიულ პრინციპს ემყარება. თანამედროვე ინგლისურში წარმოთქმა იმდენადაა დაშორებული დამწერლობას, რომ ენის პრაქტიკული ცოდნის გარეშე შეუძლებელია ტექსტის სწორად წაკითხვა.

3.4. მარცვალი

3.4.1. მარცვლის რაობა. მისი შედგენილობა

მარცვალი ფონეტიკის ერთ-ერთი რთული პრობლემაა. დღემდე არ არსებობს მარცვლის საყოველთაოდ მიღებული მეცნიერული განსაზღვრა (რადგან მკვლევრები ემყარებიან მარცვლის სხვადასხვა მახასიათებელს: არტიკულაციურს, აკუსტიკურს, ფონეტიკურს და ა. შ.). მარცვლის არსებობის საკითხშიც ორი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისია: მეცნიერთა უმრავლესობა აღიარებს მარცვლის არსებობას, ზოგი კი არ ცნობს მას.

პირველი თვალსაზრისის მომხრეთა მიხედვით, მარცვალი, როგორც სეგმენტი (მონაკვეთი, ნაწილი), ნამდვილად არ-

სებობს. იგი მეტყველების ერთ-ერთი ყველაზე ბუნებრივი ერთეულია. როგორც ცნობილია, იმ პირებს, რომელთაც არა აქვთ ლინგვისტური განათლება, უჭირთ გამონათქვამის ფონემებად დანაწევრება, მაგრამ ადვილად შეუძლიათ სიტყვების მარცვლებად დაყოფა. გარდა ამისა, სიმღერის დროს სიტყვები იყოფა მარცვლებად; პოეზიაში რიტმი ეყრდნობა მარცვალთა რაოდენობას. მარცვლის მნიშვნელობაზე მეტყველებს დამწერლობის განვითარების ისტორიაც: ე.წ. სილაბურ დამწერლობებში სიმბოლოები აღნიშნავდნენ არა სიტყვას ან ბგერას, არამედ მარცვალს.

ქართული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მარცვლის შედგენაში უპირატესობა აქვს ხმოვანს. მას შეუძლია მარცვალი შექმნას ცალკეც და თანხმოვანთა გარემოცვაშიც. ხმოვანი მარცვლის მწვერვალია, ხოლო თანხმოვნები – მისი პერიფერიული ელემენტები. სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენი ხმოვანიცაა მასში. ქართულში სონორი თანხმოვნები მარცვალს ვერ ქმნიან.

რაც შეეხება მარცვლის შედგენილობასა და მარცვალთგასაყარს, ისინი თითოეულ ენას შეიძლება განსხვავებული ჰქონდეს. მაგალითად, ქართულსა და ფრანგულში ორი სხვადასხვა ხმოვნის შეერთება ყოველთვის იძლევა ორ მარცვალს, ზოგ ენაში კი შეიძლება ხმოვანი არ იყოს მარცვლოვანი: გერმანულის **Arbeit** (იკითხება: **àrbait**) სიტყვაში **a** მარცვლოვანია, **i** კი – უმარცვლო. ზოგიერთ ენაში მარცვალს ქმნიან სონორი **მ, ნ, რ, ლ** თანხმოვნებიც: ჩეხურში **ლ** და **რ** მარცვლოვანია თანხმოვანთა გვერდით, ხოლო ხმოვნების გვერდით – უმარცვლო; სერბიულში, ხორვატულში სონორი თანხმოვნები ყოველთვის მარცვლოვანია (თ. აბზიანიძე, ნ. ქუთელია).

იმის მიხედვით, თუ რა თვალსაზრისით განიხილავდნენ ლინგვისტიკაში მარცვალს და რა ფაქტორს მიიჩნევდნენ მის განმსაზღვრელად, არსებობს მარცვლის სხვადასხვაგვარი განმარტება. მაგალითად, ა. შანიძის აზრით, „გრამატიკაში **მარცვალი** ჰქვია ერთ ბგერას ან ჯგუფს რამდენიმე ბგერი-

სას, რომლებიც ჰაერის ერთი ტალღის ამოღებით გამოითქმის". სხვაგვარად მარცვალი შეიძლება ასეც განიმარტოს: მარცვალი ეწოდება ხმოვანს ან ხმოვანსა და თანხმოვანს, ანდა ჯგუფს ხმოვნისა და თანხმოვნებისას, რომელიც წამოითქმება ჰაერის ერთი ტალღის ამოღებით (ი-ა, ხე, ტყე...).

მარცვალი რომ გვქონდეს, აუცილებელია ხმოვანი. შესაბამისად, სიტყვა შეიძლება იყოს ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი და ა. შ.

ერთმარცვლიანია: ცა, ძმა, ხე, მე, შენ, ის...

ორმარცვლიანია: დე-და, ხე-ლი, წიგ-ნი, წყა-ლი...

სამმარცვლიანია: მა-გი-და, სა-ა-თი, სა-კლა-სო, რვე-უ-ლი, კე-დე-ლი...

ოთხმარცვლიანია: და-წე-რი-ლი, გა-ნა-თე-ბა, გა-ა-ტა-ნა, მე-გო-ბა-რი...

ხუთმარცვლიანია: ორ-თო-გრა-ფი-ა, სა-ხე-ლო-ვა-ნი, შე-დგე-ნი-ლო-ბა...

ექვსმარცვლიანია: ა-სა-შე-ნე-ბე-ლი, და-მა-მშვი-დე-ბე-ლი, შე-მუ-შა-ვე-ბუ-ლი...

შვიდმარცვლიანია: გა-უ-კონ-ტრო-ლე-ბე-ლი...

ფონემური შედგენილობით მარცვალი ორგვარია: ღია და დახურული.

ღ ი ა ა მარცვალი, თუ ის ხმოვნით ბოლოვდება: მა-მა, კა-ლა-მი, მთვა-რე, წყა-რო, ტყე, რუ, დღე...

დ ა ხ უ რ უ ლ ი მარცვალი თანხმოვნით ბოლოვდება: ცეცხლს, რომ, მერ-ხი, ვაშ-ლი, ოქ-რო...

ფრანგულსა და ესპანურში უმთავრესად ღია მარცვლებია, გერმანიკულ ენებში (დანიურში, შვედურში, ნორვეგიულში...) – დახურული.

3.4.2. სიტყვის დამარცვლისა და გადატანის წესები

არსებობს სიტყვის თეორიული და პრაქტიკული დამარცვლა. თ ე ო რ ი უ ლ ი დამარცვლისათვის ამოსავალია სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა. მაგალითად: ი-ა, ო-ცი, ი-გი... თეორიულად ორმარცვლიანი სიტყვებია; პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი დამარცვლა გულისხმობს დამარცვლას პრაქტიკული მიზნებისათვის – სტრიქონიდან სტრიქონზე გადასატანად. სიტყვის ფონეტიკური და თეორიული დამარცვლა ხშირად ემთხვევა ერთმანეთს (თა-ვი, კე-დე-ლი...), მაგრამ ზოგჯერ განსხვავებულია. მაგალითად, ა-უ-წყვი-ა – თეორიული დამარცვლაა. პრაქტიკულად კი ასე შეიძლება დაიყოს: აუ-წყვია / აუწყ-ვია / აუწ-ყვია.

ქართულში შემუშავებულია სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის ძირითადი წესები, რომლებიც ემყარება დამარცვლისა (ფონეტიკური დანაწევრება) და ფუძე-აფიქსთა გამოყოფის (მორფოლოგიური დანაწევრება) პრინციპებს:

1. ერთმარცვლიანი სიტყვა გადასატანად არ გაიკვეთება: წყვეტს, შაშვს, ფცქვნის...

2. მხოლოდ ხმოვნისაგან შემდგარი მარცვალი არ შეიძლება დავტოვოთ წინა სტრიქონზე ან გადავიტანოთ მომდევნოზე. სწორია: აუ-გია და არა: ა-უგია, აუგი-ა.

3. ერთზე მეტმარცვლიანი სიტყვის გათიშულ ნაწილებში თითო ხმოვანი მაინც უნდა იყოს: თრთვი-ლი, ანსამბლს, ბრწყი-ნავს...

4. თუ სიტყვაში ორი თანხმოვანია ერთად (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა), პირველი წინა მარცვალს მიეკუთვნება, მეორე – მომდევნოს: თეფ-ში, თევ-ზი... ამგვარადვე გაითიშება ე.წ. ჰარმონიული კომპლექსიც: გა-ზაფხული, გაზაფ-ხული, გაზაფხუ-ლი.

5. თუ სიტყვაში თავს იყრის სამი ან მეტი თანხმოვანი, ზღვარი შეიძლება დაიდოს ნებისმიერ ორ თანხმოვანს შო-

რის: დააფ-რქვევს, დააფრ-ქვევს, დააფრქ-ვევს... მერ-ცხალი, მერცხა-ლი, მერც-ხალი. ამავე პირობებში:

ა) სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის უკეთ აღსაქმელად უმჯობესია, თუ ფუძისეულ თანხმოვნებს გაემიჯნება დამხმარე ელემენტის (აფიქსის, თანდებულის, ზმნისწინის...) თანხმოვნები: სახლ-მა, სახლ-ში, სახლის-თვის, მესხ-ნ-ი, აღ-შფოთდა...

ბ) ამ წესით გაითიშება სტრიქონთა საზღვარზე მოხვედრილი ორი ერთნაირი თანხმოვანი: კოვზ-ზე, ღმერთ-თან, შებინდ-დება...

6. რთულ სიტყვაში უმჯობესია, ზღვარი დაიდოს შემადგენელ ფუძეთა მიჯნაზე იმისდა მიუხედავად, დეფისითაა ისინი შეერთებული თუ უდეფისოდ: და-ძმა, დედ-მამა, ავად-მყოფი, ათ-წლიანი, ამ-გვარი, მხედართ-მთავარი, ურთიერთ-დამოკიდებულება...

3.5. მახვილი

3.5.1. მახვილის სახეები

მახვილი არის მეტყველებაში რომელიმე ერთეულის გამოყოფა ფონეტიკური საშუალებებით. იმის მიხედვით, თუ მეტყველების რომელ მონაკვეთს უკავშირდება, იგი შეიძლება იყოს ლინგვისტური და ლოგიკური. ლ ი ნ გ ვ ი ს ტ უ რ ი მახვილი მარცვლის მახვილია, ლ ო გ ი კ უ რ ი კი – სიტყვის ან ფრაზისა (ენათმეცნიერებისათვის უფრო საინტერესოა ლინგვისტური მახვილი).

ლინგვისტური მახვილი ტრადიციულია მოცემული ენისათვის და ანგარიშს არ უწევს წინადადებით გამოხატულ შინაარსს.

ქართული გრამატიკების მიხედვით, „მ ა ხ ვ ი ლ ი ეწოდება ხმის გაძლიერებას ან ტონის ამაღლებას ამა თუ იმ

მარცვალზე“ (არნ. ჩიქობავა). სხვაგვარად: „მეტყველების ელემენტთა გამოყოფა-გამოჩინებას ან მათს ერთმანეთთან დაპირისპირებას სიძლიერე-სიმაღლით და ამათი მოდულაციით ეწოდება მ ა ხ ვ ი ლ ი“ (გ. ახვლედიანი).

მახვილის მატარებელ მარცვალს მახვილიანი ჰქვია. მარცვალს ქმნის ხმოვანი, ამიტომ მახვილის მატარებელი ბგერაც ხმოვანია.

მახვილი ორგვარია: დინამიკური და ტონური (მუსიკალური).

დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი ა მახვილი, როცა მახვილიანი მარცვალი ხმის გაძლიერებით წარმოითქმის.

ტ ო ნ უ რ ი ანუ მ უ ს ი კ ა ლ უ რ ი მახვილის დროს მახვილიანი მარცვალი ხმის აწევით, ტონის ამაღლებით წარმოითქმის.

ენები განსხვავდებიან მახვილის სახეების მიხედვით: ზოგს ახასიათებს დინამიკური მახვილი, ზოგს – მუსიკალური. რუსული, უკრაინული, ჩეხური, გერმანული, ინგლისური... დინამიკური მახვილის მატარებელია, ხოლო ჩინური, იაპონური, კორეული, ძველი ბერძნული, ნორვეგიული, შვედური, ლატვიური... – მუსიკალურისა.

დროთა ვითარებაში ენამ შეიძლება შეიცვალოს მახვილის სახე. მაგალითად, უძველეს ლათინურში მახვილი მუსიკალური იყო, მაგრამ შემდეგ იგი იქცა დინამიკურად. დინამიკური მახვილის მატარებელი ენა უფრო მეტია, ვიდრე მუსიკალურისა.

ენაში, ჩვეულებრივ, სუფთა დინამიკური ან სუფთა მუსიკალური მახვილი შედარებით იშვიათია. სადაც არის დინამიკური მახვილი, იმ ენაში შესაძლებელია შეგვხვდეს მუსიკალური მახვილის ელემენტებიც და, პირიქით.

დინამიკური მახვილი შეიძლება იყოს ს უ ს ტ ი ან ძ ლ ი ე რ ი. შესაბამისად, ზოგ ენაში მახვილი სუსტია, ზოგში – ძლიერი: რუსულში ძლიერი დინამიკური მახვილია, ქართულში – სუსტი.

მახვილი შეიძლება იყოს ფ ი ქ ს ი რ ე ბ უ ლ ი (მიმაგ-

რებული, უძრავი, მკვიდრი) და არაფიქსირებული (თავისუფალი, მოძრავი). მაგალითად, რუსულში მახვილი მოძრავია, ქართულში – შედარებით მყარი.

თავისუფალი მახვილი შეიძლება მოუდიოდეს სხვადასხვა მარცვალს, მკვიდრი კი სიტყვაში ყოველთვის გარკვეულ მარცვალზეა. სომხურში, თურქულში, ფრანგულში მახვილი ყოველთვის ბოლოდან პირველ მარცვალზეა, პოლონურში – ბოლოდან მეორეზე, ჩეხურში – სიტყვის პირველ მარცვალზე.

მრავალმარცვლიან სიტყვაში შეიძლება იყოს მეორეხარისხოვანი მახვილიც, რომელსაც თანამახვილს უწოდებენ. მახვილმა შეიძლება განასხვაოს ორი სიტყვის გრამატიკული და სემანტიკური მნიშვნელობები:

ა) გრამატიკული მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვები: **ру́ки** (ხელები – მრ. რ., სახ. ბრ.), შდრ. **руки́** (ხელის – მხ. რ., ნათ. ბრ);

ბ) ლექსიკური მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვები: **му́ка** (ტანჯვა, წამება), შდრ. **мука́** (ფქვილი).

ლოგიკური მახვილი შეიძლება მოუდიოდეს მთლიან სიტყვას ან წინადადებას. ლოგიკურმახვილიანი სიტყვა (ან ფრაზა), მისი სინტაქსური ფუნქციის მიუხედავად, გამონათქვამში ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია ლექსიკური ასპექტით, ამიტომ იგი იწერება ხაზგასმით, დაყოფით ან განსხვავებული შრიფტით. მაგალითად, **დღეს** მერცხალი შემოფრინდა.

რამდენადაც ლოგიკური მახვილი გახაზავს წინადადებაში სიტყვათა მნიშვნელობას, ამდენად, მას სტილისტური ფუნქცია აქვს. გარდა ამისა, პოეტურ მეტყველებაში განსაკუთრებით ფასეულია სიტყვათმახვილის ექსპრესიული ფუნქციაც: გამოიხატება გრძნობები, ემოციები, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ინტონაციასთან (ლათინ. intonatio, intono – ხმამაღლა წარმოვთქვამ). სხვა კომპონენტებთან ერთად ინტონაცია ქმნის ფრაზას, ყოფს მას ენობრივ ერთე-

ულებად (სეგმენტებად) და განასხვავებს სხვადასხვა მოდალობის წინადადებებს: კითხვითს, თხრობითს, ბრძანებითს და ა. შ. ასე რომ, ინტონაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეტყველების ემოციური ელფერის გამოხატვისას.

თითოეულ სიტყვას აქვს თავისი მახვილი, მაგრამ მან შესაძლებელია შესიტყვებაში დაკარგოს საკუთარი მახვილი და მიეკედლოს წინა ან მომდევნო სიტყვას. როცა ასეთი ერთან ორმარცვლიანი სიტყვები (ნაწილაკი, კავშირი, თანდებული, ნაცვალსახელი და ა. შ.) წარმოთქმაში უერთდება თავის მომდევნო მახვილიან სიტყვას, მათ უწოდებენ პ რ ო კ ლ ი ტ ი კ ა ს („თუ წავედი“), ხოლო, როცა მიეკედლებიან წინმდგომ მახვილიან სიტყვას – ე ნ კ ლ ი ტ ი კ ა ს („სახლის წინ“).

3.5.2. მახვილის საკითხი ქართულში

თანამედროვე ქართულ ენას ახასიათებს სუსტი მახვილი. იგი არაა მკაფიოდ გამოხატული. მიუხედავად ამისა, ქართულში მახვილის საკითხი ყოველთვის იწვევდა სპეციალისტთა ინტერესს.

მახვილს იკვლევდნენ ძირითადად სამი მიმართულებით:

1) რომელ მარცვალს ხვდებოდა მახვილი;

2) როგორია ქართული მახვილის ტიპი;

3) რა გავლენა ჰქონდა მახვილს ქართული ენის სტრუქტურაზე, კერძოდ, სიტყვის მარცვალთა რაოდენობის ცვალებადობაზე.

ამ პრობლემებთან დაკავშირებით ქართულ ლინგვისტიკაში გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებები.

ნ. მ ა რ მ ა პირველად შეისწავლა მეცნიერულად ქართულ ენაში მახვილის საკითხი. მან სწორად დაადგინა მახვილის ადგილი; მიუთითა, რომ სიტყვაში მახვილიანი შეიძლება იყოს ბოლოდან მეორე ან მესამე მარცვალი, ხოლო მრავალმარცვლიან სიტყვაში შეიძლება იყოს ორი მახვილი: ძირითა-

დი და თანამახვილი. ნ. მარს ქართულისათვის დამახასიათებლად მიაჩნდა ტონური მახვილი.

გ. ახვლედიანის აზრით, დღეს სალიტერატურო ქართულში დომინანტობს სუსტი დინამიკური სიტყვათმახვილი, მაგრამ მასში ჩანს ტონურობის ელემენტებიც. ორმარცვლიან სიტყვებში მახვილიანია ბოლოდან მეორე მარცვალი, ხოლო სამ- და მეტმარცვლიანებში – ბოლოდან მესამე. გარდა ამისა, გ. ახვლედიანმა პირველმა განიხილა ქართულში თხრობითი, კითხვითი და ძახილის ტიპის შესიტყვებებში მახვილის საკითხი ინტონაციასთან დაკავშირებით და გამოთქვა საყურადღებო შეხედულებანი: თხრობითი ტიპის წინადადებებისთვის დამახასიათებელია დამავალი ინტონაცია; კითხვით წინადადებაში, რომელშიც კითხვითი სიტყვა არაა, ინტონაცია აღმავალია, ხოლო კითხვითსიტყვიან წინადადებაში ინტონაცია დამავალია შესიტყვების ბოლოს, მაგრამ არა ისე, როგორც თხრობით წინადადებაში.

არნ. ჩიქობავამ მახვილის საკითხს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა. მან ძველი ქართულის მიხედვით დაადგინა, რომ მახვილი იყო ძლიერი, ინტენსიური, დინამიკური, თანაც მოძრავი; დასტურდება ინტენსიური მახვილის მატარებელი ორი დიალექტური ფენის არსებობა. ერთი უპირატესად ბოლო მარცვალზე სვამს მახვილს (**ძამა**), მეორე – თავმარცვალზე (**თაფლი**). სწორედ **ძამა** სიტყვაში პირველი **ა** რომ უმახვილო იყო, ადვილად დაიკარგა: დარჩა **ძმა.** ალბათ, ძველად იყო ისეთი კილოებიც, რომლებშიც მახვილი იყო არა ძლიერი დინამიკური, არამედ – ტონური.

მაშასადამე, მეცნიერის აზრით, ძველი ქართულისათვის (სხვადასხვა დიალექტური წრისათვის) დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ორივე მახვილი – დინამიკურიც და ტონურიც. ქართული ენის დიალექტებიდან ტონური მახვილი დადასტურებულია მთიულურში, ფერეიდნულში, ქიზიყურში, აგრეთვე, ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში.

აღმოსავლეთის მთის დიალექტებში, ინგილოურში ახლაც არის მკვეთრი მახვილი.

ძველ ქართულში მახვილთან იყო დაკავშირებული ხმოვნის დაკარგვა სიტყვის ფუძეში. სალიტერატურო ქართულის კუმშვადი და უკუმშველი ფუძეები მახვილის სახეობით იყო შეპირობებული: ძლიერი დინამიკური მახვილის მატარებელი დიალექტის შემოტანილი უნდა იყოს ფუძის კუმშვა, ხოლო ტონური მახვილის მქონე დიალექტისათვის ფუძის უკუმშველობა იქნებოდა დამახასიათებელი. არნ. ჩიქობავა ერთმანეთს ადარებს ძველსა და ახალ ქართულს მახვილის მხრივ და წერს: „ახალი სალიტერატურო მეტყველება უთუოდ განსხვავდება ძველი ქართულისაგან მახვილის საკითხში. მოხდენილად შენიშნა ქართველოლოგმა ჰუგო შუხარდტმა: მახვილის მხრივ ახალი ქართული მოგვაგონებს ზღვას ღელვის შემდეგ. მახვილის მწვერვალები მოიშალა, სიტყვის ფონეტიკურ ზედაპირზე მახვილიანი და უმახვილო მარცვლების სხვაობა ოდნავ შესამჩნევია“.

ამრიგად, მეცნიერის დასკვნით, ძველ ქართულში მოქმედებდა ძლიერი დინამიკური მახვილი, ახალში კი იგი სუსტია, თანაც ფიქსირებული.

ს. ჟღენტის მიხედვით, ქართულში სიტყვათა მახვილი მუსიკალურ-დინამიკურია.

გ. როგავას დაკვირვებით, ქართულში (ზანურშიც) ყველა სამ- და მეტმარცვლიან სიტყვაში ისტორიულად უნდა გვქონდეს ორი განსხვავებული მახვილი: დინამიკური და ტონური; ორივე მახვილი ინტენსიური უნდა ყოფილიყო, ახლა კი საერთოდ მახვილი სუსტია, მაგრამ მაინც ტონური მახვილი დომინანტობს დინამიკურზე.

თანამედროვე ქართულში დინამიკური მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზეა, ტონური – ბოლოდან მეორეზე. დამარცვლის დროს ტონური მახვილის მქონე მარცვალი მაღალი ტონით გამოიყოფა და იგი უფრო შესამჩნევია. როცა არაქართველი სწავლობს ქართულს, იგი სიტყვაში ამჩნევს ტო-

ნურ მახვილს, დინამიკური კი შეუმჩნეველი რჩება, რადგან იგი ქართულში სუსტია.

ქართულ მახვილს სწავლობდნენ უცხოელი სპეციალისტებიც. ექსპერიმენტული კვლევით დადასტურდა ქართველოლოგ ჰ ა ნ ს ფ ო გ ტ ი ს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „ქართულს არა აქვს მკაფიოდ გამოხატული არც დინამიკური და არც მუსიკალური მახვილი და მაინც ქართულს მეტწილად უნდა ჰქონდეს ტონური სიტყვათმახვილი, ამასთანავე დინამიკურიც“. ჰ. ფოგტისა და ე. ზელმერის დაკვირვებით, ქართულში მახვილი მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალს ორმარცვლიან სიტყვებში, ხოლო სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში – ბოლოდან მესამე მარცვალს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულში მახვილის საკითხი ბევრი სპეციალისტის მსჯელობის საგანი იყო, მაინც იგი ბოლომდე შესწავლილი და დადგენილი არაა. დღესაც გრძელდება ამ ასპექტით თეორიული თუ ექსპერიმენტული კვლევა.

ამ ბოლო წლებში ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქართულში სიტყვათმახვილი თავისი ბუნებით სუსტი დინამიკურია. დინამიკურია აგრეთვე თანამახვილიც (ი. თევდორაძე). დადგინდა ისიც, რომ მახვილი სიტყვას დასაწყისიდან პირველ მარცვალზე მოუდის. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, რამდენმარცვლიანია სიტყვა.

ოთხ- და მეტმარცვლიან სიტყვებში არის თანამახვილიც. იგი ოთხმარცვლიანში ბოლოდან მეორე მარცვალზეა, ხუთმარცვლიანში – ბოლოდან მესამეზე, ექვს- და მეტმარცვლიანში – უმეტეს შემთხვევაში მეოთხეზე, შესაძლებელია მესამეზედაც.

თავი IV. ძირითადი ფონეტიკური მოვლენები

4.1. ფონეტიკურ ცვლილებათა ზოგადი მიმოხილვა

ყოველი ენის ბგერითი მხარე განიცდის გარკვეულ ცვლილებებს. ეს ცვლილება შეიძლება იყოს როგორც ისტორიული, ისე მეტყველების ყოველ მომენტში, განუწყვეტლივ, რასაც იწვევს ბგერათა ურთიერთგავლენა.

ენაში არ არსებობს ორი ისეთი სხვადასხვა სიტყვა, რომლებშიც ერთი და იგივე ფონემა შეიძლება წარმოითქვას ერთნაირად. მეტ-ნაკლები განსხვავება მათ შორის ყოველთვის იარსებებს, რადგან მოცემული ფონემა არასოდეს არ იქნება ერთნაირ პოზიციაში (თუ ომონიმებთან არა გვაქვს საქმე).

ბგერათცვლილება შეიძლება იყოს კომბინაციური (შეპირობებული) და სპონტანური (შეუპირობებელი).

კ ო მ ბ ი ნ ა ც ი უ რ ი ცვლილება წარმოიქმნება ბგერათშეხამების ნიადაგზე. მაშასადამე, ეს ცვლილება შეპირობებულია. მეორენაირად ასეთ ცვლილებას პ ო ზ ი ც ი უ რ - ს ა ც უწოდებენ, რადგან იგი გვიჩვენებს, რომ ეს ცვლილება შეპირობებულია იმით, თუ რა პოზიცია უკავია ფონემას სიტყვაში და რა ურთიერთობაშია იგი ამ სიტყვის სხვა ფონემებთან (შდრ. ერთი გული > ერთგული > ერდგული). გარდა ამისა, რამდენადაც ასეთი ცვლილების რეალიზება დამოკიდებულია გარკვეულ პირობებზე, ამდენად, მას უწოდებენ აგრეთვე დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ცვლილებას.

ს პ ო ნ ტ ა ნ უ რ ი ა ისეთი ბგერათცვლილება, რომელთა გამომწვევი მიზეზი არ ჩანს, ე.ი. შეპირობებული არ არის. ამგვარი ცვლილება ყოველ ენაში საკმაო რაოდენობითაა.

ტერმინი „სპონტანური“ ლათინურია (spontaneus), ნიშნავს „ნებისმიერს, თავისთავადს, უმიზეზოს, თვითნებურს“.

ამასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, რომ „ტერმინი „სპონტანური ცვლილებები“ შეუფერებელია. იგი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ეს ცვლილებები არ იყოს გარკვეული მიზეზით შეპირობებული. ნამდვილად მიზეზი აქაც არის, ოღონდ იგი უფრო ძნელი მისაკვლევია, ვინემ საკომბინაციო ცვლილებათა შემთხვევაში“.

უმთავრესი ფონეტიკური მოვლენებია: ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, სუბსტიტუცია, ალტერნაცია, ბგერათა დაკარგვა, რედუქცია, ბგერის შეკვეცა, ბგერის ჩართვა, ბგერათა შერწყმა, ბგერითი ანალოგია, კონტამინაცია.

ამათგან უმეტესი ნაწილი მხოლოდ ფონეტიკური ხასიათისაა, ასახავს ისეთ ბგერათმიმართებებს, რომლებიც არ ცვლიან სიტყვის სემანტიკას; ნაწილი კი მიეკუთვნება მორფონოლოგიას (ბერძნ. **morphe** – ფორმა, სახეობა, **phone** – ბგერა, **logos** – სიტყვა, მოძღვრება).

მ ო რ ფ ო ნ ო ლ ო გ ი ა შეისწავლის ენის ფონოლოგიურ (ფონემურ, პროსოდიულ) საშუალებათა მორფოლოგიურ გამოყენებას (ი. ქობალავა). სხვაგვარად: მორფონოლოგია შეისწავლის ისეთ ბგერათცვლილებებს, რომლებიც სცილდება ერთი სიტყვის ფარგლებს და წარმოქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულს. მორფონოლოგიის სფეროში განიხილავენ ალტერნაციას, ნაწილობრივ – ანალოგიასა და აბლაუტს.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სახის ფონეტიკური ცვლილება ზოგჯერ ერთდროულად ხდება ერთსა და იმავე სიტყვაშიც კი.

4.2. ასიმილაცია

ასიმილაცია ანუ **დამსგავსება** ეწოდება ისეთ ცვლას, რომლის შედეგადაც ერთი ბგერა მთლიანად ან ნაწილობრივ (წარმოების რაიმე მომენტის – მაგალითად, მჟღერობა-სიყრუის მიხედვით) დაემსგავსება იმავე სიტყვის სხვა ბგერას. ტერმინი „ასიმილაცია“ ლათინურია (assimilatio), ნიშნავს

„მიმსგავსებას“, „დამსგავსებას“. მაგალითად, მ**ს**გავსი – მ**ზ**გავსი: **გ** ბგერამ დაიმსგავსა ყრუ **ს** და აქცია მჟღერ **ზ**-დ.

მიმმსგავსებელი ბგერა ა ს ი მ ი ლ ა ტ ო რ ი ა, მისამსგავსებელი კი – ა ს ი მ ი ლ ი რ ე ბ უ ლ ი.

ქართულში ასიმილაციის შემთხვევები ხშირია როგორც თანხმოვნებში, ისე ხმოვნებში.

ასიმილაციას განასხვავებენ მანძილის, მიმართულებისა და შედეგის მიხედვით.

მანძილის მიხედვით ასიმილაცია შეიძლება იყოს კონტაქტური და დისტანციური.

კ ო ნ ტ ა ქ ტ უ რ ი ა ასიმილაცია, როცა ასიმილატორი და ასიმილირებული ერთმანეთის გვერდით არიან: ერ**თგ**ული – ერ**დგ**ული, მის**დ**ევს – მი**ზდ**ევს, ტ**კბ**ილი – ტ**კპ**ილი, **ხბ**ო – **ხფ**ო||**ხპ**ო... დაე**დ**ებოდა – დე**ე**დებოდა, და**უ**ბარებია – დო**უ**ბარებია...

დ ი ს ტ ა ნ ც ი უ რ ი ასიმილაციის შემთხვევაში ასიმილატორსა და ასიმილირებულს შორის ერთი ან რამდენიმე ბგერაა, ისინი არ იმყოფებიან უშუალო მეზობლობაში: **შ**იმ**შ**ილი (< **ს**იმ**შ**ილი), **ც**ეც**ხ**ლი (< **ს**ეც**ხ**ლი), **შ**იში (< **ს**იში)... მოვი**დ**ა – მე**ვ**იდა, დამე**წ**ერება – დე**მ**ე**წ**ერება...

მიმართულების მიხედვით ასიმილაცია ორგვარია: პროგრესული და რეგრესული.

პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი ასიმილაციის დროს წინა ბგერა იმსგავსებს მომდევნოს: **ტბ**ა > **ტპ**ა, **კბ**ილი > **კპ**ილი, შეწუ**ხდ**ა > შეწუ**ხთ**ა...

რ ე გ რ ე ს უ ლ ი ა ასიმილაცია, როდესაც მომდევნო ბგერა იმსგავსებს წინას: გვერ**დ**ში > გვერ**თ**ში, **ს**იში > **შ**იში... მი**უ**ტანა – მ**უ**უტანა, მო**ეყ**ვანა – მე**ეყ**ვანა... ქართულისათვის უმეტესად რეგრესული ასიმილაციაა დამახასიათებელი.

შედეგის მიხედვით ასიმილაცია შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი.

ს რ უ ლ ი ა ასიმილაცია, როცა ასიმილატორი ბგერა მთლიანად დაიმსგავსებს იმავე სიტყვის სხვა ბგერას – ასიმი-

ლირებულს: **გქონდა – ქქონდა, წაეღო – წეეღო, მოუყვანა – მუუყვანა...**

ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ასიმილაციის დროს ერთი ბგერა იმსგავსებს მეორეს არა მთლიანად, არამედ წარმოების რაიმე მომენტის მიხედვით: **რიგში – რიქში, საბჭო – საპჭო, მოკვდა – მოკვტა... დაუყარა – დოუყარა, დაუძახა – დოუძახა...**

ასიმილაციის მოქმედების შედეგად სიტყვაში თავს იჩენს ასიმილაციური გ ა მ ჟ ღ ე რ ე ბ ა (მსგავსი – მზგავსი, ერთგული – ერდგული...) ან ასიმილაციური დ ა ყ რ უ ე ბ ა (ტკბილი – ტკპილი, ბაღჩა – ბახჩა...).

ასიმილაცია, როგორც ფონეტიკური მოვლენა, შეიძლება იყოს სინქრონიული და დიაქრონიული. ს ი ნ ქ რ ო ნ ი უ ლ ი ა (ანუ მოქმედია) მაშინ, როცა მოცემულ ეტაპზე ენაში არსებობს როგორც ასიმილირებული, ისე არაასიმილირებული ვარიანტები (რიგში – რიქში, მაგრამ: რიგ-ი, რიგ-მა...); დ ი ა ქ რ ო ნ ი უ ლ ი ა (ისტორიულია) ასიმილაცია, როცა იგი მომხდარია ენის განვითარების რომელიღაც ადრეულ საფეხურზე და ამჟამად ენაში არსებობს მხოლოდ ასიმილირებული ვარიანტი: შიმშილი (< სიმშილი), შიში (< სიში), ჭიშკარი (< *ბჭისკარი) და ა. შ.

ამგვარად, დღეს ასიმილაცია განიხილება, როგორც ენაში მიმდინარე ცოცხალი პროცესი ან როგორც უკვე ისტორიულად მომხდარი პროცესის შედეგი.

ასიმილაცია ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა ქართულსა და სხვა ენებში. კიდევ უფრო ხშირია იგი ქართულის ზოგ კილოში (გურულში, ქვემოიმერულში...), შედარებით იშვიათად გვხვდება ქართლურში, კახურში, რაჭულში.

4.3. დისიმილაცია

დისიმილაცია ანუ **განმსგავსება** ჰქვია სიტყვაში ორი ერთნაირი ბგერისაგან ერთ-ერთის გადასხვაფერებას. დისიმილაცია ასიმილაციის საპირისპირო მოვლენაა, რომლის დროსაც ერთი ბგერა განიმსგავსებს იმავე სიტყვის სხვა ბგერას. ტერმინი „დისიმილაცია“ ლათინური წარმოშობისაა (dissimilatio), ნიშნავს „არამსგავსს“, „განსხვავებულს“.

ბგერა, რომლის გავლენითაც იცვლება მეორე ბგერა, არის დ ი ს ი მ ი ლ ა ტ ო რ ი, ხოლო შეცვლილი ბგერა – დ ი ს ი მ ი ლ ი რ ე ბ უ ლ ი. მაგალითად, ძველ ქართულში იყო სიტყვა **ლბილი,** მაგრამ მასში მომდევნო **ლ** ბგერამ განიმსგავსა წინამავალი **ლ** და აქცია **რ**-დ, შედეგად მივიღეთ **რბილი; ლ** არის დისიმილატორი, **რ** – დისიმილირებული.

მიმართულების მიხედვით დისიმილაცია შეიძლება იყოს პროგრესული და რეგრესული.

პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი ა დისიმილაცია, როცა წინა ბგერა გავლენას ახდენს მომდევნოზე, ხოლო რ ე გ რ ე ს უ ლ ი ა, თუ მომდევნო ბგერა მოქმედებს წინა ბგერაზე.

ქართულს ძირითადად ახასიათებს პროგრესული დისიმილაცია, მაგრამ იშვიათად რეგრესულის შემთხვევებიც გვხვდება. მაგალითად, პროგრესული დისიმილაციაა სიტყვებში: **ლელწამი – ლერწამი, ხორციერი – ხორციელი, გორური – გორული** და ა.შ.

რეგრესული დისიმილაციის ნიმუშებია: **სუნნელი – სურნელი, წლეულს – წრეულს, ამაღამ – ამეღამ...**

მანძილის მიხედვით დისიმილაცია ორგვარია: კონტაქტური და დისტანციური.

კ ო ნ ტ ა ქ ტ უ რ ი ა დისიმილაცია, როცა ხდება ერთმანეთის გვერდით მდგომ ბგერათა განმსგავსება. ასეთი შემთხვევა ენაში შედარებით ნაკლებად შეინიშნება. მაგალითად: **ამბავი – ანბავი, ჯანნაბა – ჯანდაბა, მუხამმაზი – მუ-**

ხამბაზი... შეეკითხა – შიეკითხა, შეეშინდა – შიეშინდა, დეეწია – დიეწია, სათითოოდ – სათითაოდ...

დ ი ს ტ ა ნ ც ი უ რ ი ა დისიმილაცია, როცა განმსგავსება ხდება სიტყვაში ერთმანეთისაგან დაშორებულ ბგერებს შორის. მაგალითად: კანკანი – კანკალი, რუსური – რუსული, ორჯერ – ორჯელ... ქართულისათვის დამახასიათებელია დისტანციური დისიმილაცია.

დისიმილაციის ნიმუშები დასტურდება როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე კილოებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა გურული, იმერული.

ქართულში დისიმილირდება მეტწილად **ა, ე, ო** ხმოვნები და **ნ, რ, ლ** სონორი თანხმოვნები. ჩვეულებრივ, სონორი ბგერა გადასხვაფერდება ისევ სონორ ბგერად. დისიმილაციის შემთხვევათა მეტი წილი **რ** თანხმოვანზე მოდის. სიტყვაში ორი **რ** ვერ ძლებს და ერთ-ერთი **ლ**-დ გადაიქცევა. ეს განსაკუთრებით ჩანს **-ურ, -არ** სუფიქსიან სახელებში: გორი > გორური > გორული, ქრება > გამქრარი > გამქრალი...

თუ სიტყვის ფუძეში ჯერ **რ** არის და შემდეგ **ლ**, დისიმილაცია აღარ ხდება: ქართლი – ქართლური, მორალი – მორალური, ავსტრალია – ავსტრალიური... მწიგნობრული გზით დამკვიდრებულ უცხოურ სიტყვებში **რ**-ს დისიმილაციას სალიტერატურო ქართული ძირითადად არ ახდენს, დიალექტები კი მათაც უქვემდებარებენ ფონეტიკური ცვლილების საერთო წესს. მაგალითად: დირიჟორი, რეჟისორი, დირექტორი... ცოცხალ მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს დისიმილირებული ფორმით: დირიჟოლი, რეჟისოლი, დილექტორი...

ქართულში დისიმილაცია, ჩვეულებრივ, არ მოსდის **რ**-ს, თუ სიტყვა რთული შედგენილობისაა: რაკრაკი, რახრახი, ვერაფერი, არაფერი, თუმცა უკანასკნელი ორი სიტყვა სასაუბრო ენაში ვერაფელი, არაფელი ფორმითაც გვხვდება.

დისიმილაციის ნიადაგზე ზოგჯერ შეიძლება დაიკარგოს დისიმილირებული ბგერა ან მთელი მარცვალი. მაგალითად: ა) ერთმანერთი > ერთმანეთი, ბერბერი > ბებერი, პირ-

ჯვარი > პიჯვარი, კორკორი > კოკორი... ბ) ფეხშიშველა > ფეხშველა – ამ შემთხვევაში დაიკარგა **ში** მარცვალი. ასეთ მოვლენას ეწოდება ჰ ა პ ლ ო ლ ო გ ი ა ანუ გამარტივება (ბერძნ. haplos = მარტივი).

დისიმილაცია (ასიმილაციის მსგავსად) შეიძლება იყოს სინქრონიული (ზეპირ მეტყველებაში მიმდინარე პროცესი) და დიაქრონიული.

4.4. მეტათეზისი

ყოველ სიტყვაში ბგერათა გარკვეული რაოდენობაა. მათი თანმიმდევრობა მტკიცეა, მაგრამ ზოგჯერ მოსალოდნელი რიგი დარღვეულია – ბგერას გამოცვლილი აქვს ადგილი. სიტყვაში ბგერის, ბგერების ან მარცვლების გადანაცვლებას **მეტათეზისი** ანუ **ბგერის გადასმა** ეწოდება. მაგალითად, (ა)**თრვამეტი**საგან უნდა მიგველო **თრვამეტი,** მაგრამ აქ **ვ** ბგერამ გადმოინაცვლა **რ**-ს წინ და მივიღეთ **თვრამეტი,** რომელიც ამ სახით დამკვიდრდა ენაში.

ტერმინი „მეტათეზისი“ ბერძნულია (metathesis), ნიშნავს „გადაადგილებას“.

მეტათეზისი მეტწილად მოსდის სონორ თანხმოვნებს – **რ, ლ, მ, ნ**-ს და აგრეთვე **ვ**-ს (ეს უკანასკნელი ხშირად გადაისმის **ნ, რ, ლ**-ს წინ: სვლა – სლვა, ხნავს – ხვნა, კლავს – კვლა, ძრავს – ძვრა...). იშვიათად იგი შეიძლება გამოვლინდეს ჩქამიერ თანხმოვნებშიც: ნაშხირი (< ნაშიხირი. შდრ. სვან. **შიხ** = წვა) > ნახშირი.

მეტათეზისის შემთხვევები დასტურდება როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე დიალექტებში.

მანძილის მიხედვით მეტათეზისი ორგვარია: კ ო ნ ტ ა ქ ტ უ რ ი (ღრმა – რღმა, თვრამეტი – თრვამეტი, იღვწის (< ღვაწლი) – იღწვის...) და დ ი ს ტ ა ნ ც ი უ რ ი (ვნახე – ნავხე...).

მიმართულების მიხედვით მეტათეზისი არის პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი (ღრუბელი – ღურბელი, თავყანისცემა – თაყვანისცემა...) და რ ე გ რ ე ს უ ლ ი (ღრმა – რღმა, ზურგი – ზრუგი...).

ქართულსა და მეგრულში მეტათეზისი მეტწილად რეგრესულია, პროგრესულის შემთხვევები მეორეულ მოვლენადაა მიჩნეული.

მეტათეზისი შეიძლება იყოს მარტივი და საურთიერთო: მ ა რ ტ ი ვ ი ა, როცა სიტყვაში ადგილს იცვლის მხოლოდ ერთი ბგერა (თრვამეტი – თვრამეტი), ხოლო ს ა უ რ თ ი ე რ თ ო ა მაშინ, როცა სიტყვაში ადგილს შეუნაცვლებს ერთმანეთს მანძილით დაშორებული ორი ბგერა (**ნ**ამგალი – **მან**გალი, ცარიელი – ცალიერი).

მეტათეზისის მიზეზი შეიძლება იყოს არტიკულაციური (კონტაქტური მეტათეზისის დროს), წარმოთქმისათვის უხერხული ან ბგერათშეხამების სისტემის თვალსაზრისით არამოტივირებული კომპლექსების აცილება (ნახშირი < ნაშხირი, კვლა < კლვა...) ან ფსიქოლოგიური ანტიციპაცია[1] და ინერცია (ნ. იმნაძე).

მეტათეზისი მეტწილად დამახასიათებელია სასაუბრო ენისათვის, ცოცხალი მეტყველებისათვის. შესაბამისად, ამ ცვლილების გზით მიღებული ფორმები დიალექტურია, თუმცა დროთა ვითარებაში ასეთი ფორმები შეიძლება სალიტერატურო ენაშიც დამკვიდრდეს (მაგალითად, თვრამეტი, თაყვანისცემა, ნახშირი...).

[1] **ანტიციპაცია** (ლათ. anticipatio) – 1. რისამე წინასწარ განჭვრეტა, წინასწარ გამოცნობა; 2. რაიმე მოვლენის სავარაუდო დროზე ადრე დადგომა; რისამე ვადაზე ადრე შესრულება.

4.5. სუბსტიტუცია

ყოველ ენაში ხშირია ისეთი ფონეტიკური მოვლენა, როცა სიტყვაში ყოველგვარი ფონეტიკური განპირობებულობის გარეშე ერთ ბგერას ჩაენაცვლება მეორე. ბგერათა ასეთ შენაცვლებას **სუბსტიტუცია** ეწოდება. ტერმინი ლათინური წარმოშობისაა (substitutio), ნიშნავს „ჩანაცვლებას“.

სუბსტიტუცია არაა კანონზომიერი ფონეტიკური განვითარების შედეგი, ანუ არაა ფონეტიკურად განპირობებული მოვლენა. მაგალითად, ბზის შესანახ ადგილს უნდა ერქვას **საბზელი,** მაგრამ ჰქვია **საბძელი:** აქ **ზ**-ს შეენაცვლა **ძ**.

სუბსტიტუცია მიაჩნიათ „სპონტანურ ბგერათცვლილებად“. ერთადერთი „კანონზომიერება“, რომელსაც ადგილი აქვს ასეთ ბგერათცვლილებებში, არის ის, რომ ერთმანეთს ენაცვლება აკუსტიკურად მსგავსი ბგერები. როგორც ჩანს, სუბსტიტუცია წარმოიქმნება ბგერათა არასწორი აღქმის ნიადაგზე, ამიტომ ეს მოვლენა აკუსტიკურია (გ. ახვლედიანი).

სუბსტიტუცია ხდება როგორც უცხოური ენიდან ნასესხებ, ისე მშობლიური ენის სიტყვებში. პირველ შემთხვევაში სუბსტიტუცია არ იწვევს მსესხებელი ენის არც ბგერათსისტემის და არც მისი ფონეტიკური იერის შეცვლას. თვით ჩანაცვლების პროცესი კანონზომიერად, უგამონაკლისოდ მიმდინარეობს ხმოვნებშიც და თანხმოვნებშიც (ნ. იმნაძე). მაგალითად, უცხოური **ф**-ს ნაცვლად ქართულში წარმოითქმის **ფ**. ამის მიზეზია ქართულში **ф**-ს (როგორც ფონემის) უქონლობა. უცხოურ **ф**-სთან ქართველის სმენისათვის ყველაზე უფრო ახლოა ქართული **ფ** არტიკულაციურადაც და აკუსტიკურადაც. მაგალითად: ოფიცერი < რუს. **офицер**, ციფრი < რუს. **цифра**...

ყველა ენაში უფრო ფართოდ არის გავრცელებული სუბსტიტუციის მეორე შემთხვევა – ბგერათჩანაცვლება მშობლიური ენის სიტყვებში. იგი ხდება მხოლოდ თანხმოვნებში, თუმცა არ ახასიათებს რაიმე კონკრეტული კანონზომიერება.

სუბსტიტუციის ნიმუშები განსაკუთრებით ხშირია დიალექტებში: მ**ზ**ახალი – მ**ძ**ახალი, ვიწრო – მი**წ**რო, ნავთი – ნამ**თ**ი, თევზი – თე**ბზ**ი, ულვაში – ულ**ბაშ**ი, კოვზი – კო**ბზ**ი, მეფე – **ნ**ეფე, ნემსი – ნე**ფს**ი, პატიჟი – პატი**ჯ**ი, პატარა – **ბ**ატარა, რამდენი – რამ**ტ**ენი...

4.6. ალტერნაცია

ალტერნაცია ჰქვია ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმაში ბგერათა კანონზომიერ მონაცვლეობას. ტერმინი „ალტერნაცია“ ლათინურია (alternatio) და ზოგადად ნიშნავს „ცვლას“, „მონაცვლეობას“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ალტერნაცია ისეთი მონაცვლეობაა, როდესაც ერთი დონის ენობრივი ერთეულები ერთმანეთს ენაცვლებიან უფრო დიდი ერთეულის ფარგლებში. მონაცვლე ერთეულებს უწოდებენ ალტერნატებს.

განარჩევენ ფონეტიკურ და არაფონეტიკურ ალტერნაციას. ფონეტიკური ალტერნაცია გვხვდება ცოცხალი წარმოთქმის პროცესში და გამოწვეულია ბგერათა ურთიერთგავლენით, ბგერათა შეგუებით, ბგერათა შეერთებით (კოარტიკულაციით). ესაა იგივე კომბინაციური ბგერათცვლილებები (ასიმილაცია, დისიმილაცია...). განასხვავებენ თანხმოვანთმონაცვლეობასა და ხმოვანთმონაცვლეობას. მაგალითად, შეიძლება მოხდეს მჟღერისა და ყრუ ჩქამიერის მონაცვლეობა გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში: გრძნობს – გრძნოფს (**ბ** დაყრუვდა **ს**-ს წინ), რიგი – რიგში – რიქში... თანხმოვანთა მონაცვლეობა განპირობებულია მეზობელ ბგერათა მჟღერობა-სიყრუით. ყველა კომბინაციური ბგერათცვლილება არის განპირობებული, რადგანაც ბგერათშეერთების ნიადაგზეა წარმოქმნილი.

არაფონეტიკური ალტერნაცია არ არის განპირობებული ფონეტიკურად და არც ფონეტიკური კანონზო-

მიერება არ ახასიათებს. იგი გამოწვეულია ისტორიული ფაქტორებითა და სემანტიკური ან გრამატიკული ფუნქციით გვევლინება (ი. თევდორაძე). მაგალითად:

ჟ/შ: ჟრიალი – შრიალი

ლ/ნ: სული – სუნი...

არის ისეთი მონაცვლეობაც, რომელშიც შემორჩენილია ისტორიულად შეპირობებული ბგერათცვლილება, თორემ დღევანდელი წარმოთქმის თვალსაზრისით იგი განპირობებული აღარ არის. ასეთია, მაგალითად, **ბ/ფ:** კრება – კრეფა. ისტორიულად პირველია **კრებს,** მისგან **ბ**-ს დაყრუებით მიღებულია **კრეფს,** რომელთანაც შემდგომ დაკავშირებულია განსხვავებული მნიშვნელობა.

მაშასადამე, არაფონეტიკური ალტერნაციის გამომწვევი ფაქტორი სიტყვის ბგერითი შედგენილობის ფარგლებს სცილდება; რეალურად მასში იგულისხმება სიტყვის სემანტიკური ცვლა, ახალი ლექსიკური ერთეულის მიღება.

ისტორიულ-სპონტანური ხმოვანთმონაცვლეობაა აგრეთვე ფორმებში: გრეხს – გრიხა, დრეკს – დრიკა, გლეჯს – გლიჯა... ასეთ ცვლილებას უწოდებენ **აბლაუტს** (გერმ. Ablaut – გადაბგერება).

4.7. რედუქცია

რედუქცია ანუ **ბგერათა დაკარგვა** ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. როცა სიტყვაში ესა თუ ის ბგერა დაკარგავს წარმოების სისრულეს, დააკლდება წარმოთქმის მკაფიოობა და ამის შედეგად ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება, მაშინ იგი ამოვარდება, დაიკარგება. სწორედ ამ მოვლენას ჰქვია **რედუქცია.**

ტერმინი „რედუქცია“ ლათინური წარმოშობისაა (reductio), ნიშნავს „შემცირებას“, „დაკლებას“, „დაყვანას“.

რედუქციის დროს იკარგება როგორც ხმოვანი, ისე

თანხმოვანი, ამიტომ ერთმანეთისაგან განასხვავებენ თანხმოვანთა რედუქციასა და ხმოვანთა რედუქციას.

თანხმოვანთა რედუქციის დროს ქართულში იკარგება:

1) **ჰ** ხმოვნების წინ: ჰამბავი > ამბავი, ჰექიმი > ექიმი, ჰომი > ომი...

2) **ვ** ბაგისმიერი ბგერების წინ: თავი – თაობა, ხევი – ხეობა, თაგვი – სათაგური...

3) **ს – ზ, შ, თ, ძ** თანხმოვნების წინ: სახლსზე > სახლზე, სახლსში > სახლში, სახლსთან > სახლთან, სააკასძე > სააკაძე...

4) ორი ერთნაირი ბგერისაგან ერთ-ერთი: ტანისსამოსი – ტანისამოსი, ციხსარტყელა – ცისარტყელა, ჩჩვილი (ძვ. ქართ.) – ჩვილი, წუთისსოფელი – წუთისოფელი...

ქართულში ამგვარი ცვლილება ფართოდაა გავრცელებული. ამის გამოა, რომ უცხოური წარმოშობის სიტყვებშიც ორი ერთნაირი ბგერიდან ერთი რჩება: გრამმატიკა – გრამატიკა, პრესსა – პრესა, პროფესსორი – პროფესორი... თუმცა ეს წესი არ ვრცელდება ხმოვნებზე – ორი ერთნაირი ხმოვანი არ მარტივდება: მასლაათი, ჯამაათი, გეენია... (არნ. ჩიქობავა).

ზოგჯერ სიტყვაში ერთდროულად არის დაკარგული რამდენიმე თანხმოვანი: დედისდა > დეიდა, დედის დისშვილი > დეიდასშვილი > დეიდაშვილი. შესაძლოა, თანხმოვნის მსგავსად, დაიკარგოს ხმოვანიც: ათერთმეტი – თერთმეტი, ათხუთმეტი – თხუთმეტი...

ხმოვანთა რედუქცია ქართულში უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე თანხმოვანთა დაკარგვა.

რედუქციის შედეგად შეიძლება ამა თუ იმ ხმოვანმა დაკარგოს თავისი წარმოების სისრულე, ე.ი. არტიკულაციურად დასუსტდეს და მთლიანად დაიკარგოს ან იქცეს სხვა ბგერად. ხმოვნის დასუსტებას ან სულ დაკარგვას უწოდებენ ხმოვანთრედუქციას. მაგალითად:

1) მინდორ-ი – მინდვრ-ის, მაწონ-ი – მაწვნ-ის, ნიორ-ი – ნივრ-ის, იორ-ი – ივრ-ის ...

2) ბალ-ი – ბლ-ის, კედელ-ი – კედლ-ის, გოდორ-ი – გოდრ-ის...

პირველ შემთხვევაში **ო** ხმოვანი დასუსტდა და **ვ**-დ იქცა, მეორეში კი **ა, ე, ო** ხმოვნები მთლიანად დაიკარგა.

ქართულში რედუქცია ეხება **ა, ე, ო** ხმოვნებს; **ი** და **უ** მყარი ხმოვნებია და რედუქციას არ განიცდის (ა. შანიძე), თუმცა დღეს დიალექტებსა და სასაუბრო ენაში დასტურდება ამ ხმოვანთა რედუქციაც. მაგალითად: ბუმბლიანი (< ბუმბული), ნარმანიძე (< ნარიმანიძე)...

საზოგადოდ, ხმოვანთა რედუქციის მიზეზია ხმოვნით დაწყებული დაბოლოების დართვა: ფანქარ-ი – ფანქრ-**ის**, ხმალ-ი – ხმლ-**ებ**-ი, მეგობარ-ი – მეგობრ-**ულ**-ი...

ხმოვანთა რედუქციის შედეგად მცირდება სიტყვაში მარცვალთა რაოდენობა და ფუძე იკუმშება.

ქართულში ხმოვანთა რედუქცია თითქმის მეტწილად გულისხმობს ხმოვანთა დაკარგვას, იშვიათად – ხმოვანთა დასუსტებასაც.

ზოგადი ენათმეცნიერული დებულებით, ხმოვანთა რედუქციის უმთავრესი ფაქტორია დინამიკური სიტყვათმახვილი (ამიტომ რუსულში ხმოვანთა რედუქციაც უფრო ძლიერია). ვარაუდობენ, რომ უძველეს ქართულსაც უნდა ჰქონოდა ძლიერი ინტენსიური დინამიკური მახვილი, რომელთანაც დაკავშირებული იყო ფუძის კუმშვა-უკუმშველობა. სუსტ დინამიკურ მახვილს (როგორიცაა თანამედროვე ქართულში) არ შეეძლო მოეხდინა ხმოვანთა რედუქცია.

მახვილის მხრივ თანამედროვე ქართულისთვის (აგრეთვე ძველი ქართულისთვისაც) დამახასიათებელი ვითარება არის ტრადიციული ნორმის მოქმედების შედეგი. როგორც ჩანს, ქართული წერილობითი დოკუმენტაციით დადასტურებული სიტყვათმახვილი უკვე სუსტი დინამიკური მახვილია ტონურობის ელემენტებით და ფიქსირებულია

სიტყვის ბოლოდან მეორე ან მესამე მარცვალზე, ხოლო ხმოვანთრედუქციის ვითარება ტრადიციის გადმონაშთის სახით უძველესი ქართულიდან მომდინარეობს.

ქართულ ენაში ისტორიულად მოქმედ ფიქსირებულ სუსტ დინამიკურ მახვილს აღარ ჰქონდა მარედუცირებელი ძალა, მაგრამ, ძველსა და თანამედროვე ქართულში თუ მაინც შეიძლება საუბარი ხმოვანთრედუქციაზე, ეს იმიტომ, რომ ქართულში შემონახულია ძლიერი დინამიკური მახვილით გამოწვეული ხმოვანთა რედუქცია მეტწილად ბგერათკომპლექსებში: **თანხმოვანი + ხმოვანი + სონორი**, რომლებშიც ხმოვნის რედუცირება დაჰკავშირებია არა სიტყვათმახვილის გავლენას, არამედ კომპლექსის მომდევნო ხმოვანს: მხარ-ი – მხრის, ვაბამ – დაბმ-ა.

მაშასადამე, ქართულში მოქმედი რედუქცია გამძლეა, რადგან ის თითქმის მთლიანად არის მორფოლოგიზებული და სემანტიზებული. ამდენად, ის აღარაა მხოლოდ და მხოლოდ ფონეტიკური მოვლენა.

ფუძის შეკუმშვისას ხმოვნის დაკარგვას უცხოურად ეწოდება **სინკოპე**.

4.8. ხმოვნის შეკვეცა (მოკვეცა), ბგერის ჩართვა, ბგერათა შერწყმა

ხ მ ო ვ ნ ი ს შ ე კ ვ ე ც ა (მოკვეცა) ქართულში ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. ზოგჯერ, როცა ხმოვნით დაბოლოებული სიტყვის ფუძეს (ხე, ცა, კლდე...) დაერთვის ხმოვნით დაწყებული აფიქსი, მაშინ ფუძისეული ბოლო ხმოვანი მოიკვეცება: ხე – ხ-ის, ტყე – ტყ-ის, ცა – ც-ის (ვრცლად იხ. II ნაწ., მორფოლოგია). ასეთ ფონეტიკურ მოვლენას ეწოდება **შეკვეცა** (მოკვეცა) ანუ **აპოკოპე**.

ბ გ ე რ ი ს ჩ ა რ თ ვ ა. ზოგჯერ სიტყვაში ჩნდება ისეთი ბგერა, რომელიც სხვა ფორმების მიხედვით არ არის მოსალოდნელი. ამ მოვლენას **ბგერის ჩართვა** ჰქვია. ბგერის ჩარ-

თვა ბგერის დაკარგვის საპირისპიროა. მაგალითად, სიტყვებისაგან: ბრმა, ხე, ტყვე... შეიძლება ვაწარმოოთ ზმნები: აბრმავებს, ახევებს, ატყვევებს, რომლებშიც **ვ** ჩართულია. მას რაიმე გრამატიკული დანიშნულება არა აქვს, უფუნქციოა. ამგვარივე **ვ** ჩართულია ზმნიზედებში: ზევით (< ზეით), ქვევით (< ქვეით).

ჩვეულებრივ, ჩართული ბგერა გრამატიკული ფუნქციის მატარებელი არ არის, მაგრამ იგი ამ სიტყვის განუყოფელ ნაწილად იქცევა.

ბგერის ჩართვა დამახასიათებელი მოვლენაა სალიტერატურო ქართულისათვის. კიდევ უფრო გავრცელებულია იგი დიალექტებში: კინტრი (< კიტრი), მჭა (< ჭა), ანგური (< აგური), ჩინთი (< ჩითი), ღვირძლი (< ღვიძლი)...

ბგერათა შერწყმა. ორი ბგერის შეერთებით ერთი ბგერის მიღებას **შერწყმა** ჰქვია. მაგალითად:

თ+ს > ც: ათსამმეტი > თსამეტი > ცამეტი

თ+შ > ჩ: ათშვიდმეტი > თშვიდმეტი > ჩვიდმეტი; ბედშავი > ბეთშავი > ბეჩავი

ა+უ > ო: დედაუფალი > დედოფალი

ვა > ო: რაგვარი > რაგორი > როგორი[1]; იყავ-ა > იყვა > იყო; თვითმან > თვითვან > თვითონ (ამ სიტყვაში ჯერ მოხდა სუბსტიტუცია – მ-ს შეენაცვლა ვ, შემდეგ ვა კომპლექსმა მოგვცა ო).

ბგერათა შერწყმა დამახასიათებელია როგორც სალიტერატურო ქართულისთვის, ისე დიალექტებისათვის.

[1] სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ეს სიტყვა სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილების შედეგად წარმოდგენილია ასეთი პარალელური ფორმებითაც: რავარი > რავალი > რავა (ამოსავალია **რაგვარი**).

ქართველ მწერალთა (მაგალითად, ალ. ყაზბეგის) ნაწერებში უხვად დასტურდება ამგვარი ფორმები: გორი (< გვარი), თოლი (< თვალი), ცხორი (< ცხვარი), კომლი (< კვამლი) და ა. შ.

4.9. ბგერითი ანალოგია, კონტამინაცია

ბგერითი ანალოგია ეწოდება ისეთ ბგერითს ცვლილებას, რომელიც სიტყვაში მომხდარია სხვა სიტყვასთან მიმსგავსებით. ტერმინი „ანალოგია“ ბერძნული წარმოშობისაა, ნიშნავს „შესატყვისობას“, „აზრთა შესაბამისობას“. მაგალითად, **ღ** არ არის ფონეტიკურად შეპირობებული ბგერა ფორმებში: დ ა ღ მ ა რ თ ი, წ ა ღ მ ა რ თ ი, უ კ უ ღ მ ა რ თ ი. იგი ჩართულია **აღმართი**-ს ანალოგიით, რომელშიც **ღ** არის **აღ** ზმნისწინის შემადგენელი ელემენტი. წესის მიხედვით უნდა იყოს: დ ა მ ა რ თ ი, წ ა მ ა რ თ ი, უ კ უ მ ა რ თ ი. მათში **და-, წა-, უკუ-** ზმნისწინებია, **მართ** – სიტყვის ძირი.

სიტყვა **უფროსი** დიალექტებში არის **უმფროსი**-ს სახით, რომელიც გაჩენილია **უმცროსი**-ს ანალოგიით (ამ სიტყვის ამოსავალი ფორმაა **მცირე**).

უარყოფითი ნაცვალსახელი **ნურავინ** მიღებულია **არავინ** ნაცვალსახელის ანალოგიით. წესით უნდა გექონოდა **ნუ+ვინ** („ნუვინ იტყვის ობლობისა ვაებას...“ – ნ. ბარათ.).

თოთხმეტის ანალოგიის შედეგია რიცხვითი სახელის **თხუთმეტის** (< ათხუთმეტი) დიალექტური ფორმა **თუთხმეტი.**

ანალოგია განსაკუთრებით გავრცელებულია დიალექტებში. მაგალითად, იმერულში **ზის /ზია** და **ზიან** ფორმათა ანალოგიით მიღებულია **ჯდის/ ჯდია** და **ჯდიან.**

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ ორგვარ ანალოგიას: ნეიტრალურსა და ფუნქციურს.

ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი ა ისეთი ანალოგია, რომლის მოქმედება სიტყვის მნიშვნელობაზე არ ახდენს გავლენას. ასეთი

ანალოგიის ნიმუშებია: უმფროსი, დაღმართი, თუთხმეტი, ნურავინ და სხვა.

ფ უ ნ ქ ც ი უ რ ი ა ანალოგია, რომლის მოქმედება უკავშირდება სიტყვის სემანტიკურსა და გრამატიკულ მნიშვნელობას, ანუ სხვაგვარად: ასეთი ანალოგიის მოქმედება ასხვავებს ერთმანეთისაგან მნიშვნელობებს: განათება – განათლება, გამარჯვება – გამარჯობა, მაღლა – მაღლად, ახლა – ახლად (გ. ახვლედიანი). ამ თავისებურებათა გამო ფუნქციური ანალოგია, ალტერნაციის მსგავსად, შეიძლება ჩაითვალოს ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოქმნის საშუალებად.

კ ო ნ ტ ა მ ი ნ ა ც ი ა წარმოადგენს „ისეთ ბგერითს ცვლილებას მოცემულ სიტყვაში, რომელიც შედეგია ასოციაციურად დაკავშირებული ორი სიტყვის ბგერობრივი შერევისა“ (გ. ახვლედიანი). მეორენაირად კონტამინაციას ასეც განმარტავენ: „თუ ერთმა ფორმამ ისეთი გავლენა მოახდინა მეორეზე, რომ შეჯვარების შედეგად მივიღეთ მესამე, რომელსაც ორივე მათგანის ნიშნები აქვს, ეს იქნება კ ო ნ ტ ა მ ი ნ ა ც ი ა“ (ა. შანიძე).

ტერმინი „კონტამინაცია“ ლათინურია (contaminatio), ნიშნავს „შერევას, შერწყმას“.

კონტამინაცია, რომელიც მიჩნეულია ანალოგიის ერთერთ სახედ, გულისხმობს სამეტყველო ნაკადში ორი ენობრივი ერთეულის გაერთიანებას მათი ფორმობრივ-ფუნქციური თუ სემანტიკური მსგავსების საფუძველზე. იგი გვხვდება ენის ყველა დონეზე – ცალკეულ სიტყვებსა თუ გამოთქმებში (ნ. იმნაძე). მაგალითად, ქართულში არსებული სიტყვა **ჰაერი** მიღებულია ბერძნული **აერისა** და არაბულიდან შემოსული იმავე მნიშვნელობის **ჰავა** სიტყვის კონტამინაცით: **აერი + ჰავა = ჰაერი.**

კონტამინაციური ფორმებია დიალექტური **შემნანდა** (<შ ე მ ე ც ო დ ა + დ ა მ ე ნ ა ნ ა) და **შემერიდა** (<შ ე მ ე ხ ა თ რ ა + მ ო მ ე რ ი დ ა) (ჟ. ფეიქრიშვილი). ასევე: ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული ფორმა **მიგ-**

ქცეს (მან თქვენ მას) არის ლიტერატურული **მიგცეს** და დიალექტური **მიქცეს** ფორმათა კონტამინაციის შედეგი.

კონტამინაციის ნიმუშებად დასახელებულია აგრეთვე გამოთქმები: გულიდან ვერ მოიშორა (< თავიდან ვერ მოიშორა + გულიდან ვერ ამოიგდო), სტუმართმოყვარეობას გაუწევს (< მასპინძლობას გაუწევს + სტუმართმოყვარეობას გამოიჩენს), მადლობა მოიხადა (< ბოდიში მოიხადა + მადლობა გადაიხადა)... (ნ. იმნაძე).

კონტამინაცია, ჩვეულებრივ, ხდება კომუნიკაციის პროცესში. ამ გზით მიღებული ფორმა სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევაა, მაგრამ ამავე დროს არის ახალი ენობრივი ერთეულის წარმოქმნის წყარო და მისი შედეგი ხშირად იქცევა ნორმად.

ამგვარად, თანამედროვე ქართულში (სამწერლობო ენასა და ზეპირ მეტყველებაში) ფონეტიკური მოვლენები მრავალფეროვნებით ვლინდება; სწორედ ფონეტიკური მიზეზით ჩნდება ენაში სიტყვათა ფორმობრივ-სემანტიკური ვარიანტები, რომლებიც ფასეულია როგორც ზოგადთეორიული ასპექტით, ისე ნორმირების თვალსაზრისითაც – პარალელურ ფორმათაგან სალიტერატურო ენა ერთ-ერთს ირჩევს და აკანონებს.

ლიტერატურა

აბზიანიძე თ., ქუთელია ნ., ფონეტიკა: ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

აფრიდონიძე შ., ფონეტიკური ფაქტორის როლი ტერმინთა შექმნისას: არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XIX, თბ., 2008.

აფრიდონიძე შ., ორთოგრაფია: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949., II გამოც. 1999.

გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

გამყრელიძე თ., ივანოვი ვ., ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები, თბ., 1985.

გეგუჩაძე ლ., ქართული ენა (ნაწილი პირველი), თბ., 1997.

გოგოლაშვილი გ., მჟღერთა პოზიციური დაყრუებისათვის ქართული ენის დიალექტებში: დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1988.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

ერთელიშვილი ფ., ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970.

ერთელიშვილი ფ., სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1980.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ., 1970, 1986; ბიულეტენი №3, 1987.

თევდორაძე ი., ქართული ენის პროსოდიის საკითხები, თბ., 1972.

თევდორაძე ი., ალტერნაცია: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

თევდორაძე ი., მახვილი: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

თოფურია ვ., მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში, წერილი I: „ახალი სკოლისაკენ", 1929, №11-12; წერილი II: „კულტურული აღმშენებლობა", 1930, №7-8.

თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965, 1988.

იმნაძე ნ., კონტამინაცია: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

იმნაძე ნ., აქცესიური კომპლექსები: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

იმნაძე ნ., ხშულთა ჰარმონიული კომპლექსების შესახებ ქართულში: იკე, XXIV, თბ., 1985.

იმნაძე ნ., ხმოვანთა შემართვის შესახებ ქართულში: იკე, XXVII, 1988.
კვანტალიანი ლ., სილოვან ხუნდაძის გრამატიკული ნაშრომები, თბ., 2009.
კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.
კიზირია ა., ქართული ენა (ფონეტიკისა და მორფოლოგიის პრაქტიკუმი), თბ., 1969.
კიზირია ნ., კოარტიკულაცია: ქართული ენა – ენციკლოპედია, 2008.
კუბლაშვილი კ., ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985.
მაჭავარიანი გ., საერთოქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965.
მაჭავარიანი გ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002.
მელიქიშვილი ი., საერთოქართველურ სიბილანტთა სისტემა ფუნქციონალური ტიპოლოგიის თვალსაზრისით: „თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები," თბ., 1980.
ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.
ონიანი ალ., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.
ჟღენტი ს., ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956.
როგავა გ., ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962.
როგავა გ., მახვილის საკითხისათვის ქართულში: ქესს, ტ. III, 1963.
როგავა გ., დეცესიურ ჰარმონიულ კომპლექსთა სისტემისა და ისტორიისათვის ქართველურ ენებში: „მაცნე", №2, 1965.
საღინაძე რ., ფონეტიკურად შეპირობებული ფორმობრივ-სემანტიკური ვარიანტები ქართულში: სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები, თბ., 2013.
საღინაძე რ., ვ ბგერის ცვლილების რამდენიმე შემთხვევა და ნორმირება: სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები, თბ., 2013.
სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
სტურუა ნ., სიტყვა როგორც ენობრივი ერთეული, თბ., 1976.
უთურგაიძე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
უთურგაიძე თ., სილოვან ხუნდაძის ფონომორფოლოგიური დაკვირვებანი ქართულ ენაში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.
ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის ფონეტიკა (სალექციო კურსი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთათვის), რემინგტონზე დაბეჭდილი (ხელნაწერის უფლებით), ქუთაისი, 1988.
ფეიქრიშვილი ჟ., მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთაისი, 1992.

ფეიქრიშვილი ჯ., ქართული ენა, თბ., 2007.
ფოგტი ჰ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961.
ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
ფოცხიშვილი ალ., ქართული ენა, თბ., 2000.
ფუტკარაძე ტ., თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია,1998.
ფუტკარაძე ტ., ხმოვანთკომპლექსთა ტრანსფორმაციისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბ., 1999.
ფუტკარაძე ტ., მიქაუტაძე მ., ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა, თბ., 2014.
ქავთარაძე ი., ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1964.
ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), რვატომეული, თბ., 1950-1964.
ქობალავა ი., ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში, თბ., 1976.
ქობალავა ი., ფონეტიკა, ფონოლოგია; თანხმოვანთა ჯგუფები, თანხმოვნები: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
ჩიქობავა არნ., მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში: სმამ, ტომი III, №3, 1942.
ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; II გამოც. 2008.
ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.
ძიძიგური შ., ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, თბ., 1956.
ძოწენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.
ხუნდაძე ს., სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901.
ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.
ჯაფარიძე ზ., პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1975.
ჯაფარიძე ზ., სონორი თანხმოვნები: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, 1985.
ჯაფარიძე ზ., დიფთონგი: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ.., 2008.
ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.
ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.
Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

პ	კ	ტ	ძ, ნ	სხვილი
ფ	ქ, ღ	თ	ჯ, შ	მაგარი
(ბაგე-კბილისმიერი)	ყ, ხ, ჰ		ჩ, ც	წმინდა
მ		ლ, ნ	ზ, ს	რბილი
				სხვილი
				რბილი
				წმინდა

გ. ახვლედიანი

			ბაგისმიერი				ნინაენისმიერი				ზედაენის მიერი	ენისძირისმიერი			ხორხისმიერი	
			ნყვილბაგის		კბილბაგის		ენაკბილის		ენანუნის			ენანუნის				
			ჭყვლერი	ხერე	ჭყვლერი	ხერე	ჭყვლერი	ხერე	ჭყვლერი	ხერე	ჭყვლერი	ჭყვლერი	ხერე	ჭყვლერი	ხერე	ხერე
				ხშვილი												
				მკვეთრი		მკვეთრი		მკვეთრი		მკვეთრი		მკვეთრი		მკვეთრი		მკვეთრი
ცხვირის	ხშული	მარტივი	მ				ნ									
			ბ	ფ	პ		ლ	ვ	ტ			გ	ქ	კ	(ქ)	(ჳ)
		რთული					ძ	ც	ნ	ჯ	ჩ	შ				
პირი	არახშული	ნაპრალოვანი	(ჳ)			ვ	ზ	ს		ყ	შ		(ი)	ჴ	ხ	
		ბგერრეული					ჴ									
		მოწთოლილი								რ						

ჰ. ფოგტი

	ხშულები, ნახევრადხშულები	სპირანტები და ფრიკატივები	სონანტები
ლაბიალური	ბ ფ პ	ვ	მ
დენტალური	დ თ ტ		ნ რ ლ
პოსტ-დენტალური	ძ ც წ	ზ ს	
პრეპალეოლარული	ჯ ჩ ჭ	ჟ შ	
პოსტ-პალატალური	გ ქ კ		
ველარული	(ჴ)ყ	ღ ხ	
ლარინგალური		ჰ	

თ. უთურგაიძე

		ლოკალური ნიშნები															
		1	2	3	4	5	6	7									
		ბაგისმიერი	კბილისმიერი	წინაენისმიერი	შუაენისმიერი	უკანაენისმიერი	რბილსასისმიერი	სახმოსიმებისმიერი									
		+	-	-	-	-	-	-	პ	ბ	ფ	მ	ვ				
		-	+	-	-	-	-	-	ტ	დ	თ	ნ	ზ	ს	ლ		
		-	-	+	-	-	-	-	წ	ძ	ც		რ				
		-	-	-	+	-	-	-									
		-	-	-	-	+	-	-	ჭ	ჯ	ჩ		ჟ	შ			
		-	-	-	-	-	+	-	კ	გ	ქ		ღ	ხ		ყ	
		-	-	-	-	-	-	+						ჰ			
ლაპობის ნიშნები	1	ყელხშული							+	-	-	-	-	-	-	+	
	2	ფშვინვიერი							-	-	+	-	-	+	-	-	
	3	გვერდითი							-	-	-	-	-	-	+	-	
	4	ცხვირისმიერი							-	-	-	+	-	-	-	-	
	5	ხშული							+	+	+	-	-	-	-	-	

ბ. ჯორბენაძე

დაბრკოლების რაგვარობა	ხშული	ნაპრალოვანი	ხშულ-ნაპრალოვანი	
დაბრკოლების ადგილი			ორალური	ნაზალური
წყვილბაგისმიერი	ბ-ფ-პ	[უ]		მ
კბილბაგისმიერი	-	[ვ]		-
კბილისმიერი	დ-თ-ტ	-	/ლ/	/ნ/
წინანუნისმიერი	ძ-ც-წ	ზ-ს	/ლ/	/ნ/
შუანუნისმიერი		რ		/ნ/
უკანანუნისმიერი	ჯ-ჩ-ჭ	ჟ-შ	-	/ნ/
რბილსასისმიერი	გ-ქ-კ	ღ-ხ	-	-
ხახისმიერი	[ჴ]-ყ		-	-
ხორხისმიერი	-	ჰ	-	-

ალ. ონიანი

სერია	ბგერაბიაული	დენტალური	ალვეოლარული		პალატალური		ველარული		უვულარული	ლარინგალური
			ხშული	ნაპრ.	ხშული	ნაპრ.	ხშული	ნაპრ.		
მჟღერი	ბ	დ	ძ	ზ	ჯ	ჟ	გ	ღ		
ფშვინვიერი	ფ	თ	ც	ს	ჩ	შ	ქ	ხ		ჰ
მკვეთრი	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ	

ტ. ფუტკარაძე

საწარმოთქმო ადგილი	საწარმოთმო ადგილის როგორობა	ხმის როგორობა			
		მჟღერი	ფშვინვიერი	მკვეთრი	ხმასავსე
წყვილბაგისმიერნი	ხშული	ბ	ფ	პ	-
	ნაპრალოვანი	-	-	-	ვ\უ
ენა-კბილისმიერნი	ხშული	დ	თ	ტ	-
	ნაპრალოვანი	-	-	-	-
წინანუნისმიერნი	ხშული	ძ	წ	ც	-
	ნაპრალოვანი	ზ	ს	-	ლ
შუანუნისმიერი	ხშული	-	-	-	-
	ნაპრალოვანი	-	-	-	რ
უკანანუნის მიერნი	ხშული	ჯ	ჩ	ჭ	-
	ნაპრალოვანი	ჟ	შ	-	-
უკაენისმიერნი	ხშული	გ	ქ	კ	-
	ნაპრალოვანი	-	-	-	-
ხახისმიერნი	ხშული	-	ჰ	ყ	-
	ნაპრალოვანი	ღ	ხ	-	-
ხორხისმიერი	ხშული	-	-	-	-
	ნაპრალოვანი	-	ჰ	-	-
ბაგე-ცხვირისმიერი	ხშული	-	-	-	მ
	ნაპრალოვანი	-	-	-	
ენა-ცხვირისმიერი	ხშული	-	-	-	ნ
	ნაპრალოვანი	-	-	-	

ი. ქობალავა

წარმოების ადგილი \ წარმოების რაგვარობა			ხშულები			აფრიკატები			სპირანტები			სონორები	
			მჟღერი	ყრუ ფშვინვ.	ყრუ აბრუპტ.	მჟღერი	ყრუ ფშვინვ.	ყრუ აბრუპტ.	მჟღერი	ყრუ ფშვინვ.	ყრუ აბრუპტ.		
ლაბიალურები			ბ	ფ	პ				ვ				მ
ენისმიერები	დენტალურები		დ	თ	ტ							ლ	ნ
	ალვეოლარულები	წინა ალვეოლარ.	ა			ძ	ც	წ	ზ	ს		რ	
		უკანა ალვეოლარ.				ჯ	ჩ	ჭ	ჟ	შ			
	ველარულები		გ	ქ	კ				ღ	ხ	ყ		
	ფარინგალური									ჰ			
ლარინგალური										ჰ			
			ორალურები									ნაზა ლურ	

ნაწილი მეორე

მორფოლოგია

თავი I. მორფოლოგიის საგანი
(ზოგადი მიმოხილვა)

ყოველი ენის საფუძველია გრამატიკული წყობა და ლექსიკური ფონდი. ორივე მათგანის საშუალებით ყალიბდება ენის მთლიანი სისტემა, რომელსაც შეისწავლის ენათმეცნიერება.

გრამატიკა ენათმეცნიერების დარგია. იგი, ზოგადად, სწავლობს ენის აგებულების საკითხებს: სიტყვათა შედგენილობას, ფორმასა და ფუნქციას. სხვაგვარად: გრამატიკა არის მოძღვრება ენაში არსებულ სიტყვათა ცვლილებისა და შეკავშირების წესების შესახებ.

ტერმინი „გრამატიკა“ ბერძნული წარმოშობისაა (ამოსავალია **gramma** = ასო, წერილობითი ნიშანი). თავდაპირველი გაგებით, გრამატიკა იყო ხელოვნება, რომელიც ასწავლიდა „სწორ ლაპარაკსა და კანონიერ წერას“, ახალი გაგებით კი, გრამატიკა არის მეცნიერება ამა თუ იმ ენის აგებულების შესახებ.

გრამატიკის ნაწილებია მორფოლოგია და სინტაქსი.

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა შეისწავლის სიტყვის ფორმას, მის ცვლილებასა და ამ ცვლილების კანონზომიერებებს, მაწარმოებელ აფიქსებს, მათს გრამატიკულ მნიშვნელობებს, იკვლევს მეტყველების ნაწილებს.

ტერმინი „მორფოლოგია“ (ბერძნ. **morphe** = ფორმა, სახე, გარეგნობა, **logos** = სიტყვა, ლაპარაკი, მოძღვრება...) სიტყვასიტყვით ნიშნავს მოძღვრებას ფორმის შესახებ. მაშასადამე, მორფოლოგიის საგანია **ს ი ტ ყ ვ ი ს ფ ო რ მ ა**.

1.1. სიტყვა. სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა (ძირი, ფუძე, აფიქსი)

სიტყვა არის ლექსიკური მნიშვნელობის მქონე უმარტივესი ერთეული ენისა. მას ორი მხარე აქვს: გარეგანი (ბგერითი შედგენილობა, ფორმა) და შინაგანი (შინაარსი, სემანტიკა). მორფოლოგია სწავლობს სიტყვის მხოლოდ ფორმას.

მორფოლოგიური თვალსაზრისით ქართულში სიტყვები ორგვარია: ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი.

ფ ო რ მ ა ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი სიტყვა მეტყველებაში გამოიყენება სხვადასხვა ფორმით (წიგნ-ი, წიგნ-მა, წიგნ-ს, წიგნ-ის, წიგნ-ით... ვ-აშენებ, აშენებ-ს, აშენებ-ენ...). ფორმაცვალებადია სახელები და ზმნა, ანუ ბრუნებადი და უღლებადი სიტყვები. ქართულში მათი რიცხვი დიდია.

ფ ო რ მ ა უ ც ვ ლ ე ლ ი სიტყვა ყოველთვის ერთი სახით გვხვდება, ე. ი. ფორმას არ იცვლის, დაუშლელია (გუშინ, აქ, წინ, მიერ, რომ, ხან, მაინც, ეჰ...). მათი რაოდენობა ქართულში შედარებით ცოტაა. ასეთებია: ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული.

ფორმაცვალებადი სიტყვა გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება ფორმაუცვლელი გახდეს და, პირიქით: **მაღალი** ზედსართავი სახელია, მაგრამ მისგან მიღებული **მაღლა** ზმნიზედაა; **ვაი** შორისდებულია, თუმცა სახელის მნიშვნელობით გამოყენებისას იბრუნვის (**ვაის** გავეყარე...) და ა. შ.

ფორმაცვალებადი სიტყვა მორფოლოგიური ანალიზის შედეგად იშლება ნაწილებად. ეს ნაწილებია: ძირი, ფუძე, აფიქსი.

ძ ი რ ი ეწოდება სიტყვის უმარტივეს, საგნობრივი მნიშვნელობის მქონე დაუშლელ ნაწილს. მაგალითად, სიტყვის – **წიგნი** ძირია **წიგნ**. იგი საერთო საყრდენი ნაწილია მისგან ნაწარმოები სხვა სიტყვებისათვის: სა-წიგნ-ე, უ-წიგნ-ო, წიგნ-იან-ი, მ-წიგნ-ობარ-ი, წიგნ-იერ-ი და სხვა.

ფ უ ძ ე ჰქვია სიტყვის იმ ნაწილს, რომელიც ატარებს მოცემული სიტყვის ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობებს. მაგალითად, სიტყვა **ქალი**-ს ფუძეა **ქალ-**, **ქალური**-ს

ფუძეა **ქალურ-** (**ი** კი ორივე შემთხვევაში საგნობრივ მნიშვნელობას არის მოკლებული და ფუძეს უპირისპირდება).

ფუძე შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს მარტივი (სახლ-ი), რთული (ვაჟკაც-ი) ან ნაწარმოები (მე-ბაღ-ე) (ფუძის შესახებ იხ. აგრეთვე, გვ. 123-124).

ა ფ ი ქ ს ი ჰქვია ფუძესა და ძირზე დართულ ყოველგვარ ელემენტს. ქართულად მისი შესატყვისი ტერმინია „სართი“ (თავსართი, ბოლოსართი). მეორენაირად მას **მორფემას** ანუ **ფორმანტს** უწოდებენ. ფართო გაგებით, მორფემა არის სიტყვის ნაწილი (სუფიქსი, პრეფიქსი, ფუძე, ძირი), რომელსაც აქვს ლექსიკური ან გრამატიკული მნიშვნელობა.

1.1.1. აფიქსთა კლასიფიკაცია

აფიქსებს აჯგუფებენ ადგილისა და ფუნქციის მიხედვით.

ა დ გ ი ლ ი ს მიხედვით აფიქსი შეიძლება იყოს პრეფიქსი, სუფიქსი და ინფიქსი.

პ რ ე ფ ი ქ ს ი ისეთი აფიქსია, რომელიც წინ უძღვის სიტყვის ძირს:

მ: მ-აჩაბელი, მ-ეგრელი, მ-კერავი...

ვ: ვ-წერ, ვ-აშენებ, ვ-ცხოვრობ, ვ-უქარგავ...

გ: გ-აძლევს, გ-ესაუბრება, გ-თხოვს...

პრეფიქსის შესატყვისი ქართული ტერმინია „თავსართი“.

ს უ ფ ი ქ ს ი ჰქვია ისეთ აფიქსს, რომელიც მოთავსებულია ძირეული მორფემის შემდეგ:

-ი: წიგნ-ი, სახლ-ი, ქალაქ-ი...

-მა: ადამიან-მა, ბავშვ-მა, მატარებელ-მა...

-ს: მზე-ს, მეგობარ-ს, ხე-ს... წერ-ს, ამზადებ-ს...

-იან: მზ-იან-ი, ქუდ-იან-ი, ჩრდილ-იან-ი...

სუფიქსის შესატყვისი ქართული ტერმინია „ბოლოსართი“, უცხოურად მას „პოსტფიქსსაც“ უწოდებენ.

ი ნ ფ ი ქ ს ი ჩაერთვის სიტყვის ფუძეს. ინფიქსური წარმოება ქართულში იშვიათია (იგი დამახასიათებელია ინდონეზიური ენებისათვის); მხოლოდ ზოგიერთ სიტყვაში იქცევა ფუძისეული ბგერა ფონეტიკური ცვლილების შედეგად ინ-

ფიქსად: კვლა (< კლავს), ხვნა (< ხნავს), ხვრა (< ხრავს), ძვრა (< ძრავს)...

ხშირად სიტყვის ძირს ერთდროულად ერთვის ორ-ორი აფიქსი: პ რ ე ფ ი ქ ს-ს უ ფ ი ქ ს ი, რომელთაც აქვთ მხოლოდ ერთი გრამატიკული მნიშვნელობა, ანუ ერთი ფუნქცია, მიუხედავად იმისა, რომ მორფემა ორია: მე-კარ-ე, სა-თვალ-ე, უ-ქუდ-ო... პრეფიქს-სუფიქსის აღსანიშნავად გამოიყენება აგრეთვე ტერმინები: „კონფიქსი" || „ცირკუმფიქსი", რაც ნიშნავს „თანააფიქსს", „ერთად აღებულს".

პრეფიქსების საშუალებით მიიღება პრეფიქსული წარმოება, სუფიქსების საშუალებით – სუფიქსური, ხოლო კონფიქსის დართვით – პრეფიქს-სუფიქსური.

თანამედროვე ქართულში ძირითადია სახელთა სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური წარმოება; მხოლოდ (ოდენ) პრეფიქსული – შედარებით მცირეა, თუმცა, როგორც სამართლიანად მიუთითებენ სპეციალისტები (ვ. ბერიძე, არნ. ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე, გ. ბურჭულაძე, გ. გოგოლაშვილი...), იგი ქართულისათვის ბუნებრივია და საკმაოდაც გავრცელებული. მეტიც: ქართული სახელებისათვის თავდაპირველად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ოდენპრეფიქსული წარმოება. ამ პრეფიქსებს გრამატიკული კლასის ნიშნებად მიიჩნევენ.

შენიშვნა: ქართველურ ენათა განვითარების ადრეულ საფეხურზე გრამატიკული კლასების არსებობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში (ივ. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ქ. ლომთათიძე, გ. როგავა...) ნავარაუდევია, რომ, სანამ სახელს გაუჩნდებოდა რიცხვისა და ბრუნვის კატეგორიები, მანამდე იგი განირჩეოდა გრამატიკული კლასების მიხედვით. არსებობდა **ადამიანისა** და **ნივთის** კლასები. პირველს მიეკუთვნებოდა მხოლოდ ზრდასრული ადამიანი – პიროვნება, დაესმოდა კითხვა **ვინ?** ნივთის კლასში გაერთიანებული იყო ყველა სხვა სახელი (სულიერი და უსულო), დაესმოდა კითხვა **რა?** სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დღეს ქართულში **ვინ** მხოლოდ ადამიანის კითხვაა, **რა** კი – ყველა დანარჩენისა. უძველესი ქართულის ეს ვითარება დღემდეა შემორჩენილი ზოგიერთ სიტყვაში. მაგალითად, კლას-კატეგორიების ხანაში

ბავშვი (რომელიც ჯერ კიდევ არაა სრულასაკოვანი, პიროვნება) ნივთის კლასს ეკუთვნოდა, შესაბამისად, დაესმოდა კითხვა **რა.** დღესაც ახალდაბადებულ ბავშვთან მიმართებით იტყვიან: რა შეეძინა? რა ეყოლა: გოგო თუ ბიჭი?

არნ. ჩიქობავას აზრით, ადამიანის კლასის ნიშნები უნდა ყოფილიყო **მ-, ვ-** პრეფიქსები, ნივთის კლასისა კი – **ს-, ნ-, ბ-, დ-, თ-, რ-.** მოგვიანებით, როცა გრამატიკული კლასები მოიშალა, მათ სხვა ფუნქციები შეიძინეს, ზოგიც ფუძეს შეეზარდა... სხვაგვარად რომ ვთქვათ, სათანადო ნიშნები (**ვ, მ, ნ, ს, ბ, რ**) მოიპოვება სახელსა და ზმნაში შეცვლილი ფუნქციით: **ვ**-წერ, **მ**-ხატავს, **მ**ეგრელი, **ბ**ავშვი...). თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში გრამატიკულ კლას-კატეგორიებთან დაკავშირებით განსხვავებული აზრიც არსებობს: თ. გამყრელიძე სარწმუნოდ არ მიიჩნევს პრექართველურისთვის ამ კატეგორიის არსებობას და მიუთითებს, რომ კლას-კატეგორიის ნიშნებად ჩათვლილ მაწარმოებლებს სხვაგვარი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.

ფ უ ნ ქ ც ი ი ს ანუ **დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს** მიხედვით აფიქსი შეიძლება იყოს **ფორმათსაწარმოებელი** (დამოკიდებულების აღმნიშვნელი), **მნიშვნელობისმცვლელი** (წარმოსაქმნელი) და **გარდამავალი ტიპისა.**

ა) ზოგჯერ აფიქსის საშუალებით იცვლება მხოლოდ გრამატიკული ფორმა, მაგრამ ლექსიკური მნიშვნელობა იგივეა. სიტყვის ასეთ ცვლას **მიმოხრა** ანუ **ფლექსია** ჰქვია, ამგვარ აფიქსებს კი – ფ ო რ მ ა თ ს ა წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი ანუ მ ი მ ო ს ა ხ რ ე ლ ი. გარდა ამისა, მათი საშუალებით მყარდება სიტყვებს შორის დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ანუ გარკვეული მიმართება. მაგალითად, „მთებმა დახუჭეს თვალები“ (ვაჟა). ამ წინადადებაში **-მა** და **-ი** აფიქსებით დამყარდა მიმართება ზმნასთან. დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსებია ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი.

ბ) სახელის მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს მ ც ვ ლ ე ლ ი ანუ ს ა დ ე რ ი ვ ა ც ი ო (წარმოსაქმნელი) აფიქსებია: **-ურ, -იან, -ელ, -ოსან, მე-ე, მე-ურ, სა-ე, უ-ო, უ-ურ**... მაგალითად: კაც-ი >

კაც-ურ-ი, ქვა > ქვ-იან-ი, ქალაქ-ი > ქალაქ-ელ-ი, გულ-ი > უ-გულ-ო, წიგნ-ი > უ-წიგნ-ურ-ი... დერივაციის გზით მიიღება სხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვა.

გ) ზოგიერთი აფიქსი ერთდროულად ორი ფუნქციის მატარებელია, ანუ გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ტიპისაა. ასეთებად მიჩნეულია მრავლობითი რიცხვის ნიშნები სახელებსა (**-ებ, -ნ, -თ**) და ზმნაში (**-თ**). ისინი სიტყვას ფორმასაც უცვლიან და, ნაწილობრივ, მნიშვნელობასაც (შდრ. სახლ-ი – სახლ-ებ-ი; ვ-თბებ-ი – ვ-თბები-თ...).

რადგან ქართული ენა მდიდარია აფიქსებით, ჩვეულებრივ, თითოეულ აფიქსს თითო ფუნქცია შეესაბამება. მაგალითად, **-მა** ბრუნვის ნიშანია, **-იან** – ქონების სახელთა მაწარმოებელი... **ვ-უ-შენ-ებ-დ-ი-თ** ფორმაში ექვსი აფიქსია, ყველას განსხვავებული ფუნქცია აქვს: **ვ-** პირველი სუბიექტური პირის ნიშანია, **უ-** – საობიექტო ქცევისა, **-ებ** – თემის ნიშანი, **-დ** – მწკრივის სავრცობი, **-ი** – მწკრივის ნიშანი, **-თ** – სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი...

ამ თავისებურებიდან გამომდინარე, ქ ა რ თ უ ლ ი მიჩნეულია ა გ ლ უ ტ ი ნ ა ც ი უ რ ი ტ ი პ ი ს ე ნ ა დ.

ტერმინი „აგლუტინაცია“ ლათინურია (**agglutinatio**), რაც ნიშნავს „შეწებებას“, „მიწებებას“, ლინგვისტურად კი აგლუტინაცია არის აფიქსების მექანიკური შეერთება ძირთან ან ფუძესთან ისე, რომ მათი გამოყოფა ადვილია.

როგორც წესი, აგლუტინაციურ ენებში თითო აფიქსი მხოლოდ თითო ფუნქციის მქონეა (ანუ ყოველი მორფემა ერთ გარკვეულ გრამატიკულ მნიშვნელობას გამოხატავს), განსხვავებით ფლექსიური ენებისაგან, რომლებშიც ერთ აფიქსს შეიძლება რამდენიმე ფუნქცია ჰქონდეს ერთდროულად (ანუ ფლექსიის დროს ერთ მორფემაში შერწყმულია ორი ან მეტი გრამატიკული მნიშვნელობა). მაგალითად, **ვ-წერ-თ** ზმნაში ორი აფიქსია: **ვ-** სუბიექტური პირის ნიშანი, **თ-** – მრავლობითი რიცხვისა; რუსულ (ფლექსიურ) ენაში კი იმავე ზმნის **пиш-ем** ფორმაში **ем** აფიქსით გამოიხატება პირიცა და რიცხვიც.

აგლუტინაციურია იბერიულ-კავკასიური, თურქულ-თათრული და უნგრულ-ფინური ენები.

მიუხედავად ქართული ენის ასეთი ბუნებისა, დღეს იშვიათად მაინც გვხვდება გამონაკლისებიც: 1) აფიქსი ერთია, ფუნქცია – ერთზე მეტი (სახელებში **-თ** სუფიქსი აღნიშნავს ბრუნვასაც და მრავლობით რიცხვსაც, **-ეს, -ენ, -ნ, -ან, -ნენ** მესამე სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნებია; ასევე: **გვ-** პრეფიქსი გამოხატავს პირველ ობიექტურ პირსაც და მრავლობით რიცხვსაც... როგორც ფიქრობენ, ამ აფიქსთა თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო მხოლოდ რიცხვის გამოხატვა); 2) აფიქსი ორია, ფუნქცია – ერთი (სა-კლას-ო, მე-ბაღ-ე, მე-ზღვა-ურ-ი...). არნ. ჩიქობავას აზრით, ქართულში სიტყვათა აგებულება აგლუტინაციის პრინციპს ემყარება, სადაც ეს პრინციპი დარღვეულია, ყველგან მეორეულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

მოხმარების მიხედვით აფიქსი ძირითადად ორგვარია: პროდუქტიული და არაპროდუქტიული.

პროდუქტიულია აფიქსი, რომელიც გამოიყოფა სიტყვაში და თანაც აქტიურად აწარმოებს ახალ სიტყვებსა და ფორმებს. იგი მოქმედი აფიქსია. თანამედროვე ქართულში პროდუქტიულია ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები, აგრეთვე ზოგი წარმოსაქმნელი აფიქსი (**სა-ო, -ობა, -იან, მე-ე**...).

არაპროდუქტიული აფიქსი, მართალია, ჯერ კიდევ გამოიყოფა სიტყვაში, როგორც მნიშვნელობის მქონე ელემენტი, მაგრამ მას არ გააჩნია ახალი სიტყვის წარმოების უნარი. შესაბამისად, ასეთ აფიქსთა მოქმედების სფერო ძალზე შეზღუდულია, გადმონაშთის სახით თუ დაიძებნება თითოოროლა სიტყვაში. არაპროდუქტიულია **ნ** (ვი-ნ, მა-ნ), **ხ** (ხ-არ, მო-ხ-ვედი), **სა-ურ** (სა-თაგ-ურ-ი), **ივ** (მხრ-ივ, მარჯვნ-ივ).

უქმია აფიქსი, რომელიც ოდესღაც იხმარებოდა გარკვეული დანიშნულებით, მაგრამ ახლა აღარ გამოიყენება და არც გამოიყოფა მაწარმოებელ ელემენტად. იგი მთლიანად შეეზარდა ფუძეს. ასეთებია **მ** (მაჩაბელი, მეგრელი...), **ედ** (ყბედი, უჯრედი), თუმცა დღეს სამწერლობო ენაში, განსა-

კუთრებით სამეცნიერო-ტექნიკურ ტერმინოლოგიაში, **ედ,** როგორც მაწარმოებელი, კვლავ გამოცოცხლდა, შესამჩნევად გააქტიურდა (თანავარსკვლავედი, ყვავილედი, პწკარედი, წრედი, გრძედი...).

აფიქსის მოხმარების სფეროც არ არის ყოველთვის ერთნაირი. ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იგი შეიძლება იყოს პროდუქტიული ან არაპროდუქტიული. მაგალითად, მრავლობითი რიცხვის ნიშანი **ებ** ძველად შედარებით იშვიათად იხმარებოდა. მაშინ ძირითადი იყო **ნ** და **თ,** დღეს კი პირიქითაა.

შეიძლება მოხდეს აფიქსის ფუნქციის რეინტერპრეტაცია (ხელახალი ინტერპრეტაცია – ფუნქციის შეცვლა). მაგალითად, **ვ** დღეს სუბიექტური პირის ნიშანია, მაგრამ მის თავდაპირველ ფუნქციად ვარაუდობენ ადამიანის კლასის გამოხატვას; სახელებში **თ** სუფიქსი მხოლოდ რიცხვის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ახლა კი ერთდროულად არის ბრუნვისა და რიცხვის ნიშანი. ზოგი მორფემის მნიშვნელობა ამჟამად დაჩრდილულია, მაგალითად: ორ-**მ**-ოცი, ბედ-**ნ**-იერი...

მართალია, ქართული აფიქსებით მდიდარი ენაა, მაგრამ აქაც არის უცხო ენებიდან ნასესხები თითო-ოროლა აფიქსი: **იზმ, ისტ, დან, ხანა, დარ, ანტი...** (კუჭიზმი, კუჭისტი, ჩაიდანი, ქარხანა...). საზოგადოდ, აფიქსების სესხების სიხშირე საფრთხეს უქმნის ენის არსებობას და ამიტომაც იგი ძალზე იშვიათია.

დადგენილია, რომ აფიქსები მომდინარეობენ დამოუკიდებელი სიტყვებისაგან (იმ დროიდან, როცა ენაში არსებობდა მხოლოდ ძირეული სიტყვა, ერთმანეთს არ უპირისპირდებოდა ფუძე და აფიქსი). მაგალითად: ბრუნვის ნიშანი **მა** (შვილმა) მიღებული ჩანს **მან** სიტყვისაგან, **ი** (კაც-ი) – **იგი** ნაცვალსახელისაგან და ა. შ.

ქართულში (როგორც აგლუტინაციური ტიპის ენაში) აფიქსი მნიშვნელოვანი ენობრივი ერთეულია; იგი გრამატიკული კატეგორიის გამოხატვის ძირითადი საშუალებაა.

1.1.2. გრამატიკული კატეგორია

ყოველ სიტყვას თავის სემანტიკურ მხარესთან ერთად შეიძლება ჰქონდეს ერთი ან მეტი გრამატიკული მნიშვნელობა, რომელიც გარკვეული ფორმის საშუალებით არის გადმოცემული. სწორედ გამოხატვის ამ ფორმას ჰქვია **გრამატიკული კატეგორია**.

ა. შანიძის განმარტებით, გრამატიკული კატეგორია არის ცნება, რომლის გამოსახატავად ენას მოეპოვება გარკვეული გრამატიკული საშუალება. მაგალითად, სახელს აქვს ბრუნვის კატეგორია. ეს ნიშნავს, რომ ბრუნვა გამოხატულია გარკვეული ნიშნით (**-ი, -მა, -ს, -ის**...). „გრამატიკული კატეგორია უნდა განიმარტოს, როგორც გრამატიკული სისტემის აგების წესი (კანონზომიერება)“ (ბ. ჯორბენაძე).

გრამატიკულ კატეგორიას აქვს ორი მხარე: გარეგანი და შინაგანი. შინაგანი მხარე მნიშვნელობაა, გარეგანი კი – ფორმა. გრამატიკული ფორმის გარეშე არ არსებობს გრამატიკული მნიშვნელობა.

მაშასადამე, გრამატიკული კატეგორიის ამოსავალი ფორმულა არის გრამატიკული მნიშვნელობა + გრამატიკული ფორმა. გრამატიკული ფორმის არსებით ნიშნად აღიარებულია ოპოზიციურობა. გრამატიკული მნიშვნელობის გადმომცემი ძირითადი საშუალებაა მორფემებით გამოხატული გრამატიკული ფორმა, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გრამატიკული კატეგორიის არსებობისთვის საკმარისადაა ჩათვლილი ოდენ საპირისპირო ფორმების პოვნიერება მაშინაც კი, როცა ეს ფორმა სათანადო აფიქსით არაა გამოხატული (აკ. დავითიანი).

გრამატიკული კატეგორია შეიძლება იყოს მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ური და ს ი ნ ტ ა ქ ს ური. „მორფოლოგიური კატეგორია წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადო აფიქსებით და არა ფუძის მნიშვნელობით (არნ. ჩიქობავა). სხვაგვარად: მორფოლოგიური კატეგორია ყალიბდება თანაზომიან ფორმათა შეპირისპირების ნიადაგზე. ასეთებია: სახელებში – ბრუნვა,

რიცხვი; ზმნაში – პირი, რიცხვი, ქცევა... თითოეული საპირისპირო ფორმა თავისთავად კატეგორიაა. **კაც-ი** სახელობითია, რადგან მის საპირისპიროდ არის **კაც-მა, კაც-ს** და ა.შ.

სინტაქსური კატეგორია ყალიბდება იმის მიხედვით, თუ რა ფუნქცია აქვს სიტყვას წინადადებაში (ქვემდებარე-სუბიექტი, დამატება-ობიექტი...); ისიც შეპირისპირების ნიადაგზეა შექმნილი.

ჩვეულებრივია, რომ ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით დახასიათდეს. მაგალითად, ბავშვებმა – მოთხრობითი ბრუნვა (ნიშანი **-მა**), მრავლობითი რიცხვი (ნიშანი **-ებ**)...

1.2. მეტყველების ნაწილები

1.2.1. მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია

მეტყველების ნაწილებში ერთიანდება სიტყვები, რომელთაც ერთნაირი აქვთ მორფოლოგიური კატეგორიები, ძირითადი მნიშვნელობა და სინტაქსური ფუნქცია.

მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრება ჩამოყალიბდა ანტიკურ ხანაში. მათი პირველი კლასიფიკაცია მომდინარეობს ბერძენი ფილოსოფოსის, **დიონისე თრაკიელის,** „ტექნე გრამატიკედან" (= „საწერაკითხვო ხელოვნება"). მასში დასახელებული იყო რვა მეტყველების ნაწილი: **სახელი, ნაცვალსახელი, ნაწევარი** (ანუ **ართრონი**), **ზმნა, მიმღეობა, ზმნისართი, კავშირი, წინდებული.** ეს კლასიფიკაცია მოგვიანებით გადაიღეს რომაელებმა და გარკვეული შესწორებებით მიუსადაგეს ლათინურს. სწორედ ლათინურის გზით გავრცელდა მეტყველების ნაწილთა ბერძნული კლასიფიკაცია მთელ მსოფლიოში მეტ-ნაკლები ცვლილებით.

ქართული ენის გრამატიკაში მეტყველების ნაწილთა გამოყოფა სათავეს იღებს **ანტონ I**-ის (კათალიკოსის) „ქართული ღრამმატიკიდან", რომელშიც წარმოდგენილია რვა

მეტყველების ნაწილი: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, თანდებული, ზმნიზედა, კავშირი, შორისდებული.

ამ დროიდან მოყოლებული ქართულ გრამატიკებში მეტყველების ნაწილთა დაჯგუფება ძირითადად ხდებოდა ანტონისეული კლასიფიკაციის საფუძველზე მცირეოდენი ცვლილებებით. ანტონი და სხვა ძველი გრამატიკოსები ტერმინ „მეტყველების ნაწილის“ მნიშვნელობით იყენებდნენ „სიტყვის ნაწილს“, რომელიც ბერძნული „მერეტულოგუსის“ („წინადადების ნაწილი“) ზუსტი თარგმანია.

თანამედროვე ქართულ გრამატიკებში ტრადიციულად გამოიყოფა ათი მეტყველების ნაწილი:

არსებითი სახელი: ბავშვი, ჩიტი, წიგნი, ტყე, წყარო, მშვიდობა, კითხვა, განცხადება...

ზედსართავი სახელი: დიდი, თეთრი, ჭკვიანი, უქუდო, გახარებული, მოჭიკჭიკე...

რიცხვითი სახელი: ათი, ორასი, მეორე, მეასედი, ბევრი, ნახევარი...

ნაცვალსახელი: მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, მათი, ვინ, რომელიც, ყველა...

ზმნა: ვხატავ, აშენებენ, იზრდება, ეხმარება, დგას, მიყვარს, აფენია...

ზმნიზედა: აქ, ხვალ, ასე, გვიან, ძალიან...

თანდებული: -ვით, -ზე, -კენ, -გან, -ურთ, -მდე...

კავშირი: და, ან, მაგრამ, კი, თუ, თუმცა, რომ...

ნაწილაკი: არ, ვერ, ნუ, აღარც, თურმე, -ღა, -ოდე...

შორისდებული: ოჰ, ვიშ, ეჰ, ვაშა, აფერუმ...

ძველი ქართულის მიხედვით ასახელებენ თერთმეტ მეტყველების ნაწილს. მეთერთმეტე იყო **ნაწევარი** (კაცი **ესე**, კაცმან **ამან**, კაცსა **ამას**...). მიაჩნიათ, რომ იგი ფუნქციურად ეტოლებოდა ევროპული ენების ა რ თ რ ო ნ ს ანუ ა რ ტ ი კ ლ ს .

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა აღნიშნული, რომ მეტყველების ნაწილთა ტრადიციული (ბერძნულიდან მომდინარე) კლასიფიკაცია ნაკლულია – უნდა იყოს

მხოლოდ მორფოლოგიური, თუმცა არის უპირატესად სემანტიკური; იგი არ ემყარება ერთ საკლასიფიკაციო პრინციპს (ნიშანს). ამიტომაა, რომ ზოგად ლინგვისტიკაში მიღებული დაჯგუფებიდან ხუთი მეტყველების ნაწილი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები, ზმნა, შორისდებული) გამოყოფილია იმის მიხედვით, თუ რას აღნიშნავს, ხოლო დანარჩენი ხუთი (ნაცვალსახელი, ზმნიზედა, თანდებული კავშირი, ნაწილაკი) დახასიათებულია იმის მიხედვით, რა როლს ასრულებს წინადადებაში.

მეტყველების ნაწილები **ფორმის** მიხედვით არის ფორმაცვალებადი ან ფორმაუცვლელი, **შინაარსის** მიხედვით კი – სრულმნიშვნელოვანი ან დამხმარე (არასრულმნიშვნელოვანი). პირველი ხუთი ფორმაცვალებადია, დანარჩენი – ფორმაუცვლელი, პირველი ექვსი სრულმნიშვნელოვანია, დანარჩენი – დამხმარე.

მართალია, ენაში არსებული ყოველი სიტყვა მიეკუთვნება ერთ რომელიმე მეტყველების ნაწილს, მაგრამ ზოგჯერ მაინც ხდება სიტყვის გადასვლა ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში. მაგალითად: **უნდა** არის ზმნა წინადადებაში: ბავშვს დასვენება უნდა, მაგრამ იგივე სიტყვა ნაწილაკია წინადადებაში: ბავშვმა **უნდა** დაისვენოს; **წინ** ზმნიზედაა, ხოლო წინადადებაში: სახლის **წინ** ხე დგას, იგი თანდებულის ფუნქციას ასრულებს.

დამხმარე სიტყვებს აერთიანებენ ფუნქციური ლექსიკის ცალკე ჯგუფად, რადგან მათ არა აქვთ საგნობრივი მიმართების ფუნქცია. ცნობილია, რომ ჩინელი გრამატიკოსები დამხმარე სიტყვებს უწოდებენ „ცარიელ“ სიტყვებს, სრულმნიშვნელოვანებს კი – „სავსეს“. ბ. ფოჩხუას აზრით, დამხმარე სიტყვები თავისთავად არაფრის სახელებს არ წარმოადგენენ. მათი დანიშნულებაა გამოხატონ ურთიერთობა, რომელიც არსებობს სხვა სიტყვებს ან საგნობრივი მიმართების მქონე სიტყვებით აღნიშნულ მოვლენებს შორის.

1.2.2. მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის საკითხი თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში

მეტყველების ნაწილთა რაოდენობის საკითხი, ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, არაერთგვაროვანია: ათი მეტყველების ნაწილის ნაცვლად ზოგი მკვლევარი გამოყოფს ცხრას ნაწილაკის გარეშე (არნ. ჩიქობავა), ზოგი – ექვსს: არსებითს, ზედსართავს, რიცხვითსა და ნაცვალსახელებს, ზმნასა და ზმნიზედას, „შორისდებული, კავშირი, ნაწილაკი და თანდებული არ წარმოადგენს მეტყველების ნაწილს, რადგან ისინი არიან არა პირობითი ნიშნები, არამედ ამ პირობითი ნიშნების (სახელების, ზმნების) გრამატიკული აქსესუარები და დამოუკიდებლად არ არსებობენ“ (გ. მაჭავარიანი, გ. ნებიერიძე); ბ. ჯორბენაძის კლასიფიკაციით კი, რომელიც ძირითადად ემყარება მორფოლოგიურ პრინციპს – ფორმაცვალებადობას, გამოიყოფა ორი მეტყველების ნაწილი: სახელი და ზმნა. სხვაგვარად: ყველა ბრუნებადი სიტყვა სახელია, ყველა უღლებადი სიტყვა ზმნაა.

ბ. ჯორბენაძის დაკვირვებით, სახელები ფორმობრივად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:


ა) არსებითი სახელი (ანუ სუბსტანტივი)

ბ) მსაზღვრელი სახელი (ანუ ატრიბუტივი)

ტრადიციული ზედსართავი, რიცხვითი და ნაწილობრივ – ნაცვალსახელი ამ მეორე ჯგუფში შევა. მსაზღვრელ სახელებში, ანუ ატრიბუტივებში, გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

სახელის ატრიბუტივი (ზედსართავი, რიცხვითი სახელი...)

ზმნის ატრიბუტივი (ზმნიზედა).



რაც შეეხება **ნაცვალსახელს,** ბ. ჯორბენაძე მას ცალკე მეტყველების ნაწილად არ მიიჩნევს. ნაცვალსახელი, რომელიც ცვლის **სუბსტანტივს,** როგორც მეტყველების ნაწილი – სუბსტანტივია (მისი განზოგადებული სახეა), ნაცვალსახელი, რომელიც ცვლის **ატრიბუტივს,** როგორც მეტყველების ნაწილი – რჩება ატრიბუტივად.

ტრადიციული სისტემის ფარგლებში სახელზმნის ადგილი სადავო იყო... ამ ახალი კლასიფიკაციით საწყისი და მიმღეობა სუბსტანტივისა და ატრიბუტივის ჯგუფებში განაწილდება.

თანდებულისა და **ნაწილაკის** მეტყველების ნაწილად გამოყოფა ვერ ეგუება სიტყვის ენათმეცნიერულ განსაზღვრას; ფაქტობრივ, თანდებული და ნაწილაკი (და ძველი ქართულისთვის – ნაწევარი) არსებითად არის მორფემა (ნაწევარი კი – მორფემოიდი);

შორისდებული ლექსიკოლოგიური ცნებაა და ამიტომაც ლექსიკოლოგიაში უნდა იქნეს განხილული, ხოლო მორფოლოგიურად იგი ან სახელის ფუძედ იქცევა (ვაის გავეყარე, უის შევეყარე...), ან ზმნისა (ვიშობს, ვაგლახებს...);

კავშირი სინტაქსური ცნებაა და სინტაქსში უნდა იქნეს განხილული; **ზმნიზედა** ზმნის მსაზღვრელია... სინამდვილეში ზმნიზედა ფორმაცვალებადი სიტყვაა (ბ. ჯორბენაძე).

ბ. ჯორბენაძის კლასიფიკაცია თეორიულად გამართლებულად მიგვაჩნია, რადგან მოხსნის მეტყველების ნაწილებთან დაკავშირებულ ბევრ პრობლემას, მაგრამ ამჯერად სახელმძღვანელოს ტიპის ნაშრომში ძირითადად მაინც ტრადიციულ დაჯგუფებას გავუწიეთ ანგარიში და მეტყველების ნაწილები ცალ-ცალკე განვიხილეთ.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (II რედაქცია – 1767), თბ., 1997.
ბურჭულაძე გ., სახელის ოდენპრეფიქსული წარმოება ქართულში: ქელს, თბ., 1971, №2.
გამყრელიძე თ., რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000.
გოგოლაშვილი გ., სახელთა პრეფიქსული წარმოება ქართულში: ქელს, 1975, №3.
გოგოლაშვილი გ., მორფოლოგია – ზოგადი საკითხები: **თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა** (გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), თბ., 2011.
დავითიანი ა., სახელზმნათა ადგილისათვის მეტყველების ნაწილთა სისტემაში: ქელს, თბ., 1975, №2.
ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.
თოფურია ვ., მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში: „ახალი სკოლისაკენ", წერილი I, №11-12, 1929; წერილი II, „კულტურული აღმშენებლობა", №7-8, 1930.
თოფურია ვ., ქართული ენა, განაკვ. I-IV, თბ., 2000.
კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.
ონიანი ალ., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.
ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.
სტურუა ნ., სიტყვა როგორც ენობრივი ერთეული, თბ., 1975.
ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.
ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
ფოცხიშვილი ალ., ნარკვევები მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის ისტორიიდან, თბ., 1960.
ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; II გამოც., 2008.
ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.
ჯავახიშვილი ივ., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937; II გამოც., თხზ., ტ. X, 1992.
ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

თავი II. არსებითი სახელი

2.1. არსებითი სახელის რაობა. მისი მნიშვნელობა

არსებითი სახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგანს. მისი ძირითადი ნიშანია საგნობრიობის გამოხატვა, ე.ი. არსებით სახელთა დიდი ნაწილი მიუთითებს ისეთ რაიმეზე, რაც რეალურად არსებობს (აქედანაა მიღებული ტერმინი „არსებითი სახელი“), თუმცა ზოგჯერ იგი აღნიშნავს არარსებულსაც (ჯადოქარი, მფრინავი ხალიჩა, დევი...). არსებითი სახელის კითხვებია: **ვინ** და **რა.**

არსებითი სახელი სინტაქსურად წინადადებაში შეიძლება იყოს:

ქვემდებარე: **ბავშვი** თამაშობს...

დამატება: მხატვარი ხატავს **სურათს**...

განსაზღვრება: **ხის** სახლი...

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი: ის **სტუდენტია / სტუდენტი** არის...

გარემოება: **ქალაქში** ცხოვრობს...

ევროპულ ენებთან შედარებით ქართულში არსებითი სახელი უფრო მარტივია, რადგან მას აქვს მხოლოდ ორი გრამატიკული კატეგორია – ბრუნვა და რიცხვი, არ გააჩნია სქესის კატეგორია, რომელიც ევროპული ენების სახელებისათვის ძირითადი ნიშანია.

მრავალ ენაში არსებობს სქესის გრამატიკული კატეგორია. იგი რეალურ სქესს არ ასახავს, ამიტომაა, რომ ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სქესს მიეკუთვნება. მაგალითად, ქართული „წიგნის“ შესატყვისი რუსული **книга** მდედრობითი სქესისაა, გერმანული **das Buch** – საშუალოსი.

საზოგადოდ, ს ქ ე ს ი არის საგანთა სახელების ერ-

თგვარი ფორმალური კლასიფიკაცია. სახელთა ამგვარი კლასიფიკაცია სხვადასხვა ენაში შეიძლება სხვადასხვაგვარად მოხდეს. მაგალითად, ინდოევროპულსა და სემიტურ ენებში მისი საფუძველია ცოცხალისა და არაცოცხალის დაპირისპირება, იბერიულ-კავკასიურ ენებში კი – ადამიანისა და ნივთის კლასების გარჩევა. შესაბამისად, ზოგ ენაში (რუს., გერმ., ინგლ.) გრამატიკული სქესი სამია, ზოგში (ფრანგ., არაბ.) – ორი.

ქართულს არ ახასიათებს გრამატიკული სქესის კატეგორია, თუმცა ევროპული ენების გავლენით და, რაც მთავარია, ბერძნული წყაროების ქართულად თარგმნისას შინაარსის მეტი სიზუსტით გადმოსაცემად ელინოფილური მიმართულების თარგმანებში, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“, ანტონ კათალიკოსისა და სხვათა ნაშრომებში შეიმჩნეოდა ცდა, გრამატიკულადაც გამოხატულიყო მდედრობითი სქესი... ეს ტენდენცია უფრო გაძლიერდა XVIII-XIX საუკუნეებში რუსული ენის ზეგავლენით. მდედრობითი სქესის აღსანიშნავად გამოიყენებოდა **-ა, -ნა (-ინა)** სუფიქსები; შესაბამისად, გვხვდებოდა ფორმები: მეფ-ა, ღმერთ-ა, ხელმწიფ-ა, მთავრ-ინა, თავად-ინა... მაგრამ, კ. დანელიას აზრით, სამწერლობო ქართულმა არ მიიღო ის, რაც ცოცხალი, სალაპარაკო ქართულის ბუნებრივი სტრუქტურისათვის შეუთავსებელი იყო.

2.2. არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფები

2.2.1. არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფების ტრადიციული კლასიფიკაცია

არსებითი სახელი ხასიათდება შინაარსისა და ფორმის მიხედვით.

შინაარსის მიხედვით გამოიყოფა არსებითი სახელის ჯგუფები: ვინ და რა ჯგუფის სახელები (ადამიანთა და არა-

ადამიანთა აღმნიშვნელი), სულიერთა და უსულოთა, კონკრეტული და აბსტრაქტული, საკუთარი და საზოგადო, კრებითი, ნივთიერებათა და მოქმედების სახელები.

ვინ ჯგუფისაა ძირითადად ღვთაებათა, ადამიანის, მითოლოგიურ არსებათა და ზღაპრულ პერსონაჟთა სახელები (ღმერთი, ანგელოზი... კაცი, ქალი, ბავშვი... პრომეთე... დევი...). მათი კითხვაა **ვინ?**

რა ჯგუფისაა ადამიანის გარდა ყველა დანარჩენი სახელი, სულიერიცა და უსულოც (ჩიტი, ძაღლი, თევზი, სახლი, ხე...). მათი კითხვაა **რა?**

ეს შინაარსობრივი ჯგუფი ევროპულ ენებში ცალკე სახედ არ გამოიყოფა, რადგან ამ ენებში **ვინ** კითხვა დაესმის ყველა სულიერს, **რა** – ყველა უსულოს.

სულიერ საგანს საკუთარი ძალით მოძრაობა შეუძლია (ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, მწერი...), უსულოკი საკუთარი ძალით ვერ გადაადგილდება (მთა, მაგიდა, ქვა, წიგნი, სკამი...).

ზოგიერთი სახელი ერთ შემთხვევაში შეიძლება სულიერი იყოს, სხვა შემთხვევაში – უსულო. მაგალითად, **ნიანგი** სულიერია, როცა ცხოველს აღნიშნავს, მაგრამ უსულოა, თუკი ჟურნალის სახელწოდებაა (ჟურნალი **„ნიანგი“**). ხდება პირიქითაც: ზოგიერთი უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელი გარკვეულ შემთხვევაში გათანაბრებულია სულიერთან: მას ახალი ავტომანქანა ჰყავს (შდრ. მეზობელს თეთრი ცხენი ჰყავს). ამგვარი ფორმები სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულია და მართებულად არის მიჩნეული. ქართულმა ენამ ავტომანქანა (მაგრამ არა ყოველგვარი მანქანა), აგრეთვე თვითმფრინავი, ველოსიპედი... – მოძრავი, მოსიარულე საგანი გაუთანაბრა სულიერ საგანს, თუმცა საქართველოს ზოგ კუთხეში ამბობენ: „ავტომანქანა აქვს“ (გ. შალამბერიძე).

საკუთარია სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელიმე საგანს. ასეთებია: ადამიანის (პირის) სახელები, გვარები, ცხოველებზე შერქმეული სახელები, წიგნების, ჟურნალ-გა-

ზეთების, დაწესებულებების, გეოგრაფიული და პლანეტების სახელები (თამარი, აბაშიძე, წერეთელი... ყურშა, ლურჯა... ჟურნალი „განთიადი“, თბილისი, მარსი...).

ს ა ზ ო გ ა დ ო ა სახელი, რომელიც ჰქვია მრავალ ერთნაირ საგანს (ბავშვი, ქალაქი, საათი, მდინარე, კალამი...).

შეიძლება საზოგადო სახელი იქცეს საკუთარ სახელად: ია, ნუკრი, გუგული საზოგადოა პირდაპირი მნიშვნელობით (მცენარის, ცხოველისა და ფრინველის სახელები), მაგრამ საკუთარია, როცა ადამიანს ჰქვია. მეორე მხრივ, ბოიკოტი, მეცენატი, ხულიგანი, ნაგანი... წარმოშობით გვარებია, დღეს კი საზოგადო სახელებად მიიჩნევა.

კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ა სახელი, თუ ის აღნიშნავს ისეთ საგანს, რომელსაც ნივთიერი სახე აქვს: ფანქარი, მაგიდა, მთა... ანუ: კონკრეტული სახელი აღნიშნავს კონკრეტულ საგნებს, ფაქტებსა და მოვლენებს. ასეთივეა არამატერიალურ საგანთა სახელებიც (დრო, საუკუნე, მიზანი, ფიქრი, დარდი...).

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ა სახელი, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია. მას წარმოვიდგენთ განყენებულად, აბსტრაქციაში: მშვენიერება, სითეთრე, გულადობა, ვაჟკაცობა... სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ჯგუფის სახელებს ნაწარმოებ, მოტივირებულ სიტყვებად მიიჩნევენ. ისინი მხოლობითის ფორმით აღნიშნავენ განყენებულ საგან-ცნებებს.

კ რ ე ბ ი თ ი სახელი აღნიშნავს ერთგვარ საგანთა კრებულს, რომელიც ერთი მთლიანობაა და წარმოდგენილია მხოლობითის ფორმით. იგი არის პ ი რ ვ ე ლ ა დ ი (ერი, ხალხი, გუნდი, ფარა, ჯოგი, რემა...) ან ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი (მეზობლობა, გლეხობა, ნაძვნარი, შალეული, ვერცხლეული...).

ამ ჯგუფის სახელთაგან, კონტექსტის მიხედვით, ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება იყოს: ა) კრებითი ან არაკრებითი – ერთი კონკრეტული საგნის აღმნიშვნელი (**ცხვარი** მთას შეეფინა, შდრ. **ცხვარი** დაკლეს); ბ) კრებითი ან აბსტრაქტული (**სტუდენტობა** დღეს ზეიმობს გამარჯვებას, შდრ. **სტუდენტობა** ტკბილად გავატარე). ასეთი სახელებია აგრეთვე: ბავშვობა, ახალგაზრდობა და ა. შ.

ნ ი ვ თ ი ე რ ე ბ ა თ ა სახელი აღნიშნავს ერთგვარ ნივთიერებას, რომლის დანაწილება, აწონა, გაზომვა შეიძლება, მაგრამ მათი დათვლა და ცალკეულ ერთეულებად წარმოდგენა არ ხერხდება. ასეთებია: მინერალების, მეტალების, ქიმიური ელემენტების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ქსოვილების, პროდუქტებისა და სხვათა სახელები: ოქრო, რკინა, წყალი, ფქვილი, ჰაერი...

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს სახელი ჰქვია მოქმედების ან მდგომარეობის გამომხატველ სიტყვებს, რომელთაც პირის გაგება არ გააჩნიათ: ხატვა, წერა, დგომა, წოლა... მშენებელი, მოთამაშე, მჯდომარე...

2.2.2. არსებით სახელთა შინაარსობრივი დაჯგუფების საკითხი თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზისაა აღნიშნული, რომ ტრადიციულ გრამატიკებში არსებით სახელთა შინაარსობრივი ჯგუფების (რომელთა შორის ზოგი წყვილეულია, ზოგი – ცალეული) გამოყოფის პრინციპი ძირითადად ემყარება სიტყვის სემანტიკასა და სინტაქსურ ფუნქციას, რაც, თავის მხრივ, გარკვეულად აძნელებს მორფოლოგიაში სახელთა ზუსტ დიფერენცირებას და აჩენს არაერთ წინააღმდეგობას საკითხის თეორიული თუ პრაქტიკული სწავლების ასპექტით (ამგვარ სირთულეებზე ჩვენ აქამდეც მივუთითებდით: ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992, გვ. 19-20).

აღნიშნული პრობლემა ახლებურად არის გადაწყვეტილი ბ. ჯორბენაძის „ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა შ ი“ (თბ., 1995). ავტორი ტრადიციული 10 ჯგუფის ნაცვლად ფორმაწარმოებისა და სინტაქსური ურთიერთობის საფუძველზე გამოყოფს არსებით სახელთა სამ შინაარსობრივ ჯგუფს. ესენია:

1. ვინ და რა ჯგუფის არსებითი სახელები
2. სულიერი და უსულო არსებითი სახელები

3. საზოგადო და საკუთარი არსებითი სახელები.

მიგვაჩნია, რომ ამგვარი კლასიფიკაცია გააადვილებს საკითხის თეორიული მხარის შესწავლას და, შესაბამისად, პრაქტიკულადაც ნაწილობრივ მაინც მოხსნის ამ მიმართებით თავჩენილ სირთულეებსაც.

ბ. ჯორბენაძის ამ მოსაზრების ერთგვარი გაგრძელება ჩანს ნ. ჯორბენაძის მიერ შემოთავაზებული ვარაუდი (სქემა), რომლის მიხედვით, არსებით სახელთა ზემოდასახელებული სამი ჯგუფის გარდა, ცალკე – მეოთხე სახედ შეიძლება გამოიყოს **აბსტრაქტული სახელები:**

1. არანივთიერი სახის მქონე (ტრადიციულად აბსტრაქტულს რომ უწოდებენ)
2. ნივთიერებათა
3. კრებითი
4. მოვლენის აღმნიშვნელი.

მკვლევრის დაკვირვებით, ამგვარ სახელთა ძირითადი თავისებურება ისაა, რომ მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოებათ, რაც, თავის მხრივ, მათი ერთ ჯგუფში – ზოგადად აბსტრაქტულ სახელებში – გაერთიანების საფუძველი უნდა იყოს; მეორე მხრივ, რამდენადაც სახელებისათვის ბრუნვასთან ერთად რიცხვიც სრულუფლებიანი მორფოლოგიური კატეგორიაა, ამდენად, არსებით სახელთა შინაარსობრივი დაჯგუფებისათვის რიცხვსაც უნდა გაეწიოს ანგარიში.

არსებით სახელთა ერთი წყვილეული შინაარსობრივი ჯგუფის – კონკრეტული და აბსტრაქტული სახელების – კვალიფიკაციასთან დაკავშირებით არსებობს თ. მახარობლიძის მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, შესაძლებელია ამ ქვეჯგუფში ცალკე გამოიყოს:

1) კონკრეტული სახელები

2) აბსტრაქტული სახელები

3) შუალედური ანუ კონტექსტური ფორმები.

ავტორის აზრით, მესამე ჯგუფში შევა ის არსებითი სახელები, რომლებიც მხოლოდ კონტექსტში პასუხობენ კითხვას – კონკრეტულია თუ აბსტრაქტული? ასეთებია:

ა) **ობა** სუფიქსით ნაწარმოები ფორმები (სტუდენტობა, ახალგაზრდობა...); ბ) გემო, სუნი, ფერი, ტკივილი, ბგერა (ხმა), ადგილი (რაც მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში ხდება კონკრეტული). მაგალითად, ზოგადად „სუნი“ აბსტრაქტულია, მაგრამ „იასამანის სუნი“ კონკრეტულია.

2.3. არსებით სახელთა ბრუნება

2.3.1. ბრუნვები და მათი ნიშნები

არსებითი სახელი ფორმაცვლებადი სიტყვაა. იგი წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა ფორმით, მაგრამ ისე, რომ ლექსიკური მნიშვნელობა ყველას ერთი ჰქონდეს: ხელ-ი, ხელ-მა, ხელ-ს, ხელ-ის, ხელ-ით, ხელ-ად, ხელ-ო. თითოეული ეს ფორმა არის ბრუნვა.

ბრუნვა ეწოდება გრამატიკულ ფორმას, რომლითაც სახელი ამყარებს მიმართებას სხვა სახელთან ან ზმნასთან. მაგალითად, მთის ჰაერი; სტუდენტმა გამოცდა ჩააბარა. პირველ შესიტყვებაში აუცილებელია მ თ ი ს ფორმა მომდევნო სახელთან დასაკავშირებლად, მეორე შემთხვევაში კი – ს ტ უ დ ე ნ ტ მ ა ზმნასთან მიმართების გამოსახატავად.

იმ ფორმანტს, რომელიც დაერთვის სახელს და მას ბრუნვის ფორმას აძლევს, **ბრუნვის ნიშანი** ჰქვია.

მაშასადამე, ტრადიციული კვალიფიკაციით, ბრუნვა არის გრამატიკული კატეგორია, რომელიც აღინიშნება სათანადო (ბრუნვის) ნიშნით. როგორც წესი, ყოველ ენაში თითოეული ბრუნვა განიხილება მორფოლოგიური, სინტაქსური ან სემანტიკური ასპექტით. მორფოლოგიური ასპექტი გულისხმობს ბრუნვის მორფოლოგიურ სტრუქტურას, სინტაქსური – ფუნქციას, სემანტიკური – მნიშვნელობას. სხვაგვარად: რამდენადაც მორფოლოგიური ანალიზის ძირითადი მიზანია სიტყვის ფორმისა და მისი ცვლილებების კანონზომიერებათა შესწავლა, ამდენად, მორფოლოგიური ანალიზისათვის აუცილებელია ფორმის სინტაქსური და სემანტიკური ფაქტორების გათვალისწინებაც (ბ. ჯორბენაძე).

• **მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ა ს პ ე ქ ტ ი**

სახელის ცვლას ბრუნვათა მიხედვით **ბრუნება** ჰქვია. ქართულში ბრუნება ერთია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა სახელი ერთნაირად იცვლება – ძირითადად ერთნაირ ნიშანს დაირთავს ამა თუ იმ ბრუნვაში. მაგალითად, მიცემითში ყველა სახელს **-ს** ნიშანი აქვს. ამ მხრივ ქართული მკვეთრად განსხვავდება ევროპული ენებისაგან, სახელდობრ, რუსულისაგან, რომელშიც ბრუნება გარჩეულია სქესისა და რიცხვის კატეგორიების მიხედვით და, შესაბამისად, ბრუნვის ნიშნებიც სხვადასხვაა.

ტრადიციულ ქართულ გრამატიკებში გამოიყოფა შვიდი ბრუნვა.

ახალი ქართულის ბრუნვები და ბრუნვის ნიშნებია:

სახელობითი – -ი
მოთხრობითი – -მა, -მ
მიცემითი – -ს(ა)
ნათესაობითი – -ის(ა), -ს(ა), -ს(ი)
მოქმედებითი – -ით(ა), -თ(ი)
ვითარებითი – -ად(ა), -დ(ა)
წოდებითი – -ო, -ვ

შენიშვნა: მორფოლოგიურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მართებულად მიაჩნიათ, ახალ ქართულშიც, ძველის მსგავსად, მერვე ბრუნვად გამოიყოს ნულოვანი მორფემით წარმოდგენილი **გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ო ბ ი თ ი** ბრუნვა (კ. გაბუნია).

ვარაუდობენ, რომ ზოგი ბრუნვის ნიშანი ნაცვალსახელური წარმოშობისაა, ზოგიც ისტორიულად გრამატიკული კლასის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი **პ ი რ დ ა პ ი რ** ბრუნვებად იწოდება, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი – **ი რ ი ბ** ბრუნვებად. სახელობითი, ნათესაობითი და მიცემითი ყველა ენაში გვხვდება, ამიტომ უწოდებენ მათ **ძ ი რ ი თ ა დ** ბრუნვებს.

ქართულში ყველაზე ძველია მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვები; ქრონოლოგიურად შემდეგ მოდის მოქმედები-

თი, ვითარებითი და მოთხრობითი; შედარებით ახალი ბრუნვებია სახელობითი და წოდებითი. ქართულისა და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიური ენებისათვის სპეციფიკურია მოთხრობითი ბრუნვა (აქვს ბასკურსაც, მაგრამ არ გააჩნია სხვა ევროპულ ენებს). იგი ქართულ გრამატიკაში დაამკვიდრა ანტონ I-მა და ტერმინიც მანვე შემოიღო. ა. შანიძის აზრით, ტერმინი „მოთხრობითი“ პირობითია. იგი არ შეესატყვისება გადმოსაცემ შინაარსს. ამიტომ ამ ბრუნვის სახელწოდებად უფრო მართებული იქნებოდა „მოქმედებითი“.

ქართულში ბრუნვათა სახელწოდებები ძირითადად ევროპულ ენათა გრამატიკების მიხედვითაა შექმნილი.

„სახელობითი“ არის ბერძნული „ნომინატივისა“ და ლათინური „ნომინატივუსის“ ქართული თარგმანი;

„მოთხრობითი“ ქართული ტერმინია, უცხოურად მას „ერგატივს“ (ბერძნ. Ergates – მოქმედი პირი) უწოდებენ, რადგან მიუთითებს მოქმედზე, აქტიურ პირზე;

„მიცემითი“ ბერძნული „დოტიკესა“ და ლათინური „დატივუსის“ შესატყვისია;

„ნათესაობითი“ შეესაბამება ბერძნულ „გენიკესა“ და ლათინურ „გენეტივუსს“;

„მოქმედებითი“ არის ლათინური „ინსტრუმენტალისის“ (= „საჭურველობითი“) თარგმანი;

„ვითარებითი“ შექმნილია ქართულ ნიადაგზე, დაამკვიდრა ა. შანიძემ;

„წოდებითი“ მიღებულია ბერძნული „კლეტიკესა“ (ნიშნავდა „საწოდებოს“) და ლათინური „ვოკატივუსისაგან“.

ბრუნვათა სახელები პირობითია, ზედმიწევნით ზუსტად ვერ ასახავს შესაბამის სემანტიკას.

ბრუნვათა სისტემა ყველა ენაში ერთნაირად არაა განვითარებული, ამიტომ ენები განსხვავდება ბრუნვათა რაოდენობითაც. მაგალითად, ახალ ქართულში ტრადიციულად გამოიყოფა შვიდი ბრუნვა, რუსულში – ექვსი, ინგლისურში – ორი; იტალიურში საერთოდ არაა ბრუნვა (ასეთივე ვითარე-

ბაა სპარსულში); აფხაზურში ძირითადი ბრუნვებია ნათესაობითი და მიცემითი, მოთხრობითი არ არის გარჩეული.

ბრუნვათა რაოდენობის მიხედვით სხვაობა თავს იჩენს ერთი და იმავე ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზეც: დროთა ვითარებაში შეიძლება მოიშალოს ბრუნვა ან მისი ფუნქცია სხვა ბრუნვას გადაეცეს და, პირიქით, წარმოიქმნას ახალი. მაგალითად, უძველეს ქართულში უნდა ყოფილიყო **-ივ** სუფიქსით ნაწარმოები ბრუნვა, რომლის ფორმები (მარჯვნივ, მარცხნივ, ირგვლივ, ღმრთივ...) ნაშთის სახითაა მოღწეული ძველ ქართულშივე. ეს ბრუნვა მიაჩნიათ მოქმედებითის ერთ-ერთ სახეობად (დ. მაჭავარიანი). ასევე: ძველ ქართულში იყო წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი ბრუნვა, რომელიც ნიშანს არ დაირთავდა. ვ. თოფურიას აზრით, წრფელობითი უძველესი წარმოშობისაა, გადმონაშთია ქართული ენის განვითარების იმ საფეხურისა, როცა ბრუნვათა სისტემა ჩამოყალიბებული არ იყო და, შესაბამისად, სიტყვაში ბრუნვის ნიშანიც არ გამოიყოფოდა. მოგვიანებით წრფელობითი, როგორც ბრუნვა, მოიშალა; მისი ფუნქცია სახელობითმა შეითავსა.

ქართულ ლინგვისტიკაში უკვე კარგა ხანია სადავოა წ ო დ ე ბ ი თ ი ს, როგორც დამოუკიდებელი ბრუნვის, არსებობის საკითხი. გამოთქმულია ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებანი, რომელთა მიხედვითაც ჩამოყალიბდა რამდენიმე თვალსაზრისი:

1) წოდებითი დამოუკიდებელი ბრუნვაა, აქვს საკუთარი ფორმა... წოდებითის **-ო** მხოლოდ ბრუნვის ნიშნის ფუნქციის მატარებელია (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, თ. უთურგაიძე, ა. არაბული...);

2) ქართულში წოდებითი არ არის დამოუკიდებელი ბრუნვა, რადგან ვერ ამყარებს მიმართებას სხვა სიტყვასთან (ე.ი. სინტაქსური ურთიერთობის შედეგად არ არის მიღებული); იგი მხოლოდ მიმართვის ფორმაა და ბრუნების პარადიგმაშიც არ უნდა შევიდეს (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...);

3) წოდებითი სახელობითის ვარიანტია (მო)წოდების ფუნქციით (გ. ნებიერიძე, დ. მელიქიშვილი).

ბრუნვათა მორფოსინტაქსური და სემანტიკური ასპექტების გათვალისწინებით ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია პირველი თვალსაზრისი. წოდებითი, როგორც ენობრივი ერთეული (სხვა ბრუნვათა მსგავსად), სახელის ფორმაცვალების ერთ-ერთი სახეობაა, გაფორმებული სპეციალური ნიშნით (აფიქსით) და, ამდენად, იგი უნდა ჩაითვალოს ქართული ენის სახელთა ბრუნების პარადიგმის დამოუკიდებელ წევრად.

ახალ ქართულში ზოგიერთი ბრუნვის ნიშანი თანდებულის დართვისას ან მთლიანად იკარგება, ანდა ფონეტიკურად სახეცვლილია. სწორედ ამის გამო წაიშალა ზღვარი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის და შეიქმნა საფუძველი, რომ სახელის ფუძეზე დართული ელემენტი მთლიანად ჩათვლილიყო ბრუნვის ნიშნად. აქედან გამომდინარე, ა. შანიძე შესაძლებლად თვლის, რომ თანამედროვე ქართულში, შვიდი ბრუნვის გარდა, გამოიყოს სამი ლოკალური ბრუნვა, ესენია: **ს ა დ ა ო ბ ი თ ი** (-ზე, -ში: წიგნ-ზე, წიგნ-ში), **გ ა მ ო ს ვ ლ ი თ ი** (-იდან, -დან: ქალაქ-იდან, ეზო-დან), **მ ი წ ე ვ ნ ი თ ი** (-ამდე/-მდი, -ამდის/-მდის: სახლ-ამდე, წყარო-მდის).

2.3.2. ბრუნვის ნიშნის გავრცობა. ემფატიკური ა

ქართულში ბრუნვის ნიშანი შეიძლება გავრცობილი იყოს **-ა** ხმოვნით, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ეწოდება **ს ა ვ რ ც ო ბ ი, ნ ა რ თ ა უ ლ ი -ა** (ა. შანიძე), **ე მ ფ ა ტ ი კ უ რ ი** (ბერძნ. **Emphatikos** – მეტი გამომსახველობითი ძალის მქონე) ხმოვანი (ნ. მარი). იგი თანამედროვე ქართულში გამოიყენება მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებთან. აღსანიშნავია, რომ ემფატიკური **ა** უფრო ხშირია აღმოსავლურ კილოებში და, შესაბამისად, ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში. იგი შეიძლება შეგვხვდეს არა მარტო სახელებთან, არამედ ფორმაუცვლელ სიტყვებთან, ზმნასთანაც კი: გაუგზავნა ვანოსა; უთხრასა და წავიდეს; ბავშვი გარბოდა ყვირილითა; შინისკენა; რომა (**რომ** კავშირი)...

ემფატიკური ა-ს დღემდე შემონახვის მიზეზად მიჩნეულია ის ფაქტი, რომ იგი მახვილიანი ხმოვანია და ადვილად არ იკარგება. ძველი ქართულისაგან განსხვავებით[1], ახალში მის გამოყენებას აღარ აქვს სისტემური ხასიათი, თუმცა ამ მხრივ ერთგვარი კანონზომიერება მაინც არსებობს. იგი აუცილებელია:

1) **-ც** ნაწილაკის დართვისას: ბავშვ-ს-ა-ც, ბავშვ-ის-ა-ც, ბავშვ-ით-ა-ც, ბავშვ-ად-ა-ც...

2) **-ვით** თანდებულიან მიცემითთან: სახლ-ს-ა-ვით, დედა-ს-ა-ვით...

3) თანიანი მრავლობითის მყარ გამოთქმებში: ბავშვ-თ-ა ოთახი, მწერალ-თ-ა კავშირი, მშობელ-თ-ა კომიტეტი...

4) **და** კავშირით შეერთებული ორი სახელის პირველ წევრთან მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში: მთას-ა და ბარს, ცის-ა და დედამიწის, სიტყვით-ა და საქმით...

5) ნანათესაობითარი მიცემითის შემთხვევაში: ძმის-ა-ს, ქალაქის-ა-ს, მეგობრის-ა-ს, მეზობლის-ა-ს...

6) ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან მართული მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობის დროს: ლექსი პოეტის-ა, შვილი დედის-ა...

ემფატიკური ა-ს ზოგადი ბუნებისა და ფუნქციონირების საკითხზე ქართულ ლინგვისტიკაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებანი:

1) ძველ ქართულში ა ხმოვანი (< **ამას** ნაწევარი) სახელს ანიჭებდა განსაზღვრულობას, რითაც უტოლდებოდა ევროპული ენების არტიკლს (ნ. მარი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა...);

2) თანამედროვე ქართულში ა ხმოვნის დანიშნულებაა წინადადებაში მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილის შემოსაზღვრა (არნ. ჩიქობავა, თ. უთურგაიძე...);

3) ემფატიკური ა-ს ბუნება ფონეტიკურია და არა მორ-

[1] ძველი ქართულის მიხედვით, -ა-ს გამოყენების შემთხვევები შესწავლილია ქ. ძოწენიძის მიერ.

ფოლოგიური; იგი ჩნდება თანხმოვნიანი ამოსავლის შემდეგ მარცვალთღიაობის შესაქმნელად (ალ. ფოცხიშვილი, გ. დეეტერსი, შ. აფრიდონიძე...);

4) სინქრონიულ დონეზე ე.წ. ემფატიკური **ა** არ არის ცალკე მორფოლოგიური ელემენტი. უფრო ბუნებრივია ამ ელემენტის ბრუნვის მორფემათა ცალკეული ალომორფების შემადგენელ ნაწილად მიჩნევა: მიცემითი – **ს/სა,** ნათესაობითი – **ის/ისა,** მოქმედებითი – **ით/ითა,** ვითარებითი – **ად/ადა...** (თ. უთურგაიძე, ალ. ონიანი).

2.3.3. ბრუნვათა სინტაქსური და სემანტიკური ასპექტები

სინტაქსური ასპექტი. თითოეულ ბრუნვას აქვს თავისი ფუნქცია, რომელიც სინტაქსურად შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე:

სახელობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა: ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, გარემოება: **ბულბული** საამურად გალობდა (ქვემდებარე); ბავშვმა დაწერა **წერილი** (პირდაპირი დამატება); დედა **გახარებული** იყო (შედგ. შემასმ. სახელადი ნაწილი)...

მოთხრობითი ბრუნვა მხოლოდ ქვემდებარის ბრუნვაა: **მზემ** გაანათა ქვეყანა. მოთხრობითი ბრუნვის ფორმით არის გადმოცემული აგრეთვე ზოგიერთი გამოთქმა, რომელიც ფიცილის ფორმულად არის ქცეული და შორისდებულებს განეკუთვნება: ჩემმა მზემ, დედაშვილობამ...

მიცემითი ქართულში უძველესი ბრუნვაა. მისი ნიშანი **-ს** ფორმანტი საერთოქართველურია. ამ ბრუნვით გადმოიცემა: ქვემდებარე, პირდაპირი და ირიბი დამატებები, უბრალო დამატება, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, გარემოება: **მეზობელს** აუშენებია სახლი (ქვემდებარე); მთვარე **შუქს** ჰფენს **დედამიწას** (შუქს – პირდაპირი დამატება, დედამიწას – ირიბი დამატება); **კვირას** პირველი თოვლი მოვიდა (დროის გარემოება)...

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბრუნვის ფორმით გამოიხატება: უბრალო დამატება, განსაზღვრება, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, გარემოება: **დედის** დარიგება (უბრალო დამატება); **ტყის** ჰაერმა ყველა გამოაცოცხლა (განსაზღვრება); მაშინ თორმეტი **წლისა** იყო თამარი (შედგ. შემასმ. სახ. ნაწ.); **სახლისკენ** გაეშურა (ადგილის გარემოება).

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა: უბრალო დამატება, გარემოება: **ნისლით** დაიფარა მთები (უბრალო დამატება); მგზავრები **სიფრთხილით** მიდიოდნენ (ვითარების გარემოება).

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ბრუნვის ფორმით გამოიხატება: უბრალო დამატება, გარემოება, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი: სოფელი **ქალაქად** იქცა (უბრალო დამატება); გოგონა **გულიანად** კისკისებდა (ვითარების გარემოება); **დედოფლად** იყო ინგილო ქალი (შედგ. შემ. სახ. ნაწ.)...

მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები თანამედროვე ქართულში აქტიურად გამოიყენება სადერივაციო ფუნქციითაც ძირითადად დარგობრივ ტერმინოლოგიაში (კითხვითი წინადადება, დრეკადი სხეული, წიგნადი ფონდი...).

წ ო დ ე ბ ი თ ბრუნვას ერთადერთი ფუნქცია აქვს – გამოხატავს მიმართვას მეორე პირად წარმოდგენილი საგნისადმი: **„მზეო,** დამხედე, **ნვიმავ,** დამნამე!..“ (ვაჟა-ფშაველა)...

ს ე მ ა ნ ტ ი კ ურ ი ა ს პ ე ქ ტ ი. ქართულში შეიძლება გამოიყოს ბრუნვათა ნაირგვარი მნიშვნელობები, რაც რეალიზდება ზმნის საშუალებით (ბ. ჯორბენაძე)[1]:

სახელობითისათვის:

სახელდებითობა: შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“;
პური (= პურის გასაყიდი მაღაზია);
ხანძარი (= ხანძარია)...

ეგზისტენციალურობა: ღამე, სიმშვიდე...

[1] ბრუნვათა დახასიათებისათვის გამოყენებულია ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისი.

პრედიკატულობა: ის იყო კომისარი...
გარდაქცევითობა: ოდესღაც მიყრუებული დაბა დიდი ქალაქი გახდა...

მიცემითისათვის:

მითითება მოქმედზე: ძმას სახლი აუშენებია...
ადრესატი: ამხანაგს მისწერს...
თანაობა (კომიტატივი): ამხანაგს მიაწერს...
ინტერესი (დაინტერესება): ამხანაგს დაუწერს...
სამოქმედო საგანი: სახლს აუშენებს...
მოქმედების იარაღი: ჩაქუჩს ურტყამს...
მიმართულება: ქალაქს გაემგზავრა...
მიწევნითობა: ქალაქს ჩავიდა...
განწყობა: მას მოსწონს; მას ემღერება...
მოქმედების დანიშნულებაზე მითითება: ძმას სახლი აუშენა...

ნათესაობითისათვის:

კუთვნილება: მამის სახლი...
წარმომავლობა: ხის სახლი...
მოქმედი საგანი: მსახიობის გამოსვლა...
თვისება: მებრძოლის სიმამაცე...
შეფასება: დიდი ჭკუის ადამიანი...
დამოკიდებულება: უნივერსიტეტის სტუდენტი...
სამოქმედო საგანი: ხის დაჩეხვა...
ინტერესი: ამხანაგის წერილი...
პრედიკატულობა: მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი...

მოქმედებითისათვის:

გამოსვლითობა: სარკმლით მონაქროლი სიო...
ჭურვილობა (ინსტრუმენტატივი): ფანქრით დაწერილი...
წარმომავლობა: წოდებით აზნაური; ტომით არაბი...
როგორობა (ვითარება): მგზავრები სიფრთხილით მიდიოდნენ...
თანაობა: ცოლ-შვილით დაბრუნდა...

ვითარებითისათვის:

მიწევნითობა: ქალაქამდე მშვიდობიანად მიაღწიეს...

გარდაქცევითობა: პატარა ღელე მდინარედ იქცა...
ვითარება: ლამაზად გამოიყურება...
თვისება: დინჯად საუბრობდა...

2.4. ბრუნვათა რიგის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ბრუნვათა რიგი არ ყოფილა ყოველთვის ერთნაირი. ძველ გრამატიკებში ბრუნვათა დალაგებას მეტ-ნაკლებად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ანდა გათვალისწინებული იყო ევროპული ენების ვითარება. მაგალითად, სახელობითის შემდეგ იდგა ნათესაობითი, შემდეგ – მიცემითი, მას მოჰყვებოდა მოთხრობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი. დღეს უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებსა და სასკოლო გრამატიკებში წარმოდგენილი ბრუნვათა რიგი – სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი – ა. შანიძის მიერაა დამკვიდრებული. ეს რიგი ითვალისწინებს ბრუნვის ფორმათა მორფოლოგიურ და სინტაქსურ მხარეს: ჯერ მოცემულია სუბიექტის ბრუნვები (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი). მათ ფონეტიკურ-მორფოლოგიური თვალსაზრისითაც აერთიანებთ ფუძეუკუმშველობა და უკვეცელობა. ამ პრინციპის გამო წოდებითიც უნდა დამდგარიყო სახელობითის შემდეგ (ფუძე აქაც უცვლელია, თან **ნარიანი** მრავლობითიც ერთად იქნებოდა), მაგრამ, სამაგიეროდ, ეს გათიშავდა სუბიექტის ბრუნვებს, ამიტომ წოდებითი ტრადიციულად ბოლოში დარჩა.

ვითარებითი შეიძლებოდა ჩასმულიყო მიცემითის შემდეგ, რადგან აქ კვეცა არ ხდება და ჯერ უკვეცელი ფუძეები იქნებოდა, შემდეგ – კვეცადები; მაგრამ, რაკი წოდებითი მაინც რჩება ბრუნვათა პარადიგმის ბოლოს, როგორც უკვეცელი და უკუმშველი ფუძე, ამიტომ უფრო მართებული იქნება ვითარებითი დარჩეს ტრადიციულ ადგილზე მოქმედებითის შემდეგ.

ძველ გრამატიკებში (კერძოდ, ა. შანიძის მორფოლოგიის გამოსვლამდე, 1930 წლამდე) არსებულ ბრუნვათა რიგს პირველად მიაქცია ყურადღება არნ. ჩიქობავამ შრომაში „რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში“ (1928 წ.) და დაასაბუთა, რომ სახელობითის შემდეგ უნდა იყოს მოთხრობითი (რადგან მოთხრობითი სახელობითის ძმაა, ისტორიულად მასზე უფროსი, უფრო ადრე ჩამოყალიბებული. ესაა პირველი სახელობითი), ხოლო მიცემითის შემდეგ უნდა იდგეს ვითარებითი, შემდეგ – ნათესაობითი და მოქმედებითი.

სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი ქვემდებარის ბრუნვებია და ამიტომ სამივე ერთად უნდა იყოს. მიცემითსა და ვითარებითში ფუძე უკვეცელია და თანაც მსაზღვრელი საზღვრულთან ბრუნების დროს ერთნაირი ფორმით – ფუძის სახით არის წარმოდგენილი. ამიტომ გამართლებულია მიცემითის შემდეგ ვითარებითის (მიმართულებითის) მოთავსება, ე.ი. პირველ ოთხ ბრუნვაში უკვეცელი ფუძე გვექნება. ნათესაობითსა და მოქმედებითში სახელი ერთნაირად იბრუნება, ორივეგან ფუძეკუმშვადია და კვეცადი, ასევე ერთნაირ ვითარებას უჩვენებს მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებაც.

არნ. ჩიქობავას მიერ შემოთავაზებულ ბრუნვათა რიგში წოდებითი არ იგულისხმება, ამიტომ ასეთი დალაგება ამ შემთხვევაში სწორია. მაგრამ, რადგან წოდებითი სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში მაინც რჩება და, ჩვენი აზრითაც, იგი დამოუკიდებელი ბრუნვაა, ზემოგანხილული ბრუნვათა რიგი ერთი პრინციპით აღარ იქნებოდა აგებული. ვითარებითის მეოთხე ადგილზე მოთავსებით გაითიშება **თანიანი** მიცემითისა და ნათესაობითის ფორმები. ამდენად, ამ ეტაპზე ტრადიციული რიგი თეორიულად უფრო მართებული ჩანს და პრაქტიკულადაც გამოსაყენებელია.

2.5. არსებითი სახელის რიცხვი

2.5.1. რიცხვის რაობა. მისი სახეები (მხოლობითი და მრავლობითი)

რიცხვი გამოხატავს ერთისა და მრავლის ოპოზიციას. რიცხვი ანუ სიმრავლე შეიძლება გადმოიცეს **გრამატიკულად** და **სემანტიკურად** (ლექსიკურად).

გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი რიცხვი სახელის მორფოლოგიური კატეგორიაა. იგი გადმოიცემა სიტყვის ფორმით და წარმოდგენილია სათანადო ნიშნით. მაგალითად: წიგნ-ი – წიგნ-**ებ**-ი... გრამატიკულ რიცხვს უპირისპირდება ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი რიცხვი, რომელიც გამოიხატება ლექსიკურად – სიტყვის საშუალებით (**ათი** წიგნი, **მრავალი** ბავშვი...) და სუპლეტურად – ფუძის მონაცვლეობით (**მე – ჩვენ, შენ – თქვენ**).

> **შენიშვნა:** სემანტიკურად რიცხვის გამოხატვა ყველა ენას შეუძლია, გრამატიკული რიცხვი კი ყველას არა აქვს. მაგალითად, ჩინურში გრამატიკული რიცხვი არ აღინიშნება, მაგრამ ლექსიკური საშუალებები მოეპოვება სხვა ენათა მსგავსად.

გრამატიკული რიცხვი სახელისა და ზმნის საზიარო კატეგორიაა. იგი შეიძლება იყოს **მხოლობითი** და **მრავლობითი**.

ტერმინი „მხოლობითი“ პირველად გამოიყენა ანტონ I-მა თავის გრამატიკაში, მაგრამ იგი ერთადერთ ფორმად ვერ დამკვიდრდა, რადგან გრამატიკულად სწორია „მხოლოობითი“ (მხოლო→მხოლოობითი, შდრ. კერძო → კერძოობითი), რომელსაც იყენებდნენ ძველი გრამატიკოსები: ს. დოდაშვილი, პლ. იოსელიანი, დ. ყიფიანი, თ. ჟორდანია და სხვები.

მოგვიანებით ა. შანიძემ კვლავ აღადგინა ტერმინი „მხოლობითი“ „მრავლობითის“ გარეგნული მიმსგავსებით (მარცვალთა რაოდენობით ორივე ტოლია). მიუხედავად ამისა, ვ. თოფურიას აზრით, „უნდა დარჩეს „მხოლოობითი“, როგორც სწორი, ისტორიულად მართებული და გავრცელებული“. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონები.

დღეს საენათმეცნიერო ლიტერატურაში ორივე ფორმა გამოიყენება, თუმცა „მხოლობითის“ უპირატესობა აშკარაა.

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რიცხვი აღნიშნავს ერთ საგანს ან საგანთა კრებულს: ქალაქი, ტყე, მაგიდა, ჭიქა... ხალხი, ერი, გუნდი...

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რიცხვი გამოხატავს ერთზე მეტ ერთგვარ საგანს, მოვლენას, თვისებას: ქალაქები, ტყეები, მაგიდები, ჭიქები...

ზოგიერთი სახელი შინაარსით მრავლობითია, მაგრამ ფორმით მრავლობითი არ არის, რადგან სათანადო ნიშანი არ აქვს. ასეთებია ძირითადად კრებითი და ნივთიერებათა სახელები, თუმცა ისინიც ზოგ შემთხვევაში შეიძლება მრავლობითის ფორმითაც შეგვხვდეს: მსოფლიოს **ხალხები** (ერები) იბრძვიან მშვიდობისათვის, შდრ. ქართველი **ხალხი** გაიმარჯვებს; ორგანიზმში **მარილები** (სხვადასხვა მარილი) გროვდება, შდრ. **მარილი** კერძისთვის აუცილებელია.

რიცხვის კატეგორია ყველა ენაში ერთნაირი არაა. ზოგიერთ ენაში (ძვ. ბერძნულში, რუსულში, არაბულში...) არის სახელის რიცხვის სამ-სამი ფორმა: ფ ო რ მ ა ე რ თ ი ს ა (მხ. რ.), ფ ო რ მ ა ო რ ი ს ა (ორობითი რ.) და ფ ო რ მ ა მ რ ა ვ ლ ი ს ა (მრ. რ.). ასეთ ენებში მრავლობითის გაგება ორს ზემოთ იწყება, ქართულში კი ერთზე მეტი მრავლობითია.

ვარაუდობენ, რომ ორობითი რიცხვი წარმოიშვა წყვილად არსებული საგნების (ორი თვალი, ორი ხელი, ორი ყური...) აღსანიშნავად. ორობითი რიცხვი გარდამავალი საფეხურია ერთიდან მრავლისაკენ (არნ. ჩიქობავა). ა. შანიძის დაკვირვებით, ძველად ქართულსაც უნდა ჰქონოდა ორობითი (წყვილობითი) რიცხვი. იგი ჯერ კიდევაა შემორჩენილი ხევსურულში (ოჟნი = ორი ვაჟი, ოჟები = ვაჟები).

2.5.2. მრავლობითი რიცხვის წარმოება

ქართულში მრავლობითი რიცხვის ფორმა ორგვარია: ებიანი და ნართანიანი. ებიანი მრავლობითის მაწარმოებელია **-ებ** სუფიქსი: ბაღ-ი – ბაღ-ებ-ი, სახლ-ებ-ი, სკოლ-ებ-ი... ნართანიანი მრავლობითის მაწარმოებლებია **-ნ** და **-თ**: **-ნ** ნიშნიან მრავლობითს ჰქვია ნარიანი (სახლ-ნ-ი), **თ** ნიშნიანს – თანიანი (სახლ-თ-ა).

ებიან მრავლობითს შვიდი ბრუნვა აქვს, ნართანიანს – ხუთი. აქედან ნარიანია სახელობითი და წოდებითი, თანიანი – მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი. ნართანიან მრავლობითს საერთოდ არ ეწარმოება მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები, თუმცა უძველეს ქართულში ამ ორ ბრუნვასაც უნდა ჰქონოდა თანიანი მრავლობითი (ნ. მარი, თ. შარაძენიძე...).

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	სახლ-ი	სახლ-ებ-ი	სახლ-ნ-ი
მოთხ.	სახლ-მა	სახლ-ებ-მა	სახლ-თ-ა
მიც.	სახლ-ს	სახლ-ებ-ს	"
ნათ.	სახლ-ის	სახლ-ებ-ის	"
მოქმ.	სახლ-ით	სახლ-ებ-ით	–
ვით.	სახლ-ად	სახლ-ებ-ად	–
წოდ.	სახლ-ო	სახლ-ებ-ო	სახლ-ნ-ო

ნართანიანი მრავლობითის ერთ პარადიგმაში სიმრავლის გამოსახატავად ორი ურთიერთმონაცვლე სუფიქსია გამოყენებული. ჩვენამდე მოღწეული ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით, ქრონოლოგიურად ნართანიანი მრავლობითი ძველია, ებიანი – შედარებით ახალი, თავს იჩენს VII-VIII საუკუნეებისა და შემდგომი ხანის ძეგლებში; იგი თანდათან იფართოებდა მოხმარების სფეროს და ახალ ქართულში კიდეც გაბატონდა. სამაგიეროდ, ნელ-ნელა იზღუდებოდა და მცირდებოდა ნართანიანი მრავლობითის გამოყენების შემთხვევები. სწორედ ორგვარი მრავლობითის თანაარსებობის

შედეგია ქართულში ორმაგი მრავლობითის ფორმათა გაჩენა. სოფლ-ებ-ნ-ი, ეზო-ებ-თ-ა და მისთანანი უკვე გვხვდება IX-X საუკუნეთა ხელნაწერებში, საკმაოდ გავრცელებულია საშუალ ქართულში, დასტურდება თანამედროვე სასაუბრო ენასა და დიალექტებშიც: ძმა-ნ-ებ-ი, ორ-თ-ა-ვე-ნ-ი, ბიძა-ნ-ებ-ი....

მაშასადამე, მრავლობით რიცხვში გვაქვს სახელთა ბრუნების ორი სხვადასხვა პარადიგმა (სისტემა): პირველში **-ებ** სუფიქსის ერთადერთი ფუნქციაა რიცხვის გამოხატვა, მეორე კი შერეული სახისაა: **-ნ** სუფიქსი მხოლოდ რიცხვის ნიშანია (**-ებ**-ის მსგავსად), **-თ** ორმაგი ფუნქციისაა – გამოხატავს რიცხვსაც და ბრუნვასაც, ერთდროულად ითავსებს რიცხვისა და ბრუნვის ნიშნის ფუნქციებს. პირველი პარადიგმა (**-ებ** სუფიქსიანი) წმინდა აგლუტინაციურია, მეორე – აგლუტინაციურ-ფლექსიური (**-ნ/-თ** სუფიქსიანი). **-თ**-ს ორფუნქციანობა გვიანდელ მოვლენადაა მიჩნეული. თავდაპირველად ისიც მხოლოდ რიცხვის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, კ. დონდუა...).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მრავლობითის ძირითადი ფორმაა ებიანი, ნართანიანი კი იშვიათია, თუმცა არის მისი აუცილებელი გამოყენების შემთხვევებიც:

1) ზოგიერთ ნაცვალსახელს მხოლოდ ნართანიანი მრავლობითი აქვს: ისინი, ყველანი, მათ...

2) თანიანი მრავლობითის ფორმებია მყარ გამოთქმებში: სხდომათა დარბაზი, სტუდენტთა საბჭო, მასწავლებელთა სახლი, მშობელთა კომიტეტი...

3) ნართანიანი მრავლობითი შეიძლება შეგვხვდეს რიცხვით სახელებშიც: ორნი, შვიდნი, სამთა...

მრავლობითი რიცხვის წარმოების თვალსაზრისით თავისებურებას იჩენს ზოგი არსებითი სახელი, მეტწილად უცხოურიდან შემოსული, რომელიც გამოიყენება ხან მხოლობითის, ხან მრავლობითის ფორმით: სათვალე || სათვალეები, ჯუნგლი || ჯუნგლები, ჯინსი || ჯინსები, შორტი || შორტები და ა. შ. უცხოურ ენებში ასეთი სახელებისათვის მართებულია მრავლობითის ფორმა, მაგრამ, ქართული ენის ბუნები-

დან გამომდინარე, თუ ასეთი სიტყვა აღნიშნავს ერთ საგანს და მხოლობითშიც გვხვდება და მრავლობითშიც (თუმცა მრავლობითის გაგება არა აქვს), უპირატესობა უნდა მიენიჭოს მხოლობითის ფორმას. ამიტომ უნდა ითქვას და დაიწეროს: სათვალე, ჯუნგლი, ჯინსი, შორტი... მაგალითად: მოხუცს სათვალე უკეთია, შდრ. მაგიდაზე სათვალეები აწყვია.

რიცხვის კატეგორია გრამატიკული თვალსაზრისით ემყარება სემანტიკურ ოპოზიციას: მხოლობითი – მრავლობითი, რაც დამახასიათებელია ენათა უმრავლესობისათვის.

ქართულში მრავლობითი რიცხვის ნიშნები (თანხმოვნითი ნაწილები), არნ. ჩიქობავას აზრით, ისტორიულად ნივთის კლასის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მათი სხვაობა მომდინარეობს სხვადასხვა დიალექტური თუ ენობრივი წრიდან; **თ** ნიშანი გაცილებით ძველია, ვინემ **ნ.**

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლობითის სუფიქსთა ფუნქციური კვალიფიკაცია არაერთგვაროვანია. მაგალითად, ა. შანიძე **-ებ** სუფიქსს განიხილავდა როგორც წარმოსაქმნელ (სადერივაციო) აფიქსს, არნ. ჩიქობავა მას მიიჩნევდა ე.წ. გარდამავალი ტიპის ფორმანტად, ხოლო თ. უთურგაიძის დაკვირვებით, სახელთა მრავლობითობის **-ნ** და **-ებ** ნიშნები სახელებსა და ზმნაში მხოლოდ ფლექსიური (ფორმის საწარმოებელი) ელემენტებია, რადგან ისინი ვერ ცვლიან სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას (ამ სუფიქსთა ჩათვლა განსხვავებული ფუნქციის ერთეულებად ბუნებრივად დაუკავშირდა სახელის ფუძის მონახვის წესს).

2.6. სახელის ფუძე

ფუძე ჰქვია სახელის იმ ნაწილს, რომელიც ატარებს სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას. სხვაგვარად: **ფუძე** არის სახელის ის ნაწილი, რომელსაც დაერთვის ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები.

სახელის ფუძე ხასიათდება დაბოლოების, ცვლილებისა და შედგენილობის მიხედვით.

ფუძის დ ა ბ ო ლ ო ე ბ ი ს მიხედვით სახელი ორგვარია: თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი. თანხმოვანფუძიანია: ვაშლ-ი, ხელ-ი, დათვ-ი, რვეულ-ი, ბურთ-ი... ხმოვანფუძიანია: დღე, ცა, უთო, რუ, ჩაი...

ც ვ ლ ი ლ ე ბ ი ს მიხედვით ფუძე სრულია ან უსრული. სრულია ფუძე, თუ მას არ აკლია არც ერთი ხმოვანი (ბავშვ-ი – ბავშვ-ის, წიგნ-ი – წიგნ-ის, წყარო – წყარო-სი, უთო – უთო-სი...). უსრულია ფუძე, თუ მას აკლია რომელიმე ხმოვანი (მიწა – მიწ-ის, ირემ-ი – ირმ-ის, მინდორი – მინდვრ-ის, მცხეთა – მცხეთ-ურ-ი...). უსრული ფუძე შეკუმშულია ან შეკვეცილი.

შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი ს მიხედვით ფუძე შეიძლება იყოს მარტივი, რთული ან ნაწარმოები.

მარტივი ფუძე იგივე ძირია. იგი აღარ დაიშლება. ასეთია: ძე, მზე, გზა, თავ-ი, ჩიტ-ი...

რთული ფუძე მიიღება მარტივი ფუძის გაორკეცებით: რაკრაკი, წამწამი, თავთავი... აგრეთვე ორი ან მეტი ფუძის შეერთებით: ვაჟკაცი, დედაბოძი, გულისყური, მხედართმთავარი, სახლ-კარი, მთა-ბარი, ცოლ-შვილი, ქართლ-კახეთ-იმერეთი, შავთვალწარბა...

ნაწარმოებ (წარმოქმნილ) ფუძეში გამოიყოფა ძირი (მარტივი ფუძე) და წარმოსაქმნელი ანუ სადერივაციო აფიქსები: მე-ბაღ-ე, ძმ-ურ-ი, მანდილ-ოსან-ი... გარდა ამისა, ახალი ფუძე მიიღება როგორც ნაწარმოები (მებაღე – მებაღეობა, ცხენოსანი – ცხენოსნობა...), ისე რთული ფუძისაგანაც (შვილიშვილი – საშვილიშვილო, სახლ-კარი – უსახლკარო, ცოლ-ქმარი – ცოლქმრული...).

ფუძის გასარკვევად სახელი უნდა ჩაისვას მიცემით ან მოთხრობით ბრუნვაში და ჩამოშორდეს **ბრუნვისა** და **რიცხვის** ნიშნები, დარჩენილი ნაწილი იქნება ფუძე: წიგნ-ს || წიგნ-ებ-ს – ორივე სახელისათვის ფუძეა **წიგნ.**

შენიშვნა: სპეციალურ ლიტერატურაში (ქართული ენის ტრადიციულ გრამატიკებში, სასკოლო სახელმძღვანელოებში...) არსებობს ფუძის მონახვის სხვა კრიტერიუმიც, კერძოდ:

ფუძის შემადგენელ ნაწილად განიხილება მრავლობითი რიცხვის ნიშანიც (თუმცა ეს წესი ამ ნაშრომებშიც კი ყოველთვის არაა დაცული: ზოგან ფუძე რიცხვის ნიშნის გარეშეა, ზოგ გამოცემაში კი **ებ** ფუძის კუთვნილებაა). ამგვარი კვალიფიკაცია თეორიულ უზუსტობასა და გარკვეულ სირთულეებს იწვევს პრაქტიკული სწავლების პროცესში.[1]

2.7. საზოგადო არსებითი სახელის ბრუნება

2.7.1. თანხმოვანფუძიანი საზოგადო არსებითი სახელები

ფუძის ცვლილების მიხედვით თანხმოვანფუძიან საზოგადო არსებით სახელებში გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: ფუძეუკუმშველი და ფუძეკუმშვადი.

უ კ უ მ შ ვ ე ლ ი ა სახელი, რომლის ფუძეშიც ბრუნების დროს არავითარი ცვლილება არ ხდება; ეწარმოება ორივე მრავლობითი, შეიძლება დაერთოს ემფატიკური **ა** ხმოვანიც.

ფუძეუკუმშველია საზოგადო არსებითი სახელების უმეტესობა (მათ შორის – ერთმარცვლიანი ფუძეების დიდი ნაწილი):

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	ქალ-ი	ქალ-ებ-ი	ქალ-ნ-ი
მოთხ.	ქალ-მა	ქალ-ებ-მა	ქალ-თ-ა
მიც.	ქალ-ს (ა)	ქალ-ებ-ს (ა)	,,
ნათ.	ქალ-ის (ა)	ქალ-ებ-ის (ა)	,,
მოქმ.	ქალ-ით (ა)	ქალ-ებ-ით (ა)	–
ვით.	ქალ-ად (ა)	ქალ-ებ-ად (ა)	–
წოდ.	ქალ-ო	ქალ-ებ-ო	ქალ-ნ-ო

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობისათვის იხ. ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992; მისივე: სახელის ფუძის სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები: ეტიმოლოგიური ძიებანი, ქუთაისი, 2005.

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	არწივ-ი	არწივ-ებ-ი	არწივ-ნ-ი
მოთხ.	არწივ-მა	არწივ-ებ-მა	არწივ-თ-ა
მიც.	არწივ-ს (ა)	არწივ-ებ-ს (ა)	,,
ნათ.	არწივ-ის (ა)	არწივ-ებ-ის (ა)	,,
მოქმ.	არწივ-ით (ა)	არწივ-ებ-ით (ა)	–
ვით.	არწივ-ად (ა)	არწივ-ებ-ად (ა)	–
წოდ.	არწივ-ო	არწივ-ებ-ო	არწივ-ნ-ო

კ უ მ შ ვ ა დ ი ა სახელი, რომლის ფუძე ხმოვნის დაკარგვის შედეგად ვიწროვდება (იკუმშება). სხვაგვარად: კუმშვის დროს ფუძისეული ხმოვანი დასუსტების შედეგად ან მთლიანად იკარგება, ან თანხმოვნად იქცევა: კედელ-ი – კედლ-ის, მინდორ-ი – მინდვრ-ის...

კუმშვას იწვევს ხმოვნით დაწყებული აფიქსის დართვა. ეს აფიქსებია ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები (**-ის, -ით, -ად, -ებ**), აგრეთვე ზოგიერთი სადერივაციო აფიქსი (**-ელ, -ურ, -იან, მე-ე, სა-ე, სა-ო...**).

ფუძის კუმშვა ხდება მხოლობითი რიცხვის სამ ბრუნვაში (ნათესაობითში, მოქმედებითში, ვითარებითში) და მთელ ებიან მრავლობითში (ნართანიან მრავლობითში ფუძე საერთოდ არ იცვლება). კუმშვის დროს ფუძეში იკარგება **ა, ე, ო** ხმოვნები. ამათგან **ა** და **ე** ყოველთვის უკვალოდ იკარგება, **ო** კი ზოგჯერ კვალს ტოვებს **ვ**-ს სახით (მაგრამ, თუ ასეთი **ვ** მოექცა ბაგისმიერი თანხმოვნების გვერდით, მაშინ ისიც დაიკარგება: ობოლ-ი – ობვლ-ის > ობლ-ის...). **ი** და **უ** მყარი ხმოვნებია და რედუქციას არ განიცდიან.

კუმშვადია უმთავრესად **-ალ, -ელ, -ოლ, -არ, -ერ, -ორ, -ან, -ენ, -ონ, -ამ, -ემ, -ავ** მარცვლებზე დაბოლოებული ფუძეები.

იკარგება:

ა

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	ბალ-ი	ბლ-ებ-ი	ბალ-ნ-ი
მოთხ.	ბალ-მა	ბლ-ებ-მა	ბალ-თ-ა
მიც.	ბალ-ს (ა)	ბლ-ებ-ს (ა)	,,

ნათ.	ბლ-ის (ა)	ბლ-ებ-ის (ა)	,,
მოქმ.	ბლ-ით (ა)	ბლ-ებ-ით (ა)	–
ვით.	ბლ-ად (ა)	ბლ-ებ-ად (ა)	–
წოდ.	ბალ-ო	ბლ-ებ-ო	ბალ-ნ-ო

ე

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	ირემ-ი	ირმ-ებ-ი	ირემ-ნ-ი
მოთხ.	ირემ-მა	ირმ-ებ-მა	ირემ-თ-ა
მიც.	ირემ-ს (ა)	ირმ-ებ-ს (ა)	,,
ნათ.	ირმ-ის (ა)	ირმ-ებ-ის (ა)	,,
მოქმ.	ირმ-ით (ა)	ირმ-ებ-ით (ა)	–
ვით.	ირმ-ად (ა)	ირმ-ებ-ად (ა)	–
წოდ.	ირემ-ო	ირმ-ებ-ო	ირემ-ნ-ო

ო

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	ფოთოლ-ი	ფოთლ-ებ-ი	ფოთოლ-ნ-ი
მოთხ.	ფოთოლ-მა	ფოთლ-ებ-მა	ფოთოლ-თ-ა
მიც.	ფოთოლ-ს (ა)	ფოთლ-ებ-ს (ა)	,,
ნათ.	ფოთლ-ის (ა)	ფოთლ-ებ-ის (ა)	,,
მოქმ.	ფოთლ-ით (ა)	ფოთლ-ებ-ით (ა)	–
ვით.	ფოთლ-ად (ა)	ფოთლ-ებ-ად (ა)	–
წოდ.	ფოთოლ-ო	ფოთლ-ებ-ო	ფოთოლ-ნ-ო

ო > ვ

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	ნიგოზ-ი	ნიგვზ-ებ-ი	ნიგოზ-ნ-ი
მოთხ.	ნიგოზ-მა	ნიგვზ-ებ-მა	ნიგოზ-თ-ა
მიც.	ნიგოზ-ს (ა)	ნიგვზ-ებ-ს (ა)	,,
ნათ.	ნიგვზ-ის (ა)	ნიგვზ-ებ-ის (ა)	,,
მოქმ.	ნიგვზ-ით (ა)	ნიგვზ-ებ-ით (ა)	–
ვით.	ნიგვზ-ად (ა)	ნიგვზ-ებ-ად (ა)	–
წოდ.	ნიგოზ-ო	ნიგვზ-ებ-ო	ნიგოზ-ნ-ო

შეიძლება არსებითი სახელი ბოლოვდებოდეს ზემოთ ჩამოთვლილ მარცვლებზე, მაგრამ უკუმშველი იყოს: ზარ-ი – ზარი-ის-ა, ცალ-ი – ცალ-ის-ა, ცხენ-ი – ცხენ-ის-ა...

ზოგჯერ ერთი და იგივე სახელი ერთ შემთხვევაში კუმშვადია, მეორეში – უკუმშველი. მაგალითად, თუ **თვალი, წელი** სხეულის ნაწილებია, უკუმშველია (თვალის ტკივილი, წელის ტკივილი), სხვა მნიშვნელობით გამოყენებული კი – კუმშვადი (ბეჭდის თვლის ჩასმა, წლის დროები).

ცალკე აღებული **კარი, დარი, ქარი, ბერი...** უკუმშველია: კარ-ის (გაღება), დარ-ის (დადგომა), ქარ-ის (გაძლიერება), ბერ-ის (აღსარება), მაგრამ ეს ფუძეები კომპოზიტის შემადგენლობაში იკუმშება: ცისკრ-ის ზარები, ავდრ-ის ნიშნები, ნიავქრ-ის სიგრილე, დედაბრ-ის მოთქმა...

იშვიათად შეიძლება შეიკუმშოს სხვა სახელებიც: ბეჭედ-ი – ბეჭდ-ის, ხოხობ-ი – ხოხბ-ის, კაკაბ-ი – კაკბ-ის, ნაბად-ი – ნაბდ-ის, ნიჩაბ-ი – ნიჩბ-ის...

ქართულში სახელის კუმშვა-უკუმშველობას ძირითადად უკავშირებენ ისტორიულად განსხვავებული სიძლიერის მახვილის არსებობას, კერძოდ, სალიტერატურო ენაში ფუძის კუმშვა შემოტანილი უნდა იყოს ინტენსიური დინამიკური მახვილის მატარებელი დიალექტის მიერ, უკუმშველი სახელი კი დამახასიათებელი იქნებოდა ტონური მახვილის მქონე დიალექტური ფენისათვის. როცა მახვილის მოქმედების ძლიერმა პერიოდმა გაიარა, ძველ სალიტერატურო ქართულში დაილექა როგორც ერთის, ისე მეორის ფორმები. შემდეგში, როცა მახვილის ეს ძლიერი მოქმედება შენელდა, ფუძის შეკუმშვა უკვე ტრადიციის საკითხს წარმოადგენს (არნ. ჩიქობავა).

ძირითადად, ალბათ, ამით უნდა იყოს შეპირობებული, ფუძის კუმშვა-უკუმშველობის (ასევე, ზოგადად, კვეცა-უკვეცელობის) ის განსხვავებული ვითარება, რაც თავს იჩენს თანამედროვე ქართულში, სასაუბრო მეტყველებაში. მაგალითად, სიტყვები: ქართველი, ყვარელი, ფრინველი, ლიმონი, ფეხბურთელი და მისთ. შეკუმშულიცაა და შეუკუმშავიც.

საზოგადოდ, აღმოსავლურ დიალექტებში (და, შესაბამისად, ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში) უფრო შესამჩნევია ფუძის კუმშვის შემთხვევები.

2.7.2. ხმოვანფუძიანი საზოგადო არსებითი სახელები

ქართულში ხმოვანფუძიან არსებით სახელთა ფუძე მეტწილად ბოლოვდება **ა** და **ე** ხმოვნებზე, უფრო ნაკლებად – **ო**-სა და **უ**-ზე. **ი**-ზე დაბოლოებულია მხოლოდ უცხოურიდან შემოსული რამდენიმე სიტყვა: ჩაი, ტრამვაი, ტაქსი, დიჯეი...

ხმოვანფუძიანი სახელები, თანხმოვანფუძიანთაგან განსხვავებით, ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

1) სახელობითში არ დაერთვის ბრუნვის ნიშანი **-ი** (ძველი ქართულის **ი** დასუსტდა, **ჲ**-დ იქცა და ბოლოს ისიც დაიკარგა: დედა-ი > დედა-ჲ > დედა. ძველი ვითარება დღეს შემორჩენილია მხოლოდ დიალექტებში);

2) მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია **-მ** (მაგრამ **-ც** ნაწილაკის დართვისას იგი გავრცობილი იქნება **ა** ხმოვნით: დედა**მა**ც, ქვეყანა**მა**ც);

3) ვითარებითი ბრუნვის ნიშანია მხოლოდ **-დ;**

4) წოდებითი ბრუნვის ნიშნებია **-ო** (ერთმარცვლიანებთან), **-ვ** (ორ- და მეტმარცვლიანებთან) და **Ø**.

ხმოვანფუძიან სახელებში გამოიყოფა სამი ქვეჯგუფი: უკვეცელი, კვეცადი და კუმშვად-კვეცადი სახელები.

უ კ ვ ე ც ე ლ ი ა არსებითი სახელი, რომლის ფუძეშიც ცვლილება არ ხდება. ქართულში ძირითადად უკვეცელია:

1) **-ო, -უ, -ი**-ზე დაბოლოებული სახელები (გარდა **ღვინისა**);

2) **-ა**-ზე დაბოლოებული ზოგიერთი საზოგადო არსებითი სახელი: ა) **ნაცარქექია**-ს ტიპისა, კნინობითი სახელები: ლურჯა, ჭრიჭინა, დედოფალა.... ასეთი სახელები იკვეცება ებიან მრავლობითში;

ბ) ნათესაური დამოკიდებულების აღმნიშვნელი სახელები (დედა, მამა, ბებია...), როცა ისინი საკუთარი სახელის მნიშვნელობით გამოიყენება: **დედას** კაბა ჩავიცვი, შდრ. დედის დარიგება შვილს მუდამ უნდა ახსოვდეს;

3) **ე**-ზე დაბოლოებული უცხოური წარმოშობის საზოგადო არსებითი სახელები (იუბილე, კაშნე, ტირე, კუპე, კლიშე, ჟელე, ატაშე...).

უკვეცელი საზოგადო არსებითი სახელი ბრუნების დროს არ იცვლის ფუძეს, სამაგიეროდ, იცვლება ბრუნვის ნიშნები: ნათესაობითსა და მოქმედებითში იკარგება ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი (**-ი**) და რჩება თანხმოვნები **ს** და **თ**. მოქმედებითში **თ** არის მხოლოდ **-ი** ხმოვანზე გათავებულ ფუძეებთან (ჩაი-**თ**, ტაქსი-**თ**, ტრამვაი-**თ**), სხვა შემთხვევაში **თ**-ს შემდეგ განვითარდა **-ი** და მიღებულ იქნა **-თი** დაბოლოება: წყარო-თ(**ი**). ასევე: ნათესაობით ბრუნვაშიც ზოგჯერ **-ს** ნიშნის შემდეგ ჩნდება **ი**: წყალი წყარო-ს(**ი**). ამგვარ პოზიციაში თავჩენილი **ი** ხმოვნის წარმომავლობა და ფუნქცია სხვადასხვაგვარადაა ახსნილი:

1) ა. შანიძისა და ვ. თოფურიას აზრით, ნათესაობითი ბრუნვის **ი** (**წყაროსი** ტიპის სახელებში) წარმოშობით არის სახელობითის ნიშანი; თვითონ ფორმა – **წყაროსი** ნანათესაობითარი სახელობითია. მოქმედებითის **ი** არ არის ნათესაობითის **ი**-ს ტოლი.

2) არნ. ჩიქობავას დაკვირვებით, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში **ი** ერთდროულად არის გაჩენილი და ორივე შემთხვევაში ფუნქციით ემფატიკური **ა**-ს ტოლია; **ი**-ს ამგვარი კვალიფიკაცია მოგვიანებით დაადასტურეს სხვა მკვლევრებმაც (თ. უთურგაიძე, ლ. ნოზაძე...).

უკვეცელ საზოგადო სახელს ეწარმოება ორივე მრავლობითი, წოდებითში დაერთვის **-ო** ან **-ვ** ნიშანი.

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	ეზო	ეზო-ებ-ი	ეზო-ნ-ი
მოთხ.	ეზო-მ	ეზო-ებ-მა	ეზო-თ-ა
მიც.	ეზო-ს	ეზო-ებ-ს	,,

ნათ.	ეზო-ს (ი)	ეზო-ებ-ის	,,
მოქმ.	ეზო-თ (ი)	ეზო-ებ-ით	–
ვით.	ეზო-დ	ეზო-ებ-ად	–
წოდ.	ეზო-ვ	ეზო-ებ-ო	ეზო-ნ-ო

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	ბუ	ბუ-ებ-ი	ბუ-ნ-ი
მოთხ.	ბუ-მ	ბუ-ებ-მა	ბუ-თ-ა
მიც.	ბუ-ს	ბუ-ებ-ს	,,
ნათ.	ბუ-ს (ი)	ბუ-ებ-ის	,,
მოქმ.	ბუ-თ (ი)	ბუ-ებ-ით	–
ვით.	ბუ-დ	ბუ-ებ-ად	–
წოდ.	ბუ-ო	ბუ-ებ-ო	ბუ-ნ-ო

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	ტირე	ტირე-ებ-ი	ტირე-ნ-ი
მოთხ.	ტირე-მ	ტირე-ებ-მა	ტირე-თ-ა
მიც.	ტირე-ს	ტირე-ებ-ს	,,
ნათ.	ტირე-ს (ი)	ტირე-ებ-ის	,,
მოქმ.	ტირე-თ (ი)	ტირე-ებ-ით	–
ვით.	ტირე-დ	ტირე-ებ-ად	–
წოდ.	ტირე-ვ	ტირე-ებ-ო	ტირე-ნ-ო

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	ტოროლა	ტოროლ-ებ-ი	ტოროლა-ნ-ი
მოთხ.	ტოროლა-მ	ტოროლ-ებ-მა	ტოროლა-თ-ა
მიც.	ტოროლა-ს	ტოროლ-ებ-ს	,,
ნათ.	ტოროლა-ს (ი)	ტოროლ-ებ-ის	,,
მოქმ.	ტოროლა-თ (ი)	ტოროლ-ებ-ით	–
ვით.	ტოროლა-დ	ტოროლ-ებ-ად	–
წოდ.	ტოროლა-ვ	ტოროლ-ებ-ო	ტოროლა-ნ-ო

უკვეცელ საზოგადო არსებით სახელთა მიცემითისა და ნათესაობითის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. მსგავს ფორმათა გასარჩევად არსებობს რამდენიმე ხერხი:

1) გამოსაცნობი სახელის ნაცვლად უნდა ჩაისვას თანხმოვანფუძიანი ან ფუძეკვეცადი სახელი (წყაროს წყალი – ვერცხლ-ის წყალი / ჭის წყალი);

2) შეენაცვლოს იმავე ფუძის ებიანი მრავლობითი (წყაროს წყალი – წყარო**ებ**ის წყალი);

3) თუ გამოსაცნობი სახელი შეეწყობა ზმნას, მაშინ მიცემითი ბრუნვაა (წყაროს ვეძებ), თუკი სახელთანაა შეწყობილი – ნათესაობითი (წყაროს წყალი).

ძველ ქართულთან შედარებით „ახალ ქართულში ბრუნვის ნიშნები მეტ ცვლილებას განიცდის... შესაბამისად, ბოლოხმოვნიან ფუძეთა შეკვეცა სუსტდება: ფორმანტი სუსტდება, ფუძე მკვიდრდება – ასეთია ზოგადი ტენდენცია (არნ. ჩიქობავა).

კ ვ ე ც ა დ ი ა არსებითი სახელი, რომლის ბრუნების დროსაც იკარგება ფუძის ბოლო ხმოვანი. კვეცას იწვევს ხმოვნით დაწყებული აფიქსების (**-ის, -ით, -ებ, -ურ, -ელ, -იან...**) დართვა. კვეცა ხდება მხოლობითი რიცხვის ორ ბრუნვაში – ნათესაობითსა და მოქმედებითში (ვითარებითში კვეცა არ ხდება, რადგან ხმოვანფუძიან სახელებთან მისი ნიშანია **დ** თანხმოვანი) და **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან ებიან მრავლობითში.

კვეცადია **ა**-სა და **ე**-ზე დაბოლოებული საზოგადო სახელების უმრავლესობა, აბსტრაქტული სახელები და საწყისები (მასდარები).

საზოგადო სახელებს ეწარმოება ორივე მრავლობითი და წოდებითშიც დაერთვის ბრუნვის ნიშნები.

იკარგება **ა:**

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	დედა	დედ-ებ-ი	დედა-ნ-ი
მოთხ.	დედა-მ	დედ-ებ-მა	დედა-თ-ა
მიც.	დედა-ს	დედ-ებ-ს	,,
ნათ.	დედ-ის	დედ-ებ-ის	,,
მოქმ.	დედ-ით	დედ-ებ-ით	–
ვით.	დედა-დ	დედ-ებ-ად	–
წოდ.	დედა-ვ	დედ-ებ-ო	დედა-ნ-ო

იკარგება **ე:**

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	კლდე	კლდე-ებ-ი	კლდე-ნ-ი
მოთხ.	კლდე-მ	კლდე-ებ-მა	კლდე-თ-ა
მიც.	კლდე-ს	კლდე-ებ-ს	,,
ნათ.	კლდ-ის	კლდე-ებ-ის	,,
მოქმ.	კლდ-ით	კლდე-ებ-ით	–
ვით.	კლდე-დ	კლდე-ებ-ად	–
წოდ.	კლდე-ო	კლდე-ებ-ო	კლდე-ნ-ო

დღეს სამწერლობო ქართულსა თუ ზეპირ მეტყველებაში წოდებითი ბრუნვის ნიშნად ზოგჯერ მოსალოდნელი **-ვ**-ს ნაცვლად დასტურდება **-ო** და, პირიქით: დედა-**ვ** || დედა-**ო**; მზე-**ო** || მზე-**ვ**... ასეთ შემთხვევაში ორ- და მეტმარცვლიანებთან უპირატესობა უნდა მიენიჭოს **-ვ**-ს.

საკუთარი სახელის ფუნქციით გამოყენებული ზოგიერთი (ნათესაობითის აღმნიშვნელი) საზოგადო სახელი წოდებითში არ დაირთავს ბრუნვის ნიშანს. მაგალითად: დედა, მოვედი; მამა, დამელოდე!

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აბსტრაქტულ სახელებს არ გააჩნია მრავლობითი რიცხვი, საწყისებს კი – არც მრავლობითი რიცხვი და არც წოდებითი ბრუნვა.

ზოგიერთი სახელის ფუძე მხოლობით რიცხვში უკვეცელია, ებიან მრავლობითში ბრუნებისას კი მოიკვეცს ბოლოკიდურ **ა**-ს. მაგალითად, ტოროლა – ტოროლასი, მაგრამ: ტოროლები; ნიბლია – ნიბლიასი, მაგრამ: ნიბლიები და ა. შ.

კ უ მ შ ვ ა დ - კ ვ ე ც ა დ ი ა სახელი, რომლის ფუძე კიდეც იკუმშება და კიდეც იკვეცება. ქართულში ასეთია რამდენიმე სახელი: ქვეყანა, ქარხანა, ფანჯარა, პეპელა, ბეგარა, მოყვარე (ა. შანიძე), მხარე, სიმწარე, ტომარა, წიფელა, წურბელა, მარჯვენა, მარცხენა, პეპერა (თ. უთურგაიძე).

ა-ზე დაბოლოებული:

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	ქვეყანა	ქვეყნ-ებ-ი	ქვეყანა-ნ-ი
მოთხ.	ქვეყანა-მ	ქვეყნ-ებ-მა	ქვეყანა-თ-ა
მიც.	ქვეყანა-ს	ქვეყნ-ებ-ს	,,
ნათ.	ქვეყნ-ის	ქვეყნ-ებ-ის	,,
მოქმ.	ქვეყნ-ით	ქვეყნ-ებ-ით	–
ვით.	ქვეყნ-ად	ქვეყნ-ებ-ად	–
წოდ.	ქვეყანა-ვ	ქვეყნ-ებ-ო	ქვეყანა-ნ-ო

ე-ზე დაბოლოებული:

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	მოყვარე	მოყვრ-ებ-ი	მოყვარე-ნ-ი
მოთხ.	მოყვარე-მ	მოყვრ-ებ-მა	მოყვარე-თ-ა
მიც.	მოყვარე-ს	მოყვრ-ებ-ს	,,
ნათ.	მოყვრ-ის	მოყვრ-ებ-ის	,,
მოქმ.	მოყვრ-ით	მოყვრ-ებ-ით	–
ვით.	მოყვრ-ად	მოყვრ-ებ-ად	–
წოდ.	მოყვარე-ვ	მოყვრ-ებ-ო	მოყვარე-ნ-ო

ამ ტიპის სახელთა ბრუნებისას კუმშვაცა და კვეცაც ხდება სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. რადგან ვითარებითშიც გამოიყენება ნათესაობითისა და მოქმედებითის შეკუმშული და შეკვეცილი ფუძე, რომელიც თანხმოვნით ბოლოვდება, ბუნებრივია, ნიშანი აქაც იქნება **-ად,** რაც ანალოგიით არის ახსნილი (შდრ. **მოყვარე – მოყვრ-ად** და არა: **მოყვარე-დ**).

დღევანდელი კუმშვად-კვეცადი სახელების ჩამოყალიბება იწყება შუა საუკუნეებში. ამ მოვლენის საფუძვლად მიჩნეულია ენაში არსებული სემანტიკურად ერთნაირი სახელების პარალელური ფორმები: ბეგარი || ბეგარა, ტომარი || ტომარა, წურბელი || წურბელა, პეპელი || პეპელა, მარჯვენი || მარჯვენა, მხარი || მხარე...

როგორც წესი, ამ პარალელურ ფორმათაგან თანხმოვნიანი ფუძე იკუმშებოდა (ბეგარ-ი – ბეგრ-ის), ხმოვნიანი კი იკვეცებოდა (ბეგარა – ბეგარ-ის). დროთა ვითარებაში მოხ-

და ამ ორი ტიპის ბრუნების პარადიგმის შერევა: სემანტიკურად ერთნაირი, მაგრამ ფორმობრივად ნაწილობრივ განსხვავებული სიტყვები ცვლილების მიხედვითაც დაემსგავსნენ ერთმანეთს და შეინარჩუნეს ერთდროულად კუმშვისა და კვეცის უნარი:

სახ. **პეპელ-ი** > ნათ. **პეპლ-ის**

სახ. **პეპელა** > ნათ. **პეპელ-ის** > **პეპლ-ის**

თანამედროვე ქართულში ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით განსხვავებული და ნორმირების თვალსაზრისით გასათვალისწინებელი დაკვირვებები არის წარმოდგენილი თ. უთურგაიძის, ლ. ნოზაძის, ვ. იმნაიშვილის, რ. საღინაძისა და სხვათა სტატიებში (იხ. ლიტერატურა).

2.8. საკუთარ სახელთა ბრუნება

ადამიანის (პირის) სახელები. ადამიანის (პირის) სახელი ბრუნების დროს ფორმას იცვლის შესაბამისი ფუძის საზოგადო არსებითი სახელის მსგავსად, მაგრამ ხასიათდება ზოგიერთი თავისებურებით:

1) არც იკვეცება და არც იკუმშება;

2) წოდებითში არ დაირთავს ბრუნვის ნიშანს, თუმცა დიალექტებსა და მათი გავლენით სამწერლობო ენაშიც ზოგჯერ ისიც გაფორმებულია ნიშნით (დავით-**ო**, ეთერ-**ო**... პეტრე-**ვ**, საბა-**ვ**...);

3) ვერ აწარმოებს მრავლობით რიცხვს (მაგრამ, თუ პირის სახელი ლიტერატურული ტიპის აღსანიშნავად გამოიყენება, მაშინ მრავლობითი რიცხვიც აქვს: არსენე**ბი**, ლუარსაბ**ები**, ასმათ**ები**...):

სახ.	დავით-ი	ანა	ვაჩე	ნინო	გივი
მოთხ.	დავით-მა	ანა-მ	ვაჩე-მ	ნინო-მ	გივი-მ
მიც.	დავით-ს	ანა-ს	ვაჩე-ს	ნინო-ს	გივი-ს
ნათ.	დავით-ის	ანა-ს(ი)	ვაჩე-ს(ი)	ნინო-ს(ი)	გივი-ს
მოქმ.	დავით-ით	ანა-თ(ი)	ვაჩე-თ(ი)	ნინო-თ(ი)	გივი-თ
ვით.	დავით-ად	ანა-დ	ვაჩე-დ	ნინო-დ	გივი-დ
წოდ.	დავით	ანა	ვაჩე	ნინო	გივი

პირის სახელები მიმართვისას ყოველთვის ფუძის სახით უნდა იყოს: თამარ! ვახტანგ! ნუგზარ! და არა: თამარი! ვახტანგი! ნუგზარი!

ქართულში **ი** ხმოვანფუძიანია ძირითადად ბერძნულ-ლათინურიდან ნასესხები ადამიანის (პირის) სახელები, რომელთაც -ios დაბოლოება ჰქონდათ: აკაკი, გიორგი, კორნელი...

პირის სახელები ბრუნების დროს ძველ ქართულში უფრო მეტ თავისებურებას ამჟღავნებდა. მაგალითად, სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში ბრუნვის ნიშანს არ დაირთავდა, ასევე არ ემატებოდა ემფატიკური **ა**... დღეს საზოგადო და საკუთარ (პირის) სახელთა ბრუნება თითქმის გათანაბრებულია, მხოლოდ წოდებითმა შეინარჩუნა ძველი ვითარება.

ადამიანის გვარები. საკუთარ სახელთაგან გვარები (მათ შორის, უცხოური წარმოშობისა) იბრუნვის საზოგადო სახელების მსგავსად. ადამიანის გვარიც შეიძლება იყოს თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი.

თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი გვარები უკუმშველია, გარდა **-ელ** მარცვალზე დაბოლოებულებისა (წერეთელი, მაჩაბელი...). მათ ეწარმოებათ ორივე მრავლობითი, წოდებით ბრუნვაში აუცილებლად უნდა დაერთოს ბრუნვის ნიშანი: რატიანო! გიგაურო! და არა: რატიანი! გიგაური! (როგორც ხშირად გვხვდება ზეპირ მეტყველებაში).

უკუმშველი:

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	იაშვილ-ი	იაშვილ-ებ-ი	იაშვილ-ნ-ი
მოთხ.	იაშვილ-მა	იაშვილ-ებ-მა	იაშვილ-თ-ა
მიც.	იაშვილ-ს (ა)	იაშვილ-ებ-ს (ა)	,,
ნათ.	იაშვილ-ის (ა)	იაშვილ-ებ-ის (ა)	,,
მოქმ.	იაშვილ-ით (ა)	იაშვილ-ებ-ით (ა)	–
ვით.	იაშვილ-ად (ა)	იაშვილ-ებ-ად (ა)	–
წოდ.	იაშვილ-ო	იაშვილ-ებ-ო	იაშვილ-ნ-ო

კუმშვადი:

	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	მაჩაბელ-ი	მაჩაბლ-ებ-ი	მაჩაბელ-ნ-ი
მოთხ.	მაჩაბელ-მა	მაჩაბლ-ებ-მა	მაჩაბელ-თ-ა
მიც.	მაჩაბელ-ს (ა)	მაჩაბლ-ებ-ს (ა)	,,
ნათ.	მაჩაბლ-ის (ა)	მაჩაბლ-ებ-ის (ა)	,,
მოქმ.	მაჩაბლ-ით (ა)	მაჩაბლ-ებ-ით (ა)	–
ვით.	მაჩაბლ-ად (ა)	მაჩაბლ-ებ-ად (ა)	–
წოდ.	მაჩაბელ-ო	მაჩაბლ-ებ-ო	მაჩაბელ-ნ-ო

ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი გვარები უკვეცელია ან კვეცადი.

უ კ ვ ე ც ე ლ ი ა:

ა) ძირითადად **-ა, -ია, -უა, -ვა**-ზე დაბოლოებული ქართული გვარები (მხოლობით რიცხვში);

ბ) **ე**-ზე დაბოლოებული უცხოური გვარები (ორივე რიცხვში):

	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ლეჟავა	ლეჟავ-ებ-ი	გოეთე	გოეთე-ებ-ი
მოთხ.	ლეჟავა-მ	ლეჟავ-ებ-მა	გოეთე-მ	გოეთე-ებ-მა
მიც.	ლეჟავა-ს	ლეჟავ-ებ-ს	გოეთე-ს	გოეთე-ებ-ს
ნათ.	ლეჟავა-ს (ი)	ლეჟავ-ებ-ის	გოეთე-ს (ი)	გოეთე-ებ-ის
მოქმ.	ლეჟავა-თ (ი)	ლეჟავ-ებ-ით	გოეთე-თ (ი)	გოეთე-ებ-ით
ვით.	ლეჟავა-დ	ლეჟავ-ებ-ად	გოეთე-დ	გოეთე-ებ-ად
წოდ.	ლეჟავა-ვ	ლეჟავ-ებ-ო	გოეთე-ვ	გოეთე-ებ-ო

კ ვ ე ც ა დ ი ა **ძე**-ზე დაბოლოებული და, აგრეთვე, საზოგადო არსებით სახელთაგან ნაწარმოები **ე** ხმოვაფუძიანი გვარები:

	მხ. რ.		მრ. რ.	
სახ.	ჭელიძე	მენაბდე	ჭელიძე-ებ-ი	მენაბდე-ებ-ი
მოთხ.	ჭელიძე-მ	მენაბდე-მ	ჭელიძე-ებ-მა	მენაბდე-ებ-მა
მიც.	ჭელიძე-ს	მენაბდე-ს	ჭელიძე-ებ-ს	მენაბდე-ებ-ს
ნათ.	ჭელიძ-ის	მენაბდ-ის	ჭელიძე-ებ-ის	მენაბდე-ებ-ის
მოქმ.	ჭელიძ-ით	მენაბდ-ით	ჭელიძე-ებ-ით	მენაბდე-ებ-ით
ვით.	ჭელიძე-დ	მენაბდე-დ	ჭელიძე-ებ-ად	მენაბდე-ებ-ად
წოდ.	ჭელიძე-ვ	მენაბდე-ვ	ჭელიძე-ებ-ო	მენაბდე-ებ-ო

ადამიანის სახელისა და გვარის ერთად ბრუნება განსხვავებულია წყობის მიხედვით:

1) თუ სახელს მოჰყვება გვარი, მაშინ სახელი უცვლელია, იბრუნვის გვარი; ორმაგი გვარის შემთხვევაშიც სახელი და პირველი გვარი ნიშნებს არ დაირთავს, ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი:

სახ.	ილია	ბერიძე	ნინო	მებუკე	-გაგუა
მოთხ.	ილია	ბერიძე-მ	ნინო	მებუკე	-გაგუა-მ
მიც.	ილია	ბერიძე-ს	ნინო	მებუკე	-გაგუა-ს
ნათ.	ილია	ბერიძ-ის	ნინო	მებუკე	-გაგუა-ს (ი)
მოქმ.	ილია	ბერიძ-ით	ნინო	მებუკე	-გაგუა-თ (ი)
ვით.	ილია	ბერიძე-დ	ნინო	მებუკე	-გაგუა-დ
წოდ.	ილია	ბერიძე-ვ	ნინო	მებუკე	-გაგუა-ვ

2) შებრუნებული წყობის დროს ბრუნებადია სახელი, გვარი კი, თუ ხმოვანფუძიანია – უბრუნველია, თუ თანხმოვანფუძიანი – ძირითადად იცვლება ნაწილობრივ, გარდამავალი ტიპის მსაზღვრელის მსგავსად:

სახ.	ნოზაძე	დავით-ი	მუსხელიშვილ-ი	ივანე
მოთხ.	ნოზაძე	დავით-მა	მუსხელიშვილ-მა	ივანე-მ
მიც.	ნოზაძე	დავით-ს	მუსხელიშვილ	ივანე-ს
ნათ.	ნოზაძე	დავით-ის	მუსხელიშვილ-ი	ივანე-სი
მოქმ.	ნოზაძე	დავით-ით	მუსხელიშვილ-ი	ივანე-თი
ვით.	ნოზაძე	დავით-ად	მუსხელიშვილ	ივანე-დ
წოდ.	ნოზაძე	დავით	მუსხელიშვილ-ო	ივანე

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, თანამედროვე ქართულში ამგვარი წარმოება (გარდამავალი სახეობა) უფრო გავრცელებულია მის პარალელურად არსებული სრული და შეკვეცილი სახეობების გვერდით და მართლწერის თვალსაზრისითაც იგი მართებულადაა ჩათვლილი (თ. ვაშაკიძე).

გეოგრაფიული სახელები. გეოგრაფიული სახელი ძირითადად იბრუნვის საზოგადო სახელთა მსგავსად, თუმცა ვერ აწარმოებს მრავლობით რიცხვს, წოდებით ბრუნვაში ზოგჯერ ფუძის სახითაცაა (მცხეთა! ან: მცხეთავ!).

თანხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელი უკუმშველია ან კუმშვადი, ხმოვანფუძიანი კი – უკვეცელი ან კვეცადი.

თანხმოვანფუძიანი:

სახ.	თბილის-ი	ყვარელ-ი
მოთხ.	თბილის-მა	ყვარელ-მა
მიც.	თბილის-ს	ყვარელ-ს
ნათ.	თბილის-ის	ყვარლ-ის
მოქმ.	თბილის-ით	ყვარლ-ით
ვით.	თბილის-ად	ყვარლ-ად
წოდ.	თბილის-ო	ყვარელ-ო

ხმოვანფუძიანი:

სახ.	მცხეთა	საირმე
მოთხ.	მცხეთა-მ	საირმე-მ
მიც.	მცხეთა-ს	საირმე-ს
ნათ.	მცხეთ-ის	საირმ-ის
მოქმ.	მცხეთ-ით	საირმ-ით
ვით.	მცხეთა-დ	საირმე-დ
წოდ.	მცხეთა-ვ (მცხეთა)	საირმე-ვ (საირმე)

2.9. სახელთა ბრუნების თავისებურებანი მართლწერის საკითხებითურთ

ბრუნების საერთო წესისაგან განსხვავებით, ქართულში რამდენიმე სახელი ამჟღავნებს თავისებურებას. ესენია: ამბავი, ხუცესი, ღმერთი, დრო, ხბო, ღვინო...

ამბავი. ამ სიტყვაში ფუძის კუმშვის დროს ხმოვანთან ერთად იკარგება **ვ** თანხმოვანიც: ამბავ-ი > ამბვ-ის > ამბ-ის (ძველ ქართულში ამბავი უკუმშველი იყო).

ხუცესი. ამ სიტყვაშიც ფუძის კუმშვისას ხმოვანთან ერთად იკარგება **ს** თანხმოვანი: ხუცეს-ი > ხუცს-ის > ხუც-ის; ხუც-ებ-ი || ხუცეს-ებ-ი.

ღმერთი. ფუძის კუმშვის შედეგად სიტყვაში თავს იყ-

რის ოთხი თანხმოვანი: ღმრთ-ის. ამის გამო წარმოთქმა გაძნელდა და დაიკარგა **რ,** შემდეგ **მ**-ს ჩაენაცვლა **ვ** და მივიღეთ **ღვთის** ფორმა (ღმერთ-ი > ღმრთ-ის > ღმთ-ის > ღვთ-ის). თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დასაშვებია შეუკუმშავი ფორმაც – **ღმერთის** (ზოგადი გაგებით) (ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი).

დრო. წესის მიხედვით, **ო**-ზე გათავებული ფუძე უკვეცელია, ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნად დარჩენილია მხოლოდ თანხმოვნითი ნაწილი: ოქრო > ოქრო-ს (ი), მაგრამ სიტყვაში **დრო** სრულია ფუძეც და ბრუნვის ნიშანიც: დრო – დრო-ის, დრო-ით, თუმცა ზოგჯერ, მეტწილად ზეპირ მეტყველებაში, შეიძლება ბრუნვის ნიშანი შეგვხვდეს ამ ფორმითაც: დრო-ს-ი, დრო-თ-ი...

ღვინო. ეს სახელი მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში კვეცადია, მაგრამ უკვეცელია ებიან მრავლობითში: ღვინო – ღვინ-ის, ღვინ-ით, შდრ. ღვინოები (სხვადასხვა მარკისა). სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა ახსნილია იმით, რომ პრექართველურ ენაში **ღვინო** უნდა ყოფილიყო თანხმოვანფუძიანი (ღვინ-ი).

ხბო. ამ სიტყვას აქვს ორგვარი მრავლობითი: ხბოები || ხბორები. დღეს უფრო მართებული და ფართოდ გავრცელებული ფორმაა **ხბოები.**

არსებითი სახელის ბრუნებას უკავშირდება მართლწერის რამდენიმე წესი:

1. თუ სახელის ფუძე **მ**-ზე ბოლოვდება, მოთხრობით ბრუნვაში ორი **მ** იქნება: ატამ-ი > ატამმა, ირემმა, ლომმა...

2. თუ სახელის ფუძე **ს**-ზე ბოლოვდება, მიცემითში ორი **ს** მოიყრის თავს: ქუთაის-ი > ქუთაის-ს, თბილისს, მაისს, ივლისს, კლასს, შინაარსს...

3. **ია**-ზე დაბოლოებულ ფუძეს ნათესაობითსა და მოქმედებითში ორი **ი** ექნება: ისტორია – ისტორიის, ისტორიით, ბაჭია – ბაჭიის, ბაჭიით...

4. ვითარებითში ბრუნვის ნიშნის თანხმოვნით ნაწილად

ყოველთვის უნდა იყოს **დ**: კაცად, წიგნად, ამხანაგად, ქალაქად, სტუმრად, მზედ, წყაროდ...

5. როცა სახელის ფუძე **ე**-ზე ბოლოვდება, ებიან მრავლობითში ორი **ე** იქნება: ხეები, ტყეები... შეცდომაა **დღეების, თვეების** ანალოგიით მიღებული **წლეები, კვირეები.** უნდა იყოს: **წლები, კვირები** (შდრ. წელ-ი, კვირა).

6. **ნ**-ზე დაბოლოებულ ფუძეთა ნარიან მრავლობითში ორი **ნ** იქნება: ბერძენნი, სოსანნი, მგოსანნი, ფრთოსანნი...

7. თუ სახელის ფუძე **თ**-ზე ბოლოვდება, თანიან მრავლობითში ორი **თ** მოიყრის თავს: ბურთთა, კალათთა, ნივთთა, თითთა...

2.10. არსებით სახელთა ბრუნების ტიპები. მათი კლასიფიკაციის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში

ქართულში ყველა სახელი ერთნაირად არ იბრუნვის: ზოგის ფუძე უცვლელია, ზოგისა – კუმშვადი, კვეცადი ან კუმშვად-კვეცადი. გარდა ამისა, ზოგჯერ იცვლება თვით ბრუნვის ნიშანიც კი. ამის მიხედვით გამოყოფენ სახელთა ბრუნების რამდენიმე ქვეტიპს:

1. ა) თანხმოვანფუძიანი სახელები, ბ) კვეცადი სახელები, გ) უკვეცელი სახელები (ა. შანიძე);

2. ა) თანხმოვანფუძიანი უკუმშველი სახელები, ბ) კუმშვადი და კვეცადი სახელები, გ) უკვეცელი სახელები (არნ. ჩიქობავა);

3. ა) უკუმშველი, ბ) კუმშვადი, გ) უკვეცელი, დ) კვეცადი და კუმშვად-კვეცადი (ვ. თოფურია);

4. ა) თანხმოვანფუძიანი სახელები, ბ) ხმოვანფუძიანი სახელები (ლ. კვაჭაძე);

5. ა) ერთფუძიანი სახელები (ა. სახელები, რომელთაც აქვთ ყველა ბრუნვის ფორმა; ბ. აქვთ მხოლოდ ორი ფორმა, **-ნ** და **-თ** ფორმანტებით ნაწარმოები: კაცნი, კაცთა; გ. ახასიათებთ ნაკლული ბრუნება: შენ, თქვენ, ჩვენ...);

ბ) ორფუძიანი სახელები (ა. ერთი ფორმა სახელობითის, მოთხრობითისა და მიცემითისათვის: **მე**... მეორე – ნათესაობითისა და მოქმედებითისათვის: **ჩემ-, ჩემ-ზე, ჩემ-თვის**... ბ. განსხვავებულია ფუძეები სახელობითსა და ყველა დანარჩენ ბრუნვაში: ის, ეს, იგი...) (ბ. ჯორბენაძე)...

ბრუნების ტიპებად ზემოთ წარმოდგენილ დაყოფას საფუძვლად უდევს სხვადასხვა პრინციპი:

ა. შანიძის კლასიფიკაციისათვის ამოსავალია ბრუნვის ნიშანთა ერთგვაროვნება – სისრულე ან უსრულობა, კერძოდ, I ტიპის სახელებში ყველა ბრუნვის ნიშანი სრულია, II ტიპისაში – ზოგან მოკვეცილია ან არასრული, III-ში კი ბრუნვის ნიშანი იცვლება ნათესაობითსა და მოქმედებითში.

არნ. ჩიქობავას კლასიფიკაციის საფუძველია მიმართება ბრუნვის ნიშანსა და ფუძეს შორის, ანუ ფონეტიკური ცვლილება მორფემათა საზღვარზე: ა) უცვლელია ფუძეც და ბრუნვის ნიშანიც; ბ) ბრუნვის ნიშანი იწვევს ფუძეში ცვლილებას (იკუმშება ან იკვეცება); გ) ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე.

ვ. თოფურია სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშნის მიმართებას ყველა ბრუნვის მიხედვით განიხილავს.

ბ. ჯორბენაძის კლასიფიკაციისათვის ამოსავალია სახელის ფუძის სტრუქტურა. შესაბამისად, სახელთა ბრუნებაში გამოყოფილია ორი ძირითადი მორფოლოგიური ტიპი: ერთფუძიანი და ორფუძიანი სახელები.

სახელთა ბრუნების ტიპებად დაყოფის საკითხი აქტუალურია თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაშიც, შესაბამისად, გამოთქმულია ტრადიციულისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოსაზრებები. მაგალითად, სახელის ფორმაწარმოების (ფლექსიის) პროცესში მონაწილე აფიქსებისა (ბრუნვის ნიშნების, მრავლობითი რიცხვის **-ებ** სუფიქსის) და სახელის ფუძის ურთიერთმიმართებით გამოწვეული ცვლილების საფუძველზე შესაძლებლად მიაჩნიათ, ენაში არსებული სახელები გაერთიანდეს 8 ჯგუფში (ა. არაბული, კ. გაბუნია, ტ. ფუტკარაძე...).

2.11. თანდებულიანი და ნაწილაკიანი ბრუნვები

2.11.1. თანდებულიან ბრუნვათა ფუნქციური დახასიათება

ქართულში არსებითი სახელის ფუძეს ბრუნვისა და რიცხვის ნიშნების გარდა შეიძლება დაერთოს თანდებული და ნაწილაკი.

თანდებული არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვა ან ბგერათა კომპლექსი, რომელიც დაერთვის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას და აღნიშნავს მდებარეობას, მიმართულებას, დანიშნულებას, მსგავსებას...

ქართულში თანდებულიანია ხუთი ბრუნვა: სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი.

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბრუნვის თანდებულია **-ვით.** იგი დაერთვის მხოლოდ თანხმოვანფუძიან სახელებს და აღნიშნავს მსგავსებას: ქალი-**ვით,** ბავშვი-**ვით,** სახლი-**ვით...** არ იწვევს ცვლილებას არც ფუძეში და არც ბრუნვის ნიშანში.

მ ი ც ე მ ი თ ი ბრუნვის თანდებულებია: **-ვით, -თან, -ზე, -ში.**

-ვით ერთვის როგორც ხმოვანფუძიან, ისე თანხმოვანფუძიან სახელებს, გამოხატავს მსგავსებას: ძმასა-ვით, დედასა-ვით, პეპელასა-ვით, ქალსა-ვით, ბავშვსა-ვით... -ვით თანდებულს ერთნაირი ფუნქცია აქვს სახელობითსა და მიცემითში, მაგრამ განსხვავებულია მათი გამოყენების სიხშირე. თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მიხედვით, თანხმოვანფუძიან სახელებთან -ვით უფრო ხშირად არის სახელობითში, ვიდრე მიცემითში (XIX საუკუნის მწერალთა ნაწერებში პირიქით იყო). აშკარაა, რომ ამ პარალელურ ფორმათაგან (ბავშვივით / ბავშვსავით) ზეპირი მეტყველება თუ სამწერლობო ენა კეთილხმოვანების გამო მეტწილად იყენებს სახელობითს. მაშასადამე, უმჯობესია თანხმოვანფუძიან სახელებში უპირატესობა მიენიჭოს -ვით თანდებუ-

ლიან სახელობითს. -ვით თანდებული მიცემით ბრუნვაში ყოველთვის გავრცობილ ფორმას დაერთვის.

-ვით თანდებული (როგორც მსგავსების გამომხატველი) მიახლოების, ოდნაობითის ფუნქციით ზეპირ მეტყველებაში (და მისი გავლენით სამწერლობო ენაშიც) შეიძლება დაერთოს ზმნასა და სხვა მეტყველების ნაწილებსაც: მშიასავით, აგრილდასავით, შეწითლებულსავით... დღეს ამგვარ ფორმებს მეტი გასაქანი ეძლევა.

-თან აღნიშნავს ადგილს, სიახლოვეს; ერთვის თანხმოვან- და ხმოვანფუძიან სახელებს, ოღონდ თანხმოვანფუძიანებში მის გამო იკარგება ბრუნვის ნიშანი **-ს** (რომელიც შენარჩუნებულია ხმოვანფუძიანებთან): მეგობარ-**ს**-თან > მეგობარ-თან... ხე-**ს**-თან, ძმა-**ს**-თან...

-ზე და **-ში** თანდებულები აღნიშნავს ადგილს, მდებარეობას. მათი დართვისას იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი ყველა არსებით სახელთან: სახლ-**ს**-ზე > სახლ-ზე, კლდე-**ს**-ზე > კლდე-ზე... სახლ-**ს**-ში > სახლ-ში, ეზო-**ს**-ში > ეზო-ში (შენარჩუნებულია მხოლოდ ორ ნაცვალსახელში მა-ს-ზე, მა-ს-ში, ვი-ს-ზე, ვი-ს-ში).

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბრუნვის თანდებულებია: **-თვის, -გან, -კენ, -ებრ, -თანავე** (იშვიათად: **-და, -დამი**).

-თვის აღნიშნავს დანიშნულებას, მიზანს, სამოქმედო საგანს. იგი დაერთვის გავრცობილ და გაუვრცობელ ბრუნვის ფორმას: ძმ-ის-თვის || ძმ-ისა-თვის, სწავლ-ის-თვის || სწავლ-ისა-თვის, ბავშვ-ის-თვის || ბავშვ-ისა-თვის...

-გან თანდებული აღნიშნავს რეალურად მოქმედს, მიზეზს (ამხანაგისგან მივიღე ბარათი), მასალას, რომლისგანაც რაიმე კეთდება (ხისგან გამოთალეს კოვზი). -გან თანდებულიანი ნათესაობითი მიუგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? -გან დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილ ან გაუვრცობელ ფორმას და სიტყვაში რაიმე ცვლილებას არ იწვევს: დედისგან || დედისაგან. დღეს ამ ორი ვარიანტიდან უპირატესობა ენიჭება გაუვრცობელ ფორმას, თუკი მათი ფუნქციების დიფერენციაცია არ მოხდა (არნ. ჩიქობავა).

-კენ უჩვენებს მიმართულებას, დაერთვის გავრცობილსა და გაუვრცობელ ბრუნვის ფორმას: სოფლ-ის-ა-კენ || სოფლ-ის-კენ, მდინარ-ის-ა-კენ || მდინარ-ის-კენ...

-ებრ გამოხატავს მსგავსებას. იგი დაერთვის როგორც ბრუნვის ფორმას, ისე ფუძეს: ლომ-ის-ებრ || ლომ-ებრ, ცეცხლ-ის-ებრ || ცეცხლ-ებრ...

-თანავე გამოიყენება საწყისთან მოქმედების დროის გადმოსაცემად: მოსვლ-ის-თანავე, გათენებ-ის-თანავე, გაგზავნ-ის-თანავე...

და ძველ ქართულში თანდებული იყო, გამოიყენებოდა **თვის** თანდებულის მნიშვნელობით (შვილისადა, ქვეყნისადა...). ა. შანიძის აზრით, დღეს იგი შემონახულია ისეთ გამოთქმებში, როგორიცაა: ჩემ**და** თავად, ამის**და** მიუხედავად, სხვის**და** უკითხავად, იმის**და** მიხედვით და მისთ.

-დამი რთული თანდებულია (და+მი). იგი გვხვდება იშვიათად, მეტწილად ნაცვალსახელებთან: ჩემ-დამი, შენ-დამი, მის-დამი...

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ბრუნვის თანდებულებია, ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, **-ურთ, -გან**; ახალი, განსხვავებული კვალიფიკაციით კი – **-ურთ, -დან**.

-ურთ აღნიშნავს თანაობას: შვილ-ით-ურთ, ამხანაგ-ით-ურთ... იგი თანამედროვე ქართულში იშვიათია, რადგან მის ადგილს იკავებს **-იან** სუფიქსიანი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა: ცოლ-ით-ურთ || ცოლ-იან-ად...

-გან თანდებული დაერთოდა მოქმედებითი ბრუნვის გაუვრცობელ ფორმას. დღეს იგი, ძველ ქართულთან შედარებით, ფონეტიკურად სახეცვლილია. ცვლილების პროცესი ასე წარიმართა: თავდაპირველ ქ ა ლ ა ქ - ი თ - გ ა ნ ფორმაში ასიმილაციის გზით სახე იცვალა ბრუნვის ნიშანმა: ქ ა ლ ა ქ - ი დ - გ ა ნ. მეორე საფეხურზე დაიკარგა თანდებულის გ თანხმოვანი და საბოლოოდ დარჩა ქ ა ლ ა ქ - ი დ - ა ნ. ამ ფორმის კვალიფიკაცია სხვადასხვაგვარად მოხდა: ა) **-იდ** არის მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი, **-ან** კი – თანდებულის ნაწილი; ბ) -იდან / -დან არის

ერთი ფორმანტი, კერძოდ, ლოკალური (გამოსვლითი) ბრუნვის ნიშანი. სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულადაა აღნიშნული, რომ თანამედროვე ქართულში **-გან** თანდებული მოქმედებით ბრუნვასთან რეალურად აღარ არსებობს (გ. ცოცანიძე, ალ. ონიანი...); დღეს მოქმედებითის თანდებულად უნდა ჩაითვალოს **-დან** (სახლ-ი-დან, წყარო-დან...), რომელიც მიღებულია **-გან** და **-დამ** თანდებულთა კონტამინაციით (შ. აფრიდონიძე, დ. მელიქიშვილი...).

მაშასადამე, **სახლიდან, წყაროდან** ტიპის ფორმები დაიშლება ასე: სახლ-ი-დან, წყარო-დან.... აქ სახლ-, წყარო ძირეული მორფემებია, **-ი, Ø** – ბრუნვის ნიშნის ალომორფები, **-დან** კი – თანდებული.

ქართულში (XVII-XIX სს.) დასტურდება **ცხოვრებიდამ** ტიპის ფორმები, რომლებშიც არნ. ჩიქობავამ გამოყო **-დამ** (< **დაღმე / დაღმა** ზმნიზედისაგან) სეგმენტი და იგი დამოუკიდებელ თანდებულად მიიჩნია. ასეთი ფორმები განსაკუთრებით ხშირია აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა (ილია, ვაჟა...) ენაში.

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ბრუნვის თანდებულებია **-მდე, -მდის.** ისინი გამოხატავენ მოქმედების დასასრულ პუნქტს სივრცესა და დროში. მათი დართვისას ხმოვანფუძიან სახელებში იკარგება ბრუნვის ნიშანი, თანხმოვანფუძიანებში კი რჩება მხოლოდ ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი **ა:** გზა-დ-მდე > გზა-მდე, წყარო-დ-მდის > წყარო-მდის... სახლ-ად-მდე > სახლ-ა-მდე... (თანდებულთა შესახებ. იხ. აგრეთვე გვ. 357-361).

2.11.2. ნაწილაკიანი ბრუნვები

არსებითი სახელის თანდებულიან და უთანდებულო ფორმას შეიძლება ახლდეს ნ ა წ ი ლ ა კ ე ბ ი: ც (ცა), მცა (მც), ღა, ვე, ა, ო...

1. **ც (ცა)** ყურადღებას ამახვილებს იმ სიტყვაზე, რომელსაც დაერთვის: „ხალიჩაც მოართვი და მუთაქაც...“

2. **ღა** მნიშვნელობით უახლოვდება „მხოლოდ“ ნაწილაკს: სახლში ბავშვიღა იყო.

3. **ვე**-ს მნიშვნელობაა: „იმავე“, „კვლავ“, „ისევ“, „ყველა“, „უკლებლივ“: ბაღშივე დავაბრუნოთ.

4. ზოგჯერ სახელს ერთვის **ა** და **ო** ხმოვნები, მაგრამ ისინი ამ კონკრეტულ პოზიციაში რაიმე გრამატიკულ ფუნქციას არ ასრულებენ, ძირითადად გამოყენებულია ლექსებში სიტყვის ბოლოს მარცვალთა რაოდენობის შესავსებად: „სდიოდა სისხლის ღვარია“; „გავიხედე სერზედაო, ბატონი ზის ცხენზედაო“... სწორედ ამ თავისებურებიდან გამომდინარე, ა. შანიძემ ასეთ **ა** და **ო**-ს უწოდა პ რ ო ს ო დ ი უ ლ ი ანუ „მახვილიანი“ ხმოვნები, რომლებიც დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“, ასევე შემდგომი ხანის ლექსებსა თუ პოემებში; განსაკუთრებით ხშირია ხალხურ პოეზიაში.

2.11.3. თანდებულიან სახელთა მართლწერა

1) **ზ** თანხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვაში **-ზე** თანდებულის დართვისას ორი **ზ** მოიყრის თავს: კოვზ-ზე, იალბუზ-ზე, ნიგოზ-ზე...

2) თუ სახელის ფუძე **შ** თანხმოვანზე ბოლოვდება, **-ში** თანდებულის დართვისას სიტყვაში ორი **შ** იქნება: ქარქაშ-ში, ბალიშ-ში, კომშ-ში...

3) როცა **თ** თანხმოვანფუძიან სახელს **-თან** თანდებული ემატება, მაშინ აუცილებელია ორი **თ**: ბურთ-თან, ნივთ-თან, კალათ-თან, საათ-თან, თით-თან...

4) მიცემითსა და ნათესაობითში **და**-თი შეერთებულ სახელთაგან თანდებული დაერთვის მომდევნოს, **და**-ს წინ მდგომი კი უთანდებულოა: წარსულსა და მომავალზე (ფიქრობდა), მშობლებისა და ნათესავებისაგან (იყო ბავშვი დალოცვილი).

5) წიგნის, ჟურნალის, გაზეთისა თუ ნაწარმოების სახელწოდება, სათაური, რომელიც სახელობითში დგას, იბ-

რუნვის და საჭიროების შემთხვევაში თანდებულსაც დაირთავს: ჟურნალი „ცისკარი“, ჟურნალმა „ცისკარმა“... პოემა „აჩრდილზე“, გაზეთ „ივერიაში“...

6) წიგნის, ჟურნალის, გაზეთისა თუ ნაწარმოების სათაური, სახელწოდება უმჯობესია უცვლელად დარჩეს, როცა იგი გადმოცემულია:

ა) სხვა ბრუნვის ფორმით („მეგობრებს“);

ბ) თანდებულიანი სახელით ან სიტყვათა ისეთი შეკავშირებით, რომელშიც უკანასკნელი ადგილი თანდებულიან სახელს უჭირავს („სარჩობელაზედ“, „გამოთხოვება ძველ თბილისთან“);

გ) წინადადებით („იავნანამ რა ჰქმნა“);

დ) მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილით („კრავი სპეტაკი“, „კლდე მტირალი“). დასახელებული ტიპის სახელწოდებათა შემთხვევაში უმჯობესი იქნება წინადადებაში ვცვალოთ მსაზღვრელად წამძღვარებული სახელი. მაგალითად: სულხან-საბა ორბელიანის წიგნში „ლექსიკონი ქართული“ განმარტებულია ძველი ქართული სიტყვებიც; ი. ჭავჭავაძის მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ აღწერილია საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

არაბული ა., სახელის მორფოლოგია: **თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა,** თბ., 2011.

აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.

გაბუნია კ., სახელთა ფორმათწარმოების ანალიზის პრინციპებისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბ., 1999.

გაბუნია კ., ბრუნვათა რაოდენობისათვის ქართულში; ბ. ჯორბენაძის საზოგად. VI სამეცნიერო კონფერენცია, 1999.

გოგოლაშვილი გ., სახელთა ფუძისეული ხმოვნის რედუქციასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულში: ქსკს, V, 1981.

დანელია კ., გრამატიკული სქესის გამოხატვის ცდა ქართულში: მაცნე, №4, 1986.

ეზუგბაია ლ., რიცხვი: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

ვაშაკიძე თ., სახელისა და გვარის შებრუნებული წყობისათვის ქართული და არაქართული გვარების მიხედვით: ქსკს, XIV, 2014.

ზექალაშვილი რ., კინწურაშვილი ლ., ქართული ენა. ტესტები, სავარჯიშოები და მართლწერის წესები, თბ., 2009.

ზურაბიშვილი თ., მავრცობი **ა** თანამედროვე ქართულში: ქსკს, I, 1972.

ზურაბიშვილი თ., **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა საკითხისათვის: ქსკს, IX, 1989.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986; ბიულეტენი №3, 1987.

თვალთვაძე დ., გაფრინდაშვილი ნ., ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, მესამე შესწორებული გამოცემა, თბ., 2013.

თოფურია ვ., ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებანი: სბი, I, თბ., 1956.

თოფურია ვ., წოდებითი ბრუნვისათვის: სბი, I, თბ., 1956.

თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965; 1988.

იალამიდი გ., კუმშვად-კვეცადი სახელების ბრუნებისათვის: ქელს, №4, თბ., 1972.

იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

იმნაიშვილი ვ., უთურგაიძე თ., ო ფუძიანი საზოგადო სახელების ცვლილებისათვის თანამედროვე ქართულში (სიტყვაწარმოება): კრებ. „ქართველოლოგია", №6, თბ., 2011.

იმნაიშვილი ვ., ო ფუძიანი გეოგრაფიული სახელების ცვლილებისათვის თანამედროვე ქართულში (სიტყვაწარმოება): კრებ. „ქართველოლოგია", №3, თბ., 2012.

იმნაიშვილი ვ., ო ფუძიანი საზოგადო სახელების კვეცა ბრუნებისას თანამედროვე ქართულში: კრებ. „ქართველოლოგია", №5, თბ., 2012.

იმნაიშვილი ვ., ა ფუძიანი სახელების ერთი განსაკუთრებული ჯგუფის კვეცისათვის: კრებ. „ქართველოლოგია", №3, თბ., 2013.

იმნაიშვილი ვ., ო ფუძიანი გეოგრაფიული სახელების კვეცის იშვიათი შემთხვევები თანამედროვე ქართულში: კრებ. „ქართველოლოგია", №1, თბ., 2012.

იმნაიშვილი ვ., ზოგიერთი ო ფუძიანი გეოგრაფიული სახელის მართლწერისათვის: კრებ. „ქართველოლოგია", №4, თბ., 2013.

იმნაიშვილი ვ., ა ფუძიანი სახელების კვეცისათვის: კრებ. „ქართველოლოგია", №6, თბ., 2012.

იმნაიშვილი ვ., უ ფუძიანი სახელების ტრანსფორმაციის შესახებ: კრებ. „ქართველოლოგია", №5, თბ., 2014.

იმნაიშვილი ვ., მრავლობითის **-ებ** სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებში: კრებ. „ქართველოლოგია", №6, თბ., 2014.

კალანდაძე ვ., არსებითი სახელი: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

კეკელია შ., დავითიანი აკ., ქართული ენა, თბ., 1973.

კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981.

კიკვიძე ზ., თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები, თბ., 1999.

კობალაძე მ., ბრუნვის ნიშნების სადერივაციო დანიშნულებისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, XIV, თბ., 2003.

ლომთაძე ა., ემფატიკური ხმოვნები: მაცნე, №3, თბ., 1976.

მაჭავარიანი გ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002.

მაჭავარიანი დ., ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 2013.

მახარობლიძე თ., კონკრეტული თუ აბსტრაქტული: იკე, XXXIX, თბ., 2011.

ნებიერიძე გ., წოდებითი ბრუნვის საკითხისათვის: ბალავერი, №1-6, თბ., 1991.

ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.

ნოზაძე ლ., ემფატიკური ი ქართულში: იკე, XXIX, თბ., 1990.

ნოზაძე ლ., ბრუნების ზოგი საკითხის შესახებ ქართულში: ქესს, VIII, თბ., 2003.

ონიანი ალ., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

სარჯველაძე ზ., ვით თანდებულის ისტორიისათვის: ქელს, №4, 1979.

სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

საღინაძე რ., ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები, ქუთაისი, 1995.

საღინაძე რ., ძველი ქართული ენა, თბ., 2008.

საღინაძე რ., ა-სა და ე-ზე დაბოლოებული უკვეცელი სახელები ქართულში: სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები, თბ., 2013.

სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ტაბიძე მ., სემანტიკური გაფართოება-დავიწროების პროცესები ქართულ საკუთარ და საზოგადო სახელებში: ქსკს, X, თბ., 1993.

უთურგაიძე თ., ქართული ენის სახელთა ფუძეების კუმშვისათვის: იკე, 40, 2012.

უთურგაიძე თ., სახელობითი ბრუნვის ი სუფიქსის შეხორცებისათვის ადამიანთა სახელებში: იკე, XXIV, 1985.

უთურგაიძე თ., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

უთურგაიძე თ., ქართული ენის ისტორიული გრამატიკის მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური ასპექტები, თბ., 2013.

ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.

ფეიქრიშვილი ჟ., სახელის ფუძის სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები: ეტიმოლოგიური ძიებანი, ქუთაისი, 2005.

ფეიქრიშვილი ჟ., საღინაძე რ., ბრუნვათა რაოდენობის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში: ქსუ პროფესორ-მასწავლებელთა VI სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ქუთაისი, 2000; იხ. წიგნში: ჟ. ფეიქრიშვილი, ენათმეცნიერული ძიებანი, თბ., 2009.

ფოცხიშვილი ალ., ქართული ენა, თბ., 2000.

ფუტკარაძე ტ., ბრუნება როგორც სახელის ფორმანარმოების ერთ-ერთი ასპექტი: კრებ. „გიორგი როგავას", თბ., 1997.

ფუტკარაძე ტ., ქართული ენის ბუნების ამსახველი ლოგიკური პარადიგმის პრობლემისათვის: ჟურნ. „ქართული ენა და ლოგიკა", თბილისი, 2005.

ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ქურდაძე რ., მართლწერის საკითხები ზოგი ხმოვანფუძიანი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებით: „თანამედროვე ქართული ენის სოციალურ-კულტურული ასპექტები", თბ., 2011.

ღლონტი ალ., კვეცადი ანთროპონიმებისათვის სალიტერატურო ენასა და დიალექტებში: მაცნე, №3-4, თბ., 1993.

შალამბერიძე გ., ქართული მართლწერა, თბ., 1961.

შანიძე ა., წოდებითი ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში: სბი, I, თბ., 1956.

შანიძე ა., მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება; წოდებითი ფორმის დაბოლოება: თქსენ, I, თბ., 1970; 1986.

შანიძე ა., ორმაგი გვარის ბრუნებისათვის: ქსკს, I, 1972.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

შანიძე შ., ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში: კრებული „თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს", თბ., 1969.

შანიძე მ., ი ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები ქართულში: ქსკს, XI, თბ., 1998.

ჩიქობავა არნ., ერთი უცნობი თანდებული ქართულში: ენიმკის მოამბე, ტ. I, თბ., 1937.

ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; II გამოც. 2008.

ჩიქობავა არნ., მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იკე, VI, თბ., 1954.

ჩიქობავა არნ., ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის: სბი, I, თბ., 1956.

ჩიქობავა არნ., თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის: ქესს, II, თბ., 1961.

ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1976.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ცოცანიძე გ., გან თანდებულიანი მოქმედებითის საკითხისათვის თანამედროვე ქართულში: ქესს, V, თბ., 1981.

ძოწენიძე ქ., ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში: იხ. წიგნში – ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.

ჭუმბურიძე ნ., ვით თანდებულის ჩამოყალიბების ისტორიისათვის: ქელს, №2, 1982.

ჯაფარიძე ზ., ვით თანდებულის ხმარებისათვის ზმნასთან ქართულში: ქელს, III, თბ., 1963.

ჯორბენაძე ბ., ბრუნვათა სემანტიკური ანალიზის პრინციპისათვის ქართულში: ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

ჯორბენაძე ნ., არსებით სახელთა დაჯგუფების ახალი პრინციპებისათვის ქართულში: იკე, XXXIX, თბ., 2011.

თავი III. ზედსართავი სახელი

3.1. ზედსართავი სახელის ფუნქცია. მისი სახეები

ზედსართავი სახელი აღნიშნავს საგნის ნიშან-თვისებას. იგი „ზედ დაერთვის“ ანუ ახლავს არსებით სახელს. აქედანაა წარმომდგარი ტერმინი „ზედსართავი“.

ზედსართავი სახელის კითხვებია: როგორი? რომელი? სადაური? როდინდელი? რანაირი? მაგალითად: ლამაზი, თეთრი, განათებული, ქალაქელი, აქაური, გუშინდელი...

სინტაქსურად ზედსართავი სახელი განსაზღვრებაა (**მაღალი** სახლი). იგი შეიძლება იყოს აგრეთვე შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (სახლი **მაღალი** იყო), იშვიათად – ქვემდებარე და დამატება (**უფროსმა უმცროსი** დაარიგა).

ზედსართავი სახელი ზოგჯერ გამოიყენება არსებითი სახელის მნიშვნელობითაც. ასეთ შემთხვევაში ზედსართავი გაარსებითებულია (უცხოურად ამ პროცესს სუბსტანტივაცია ჰქვია). მაგალითად, ქალაქში დიდი **სასტუმრო** ააგეს (არს. სახ.), შდრ. **სასტუმრო** ოთახი კარგად მოაწყვეს (ზედს. სახ.). გაარსებითებული ზედსართავი სახელი საგნის ნიშან-თვისებას კი არ გამოხატავს, არამედ აღნიშნავს თვით საგანს.

შესაძლებელია ზედსართავი სახელის მნიშვნელობით გამოყენებულ იქნეს სხვა მეტყველების ნაწილიც. ასეთ პროცესს ეწოდება გაზედსართავება (უცხოურად – ადიექტივაცია). მაგალითად, **სტუდენტი** ვაჟი დააჯილდოვეს (ზედს. სახ.), შდრ. **სტუდენტი** კითხულობს (არს. სახ.); **ექიმი** ქალი მოვიდა (ზედ. სახ.), შდრ. **ექიმი** მოვიდა(არს. სახ.). სუბსტანტივაცია არსებით სახელს ამდიდრებს, ადიექტივაცია – ზედსართავს.

ზედსართავი სახელი საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს უშუალოდ ან სხვა საგანთან მიმართებით. შესაბამისად, იგი ორგვარია: ვითარებითი და მიმართებითი.

ვითარებითი ზედსართავი სახელი პირველადია, საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს უშუალოდ, სხვა საგანთან მიმართების გარეშე: ლამაზი, პატარა, მწვანე, მოკლე...

ვითარებითი ზედსართავი სახელების უმეტესობა ძირითადად არამოტივირებული სიტყვებია. მათ ახასიათებთ შემდეგი ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებანი: 1) აწარმოებენ ხარისხის ფორმებს; შეუძლიათ იგივე შინაარსი აღწერითად გადმოსცენ (უდიდესი || უფრო დიდი); 2) ქმნიან ანტონიმურ წყვილებს (მაღალი – დაბალი); 3) მათგან იწარმოება ზმნიზედები (სწრაფი – სწრაფად) და აბსტრაქტული სახელები **სი-ე** კონფიქსით (წითელი – სიწითლე...).

მიმართებითი ზედსართავი სახელი წარმოქმნილი ფორმაა – მოტივირებულია, ნიშან-თვისებას გამოხატავს ამოსავალ სიტყვასთან მიმართებით. იგი შეიძლება იწარმოებოდეს:

არსებითი სახელისაგან: ქუდი > ქ უ დ ი ა ნ ი კაცი
რიცხვითი სახელისაგან: ათი > ა თ ი ა ნ ი წლები
ნაცვალსახელისაგან: ჩვენი > ჩ ვ ე ნ ე ბ უ რ ი წესი
ზმნისაგან: შვენის > მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ქალი
ნაზმნარი სახელებისაგან: შრომა > შ რ ო მ ი თ ი საქმიანობა,
დ ა ხ ა ტ უ ლ ი სურათი
ზმნიზედისაგან: იქ > ი ქ ა უ რ ი ამბავი
თანდებულისაგან: ებრ > უ ე ბ ა რ ი (|| უებრო) წამალი
ბრუნვის ფორმათაგან:
ა) მოქმ. ბრ.: დროებით > დ რ ო ე ბ ი თ ი მოვლენა
ბ) ვით. ბრ.: გულად > გ უ ლ ა დ ი ბავშვი...

3.2. ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები

ზედსართავი სახელით გამოხატული ნიშან-თვისება შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები ოდენობისა ანუ სხვადასხვა ხარისხისა.

ზედსართავი სახელის ისეთ ფორმას, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს მეტი ან ნაკლები ოდენობით, **ხარისხის ფორმა** ჰქვია. იგი აქვს ვითარებით ზედსართავებს (ზოგჯერ მიმართებითსაც).

ნიშან-თვისების ხარისხი ენაში შეიძლება გადმოიცეს ორგვარად: ორგანულად და აღწერითად. ორგანული წარმოება გრამატიკული ფორმაა, სპეციალური აფიქსით გაფორმებული (**უ**-დიდ-**ეს**-ი); აღწერითისათვის გამოყენებულია სხვა სიტყვები (ძალიან ლამაზი, მეტად კეთილი, ფრიად სასარგებლო...), ზოგჯერ ფუძის გაორკეცებაც (ცხელ-ცხელი, ახალ-ახალი, წითელ-წითელი, შავ-შავი...). აღწერითი წარმოება ხარისხის გრამატიკულ ფორმად არ მიიჩნევა. იგი ძველ ქართულს ნაკლებად ახასიათებდა, ახალში კი პირიქითაა: წერითსა თუ ზეპირ მეტყველებაში უფრო და უფრო მეტ ადგილს იჭერს. ეს მოვლენა საერთოქართველურია.

ქართულში გამოიყოფა ხარისხის სამი ფორმა: დადებითი, უფროობითი, ოდნაობითი. სვანურში არის: დადებითი, უფროობითი და აღმატებითი; მეგრულში – დადებითი, უფროობითი და თანაბრობითი.

დ ა დ ე ბ ი თ ი ნეიტრალურია და ამოსავალი დანარჩენი ფორმებისათვის: დიდი, თეთრი, მაღალი...

3.2.1. უფროობითი ხარისხი

უ ფ რ ო ო ბ ი თ ი ხარისხის ფორმა საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს დადებითთან შედარებით უფრო მეტი ოდენობით. მისი მაწარმოებელია **უ-ეს** კონფიქსი: უ-დიდ-ეს-ი,

უ-თეთრ-ეს-ი, უ-მაღლ-ეს-ი, უ-შავ-ეს-ი... ტერმინი „უფროობითი“ ნაწარმოებია „უფრო“ ზმნიზედისაგან, დაამკვიდრა ა. შანიძემ.

ძველ ქართულში უფროობითი ხარისხის წარმოება ფორმობრივ-სემანტიკურად განსხვავებული იყო, ისტორიულად იგი უკავშირდებოდა ზმნას და, შესაბამისად, მის მაწარმოებლებად გამოიყენებოდა ზმნური წარმომავლობის აფიქსები: ხ-უ – ე-ᲐᲡ / ჰ-უ – ე-ᲐᲡ (ხანმეტობა-ჰაემეტობის პერიოდებში: ხ-უ-დიდ-ე-ᲐᲡ, ხ-უ-მჯობ-ე-ᲐᲡ... ჰ-უ-დიდ-ე-ᲐᲡ, ჰ-უ-მჯობ-ე-ᲐᲡ...), რომლებშიც **ხ-, ჰ-** პრეფიქსები, ა. შანიძის აზრით, O_3 პირის ნიშნებია, **უ** კი – სასხვისო ქცევისა (ხარისხის თავდაპირველ ნიშნად ითვლება **-ე** სუფიქსი). შემდგომში პრეფიქსებს პირიანობის გაგება დაუკარგავთ და შეუძენიათ ხარისხის აღნიშვნის ფუნქცია.

ხარისხის წარმოების თვალსაზრისით ქართული ენა მკვეთრად განსხვავდება ევროპული ენებისაგან. მართალია, ევროპულ ენებშიც ხარისხის სამი ფორმაა: დადებითი, შედარებითი (კომპარატივი) და აღმატებითი (სუპერლატივი), მაგრამ იქ მზარდი ხარისხი ორსაფეხურიანია, მაშინ როცა ქართულში მეტობა გამოიხატება მხოლოდ ერთი ფორმით – უფროობითით. გარდა ამისა, ევროპულ ენებს არ მოეპოვება ოდნაობითის ფორმა.

ეს განსხვავება სქემატურად შეიძლება ასე გამოიხატოს:

ქართული	გერმანული
უფროობითი – უდიდესი	აღმატებითი – **am größten**
↑	↑
დადებითი – დიდი	შედარებითი – **größer**
↓	↑
ოდნაობითი – მოდიდო	დადებითი – **groß**

ქართულ ლინგვისტიკაში, ტრადიციული გაგებით, ხარისხის მზარდი სემანტიკა ერთსაფეხურიანია, ერთადერთ მართებულ ფორმად მიჩნეულია ორგანული წარმოების უფ-

როობითი **უდიდესი** ტიპისა (ა. შანიძე), რომელშიც იგულისხმება ხან შედარებითი და ხან აღმატებითი სემანტიკა, ხან კიდევ – ორივე ერთად. ამიტომაცაა, რომ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში „უფროობითის" გვერდით გამოიყენება ტერმინი „აღმატებითი"; ზოგჯერ „აღმატებითი" მთლიანად ცვლის „უფროობითს" (არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე, კ. ლერნერი...) და „შედარებითი" (გ. მაჭავარიანი).

აშკარაა, რომ ერთსაფეხურიანი უფროობითი ვერ ასახავს ენის რეალურ ვითარებას, რამდენადაც არ შეუძლია ნიშან-თვისების განსხვავებული დონეების ჩვენება – მზარდი სემანტიკის ისეთი დიფერენცირება, როგორიც ხერხდება ევროპული ენების ორსაფეხურიანი სისტემით. სწორედ ამ უკმარისობის გამო გამოიყენა ენამ ტრადიციული უფროობითის გასაძლიერებლად სხვადასხვა ტიპის ა ღ წ ე რ ი თ ი ფორმებიც: ძალიან დიდი, ყველაზე დიდი, დიდზე დიდი... ძალიან უდიდესი, ყველაზე უდიდესი, უდიდესზე უდიდესი, ულამაზესზე ულამაზესი... და მაინც, ჩანს, ენამ, შინაგანი ბუნება-კანონზომიერებიდან გამომდინარე, აღმატებითი სემანტიკისათვის უფრო მარჯვე საშუალებად მიიჩნია ორგანული წარმოების **უუდიდესი** (< **უ+უ**-დიდ-**ეს**-ი) ტიპის ფორმები, რითაც მოახდინა აღმატებითი ხარისხის მორფოლოგიზება, ანუ გრამატიკულადაც გააფორმა.

ქართული სამწერლობო ენის, დიალექტებისა თუ ცოცხალი მეტყველების მონაცემთა მიხედვით (და ძველი გრამატიკოსების ნაშრომთა გათვალისწინებით) ქართულში აღმატებითი ხარისხი დღეს რეალური ფაქტია და კიდეც უნდა გამოიყოს მზარდი ხარისხის მეორე საფეხურად, გაფორმდეს ლინგვისტურადაც (**უუ-ეს** კონფიქსით, როგორც ძველ გრამატიკებში იყო) (ჟ. ფეიქრიშვილი, ვ. იმნაიშვილი).

3.2.2. ოდნაობითი ხარისხი

ო დ ნ ა ო ბ ი თ ი ხარისხის ფორმა საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს დადებითთან შედარებით ნაკლები ოდენობით, მიახლოებით, მიმსგავსებით, ოდნავ (სახელწოდება „ოდნაობითი“ სწორედ ამის მიხედვით არის დარქმეული). მისი მაწარმოებელია **მო-ო** კონფიქსი: მო-დიდ-ო, მო-თეთრ-ო, მო-მაღლ-ო, მო-შავ-ო...

ოდნაობითის ფორმები ძველად იშვიათი იყო, ამიტომაც ოდნაობითი, როგორც გრამატიკული ფორმა, არა აქვს შენიშნული ანტონ კათალიკოსს, მომდევნო ხანის გრამატიკოსები კი უკვე მსჯელობენ **მოდიდო** ტიპის ფორმებზე, განასხვავებენ ოდნაობითის აღწერითსა და ორგანულ წარმოებასაც.

მართალია, ახალ ქართულში ოდნაობითის მოხმარების სფერო უფრო გაფართოვდა, მაგრამ იგი უფროობითთან შედარებით მაინც ნაკლებად არის განვითარებული, არ მოეპოვება შესადარებელი ობიექტი... ამ და სხვა თავისებურებათა გამო ქართულ ლინგვისტიკაში ზოგი მკვლევარი (თ. ზურაბიშვილი, გ. როგავა, გ. გოლეთიანი...) ოდნაობითს არ მიიჩნევს ხარისხის დამოუკიდებელ გრამატიკულ ფორმად.

ქართული წერილობითი ძეგლების, განსაკუთრებით თანამედროვე პრესის, პუბლიცისტიკისა და დიალექტების ჩვენება გვაფიქრებინებს, რომ ოდნაობითის (მიახლოების) სემანტიკა დღეს უფრო მრავალფეროვანია და ვერ თავსდება ოდენ **მოდიდო** ტიპის წარმოების ყალიბში, გამოხატვის საშუალებათა მრავალფეროვნების გამო აშკარად სცილდება ზედსართავი სახელის სფეროს. მაგალითად, საგნის ნიშან-თვისების მიახლოებითი, ოდნაობითი სემანტიკა შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა მორფოსემანტიკური საშუალებით:

1) **მო-ო** მორფემით (რომელიც დაერთვის როგორც ზედსართავ, ისე არსებით სახელებს): მო-შავ-ო (ღრუბელი), მო-ნაღვლიან-ო (თვალები), მო-პოეტ-ო (ქალი)...

2) **წა-ო** აფიქსით: წა-თეთრ-ო, წა-შავ-ო, წა-ქალ-ო, წა-პოეტ-ო...

3) **აღწერითი** წარმოებით, ფუძის გაორკეცებით: ოდნავ მაღალი, ოდნავ მომცრო, პატარ-პატარა...

4) **შე-, წა-, მო-, მი-** ზმნისწინებით ზმნასა და ნაზმნარ სახელებში: შეწითლდება, წაიტირებს, მოილამაზებს, მინაზდება... შეღვინებული, წათეთრებული, მორბილებული, მიჩლუნგებული, მიყვითლებული...

5) **-ვით** თანდებულით ზმნასა და ნაზმნარ სახელებთან: მშიასავით, აგრილდასავით, წაიკივლასავით, მოუბოდიშასავით... ამგვარი წარმოება უფრო დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის.

6) კიდევ უფრო მრავალფეროვანია ოდნაობითის სემანტიკის გამოხატვის საშუალებანი სასაუბრო ენაში, დიალექტებში (ვრცლად იხ. ჟ. ფეიქრიშვილი, 2008).

3.2.3. ხარისხის ფორმათა წარმოების თავისებურებანი

1. ხარისხის ფორმები ძირითადად აქვს ვითარებით ზედსართავებს: უმრავლესობას სამივე ფორმა მოეპოვება (დიდი – უდიდესი – მოდიდო...), ზოგს კი – ორი: დადებითი და უფროობითი (ნაზი – უნაზესი...) ან დადებითი და ოდნაობითი (ცისფერი – მოცისფრო...), მაგრამ ამ ჯგუფში გვხვდება ისეთი სახელებიც, რომლებსაც არ შეუძლია ხარისხის ფორმათა წარმოება: სველი, ნელი, ჩუმი, ანკარა, შხაპუნა, ჭროლა, კოჭლი... მეორე მხრივ, ხარისხის გამოხატვის უნარი შეიძინა ზოგიერთმა მიმართებითმა ზედსართავმაც. ასეთებია: გონიერი (< გონი), ღონიერი (< ღონე), ძლიერი (< ძალა), ბედნიერი (< ბედი), ნიჭიერი (< ნიჭი), ჭკვიანი (< ჭკუა)... მათი უფროობითია: უგონიერესი, უღონიერესი, უძლიერესი, უბედნიერესი, უნიჭიერესი, უჭკვიანესი.

2. ზოგიერთი ზედსართავი სახელი ახალ ქართულში ხარისხის წარმოებისას ამჟღავნებს ფორმობრივ თავისებურებასაც:

- **-ელ** და **-ილ** მაწარმოებლიან ზედსართავებს **მო-ო** კონფიქსის დართვით ეკვეცებათ აღნიშნული მარცვლები: სქელ-ი > მო-სქ-ო, ტკბილ-ი > მო-ტკბ-ო, გრძელი > მო-გრძ-ო...
- **პატარა** დადებითია, **მომცრო** – ოდნაობითი, **უმცირესი** – უფროობითი;
- **უხუცესი** მიღებულია სიტყვისაგან **ხუცესი,** რომელიც წარმოშობით უფროობითი ხარისხის ფორმაა. იგი ნიშნავდა „უფროსს", მაგრამ დროთა განმავლობაში **ხ** ბგერა (ისტორიულად მესამე ობიექტური პირის პრეფიქსი) ფუძეს შეუხორცდა, სიტყვამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა (გაარსებითდა) და თავდაპირველი უფროობითის ფორმა (ხუცესი) იქცა დადებით ხარისხად.
- **კარგი** უფროობითს აწარმოებს სხვა ფუძით – **უკეთესი.** ამისი მიზეზია შემდეგი: ძველ ქართულში **კარგი**-ს მნიშვნელობით იყო **კეთილი,** რომლის უფროობითი ხარისხის ფორმა წესისამებრ არის უკეთესი (< უკეთილესი). ახალ ქართულში დამკვიდრდა **კარგი, კეთილმა** სხვა სემანტიკა (შინაარსი) შეიძინა, მაგრამ **კარგი**სათვის უფროობითი **უკეთესი** მაინც დარჩა. მაგალითად, კეთილი კარგის მნიშვნელობით დასტურდება სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებში, გვხვდება დღესაც ზოგ გამოთქმაში: („კეთილი, კეთილი, ჩემთვის ყველაფერი ნათელია").
- **ცუდი**ს უფროობითია **უარესი.** იგი მომდინარეობს **უაღრესი**საგან (ა. შანიძე). თანამედროვე ქართულში, მეტწილად ზეპირ მეტყველებაში, **კარგი** და **ცუდი** უფროობითს ზოგჯერ ჩვეულებრივი წესითაც აწარმოებენ: კარგი – უკარგესი, ცუდი – უცუდესი.
- **ხნიერის** უფროობითი ხარისხი უნდა იყოს **უხნიერესი,** მაგრამ გვაქვს მისი პარალელური ფორმა **უხნესი.**

3.3. ზედსართავი სახელის ბრუნება

ზედსართავი სახელი ფორმას იცვლის ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით. ცალკე აღებული ზედსართავი (ა. შანიძის მიხედვით, თავისთავადი) იბრუნვის შესაბამისი ფუძის არსებითი სახელის მსგავსად, შედარებით იშვიათად ეწარმოება ორივე მრავლობითი. ასეთი ზედსართავი სახელი გაარსებითებულია.

თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი

უკუმშველი

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	თეთრ-ი	თეთრ-ებ-ი	თეთრ-ნ-ი
მოთხ.	თეთრ-მა	თეთრ-ებ-მა	თეთრ-თ-ა
მიც.	თეთრ-ს	თეთრ-ებ-ს	,,
ნათ.	თეთრ-ის	თეთრ-ებ-ის	,,
მოქმ.	თეთრ-ით	თეთრ-ებ-ით	–
ვით.	თეთრ-ად	თეთრ-ებ-ად	–
წოდ.	თეთრ-ო	თეთრ-ებ-ო	თეთრ-ნ-ო

კუმშვადი

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	მაღალ-ი	მაღლ-ებ-ი	მაღალ-ნ-ი
მოთხ.	მაღალ-მა	მაღლ-ებ-მა	მაღალ-თ-ა
მიც.	მაღალ-ს	მაღლ-ებ-ს	,,
ნათ.	მაღლ-ის	მაღლ-ებ-ის	,,
მოქმ.	მაღლ-ით	მაღლ-ებ-ით	–
ვით.	მაღლ-ად	მაღლ-ებ-ად	–
წოდ.	მაღალ-ო	მაღლ-ებ-ო	მაღალ-ნ-ო

ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი

უკვეცელი

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	ვიწრო	ვიწრო-ებ-ი	ვიწრო-ნ-ი
მოთხ.	ვიწრო-მ	ვიწრო-ებ-მა	ვიწრო-თ-ა
მიც.	ვიწრო-ს	ვიწრო-ებ-ს	,,
ნათ.	ვიწრო-ს (ი)	ვიწრო-ებ-ის	,,
მოქმ.	ვიწრო-თ (ი)	ვიწრო-ებ-ით	–
ვით.	ვიწრო-დ	ვიწრო-ებ-ად	–
წოდ.	ვიწრო-ვ	ვიწრო-ებ-ო	ვიწრო-ნ-ო

კვეცადი

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	მწვანე	მწვანე-ებ-ი	მწვანე-ნ-ი
მოთხ.	მწვანე-მ	მწვანე-ებ-მა	მწვანე-თ-ა
მიც.	მწვანე-ს	მწვანე-ებ-ს	,,
ნათ.	მწვან-ის	მწვანე-ებ-ის	,,
მოქმ.	მწვან-ით	მწვანე-ებ-ით	–
ვით.	მწვანე-დ	მწვანე-ებ-ად	–
წოდ.	მწვანე-ვ	მწვანე-ებ-ო	მწვანე-ნ-ო

ზედსართავი სახელი, როგორც საგნის ნიშან-თვისების გამომხატველი, ძირითადად ახლავს არსებით სახელს და მასთან ერთად ქმნის მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილს (მაღალი სახლი...). ასეთ შემთხვევაში ზედსართავი სახელის ბრუნება განსხვავებულია (იხ. გვ. 198-199).

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

არაბული ა., ზედსართავი სახელი: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა (გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), თბ., 2011.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

ზურაბიშვილი თ., ხარისხი ქართველურ ენებში: თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957.

ზურაბიშვილი თ., ოდნაობითის ფორმათა ისტორიისათვის ქართველურ ენებში: მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 29-ე, №5, 1962.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

იმნაიშვილი ვ., „აღმატებითი" ხარისხის განსაკუთრებული სახეობა: კრებ. „ქართველოლოგია", №12, თბ., 2008.

ლერნერი კ., აღმატებითი ხარისხის ჩამოყალიბება ქართულში: თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, ტ. V, თბ., 1980.

მაჭავარიანი გ., შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თსუ, 71, თბ., 1958.

მაჭავარიანი გ., სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგიერთი საკითხი: ცისკარი, №12, თბ., 1968.

ონიანი ალ., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

როგავა გ., ზედსართავი სახელის თანაბრობითი ხარისხის გაქვავებული ფორმები ქართულში: იკე, XII, თბ., 1960.

საღინაძე რ., ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები, ქუთაისი, 1995.

საღინაძე რ., ძველი ქართული ენა, თბ., 2008.

სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

უთურგაიძე თ., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

ფეიქრიშვილი ჯ., ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.

ფეიქრიშვილი ჟ., უუდიდესი ტიპის სახელთა ისტორიისათვის ქართულში: „ქუთაისური საუბრები", VI საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1999.

ფეიქრიშვილი ჟ., ნიშან-თვისების მზარდი სემანტიკის გამოხატვის საშუალებანი თანამედროვე ქართულში და აღმატებითი ხარისხის საკითხი: გელათის მეცნ. აკადემიის ჟურნალი, №6, თბ., 2003.

ფეიქრიშვილი ჟ., ოდნაობითის სემანტიკის გამოხატვის საშუალებანი თანამედროვე ქართულში: სახელთა დერივაცია ქართულში, თბ., 2008.

ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ყორლანაშვილი უ., ზედსართავი სახელის რაობის განსაზღვრისათვის: ქელს, №3, თბ., 1968.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1976.

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; 2008 (II გამოც.).

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

ჯანაშია ს., ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან **ურ** ბოლოსართით: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

თავი IV. რიცხვითი სახელი

4.1. რიცხვითი სახელის რაობა

რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის რაოდენობას, რიგს ან ნაწილს მთელთან შეფარდებით. იგი სამგვარია: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი.

რაოდენობითი რიცხვითი სახელები ძირეულია, რიგობითი და წილობითი – მისგან წარმოქმნილი: ოცი > მეოცე > მეოცედი, ასი > მეასე > მეასედი...

რიცხვითი სახელი სინტაქსურად განსაზღვრებაა, ზოგჯერ შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება ან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი. მაგალითად:

მესამედი თანხა თანაბრად გაანაწილეს (განსაზღვრება);

პირველმა მეორეს ანიშნა (ქვემდებარე და დამატება);

ორი და ორი **ოთხია** (შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი).

რიცხვითი სახელი სხვა მეტყველების ნაწილისაგან ვერ წარმოიქმნება. გამონაკლისია მხოლოდ **პირველი**. სამაგიეროდ, რიცხვითი სახელისაგან შეიძლება მივიღოთ:

არსებითი სახელი

რვა > რვეული, ასი > ასეული, ერთი > ერთობა, შვიდი > შვიდეული...

ზედსართავი სახელი

ერთი > ერთნაირი, ერთფერი, ერთგული, ორი > ორპირი, ორგული...

ზმნა

სამი > გასამდა, ერთი > ერთდება, ორი > განმეორდა, ოცი > გაოცდა...

ზმნიზედა

ერთი > ერთგან, ერთგზის; ათი > ათჯერ...

4.2. რაოდენობითი რიცხვითი სახელები. თვლის სისტემა

რაოდენობითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის რაოდენობას. მისი კითხვაა **რამდენი?** ათი, ასი, მილიონი, ბევრი... რაოდენობითი რიცხვითი სახელი გამოხატავს განსაზღვრულ (გარკვეულ) და განუსაზღვრელ (გაურკვეველ) რიცხვს. განსაზღვრულია: ერთი, ათი, ოცი, ათასი... გამოიყენება ისეთი საგნის სახელებთან, რომელთა დათვლა შეიძლება: სამი ძმა, ასი სახლი... განუსაზღვრელია: ბევრი (ძველ ქართულში უდრიდა ათი ათასს), მრავალი, ცოტა, ურიცხვი, უთვალავი, უამრავი (მათი მნიშვნელობა ციფრებით არ გადმოიცემა).

ფუძის შედგენილობის მიხედვით რაოდენობითი რიცხვითი სახელი ორგვარია: მარტივი და რთული.

მარტივია სახელი, რომელიც ერთი ფუძისაგან შედგება. ასეთია სულ თორმეტი სიტყვა: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ოცი, ასი (ზოგიერთ მკვლევარს ასეთად მიაჩნია აგრეთვე უცხოური წარმოშობის მილიონი, მილიარდი).

რთული რიცხვითი სახელი მიიღება ორი ან მეტი სხვადასხვა (მარტივი თუ ნაწარმოები) ფუძის კავშირიანი თუ უკავშირო შეერთებით. კავშირიან რთულ ფუძეს აწარმოებს **და** კავშირი: ოცდაერთი, ოცდათორმეტი... დღევანდელი უკავშირო რთული ფუძეები 11-დან 20-მდე მიღებულია ძველ ქართულში არსებული სისტემის გამარტივების შედეგად: თერთმეტი < ათ-ერთ-მეტი, თორმეტი < ათ-ორ-მეტი, ცამეტი < ათ-სამ-მეტი, თოთხმეტი < ათ-ოთხ-მეტი და ა. შ. დაახლოებით IX საუკუნიდან დაწყებულა რიცხვით სახელთა გამარტივების პროცესი. დროთა განმავლობაში პირველ ფუძეს ჩამოსცილდა თავკიდური ა (ზოგ სიტყვაში მოხდა ფონეტიკური ცვლილებაც), რითაც ნაწილობრივ დაიჩრდილა სიტყვის სემანტიკა, თუმცა მისი აღდგენა მაინც ხერხდება.

რთულად ითვლება ისეთი რიცხვითი სახელიც, რომე-

ლიც რიცხვს რამდენიმე ცალკე სიტყვის შეკავშირებით გადმოსცემს: ორას ხუთი (205), ორი ათას ხუთასი (2500)... ამგვარ სახელებს ახასიათებს ინტონაციური მთლიანობა.

ქართული ენის **თვლის სისტემა** რთულია. ოციდან ასამდე რიცხვების ციფრებით წერა ერთმანეთს არ ეფარდება: თვლა 20-დან 100-მდე ოცობითია, ციფრების წერის სისტემა კი – ათობითი. მაგალითად, ვამბობთ – „ოცდათორმეტი“, იწერება 32. ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები:

ა) „ქართული თვლის სისტემა შერეული სახისაა: ნაწილობრივ ათობითია და ნაწილობრივ – ოცობითი. ათობითი სისტემისაა ქართული თვლა ერთიდან ოცამდე და ასს ზევით. ოცობითია 20-დან 100-მდე“ (ა. შანიძე)[1];

ბ) ქართულისათვის თვლის სისტემა უნდა განისაზღვროს ოციდან ასის ფარგლებში. ამის მიხედვით, ქართული თვლის სისტემა ოცობითია (ალ. გვენცაძე, ა. არაბული).

თვლის სისტემა ყველა ენაში ერთნაირი არაა: ზოგში იგი ხუთობითია, ზოგში – ათობითი ან ოცობითი. მაგალითად, ქართულის მსგავსი რთული თვლის სისტემა აქვს ფრანგულსაც, რუსულში კი იგი შედარებით მარტივია – ითვლიან ათობით (გამონაკლისია მხოლოდ ორმოცი = сорок ...).

ქართული ენის მთის კილოებში ოცობითი იყო თვლის სისტემა არა მარტო ოციდან ასამდე, არამედ ასს ზევითაც: ხუთოცი, ექვსოცი და ა. შ.[2]

---

[1] მეცნიერის დაკვირვებით, ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას იმით, რომ სხვადასხვა დიალექტს ჰქონდა სხვადასხვა თვლის სისტემა (როგორც სვანურშია დღეს: ორ დიალექტში ათობითია, ორში – ოცობითი) და ამან ზეგავლენა მოახდინა სალიტერატურო ენაზე.

[2] ვ. თოფურიას აზრით, ძველად ოცობითი თვლა შედარებით განსხვავებული იყო: მაგალითად, გვქონდა ორმეოცი, სამმეოცი, ოთხმეოცი... **მე** ელემენტი ეტოლებოდა **ჯერ, ხელ, გზის** ნაწილაკების ფუნქციას (ოთხმეოცი = ოთხჯერ ოცი). დროთა ვითარებაში ეს სახელები გამარტივდა, დაიკარგა **მე** ელემენტის **ე** ხმოვანი და დარჩა ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი, სადაც **მ** ახლა უფუნქციოა.

საზოგადოდ, **ციფრი** ორგვარია: **რომაული** და **არაბული**. რომაული სისტემის რიცხვების გადმოსაცემად გამოყენებულია შვიდი ნიშანი: **I, V, X, L** (50), **C** (100), **O (500), M (1000),** არაბულისთვის კი – ათი: **1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 0**[1].

ქართულში არაბული ციფრების შემოღებამდე რიცხვებს ასოების საშუალებით გამოხატავდნენ. ასოებით რიცხვების გამოხატვის სისტემა ასეთი იყო: ანბანის პირველი 9 ასო ერთეულებს აღნიშნავდა, მომდევნო 9 – ათეულებს, შემდეგი 9 – ასეულებს, უკანასკნელი 9 – ათასეულებს, ბოლო ასო უდრიდა ათი ათასს (= ბევრს).

	1	2	3	4	5	6	7	8	9
ერთეული	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	ჱ	თ
ათეული	ი	კ	ლ	მ	ნ	ჲ	ო	პ	ჟ
ასეული	რ	ს	ტ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ
ათასეული	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჴ	ჯ	ჰ
ბევრეული	ჵ								

ცხრილის მიხედვით: ც = 2000, ცფობ = 2572, ჩყა = 1801, ჩტჰა = 1381, ფლთ=539....

საქართველოში დაახლ. X-XI საუკუნეებიდან დაწყებულა არაბული ციფრების გამოყენება: სპეციალურ ლიტერატურაში პირველ ნიმუშად ასახელებენ ეპიგრაფიკული წყაროებიდან ქუთაისის ბაგრატის ტაძრის იატაკის გამაგრების თარიღს („ოდეს განმტკიცნა იატაკი ქორონიკონი იყო 223“ =1003 წელს), ხელნაწერებიდან – X საუკუნის „მცხეთის დავითნს“ (ა. შანიძე); თუმცა რიცხვების გამოხატვის ძველი წესი ჩვენში XVIII-XIX საუკუნეებამდე არსებობდა.

[1] არაბული ციფრები გამოიგონეს ინდოელებმა, მაგრამ არაბებმა გადაიღეს მათგან და გაავრცელეს მთელ მსოფლიოში. ამიტომ ისინი დღეს ცნობილია ა რ ა ბ უ ლ ი ც ი ფ რ ე ბ ი ს სახელით.

4.3. რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელების წარმოება

რ ი გ ო ბ ი თ ი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის რიგს. მისი კითხვებია: **მერამდენე? რიგით რომელი?** იგი იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან **მე-ე** კონფიქსის დართვით: ორი > მე-ორ-ე, ცხრამეტი > მეცხრამეტე, ოცდახუთი > ოცდამეხუთე... გამონაკლისია **პირველი** (ა. შანიძის მიხედვით, **პირველი**-ს საფუძველი უნდა იყოს ქართული სიტყვა **პირი**: პირ-ვ-ელ-ი ნიშნავს „პირისკენ მდგომს", „წინ მდგომს"), რომელიც **ერთი**-ს რიგობითია: პირველი რიგი, პირველი აპრილი... მისი პარალელური ფორმა **მეერთე** გამოიყენება რთულ სახელებში: ოცდამეერთე, სამოცდამეერთე...

წ ი ლ ო ბ ი თ ი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის ნაწილს მთელთან შეფარდებით. მისი კითხვაა **მერამდენედი?** იგი იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან: მეორე > მეორე-დ > მეორედ-ი, მეორედ-მა... ე.ი. რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა წილობითის ფუძეა.

მეათედი ტიპის წილობითი სახელის წარმოება სათავეს იღებს ძველ ქართულშივე, თუმცა იგი, როგორც ერთადერთი ყალიბი, საბოლოოდ მკვიდრდება XIX საუკუნიდან (ი. იმნაიშვილი).

ძველ ქართულში წილობითი რიცხვითი სახელი განსხვავებულად იწარმოებოდა, ძირითადი იყო **ნა – ალ** კონფიქსიანი ფორმები: **ნა-ხუთ-ალ-ი** = მეხუთედი, **ნა-ათ-ალ-ი** = მეათედი. ამგვარი წარმოება საერთოქართველურია. იგი დღესაც ძირითადია მეგრულში (ნაანთხალი = მეოთხედი); შემორჩენილია ქართული ენის ზოგ დიალექტში, დასტურდება მხატვრულ ლიტერატურაშიც.

წილობითი რიცხვითი სახელია **ნახევარი,** რომელიც გამოიყენება **მეორედის** ნაცვლად.

4.4. რიცხვითი სახელის ბრუნება

რიცხვითი სახელი ფორმაცვალებადი, ბრუნებადი სიტყვაა. ფუძის დაბოლოების მიხედვით იგი შეიძლება იყოს თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი, ცვლილების მიხედვით კი – ძირითადად უკუმშველი და კვეცადი. კერძოდ: რაოდენობითი რიცხვითი სახელი, გარდა **რვისა** და **ცხრისა,** თანხმოვანფუძიანი და უკუმშველია, რიგობითი რიცხვითი სახელი – ყველა ხმოვანფუძიანი და კვეცადი (გამონაკლისია მხოლოდ **პირველი**), წილობითი კი – თანხმოვანფუძიანი და უკუმშველი.

ცალკე აღებული რიცხვითი სახელი ისე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი სახელი, ოღონდ არ ექნება წოდებითი ბრუნვა და ებიანი მრავლობითი, ნართანიანიც იშვიათად ეწარმოება; თუმცა ესაა ფორმალური, ანუ ფორმით მრავლობითი, რადგან მას არა აქვს მრავლობითის გაგება – მხოლობითისაგან განსხვავებული სემანტიკა (რიცხვითი სახელი თავისთავად გამოხატავს სიმრავლეს).

გამონაკლისის სახით რამდენიმე რაოდენობითი რიცხვითი სახელი ებიანი მრავლობითის ფორმითაც გვხვდება: ერთები, ორები, სამები... ხუთები... ათები... ამ შემთხვევაში ისინი არსებითი სახელის ფუნქციას ასრულებენ; მაგალითად, სტუდენტმა ყველა საგანში ხუთები მიიღო. აქ „ხუთები" ნიშნავს ბევრ ხუთს (ასეთ დროს რიცხვითი სახელი მიუგებს არსებითის კითხვაზე: **რა** მიიღო...).

თანხმოვანფუძიანი

	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.
სახ.	ორ-ი	ორ-ნ-ი	მესამედ-ი
მოთხ.	ორ-მა	ორ-თ-ა	მესამედ-მა
მიც.	ორ-ს	,,	მესამედ-ს
ნათ.	ორ-ის	,,	მესამედ-ის
მოქმ.	ორ-ით	–	მესამედ-ით
ვით.	ორ-ად	–	მესამედ-ად
წოდ.	[ორ-ო]	[–]	[მესამედ-ო]

ხმოვანფუძიანი

	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ
სახ.	ცხრა	ცხრა-ნ-ი	მეხუთე	მეხუთე-ნ-ი
მოთხ.	ცხრა-მ	ცხრა-თ-ა	მეხუთე-მ	მეხუთე-თ-ა
მიც.	ცხრა-ს	,,	მეხუთე-ს	,,
ნათ.	ცხრ-ის	,,	მეხუთ-ის	,,
მოქმ.	ცხრ-ით	–	მეხუთ-ით	–
ვით.	ცხრა-დ	–	მეხუთე-დ	–
წოდ.	[ცხრა-ო]	[–]	[მეხუთე-ვ]	[–]

რიცხვითი სახელი, ჩვეულებრივ, აღნიშნავს საგნის რაოდენობას, რიგს ან ნაწილს. შესაბამისად, იგი ახლავს არსებით სახელს და მასთან ქმნის მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ - ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ს წყვილს (ორი მეგობარი, მ ე ხ უ თ ე კლასი, მ ე ა თ ე დ ი ნაწილი...). მსაზღვრელი რიცხვითი სახელის ბრუნება განსხვავებულია ცალკე აღებული რიცხვითი სახელის ბრუნებისაგან (იხ. გვ. 199-200).

4.5. რიცხვით სახელთა მართლწერა

რიცხვით სახელს უკავშირდება მართლწერის რამდენიმე წესი:

1) ფუძეგაორკეცებული და სხვადასხვა რიცხვითი სახელის შეერთებით მიღებული კომპოზიტები იწერება დეფისით: სამ-სამი, ას-ასი... ათი-თორმეტი, ოცი-ოცდაათი...

2) **ნახევარი** დეფისით გამოეყოფა იმ სახელს, რომელსაც დაერთვის უკავშიროდ: რვა-ნახევარი, ლიტრ-ნახევარი...

3) რთული რიცხვითი სახელები ასამდე და ასეულების აღნიშვნელი რიცხვითები იწერება ერთად: ოცდაერთი, ცხრაასი... ხოლო რიცხვითი სახელები ასს ზევით (გარდა ასეულების აღმნიშვნელისა) იწერება ცალ-ცალკე: ას ათი, ექვსას ხუთი... ოცი ათას სამას ორმოცდათვრამეტი...

4) რიგობითი და წილობითი სახელები ერთ სიტყვად დაიწერება: ასმეათე, რვაასოთხმოცდამეთოთხმეტე... ასმეხუთედი...

5) ათასეულთა აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები **ათასს** სახელობითი ბრუნვის ფორმით უნდა შეეწყოს ყველა ბრუნვაში: სამი ათასი კაცი, სამი ათასმა კაცმა, სამი ათას კაცს...

6) თუ რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება ისეთი რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან, რომლის პირველი (მსაზღვრელი) კომპონენტია ერთ- ან ორსიტყვიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ხოლო მეორე (საზღვრული) კომპონენტია **ათასი, მილიონი, მილიარდი** და ა. შ., მაშინ **მე-** პრეფიქსი დაერთვის მთელ მსაზღვრელ რიცხვით სახელს, **-ე** სუფიქსი კი – საზღვრულს. ამასთან, **ათასი**-ს წინამავალი რიცხვითი მსაზღვრელი სახელობითის **-ი** ნიშნით იქნება წარმოდგენილი, ნასესხები **მილიონის, მილიარდისა** და მისთ. წინამავალი რიცხვითი მსაზღვრელი კი – ფუძის სახით: მეხუთიათასე, მეასოციათასე, მაგრამ: მეშვიდმილიონე, მეოცდაექვსმილიარდე და ა. შ.

7) **მე-ე** კონფიქსით ნაწარმოები რიგობითი რიცხვითი სახელი ერთ სიტყვად გაფორმდება, ხოლო, თუ მას წინ უძღვის უფრო მაღალი კლასის რიცხვის აღმნიშვნელი სხვა სიტყვები, მაშინ ისინი ცალ-ცალკე დაიწერება: სამი მილიონ მეხუთიათასე, ორას ათი მილიარდ მეშვიდმილიონე და ა. შ. (ქ. დათუკიშვილი).

8) რ ო მ ა უ ლ ი ციფრებით გამოსახულ რიგობით რიცხვით სახელს მაწარმოებელი არ სჭირდება: X კლასი (მეათე კლასი), XXI საუკუნე (ოცდამეერთე საუკუნე)...

9) ა რ ა ბ უ ლ ი ციფრების შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი წესები:

ა. თუ რიგობითი რიცხვითი სახელი მარტივფუძიანია ან უკავშიროდაა შეერთებული, მაშინ ჯერ იწერება **მე-** პრეფიქსი და შემდეგ – ციფრი: მე-9, მე-20, მე-300, მე-1000...

ბ. როცა რიგობითი რიცხვითი სახელი **და** კავშირითაა შეერთებული, ჯერ იწერება ციფრი, შემდეგ – დეფისი, ბოლოში – **ე**: 21-ე, 77-ე...

10) **პირველი** არაბული ციფრით ასე გამოიხატება: 1-ლი, 1-ლში.

11) რიცხვის ციფრით გამოხატვისას ფუძეზე დართული ელემენტები – ბრუნვის ნიშანი (გარდა სახელობითისა), ნაწილაკი და თანდებული – დეფისით გამოეყოფა ციფრს: 2-მა, 7-სა და 9-ს... VIII-ც, V-ც, XX-ში. ასეთი დაწერილობისას აღინიშნება რიგობითობის მაწარმოებელი აფიქსებიც: 23-ეში, 31-ესთვის, 75-ეზე, მე-20-ისათვის; იგივე პრინციპი შენარჩუნდება ნაწილაკის დართვის შემთხვევაშიც: მე-4-სღა, 24-ეღა... (თ. ბურჭულაძე).

12) როცა მსაზღვრელად რიცხვითი სახელია, მაშინ მასთან მდგომი საზღვრული (არსებითი) მხოლობითში უნდა იყოს: ორი ბავშვი, სამი ძმა, ოცი წიგნი... და არა: ორი ბავშვები, სამი ძმები, ოცი წიგნები... (ნართანიან მრავლობითში შეიძლება შეგვხვდეს ფორმალური მრავლობითი: ოთხნი დანი, შვიდნი ძმანი...).

რაოდენობითი და წილობითი რიცხვითი სახელები არაბული ციფრით იწერება, რიგობითი კი – რომაულითა და არაბულით. რიცხვების ციფრებით წერას საერთაშორისო გამოყენება აქვს.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

არაბული ა., რიცხვითი სახელი: **თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა** (გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), თბ., 2011.

ბურჭულაძე თ., თანდებულიან და ნაწილაკდართულ რიცხვით სახელთა მართლწერისათვის: ქსკს, XIV, თბ., 2014.

გვენცაძე ალ., ქართული ენის რიცხვითი სახელი, თბ., 1972.

დათუკიშვილი ქ., რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოებისათვის ქართულში: ქსკს, XI, თბ., 1998.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965; 1988.

თოფურია ვ., ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში: თხზ. ტ. III, თბ., 1979.

იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.

ონიანი ალ., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

პატარიძე რ., ქართული ასომთავრული, თბ., 1980.

საღინაძე რ., ძველი ქართული ენა, თბ., 2008.

უთურგაიძე თ., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.

ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენა, თბ., 2007.

ფოცხიშვილი ალ., თვლა ოცობითი თუ ათობითი: ქართული ენა, თბ., 2000.

ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე ა., ოცობითი თვლის გავლენა ათობით წერაზე: თხზ., ტ. II, თბ., 1981.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998.

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; II გამოც. 2008.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

თავი V. ნაცვალსახელი

5.1. ნაცვალსახელის შინაარსობრივი ჯგუფები (ზოგადი მიმოხილვა)

ნაცვალსახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც გამოიყენება არსებითის, ზედსართავისა და რიცხვითი სახელების ნაცვლად. იგი ზოგადად, განყენებულად მიუთითებს საგანზე, მის ნიშან-თვისებაზე, რაოდენობაზე, კუთვნილებაზე. ნაცვალსახელი არსებითად დაცლილია საგნობრივი შინააარსისაგან. მისთვის ძირითადია მცვლელის ფუნქცია (სახელწოდებაც ამის მიხედვით არის დარქმეული). მაგალითად: **თამარი** ჭკვიანი გოგონაა, **ის** სტუდენტია; მარიამმა **ლამაზი** სურათი შეიძინა, **ასეთივე** სურათი აჩუქა თავის მეგობარს; კაბინეტში **ექვსი** სკამია, **ამდენივე** არის მისაღებში.

ტერმინი „ნაცვალსახელი" (სახელთნაცვალი) მომდინარეობს ანტონ I-ის გრამატიკიდან.

ნაცვალსახელს საკუთარი კითხვები არა აქვს, მიუგებს მის მიერ შეცვლილი მეტყველების ნაწილების კითხვებზე.

მოხმარების თვალსაზრისით ნაცვალსახელი ძირითადად ორგვარია:

1) ნაცვალსახელი, რომელიც არსებითისებრ გამოიყენება (**ის** მოვიდა);

2) ნაცვალსახელი, რომელიც მსაზღვრელად ახლავს სახელს, გამოიყენება ზედსართავისებრ (**ის** დ ღ ე).

ქართული ენის წერითსა თუ ზეპირ მეტყველებაში ფართოა ნაცვალსახელის მოხმარების სფერო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც სტილისტური საშუალება ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად.

შ ი ნ ა ა რ ს ი ს მიხედვით ქართულ ლინგვისტიკაში ტრადიციულად გამოიყოფა ნაცვალსახელთა ათი ჯგუფი. ესენია:

პირის: მე, შენ, ის, იგი, ჩვენ, თქვენ, ესენი, ეგენი, ისინი, თავი.

ჩვენებითი: ეს, ეგ, ის, ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამდენი, მაგდენი, იმდენი, ჩემდენი, შენდენი, ამგვარი, იმგვარი, ჩემგვარი, ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი, ჩემნაირი, შენნაირი, თქვენნაირი...

კითხვითი: ვინ, რა, რომელი, როგორი, რანაირი, როდინდელი, სადაური, რამდენი, მერამდენე, მერამდენედი...

კუთვნილებითი: ჩემი, შენი, მისი, თავისი, სხვისი, ჩვენი, თქვენი, მათი, თავიანთი...

კითხვით-კუთვნილებითი: ვისი, რისი (რისა).

მიმართებითი: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, როდინდელიც, სადაურიც, რამდენიც, მერამდენეც, მერამდენედიც.

ურთიერთობითი: ურთიერთი, ერთურთი, ერთმანეთი, ერთიმეორე.[1]

განსაზღვრებითი: თვით, თვითონ, თავად, ყველა, ყველაფერი, სხვა, მავანი.

განუსაზღვრელობითი: ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე... ვიღაცა, რაღაცა, რომელიღაცა... ერთი, კაცი, ზოგი, ზოგიერთი.

უარყოფითი: არავინ, ვერავინ, ნურავინ, არარა, ვერარა, ნურარა, არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი, აღარაფერი, ვეღარაფერი, ნუღარაფერი[2]...

---

[1] ა. შანიძისა და ლ. კვაჭაძის სასკოლო სახელმძღვანელოებში დასახელებულია ნაცვალსახელთა 9 შინაარსობრივი ჯგუფი, მათ შორის არაა **ურთიერთობითი.**

[2] არსებობს სხვა მოსაზრებაც. ზოგი მკვლევარი, ფუნქციური მიმართების მიხედვით, გამოყოფს 11 ჯგუფს; მეთერთმეტეა **უკუქცევითი** ნაცვალსახელი **თავი** (შ. კეკელია, აკ. დავითიანი, ბ. ჯორბენაძე, ა. არაბული...).

5.2. ნაცვალსახელთა წარმოება და ბრუნება

ნაცვალსახელი ბრუნებადი სიტყვაა; წინადადებაში გვხვდება როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა სიტყვასთან ერთად (მსაზღვრელად).

ზოგიერთი ნაცვალსახელი ბრუნებისას ამჟღავნებს თავისებურებას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია პირის, ჩვენებითი და კითხვითი ნაცვალსახელები.

5.2.1. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები

პირი სამია ქართულში: I – მოუბარი, II – თანამოუბარი (ადრესატი), III – საუბრის საგანი.

I პირის ნაცვალსახელებია: **მე, ჩვენ**

II პირის ნაცვალსახელებია: **შენ, თქვენ**

III პირის ნაცვალსახელებია: **ეს, ეგ, ის, იგი, ესენი, ეგენი, ისინი, თავი.**

ამათგან საკუთრივ პირის ნაცვალსახელებად მიჩნეულია I და II პირისა, რადგან მათ აქვთ მხოლოდ ერთადერთი ფუნქცია – პირის აღნიშვნა და ეს პირი აუცილებლად ადამიანია. III პირის ნაცვალსახელები თანაბრად გამოიყენება ადამიანთა და სხვა დანარჩენ სახელთა მიმართ.

თავი, ჩვეულებრივ, არსებითი სახელია (თავი დაიბანა), მაგრამ იგი III პირის ნაცვალსახელის ფუნქციითაა, თუ პიროვნებას გულისხმობს (თავი ისახელა, თავი მოიწონა...).

პირის ნაცვალსახელები ძირეული სიტყვებია (უძველესი წარმოშობისა). ისინი არ იცვლიან ფორმას, არ დაირთავენ ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებს, ე.ი. არ გააჩნიათ ბრუნვისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიები.

	მხ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.	მრ. რ
სახ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მოთხ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მიც.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ

ნათ.	ჩემ (-თვის, -გან, მიერ...)	შენ (-თვის...)	ჩვენ (-თვის...)	თქვენ (-თვის...)
მოქმ.	–	–	–	–
ვით.	–	–	–	–
წოდ.	–	შე, შენ	–	თქვე, თქვენ

როგორც ვხედავთ, პირის ნაცვალსახელები უბრუნველი სიტყვებია. სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში ერთნაირი ფორმით – ფუძის სახით არიან და ასრულებენ ამა თუ იმ ბრუნვის ფუნქციას. ასეთ შემთხვევაში მსგავსი ფორმების გასარჩევად მათ უნდა შეენაცვლოს არსებითი სახელი და ამის მიხედვით გაირკვევა ბრუნვა:

მე (სტუდენტ-ი) ვწერ – სახელობითი

მე (სტუდენტ-მა) დავწერე – მოთხრობითი

მე (სტუდენტ-ს) დამიწერია – მიცემითი.

პირის ნაცვალსახელები ნათესაობით ბრუნვაში უთანდებულოდ არ გვხვდება.

შენ და **თქვენ** წოდებითში ორნაირი ფორმითაა: **შენ, შე, თქვენ, თქვე**. **შე** და **თქვე** გამოიყენება სხვა სახელებთან ერთად მიმართვის დროს: შე დალოცვილო! თქვე კაი კაცებო!..

I და II პირის ნაცვალსახელებს არ გააჩნიათ რიცხვის კატეგორია, რადგანაც არ დაირთავენ რიცხვის ნიშნებს. მართალია, **მე** მიჩნეულია მხოლობითად, **ჩვენ** კი – მრავლობითად, მაგრამ აქ ისინი უპირისპირდებიან მხოლოდ შინაარსობრივად. მრავლობითობა გამოიხატება სუპლეტურად – სხვადასხვა ფუძის საშუალებით (**მე – ჩვენ**, შდრ. **ბავშვი – ბავშვები**). **ჩვენ** არ უდრის მხოლობითი **მე** ფორმის სიმრავლეს (მე+მე), ანუ **ჩვენ** არ არის ერთი საგნის მრავლობითი (შდრ. ბავშვები = ბავშვი + ბავშვი...). მასში იგულისხმება I-II ან I-II-III პირები. ასევე: **თქვენ = შენ + ის, შენ + ისინი.**

მაშასადამე, პირის ნაცვალსახელები უნდა აღნიშნავდნენ ბრუნების იმ საფეხურს, როცა ბრუნვები ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული; არ გვქონდა გრამატიკული რიცხვის კატეგორია და ერთი და მრავალი მხოლოდ ფუძეთა მიხედვით იყო გარჩეული (ი. იმნაიშვილი).

ჩვენ და **თქვენ** ნაცვალსახელები თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით დიალოგურ მეტყველებაში, გამოირჩევიან სემანტიკური მრავალფეროვნებით – სხვადასხვა ნიუანსობრივი ელფერით ანუ გადატანითი ფუნქციებით. მაგალითად, ისინი ზოგჯერ (მორიდებულ, თავაზიან საუბარში) მხოლობითის მნიშვნელობითაც გამოიყენება: „ახლა კი ჩ ვ ე ნ (= მე) განსახილველად წარმოგიდგენთ ამ მოხსენებასაც“; „ბატონო პროფესორო, თქვენ (= შენ) საინტერესოდ საუბრობთ საქართველოს ისტორიაზე“.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **ჩვენ, თქვენ** პირის ნაცვალსახელებმა თავაზიანობის გამოხატვის დამატებითი სემანტიკური ნიუანსი შეიძინა საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე; ისინი დღეს ენაში მყარად არსებობენ და შეიძლება გამოიყონ პირის ნაცვალსახელების ქვეთანრიგად **სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელების** სახელწოდებით (ზ. კიკვიძე).

ჩვენ, თქვენ ნაცვალსახელთა მეორეული მნიშვნელობების შესახებ საინტერესო დაკვირვებებია წარმოდგენილი აგრეთვე სხვა მკვლევართა ნაშრომებშიც (ვრცლად იხ. რ. ზექალაშვილი).

ეს, ეგ, ის ნაცვალსახელებს აქვთ ორი ფუნქცია: აღნიშნავენ პირს და ჩვენებითი ნაცვალსახელის როლშიც გამოდიან. კერძოდ: როცა ზმნას შეეწყობიან, მაშინ პირის ნაცვალსახელები არიან, ხოლო სახელთან შეწყობისას ჩვენებითის ფუნქციას ასრულებენ. მაგალითად: ეს მოვიდა, ეგ აშენებს, ის კითხულობს (პირისაა), შდრ. ეს წიგნი, ეგ ამბავი, ის ბავშვი (ჩვენებითია).

ეს, ეგ, ის, იგი III პირის ფორმებია, მაგრამ განსხვავდებიან იმით, რომ გამოხატავენ სხვადასხვა პირთან სიახლოვესიშორეს: **ეს** გამოიყენება მაშინ, როცა საგანი I პირთან არის ახლოს; **ეგ** ითქმის იმაზე, ვინც (ან რაც) II პირთანაა ახლოს; **ის** III პირის მისათითებელი ნაცვალსახელია.

ეს, ეგ, ის, იგი ნაცვალსახელები დამოუკიდებლად ბრუნების დროს ამჟღავნებენ თავისებურებებს:

1) ბრუნვის ფორმებს აწარმოებენ სუპლეტურად, ავლენენ ორ ფუძეს (სახელობითისათვის ერთი ფუძე აქვთ, დანარჩენი ბრუნვებისათვის – მეორე)[1];

2) მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია **-ნ;**

3) არ ეწარმოებათ წოდებითი ბრუნვა;

4) აქვთ მხოლოდ ნართანიანი მრავლობითი (ოთხ ბრუნვაში).

მხოლობითი რიცხვი

სახ.	ეს	ეგ	ის	იგი
მოთხ.	ამა-ნ	მაგა-ნ	იმა-ნ	მა-ნ
მიც.	ამა-ს	მაგა-ს	იმა-ს	მა-ს
ნათ.	ამ-ის	მაგ-ის	იმ-ის	მ-ის
მოქმ.	ამ-ით	მაგ-ით	იმ-ით	მ-ით
ვით.	ამა-დ	მაგა-დ	იმა-დ	მა-დ
წოდ.	–	–	–	–

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ესე-ნ-ი	ეგე-ნ-ი	ისი-ნ-ი	იგი-ნ-ი
მოთხ.	ამა-თ	მაგა-თ	იმა-თ	მა-თ
მიც.	〃	〃	〃	〃
ნათ.	〃	〃	〃	〃
მოქმ.	–	–	–	–
ვით.	–	–	–	–
წოდ.	–	–	–	–

დღეს III პირის აღსანიშნავად გამოიყენება **ის** და **იგი** ნაცვალსახელები. ძველ ქართულში **იგი** ერთადერთი იყო, შემდგომ გაჩენილი **ის** დროთა ვითარებაში მყარად დამკვიდრდა და უპირატესობა მოიპოვა როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე ზეპირ მეტყველებაში, მაგრამ თანამედროვე

[1] სხვა თვალსაზრისით, აქ ერთი ნაცვალსახელის ორი ფუძე კი არ არის, არამედ სხვადასხვა სიტყვაა წარმოდგენილი. ისინი შემდეგში მოექცნენ ბრუნების ერთ პარადიგმაში... მეორე ფუძე უფრო ძველია (არ. მარტიროსოვი).

ქართულმა ერთგვარად მაინც მოახდინა მათი ფუნქციური დიფერენციაცია: **ის** მსაზღვრელად გამოიყენება, **-ვე** ნაწილაკის დართვა კი შეუძლია **იგი** ნაცვალსახელს. გარდა ამისა, წერითი მეტყველებისთვის **იგი**-ს განსხვავებული სტილისტური ელფერი ახლავს.

ჩვენებითი ნაცვალსახელებია: ეს, ეგ, ის, იგი, ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი, ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა, ამდენი, მაგდენი, იმდენი, ამგვარი, იმგვარი... ამათგან ძირეულია ეს, ეგ, ის, იგი, დანარჩენი – წარმოქმნილი.

ეს, ეგ, ის დღეს არასრული ფორმითაა, ჩამოკვეცილი აქვთ ბოლოკიდური ხმოვანი (ძველ ქართულში იყო: ესე, ეგე, ისი), რომელიც აღდგება მრავლობით რიცხვში (ეს**ენი**, ეგ**ენი**, ის**ინი**) და **-ვე, -ც** ნაწილაკების დართვისას (ეს**ევე**, ეგ**ევე**, ეს**ეც**, ეგ**ეც**, ის**იც**).

ეს, ეგ, ის ნაცვალსახელები, რომლებიც მიუთითებენ საგანზე, თვისებაზე, რაოდენობაზე, არსებით სახელთან ერთადაც გამოიყენება და, შესაბამისად, იქმნება მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილი. მსაზღვრელი ნაცვალსახელის ბრუნება განსხვავებულია (იხ. გვ. 201-202).

დანარჩენი ნაცვალსახელები (ასეთი, ამგვარი, ამდენი, ამისთანა...) ბრუნების დროს არავითარ თავისებურებას არ ამჟღავნებენ – ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებს დაირთავენ შესაბამისი ფუძის არსებითი სახელის მსგავსად.

5.2.2. კითხვითი ნაცვალსახელები

კ ი თ ხ ვ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი არსებითის, ზედსართავისა და რიცხვითი სახელების კითხვებია: ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? მერამდენე? რარიგი? სადაური? როდინდელი? ამათგან ძირეულია **ვინ** და **რა,** დანარჩენი – წარმოქმნილი (სადაური, როდინდელი) ანდა თხზული (რა და რა, ვინ და ვინ).

ვინ და **რა** დღეს საინტერესოა არა მარტო ფორმის

თვალსაზრისით, არამედ გენეზისურადაც. ისინი მიჩნეულია ქართული ენის უძველესი ფენის კუთვნილებად. ამ ნაცვალსახელებით გამოხატულია პირისა (პიროვნების) და საგანთა დაპირისპირება; მხოლოდ ვითარებითში არ არის ასეთი გარჩევა – ყველგან **რად** იხმარება.

კითხვით ნაცვალსახელთაგან თავისებურად იბრუნება **ვინ** და **რა,** დანარჩენები იცვლებიან შესაბამისი ფუძის არსებითი სახელების მსგავსად (რომელ-ი, რომელ-მა, რომელ-ს, რომლ-ის... რომლ-ებ-ი, რომელ-ნ-ი...).

ვინ ნაცვალსახელის ბრუნების თავისებურება ასეთია:

1) აქვს ოთხი ბრუნვა და ორი ფორმა (ერთი – სახელობით-მოთხრობითისათვის, მეორე – მიცემით-ნათესაობითისათვის);

2) მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია **-ნ;**

3) საკუთარი ფორმით ვერ აწარმოებს მოქმედებით, ვითარებით და წოდებით ბრუნვებს;

4) არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვი, სიმრავლეს გამოხატავს ფუძის გაორკეცებით: ვინ და ვინ მოვიდნენ? თუმცა თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით ცოცხალ მეტყველებაში, მოჭარბდა უმართებულო **ვინები** ფორმაც: „ვინები არიან“.[1]

ჩანს, დღეს **ვინები**-ს ასე გააქტიურება გამოწვეული უნდა იყოს **რაები**-ს ანალოგიით და აგრეთვე ენის შინაგანი ბუნებით – გააადვილოს წარმოთქმა, თავიდან აიცილოს რთული კონსტრუქციები (შდრ. ვინ და ვინ არიან?). შეიძლება ითქვას, რომ **ვინების** ფართოდ გავრცელების პროცესი დააჩქარა ენის შინაგანმა კანონზომიერებამ – ეკონომიურობისაკენ მისწრაფებამაც.

---

[1] **ვინები** იშვიათად, თითო-ოროლა ნიმუშით დასტურდებოდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებამდე ჩაწერილ დიალექტურ ტექსტებშიც, მწერლობაშიც: „ვ ი ნ ე ბ ი ხართო? – ჩვენ ქიშტები ვართ“; „დედაკაცო, ვ ი ნ ე ბ ი არიანო?“ (მოხეური: ქართ. დიალექტ., I); „ყარაულები ვ ი ნ ე ბ ი არიან?“ (ალ. ყაზბეგი)...

რა ნაცვალსახელი ახალ ქართულში ფუძეკვეცადი სახელია, აწარმოებს ებიან მრავლობითს, აქვს ნარიანი ფორმაც მხოლოდ სახელობითისათვის.

	მხ. რ.		მრ. რ.	
სახ.	ვი-ნ	რა	რა-ებ-ი	რა-ნ-ი
მოთხ.	ვი-ნ	რა-მ	რა-ებ-მა	–
მიც.	ვი-ს	რა-ს	რა-ებ-ს	–
ნათ.	ვი-ს	რ-ის	რა-ებ-ის	–
მოქმ.	(ვისით)	რ-ით	რა-ებ-ით	–
ვით.	(რად)	რა-დ	რა-ებ-ად	–
წოდ.	–	–	–	–

ამრიგად, **ვინ** ნაცვალსახელს აქვს ბრუნების არასრული პარადიგმა: საკუთარი აქვს მხოლოდ ორი ფორმა **ვინ** და **ვის;** მოქმედებითში გამოყენებულია კითხვით-კუთვნილებითი **ვისით,** ვითარებითში კი – **რად. ვინ** ფორმაში **ვი** მიჩნეულია ფუძედ, **ნ** კი – მოთხრობითი ბრუნვის უძველეს ნიშნად (ა. შანიძე); განსხვავებული მოსაზრებით, **ვინ** ნაცვალსახელში უნდა გამოიყოს **ინ** (ვ-ინ), რომელიც წარმოშობით დეტერმინანტი[1] სუფიქსია (არნ. ჩიქობავა, დ. მელიქიშვილი).

ვინ ნაცვალსახელის მსგავსი ფორმების გასარჩევად ამოსაცნობი სახელის ნაცვლად უნდა ჩაისვას არსებითი სახელი:

ვინ მოვიდა (ქალ-ი – სახ. ბრ.)
ვინ მოიტანა (ქალ-მა – მოთხ. ბრ.)
ვის ეუბნებიან (ქალ-ს – მიც. ბრ.)

[1] დ ე ტ ე რ მ ი ნ ა ნ ტ ი ლათინური წარმოშობის სიტყვაა. ლინგვისტურად არის განმსაზღვრელი აფიქსი, რომელიც ძირს დაერთვის და ახალ ფუძეს წარმოქმნის.

5.2.3. კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი და ურთიერთობითი ნაცვალსახელები

კუთვნილებითი ნაცვალსახელები გამოხატავენ საგნის კუთვნილებას პირების მიხედვით: I პირისას – ჩემი, ჩვენი, II პირისას – შენი, თქვენი, III პირისას – მისი, იმისი, თავისი, სხვისი, მათი, იმათი, თავიანთი.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები მიღებულია პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან, ე. ი. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმა არის კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძე, რომელიც ხელახლა დაირთავს ბრუნვის ნიშნებს. მაგალითად, **მე**-ს ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა **ჩემ**; აქედანაა ნაწარმოები: ჩემ-ი, ჩემ-მა, ჩემ-ს...

თავისი და **მისი** – ორივე III პირის კუთვნილებას გამოხატავს, მაგრამ გამოიყენებიან განსხვავებული სემანტიკით: **თავისი** უნდა მაშინ, როცა საგანი (ობიექტი) მოქმედს ეკუთვნის (გიორგი აკეთებს **თავის** საქმეს), **მისი** კი მართებულია მაშინ, როცა საგანი (ობიექტი) მოქმედს არ ეკუთვნის (გიორგი აკეთებს **მის** (მეგობრის) საქმეს). ამ საცილობელ ფორმათა გასარჩევად შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვების – **სხვისი** ან **საკუთარი** – შენაცვლების ხერხი.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი ცალკე იბრუნვის შესაბამისი ფუძის არსებითი სახელის მსგავსად, ოღონდ არ ეწარმოება წოდებითი ბრუნვა (გამონაკლისია მხოლოდ **ჩემი** და **ჩვენი**); იშვიათად შეიძლება ჰქონდეს ებიანი მრავლობითი: ჩემები, ჩვენები, შენები, თქვენები, თუმცა მათ სხვა (არსებითის) სემანტიკა აქვთ.

მხოლობითი რიცხვი

სახ.	ჩემ-ი	შენ-ი	მის-ი	თავის-ი
მოთხ.	ჩემ-მა	შენ-მა	მის-მა	თავის-მა
მიც.	ჩემ-ს	შენ-ს	მის-ს	თავის-ს
ნათ.	ჩემ-ის	შენ-ის	მის-ის	თავის-ის
მოქმ.	ჩემ-ით	შენ-ით	მის-ით	თავის-ით
ვით.	ჩემ-ად	შენ-ად	მის-ად	თავის-ად
წოდ.	ჩემ-ო	–	–	–

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ჩვენ-ი	თქვენ-ი	მათ-ი	თავიანთ-ი
მოთხ.	ჩვენ-მა	თქვენ-მა	მათ-მა	თავიანთ-მა
მიც.	ჩვენ-ს	თქვენ-ს	მათ-ს	თავიანთ-ს
ნათ.	ჩვენ-ის	თქვენ-ის	მათ-ის	თავიანთ-ის
მოქმ.	ჩვენ-ით	თქვენ-ით	მათ-ით	თავიანთ-ით
ვით.	ჩვენ-ად	თქვენ-ად	მათ-ად	თავიანთ-ად
წოდ.	ჩვენ-ო	–	–	–

კუთვნილებითი ნაცვალსახელები მეტწილად არსებით სახელთან ერთად გამოიყენება მსაზღვრელის ფუნქციით (მსაზღვრელი ნაცვალსახელისა და მასთან შეწყობილი არსებითი სახელის ბრუნება იხ. 201-202).

კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი გამოხატავს კითხვასაც და კუთვნილებასაც, იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან: **ვინ > ვი-ს** (ნათ. ბრ.) **> ვის-ი; რა – რ-ის > რის-ი (რისა).**

სახ.	ვის-ი	რისა	რისი
მოთხ.	ვის-მა	რისა-მ	–
მიც.	ვისა-ს	რისა-ს	–
ნათ.	–	–	–
მოქმ.	ვის-ით	რის-ით	–
ვით.	ვის-ად	რისა-დ	–
წოდ.	–	–	–

მიმართებითი ნაცვალსახელი მიემართება სხვა სახელს ან მთელ წინადადებას. იგი მიიღება კითხვითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან **-ც** ნაწილაკის დართვით. ნაწილაკი უკარგავს მას კითხვითობის შინაარსს და აქცევს მიმართებითად: **ვინ+ც > ვინც, რა+ც > რაც...**

მიმართებითი ნაცვალსახელებია: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რამდენიც, მერამდენეც, სადაურიც, როდინდელიც... ისინი სინტაქსურად ასრულებენ წევრ-კავშირის (საკავშირებელი სიტყვის) ფუნქციას.

მიმართებითი ნაცვალსახელი იბრუნვის მისი ძირეული ნაცვალსახელების მსგავსად.

ძველ ქართულში მიმართებითი ნაცვალსახელი **-ც** ნაწილაკს არ დაირთავდა, სხვაგვარად იწარმოებოდა. ამის გამო ფორმით კითხვითს ემსგავსებოდა, მაგრამ მათი გარჩევა არ იყო ძნელი, რადგან კითხვითი ნაცვალსახელი მარტივ წინადადებაში გამოიყენებოდა, მიმართებითი კი – რთულში. მიუთითებენ, რომ მიმართებით ნაცვალსახელთან ნაწილაკის გაჩენა განაპირობა რთული წინადადების ჩამოყალიბებამ.

ურთიერთობითი ნაცვალსახელები: ერთმანეთი, ურთიერთი, ერთურთი, ერთიმეორე – შედგენილობით რთულია, ასრულებენ არსებითი სახელის ფუნქციას, არ გამოიყენებიან მსაზღვრელად.

ერთმანეთი მიღებულია **ერთმანერთი**-საგან; არა აქვს მოთხრობითი და წოდებითი ბრუნვები, არც მრავლობითი რიცხვი; **ერთურთი, ურთიერთი** ნაწარმოებია **ერთი**-ს გაორკეცებით, ოღონდ ხმოვნის შეცვლით (ერთ-ერთი > ერთურთი, ურთიერთი); **ერთიმეორე** რაოდენობითი **ერთი**-სა და რიგობითი **მეორე**-ს შეერთების შედეგია. ამ ჯგუფის ნაცვალსახელთაგან დღეს ქართულში უფრო გავრცელებულია ერთმანეთი.

5.2.4. განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი და უარყოფითი ნაცვალსახელები

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი აღნიშნავს განსაზღვრულ პირსა თუ საგანს, მათს რაოდენობას. განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია: თვით, თვითონ, თავად, თითოეული, თითო, ყოველი, ყველა, ყველაფერი, სხვა, მავანი. ისინი ერთანეთისაგან განსხვავდებიან როგორც შინაარსით, ისე ფორმაცვალების მიხედვით.

თვით მიღებულია **თავ** სიტყვის მოქმედებითი ბრუნვისაგან (თავ-ით > თვით); იგივე ფორმა ამოსავალია ნაცვალსახელისათვის **თითოეული** (< თვითოეული < თვითეული); **თავად** არის **თავ** სიტყვის ვითარებითი ბრუნვის ფორმა.

თვითონ წარმოქმნილია **თვითმან**-ისაგან ფონეტიკური ცვლილების გზით: თვითმან > თვითვან > თვითონ (**მ**-ს სუბსტიტუციით მივიღეთ **ვ**, შემდეგ **ვა** კომპლექსმა მოგვცა **ო**). **თვითონ** უბრუნველი ნაცვალსახელია. იგი დღეს გაბატონებულია მოხმარების სიხშირით.

ყველა შემკრები, განმაზოგადებელი მნიშვნელობისაა, ახლავს სახელს მსაზღვრელად (ყველა მშობელი), მაგრამ გამოიყენება დამოუკიდებლადაც (ყველა შრომობს). ამ ნაცვალსახელის ფუძე **ა** ხმოვანზე მთავრდება, მაგრამ მაინც უკვეცელია; არ გვხვდება ვითარებითსა და წოდებით ბრუნვებში; აქვს მხოლოდ ნარიანი მრავლობითის სახელობითის ფორმა – **ყველანი.**

სხვა ხმოვანფუძიანი კვეცადი სახელია, ეწარმოება ორივე მრავლობითი: სხვები, სხვანი. ძველად იგი ნიშნავდა „მეორესაც“.

მავანი მაშინ გამოიყენება, როცა არ სურთ ვინაობის მითითება: „შენ, მავანო, მკითხაობა მიჩუქებია შენთვის“ (ილია). ასეთ კონტექსტში ეს ნაცვალსახელი გულისხმობს მთქმელისათვის კონკრეტულ პიროვნებას, ამიტომ იგი განსაზღვრებითია, თუმცა, როგორც მართებულად მიაჩნიათ, „მავანი“ თავი-

სი შინაარსით, ზოგადად, უფრო განუსაზღვრელობით ნაცვალსახელად უნდა ჩაითვალოს (ა. არაბული).

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი აღნიშნავს უცნობს, განუსაზღვრელ პირსა თუ საგანს ან მის თვისებასა და რაოდენობას.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია: ერთი, ზოგი (ზოგიერთი), ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე, რაღაცა, ვიღაცა, რომელიღაცა... ამ ჯგუფის ნაცვალსახელების უმეტესობა მიღებულია კითხვით ნაცვალსახელზე **-მე, -ღა, -ღაცა** ნაწილაკების დართვით: ვინ+მე > ვინმე, რა+მე > რამე, ვიღაცა, რაღა... ძველ ქართულში ასეთი ნაწილაკიანი სახელები არ იყო.

ერთი, ჩვეულებრივ, რიცხვითი სახელია (ერთი წიგნი), მაგრამ თუ ის გულისხმობს ვიღაცას, მაშინ ნაცვალსახელია (იყო **ერთი** ზარმაცი ბიჭი = იყო **ვიღაც** ზარმაცი ბიჭი).

კაცი არსებითი სახელია. ზოგჯერ იგი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფუნქციითაც გამოიყენება (გზაზე ერთი **კაცი** მიდიოდა = გზაზე **ვიღაც** მიდიოდა).

ზოგი ძველ ქართულში არ ყოფილა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი. იგი ნიშნავდა „ნახევარს“, „ნაწილს“.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები განსხვავებულად იბრუნვის. მაგალითად, **ვინ** და **რა**-ს ნაწილაკები დაერთვის როგორც ბრუნვის ფორმაზე, ისე ფუძეზე. ამის გამო ენაში არსებობს ნაწილაკშეზრდილი (ვინმე-ს), ნაწილაკშეუზრდელი (ვის-მე) და ზოგჯერ ამათი ნარევი ფორმაც (ვის-მეს). სალიტერატურო ქართულში უპირატესობა ეძლევა ნაწილაკშეზრდილ ფორმებს: ვინმეს, რამეს, ვიღას, ვიღაცას...

უარყოფითი ნაცვალსახელების უმეტესობა მიღებულია **ვინ** და **რა** ნაცვალსახელებზე უარყოფითი ნაწილაკების (არა, ვერა, ნურა) დართვით: არავინ (< არა+ვინ), ვერავინ, ნურავინ, ნურვინ, აღარავინ, ვეღარავინ, არარა, ვერარა... ზოგჯერ **რა**-ს მაგივრობას ასრულებს **ფერი** და **ვითარი:** აღარაფერი, ვეღარაფერი, არავითარი, ვერავითარი...

ზეპირ მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს არაკაცი (= არავინ), ვერაკაცი (= ვერავინ). **არავინ, ვერავინ** ტიპის ნაც-

ვალსახელი ისევე იბრუნვის, როგორც მარტივი **ვინ. ფერის** შემცველ ნაცვალსახელს ყველა ბრუნვა აქვს, გარდა წოდებითისა. იგი ფუძეკუმშვადია (არაფერ-ი – არაფრ-ის).

5.3. ნაცვალსახელთა მართლწერა

1) თანდებულიან პირის ნაცვალსახელებს ნათესაობით ბრუნვაში **-ს** არ დაერთვის: ჩემ მიერ, შენ მიერ, ჩვენ მიერ, თქვენ მიერ... ჩემკენ, თქვენკენ... და არა: ჩემს მიერ, შენს მიერ, ჩვენს მიერ, თქვენს მიერ... ჩემსკენ, შენსკენ, ჩვენსკენ, თქვენსკენ...

2) **რამდენიმე, რომელიმე** ნაცვალსახელებთან შეწყობილი სახელი ყოველთვის მხოლობითშია: რამდენიმე მგზავრი, რომელიმე ამხანაგი, რომელიმე მეზობელი... რამდენიმე შენიშვნა...

3) **ერთი და იგივე** საზღვრულის გარეშე ბრუნებისას ორივე ნაწილზე დაირთავს ბრუნვის ნიშნებს: ერთ-ი და იგივე, ერთ-მა და იმავე-მ, ერთ-სა და იმავე-ს, ერთ-ისა და იმავე-ს (თვის), ერთ-ითა და იმავე-თი, ერთ-ისა და იმავე-დ, ხოლო, როცა **ერთი და იგივე** მსაზღვრელია, ბრუნვის ნიშნებს დაირთავს პირველი ფუძე (**ერთი**), მეორე კი (**იგივე**) – ბოლოხმოვნიანი მსაზღვრელის მსგავსად ბრუნვის ნიშნებს არ იღებს და სახელობითის გარდა ყველა ბრუნვაში **იმავე** ფუძითაა წარმოდგენილი: ერთ-ი და იგივე საქმე, ერთ-მა და იმავე საქმე-მ, ერთ-სა და იმავე საქმე-ს, ერთ-ისა და იმავე საქმ-ის, ერთ-ი და იმავე საქმ-ით, ერთ და იმავე საქმე-დ || ერთ-სა და იმავე საქმე-დ.

4) **მათ** პირის ნაცვალსახელისაგან ნაწარმოები კუთვნილებითი **მათი, მათმა, მათს** გრამატიკულად სწორია, როცა სახელთანაა შეწყობილი: მათ**მა** წერილ**მა**, მათ**მა** საქმე**მ**, მათ**ს** ერთგულებ**ას**, მათ**ს** შენიშვნ**ას**... მაგრამ შეცდომაა მათი გამოყენება პირის ნაცვალსახელის ფუნქციით: მათმა მოიტანეს, მათმა დახატეს. უნდა იყოს: მათ მოიტანეს, მათ დახატეს...

5) **ვიღაცა** და **რაღაცა** მრავლობითში უნდა იყოს **ვიღაცები, რაღაცები.**

6) თუ ნაცვალსახელი ცვლის რიცხვით სახელს და მსაზღვრელად გამოიყენება, მაშინ მასთან შეწყობილი საზღვრული მხოლობით რიცხვში უნდა იყოს: ამდენი საქმე, ყველა ბავშვი, ყოველი კაცი... ზოგი სტუდენტი, ზოგიერთი ამხანაგი... და არა: ამდენი საქმეები, ყველა ბავშვები... ზოგი სტუდენტები...

7) სწორი ფორმებია: **ჩვენგანი, თქვენგანი** და არა: ჩვენთაგანი, თქვენთაგანი. რადგან **ჩვენ, თქვენ** თავისთავად გამოხატავენ მრავლობითის შინაარსს, ამდენად, მათთან მრავლობითის **თა** სუფიქსის გამოყენება გაუმართლებელია.

5.4. ნაცვალსახელთა წარმოება – ფუნქციის ზოგიერთი თავისებურება

ნაცვალსახელის წარმოება. ფუძის შედგენილობის მიხედვით ნაცვალსახელი სამგვარია: ძ ი რ ე უ ლ ი (მე, შენ), წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი (ჩვენგანი) და თ ხ ზ უ ლ ი (ერთმანეთი). მათი უმრავლესობა მიღებულია ნაცვალსახელებისგანვე ნაწილაკების დართვით ან ბრუნვის ფორმათა ფუძედ გამოყენებით (ვინ > ვინც, რა > რამე; იგი > მ-ის > მის-ი, მე – ჩემ > ჩემი...). ნასესხები ნაცვალსახელები ქართულში არაა.

ნაცვალსახელებისაგან იწარმოება: არსებითი (ვინ > ვინაობა), ზედსართავი (არავისი > საარვისო, ჩვენი > საჩვენო), ზმნა (იჩემებს, ითავისებს...), ზმნიზედა (ყველგან, რამდენჯერ), კავშირი (ესე იგი, რადგან < რაითგან). იგი შედის ზოგიერთ ნაწილაკში (მეთქი < მე ვთქვი), შორისდებულებში (ვაიმე), სიტყვათა მყარ შეხამებაში (შენი ჭირიმე). ნაცვალსახელური წარმოშობისაა აგრეთვე სახელობითისა და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნები: **-ი** (< იგი), **-მა** (< მან).

* * *

ამგვარად, ნაცვალსახელი ერთ-ერთი რთული და მრავალფეროვანი მეტყველების ნაწილია. იგი ყველაზე ზოგადი სიტყვაა. სწორედ აბსტრაქციის უნარი არის მისი ძირითადი თვისება. ქართულ ლინგვისტიკაში ნაცვალსახელი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმის გამოც, რომ იგი მეტყველების ნაწილთა შორის საკმაოდ ძველია (ჯერ კიდევ დიონისე თრაკიელის გრამატიკაშია განხილული). შესაბამისად, მასში შემონახულია უძველესი ქართულის ვითარება.

ნაცვალსახელი სხვა მეტყველების ნაწილთაგან მკვეთრად განსხვავდება ფუნქციურად და ფორმაცვალების ასპექტითაც. მაგალითად, ყველა ჯგუფის ნაცვალსახელს არა აქვს ერთიანი მორფოლოგიური ყალიბი: ზოგს ახასიათებს უბრუნველობა, ზოგს – ნაკლული ბრუნება და ფუძის სუპლეტური მონაცვლეობა, წესისამებრ ვერ აწარმოებს რიცხვის კატეგორიასაც – წარმოდგენილია დეფექტურად, ზოგიერთი ნაცვალსახელი გამოყენებულია მორფოლოგიურ ელემენტებად (ბრუნვისა და პირის ნიშნებად).

რადგანაც ნაცვალსახელს არ გააჩნია საკუთარი აღსანიშნი ობიექტი (გამოიყენება მხოლოდ მცვლელის ფუნქციით) და არც კატეგორიის გამოხატვის სისტემური მორფოლოგიური საშუალება, ბუნებრივად ჩნდება კითხვა – ნაცვალსახელი ჩაითვალოს თუ არა დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად. ბ. ჯორბენაძის აზრით, „ნაცვალსახელები ცალკე მეტყველების ნაწილად არ გამოიყოფა“, ისინი გადანაწილდებიან სახელებში და ფრაზაში (კონკრეტულ შემთხვევაში) იმ მეტყველების ნაწილად ჩაითვლება, რომელსაც ცვლიან. ნაცვალსახელი, მისი ძირითადი ფუნქციისა და მორფოლოგიურ (ფორმობრივ) თავისებურებათა გათვალისწინებით, დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად არ მიაჩნდა არ. მარტიროსოვსაც.

ნაცვალსახელი, როგორც უძველესი ენობრივი ერთეული, მეტად ფასეულია ენის ისტორიისათვის; გარდა ამისა, იგი აუცილებელია კომუნიკაციური ასპექტით.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

არაბული ა., ნაცვალსახელი: **თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა** (გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), თბ., 2011.

გურგენიძე ტ., მრავლობითის კატეგორია პირის ნაცვალსახელებში და მისი წარმოების ზოგადი პრინციპები: მაცნე, №2, თბ., 1984.

ზექალაშვილი რ., ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), თბ., 2012.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

თოფურია ვ., პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები ქართველურ ენებში: თხზ., ტ. III, თბ., 1979.

იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

კეკელია შ., დავითიანი აკ., ქართული ენა, თბ., 1973.

კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981.

კიკვიძე ზ., თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები (სოციოლინგვისტური ასპექტი), თბ., 1999.

კიკნაძე ი., ჩვენგანი თუ **ჩვენთაგანი**: ქელს, 1985, №1-2.

მარტიროსოვი არ., ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964.

მარტიროსოვი არ., ნაცვალსახელი: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

მელიქიშვილი დ., პირის ნაცვალსახელთა ფუძის აგებულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი: ნარკვევები იბერიულ-კავკასიური ენის მორფოლოგიიდან, თბ., 1980.

საღინაძე რ., ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები, ქუთაისი, 1995.

საღინაძე რ., ძველი ქართული ენა, თბ., 2008.

სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

უთურგაიძე თ., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

უთურგაიძე თ., ქართული ენის ისტორიული გრამატიკის მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური ასპექტები, თბ., 2013.

ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.

ფოცხიშვილი ალ., პირისა და კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნების საკითხები თანამედროვე ქართულში: „მაცნე", 1985, №4.

ფოცხიშვილი ალ., კვლავ პირის ნაცვალსახელთა ბრუნებისა და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნების შესახებ: ქართული ენა, თბ., 2000.

ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ღვინაძე თ., ნაცვალსახელთა გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი: ქელს, №3, თბ., 1980.

შალვაშვილი ლ., პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმებისათვის: ქართული ენა, კრებული, თბ., 1984.

შალვაშვილი ლ., პირისა და **ვინ** კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმების ჩამოყალიბება ქართულში: სადისერტაციო მაცნე ფილოლ. მეცნ. დოქტ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1993.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ჩართოლანი ნ., ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემა ახალ ქართულში: ქელს, №1, თბ., 1979.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; II გამოც. 2008.

ჭუმბურიძე ნ., კუთვნილებითი ნაცვალსახელები ნათესაობის ლექსიკაში: საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, თბ., 2007.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

თავი VI. მსაზღვრელ-საზღვრული

6.1. მსაზღვრელის ტიპები. მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა

მეტყველების ნაწილებიდან ერთმანეთთან ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელები. მათგან ძირითადია არსებითი სახელი, რადგან იგი აღნიშნავს რეალურად არსებულ საგანს, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება დახასიათდეს ნიშან-თვისების, რაოდენობის, კუთვნილებისა და სხვა ამგვარი ნიშნით. არსებითის მიმართ ამ ფუნქციას ასრულებენ ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და ზოგიერთი არსებითი სახელიც. ისინი მეტწილად არსებითთან ერთად გვხვდება. ასეთ შემთხვევაში იქმნება მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილი, რომელშიც არსებითი სახელი ყოველთვის საზღვრულია, მასთან დაკავშირებული მეორე სახელი (ზედსართავი, რიცხვითი, არსებითი, ნაცვალსახელი...) კი – მსაზღვრელი. მსაზღვრელი ორი ტიპისაა: ატრიბუტული და სუბსტანტიური.

ა ტ რ ი ბ უ ტ უ ლ ი (ლათ. **attributum** = თვისება, კუთვნილება) მსაზღვრელი გადმოცემულია ზედსართავით ან საზღვრულთან ზედსართავისებრ შეწყობილი არსებითით, ნაცვალსახელით, რიცხვითი სახელითა და სახელზმნით: ლამაზი სურათი, პირადი საქმე, ზღვა ხალხი, ჭიქა წყალი, სამი მეგობარი, ნაასალი მადლი, ჩვენი სახლი, ყოფითი პრობლემა, გახარებული დედა...

ს უ ბ ს ტ ა ნ ტ ი უ რ ი (ლათ. **substantivum** = არსებითი სახელი) მსაზღვრელი გადმოიცემა ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით (ან მასთან გათანაბრებული სიტყვით) და მეტწილად გამოხატავს მასალას, კუთვნილება-დანიშნულებას: ვერცხლის ბეჭედი, მზის სხივი, წიგნის ყდა, ქორწინების სახლი, ჩაის კოზი...

მსაზღვრელ-საზღვრულის **წყობა** ანუ **რიგი** ორგვარია:

პირდაპირი (პრეპოზიციური) და შებრუნებული (პოსტპოზიციური). პირდაპირი წყობის დროს მსაზღვრელი პირველ ადგილზეა, შებრუნებული წყობისას კი – მეორეზე. მაგალითად, მაღალი სახლი – პირდაპირი წყობაა, სახლი მაღალი – შებრუნებული.

თანამედროვე ქართულში ძირითადია პირდაპირი წყობა, შებრუნებული გამოიყენება შედარებით იშვიათად (მეტწილად პოეზიაში). პირდაპირი წყობის მსაზღვრელი წინმდგომია, შებრუნებული წყობისა კი – მომდევნო.

ზოგჯერ მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილი შეიძლება გათიშული იყოს ერთი ან რამდენიმე სიტყვით. ასეთ მსაზღვრელს ჰქვია გათიშული || დისტანციური მსაზღვრელი: **„შაქრიანს** ეტყვის **სიტყვასა“**, **„მწვანეს** ეწვდება **ფოთოლსა“**... მსაზღვრელი იშვიათად შეიძლება განმარტოებულიც იყოს. ეს ხდება მაშინ, როცა გამოტოვებულია საზღვრული წევრი. მაგალითად, „ქალაქის ამბავს სოფელში ჩაიტანს, სოფლისას – ქალაქში“. ამ წინადადების მეორე ნაწილში განმარტოებულია მსაზღვრელი **სოფლისას,** აკლია საზღვრული **ამბავს,** რომელიც ადვილად იგულისხმება წინა ნათქვამის მიხედვით. ასეთი მსაზღვრელი, როგორც წესი, დაირთავს გამოტოვებული წევრის ბრუნვის ნიშანს. განმარტოებულ მსაზღვრელს გარკვეული სტილისტური ფუნქცია აკისრია.

6.2. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

მსაზღვრელი და საზღვრული სახელებია, ანუ ბრუნებადი სიტყვები. მათი ბრუნება განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა ტიპისაა მსაზღვრელი (ატრიბუტული თუ სუბსტანტიური), გათიშულია, გაუთიშავი თუ განმარტოებული, როგორია წყობა და მსაზღვრელის ფუძის დაბოლოება.

განარჩევენ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ოთხ სახეობას. ესენია: 1) სრული, 2) გარდამავალი, 3) შეკვეცილი,

4) ვულგარული. აქედან თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის ძირითადია გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი სახეობა, შ ე კ ვ ე ც ი ლ ი უფრო იშვიათად გამოიყენება, ს რ უ ლ ი სახეობა ძველი ქართულისთვის იყო დამახასიათებელი, ვ უ ლ - გ ა რ უ ლ ი კი უმართებულოდ არის მიჩნეული (ს. ჯანაშია).

ბრუნების ნიმუშები

	სრული		გარდამავალი	
სახ.	დიდ-ი	სახლ-ი	დიდ-ი	სახლ-ი
მოთხ.	დიდ-მა	სახლ-მა	დიდ-მა	სახლ-მა
მიც.	დიდ-ს	სახლ-ს	დიდ	სახლ-ს
ნათ.	დიდ-ის	სახლ-ის	დიდ-ი	სახლ-ის
მოქმ.	დიდ-ის	სახლ-ით	დიდ-ი	სახლ-ით
ვით.	დიდ-ს	სახლ-ად	დიდ	სახლ-ად
წოდ.	დიდ-ო	სახლ-ო	დიდ-ო	სახლ-ო

	შეკვეცილი		ვულგარული	
სახ.	დიდ-ი	სახლ-ი	დიდ-ი	სახლ-ი
მოთხ.	დიდ-მა	სახლ-მა	დიდ-ი	სახლ-მა
მიც.	დიდ	სახლ-ს	დიდ-ი	სახლ-ს
ნათ.	დიდ	სახლ-ის	დიდ-ი	სახლ-ის
მოქმ.	დიდ	სახლ-ით	დიდ-ი	სახლ-ით
ვით.	დიდ	სახლ-ად	დიდ-ი	სახლ-ად
წოდ.	დიდ-ო	სახლ-ო	დიდ-ი	სახლ-ო

დღეს სალიტერატურო ქართულში გარდამავალი სახეობის პარალელურად ზოგჯერ შეიძლება სრული სახეობაც გამოვლინდეს, რაც გამართლებულია სტილური ფაქტორით. მაგალითად, მსაზღვრელ-საზღვრული: ჩემი აზრით, დიდი ამბით... გვხვდება სრული სახითაც: ჩემის აზრით, დიდის ამბით... გ. მაჭავარიანის დაკვირვებით, თანამედროვე ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის სრული სახეობა მაღალ, გამორჩეულ, მარკირებულ სტილს უნდა მივაკუთვნოთ, გარდამავალი კი – ჩვეულებრივ, ნეიტრალურ სტილად უნდა ვცნოთ. ისე კი გრამატიკულად ორივე სწორია თავ-თავის

ადგილზე. ერთ-ერთი მათგანის ამორჩევა დამოკიდებულია სტილზე, რომელიც დამწერს ან მთქმელს მართებულად მიაჩნია. მაგალითად: „სტუმარი დიდის ამბით გააცილეს“, „ჩემის აზრით, კაცში ადამიანობაა მთავარი“ – ამ შემთხვევებში ამაღლებული სტილია. მაგრამ: „პური დიდი დანით დაჭრეს“, „ამ საკითხში ჩემი აზრითაც იხელმძღვანელეს“ – სტილი ნეიტრალურია და არ ვამბობთ: დიდის დანით, ჩემის აზრითაც.

6.2.1. ატრიბუტული მსაზღვრელი

ატრიბუტულ მსაზღვრელად შეიძლება იყოს სხვადასხვა სახელი (ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, მიმღეობა...) – თანხმოვანფუძიანი ან ხმოვანფუძიანი, პირდაპირი ან შებრუნებული წყობისა, ამიტომ ასეთი ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებაც არაერთგვაროვანია. გამოიყოფა რამდენიმე შემთხვევა:

პ ი რ დ ა პ ი რ ი წ ყ ო ბ ა

1. ატრიბუტული მსაზღვრელი გადმოცემულია **ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი** სახელით:

თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი

სახ.	ახალ-ი	სკამ-ი /	სკამ-ებ-ი	ახალ-ნ-ი	სკამ-ნ-ი
მოთხ.	ახალ-მა	სკამ-მა /	სკამ-ებ-მა	ახალ	სკამ-თ-ა
მიც.	ახალ	სკამ-ს /	სკამ-ებ-ს	,,	,,
ნათ.	ახალ-ი	სკამ-ის /	სკამ-ებ-ის	,,	,,
მოქმ.	ახალ-ი	სკამ-ით /	სკამ-ებ-ით	–	–
ვით.	ახალ	სკამ-ად /	სკამ-ებ-ად	–	–
წოდ.	ახალ-ო	სკამ-ო /	სკამ-ებ-ო	ახალ-ნ-ო	სკამ-ნ-ო

ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი

სახ.	მოკლე	გზა /	გზ-ებ-ი	მოკლე	გზა-ნ-ი
მოთხ.	მოკლე	გზა-მ /	გზ-ებ-მა	მოკლე	გზა-თ-ა
მიც.	მოკლე	გზა-ს /	გზ-ებ-ს	,,	,,
ნათ.	მოკლე	გზ-ის /	გზ-ებ-ის	,,	,,
მოქმ.	მოკლე	გზ-ით /	გზ-ებ-ით	–	–
ვით.	მოკლე	გზა-დ /	გზ-ებ-ად	–	–
წოდ.	მოკლე	გზა-ო /	გზ-ებ-ო	მოკლე	გზა-ნ-ო

როგორც წესი, ზედსართავი სახელით გადმოცემული თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში შენარჩუნებული აქვს ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი (**-ი**), მიცემითსა და ვითარებითში კი წარმოდგენილია ფუძის სახით. ასეთ მსაზღვრელს არ ითანხმებს საზღვრული ებიანსა და **თ**ანიან მრავლობითში, **ნ**არიანში კი მხოლოდ ფორმალური შეთანხმებაა.

ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში ფუძის სახითაა – არ დაირთავს ნიშანს, იგი საზღვრულს არ ეთანხმება მრავლობით რიცხვშიც.

თუ მსაზღვრელი გათიშულია საზღვრულისაგან, მაშინ იგი ყველა ბრუნვაში დაირთავს ნიშანს, მნიშვნელობა არა აქვს ფუძის დაბოლოებას: შაქრიან-**ი** თქვა სიტყვა, შაქრიან-**მა** დამამშვიდა სიტყვა-**მ**, შაქრიან-**ს** ეტყვის სიტყვა-**ს**... მწვანე-**მ** მომხიბლა ფერ-**მა**, მწვანე-**ს** დავხატავ ფოთოლ-**ს** და ა. შ.

2. ატრიბუტული მსაზღვრელი გადმოცემულია რ ი ც ხ ვ ი თ ი სახელით:

თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი

	მხ. რ.		მრ. რ.	
სახ.	სამ-ი	ძმა	სამ-ნ-ი	ძმა-ნ-ი
მოთხ.	სამ-მა	ძმა-მ	სამ-თ-ა	ძმა-თ-ა
მიც.	სამ	ძმა-ს	,,	,,
ნათ.	სამ-ი	ძმ-ის	,,	,,

მოქმ.	სამ-ი	ძმ-ით	–	–
ვით.	სამ	ძმა-დ	–	–
წოდ.	[სამ-ო	ძმა-ო]	[სამ-ნ-ო	ძმა-ნ-ო]

ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი

	მხ. რ.		მრ. რ.	
სახ.	რვა	ხე	რვა-ნ-ი	ხე-ნ-ი
მოთხ.	რვა	ხე-მ	რვა-თ-ა	ხე-თ-ა
მიც.	რვა	ხე-ს	,,	,,
ნათ.	რვა	ხ-ის	,,	,,
მოქმ.	რვა	ხ-ით	–	–
ვით.	რვა	ხე-დ	–	–
წოდ.	[რვა-ო	ხე-ო]	[რვა-ნ-ო	ხე-ნ-ო]

	მხ. რ.		მრ. რ.	
სახ.	მეორე	რიგ-ი	მეორე-ნ-ი	რიგ-ნ-ი
მოთხ.	მეორე	რიგ-მა	მეორე-თ-ა	რიგ-თ-ა
მიც.	მეორე	რიგ-ს	,,	,,
ნათ.	მეორე	რიგ-ის	,,	,,
მოქმ.	მეორე	რიგ-ით	–	–
ვით.	მეორე	რიგ-ად	–	–
წოდ.	[მეორე	რიგ-ო]	[მეორე-ნ-ო	რიგ-ნ-ო]

მსაზღვრელად გამოყენებული რიცხვითი სახელი იბრუნვის შესაბამისი ფუძის ზედსართავის მსგავსად, მაგრამ ვერ აწარმოებს წოდებით ბრუნვას, თუმცა იშვიათად მხატვრულ ლიტერატურაში, მეტწილად პოეზიაში, შეიძლება იყოს ასეთი ფორმები: „ოთხო წელიწადო“ (ილია), „ორო ჭადარო“ (გალაკტიონი)... გარდა ამისა, ასეთი მსაზღვრელი საზღვრულს იკავშირებს მხოლობითი რიცხვის ფორმით: ორი ხე, სამი მერხი, ოცი სტუდენტი... და არა: ორი ხეები, სამი მერხები, ოცი სტუდენტები... იშვიათ შემთხვევაში თავჩენილი მსაზღვრელი რიცხვითი სახელის მრავლობითობაც მხოლოდ ფორმალურია – შვიდ-**ნ**-ი ძმა-**ნ**-ი, შვიდ-**თ**-ა ძმა-**თ**-ა ტიპის ფორმებში **ნ** და **თ** ნიშნებით არ გადმოიცემა მხოლობითისაგან განსხვავებული შინაარსი.

3. ატრიბუტული მსაზღვრელი გადმოცემულია ნაცვალსახელით:

ჩვენებითი ნაცვალსახელები

სახ.	ეს წიგნ-ი/-ებ-ი	ეს წიგნ-ნ-ი
მოთხ.	ამ წიგნ-მა	ამ წიგნ-თ-ა
მიც.	ამ წიგნ-ს	”
ნათ.	ამ წიგნ-ის	”
მოქმ.	ამ წიგნ-ით	–
ვით.	ამ წიგნ-ად	–
წოდ.	–	–

სახ.	ის დღე/-ებ-ი	ის დღე-ნ-ი
მოთხ.	იმ დღე-მ	იმ დღე-თ-ა
მიც.	იმ დღე-ს	,,
ნათ.	იმ დღ-ის	,,
მოქმ.	იმ დღ-ით	–
ვით.	იმ დღე-დ	–
წოდ.	–	–

მსაზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელები **ეს, ეგ, ის** ბრუნების დროს ეყრდნობა (იყენებს) მეორე ფუძეს შეკვეცილი ფორმით და ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს, ვერ აწარმოებს წოდებით ბრუნვას და რიცხვშიც არ ეთანხმება საზღვრულ წევრს; დანარჩენი ჩვენებითი ნაცვალსახელები (ამისთანა, ასეთი, ამნაირი, ამდენი...) კი იმგვარად იცვლება, როგორც შესაბამისი ფუძის ზედსართავი სახელი არსებითთან.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები

მხოლობითი რიცხვი

სახ.	ჩემ-ი	აზრი	შენ-ი	სახლ-ი	მის-ი	საქმე
მოთხ.	ჩემ-მა	აზრ-მა	შენ-მა	სახლ-მა	მის-მა	საქმე-მ
მიც.	ჩემ-ს	აზრ-ს	შენ-ს	სახლ-ს	მის	საქმე-ს
ნათ.	ჩემ-ი	აზრ-ის	შენ-ი	სახლ-ის	მის-ი	საქმ-ის
მოქმ.	ჩემ-ი	აზრ-ით	შენ-ი	სახლ-ით	მის-ი	საქმ-ით
ვით.	ჩემ-ს	აზრ-ად	შენ-ს	სახლ-ად	მის	საქმე-დ
წოდ.	ჩემ-ო	აზრ-ო	—		—	

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ჩვენ-ი	აზრი	თქვენ-ი	სახლ-ი	მათ-ი	საქმე
მოთხ.	ჩვენ-მა	აზრ-მა	თქვენ-მა	სახლ-მა	მათ-მა	საქმე-მ
მიც.	ჩვენ-ს	აზრ-ს	თქვენ-ს	სახლ-ს	მათ-ს	საქმე-ს
ნათ.	ჩვენ-ი	აზრ-ის	თქვენ-ი	სახლ-ის	მათ-ი	საქმ-ის
მოქმ.	ჩვენ-ი	აზრ-ით	თქვენ-ი	სახლ-ით	მათ-ი	საქმ-ით
ვით.	ჩვენ-ს	აზრ-ად	თქვენ-ს	სახლ-ად	მათ-ს	საქმე-დ
წოდ.	ჩვენ-ო	აზრ-ო	—		—	

ამგვარად, კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელი საზღვრულთან ერთად იბრუნვის შესაბამისი ფუძის ზედსართავი სახელის მსგავსად, ოღონდ წოდებით ბრუნვას ვერ აწარმოებს (გამონაკლისია მხოლოდ **ჩემი** და **ჩვენი**). ასეთი მსაზღვრელი რიცხვშიც არ ეთანხმება საზღვრულს. გარდა ამისა, მსაზღვრელად გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელი ბრუნვის ნიშანს დაირთავს მიცემითსა და ვითარებითშიც, რომ არ აირიოს შესაბამის პირის ნაცვალსახელში. მაგალითად: შენ-ს მეგობარ-ს დაუძახე, ჩვენ-ს სამშობლო-ს ვუმღერით, შენ-ს ძმ-ად ჩამთვალე... შდრ. შენ მეგობარს დაუძახე, ჩვენ სამშობლოს ვუმღერით, შენ ძმად ჩამთვალე...

4. ატრიბუტული მსაზღვრელი გადმოცემულია ა რ - ს ე ბ ი თ ი სახელით:

სახ.	ექიმ-ი	ქალ-ი /-ებ-ი	ზღვა	ხალხ-ი
მოთხ	ექიმ-მა	ქალ-მა	ზღვა	ხალხ-მა
მიც.	ექიმ	ქალ-ს	ზღვა	ხალხ-ს
ნათ.	ექიმ-ი	ქალ-ის	ზღვა	ხალხ-ის
მოქმ.	ექიმ-ი	ქალ-ით	ზღვა	ხალხ-ით
ვით.	ექიმ	ქალ-ად	ზღვა	ხალხ-ად
წოდ.	ექიმ-ო	ქალ-ო	ზღვა	ხალხ-ო

ასეთი მსაზღვრელი საზღვრულთან ერთად იბრუნვის შესაბამისი ფუძის ზედსართავის მსგავსად, მაგრამ, თუ მსაზღვრელად გამოყენებულია პროფესიის, თანამდებობის,

ხელობის, წოდების გამომხატველი არსებითი სახელი, მაშინ იგი (გვართან შეწყობილი) იბრუნვის შეკვეცილი სახეობით – ბრუნვის ნიშანს დაირთავს მხოლოდ სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში:

სახ.	სტუდენტ-ი	ბაქრაძე	პროფესორ-ი	ბერიძე
მოთხ.	სტუდენტ-მა	ბაქრაძე-მ	პროფესორ-მა	ბერიძე-მ
მიც.	სტუდენტ	ბაქრაძე-ს	პროფესორ	ბერიძე-ს
ნათ.	სტუდენტ	ბაქრაძ-ის	პროფესორ	ბერიძ-ის
მოქმ.	სტუდენტ	ბაქრაძ-ით	პროფესორ	ბერიძ-ით
ვით.	სტუდენტ	ბაქრაძე-დ	პროფესორ	ბერიძე-დ
წოდ.	სტუდენტ-ო	ბაქრაძე	პროფესორ-ო	ბერიძე

თუ მსაზღვრელი არის მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმათაგან ნაწარმოები სახელი, მაგალითად: შემთხვევითი მოვლენა, დროებითი მთავრობა, პირობითი წინადადება... ფულადი სახსარი, წიგნადი ფონდი, პირველადი დახმარება და ა. შ., მაშინ მიცემითში (და ვითარებითშიც) უნდა დაერთოს ბრუნვის ნიშანი **-ს**, რადგან უნიშნო მსაზღვრელი შეიძლება გაგებულ იქნეს სხვა წევრად (აზრობრივად დაუკავშირდეს ზმნას) და, შესაბამისად, წინადადების შინაარსიც შეიცვალოს. უნდა იყოს: წიგნად-ს ფონდ-ს, პირობით-ს წინადადება-ს, დროებით-ს მთავრობა-ს... (შდრ. **დროებით** მთავრობას **შეუთანხმდნენ**, ე. ი. მთავრობას შეუთანხმდნენ დროებით).

შებრუნებული წყობა

მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობის დროს ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნება თითქმის ერთნაირია, მნიშვნელობა არა აქვს მსაზღვრელის ფუძის დაბოლოებას, ყველა მათგანი დაირთავს ნიშანს, რომ ეს მსაზღვრელი არ მიეკედლოს სხვა სიტყვას და, შესაბამისად, არ შეიცვალოს წინადადების შინაარსი. მაგალითად: ვ ე ლ ს **მწვანეს** ყვავილები მოჰფენია, შდრ. ველს **მწვანე** ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი მოჰფენია.

მხოლობითი რიცხვი

სახ.	სახლ-ი	თეთრ-ი	ველ-ი	მწვანე
მოთხ.	სახლ-მა	თეთრ-მა	ველ-მა	მწვანე-მ
მიც.	სახლ-ს	თეთრ-ს	ველ-ს	მწვანე-ს
ნათ.	სახლ-ის	თეთრ-ის	ველ-ის	მწვან-ის
მოქმ.	სახლ-ით	თეთრ-ით	ველ-ით	მწვან-ით
ვით.	სახლ- ად	თეთრ-ად	ველ-ად	მწვანე-დ
წოდ.	სახლ-ო	თეთრ-ო	ველ-ო	მწვანე-ვ

მრავლობითი რიცხვი

სახ.	სახლ-ნ-ი	თეთრ-ნ-ი	ველ-ნ-ი	მწვანე-ნ-ი
მოთხ.	სახლ-თ-ა	თეთრ-თ-ა	ველ-თ-ა	მწვანე-თ-ა
მიც.	"	"	"	"
ნათ.	"	"	"	"
მოქმ.	–	–	–	–
ვით.	–	–	–	–
წოდ.	სახლ-ნ-ო	თეთრ-ნ-ო	ველ-ნ-ო	მწვანე-ნ-ო

პოსტპოზიციური მსაზღვრელი მხოლოდ ნართანიან მრავლობითში ეთანხმება საზღვრულს; იშვიათად (მეტწილად მხატვრულ ლიტერატურაში) გამონაკლისის სახით შეიძლება შეთანხმება იყოს ებიან მრავლობითშიც, შდრ. სახლებ-ი თეთრ-ებ-ი, ველ-ებ-ი მწვანე-ებ-ი.

6.2.2. სუბსტანტიური მსაზღვრელი

სუბსტანტიური მსაზღვრელისა და საზღვრულის ბრუნება განსხვავებულია წყობის მიხედვით:

პირდაპირი წყობა

სახ.	ჩიტის	ბუდე/-ებ-ი	ჩიტის	ბუდე-ნ-ი
მოთხ.	ჩიტის	ბუდე-მ	ჩიტის	ბუდე-თ-ა

მიც.	ჩიტის	ბუდე-ს	,,	,,
ნათ.	ჩიტის	ბუდ-ის	,,	,,
მოქმ.	ჩიტის	ბუდ-ით	—	—
ვით.	ჩიტის	ბუდე-დ	—	—
წოდ.	ჩიტის	ბუდე-ვ	ჩიტის	ბუდე-ნ-ო

ამგვარად, პირდაპირი წყობით ბრუნების დროს სუბსტანტიური მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს, საზღვრულს არ ეთანხმება მრავლობით რიცხვშიც, მაგრამ, თუ ასეთი მსაზღვრელი გათიშულია საზღვრულისაგან, მაშინ იგი აუცილებლად უნდა იყოს გაფორმებული ბრუნვის ნიშნით. მაგალითად: ვერცხლის ქამარს, შდრ. ვერცხლისა-ს ვიყიდი ქამარ-ს, ხისა-ს ავაგებ სახლ-ს...

შებრუნებული წყობა

სახ.	ბუდე /-ებ-ი	ჩიტისა	ბუდე-ნ-ი	ჩიტისა-ნ-ი
მოთხ.	ბუდე-მ	ჩიტისა-მ	ბუდე-თ–ა	ჩიტისა–თ-ა
მიც.	ბუდე-ს	ჩიტისა-ს	,,	,,
ნათ.	—	—	,,	,,
მოქმ.	—	—	—	—
ვით.	ბუდე-დ	ჩიტისა-(დ)	—	—
წოდ.	ბუდე-ვ	ჩიტისა-ვ	ბუდე-ნ-ო	ჩიტისა-ნ-ო

შებრუნებული წყობის დროს სუბსტანტიური მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მოთხრობითში, მიცემითსა და წოდებითში, უნიშნოდ (გავრცობილი ფუძით) არის სახელობითსა და ვითარებითში, ნათესაობითი და მოქმედებითი კი საერთოდ არ ეწარმოება; მსაზღვრელი საზღვრულს რიცხვში ფორმალურად ეთანხმება მხოლოდ ნართანიან მრავლობითში. თანამედროვე ქართულში სუბსტანტიური მსაზღვრელისა და საზღვრულის შებრუნებული წყობა იშვიათად გამოიყენება.

მაშასადამე, ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება არაერთგვაროვანია. განსხვავების საფუძველია

მსაზღვრელის ტიპი, მსაზღვრელის ფუძის დაბოლოება, მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა. ახალ ქართულში პირდაპირი წყობის გაბატონებამ თავისთავად გამოიწვია ცვლილება: „მოდუნდა მსაზღვრელის ბრუნება“ (არნ. ჩიქობავა), ყოველთვის აღარ არის აუცილებელი ბრუნვის ნიშნების დართვა. სხვაგვარად: რადგან პირდაპირი წყობის დროს მსაზღვრელს უშუალოდ მოსდევს საზღვრული (ე. ი. კონსტრუქცია ჩაკეტილია) და მსაზღვრელი სხვა წევრს ვეღარ მიეკედლება, ამიტომ მისთვის ბრუნვის ნიშნების დართვა არაა აუცილებელი. მაგრამ ინვერსიული წყობისა და გათიშული მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში, როცა კონსტრუქცია ღიაა, მსაზღვრელმაც უნდა მიიღოს შესაბამისი ბრუნვის ნიშნები, რათა არ გაწყდეს სინტაქსური კავშირი საზღვრულთან. ამიტომაა, რომ, „რაც უფრო შორდება ერთმანეთს საზღვრული და მსაზღვრელი, მით უფრო იზრდება მსაზღვრელის დამოუკიდებლობის ხარისხი“ (ა. პაპიძე) და აუცილებელი ხდება მსაზღვრელის გაფორმება ბრუნვის ნიშნით, რომელიც, თავის მხრივ, არის საზღვრულთან მისი სემანტიკური და სინტაქსური კავშირის მაჩვენებელი.

ლიტერატურა

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

არაბული ა., ზედსართავი სახელი: **თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა...** თბ., 2011.

დავითიანი აკ., ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973.

ზექალაშვილი რ., ქართული მართლწერის საკითხები, თბ., 2004.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

კალაძე ც., საზღვრულის რიცხვი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან: ქსკს, IV, 1981.

კიზირია ა., სუბსტანტიური მსაზღვრელი: ქელს, 1987, №1-4.

ლეჟავა ლ., მსაზღვრელთა რიგი რამდენიმე ერთგვარ მსაზღვრელებიან შესიტყვებაში: ქსკს, I, 1972.

მაჭავარიანი გ., სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგიერთი საკითხი: ცისკარი, 1968, №12.

ონიანი ალ., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

პაპიძე ა., მსაზღვრელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები: ქსკს, წიგნი XI, 1998.

სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

საღინაძე რ., ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები, ქუთაისი, 1995.

საღინაძე რ., სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები, თბ., 2013.

უთურგაიძე თ., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

უთურგაიძე თ., ქართული ენის ისტორიული გრამატიკის მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური ასპექტები, თბ., 2013.

ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.

ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე ა., ძველი ქართული ენა, თბ., 1976.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ჯანაშია ს., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ., 1970; 1986.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

თავი VII. ზმნა

7.1. ზმნის ზოგადი დახასიათება

ქართულში ზმნა უძველესი მეტყველების ნაწილია. იგი აღნიშნავს საგნის მოქმედებას (აშენებს, ხატავს...), მდგომარეობას (დგას, წევს...), განცდას (წუხს, დარდობს...), სხვის მიერ მიყენებულ ვნებას (იჭრება, იხევა), ზოგჯერ მიუთითებს საგნის ნიშან-თვისებაზეც (ლამაზობს, ავობს, ბრაზობს...).

ტერმინი „ზმნა“ ქართულში შემოსული უნდა იყოს არაბული გრამატიკული ტერმინოლოგიის გავლენით. იგი არის თარგმანი არაბული სიტყვისა, რომელიც ნიშნავს „ქმნას“, „კეთებას“ (შდრ. ვშვრები – ვიზამ – ვქენი); ტერმინი ბერძნულ-ლათინურის მიხედვით რომ შემუშავებულიყო, მაშინ იქნებოდა „სიტყვა“ (შდრ. გერმ. verb). სულხან-საბა ორბელიანიც ამ ცნების აღსანიშნავად იყენებდა არა „ზმნას“, არამედ „სიტყვას“.

ზმნა სემანტიკურად მრავალფეროვანია, ერთდროულად გამოხატავს სხვადასხვა მნიშვნელობას, რომლებიც აღინიშნება მორფოლოგიური კატეგორიების გამომხატველი სათანადო აფიქსებით. თუ ქართულში სახელი, ევროპული ენებისაგან განსხვავებით, გაცილებით მარტივია, სამაგიეროდ, ზმნა არის უაღრესად რთული. მას აქვს თოთხმეტამდე კატეგორია (ა. შანიძე), რომელთაგან ზოგი უღლებისაა, ზოგიც – წარმოქმნისა.

უღლების კატეგორია ცვლის ზმნის მხოლოდ გრამატიკულ მნიშვნელობას (მაგრამ არ ცვლის ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას) და აუცილებელია ამა თუ იმ ფორმის საწარმოებლად. სწორედ ამ თავისებურებით იგი ჰგავს სახელს; ანუ სხვაგვარად: ფორმაცვალების მიხედვით, უღლების კატეგორია ზმნისათვის ისეთივე მოვლენაა, როგორიც ბრუნების კატეგორია სახელისათვის. უღლების კატეგორიებია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, მწკრივი, გზისობა, აქტი, თანამდევრობა.

წარმოქმნის კატეგორია ორმაგი ბუნებისაა: სიტყვას უცვლის ფორმასაც და ლექსიკურ მნიშვნელობასაც. წარმოქმნის კატეგორიებია: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი.

ფორმალური გამოხატვის მიხედვით ზმნის კატეგორიები იყოფა გრამატიკულ (მორფოლოგიურ) და სემანტიკურ კატეგორიებად. გრამატიკული კატეგორია გამოიხატება მორფოლოგიური საშუალებებით (აფიქსებით, მოდელებით); ასეთებია: პირი, რიცხვი, მწკრივი, გვარი, ქცევა, კონტაქტი. სემანტიკური კატეგორიებია: დრო, კილო, აქტი, გზისობა, თანამდევრობა.

ბ. ჯორბენაძის აზრით, ქართულში ზმნის კატეგორიები როგორც ფორმობრივი, ისე სემანტიკური თვალსაზრისით შეიძლება განაწილდეს ორ ჯგუფად: უღვლილებისა და ასპექტის კატეგორიებად. უღვლილების კატეგორიები განაპირობებენ ზმნის ცვლას მწკრივების მიხედვით, ასპექტის კატეგორიები კი განარჩევენ მოქმედების სახეს, მოქმედების რაგვარობას.

შესაძლებელია, ზმნის რომელიმე კატეგორია ერთი ჯგუფიდან მეორეში გადაირიცხოს. მაგალითად, ასპექტი უღლების კატეგორია იყო ძველ ქართულში, ახალში იგი წარმოქმნისა გახდა. ასევე, გზისობა, სპეციალური **ი** აფიქსით გამოხატული, ძველად მორფოლოგიურ კატეგორიად ითვლებოდა, დღეს იგი სემანტიკურ კატეგორიად განიხილება.

ზმნის კატეგორიებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირი. ამის გამო ზმნა მიჩნეულია პირიან სიტყვად. ა. შანიძის აზრით, ზმნა უფრო ზოგადი ცნებაა. მასში იგულისხმება როგორც პირიანი, ისე უპირო ფორმა – მოქმედების სახელი (საწყისი და მიმღეობა)[1].

[1] თუმცა ზოგი მკვლევარი მართებულად არ მიიჩნევს ზმნის დაყოფას პირიან და უპირო ფორმებად (იხ. შ. კეკელია, აკ. დავითიანი, ქართული ენა, 1973). ჩვენც ვფიქრობთ, წმინდა ფორმობრივი ასპექტიდან გამომდინარე, მოქმეღების სახელები არ უნდა განიხილებოდეს ზმნურ ფორმად.

ზმნა შეიძლება იყოს პ ი რ ვ ე ლ ა დ ი (მალავს, იზრდება, წერს, ზის...) და ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი სხვა მეტყველების ნაწილებისაგან: მეფობს (< მეფე), ყოჩაღობს (< ყოჩაღ) || იყოჩაღა, ვიშვიშებს (< ვიშ), თეთრდება (< თეთრი), იჩემებს (< ჩემი), გასამდა (< სამი...) და ა. შ.

სინტაქსურად ზმნა არის შემასმენელი (მზე **ამოვიდა**) ანდა შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი (ბავშვი გახარებული **იყო**).

ქართული ზმნა წინადადების დედაძარღვია, სული და გულია ენისა. „ქართული ზმნის აგებულებაში სათანადოდ უკუფენილია წინადადების შედგენილობა... ზმნა წინადადებაა მინიატურაში“ (არნ. ჩიქობავა); „ქართული ზმნა შეიცავს აზრის გამოხატვის ისეთ საშუალებებს, რომლებიც ინდოევროპულ ენებს არ მოეპოვება“ (ჟ. ვანდრიესი).

7.2. ზმნის პირი და რიცხვი

ტრადიციულ გრამატიკებში ქართული ზმნის პირი ხასიათდება რომელობის, როგორობისა და რაოდენობის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული თვალსაზრისიც არსებობს: „პირიან ფორმებში გამოიყოფა ოპოზიციის ორი სახე: 1. ვითარების ანუ როგორობის მიხედვით ოპოზიცია, ე.ი. პირთა ოპოზიცია: სუბიექტური პირი – ობიექტური პირი, 2. რომელობის მიხედვით ოპოზიცია, ე.ი. პირთა ოპოზიცია: პირველი – მეორე – მესამე“ (ალ. ონიანი).

რ ო მ ე ლ ო ბ ი ს მიხედვით პირი შეიძლება იყოს I (მოუბარი), II (თანამოუბარი), III (საუბრის საგანი). ესა თუ ის პირი ერთს ან ერთზე მეტს (მრავალს) გულისხმობს, შესაბამისად, ზმნის პირიან ფორმას აქვს ორი რიცხვი: მხოლობითი და მრავლობითი.

მხოლობითი რიცხვი გვიჩვენებს ერთის მოქმედებას ან ერთზე მოქმედებას (დარბის, ათბობს, აგორებს...).

მრავლობითი რიცხვი აღნიშნავს მრავლის მოქმედებას (წერენ, თამაშობენ, აშენებენ...). თითოეული პირი გამოხატულია სათანადო ნაცვალსახელებით:

I პირი: მე (მხ. რ.) – ჩვენ (მრ. რ.)

II პირი: შენ – თქვენ

III პირი: ის, იგი, მან, მას – ისინი, ესენი, მათ

I და II პირი ყოველთვის გულისხმობს ადამიანს, ასევე, გაპიროვნებულ სულიერ არსებას ან უსულო საგანს; III პირით გადმოცემული სახელი შეიძლება გულისხმობდეს ადამიანს ან არაადამიანს.

პირთა რაოდენობის მიხედვით ქართული ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი, სამპირიანი და ოთხპირიანიც კი. პირთა რაოდენობა ზმნაში განისაზღვრება მასთან შეწყობილი ნაცვალსახელებითა და მათი მორფოლოგიური გამოხატვის შესაძლებლობით: რამდენი ნაცვალსახელიც შეეწყობა ზმნას, ის იმდენპირიანია. მაგალითად: წითლდება **ის** (ერთპირიანი), აწითლებს **ის მას** (ორპირიანი), უწითლებს **ის მას მას** (სამპირიანი). იშვიათად ზმნა შეიძლება ოთხპირიანიც იყოს: მიმიწერა **მან მე მას ის**, მიმაცემინა, მიჭმია, მიმიბა... „დამიჩაგვრინო, შემინატვრინო“ (ილია). მართალია, ა. შანიძე ოთხპირიან ზმნებს საერთოდ ხელოვნურ ფორმებად მიიჩნევს, მაგრამ დღეს წერითსა თუ ზეპირ მეტყველებაში მათი არსებობა ფაქტია, ქართულისათვის დამახასიათებელი. მეტიც, ზოგჯერ ზმნის ოთხპირიანი ფორმა აუცილებელიცაა: „როცა სამპირიან არასასხვისო ქცევის ზმნას გადავაკეთებთ სასხვისოდ, მაშინ ის ოთხპირიანი ხდება: აჭმევს ის მას მას – მიჭმევს ის მე მას მას“ (ლ. კიკნაძე).

მაშასადამე, ქართული ზმნა მრავალპირიანია (პოლიპერსონალური). მრავალპირიანობა საერთოქართველური მოვლენაა, ევროპულ ენებში კი ზმნა ერთპირიანია (მონოპერსონალური), რადგან მასში გრამატიკულად მხოლოდ სუბიექტური პირი გამოიხატება (თუმცა სემანტიკურად შეიძლება იგულისხმებოდეს ორი პირი). აქედან გამო-

მდინარე, ქართულში ზმნის პირი ხასიათდება სამი ნიშნის – რაოდენობის, რომელობისა და როგორობის – მიხედვით, ევროპულ ენებში კი – მხოლოდ რომელობის მიხედვით.

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ზმნის მრავალპირიანობას განიხილავენ ვალენტობასთან მიმართებითაც. ვ ა ლ ე ნ ტ ო ბ ა არის ზმნური ფორმის უნარი „შეიწყოს წინადადების ბირთვში სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელების (resp. ნაცვალსახელთა) ანუ აქტანტების განსაზღვრული რაოდენობა“ (ლ. ტენიერი). ზმნის ვალენტობა არის პირთა შეწყობის უნარი, პირიანობა კი – გამოხატვის უნარი. მაგალითად: წვიმს, თოვს ... ნულვალენტიანია, არ შეეწყობა პირი (არა აქვს კონკრეტული პირის გაგება), დგას ის – ერთვალენტიანი, აშენებს ის მას – ორვალენტიანი, უგზავნის ის მას მას – სამვალენტიანი... (ვრცლად იხ. ლ. ენუქიძე, ბ. ჯორბენაძე, თ. გამყრელიძე...).

ზმნის პირიანობა და ვალენტობა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგალითად: **მ**-ხატავ-**ს** ის მე ორვალენტიანი და ორპირიანია, **მ**-იზრდი-**ს** ის მე მას – სამვალენტიანი, მაგრამ ორპირიანი. რადგან ვალენტობა სინტაქსური კატეგორიაა, არ არის აუცილებელი მორფოლოგიაში მისი შემოტანა[1].

რ ო გ ო რ ო ბ ი ს მიხედვით პირი ორგვარია: სუბიექტური და ობიექტური. **სუბიექტი** მოქმედი პირია, **ობიექტი** – სამოქმედო. მაგალითად: ხატავს ის მას (მხატვარი სურათს) – **ის** სუბიექტია, **მას** – ობიექტი.

ობიექტური პირი ორგვარია: პირდაპირი და ირიბი.

---

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ ლინგვისტიკაში არსებობს სხვა მოსაზრებებიც: მაგალითად, გ. ნებიერიძის აზრით, სამზე მეტვალენტიანი ზმნა აღარ გვექნება, რადგანაც აქტანტა მხოლოდ სამია: **S**, $\mathbf{O^d}$, $\mathbf{O^i}$; ზოგჯერ თითქოს ოთხვალენტიანი ზმნებიც გვაქვს, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა (მაგალითად, ნუ მიმაცემინებ შენ მე მას მას) – ზმნის ერთ ფორმაში ორი აქტანტა ერთნაირია, ორივე ირიბია. ასევე: თ. მახარობლიძეს უფრო მართებულად მიაჩნია, ვალენტობა ჩაითვალოს არა სინტაქსურ, არამედ სემანტიკურ კატეგორიად. მაშინ ვალენტობის მორფო-სემანტიკა შესაბამისად განსხვავებულად აისახება მონოპერსონალურ და პოლიპერსონალურ ენებში.

პირდაპირი ობიექტი მოქმედების საგანია (რომელზედაც პირდაპირ გადადის სუბიექტის მოქმედება): აშენებს ის მას (მეზობელი სახლს) – **მას** პირდაპირი ობიექტია.

ირიბი ობიექტი არ არის მოქმედების საგანი, მას უშუალოდ არ ეხება სუბიექტის მოქმედება, თუმცა ეს მოქმედება მისკენაა მიმართული ან მისთვისაა განკუთვნილი: მისწერა მან მას ის (დედამ შვილს წერილი) – **მას** ირიბი ობიექტია.

ერთპირიან ზმნაში მხოლოდ სუბიექტური პირია (იზრდება **ის**), ორპირიანში ერთი სუბიექტურია და მეორე – ობიექტური (ზრდის **ის მას**), სამპირიანში – ერთი სუბიექტური და ორი ობიექტური – პირდაპირი და ირიბი (უზრდის **ის მას მას**).

ქართულ ლინგვისტიკაში სუბიექტისა და ობიექტის აღსანიშნავად გამოიყენება ლათინური ასოები: **S** (სუბიექტი), **O** (ობიექტი), **d** (directa – პირდაპირი) – $\mathbf{O^d}$, **i** (indirecta – ირიბი) – $\mathbf{O^i}$; **S** (singular – მხ. რ.), **P** (plural – მრ. რ.) (შემოიღო ა. შანიძემ).

ქართული ზმნის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ინვერსიული ზმნებისათვის მართებულად მიაჩნიათ სხვა ტერმინებიც: მორფოლოგიური || გრამატიკული || რეალური სუბიექტი (**MS, grS, RS**), მორფოლოგიური || გრამატიკული || რეალური ობიექტი (**MO, grO, RO**); აქტანტი || აქტანტები (შეიძლება იყოს: **S**, $\mathbf{O^d}$, $\mathbf{O^i}$); უახლოესი ობიექტი || უშუალო ობიექტი (= $\mathbf{O^d}$); ასევე აგენსი (**S**), პაციენსი (**O**).

ქართულ ენაში პირდაპირი და ირიბი ობიექტი, გარდა სემანტიკისა, განსხვავდება ფორმითაც: პირდაპირი ბრუნვაცვალებადია – დგას სახელობითსა და მიცემითში, ირიბი კი – ბრუნვაუცვლელი, ყოველთვის მიცემით ბრუნვაშია.

პირდაპირი და ირიბი ობიექტების საზიარო ბრუნვაა მიცემითი. მათ გასარჩევად გამოიყენება პრაქტიკული წესი: თუ კითხვაზე **რა ქნა?** ობიექტის მიცემითი ბრუნვა სახელობითით შეიცვალა, მაშინ იგი პირდაპირია, მაგრამ, თუ ბრუნვა არ შეიცვალა, ირიბი იქნება. მაგალითად:

ხატავს ის **მას**

რა ქნა? – დახატა მან **ის** (პირდაპირი);

ეფარება ის **მას**

რა ქნა? – მოეფარა ის **მას** (ირიბი).

ობიექტური პირების გარჩევის დროს სემანტიკაზე დაყრდნობა ყოველთვის (მაგალითად, **ეფერება** ტიპის ზმნებში) არაა გამართლებული. მთავარია ფორმობრივი სხვაობა. შესაბამისად, მართებული იქნებოდა ტერმინი „უახლოესი ობიექტი“ ნაცვლად „პირდაპირისა“.

ჩვეულებრივ, ქართულ სამპირიან ზმნაში ერთი სუბიექტური პირია, ორი – ობიექტური (პირდაპირი და ირიბი), მაგრამ თანამედროვე ქართულში, როგორც გამონაკლისი, შეიძლება სამპირიან ზმნას შეეწყოს სუბიექტთან ერთად ორი ირიბი ობიექტი. ასეთი ზმნებია:

უყვება ის მას მას – **მოუყვა** ის მას მას

ეკითხება ის მას მას – **შეეკითხა** ის მას მას

ჰპირდება ის მას მას – **შეჰპირდა** ის მას მას

ეცილება ის მას მას – **შეეცილა** ის მას მას

ესესხება ის მას მას – **დაესესხა** ის მას მას

ედავება ის მას მას – **შეედავა** ის მას მას...

ვ. იმნაიშვილის დაკვირვებით, გარდაუვალი სამვალენტიანი **უყვება** ტიპის ზმნათა რიცხვი დღეს **4** ათეულსაც კი აჭარბებს; მოხმარების სიხშირით განსაკუთრებით გამოირჩევა უყვება, ჰპირდება, ედავება.

ისტორიულად ეს ზმნები იყო ორპირიანი, გარდაუვალი: შეეწყობოდა **S** და ირიბი **O**. მაგრამ, რადგანაც მათ (როგორც ზოგადად **დეპონენსებს**) ფორმა ვნებითისა აქვთ, მნიშვნელობა კი – მოქმედებითისა, ამიტომ მოგვიანებით ასეთი ტიპის ზმნები სამვალენტიანი გახდა – დაემატა მესამე პირის (ნივთის ობიექტის) გაგება ირიბის სახით (ზმნა გარდაუვალია და პირდაპირ ობიექტს ვერ შეიწყობდა). დღეს სასაუბრო ქართულში, განსაკუთრებით დასავლურ კილოებში, აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია – ყველა სამპირიანი ზმნა

მოექცეს წარმოების ერთ ყალიბში: შეიწყოს ბრუნვაცვალებადი **S** და ორივე სახის **O:** უყვება **ის** მას **მას** – მოუყვა **მან** მას **ის** (შდრ. უხატავს **ის** მას **მას** – დაუხატა **მან** მას **ის**)... მაშასადამე, ენაში ხდება სამპირიან ზმნათა კონსტრუქციის უნიფორმაცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფორმით პასიური, მაგრამ აქტიური შინაარსის მქონე **ედავება** ტიპის ზმნები, სწორედ სემანტიკიდან გამომდინარე, დამატებით იძენენ კიდევ ერთ პირს (მეორე ირიბ ობიექტს) პირდაპირის მსგავსი მნიშვნელობით და ამ „კეთილშენაძენი" (არნ. ჩიქობავა) სამპირიანობით შეუძლიათ II სერიაში ნომინატიური კონსტრუქცია ჩაანაცვლონ ერგატიული კონსტრუქციით.

7.2.1. სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები

ქართულში პირის გამოხატვის პრინციპი ძირითადად პრეფიქსულია, რიცხვისა – სუფიქსური. I-სა და II პირში სუბიექტის ნიშნები პრეფიქსებია, III-ში – სუფიქსები; I და II პირის გამოხატვა აგლუტინაციის პრინციპს ემყარება, III-ში ფლექსიური პრინციპიც მოქმედებს.

პ ი რ ვ ე ლ ი ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი პირის ნიშანი მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში ძირითადად არის **ვ-**, მრავლობითობის აღსანიშნავად ემატება **-თ** სუფიქსი:

მხ. რ.	მრ. რ.
ვ-მუშაობ მე	**ვ**-მუშაობ-**თ** ჩვენ
ვ-ხატავ მე მას	**ვ**-ხატავ-**თ** ჩვენ მას
ვ-უკეთებ მე მას მას	**ვ**-უკეთებ-**თ** ჩვენ მას მას...

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად არის აღნიშნული, რომ **ვ-** პრეფიქსი არ არის S_1 პირის ერთადერთი მარკერი. ზოგჯერ მას ენაცვლება სხვა ალომორფები. მაგალითად:

1) ინვერსიულ ზმნებში რეალური სუბიექტი (**RS**) გამოიხატება ობიექტის **მ-** პრეფიქსით (**ვ**-წერ – და-**მ**-იწერია, **მ**-იყ-

ვარს, მო-**მ**-წონს, **მ**-აჟრჟოლებს, **მ**-ენატრება...);

2) ნიშანი საერთოდ არ არის, ანუ ნულოვანი ალომორფია: ა) **ვალ, ვედ** ძირის ზმნებში (მო-ვალ, წა-ვალ, მო-ვედი, წა-ვედი[1]...), ბ) როცა ზმნის ერთ ფორმაში ერთდროულად არის S_1 და O_2 პირები (**გ**-ესალმები მე შენ, **გ**-ლოცავ მე შენ...);

3) ზეპირ მეტყველებაში S_1 პირის **ვ**- პრეფიქსი მეტწილად არ გამოითქმის (ე. ი. ნიშანი ნულია) **ვ** თანხმოვნისა და **უ, ო** ხმოვნების წინ: მე (ვ)ვარჯიშობ, (ვ)ვარდები... მე (ვ)უთხარი, (ვ)უგზავნი... მე (ვ)ოცნებობ... თუმცა სემანტიკური სხვაობისთვის (S_1 და S_2 პირთა განსასხვავებლად) აღნიშნულ შემთხვევებში აუცილებელია **ვ**- პრეფიქსი: მე **ვ**-ვარჯიშობ, **ვ**-ვარდები... მე **ვ**-უთხარი, **ვ**-უგზავნი... მე **ვ**-ოცნებობ... (შდრ. (შენ) ვარჯიშობ... (შენ) უთხარი...).

ასე რომ, თანამედროვე ქართულის რეალური ვითარების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას: **ვ**- არის S_1-ის ძირითადი ნიშანი, ხოლო **მ**- და **Ø** (ნული) – მისი ალომორფები (დ. მელიქიშვილი, ალ. ონიანი...).

ზოგჯერ ზმნის ფორმა რთულია, ამიტომ სუბიექტური პირი ორმაგადაა გამოხატული ნიშნით: **ვ**შობილვარ, **ვ**ზივარ, **ვ**წერივარ, გა**ვ**უგზავნივარ...

მ ე ო რ ე ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი პირის ნიშნებად ტრადიციულ გრამატიკებში მიჩნეულია პრეფიქსები: **ჰ-, ს-, ხ-, Ø** (ნული), მრავლობითობის აღსანიშნავად ემატება **-თ** სუფიქსი:

მხ. რ.	მრ. რ.
(**ჰ**)-გალობ შენ	(**ჰ**)-გალობ-**თ** თქვენ
(**ს**)-თლი შენ მას	(**ს**)-თლი-**თ** თქვენ მას
ხ-არ შენ	**ხ**-არ-**თ** თქვენ
(**Ø**)-აკეთებ შენ მას	(**Ø**)-აკეთებ-**თ** თქვენ მას...

[1] წესის მიხედვით, უნდა იყოს მოვვალ, მოვვედი.. მაგრამ, რადგანაც ამ ზმნებში II პირის ნიშნად შემორჩენილია ძველი ქართულის ხ (მოხვედი, მოხვალ), რის გამოც I და II პირი ორი ვ-ს გარეშეც გარჩეულია, ამიტომ ენამ ადვილად დაკარგა **ვ** პრეფიქსი.

ა. შანიძის მიხედვით, **ჰ-** არის **ბ, ფ, პ, გ, ქ, კ, ყ** თანხმოვნების წინ, **ს- – დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ** თანხმოვნების წინ, **Ø** (ნული, ე.ი. ნიშანი არ არის) – ხმოვნებისა და ზოგიერთი თანხმოვნის წინ.

ხ- (S_2 პირის გამომხატველი თავდაპირველი აფიქსი) შემორჩენილია მხოლოდ **ხარ, მოხვალ, მოხვედ(ი)** ზმნებში.

ისტორიულად **ჰ-** არის S_2 პირის ძირითადი ნიშანი, **ს-** და **Ø** მის პოზიციურ ვარიანტებად ითვლება.

II სუბიექტური პირის ნიშანზე, ჩვეულებრივ, აღარ ვსაუბრობთ, როცა:

1) ზმნის ფორმაში პირთა კომბინაციაა – სუბიექტად მეორეა და ობიექტად პირველი: მ-ხატავ შენ მე;

2) ზმნის კილო წართქმითი ბრძანებითია: დაწერე! დაბეჭდე!

ძველ ქართულში II სუბიქტური პირის ნიშნების ხმარების წესი ახალთან შედარებით განსხვავებული იყო.

მიუხედავად საგანგებოდ შემუშავებული გრამატიკული წესებისა, დღეს S_2 პირის ნიშნები თითქმის აღარ იხმარება სამწერლობო ენასა თუ ზეპირ მეტყველებაში. აქედან გამომდინარე, სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, მათი გამოყენება სავალდებულო აღარაა, რადგან ნიშნიანი I და III პირებისაგან II პირის გარჩევა უნიშნოდაც შესაძლებელია. თუკი თანამედროვე ქართულში S_2 პირი მაინც გვხვდება პირის ნიშნით წარმოდგენილი, ჩვენი დაკვირვებითაც, ასეთ შემთხვევაში პირის ნიშანი ზმნას ანიჭებს მეტ ექსპრესიულობას (გამომსახველობითს ძალას). მას აღარ აკისრია პირის გამოხატვის მორფოლოგიური ფუნქცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დღეს S_2 პირის ნიშნების ფუნქციად სამწერლობო ენაში მეტწილად რჩება ფრაზაში ემოციური მუხტის გაძლიერება, ექსპრესიულობა, რასაც ძირითადად განსაზღვრავს მწერლის სტილი და რამდენადმე ზეპირი მეტყველების გავლენაც (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ალ. ონიანი, დ. მელიქიშვილი, ჟ. ფეიქრიშვილი...).

ცნობილია, რომ ქართული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე S_2 პირის გამოხატვა არაერთგვაროვანი იყო. თავდაპირველი **ხ-** პრეფიქსი დღეს მხოლოდ სამიოდე ფორმასთან არის შენარჩუნებული, **ჰ-** და **ს-** თითქმის აღარ გამოიყენება და, ამდენად, პირდაპირი წყობის ზმნებში S_2 პირის აღსანიშნავად ნულოვანი ალომორფია საგულვებელი, ინვერსიულ ფორმებთან კი **გ-** პრეფიქსია წარმოდგენილი: გ-ყავს შენ ის, და-გ-იწერია შენ ის...

მ ე ს ა მ ე ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი პირის ნიშნებია მხოლობით რიცხვში **-ს, -ა, -ო**[1] სუფიქსები, მრავლობითში – **-ეს, -ენ, -ან, -ნ, -ნენ.**

	მხ. რ.	მრ. რ.
-ს:	მიდი-ს **ის**	ათეთრებ-ს **ის მას**
-ა:	გათბ-ა ის	ნახ-ა მან ის
-ო:	აქ-ო მან ის	დარგ-ო მან ის...
-ეს:		გაათეთრ-ეს მათ ის
-ენ:		აქებ-ენ ისინი მას
-ნენ:		გათბ-ნენ ისინი
-ან:		მიდი-ან ისინი
-ნ:		ნახო-ნ მათ ის

-ეს, -ენ, -ან, -ნ, -ნენ ნიშნებს დღეს გრამატიკულად ორი ფუნქცია აქვს: გამოხატავენ პირსაც და მრავლობით რიცხვსაც. ისტორიულად მათ მხოლოდ რიცხვის აღნიშვნა ეკისრებოდათ.

[1] ამათგან ძირითადია **-ს** სუფიქსი; **ო** მიაჩნიათ ა-საგან მომდინარედ ფონეტიკურ ნიადაგზე; საილუსტრაციოდ იმოწმებენ **იყო** ზმნას: ვ-იყავ, იყავ, იყავ-ა > იყვა > იყო (ი. იმნაიშვილი, არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე...). მაგრამ შემდეგ **ო** ანალოგიით სხვა ზმნებსაც გაუჩნდა **ა**-ს ადგილას, შდრ. იგრძნო, დარგო, იცნო...

7.2.2. ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები

ობიექტური პირის ნიშნები პრეფიქსებია. I-სა და II პირში პირდაპირსა და ირიბ ობიექტს ერთი და იგივე ნიშანი აქვს, III-ში განსხვავებული ვითარებაა: ნიშანი მოუდის ირიბს, პირდაპირი კი უნიშნოა.

პ ი რ ვ ე ლ ი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი პირის ნიშანია მხოლობით რიცხვში **მ-** პრეფიქსი, მრავლობითში – **გვ-** (რომელსაც ერთდროულად აქვს ორი გრამატიკული მნიშვნელობა: გამოხატავს პირსაც და რიცხვსაც):

მ-ზრდის ის **მე** (O^d) – **გვ**-ზრდის ის **ჩვენ** (O^d)

მ-ეხმარება ის **მე** (O^i) – **გვ**-ეხმარება ის **ჩვენ** (O^i)

მ-იგზავნის ის **მე** (O^i) მას – **გვ**-იგზავნის ის **ჩვენ** (O^i) მას...


ინვერსიულ ზმნებში III სერიაში O_1 გამოიხატება სუბიექტის **ვ** ნიშნით:

მაქებს ის **მე**, შდრ. **ვ**უქივარ მას **მე**;

მათბობს ის **მე**, შდრ. გა-**ვ**-უთბივარ მას **მე** და ა. შ.

მ ე ო რ ე ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი პირის ნიშანია პრეფიქსი **გ-**, მრავლობითობის აღსანიშნავად შეიძლება დაემატოს **-თ** სუფიქსი. კერძოდ: როცა ზმნის ფორმაში S_3 პირი მრავლობითშია და ზმნაში წარმოდგენილია სათანადო ნიშნით, O_2 პირის მრავლობითობის გამოხატვა აღარ ხერხდება: **გ**-ზრდი-ს ის შენ – **გ**-ზრდი-**თ** ის თქვენ, გ-ეხმარებ-ა ის შენ – გ-ეხმარება-**თ** ის თქვენ, შდრ.: **გ**-ზრდი-**ან** ისინი თქვენ, **გ**-ეხმარები-**ან** ისინი თქვენ.

მ ე ს ა მ ე ი რ ი ბ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი პირის ნიშნებია ორივე რიცხვში **ჰ-, ს-, Ø** (ძირითადია **ჰ-**). მათი მონაცვლეობა, S_2 პირის მსგავსად, შეპირობებულია პოზიციურად:

O_3 

მაგალითად: **ჰ**-კითხა მან მას ის, **ს**-თხოვა მან მას ის, **(Ø)**-ემალება ის მას...

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, III ირიბობიექტური პირის ნიშნების გამოყენება სავალდებულოა, თუმცა ენაში ამ ნორმიდან გადახვევის შემთხვევა არცთუ იშვიათია.

ძველად III ირიბობიექტური პირის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნებოდა, მაგრამ დაახლ. XVI-XVII საუკუნეებიდან ენაში თავს იჩენს მრავლობითში შეთანხმების თითო-ოროლა შემთხვევა. ეს ტენდენცია უფრო შესამჩნევი ხდება თანამედროვე სამწერლობო ქართულში, დიალექტებსა და ცოცხალ მეტყველებაში. მაგალითად: „კიბეზე არავინ შეხვედრია-**თ**“ (რ. ინანიშვილი), „შემოჰპარვია-**თ** სიცივე ნერგებს“ (გრ. აბაშიძე)... ჰ-კითხა-**თ** მან **მათ** ის, და-**Ø**-უბარა-**თ** მან **მათ** ის...

III პირდაპირობიექტურ პირს, გრამატიკული წესით, ნიშანი არა აქვს, ზმნაში არ აღინიშნება მისი მრავლობითობაც: დაწერა მან ის / ისინი, აქო მან ის / ისინი... მაგრამ დღეს იგი ირიბი ობიექტის ანალოგიითა და აგრეთვე სტილისტურ-ემოციური ელფერის გასაძლიერებლად სამწერლობო ენასა და ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ გამოხატულია **ჰ-, ს-** პრეფიქსებით (მო-ჰ-კლა მან ის, ს-თქვა მან ის, შდრ. მართებული ფორმები: მოკლა, თქვა) და მრავლობით რიცხვშიც ითანხმებს ზმნას **-თ** სუფიქსით: წაიყვანა-**თ** მან **ისინი** (დედამ შვილები), შეარიგა-**თ** მან **ისინი** (მოსამართლემ მეზობლები)... მსგავსი უმართებულო ფორმები განსაკუთრებით შესამჩნევია დიალექტებში (ჟ. ფეიქრიშვილი).

ჰ- ს- აფიქსთა გამოყენების თვალსაზრისით თანამედროვე ქართულში თავჩენილი დარღვევები (სჩანს, ჰყიდის; ყავს, ქონდა, მიჰსწერა...) საცნაურს ხდის, რომ ჰ, ს ნიშნებს ფუნქციური დატვირთვა ეცვლება. ისინი არიან არა მორფოლოგიური, არამედ სტილისტურ-სემანტიკური ფუნქციის მქონენი.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს პირისა და რიცხვის ნიშანთა სხვადასხვა ცხრილი. ამჯერად თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ორ მათგანს:

ა. შანიძე

სუბიექტურ ნიშანთა ცხრილი

მხ. რ.	მრ. რ.
1. ვ————	ვ ————თ
2. ჰ-, —, ს——	ჰ, — ს———თ
3. ——ს, ა, ო	——— —ენ, (ნენ), ან, ნ, ეს

ობიექტური ნიშნების ცხრილი

პირდაპირი მიმართება		ირიბი მიმართება	
მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ.რ.
1. მ————	გვ————	1. მ————	გვ————
2. გ————	გ————(თ)	2. გ————	გ———(თ)
3. ————	————	3. ჰ,—ს——	ჰ,—ს——(თ)

დ. მელიქიშვილი

პირის ნიშნები		I		II	
		მხოლობითი	მრავლობითი	მხოლობითი	მრავლობითი
სუბიექტი	1	ვ-	-თ	მ-,	გვ-
	2	Ø-, ხ-	-თ	გ-	-თ
	3	-ს, -ა, -ო	-ენ, -ან, -ნენ, -ნ, -ეს	Ø-, ჰ-, ს-	-თ
ობიექტი	1	მ-	გვ-	ვ-	-თ
	2	გ-	-თ	Ø-	-თ
	3	ირიბი ობიექტი Ø-, ჰ-, ს-,	- Ø, -თ	-ს, -ა	-Ø
		პირდაპირი ობიექტი ჰ-, ს-	-Ø		

პირველი ცხრილი ტრადიციულია, შედგენილი პირდაპირი წყობის ზმნათა მიხედვით, მეორე ემყარება ზმნურ ფორმათა ახლებურ კვალიფიკაციას, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც პირდაპირი წყობის, ისე ინვერსიულ ზმნათა ჩვენება, თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები და აგრეთვე ზეპირი მეტყველების რეალური ვითარება.

დ. მელიქიშვილის ცხრილის I ჯგუფში წარმოდგენილია არაინვერსიული ზმნების პირის ნიშნები, II-ში კი – ინვერსიული ზმნებისა.

7.2.3. პირის ნიშანთა მართლწერა

1) თუ ზმნა იწყება **ვ** თანხმოვნით, S_1 პირის ნიშნის **ვ**-ს დართვის შედეგად ორი **ვ** მოიყრის თავს: ვ-ვარჯიშობ, ვ-ვარდები, ვ-ვარცხნი (მე)... მაგრამ, როგორც გამონაკლისი, სწორი ფორმებია: მო-ვედი, მო-ვალ.

2) თუ ზმნა იწყება **უ** ან **ო** ხმოვნით, პირის ნიშანი **ვ** აუცილებლად უნდა გამოითქვას და დაიწეროს: **ვ**უთხარი, გა-**ვ**უგზავნე, **ვ**ოცნებობ, **ვ**ომობ (მე)...

3) ერთპირიან ზმნაში შეცდომაა ორი პირის ნიშნის გამოყენება. მართებულია: ჩანს, დუმს, ქუხს, ქრის, შედგა (ის)... შეცდომაა: ს-ჩანს, ს-დუმს, ჰ-ქუხს, ჰ-ქრის, შე-ს-დგა (ის)...

ამ წესის თანახმად, გრამატიკულად სწორია სტილიზაციის მიზნით გამოყენებული ადგა (ის) ზმნის არქაული ფორმა **აღდგა**, მაგალითად, გამოთქმაში „ქრისტე აღდგა!“ თუმცა მის პარალელურად ენაში დღეს მყარადაა დამკვიდრებული ქრისტიანული სააღდგომო მილოცვის ფორმულა „ქრისტე აღ**სდგა**! – ჭეშმარიტად!“

რამდენადაც **აღსდგა** ზმნური ფორმა შეიცავს ადგასთან შედარებით განსხვავებულ სემანტიკურ ნიუანსს და, შესაბამისად, აქ **-ს** პრეფიქსი საგანგებო ფუნქციური დატვირთვის მქონეა (შდრ. ბავშვი ადგა), ამდენად, ფორმულა „ქრისტე აღსდგა!“ უნდა ჩაითვალოს მართებულად (შ. აფრიდონიძე, რ. საღინაძე, ნ. ხახიაშვილი...).

4) **მ** თანხმოვნით დაწყებულ ზმნებში O_1 პირის **მ** ნიშნის დართვის შემდეგ ორი **მ** უნდა იყოს: მ-მალავს, მ-მართავს, მ-მატებს...

5) **გ** თანხმოვნით დაწყებულ ზმნებში O_2 პირის **გ** პრეფიქსის დართვის შედეგად ორი **გ** იყრის თავს: გ-გონია, გ-გზავნის, გ-გავს...

6) თუ ზმნა იწყება **გვ** თანხმოვნებით, **გვ**- პირის ნიშნის დართვის შემდეგ ორი **გვ** იქნება: მო-გვ-გვარა, და-გვ-გვიანებია...

7) როცა ზმნაში O_2 პირის მრავლობითობაა აღნიშნული, მაშინ მასთან შეწყობილი S_3 პირის ნიშანი **ს** იკარგება: გწერ-**ს ის** შენ მას, მაგრამ: გ-წერ-**თ** ის **თქვენ** მას.

8) ორპირიან გარდამავალ ზმნებში მესამე პირდაპირ ობიექტურ პირს ნიშანი არ უნდა. მართებულია: გადაწყვიტა, დატოვა, გათელა... კლავს, ჭამს, ყიდის... შეცდომაა: გადასწყვიტა, დასტოვა, გასთელა... სჭამს, ჰკლავს, ჰყიდის...

9) სალიტერატურო ენის ნორმებით (როგორც გამონაკლისი) მხოლოდ რამდენიმე ზმნასთანაა დასაშვებად ჩათვლილი პრეფიქსის ხმარება. ასეთი ზმნებია: გასწევს – გასწია, გამოსცემს – გამოსცა, დასცემს – დასცა, ასწევს – ასწია, დასძენს – დასძინა, გასტანს – გასტანა, გასცემს – გასცა.

10) როდესაც ზმნის ფორმაში III ირიბობიექტურ პირთან ერთად წარმოდგენილია I სუბიექტური პირი (და ორივე მათგანი შესაბამისი ნიშნებითაა გაფორმებული), სალიტერატურო ენის ნორმების თანახმად, თანაბარუფლებიან პარალელურ ფორმებადაა მიჩნეული მი-ვს-წერ / მი-ვ-წერ, ვჰ-კითხავ / ვ-კითხავ, შე-ვჰ-გებებივარ / შე-ვ-გებებივარ, შე-ვს-ჩივლებ / შე-ვ-ჩივლებ და მისთ. თანამედროვე ქართულის ვითარებიდან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ ზემოაღნიშნულ პარალელურ ფორმათაგან, ერთადერთ სწორ ფორმად უნდა დარჩეს ოდენ ვ-პრეფიქსიანი (ვკითხე) ტიპის წარმოება (ა. არაბული, ლ. ბასილაია, ლ. ციხელაშვილი...).

შენიშვნა: ზმნის ერთ ფორმაში ორი პრეფიქსის ერთდროულად გამოყენების ტრადიცია (გრამატიკულად მართე-

ბული წესისა) მომდინარეობს ძველი ქართულიდან. საშუალო საუკუნეების წერილობითს ძეგლებში პარალელურად თავი იჩინა საანალიზო წარმოების გამარტივებული (ერთაფიქსიანი) ფორმების გამოყენების შემთხვევებმაც; მათმა რიცხვმა თანდათან ისე იმატა, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ი. ჭავჭავაძის თაოსნობით სამწერლობო ქართულში უპირატესობა მიენიჭა ერთპრეფიქსიან (მივწერ ტიპის) წარმოებას (ი. იმნაიშვილი). დღესდღეობით რთული „ვჰკითხე" ტიპის ფორმები აღარ გამოიყენება.

7.2.4. სუბიექტური და ობიექტური წყობა

ზმნის ფორმა შეიძლება შეიცვალოს სუბიექტური ან ობიექტური პირების მიხედვით. მაგალითად: 1) **ვ**-ხატავ მე მას, ხატავ **შენ** მას, ხატავ-**ს ის** მას... 2) **მ**-თხოვს ის **მე** მას, **გ**-თხოვს ის **შენ** მას, **ს**-თხოვს ის **მას** მას. პირველ შემთხვევაში წყობა სუბიექტურია, მეორეში – ობიექტური.

ერთპირიან ზმნაში მხოლოდ სუბიექტური წყობაა: ვიზრდები, იზრდები, იზრდება, ვიზრდებით, იზრდებით, იზრდებიან (6 ფორმა). ორ- და სამპირიან ზმნებში ორივე წყობაა: **ვ**-ხატავ მე მას, ხატავ შენ მას, ხატავ-ს ის მას... **მ**-ხატავს ის მე, გ-ხატავს ის შენ, ხატავს ის მას... შესაბამისად, მიიღება უღლების ნაირგვარი ფორმები თვით ერთი მწკრივის ფარგლებში (ორივე რიცხვში); კერძოდ: ორპირიანი და სამპირიანი ზმნები 18-18 ფორმას უჩვენებენ.

მართალია, რელატიური აგებულების ზმნათა უმრავლესობას ორივე წყობა აქვს, მაგრამ არის რამდენიმე ზმნა, რომლებსაც ეწარმოება ან მხოლოდ სუბიექტური, ან მხოლოდ ობიექტური წყობა. მაგალითად, მხოლოდ სუბიექტური წყობისაა: ვიცი, იცი, იცის (არაა: მიცის, გიცის); მხოლოდ ობიექტური წყობისაა: მძინავს, გძინავს, სძინავს (არაა: ვძინავარ). აქ სუბიექტად მუდამ მესამე პირია (ა. შანიძე).

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ზმნა ამჟამად ერთპირიანია, პირის ნიშანი კი მასში ორია წარმოდგენილი: **მ**-ძინავ-**ს**, **გ**-ღვიძავ-**ს**. ეს იმით აიხსნება, რომ ერთი

პირი (ამ შემთხვევაში სუბიექტური: ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე) დროთა განმავლობაში დაიკარგა და ორპირიანი ფორმა ერთპირიანად იქცა, ნიშნები კი უცვლელად დარჩა. ისტორიულად იქნებოდა: **გძინავს** ის შენ (ძილი გძინავს შენ). ამ ტიპის ზმნებში, არნ. ჩიქობავას სიტყვებით რომ ვთქვათ, თანაფარდობა დარღვეულია ზმნის აგებულებასა და წინადადების შინაარსს შორის – წინადადებაში სათანადო სახელი დაგვეკარგა; ზმნაში ამ სიტყვის წარმომადგენელი კიდევ ზის, ზმნის ფორმა ჩამორჩა წინადადების შინაარსს.

საზოგადოდ, ასეთ შემთხვევაში, ა. შანიძის აზრით, ზმნის პირიანობის საკვალიფიკაციოდ ამოსავალი უნდა იყოს გრამატიკული შინაარსი, ფუნქცია და არა ფორმა. რადგან, ჩვეულებრივ, ფორმა ფუნქციისათვის არის შექმნილი და არა ფუნქცია ფორმისათვის, ცხადია, გადამწყვეტია ფუნქცია. ამიტომ **გახლავს, სძინავს** და მისთანათა გრამატიკული კვალიფიკაცია ახალი შინაარსის მიხედვით უნდა მოხდეს. **გახლავს** შინაარსით ერთპირიანიცაა და ორპირიანიც; ერთპირიანი ეტოლება **არის** ზმნას, შეეწყობა ერთი პირის ნაცვალსახელი **ის**, რომლის ნიშანია სუფიქსი **-ს**. O_2 პირის გ- პრეფიქსი უფუნქციოა, რადგან ზმნა მეორე პირის შინაარსისგან დაცლილია.

7.3. ზმნის გარდამავლობა

ქართულში პირის კატეგორიას უკავშირდება გარდამავლობის საკითხი. ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალი და გარდაუვალი.

გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ა ზმნა, რომელსაც შეეწყობა პირდაპირობიექტური პირი, ხოლო, სადაც ასეთი პირი არ არის, ის ზმნა გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ა (ა. შანიძე).

ყველა ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია: დგას (ის), იზრდება (ის), თბება (ის), იმალება (ის), შენდება (ის)...

ორპირიანი ზმნა გარდამავალია ან გარდაუვალი. კერძოდ: თუ ზმნაში სუბიექტი და პირდაპირი ობიექტია, მაშინ

იგი გარდამავალია: ხატავს (ის მას), ადნობს (ის მას), კერავს (ის მას), დაწერა (მან ის)... მაგრამ, როცა ზმნის ერთ ფორმაში წარმოდგენილია სუბიექტი და ირიბი ობიექტი, მაშინ ის გარდაუვალია: ეფინება (ის მას), ეფერება (ის მას)...

სამპირიანი ზმნა გარდამავალია: სთხოვა (მან მას ის), აუშენა (მან მას ის), უხატავს (ის მას მას)...

თანამედროვე ქართულში გამონაკლისის სახით არსებობს სამპირიანი გარდაუვალი ზმნებიც: ეკითხება, ესესხება, უყვება, ჰპირდება (ის მას მას)...

გარდამავალი ზმნის სუბიექტური პირი ბრუნვაცვალებადია (იგი შეიძლება იყოს სამ ბრუნვაში: სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში), გარდაუვალი ზმნისა კი – ბრუნვაუცვლელი (ყოველთვის სახელობითშია): ათბობს **ის** მას, გაათბო **მან** ის, გაუთბია **მას** ის; შდრ. იზრდება **ის**, გაიზარდა **ის**, გაზრდილა **ის**.

პირდაპირობიექტური პირი ბრუნვაცვალებადია. მისი ბრუნვებია სახელობითი და მიცემითი: აშენებს ის **მას**, ააშენა მან **ის**, აუშენებია მას **ის**...

ირიბობიექტური პირი ბრუნვაუცვლელია, ყოველთვის მიცემითის ფორმით არის წარმოდგენილი: ესალმება ის **მას**, მიესალმა ის **მას**, მისალმებია ის **მას**.

გარდამავლობა არ გამოიხატება მორფოლოგიური ფორმანტებით; მისი გარკვევა შეიძლება მხოლოდ სხვა სახელებთან ზმნის შეხამებით. ამდენად, იგი მიჩნეულია არა მორფოლოგიურ, არამედ სემანტიკურ-სინტაქსურ კატეგორიად. ა. შანიძე გარდამავლობას საერთოდ არ ასახელებს ზმნის კატეგორიებში, მას განიხილავს სინტაქსურ მოვლენად; აკ. დავითიანის აზრით, მართალია, გარდამავლობას არ მოეპოვება მორფოლოგიური აფიქსი, მაგრამ აქვს საპირისპირო ცალები (გარდამავალი და გარდაუვალი), ამდენად, გარდამავლობა ზმნის დამოუკიდებელი გრამატიკული კატეგორიაა ისევე, როგორც გვარი.

გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები ერთმანეთისაგან პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის ქონა-არქონით გან-

სხვავდება. ვარაუდობენ, რომ გარდამავლობას, რომელიც გვარის კატეგორიაზე უფრო ადრინდელი ჩანს, თავდაპირველად უნდა ჰქონოდა მორფოლოგიური ნიშანი **ა-** პრეფიქსის სახით (ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, მ. სუხიშვილი...).

არსებობს გარდამავლობის გამოსაცნობი რამდენიმე პრაქტიკული ხერხი: 1) შეეწყობა პირდაპირი ობიექტი, 2) სუბიექტი ბრუნვაცვალებადია, 3) წყვეტილში სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია, 4) III სერიაში ზმნა ინვერსიულია, სუბიექტი მიცემით ბრუნვაში დგას.

ეს კრიტერიუმები უმრავლეს შემთხვევაში მარჯვე საშუალებაა, მაგრამ ზოგჯერ თავს იჩენს გამონაკლისები.

ქართულ ლინგვისტიკაში სადავო პრობლემად იქცა ზოგიერთი ზმნის გარდამავლობის საკითხი. იგულისხმება:

1) ე.წ. **იტირა მან** ტიპის ზმნები, რომელთაც შეეწყობა ბრუნვაცვალებადი სუბიექტი, მაგრამ არ გააჩნია პირდაპირი ობიექტი;

2) **უხელმძღვანელა მან მას** და მსგავსი ზმნები, რომელთაც არ შეეწყობათ პირდაპირი ობიექტი, თუმცა მოეპოვებათ ბრუნვაცვალებადი სუბიექტი და ირიბი ობიექტი, აგრეთვე მორფოლოგიური სტრუქტურაც გარდამავალი ზმნისა აქვთ. ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიკვეთა ორი საპირისპირო მოსაზრება: ერთის მიხედვით, სადავო ფორმები გარდაუვალია, მეორე მათ თვლის დეფექტურად გარდამავალ ზმნებად.

პირველ შემთხვევაში გარდამავლობის ერთადერთ საფუძვლად მიჩნეულია პირდაპირი ობიექტის არსებობა და, სადაც იგი არ არის, ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბუნებრივად გამოირიცხება ზმნის გარდამავლობა; ამ შემთხვევაში სუბიექტის ბრუნვის ცვლა ადასტურებს, რომ ფორმა ისტორიულად არის გარდამავალი და არა მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით (ა. შანიძე). მეორე თვალსაზრისის ავტორთათვის ამოსავალია ისტორიული ვითარება, ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია (ბრუნვაცვალებადი სუბიექტი გაუჩინარებული პირდაპირი ობიექტით). მართალია, დროთა ვითარე-

ბაში დაიკარგა პირდაპირი ობიექტი, მაგრამ დარჩა ბრუნვაცვალებადი სუბიექტი, რომელიც განაპირობებს ასეთ ზმნათა გარდამავლობას (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...).

ძველ ქართულში იყო: იტირა **მან იგი** (ტირილი); იცხოვრა **მან იგი** (ცხოვრება); შეხედნა **მან მას იგინი** (თუალნი)... ამგვარ ზმნებთან შეწყობილი პირდაპირი ობიექტური პირი, მისი დასახელების გარეშეც, ზმნის ფუძის შინაარსითაც იგულისხმებოდა, ამიტომ ენამ ადვილად მოიშორა ეს ზედმეტი „სიტყვა“ და პირდაპირი ობიექტი გაუჩინარდა: იტირა მან იგი (ტირილი) > იტირა მან, იცხოვრა მან, შეხედა მან მას...

რამდენადაც ამ ტიპის ზმნებს აკლია პირდაპირი ობიექტი, ამიტომ მართებულად მიაჩნიათ, მათთვის იქნეს შემოღებული ტერმინი „დეფექტურად გარდამავალი ზმნები“ ან „ფსევდოგარდამავალი ზმნები“. არნ. ჩიქობავა მათ უგვარო სტატიკურ ზმნებს უწოდებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარდამავლობასთან დაკავშირებით არსებობს სხვა ახალი მოსაზრებაც: ქართულში ზმნის გარდამავლობის კვალიფიკაციისათვის ამოსავალი უნდა იყოს არა მხოლოდ პირდაპირი ობიექტი, არამედ ირიბიც, რამდენადაც ორივე თანაბარი უფლებებით გამოიხატება ერთი და იმავე მარკერებით და სუბიექტის მოქმედება ორივეზეა გარდამავალი, ორივესკენ არის მიმართული. ტერმინი „გარდამავალი“ შეიძლება გამოიყენებოდეს პირობითად, რადგან იგი სემანტიკური თვალსაზრისით აფასებს გარდამავლობის კატეგორიას და არა მორფოსინტაქსურით (დ. მელიქიშვილი). ამ შეხედულების მიხედვით, ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია (რადგან სუბიექტის მოქმედება არ არის მიმართული სხვა პირისაკენ), ორპირიანი – გარდამავალი, სამპირიანიც – გარდამავალი. შემოტანილია ახალი ტერმინები: „პირდაპირგარდამავალი“ (როცა ორპირიანი ზმნა შეიცავს სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს), „ირიბგარდამავალი“ (როცა ორპირიანი ზმნა სუბიექტთან ერთად შეიწყობს მხოლოდ ირიბ ობიექტს) და „პირდაპირ- და ირიბგარდამავალი“ (როცა ზმნა სამპირიანია).

გარდამავლობას უკავშირდება **მართლწერის** წესები:

1) გარდაუვალი ზმნის სუბიექტი წყვეტილის მწკრივში სახელობითი ბრუნვის ფორმით უნდა იყოს: კაცი წავიდა, ბავშვი გადახტა, ხალხი ადგა... და არა: კაცმა წავიდა, ბავშვმა გადახტა, ხალხმა ადგა... ასეთ დროს III სუბიექტური პირისა და მრავლობითი რიცხვის ნიშანია **ნენ** და არა **ენ**: წავიდნენ, გათბნენ, დაიმალნენ... და არა: წავიდენ, გათბენ, დაიმალენ...

2) მართებულია: იცხოვრეს, გააკეთეს, გაყიდეს... და არა: იცხოვრენ, გააკეთენ, გაყიდეს (ამგვარი ფორმები მეტწილად დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის...).

7.4. პირის ნიშანთა ინვერსია

ქართული ზმნა მრავალპირიანია. მის ერთ ფორმაში ერთდროულად არის წარმოდგენილი სუბიექტური და ობიექტური პირები, რომლებიც გამოხატულია სათანადო ნიშნებით. მაგალითად: ვ-წერ (**მე** მას) – მ-წერს (ის **მე** მას). პირველ ზმნაში **S**$_1$ აღნიშნულია **ვ-** პრეფიქსით, მეორეში **O**$_1$ პირის ნიშანია **მ-** პრეფიქსი. ორივე შემთხვევაში პირის ნიშნები თავ-თავისი ფუნქციით არის გამოყენებული, მაგრამ ზოგჯერ სუბიექტური პირი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ობიექტური პირის ნიშნით და, პირიქით: ობიექტური პირი გამოიხატოს სუბიექტური პირის ნიშნით, ანუ მოხდეს პირის ნიშანთა ფუნქციის შეცვლა-შებრუნება. გრამატიკაში ამ მოვლენას ინვერსიას უწოდებენ. მაშასადამე, **ინვერსია** არის ზმნის პირის ნიშანთა ფუნქცია-დანიშნულების შეცვლა (ა. შანიძე). მაგალითად: და-**მ**-იწერი-**ა** (მე ის) ფორმაში **მე** I სუბიექტური პირია, მაგრამ ზმნაში გამოხატულია **O**$_1$ პირის **მ-** პრეფიქსით, **ის** – III ობიექტური პირი კი – **S**$_3$ პირის **-ა** სუფიქსით.

ინვერსიის დროს რეალური სუბიექტი (**RS**) აღნიშნულია გრამატიკული ობიექტის (**grO**) ნიშნით და, პირიქით: რეალური ობიექტი (**RO**) – გრამატიკული სუბიექტის (**grS**) ნიშნით.

ინვერსია, ქართული ზმნის მრავალპირიანობიდან გამომდინარე, კანონზომიერი პროცესია. ამ მოვლენასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი შეხედულება. მაგალითად, ა. შანიძის აზრით, ინვერსიის საფუძველია გარდამავლობა და III სერია, ე.ი. ყველა გარდამავალი ზმნა III სერიაში არის ინვერსიული; გარდაუვალი ზმნა არ შეიძლება იყოს ინვერსიული. მეცნიერმა გამონაკლისად ჩათვალა მხოლოდ **აქვს** და **ჰყავს** ზმნათა ზმნისწინიანი ფორმები: **მიაქვს** და **მიჰყავს**, რადგანაც მათთან RS სამივე სერიაში ერთი და იგივეა:

მიაქვს ცხენს ტვირთი	მიჰყავს დედას შვილი
წაიღო ცხენმა ტვირთი	წაიყვანა დედამ შვილი
წაუღია ცხენს ტვირთი	წაუყვანია დედას შვილი

გარდამავალ ზმნათა ინვერსიულობას ყველა მკვლევარი აღიარებს. სადავოდაა ქცეული გარდაუვალ ზმნათა ინვერსიულობა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ერთმანეთს ძირითადად უპირისპირდება ორი თვალსაზრისი:

1) გარდაუვალი ზმნები არ არის ინვერსიული (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე...);

2) ინვერსიულად უნდა ჩაითვალოს ზოგი გარდაუვალი ზმნა (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ბ. ჯორბენაძე, დ. მელიქიშვილი...), მათ შორის: გრძნობა-აღქმის გამომხატველი **მიყვარს** ტიპის ზმნები და ასევე პასიური სუბიექტის მქონე ინვერსიულობისაკენ გადახრილი ზმნები – **ეხატება, ედგომება, ეთამაშება, ეჩვენება...** ტიპისა.

პირველი თვალსაზრისის მომხრენი მიიჩნევენ, რომ გარდაუვალი ზმნა ვერ იქნება ინვერსიული. ამ შემთხვევაში ამოსავალია ზმნის ფორმა და არა სემანტიკა. მაგალითად, **მიყვარს** (ის მე) ფორმაში **ის grS**-ია, რომელიც არის ჩემი სიყვარულის მიზეზი, ანუ ზმნით გამოხატული მოქმედების საფუძველი. შესაბამისად, მიცემითში დასმული სახელი **მე** არის **grO** ირიბი. სუბიექტსა და ობიექტს თავ-თავისი ნიშ-

ნები აქვს: **მ-** – O_1-ისა, **-ს** სუფიქსი – S_3-ისა. ანალოგიურად უნდა განვიხილოთ სხვა ტიპის სადავო ზმნებიც.

მეორე მოსაზრების ავტორთა აზრით, ინვერსიის საფუძველია მიცემითი ბრუნვის სინტაქსური როლის გაძლიერება, ზმნაში **RS**-ის მრავლობითობის აღნიშვნა, რაც შედარებით ახალი პროცესია. გარდაუვალ ზმნათა ინვერსიის ერთერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს პოლიპერსონალური ბუნების გარკვეული ტიპის ზმნებში ლოგიკურად პასიური სუბიექტისა და ლოგიკურად აქტიური ობიექტის არსებობა. როგორც მიუთითებენ, ინვერსიის პროცესი ჩაისახა ცნობიერების სფეროში. მისი გრამატიკული ნიშნით გაფორმება მოხდა მას შემდეგ, რაც სტატიკურ ზმნათა **მიწერია, მიკეთია** ტიპის ფორმებში მიცემითში დასმული სახელი, მფლობელი პირი, გააქტიურდა და თავისი მრავლობითობა აღნიშნა ზმნაში, ლოგიკურად აქტიური გახდა. იგივე მოხდა **„მაჟრჟოლებს"** ტიპის ზმნებში, რომელთაც დაკარგეს მოქმედების გამომწვევი პირი და მოქმედების შემსრულებელი / განმცდელი გაგებულ იქნა სუბიექტად (დ. მელიქიშვილი).

ინვერსია უნდა გავიგოთ, როგორც ისტორიული კატეგორია, რომელიც გულისხმობს მნიშვნელოვან დიაქრონიულ ცვლილებას ზმნის პირიანობასა და მის მორფოლოგიურ გამოხატვას (მარკირებას) შორის.

ინვერსია შეიძლება იყოს სტაბილური და ლაბილური. სტაბილური გულისხმობს გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმებს, აგრეთვე **უყვარს** ტიპის ზმნებს... ხოლო ლაბილურია ინვერსია მაშინ, როცა ერთი და იგივე ზმნა ქმნის პირდაპირ წყობასაც და ინვერსიულსაც. მაგალითად: შვილი **ეთამაშება** დაღლილ დედას (ის მას) – ზმნა არაინვერსიულია; მაგრამ: ნეტავი რა **ეთამაშება** დაღლილ დედას? (მას) – ზმნა ინვერსიულია. ლაბილურობისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ ან რა გვევლინება **grS**-ის ან ირიბი **O**-ის როლში, ანუ **grS** სულიერია თუ უსულო. იმ კონსტრუქციაში, რომელშიც ირიბი **grO** სულიერი საგნის აღმნიშვნელი სახელია, ხოლო **grS** – უსულოსი, გვაქვს ინვერსია – აქტიურ პი-

რად მოიაზრება ირიბი **grO.** მეორე მხრივ, სულიერი საგნის აღმნიშვნელი **S**-ის მქონე ზმნა ვერ იქნება ინვერსიული. მაგალითად, **ეკითხება** ზმნა წინადადებაში – **ლექტორი ეკითხება სტუდენტს** (შდრ. ლექტორები ეკითხებიან სტუდენტს / სტუდენტებს) – არაინვერსიულია, ხოლო წინადადებაში – **ლექცია / ლექციები ეკითხება სტუდენტს** (შდრ. ლექცია/ლექციები ეკითხებათ სტუდენტებს) – ინვერსიულია. პირველ შემთხვევაში სულიერი საგნის აღმნიშვნელი აქტიური **S** ზმნას რიცხვშიც ითანხმებს, მეორეში კი უსულო საგნის აღმნიშვნელ **grS**-ს არ აქვს ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი, პასიურია[1].

ამგვარად, მართებულად უნდა ჩაითვალოს სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზის დასაბუთებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თანამედროვე ქართულში ინვერსია აქტიურად მოქმედი პროცესია. იგი შესამჩნევად იფართოებს მოქმედების არეს და გარდამავალი ინვერსიული ზმნების გვერდით პასიურსუბიექტიან ზმნათა დიდ ჯგუფსაც მოიცავს.

შესაბამისად, ინვერსიულია:

1) გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმები;
2) გრძნობა-აღქმის გამომხატველი ზმნები (**უყვარს** ტიპისა);
3) პასიური სუბიექტის მქონე ინვერსიულობისაკენ გადახრილი ზმნები: ეხატება, ეჩვენება, ედგომება, ეცეკვება, შემოეხარჯა... (მათ ლაბილური, მერყევი ინვერსია ახასიათებთ);
4) აცახცახებს, აჟრჟოლებს, აკანკალებს... ტიპის ზმნები[2].

---

[1] თუმცა ზოგი მკვლევარი **ეკითხება** ტიპის ზმნათა ინვერსიულობას სარწმუნოდ არ მიიჩნევს.

[2] ინვერსიულ ზმნათა და აგრეთვე ქვემოთ განხილული სხვა ზმნური კატეგორიების შესწავლის ისტორიის შესახებ უფრო ვრცლად იხ. წიგნში – ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

აფრიდონიძე შ., ინვერსიის სტილისტური დანიშნულებისათვის: თსუ შრ., №4 (143), 1972.

აფრიდონიძე შ., ერგატიული და ფსევდოერგატიული კონსტრუქციების შემქმნელი გარდაუვალი ზმნების მორფოსინტაქსის საკითხები: არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.

აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.

ბარამიძე ლ., ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები, თბ., 2008.

ბარამიძე ლ., ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის თავისებურებანი ქართულში, თბ., 2013.

ბასილაია ლ., ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების თვითმასწავლებელი, მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 2011.

ბერია თ., სამვალენტიანი ენიანი ვნებითების შესახებ ქართულ ენაში: ქესს, IX, 2005.

ბრაუნი იან, ქართული ზმნის მრავალპირიანობა: რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000.

ბუიძე დ., III პირის პირდაპირი ობიექტის მარკირებისათვის ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები (ქესკს), VI, 1996.

გამყრელიძე თ., ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“: რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000.

გაჩეჩილაძე ო., ქართული ენა, თბ., 1985.

გოგოლაშვილი გ., S_3 პირის ს, ა, ო სუფიქსთა განაწილებისავის ახალ ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, №2, თბ., 1983.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები), თბ., 2010.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

ენუქიძე ლ., ვალენტობის ცნება ენათმეცნიერებაში: ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1987.

ზექალაშვილი რ., ქართული მართლწერის საკითხები, თბ., 2004.

ზექალაშვილი რ., პირის კატეგორიის ფუნქციონირება ქართულში და ექსტრალინგვისტური ფაქტორები: საენათმეცნიერო ძიებანი, XVIII, თბ., 2005.

ზექალაშვილი რ., საკომუნიკაციო მოდელი და ზმნის გრამატიკული კატეგორიები: კრებ. საენათმეცნიერო ძიებანი, XXIII, 2006.

ზექალაშვილი რ., ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), თბ., 2012.

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, (გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), თბ., 2011.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

თოფურია ვ., ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები: ქელს, №3, 1967.

თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ., ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968; 1998.

თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965; 1988.

იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., ზმნა ძველ ქართულში, ნაწ. I, ნაწ. II, მაინის ფრანკფურტი, 1996.

იმნაიშვილი ი., ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბ., 1971.

იმნაიშვილი ი., ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები, X: ვჰკითხე თუ ვკითხე... თსუ, ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 25, 1984.

იმნაიშვილი ვ., სამპირიანი გარდაუვალი ზმნები: ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბ., 2007.

კეკელია შ., დავითიანი აკ., ქართული ენა, თბ., 1973.

კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

კიზირია ა., ქართული ენა (პრაქტიკუმი), თბ., 1974.

კიკნაძე ლ., ზმნის ოთხპირიანობისათვის ქართულში: „კომუნისტური აღზრდისათის", 1937, №8-9.

ლოლაძე ნ., გრძნობა-აღქმის ზმნები ქართულში: იკე, XXXV, თბ., 2005.

მაჭავარიანი გ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002.

მაჭავარიანი გ., ნებიერიძე გ., მორფოლოგია: ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

მახარობლიძე თ., პირიანობა და ვალენტობა: საენათმეცნიერო ძიებანი, XVIII (18), 2005.

მელიქიშვილი დ., „მიჭირს" ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი: ქელს, 4, 1978.

მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.

მელიქიშვილი დ., ფილოლოგიური ძიებანი (სტატიების კრებული), თბ., 2009.

ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.

ნიკოლაიშვილი ელ., S_3 პირის **ეს** სუფიქსის **ნ(ენ)**-ით შეცვლის ისტორიისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1978.

ონიანი ალ., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

როგავა გ., ზმნის პოლიპერსონალიზმის ისტორიისათვის: იკე, XIII, 1962.

როგავა გ., მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის **ან** სუფიქსისათვის ქართულში: იკე, XVI, თბ., 1968.

სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

საღინაძე რ., ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები, ქუთაისი, 1995.

საღინაძე რ., ძველი ქართული ენა, თბ., 2008.

საღინაძე რ., „ქრისტე აღსდგა – ჭეშმარიტად“: გაზ. „ქართული“, ქუთაისი, 2001 (იხ. წიგნში სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები, თბ., 2013).

სუხიშვილი მ., გარდამავალი ზმნები ქართულში, თბ., 1986.

სუხიშვილი მ., სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში: იკე, XXV, თბ., 1986.

სუხიშვილი მ., აქვს, ჰყავს ზმნათა პრევერბიანი ფორმების გრამატიკული კვალიფიკაცია ახალ ქართულში: ქესს, XII, 2013.

უთურგაიძე თ., გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

ფეიქრიშვილი ჟ., სუბიექტური პირისა და რიცხვის გამოხატვა თანამედროვე ქართულში: ქუთ. პედინსტ. 41-ე სამეცნ. სესია, 1979 (სესიის მუშაობის გეგმა): იხ. ენათმეცნიერული ძიებანი, თბ., 2009.

ფეიქრიშვილი ჟ., ობიექტური პირისა და რიცხვის გამოხატვა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქუთ. პედინსტ. 42-ე სამეცნ. სესია, 1980 (მუშაობის გეგმა): იხ. ენათმეცნიერული ძიებანი, თბ., 2009.

ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.

ფოგტი ჰ., ზმნურ ფორმათა კლასიფიკაცია ქართულში: თსუ, კრებ. „გიორგი ახვლედიანს“, თბ., 1969.

ფოცხიშვილი ალ., ქართული ენა, თბ., 2000.

ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ღვინაძე თ., ნენ დაბოლოების გამო პრეფიქსიანი ენებითების ზოგ ფორმაში: იკე, XXXVI, თბ., 2008.

შალამბერიძე გ., ქართული მართლწერა, თბ., 1961.

შანიძე ა., სუბიექტური პრეფიქსი II პირისა და ობიექტური პრეფიქსი III პირისა ქართულ ზმნებში: თხზ. ტ. II, 1981.

შანიძე ა., გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრ., 7, თბ., 1961.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
შანიძე ა., სალიტერატურო ქართულის საჭირბოროტო საკითხები, თბ., 1979.
ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1948.
ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; 2008 (II გამოც.).
ჩიქობავა არნ., მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იკე, ტ. VI, 1954.
ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.
ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950; ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.
ციხელაშვილი ლ., მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მორფემის გენეზისისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, XIX, 2005.
ციხელაშვილი ლ., კვლავ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების ერთი საკითხის შესახებ: მივსწერ თუ მივწერ: ქსკს, XIV, 2014.
ხახიაშვილი ნ., ქრისტე აღდგა თუ ქრისტე აღსდგა: ქსკს, XIV, 2014.
ჯორბენაძე ბ., ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.
ჯორბენაძე ბ., ინვერსიულ ზმნათა ჩამოყალიბების პრინციპები ქართულში: იკე-ს წელიწდეული, VIII, 1981.
ჯორბენაძე ბ., ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.
ჯორბენაძე ბ., ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.
ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.
ჯორბენაძე ბ., ზმნის მორფონოლოგიის ძირითადი პრობლემები ქართულში: იკე, 38-ე, 2010.
Джорбенадзе Б., Грузинский глагол, Тб., 1986.
Дондуа К., Категория инклузива-эксклюзива в сванском и его следы в древнегрузинском: იხ. რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1967.
Марр Н. Я., Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, СПб., 1908.
Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

7.5. დრო

7.5.1. დროის სახეები

დრო არის ქართული ზმნის ძირითადი კატეგორია, რომელიც აღნიშნავს მოქმედებისა და უბნობის მომენტების შეფარდებას. იგი რეალური დროის სპეციფიკური ასახვაა. დრო სამი სახისაა: ახლანდელი, წარსული და მომავალი. ეს ტერმინები დაამკვიდრა ა. შანიძემ მანამდე არსებული „აწმყო“, „ნამყო“, „მყოფადის“ ნაცვლად (ისინი მომდინარეობენ ანტონ პირველის გრამატიკიდან).

ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ა დრო, როცა მოქმედება ხდება უბნობის მომენტში: ვხატავ, ვთბები; აშენებ, უგზავნი; წერს, კერავს...

წ ა რ ს უ ლ ი ა დრო, როცა მოქმედების მომენტი უსწრებს უბნობის მომენტს: ვამზადებდი, აშენებდი; დავხატე, გათბი; დაწერა, შეკერა, გაუგზავნია...

მ ო მ ა ვ ა ლ ი დრო გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოხდება უბნობის შემდეგ: დავხატავ, გავთბები; ააშენებ, გაუგზავნი; დაწერს, შეკერავს...

ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, ქართულში დრო მხოლოდ სამია, ევროპულ ენებში კი დასახელებულია სამზე მეტი დრო. ამისი საფუძველი ისაა, რომ ამ ენებში მოიპოვება რამდენიმე ფორმა, რომლებიც გამოხატავენ წარსულს ან მომავალს. ვწერე, ვწერდი, მიწერია – სამივე წარსულია ზოგადი დროული თვალსაზრისით, თუმცა განსხვავდებიან ფორმითაც და შინაარსითაც; სწორედ ამ მიზეზით მათ განიხილავენ დროის ცალკეულ სახეებად. ანალოგიური ვითარებაა ფორმობრივ-სემანტიკურად ქართულშიც. ამიტომ იყო, რომ სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებდნენ სამზე მეტი დროის არსებობაზეც. მაგალითად: ს. ხუნდაძე ასახელებდა 11 დროს, ნ. მარი – 8-ს, არნ. ჩიქობავა – 6-ს. მაგრამ, ზოგადი შინაარსიდან გამომდინარე, მათი დიფერენცირება არ ხდება და მხოლოდ დროის სამი ძირითადი სახე გამოიყოფა.

7.5.2. დროის ფორმათა სემანტიკური თავისებურებანი

ქართული ზმნა, საზოგადოდ, რომელიმე ერთი კონკრეტული დროის გამომხატველია, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ზმნას გამოეცალოს კონკრეტულობის გაგება. ასეთია მუდმივი, საუკუნოვანი მოვლენების გამომხატველი და აგრეთვე ისეთი ზმნები, რომელთა მიერ აღნიშნული მოქმედება, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია საგნისათვის. მაგალითად: დედამიწა მზის გარშემო **ტრიალებს;** მზე **ანათებს;** თევზი **ცურავს**... თამარი ისტორიას **ასწავლის;** კოტე კარგად **ნადირობს**... ამგვარი შინაარსის ზმნებს უ დ რ ო ო (დროის არმქონე) ფორმებს უწოდებენ, ე.ი. ზოგჯერ ახლანდელი დროის ფორმა ზ ე დ რ ო უ ლ ო ბ ა ს გამოხატავს.

შეიძლება ერთი და იგივე ზმნა უდროოც იყოს და კონკრეტული დროის გაგების მქონეც: ბავშვი ზის და **ჭამს** (ახლანდელი დროა) – შდრ. ბავშვი საერთოდ კარგად **ჭამს** (უდროო); ჩიტი დაჭრილია, ვეღარ **დაფრინავს** (ახლ. დრო) – შდრ. ჩიტი **დაფრინავს** სივრცეში (უდროო).

ესა თუ ის ზმნის ფორმა, ჩვეულებრივ, გამოყენებულია თავისი პირდაპირი მნიშვნელობით. მაგალითად, ხატავს – ახლანდელია, დახატა – წარსული, დახატავს – მომავალი; მაგრამ ზოგჯერ შეიძლება მას გამოეცალოს ამა თუ იმ ფიზიკური დროის შინაარსი და კონტექსტის მიხედვით არაპირდაპირი მნიშვნელობაც შეიძინოს. ასეთი პოლისემიური ზმნებია: ჭამს, ასწავლის, ათამაშებს, არჩენს და მისთ.: „არ მცალია, ბავშვს **ვასწავლი**“ (ახლ. დრ.), შდრ. „მომიყვანე ბავშვი და **ვასწავლი**“ (მომ. დრ.)... ესაა ახლანდელი დროის არაპირდაპირი მნიშვნელობა.

დროის სემანტიკა შეიძლება გადმოიცეს ცალკე სიტყვებითაც (გუშინ, დღეს, ხვალ, მაშინ...), მაგრამ ეს არ არის მორფოლოგიური დრო, რომელიც ზმნამ სათანადო აფიქსით უნდა გამოხატოს.

რამდენადაც ქართულში დროს არ გააჩნია სპეციალური

მორფოლოგიური ნიშანი, ამდენად იგი ითვლება მხოლოდ სემანტიკურ კატეგორიად (არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე...). დრო ზმნის კატეგორიად მიიჩნევა იმის გათვალისწინებით, რომ მოეპოვება საპირისპირო – ოპოზიციური ცალები: ახლანდელი, წარსული, მომავალი. გ. გოგოლაშვილის აზრით, „დროის კატეგორია ასახავს ზმნური ფორმით გადმოცემული მოქმედების დროულ ლოკალიზაციას. სხვაგვარად: დრო არის ზმნური ფორმის სემანტიკური უნარი, ენობრივად ასახოს დროული დიფერენცირება". მიუთითებენ, რომ დროის კატეგორია ზმნას იმთავითვე არ მოეპოვებოდა; უღელილების სისტემაში მის ჩამოყალიბებას ასპექტი უსწრებდა.

7.6. კილო

7.6.1. კილოს რაობა. მისი სახეები

კილო არის ზმნის კატეგორია, რომელიც მიუთითებს, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ზმნით გამოხატული მოქმედება სინამდვილის თვალსაზრისით: უეჭველ ფაქტად, სასურველ-შესაძლებლად თუ აუცილებელ შესასრულებლად.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დროის სამწევრა სისტემა გვიან ჩამოყალიბდა ასპექტური – განგრძობითი (დიურატიული) და წყვეტილი (მომენტობრივი) – დაპირისპირებიდან (არნ. ჩიქობავა). დიურატივის დაშლის შედეგად ახლანდელი და მომავალი დროის გაგება ჩნდება, ხოლო „მომავალი დროის გაგებას თან მოჰყვა შესაძლებლის, სათუო, სასურველობის შინაარსის, ანუ კილოს გაგებაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კილოს გაგება ჩაისახა მომავალი დროის ნიაღში მის გაჩენასთან ერთად" (დ. მელიქიშვილი).

კილო, ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, არის სამი სახის: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი; ზოგჯერ გამოყოფენ პირობით-შედეგობით და ნატვრით კილოსაც.

თ ხ რ ო ბ ი თ ი კილო აღნიშნავს ნამდვილ ფაქტად მიჩნეულ მოქმედებას, რომელიც ხდება ახლა, მოხდება მომავალში ან მოხდა წარსულში.

თხრობითი კილო მდიდარია ფორმებით. მას სამივე დრო აქვს. შესაბამისად, მისი კითხვებია: რას შვრება? რას იზამს? რა ქნა? მაგალითად:

სტუდენტი წერს დავალებას (ახლ. დრო)
სტუდენტი დაწერს დავალებას (მომავ. დრო)
სტუდენტმა დაწერა დავალება (წარს. დრო)
მთვარე ეფარება ღრუბელს (ახლ. დრო)
მთვარე მოეფარება ღრუბელს (მომავ. დრო)
მთვარე მოეფარა ღრუბელს (წარს. დრო)

თხრობითი კილო არის ნეიტრალური (ნულოვანი) ფორმა კილოსი და უპირისპირდება არანეიტრალურ კავშირებითს. თხრობითი კილო ფართო სემანტიკური და სინტაქსური შესაძლებლობის მქონეა. იგი იგუებს ნებისმიერი ტიპის კონსტრუქციას.

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი კილო გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც არ არის ფაქტი, მაგრამ შეიძლება ხდებოდეს ახლა, მომხდარიყო წარსულში ან მოხდეს მომავალში. მისი კითხვებია: რას შვრებოდეს? რას იზამდეს? რა ქნას? რა ექნას? მაგალითად:

მზე ანათებდეს დედამიწას	ხე იზრდებოდეს
მზემ გაანათოს დედამიწა	ხე გაიზარდოს
მზეს გაენათებინოს დედამიწა	ხე გაზრდილიყოს

კავშირებითი კილოს ფორმა ხშირად გამოიყენება დამოკიდებულ წინადადებაში. ამ შემთხვევაში მასთან წარმოდგენილია **რომ** და **რათა** კავშირები: „მე ჩონგური მისთვის მინდა, **რომ** სიმართლეს მსახურებდეს“ (აკაკი); „ფიროსმანიც მოვა, **რათა** შენს „სევდიან სამარეს“ ეამბოროს“ (ა. კალანდაძე).

კავშირებითკილოიან მწკრივს შედეგის თვალსაზრისით შეიძლება ჰქონდეს სამივე დრო, მაგრამ იგი ძირითადად მომავალ დროს გამოხატავს. სამაგიეროდ, ძველ ქართულში ე.წ. II კავშირებითის ფუნქცია მეტწილად იყო თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა. კავშირებითი კილოს შინაარსით ეს მწკრივი მხოლოდ ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილში (კომპონენტში) გამოიყენებოდა, რაც ამ ფორმაში კავშირებითი კილოს მეორეულობაზე მიუთითებს (დ. მელიქიშვილი).

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი კილო გამოხატავს მოუბრის სურვილის შესრულებას. იგი ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი.

წ ა რ თ ქ მ ი თ ი ბრძანებითი გულისხმობს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას: დაეხმარე(თ) უფროსს! მოამზადე(თ) სადილი!.. წადი(თ)! მიეცი(თ)! მიუტანე(თ)!

უ კ უ თ ქ მ ი თ ი ბრძანებითი მიუთითებს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება არ უნდა შესრულდეს. მასთან იხმარება **არ** და **ნუ** ნაწილაკები: არ წახვიდე(თ)! ნუ დაწერ(თ)! ნუ იზარმაცებ(თ)! რადგან უკუთქმითი ბრძანებითი გულისხმობს ზმნით გამოხატული მოქმედების აკრძალვას, ამიტომ მას **ა კ რ ძ ა ლ ვ ი თ** ბრძანებითსაც უწოდებენ.

ბრძანება ყოველთვის მიმართულია სუბიექტური პირისადმი და ეს პირი მეტწილად მეორეა (დაიძინე შენ!), იშვიათად ბრძანება შეიძლება ეხებოდეს I პირსაც (მრ. რ.) და III-საც: წავიდეთ! მივესალმოთ!.. წაიღოს! დალიოს!

ბრძანებითობა მეტყველების კატეგორიაა. განარჩევენ ორგვარ ბრძანებითს: 1. ბრძანებითი, რომელიც მეორე პირისკენ არის მიმართული და დიალოგურ მეტყველებას გულისხმობს: გააკეთე! ავაშენოთ! 2. ზოგადი ბრძანებითი, რომელიც ვნებითი გვარის II კავშირებითის მესამე პირის ფორმით არის წარმოდგენილი (გაკეთდეს, აშენდეს...). ასეთ შემთხვევაში „გამაშუალებელი“ მეორე პირი აღარ იგულისხმება და განზოგადებული პირმიუმართავი ბრძანება გამოიხატება (ა. პაპიძე).

ბრძანებითი კილო შინაარსობრივ-ინტონაციურად მრავალგვარია. იგი გამოხატავს საკუთრივ ბრძანებას, თხოვნას, წაქეზებას, დალოცვას, დარიგებას და სხვ. მაგალითად: დაწერე! არ იხმაურო! მიშველეთ! ორი ლარი მაჩუქე! გული გაიმაგრე! მშვიდობით იმგზავრე!

თანამედროვე ქართულში ბრძანებით კილოს საკუთარი მწკრივი არა აქვს, ამიტომ იყენებს კავშირებითი და თხრობითი კილოს ფორმებს, კერძოდ: წართქმითი ბრძანებითი II პირისათვის – წყვეტილს, I და III პირისათვის – II კავშირებითს; **არ** ნაწილაკიანი – II კავშირებითს, **ნუ** ნაწილაკიანი – აწმყოსა და მყოფადს.

წართქმით ბრძანებითს ძველ ქართულში საკუთარი ფორმა ჰქონდა, რითაც იგი მკვეთრად იყო გარჩეული თხრობითი კილოსაგან. გარდა ამისა, წართქმით ბრძანებითს არ მოუდიოდა II სუბიექტური პირის ნიშანი (შესაბამის თხრობითს კი დაერთოდა). მაგალითად:

მოკალ! დაწერე! – ბრძანებითი

შდრ. მოჰკალ (ი), დასწერე – თხრობითი.

ძველ ქართულში თხრობითისა და ბრძანებითის გარჩევის ეს წესი მტკიცედ იყო დაცული, დღეს ასეთი დაპირისპირება აღარ არის. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ ნაშთის სახით შემონახული **ვედ** ძირის ზმნები:

მოდი (შენ)! – წართქმითი ბრძანებითი, უნიშნო

შდრ. მო-ხ-ვედი (შენ) – თხრობითი, ნიშნიანი.

რადგან თანამედროვე ქართულში თხრობითი კილოს ფორმებთან S_2-ის ნიშანი თითქმის აღარ იხმარება, ამიტომ გარეგნულად ერთმანეთს დაემთხვა თხრობითი და ბრძანებითი. მათი გარჩევის ერთადერთი საშუალებაა მიმართება დროში: წარსულის ფორმა თხრობითია, მომავლისა – ბრძანებითი:

გუშინ შენ ლამაზი სურათი დახატე – თხრობითი

შდრ. ახლავე დაჯექი და ლამაზი სურათი დახატე! – ბრძანებითი.

ბრძანებით კილოს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი დრო – მომავალი, რადგან მოქმედება უნდა შესრულდეს მომავალში (დამალე! არ დამალო! ნუ დამალავ!), თუმცა **ნუ** ნაწილაკიან უკუთქმითს პარალელურად შეიძლება ახლანდელი დროც ჰქონდეს (ნუ მალავ!).

პ ი რ ო ბ ი თ ი კილო ზმნით გამოხატულ მოქმედებას წარმოგვიდგენს, როგორც აუცილებელ პირობას მეორე მოქმედების შესასრულებლად. იგი გამოიყენება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

შ ე დ ე გ ო ბ ი თ ი კილოს ფორმა მიუთითებს, რომ მოქმედება მოხდებოდა, თუ სათანადო პირობა იქნებოდა მოცემული:

დედას რომ დაჰგვიანებოდა (1), ბავშვი იტირებდა (2).

პირველ წინადადებაში კილო პირობითია, მეორეში – შედეგობითი.

როგორც წესი, ქვეწყობილი წინადადების მთავარ კომპონენტში შედეგია გამოხატული, დამოკიდებულში – პირობა.

პირობით-შედეგობითი კილო უერთმანეთოდ არ გვხვდება.

ნ ა ტ ვ რ ი თ ი კილო (ოპტატივი) გამოხატავს სასურველ მოქმედებას. ძველი ქართველი გრამატიკოსები მას გამოყოფდნენ კილოს ცალკე ფორმად და უწოდებდნენ „ნატვრითს“, „საწადისს“, „სანეტარძოს“, „თუობითს“. ნატვრითს კილოს საკუთარი ფორმები არ გააჩნია. ნატვრითობა კავშირებითი კილოს ერთ-ერთი მოდალური ნიუანსია. მისი შინაარსის გადმოსაცემად კავშირებითის მწკრივებთან ხშირად იხმარება **ნეტავ, ვინძლო, იქნებ, ეგებ...** ნაწილაკები, ასევე **-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქცია: „ნეტავი ჩიტად მაქცია“, „ვინძლო მტერი არ გაახარო“, „ნეტამც არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა“...

7.6.2. კილოს ფორმათა დამატებითი სემანტიკური ნიუანსები

ქართულში ისტორიულად კილოს ფორმათა გამოყენების სფერო სხვადასხვაგვარი იყო, კერძოდ: თხრობითი კილოს მოხმარების შემთხვევები ახალ ქართულში უფრო გაფართოვდა (იგი ითავსებს მომავალი დროის ფუნქციასაც), სამაგიეროდ, შედარებით შემცირდა კავშირებითი კილოს ფორმები. დღეს მისთვის ძირითადია მხოლოდ სავარაუდო-შესაძლებელი მოქმედების აღნიშვნის ფუნქცია (თუმცა ზოგჯერ I და II ბრძანებითსაც გამოხატავს).

ამგვარად, ქართულში კილო, როგორც ენობრივი ერთეული, მრავალფეროვანია, სემანტიკური ნიუანსებით მდიდარი. შესაბამისად, მას არც ფუნქციები ჰქონია ერთნაირი ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

კილოს სახეთა სემანტიკიდან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ქართულში კილო შეიძლება იყოს რეალური და არარეალური (ირეალური): რ ე ა ლ უ რ ი ა კილო, რომელშიც გამოხატულია მოსაუბრის თვალსაზრისი – ზმნით აღნიშნული მოქმედება გაგებულ იქნეს, როგორც ფაქტი (შესრულებული ან შესასრულებელი), ხოლო, თუ მოსაუბრის თვალსაზრისით ზმნით აღნიშნული მოქმედება გაგებულია საეჭვო, სათუო, შესაძლებელ, სავარაუდო... მოვლენად, მაშინ კილო იქნება ი რ ე ა ლ უ რ ი (ა. პაპიძე). გარდა ამისა, ბ. ჯორბენაძის დაკვირვებით, „მოდალური ელემენტების (მორფემოიდების) შეხამება ამა თუ იმ ნაკვთის ფორმასთან დამატებითი კილოს გამოყოფის საშუალებას იძლევა. მაგალითად, უნდა გავაკეთო – ვალდებულების კილოა“ (ბ. ჯორბენაძე, 1995).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კილოს სემანტიკური ნიუანსები მრავალფეროვნებით ვლინდება მოდალობასთან მიმართებით, რამდენადაც სხვა ზმნურ კატეგორიებთან შედარებით იგი უკეთ ასახავს მოუბარი პირის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. სწორედ ამიტომ

მორფოლოგიურ დონეზე კილო შეიძლება ჩაითვალოს ზოგადად მოდალობის გამომხატველ ერთ-ერთ ძირითად საშუალებად (რ. ზექალაშვილი, 2012).

ტრადიციული შეხედულებისაგან განსხვავებით, მეცნიერთა ნაწილის (არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე, გ. გოგოლაშვილი, ალ. ონიანი...) დაკვირვებით, ქართულში კილო სემანტიკური კატეგორიაა და არა მორფოლოგიური, რადგან მას ზმნაში არ მოეპოვება სათანადო მორფოლოგიური მარკერი; კილოური მნიშვნელობა ცვალებადია ერთი მწკრივის ფარგლებში, ზმნის კილოს დადგენა არ ხერხდება კონტექსტის გარეშე.

7.7. ზმნისწინი

7.7.1. ზმნისწინის რაობა. მისი ფუნქციები

ზმნისწინი ზმნის წინა ნაწილია, რომელიც უსწრებს ყველა მაწარმოებელს. მას უცხოურად პ რ ე ვ ე რ ბ ს უწოდებენ.

ზმნისწინი ყველა ენისათვის ერთნაირად არაა დამახასიათებელი: ზოგს საერთოდ არ მოეპოვება, ზოგში კი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მაგალითად, ზმნისწინის სისტემა კარგად არის ჩამოყალიბებული საერთოქართველურ დონეზე და ფუნქციურადაც მრავალფეროვანია. ასევე დიდია ზმნისწინების ხვედრითი წონა აფხაზურ-ადიღეურში, მაგრამ ძალიან იშვიათია სომხურში. მეორე მხრივ, ზმნისწინი უცხოა დაღესტნურ ენათა უმეტესობისათვის, არაბულისათვის...

ქართულში ზმნისწინის გამოყენების მიხედვით ზმნები სამგვარია:

1) არ დაირთავენ ზმნისწინს: უყვარს, სძულს, ჰყავს, აქვს... გდია, ხატია... სძინავს, ღვიძავს...

2) უზმნისწინოდ არ გვხვდება: მიდის, შევიდა, მიფრინდა...

3) შეუძლიათ ზმნისწინი დაირთონ ან არ დაირთონ: გორავს || მიგორავს, ფრინავს || მიფრინავს, მოფრინავს, ვწერ – დავწერ, აკეთებს – გააკეთებს...

თანამედროვე ქართულში 16 ზმნისწინია: **მი-, მო-, ა-, და-, ჩა-, შე-, გა-, წა-, გადა-, მიმო-, ამო-, გამო-, ჩამო-, შემო-, წამო-, გადმო-.**

შედგენილობის მიხედვით ზმნისწინი ორგვარია: მარტივი და რთული. მარტივია ძირითადად ერთმარცვლიანი ზმნისწინები: **მი-, მო-, ა-, და-, ჩა-, შე-, გა-, წა-, გადა-;** რთულია: **მიმო-, ამო-, გამო-, ჩამო-, შემო-, წამო-, გადმო-.** რთული ზმნისწინი მიიღება მარტივზე **მო-** ზმნისწინის დართვით: **შემო- < შე- + მო-, ამო- < ა- + მო-...**

ძველი და თანამედროვე ქართულის ჩვენებათა გათვალისწინებით, სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია ზმნისწინის რამდენიმე ფუნქცია:

1) აღნიშნავს მოქმედების მიმართულებას – გეზს (ფრინავს – მიფრინავს);

2) გამოხატავს ორიენტაციას (მირბის – მორბის);

3) მოქმედებას წარმოადგენს დასრულებული სახით (ათბობს – გაათბო...);

4) წარმოქმნის ახალი მნიშვნელობის ზმნას (მო-იგო, წა-აგო, და-აგო, ჩა-აგო, ამო-იგო, გადა-აგო...);

5) აწმყოსაგან აწარმოებს მომავალ დროს, ანუ შეუძლია მწკრივთა ფორმების წარმოება: კერავს – შეკერავს, ანათებს – გაანათებს...

6) ცვლის ზმნის პირიანობას (თ. მახარობლიძე). ზოგჯერ გარდაუვალ ზმნას აქცევს გარდამავლად (ცურავს ის – გადაცურავს ის მას, ვიარე მე – გადავიარე მე ის... შემოარღვია მან მას ის – დაარღვია მან ის...)[1].

დღეს ამ ფუნქციათაგან ზმნისწინისათვის ძირითადია სრული ასპექტისა და მომავალი დროის წარმოება (ძველ ქართულში კი იყო მიმართულების ჩვენება და მნიშვნელობის ცვლა); გარდა ამისა, გამოიკვეთა ზმნისწინის სხვა ფუნქცი-

[1] ამ ფუნქციათაგან ზოგი ლექსიკური მნიშვნელობის მცვლელია (ზმნისწინისათვის ესაა პირველადი ფუნქცია), ზოგი კი გრამატიკული ხასიათისაა (მეორეული ფუნქცია).

ური ნიუანსებიც: უნებლიობის, მოქმედების სასრულობის, ინტენსივობის გამოხატვისა და სხვ., ანუ ზმნისწინს მოქმედების შინაარსში შეაქვს სხვადასხვა აზრობრივი ელფერი (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, არ. მარტიროსოვი, გ. წიბახაშვილი, ც. კვანტალიანი, თ. მახარობლიძე, ვ. ბოედერი, ჰ. ჩიმქე...).

ძველ ქართულში ზმნისწინი ფორმობრივად უფრო მრავალფეროვანი იყო. ზოგი მათგანი (**წიაღ-, წიაღმო-, უკუ-, უკმო-**) დღეს საერთოდ აღარ იხმარება, ზოგი კი გამოიყენება გამარტივებული სახით. მაგალითად, ძველი ქართულის ზმნისწინები: **აღ-, გან-, წარ-, გარდა-, შთა-,** ჩვეულებრივ, გვხვდება **ა-, გა-, წა-, გადა-, ჩა-** ფორმით, თუმცა ზოგჯერ, არქაული თუ ამაღლებული სტილის დროს, ძველ ფორმებსაც მიმართავენ: აღდგა, შთააგონა, გარდაქმნა, წარადგინა... მეტიც: ზოგი ზმნა მხოლოდ ძველი ზმნისწინით იხმარება: აღდგენა, აღ-მავლობა, აღ-ჭურვა, გან-მარტება, გან-სჯა, გან-ხილვა, გან-ცხრომა, შთა-ბეჭდილება, წარმო-შობა...

ზმნისწინის ძველი და ახალი ფორმა შეიძლება იშვიათად გამოყენებული იყოს ლექსიკური მნიშვნელობის სადიფერენციაციოდაც. მაგალითად, აღზრდა – აზრდა (სიმაღლეში), განახლება – გაახლება (ტანსაცმლის), აღდგომა – ადგომა (ფეხზე), აღტაცება – ატაცება (ხელში), განცხადება – გაცხადება, შთაგონება – ჩაგონება...

ზმნისწინთა მართლწერა

1) დაუშვებელია ზმნისწინისეული ხმოვნის შეცვლა. სწორი ფორმებია: მოვიდა, მოიტანა, წაიღო, მომცა... და არა: მევიდა, მეიტანა || მაიტანა, წეიღო || წოუღო || წუუღო, მამცა...

2) არ შეიძლება ზმნისწინის შემადგენელი ნაწილების გათიშვა. უნდა იყოს: განახორციელა, გა(ნ)ათავისუფლა, განავითარა, აღვნიშნე, განვაცვიფრე... და არა: გაან-ხორციელა, გაან-თავისუფლა, გაან-ვითარა, გავანცვიფრე, ავღნიშნე...

3) **გან-, აღ-, წარ-** ზმნისწინების ბოლო თანხმოვნები (**ნ, ღ, რ**) არ უნდა იყოს უზმნისწინო ფორმებში. სწორია: ახორციელებს, ავითარებს, ზრდის, ადგენს. შეცდომაა: ანხორციელებს, ანვითარებს, ღზრდის, არდგენს...

4) თუ ზმნა იწყება **ა** ხმოვნით, **ა** ან **ა**-ზე დაბოლოებული ზმნისწინის დართვისას ორი **ა** მოიყრის თავს: ა-აშენა, გა-აგზავნა, და-აწერს...

5) თუ ზმნა იწყება **ი** ხმოვნით, **მი-** ზმნისწინის დართვისას ორი **ი** უნდა: მი-იღო, მი-ითვისა, მი-იმალა...

6) თუ ზმნა იწყება **ე** ხმოვნით, **შე-** ზმნისწინის დართვისას ორი **ე** იქნება: შე-ეპარა, შე-ეჩვია, შე-ეთვისა, შე-ეგუა...

7.7.2. ზოგიერთი ზმნისწინის წარმომავლობა-ფუნქციის თავისებურებანი

საუკუნეთა განმავლობაში ზოგიერთმა ზმნისწინმა მნიშვნელოვანი ფორმობრივ-სემანტიკური ცვლილება განიცადა. მაგალითად:

1) **შე** (შემო) ზმნისწინის ძირითადი ფუნქციაა, გამოხატოს მოქმედების მიმართულება

ა) გარედან შიგნით (შევიდა, შეიყვანა...)

ბ) ქვემოდან ზემოთ (შეჯდა, შეხტა, შედგა...).

გარდა ამისა, ზოგჯერ იგი გულისხმობს ისეთ მოქმედებასაც, რომელიც წარმოდგენილია ნაკლები ხარისხით (ზომით): გაწითლდა – შეწითლდა, გათეთრდა – შეთეთრდა, გათბა – შეთბა (**შე**-ს ამ თავისებურებაზე მითითებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც).

2) **და** ზმნისწინის თავადაპირველ სახედ მიჩნეულია **დაბ**. ეს წარმოშობით იგივეა, რაც სვანური **დაბ** (= ყანა, ნახნავი მიწა) და ქართული **დაბა**. ძველ ქართულში დაბა სოფელს ნიშნავდა, მაგრამ მისი ძირითადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო **მიწა**. ასე რომ, **დავარდა** ზმნის ძველისძველი ფორმა იქნებოდა **დაბვარდა** (= მიწაზე ვარდა) (ა. შანიძე).

და გამოხატავს მოქმედების მიმართულებას ზევიდან ქვევით (დაფრინდა, დაჯდა), ზოგჯერ კი აღნიშნავს მოძრაობას გაურკვეველი (განუსაზღვრელი) მიმართულებით (დარბის, დახტის, დადის). გარდა ამისა, **და** ზმნისწინთან არის დაკავშირებული მოქმედების ინტენსივობის გამოხატვაც, რაც გულისხმობს ისეთ მოქმედებას, რომელიც შესრულებულია ცალ-ცალკე რამდენიმე პირდაპირ ობიექტზე: სარეცხი **და**რეცხა, **და**ააუთოვა (შდრ. კაბა **გა**რეცხა, **გა**ააუთოვა). ა. შანიძემ ასეთი სემანტიკით გამოყენებულ **და** ზმნისწინს უწოდა **ინტენსივობის** ანუ **თითოობის და**.

3) **ჩა** და **ჩამო** ზმნისწინები ერთი ფორმით ორმაგ მიმართულებას უჩვენებენ: **ჩაფრინდა** ნიშნავს მოქმედებას გარედან შიგნით და ზევიდან ქვევით. ეს იმით აიხსნება, რომ **ჩა** ზმნისწინი რთული წარმოშობისაა, მიღებულია **შე** და **და** ზმნისწინების შეერთებით (**შე+და > შდა > შთა > ჩა**)[1]. შესაბამისად, **ჩა-** ზმნისწინში გაერთიანებულია **შე-** და **და-** ზმნისწინების ფუნქციები.

4) **წა-** ზმნისწინის ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო აფხაზური წარმოშობის სიტყვა **წარე** (ნიშნავს „დაბლა“, „ქვეშ“), რომლის მეგრული შესატყვისია **წალე** (არნ. ჩიქობავა).

5) განმეორების თავიდან ასაცილებლად ზმნის ფორმას ზოგჯერ ერთდროულად დაერთვის **მი** და **მო** ზმნისწინები (**მი+მო**). **მიმო** გამოიყენება როგორც რთული ზმნისწინი და აღნიშნავს აქეთა და იქითა მიმართულებას; მიმოიხედა (მიიხედ-მოიხედა), მიმოავლო (მიავლ-მოავლო); მიმოქცევა, მიმოსვლა და ა. შ.

6) დღეს **აღ** ზმნისწინის გამარტივებული სახეა **ა**, რომელიც დასტურდება VII საუკუნის II ნახევრიდან (**აღვიდა > ავიდა**); თავდაპირველი **აღ** ფორმის **ღ** თანხმოვანი, ზოგიერთი გამონაკლისის (აღდგომა, აღსრულება...) გარდა, დაიკარგა.

[1] ფონეტიკური ცვლილება ასე წარიმართა: **შე**-ს დაემატა **და > შე + და > შდა**. შემდგომ საფეხურზე **შ**-ს გავლენით **დ** იქცა ყრუ **თ** ბგერად (**შთ**), ბოლოს **შთ** კომპლექსისაგან წარმოქმნილი აფრიკატი **ჩ** შეუერთდა **ა**-ს და საბოლოოდ მივიღეთ **ჩა**.

აღ ზმნისწინი ფუძეს შეუხორცდა **ვაღიარებ** ზმნაში, თუმცა ისტორიულად და გრამატიკულადაც სწორია **აღვიარებ**. **ვაღიარებ** ფორმა კეთილხმოვანების საფუძველზე პირველმა გამოიყენა და მართებულად მიიჩნია ი. გოგებაშვილმა (ვაღიარებ მე მას, გაღიარებ მე შენ, შდრ. აღვიარებ მე მას, აღგიარებ მე შენ).

ზმნისწინი ფუძის ნაწილადაა ქცეული აგრეთვე სიტყვებში: ავაღორძინებ, ასაღორძინებელი, მაღიარებელი, ვშთანთქავ...

ზმნისწინის შესწავლის ისტორია დაკავშირებულია ანტონ პირველის სახელთან. ზმნისწინის აღსანიშნავად იგი იყენებდა ტერმინს „კერძოკე“, მიუთითებდა ზმნისწინის ფუნქციაზეც. ზმნისწინის შესახებ საინტერესო დაკვირვებანია მოცემული როგორც ძველი გრამატიკოსების, ისე თანამედროვე ქართველ მკვლევართა ნაშრომებში. ქართულ ლინგვისტიკაში საკმაო სისრულითაა შესწავლილი ზმნისწინთა წარმომავლობის საკითხიც. მიაჩნიათ, რომ ზმნისწინი, თანდებულის მსგავსად, მომდინარეობს დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვისაგან – ზმნისართისაგან, მაგრამ დროთა ვითარებაში ამ უკანასკნელმა დაკარგა დამოუკიდებლობა და მიეკედლა ზმნას (ზმნისწინის სახით) ან სახელს (თანდებულის სახით). ზმნისწინი და თანდებული რომ ერთი წარმომავლობისაა, ეს მათი გარეგნული მსგავსებითაც მტკიცდება (**გან**-ახორციელა, შდრ. ამხანაგის**გან**, **გამო**-ვიდა, შდრ. ამხანაგის **გამო**). ზმნისწინი და თანდებული ფუნქციურადაც ერთნაირია: ორივე აღნიშნავს მიმართულებას. სწორედ მიმართულების გამოხატვას თვლიან ზმნისწინის თავდაპირველ ფუნქციად, რომელიც იმ დროიდან მოჰყვება მას, როცა იგი ჯერ კიდევ ზმნისართი იყო (ზ. ჭუმბურიძე). როცა ზმნისწინმა და თანდებულმა დაკარგეს დამოუკიდებლობა და მორფემებად იქცნენ, მხოლოდ მას შემდეგ დაშორდნენ ფუნქციურად ერთმანეთს (ი. ვეშაპიძე). მიუთითებენ იმასაც, რომ, როცა ზმნისწინს მიმართულების აღნიშვნის გარდა სხვა ფუნქციაც დაემატა, მან უკვე გაწყვიტა სახელთან შინაარსობრივი კავშირი და ამიტომ სახელისათვის აუცილებელი გახ-

და თანდებულის დართვა. ძველი ქართულის წერილობითი ძეგლების მონაცემთა გათვალისწინებით ვარაუდობენ, რომ თანდებული ქართულში უფრო გვიან უნდა განვითარებულიყო, ვიდრე ზმნისწინი (პ. ჯაჯანიძე).

ტ მ ე ს ი. ზმნისწინთან დაკავშირებულია ტმესის საკითხი. ტ მ ე ს ი ანუ გ ა ნ კ ვ ე თ ა არის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სიტყვის გაწყვეტა სხვა სიტყვის (ან სიტყვების) შუაში ჩასმით. მაგალითად, გა-ცა-წყრა (გაწყრა), მო-ხოლო-ვინმე-ვიდა (მოვიდა).

ტმესი ახასიათებდა ძველ ქართულს. ტმესის მოვლენაზე პირველად მიუთითა ნ. მარმა, ხოლო მეცნიერულად იგი აღწერა ა. შანიძემ. მან ტმესი მიიჩნია ქართული ენის იმ პერიოდის გადმონაშთად, როდესაც ზმნისწინს ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვის გაგება. ტმესი არის ერთგვარი გარდამავალი საფეხური იმ გზისა, რომელიც ზმნისწინს გაუვლია სრული დამოუკიდებლობიდან სრულ დაქვემდებარებამდე და მორფემად ქცევამდე. ტმესის შემთხვევაში შეიძლებოდა ზმნისწინსა და ზმნას შორის ჩართულიყო ნაწილაკი, ნაცვალსახელი, ზმნიზედა, კავშირი: მო-თუ **ვინმე**-კუდეს, შე-**ხოლო**-ახონ და ა. შ. ტმესის მაგალითები ხშირია „ვეფხისტყაოსანში“, თუმცა XII საუკუნიდან მსგავსი ნიმუშები კლებულობს, XVII-დან კი თითქმის აღარ გვხვდება.

7.8. გეზი და ორიენტაცია

გეზი აღნიშნავს ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართებას სივრცეში მდებარე სხვა პუნქტისაკენ. გეზი ორი სახისაა: მიუმართავი და მიმართული.

მ ი უ მ ა რ თ ა ვ ი ა გეზი, როცა ზმნით გამოხატული მოქმედებით არ ჩანს არავითარი მიმართულება რომელიმე პუნქტისაკენ: ფრინავს, დადის, ბზუის, წერს...

მ ი მ ა რ თ უ ლ ი ა გეზი, როცა ზმნით გამოხატული მოქმედება მიემართება ზევით ან ქვევით, შიგნით ან გარეთ და ა. შ.: ავიდა – ჩავიდა, შევიდა – გავიდა, მოვიდა – წავიდა...

მიმართულ გეზს უკავშირდება ორიენტაცია, რომელიც მიუთითებს, თუ საით მიემართება მოქმედება; ორიენტაცია გვიჩვენებს ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართულებას I პირის პოზიციიდან.

ორიენტაცია ორგვარია: სააქეთო (მაახლოებელი) და საიქეთო || საიქითო (მაშორებელი).

ს ა ა ქ ე თ ო ა ორიენტაცია, როცა მოქმედება მიმართულია იმ ადგილისაკენ, სადაც მოუბარი პირი იმყოფება: მოვიდა, ამოვიდა, მოიტანა, შემოვიდა, წამოიღო...

ს ა ი ქ ე თ ო ა ორიენტაცია, როცა მოქმედება მიემართება იქითკენ, სადაც მოუბარი პირი არ იმყოფება (ე. ი. მოქმედება შორდება მოუბარს): მივიდა, ავიდა, აიტანა, წაიღო...

მაშასადამე, ა. შანიძის აზრით, ორიენტაციის გასარკვევად ერთადერთი საყრდენი (ამოსავალი) არის I პირის პოზიცია. ორიენტაციის მიხედვით ოპოზიცია უმთავრესად დამახასიათებელია მოძრაობის გამომხატველი ზმნებისათვის. მიმართულება შეიძლება იყოს:

1) ზევიდან ქვევით (**დ**ავარდა)
2) ქვევიდან ზევით (ავიდა – **ამ**ოვიდა)
3) შიგნიდან გარეთ (გავიდა – **გამ**ოვიდა)
4) გარედან შიგნით (**შე**ვიდა – **შემ**ოვიდა)
5) დაბრკოლებათა გადალახვით (**გად**ავიდა – **გადმ**ოვიდა).

გეზი და ორიენტაცია ზმნისწინით გამოიხატება. ორიენტაციის მხრივ განსხვავებას ქმნის **მო-** და **მი-** ზმნისწინები: მოდის, მოფრინავს, მოაქვს, მოჰყავს (სააქეთო, მაახლოებელი) – მიდის, მიფრინავს, მიაქვს, მიჰყავს (საიქეთო, მაშორებელი). წყვილის პირველი ცალები სააქეთო ორიენტაციისაა, მეორენი – საიქეთოსი; აქეთა მიმართულება **მო-** ზმნისწინით გადმოიცემა, იქითა მიმართულება კი – **მი-** ზმნისწინით. თუ ზმნა უზმნისწინოდ იხმარება, მას არ შეუძ-

ლია არც გეზისა და არც ორიენტაციის გამოხატვა (წევს, დგას, ზის, უყვარს...).

ამგვარად, ტრადიციული გრამატიკებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ ქართულში ორიენტაცია ორგვარია: სააქეთო (მაახლოებელი) და საიქეთო (მაშორებელი). ორივე გამოხატულია სათანადო მორფოლოგიური მარკერებით – **მო-** და **მი-** ზმნისწინებით; ორიენტაციის გარჩევის ერთადერთი საყრდენია I პირის პოზიცია.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ორიენტაციასთან დაკავშირებით გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებებიც (შ. კეკელია, აკ. დავითიანი, ალ. ფოცხიშვილი...):

1) სააქეთო ორიენტაცია გამოხატავს მოქმედების მიმართულებას არა მხოლოდ I პირისაკენ, არამედ II პირისკენაც, განურჩევლად იმისა, იმყოფება თუ არა იგი I პირის სივრცეში (მაგალითად, მე წიგნები გამოგიგზავნე...). შესაბამისად, საიქეთო ორიენტაციის დროს მოქმედება შეიძლება მიმართული იყოს იქითკენ, სადაც I და II პირები არ იმყოფებიან.

2) ორიენტაციის კატეგორია გულისხმობს არა ორწევრიანი (მაახლოებელი – მაშორებელი), არამედ სამწევრიანი ოპოზიციის არსებობას (ალ. ონიანი):

- სააქეთო (მაახლოებელი): მო-ფრინავს, მო-ცურავს... (მოქმედება მიიმართება მოსაუბრე I და II პირებისაკენ).
- საიქეთო (მაშორებელი): მი-ფრინავს, მი-ცურავს... (მოქმედება მიიმართება I და II პირთაგან).
- ნეიტრალური: ფრინავს, ცურავს... (არ ჩანს, თუ საით მიემართება მოქმედება).

ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი ორიენტაციის ფორმა არ არის არც სააქეთო და არც საიქეთო. იგი ორიენტაციის ოპოზიციის ნულოვანი საფეხურია და თავისი უნიშნობით უპირისპირდება ორიენტაციის მარკირებულ (**მო-** და **მი-** ზმნისწინებით გამოხატულ) წევრებს.

7.9. ასპექტი

7.9.1. ასპექტის სახეები. უასპექტო ზმნები

ასპექტი არის ქართული ზმნის ერთ-ერთი რთული და უძველესი კატეგორია. იგი იცვლებოდა და ყალიბდებოდა საუკუნეების განმავლობაში. თავდაპირველი ასპექტი ქართულში მოქმედების დასრულება-დაუსრულებლობას კი არ აღნიშნავდა, არამედ მიუთითებდა, როგორი იყო მოქმედების პროცესი, მომენტობრივი (წყვეტილი) თუ განგრძობითი. შესაბამისად, განირჩეოდა ასპექტის ორი სახე: მომენტობრივი და განგრძობითი. ორივე შემთხვევაში დროის გაგება არ იგულისხმებოდა. მოგვიანებით, როცა ზმნა უფრო გართულდა კატეგორიებით, ორწევრა დაპირისპირებიდან თანდათან ჩამოყალიბდა დროის სამწევრა სისტემა (არნ. ჩიქობავა, დ. მელიქიშვილი). უძველესმა ასპექტმა მთლიანად დაკარგა მომენტურობა (წყვეტილობა) – განგრძობითობის (დიურატიულობის) გაგება და შეიძინა მოქმედების დასრულება-დაუსრულებლობის გამოხატვის ფუნქცია.

ასპექტი ახასიათებს მრავალ ენას და გადმოიცემა სხვადასხვა საშუალებით.

ასპექტი არის ზმნის ფორმა, რომელიც მოქმედებას წარმოგვიდგენს დასრულებული ან დაუსრულებელი სახით. იგი ორგვარია: სრული და უსრული.

უ ს რ უ ლ ი ასპექტი აღნიშნავს დაუსრულებელ მოქმედებას: ვწერ, აკეთებ, ხატავს, ათბობს, კერავს...

ს რ უ ლ ი ასპექტი ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც დასრულებულია (ან დასრულდება აუცილებლად): დავწერე, გააკეთე, დახატა... გაათბობს, შეკერავს...

ახალ ქართულში სრული ასპექტის გამოსახატავად გამოყენებულია ზმნისწინი. კერძოდ: თუ ზმნას ზმნისწინი დაერთვის, სრული ასპექტისაა (იშვიათი გამონაკლისის გარდა), თუნდაც მოქმედება დაწყებული არ იყოს, მაგრამ, თუკი არ დაერთვის, უსრულია: დავკეცე, მოეფერა, ჩააქრობს, გაა-

წითლებს... – სრულია; ვაგზავნი, ვაშენებ, ათეთრებს, ამზადებდა, ხატავდა... – უსრულია.

ასპექტისა და დროის კატეგორიებს შორის ზოგადად ასეთი მიმართებაა: უსრული ასპექტი შეიძლება იყოს სამივე დროისა: ვწერ ახლა, ვწერ მომავალში, ვწერე წარსულში; სრული ასპექტის ფორმას მხოლოდ ორი დრო აქვს: დავწერე, დავწერ.

მრავალ შემთხვევაში ასპექტიანი ფორმა გამოხატავს გეზსაც და ორიენტაციასაც (ჩავარდა, ჩამოფრინდა), ზოგჯერ შეიძლება მას არ ჰქონდეს გეზი და ორიენტაცია (მოკვდა) ანდა პირიქით: ორიენტაცია არის, ასპექტი – არა (მიფრინავს, მობზუის, შდრ. ფრინავს, ბზუის); ხოლო იმ ზმნებში, რომლებსაც საერთოდ არ დაერთვის ზმნისწინი, არ აღინიშნება არც გეზი, არც ორიენტაცია და არც ასპექტი (უყვარს, სძულს, ჰყავს...). უსრული ასპექტის ფორმა ზოგჯერ უჩვენებს განმეორებულ მოქმედებასაც, რაც ხშირია ანდაზებსა და გამოცანებში: „ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე“.

ასპექტიანი ზმნების გვერდით გამოიყოფა უ ა ს პ ე ქ ტ ო (ასპექტის რომელიმე სახის არმქონე) ზმნები. მათ სამეცნიერო ლიტერატურაში ა ს პ ე ქ ტ ნ ა კ ლ ზმნებსაც უწოდებენ, რამდენადაც ყოველი ზმნური ფორმა ეკუთვნის რომელიმე ასპექტს (ზ. სარჯველაძე)...

უასპექტოა:

1. უზმნისწინო ზმნები:

ა) გარდაუვალ ზმნათა ერთი ჯგუფი, მეტწილად **უყვარს** ტიპისა: სძულს, ჰყავს, არის, აქვს...

ბ) ე.წ. სტატიკური ვნებითები: გდია, ყრია, აფენია, ხატია...

2.ისეთი ზმნები, რომლებსაც ზმნისწინი დაერთვის მხოლოდ მიმართულების აღსანიშნავად: მიდის, მოდის, მიფრინავს, მოფრინავს, დაბზუის...

უასპექტო ზმნა გარდაუვალია, გარდამავალთაგან გამონაკლისია მხოლოდ **იცის (ვიცი, იცი)**. ჩვეულებრივ, უასპექტო ზმნას ზმნისწინი არ დაერთვის, მაგრამ ზოგჯერ ძველი წარმოშობის ზმნისწინიანი ფორმა შეიძლება უასპექტო

იყოს. ფორმათა გასარჩევად გამოიყენება პრაქტიკული წესი: თუ ზმნისწინის დართვას ახლანდელი დროის ფორმა გადაჰყავს მომავალში, მაშინ ზმნა ასპექტიანია (წერს – დაწერს, ხატავს – დახატავს...), თუკი ზმნისწინი დროის გაგებას ვერ შეცვლის – ვერ გადაიყვანს მომავალში, უასპექტოა (ფრინავს – მი-ფრინავს, მო-ფრინავს, და-ფრინავს).

7.9.2. ასპექტის სისტემის შეცვლა

საზოგადოდ, ასპექტი, როგორც უძველესი ზმნური კატეგორია, ისტორიულად განსხვავებული იყო არა მხოლოდ თვისობრიობით (შინაარსით), არამედ წარმოების წესითაც. მაგალითად, ძველ ქართულში ასპექტი უღლების კატეგორია იყო: ასპექტის სახეები განირჩეოდა სერიების მიხედვით: I სერიაში ყველა ზმნა უსრული ასპექტისა იყო (წერს – დაწერს, აშენებს – ააშენებს, ათბობს – გაათბობს), II-ში – სრულისა (წერა – დაწერა, აშენა – ააშენა, ხატა – დახატა). ზმნისწინის დართვა-დაურთველობას ასპექტის სახისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა; ზმნისწინი მნიშვნელობას ვერ ცვლიდა.

ახალ ქართულში ასპექტი წარმოქმნის კატეგორია გახდა – ზმნისწინის დართვით იცვლება ზმნის ფორმაც და სემანტიკაც: ხატავს – დახატავს – დახატა, ათეთრებს – გაათეთრებს – გაათეთრა. ძველი სისტემის ნაშთები დღესაცაა შემორჩენილი. მაგალითად, **თქვა, ნახა, ჰკითხა, უთხრა, ბრძანა**... უზმნისწინოა, მაგრამ სრული ასპექტის გაგება აქვთ, რადგან II სერიის ფორმებია. სამაგიეროდ, **განმარტავს, განიხილავს, აღწერს**... კონტექსტის მიხედვით უსრულიც შეიძლება იყოს და სრულიც, თუმცა ზმნისწინს დაირთავენ.

როგორც აღინიშნა, საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა ასპექტის ფუნქცია და წარმოების წესი. ამ ცვლილებას (რომელმაც ენაში თავი იჩინა IX საუკუნიდან) მორფოლოგი-

ური თვალსაზრისით მოჰყვა მნიშვნელოვანი შედეგები: 1) ასპექტი გახდა წარმოქმნის კატეგორია; 2) პარალელურ ფორმათა განსხვავებული გამოყენებით აწმყოს სამი მწკრივისაგან წარმოიქმნა სამი ახალი მწკრივი: I სერია დაიყო აწმყოსა და მყოფადის წრეებად; 3) თუ ძველად წყვეტილი, ბერძნულის მსგავსად, სრული ასპექტისა იყო, დღეს ის სრულიცაა და უსრულიც; 4) ასპექტის გაგება შეიძინა III სერიის ფორმებმა და სახელზმნებმა.

ასპექტის გამოხატვაში მომხდარი ცვლილებები სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდიზაციისათვის მნიშვნელოვან ენობრივ მოვლენად იქცა. ა. შანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ასპექტის კატეგორიამ აღნიშნა დიდი მოხვეული სალიტერატურო ენის ისტორიაში და ამით გარკვეული მიჯნა დაიდო ძველსა და ახალ ქართულს შორის“.

რამდენადაც ასპექტის კატეგორიამ განიცადა მნიშვნელოვანი ფორმობრივი და ფუნქციური ცვალებადობა, ამიტომ იგი დღეს ვლინდება მრავალფეროვნებით. ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ ზმნისწინს აკისრია რამდენიმე ფუნქცია და ერთბაშად ყველას შესრულება უძნელდება. ამიტომ წინა პლანზე დგას ხან ერთი, ხან მეორე ფუნქცია, დანარჩენი კი იჩრდილება (ზ. ჭუმბურიძე).

ბ. ჯორბენაძის აზრით, ასპექტი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვინემ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაშია წარმოდგენილი. ასპექტი გულისხმობს არა მარტო მოქმედების დასრულება-დაუსრულებლობას, არამედ ერთგზისობა-მრავალგზისობას, წერტილებრივ-განგრძობითობას. ასპექტის სრული სახის დამატებითი სემანტიკური მახასიათებლებია: ოდნაობა (წაიჩურჩულა), უნებლიობა (შემოეჭამა), მოჩვენებითობა (მოიგიჟიანა თავი), ფინალობა (გააკეთა), ზღვრულობა (მოვიდა), არაზღვრულობა (წავიდა), მოქმედების დაწყებითობა – „ინხოატოვი“ (ამღერდა, აბიბინდა).

7.10. გზისობა

გზისობა არის ზმნის კატეგორია, რომელიც მიუთითებს, რამდენგზისაა ჩადენილი მოქმედება: ერთგზის თუ მრავალგზის. გზისობა ორგვარია: ერთგზისი და მრავალგზისი (ამ კატეგორიას ა. შანიძე თავდაპირველად უწოდებდა „ჯერობას“).

ერთგზისი ფორმა აღნიშნავს ერთხელ მომხდარ მოქმედებას (დაჯდა, დახატა), მრავალგზისი კი – რამდენჯერმე განმეორებულ მოქმედებას (დაჯდებოდა, დახატავდა, გაამზადებდა...).

გზისობის კატეგორია შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ წარსულში. ერთგზისობისათვის გამოყენებულია წყვეტილის მწკრივი, მრავალგზისი მოქმედებისათვის – მყოფადის ხოლმეობითი. მაგალითად: ბავშვმა გაახილა თვალები და დედას გაუღიმა; მზე მიესალმა დედამიწას... (ერთგზისია); ბავშვი გაახელდა თვალებს და დედას გაუღიმებდა; მასწავლებელი მიესალმებოდა მოსწავლეებს და გაკვეთილს დაიწყებდა (მრავალგზისია).

მრავალგზისი ფორმა ზოგჯერ ისეთ მოქმედებასაც გადმოსცემს, რომელიც ჩვეულებად არის ქცეული. ამიტომ ასეთ ფორმას ჩვეულებითსაც უწოდებენ.

ძველ ქართულში გზისობა მორფოლოგიური კატეგორია იყო, ახასიათებდა ორგანული წარმოება. მრავალგზისობა გადმოიცემოდა I, II, III ხოლმეობითის მწკრივებით, რომლებსაც ამ ფუნქციის აღსანიშნავად დაერთოდა **ი** სუფიქსი (გადაბრუნდი-ს, დაწერ-ი-ს...). დროთა ვითარებაში სალიტერატურო ენამ და კილოთა უმრავლესობამ დაკარგა ხოლმეობითის მწკრივები (**ი** სუფიქსს ზმნაში სხვა ფუნქცია დაეკისრა), მრავალგზისობის გამოსახატავად გამოყენებულ იქნა მყოფადის ხოლმეობითი, რომელიც მხოლოდ სემანტიკურად გადმოსცემდა განმეორებულ მოქმედებას და მორფოლოგიური ნიშანიც აღარ ჰქონდა (დაჯდებოდა, ადგებოდა, დახატავდა, დაწერდა...).

რადგან მრავალგზისობის შინაარსისათვის არ აღმოჩნდა საკმარისი ოდენ მყოფადის ხოლმეობითის მწკრივი, ენამ ამ მიზნით ფართოდ გამოიყენა აღწერითი წარმოებაც – ნებისმიერ მწკრივზე (მათ შორის მყოფადის ხოლმეობითზე) **ხოლმე** ნაწილაკის დართვა[1].

მაშასადამე, მრავალგზისობა „ხოლმეს“ გაგებას შეიცავს. იგი შეიძლება გადმოიცეს სხვა მწკრივებითაც, თუკი ზმნის ფორმას დაემატება **ხოლმე**. ასეთ შემთხვევაში ნაწილაკის დართვა აუცილებელია. მაგალითად: მონადირე დილით მ ი დ ი ს ხ ო ლ მ ე ტყეში და ხშირად ხოხობიც მოაქვს; ბავშვი გულმოდგინედ კითხულობდა წიგნებს და საინტერესო დღიურებსაც წ ე რ დ ა ხ ო ლ მ ე; ბაღში ბულბულის გალობაც ი ს მ ო დ ა ხ ო ლ მ ე ...

ა. შანიძეს გზისობა მიაჩნდა გრამატიკულ კატეგორიად, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში (გ. მაჭავარიანი, თ. ზურაბიშვილი, ივ. ქავთარაძე, ზ. ჭუმბურიძე, ბ. ჯორბენაძე, გ. გოგოლაშვილი...) არაერთგზისაა დასაბუთებული, რომ თანამედროვე ქართულში გზისობა არის არა მორფოლოგიური, არამედ სემანტიკური კატეგორია, რადგანაც:

1) არა აქვს სპეციალური ფორმა – მორფოლოგიური ნიშანი და საკუთარი მწკრივი;

2) მრავალგზისობა შეიძლება გამოიხატოს აღწერითი წარმოებით (ზმნა+ხოლმე);

3) მრავალგზისობის გამოხატვა არ არის მყოფადის ხოლმეობითის ერთადერთი ფუნქცია. პირიქით, თავდაპირველად ხოლმეობითი მხოლოდ დიურატიულ ასპექტზე მიუთითებდა; მრავალგზისობა მისთვის მეორეული, თანაც მეორეხარისხოვანი ფუნქცია იყო (გ. მაჭავარიანი).

---

[1] ა. პაპიძის დაკვირვებით, მყოფადის ხოლმეობითი მრავალგზისობის შინაარსს მხოლოდ აღწერითად გადმოსცემს **ხოლმე** ნაწილაკთან ერთად. ამ ნაკვთის სპეციფიკური ფუნქციაა ნამყოფადარი ნამყოს (მომავალი წარსულში) აღნიშვნა და პირობით-შედეგობითი მოდალობის გადმოცემა... ამის გამო, ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა მის სახელწოდებად პირობითის გამოყენება.

7.11. აქტი

აქტი ანუ **ს ა ქ მ ე** არის ზმნის ფორმა, რომელიც მიუთითებს, ზმნით გამოხატული მოქმედება მოუბარმა ნახა თუ არა. იგი ორი სახისაა: ნახული და უნახავი.

ნ ა ხ უ ლ ი აქტი აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოუბარმა ნახა (დადგა, გააკეთა, ააშენა...), **უ ნ ა ხ ა ვ ი** აქტით კი გადმოიცემა ისეთი მოქმედება, რომელიც მოუბარს არ უნახავს (დამდგარა, გაუკეთებია, აუშენებია...).

უნახავი მოქმედების შესახებ მოუბარმა შეიძლება გაიგოს ორგვარად: სხვისგან ან შედეგის მიხედვით (თვით ნახოს მოქმედების შედეგი) და ამგვარად გაიაზროს მომხდარი მოქმედება. მაგალითად: მითხრეს, რომ მთაში თოვლი **მ ო ს უ ლ ა**; დილით რომ ავდექი, ფანჯრიდან დავინახე, თოვლი **მ ო ს უ ლ ა**.

ა. შანიძის აზრით, ქართულში აქტი გრამატიკული კატეგორიაა[1]; მისი გამოხატვა შეიძლება წარსულდროიანი ფორმით, კერძოდ: I და II თურმეობითის მწკრივებით, შესაბამისად, უნახავი აქტი ამ მწკრივების ელემენტია.

უნახავი აქტი, ჩვეულებრივ, გადმოიცემა ერთი ზმნის ფორმით. ქართული სწორედ ამ თავისებურებით განსხვავდება სხვა ენებისაგან. მაგალითად, რუსულს არ შეუძლია უნახავი მოქმედება აღნიშნოს ერთი ფორმით: მამას დაუწერია წერილი – შდრ. **Отец, оказывается, написал письмо** (რუსულში საჭირო გახდა **თურმე**-ს დამატება).

უნახავი აქტის ფორმა „თურმეს“ გაგებას შეიცავს. ამიტომ მას ტრადიციულ გრამატიკებში „თურმეობითს“ უწოდებენ. წესის მიხედვით, **თურმე** არ უნდა დაერთოს თურმეობითის მწკრივებს, მაგრამ ზოგჯერ იგი ამ მწკრივებთანაც გვხვდება („თურმე წასულა“, „თურმე გათენებულა“). მეორე მხრივ, უნახაობის სემანტიკა შეიძლება გადმოიცეს სხვა მწკრივებითაც **თურმე** ნაწილაკის დამატებით (აღწერითად):

---

[1] უნახავი აქტის ფორმები გვხვდება მეგრულ-სვანურში, კავკასიის სხვა ენებშიც, აგრეთვე, თურქულ ენებში.

უგზავნის თურმე წერილებს (აწმყო), ყოველ დილით მიდიოდა თურმე სამსახურში (უწყვეტელი), მდინარე მოულოდნელად ადიდდა თურმე (წყვეტილი)... ასე რომ, უნახაობის გამოხატვა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ თურმეობითებისათვის.

უნახაობითობას განიხილავენ აგრეთვე მოდალობის ველში, როგორც კილოს ერთ-ერთ ნაირსახეობას და არა აქტის კატეგორიას, რადგან იგი აღნიშნავს მოუბარი პირის დამოკიდებულებას გამონათქვამის სარწმუნოობისადმი (რ. ზექალაშვილი).

მაშასადამე, სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებითა და ჩვენი დაკვირვებითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ: 1) აქტისათვის ქართულში არ არის სპეციალური ფორმა (მწკრივი) შესაბამისი მორფოლოგიური მარკერით; 2) თურმეობითები ყოველთვის როდი მიუთითებენ უნახაობაზე (დამიწერია; არ წავსულვარ...); 3) უნახაობის სემანტიკა შეიძლება გადმოიცეს ნებისმიერი მწკრივით **თურმე** ნაწილაკის დართვით. გარდა ამისა, ენამ (ცოცხალმა მეტყველებამ) უნახაობის სემანტიკის გამოსახატავად (აქამდე არსებულ საშუალებათა უკმარისობის გამო) შექმნა **მინავალა, ნაყვარება, მიდენილა...** ტიპის ფორმები, რომლებსაც სპეციალურ ლიტერატურაში უწოდებენ დრო-კილოთა IV სერიის ფორმებს. ამდენად, აქტი არის სემანტიკური კატეგორია.

7.12. თანამდევრობა

თანამდევრობა არის ზმნის კატეგორია. იგი აღნიშნავს, თუ როგორია ორი მოქმედების დროული მიმართება.

თანამდევრობა ახლოს დგას დროის კატეგორიასთან, მაგრამ მათ შორის განსხვავება ის არის, რომ გრამატიკული დროის გაგება გამომდინარეობს უბნობისა და მოქმედების მომენტის შეფარდებისაგან, თანამდევრობისათვის კი ამოსავალია ორი მოქმედების შეფარდება; დროის გარკვევა,

ჩვეულებრივ, ხდება ერთი მოქმედებით, თანამდევრობისა კი – ორით, რომელთაგან ერთი შეიძლება იგულისხმებოდეს.

ა. შანიძემ ქართულში გამოყო თანამდევრობის სამი ფორმა: ერთდროულობა, უწინარესობა, შემდგომობა.

ე რ თ დ რ ო უ ლ ი ა ზმნის ფორმა, რომელიც მიუთითებს, რომ ერთი მოქმედება ხდებოდა სხვა დასახელებულ (ან ნაგულისხმევ) მოქმედებასთან ერთად. ერთდროულობა გამოიხატება მხოლოდ წარსულში, გადმოიცემა უწყვეტლის მწკრივით, მაგრამ არ გააჩნია საკუთარი მორფოლოგიური ფორმა. მაგალითად: ამხანაგი რომ შემოვიდა, მე ვწერდი – ე.ი. ამხანაგის შემოსვლის მომენტში მე წერით ვიყავი დაკავებული (ორივე მოქმედება ერთდროულია).

უ წ ი ნ ა რ ე ს ი ა ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ დასახელებული მოქმედება წინ უსწრებს მეორეს. ამ მოქმედებათაგან ერთი უწინარესია, მეორე – შემდგომი.

შ ე მ დ გ ო მ ი არის ზმნის ფორმა, რომლითაც აღნიშნული მოქმედება მოჰყვება უწინარეს მოქმედებას (დასახელებულს ან ნაგულისხმევს). უწინარესობა გადმოიცემა II თურმეობითით, შემდგომობა კი – წყვეტილით. მაგალითად: მონადირე გადაწვა კლდეზე და ისე დაინახა ჯიხვი, რომელსაც ვარჯიში მოსწყენოდა, გასულიყო კლდის პირად, ამოედო სამი ფეხი ქვეშ, მეოთხე კი პირდაპირ გაეშვირა და ისე დაწოლილიყო. აქ უწინარესობა იგულისხმება ზმნებით: მ ო ს წ ყ ე ნ ო დ ა, გ ა ს უ ლ ი ყ ო, ა მ ო ე დ ო, გ ა ე შ ვ ი რ ა, დ ა წ ო ლ ი ლ ი ყ ო, შემდგომობა კი – **დაინახა** ზმნით.

მაშასადამე, ტრადიციული შეხედულებით, **თანამდევრობა** არის ზმნის უღლების ერთ-ერთი კატეგორია, თუმცა იგი მორფოლოგიური მარკერით არ გამოიხატება. შესაბამისად, თანამდევრობაც ვერ იქნება მორფოლოგიური კატეგორია.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1992.

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

აფრიდონიძე შ., გან და და ზმნისწინები ანტონიმები: იკე-ს წელიწდეული, 4(7),1980.

აფრიდონიძე შ., დროის კატეგორია როგორც სიტყვათა მაორგანიზებელი წინადადებაში: თსუ შრ., №4(148), 1972.

აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.

ბარამიძე ლ., ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები, თბ., 2008.

ბოედერი ვ., სივრცული მეტაფორები ქართულ ზმნისწინებში: ქესს, XI, 2011.

გეგეშიძე ი., ბრძანებითი კილოს მოდალური ფუნქციები ქართულ სამეცნიერო სტილში: იკე, XXXV, 2005.

გიგინეიშვილი ივ., პრევერბის ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1980.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები), თბ., 2010.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

ვეშაპიძე ირ., ზმნისწინი ძველ ქართულში, თბ., 1967.

ვეშაპიძე ირ., ზმნისწინის, ზმნიზედისა და თანდებულის ურთიერთდამოკიდებულებისათვის: თსუ შრომები, 96, 1963.

ზექალაშვილი რ., ქართული მართლწერის საკითხები, თბ., 2004.

ზექალაშვილი რ., ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), თბ., 2012.

ზურაბიშვილი თ., მრავალგზისობის საკითხი თანამედროვე ქართულში: მეცნ. აკად. მოამბე, 40, №2, 1965.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა (გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), თბ., 2011.

თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ., ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968; 1998.

თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965; 1988.

იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., ზმნა ძველ ქართულში, ნაწ. I, ნაწ. II, მაინის ფრანკფურტი, 1996.

კაკიტაძე კ., ასპექტი და წარმოქმნა: იკე, 34-ე, 2000.

კეკელია შ., დავითიანი აკ., ქართული ენა, თბ., 1973.

კვანტალიანი ც., შე ზმნისწინის სიტყვათწარმოებითი დანიშნულება ქართულში: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XII, 2001.

კვანტალიანი ც., მი და მო ზმნისწინთა ერთი ფუნქციისათვის ქართულში: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XI, 2000.

კვანტალიანი ც., რთული ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება: ქესს, IX, 2005.

კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

კოტინოვი ნ., კილოს კატეგორია ქართულში: თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 3, 1963.

მარტიროსოვი არ., ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, 1963.

მაჭავარიანი გ., ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში: ქესს, IV, 1974.

მაჭავარიანი გ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002.

მაჭავარიანი გ., ნებიერიძე გ., მორფოლოგია: ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

მაჭავარიანი დ., ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 2013.

მახარობლიძე თ., ზმნისწინის ექვსი ფუნქცია და ზმნისწინთა კვალიფიკაცია: ქესს, XI, 2011.

მელიქიშვილი დ., მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ისტორიული ურთიერთობის საკითხისათვის ქართულში: იკე-ს წელიწდეული, VII, 1980.

მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.

მელიქიშვილი დ., ფილოლოგიური ძიებანი (სტატიების კრებული), თბ., 2009.

მელიქიშვილი დ., დროის სამწევრა სისტემის ჩამოყალიბების ისტორიისათვის ქართულში: თსუ ქართული ენის ინსტიტუტის საენათმეცნიერო შრომების კრებული, III, 2012.

მეტრეველი თ., ქართული ზმნის აქტის კატეგორიისათვის: ქელს, №1, 1969.

მეტრეველი თ., ასპექტის კატეგორიისათვის ქართულში: ქელს, 1973, №3.

ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.

ნინუა გ., ბრძანებითი კილო ქართულ ენაში (საკანდიდატო დისერტაცია), 1968.

ნინუა გ., სარჯველაძე ზ., უნახაობის გამოხატვისათვის ძველ წერილობით ძეგლებში: მაცნე, 1985, №1.

ონიანი ალ., ორიენტაციის კატეგორია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: „ენათმეცნიერების საკითხები", №4, 2001.

ონიანი ალ., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

პაპიძე ა., მყოფადის ხოლმეობითი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქსკს, VIII, 1988.

სანიკიძე ი., მრავალგზისობის კატეგორია თანამედროვე ქართულში: ბ. ჯორბენაძის საზოგ. II სამეცნ. კონფერ., 1995.

სანიკიძე ი., ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის გამოხატვის სისტემა ქართულში, თბ., 2007.

სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

საღინაძე რ., ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები, ქუთაისი, 1995.

საღინაძე რ., ძველი ქართული ენა, თბ., 2008.

საღინაძე რ., ზმნურ ფორმათა ვარიაციულობა და ნორმირების საკითხები ქართულში: სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები, თბ., 2013.

სუხიშვილი მ., აქვს, ჰყავს ზმნათა პრეეერბიანი ფორმების გრამატიკული კვალიფიკაცია ახალ ქართულში: ქესს, XII, 2013.

უთურგაიძე თ., გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

ფეიქრიშვილი ჟ., თურმეობითების მნიშვნელობა და გამოყენება ახალ ქართულში: ქესს, IV, თბ., 1974.

ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.

ფოცხიშვილი ალ., ორიენტაციის კატეგორიის გაგებისათვის თანამედროვე ქართულში: ქართული ენა, თბ., 2000.

ფოცხიშვილი ალ., ქართული ენა, თბ., 2000.

ფხაკაძე დ., ასპექტის გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბებისა და თურმეობითის ურთიერთმიმართების ზოგი საკითხისათვის ქართულში: მაცნე, 1985, 4.

ქავთარაძე ივ., ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისთვის ძველ ქართულში, თბ., 1954.

ქავთარაძე ივ., უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში: იკე, VIII, თბ., 1956.

ქავთარაძე ივ., ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში: ქესს, ტ. II, თბ., 1961.

ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ყანდაშვილი ხ., მრავალგზისობის გამოხატვა თანამედროვე ქართულში: ქესს, XII, 2013.

შალამბერიძე გ., ქართული მართლწერა, თბ., 1961.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე ა., უნებლიობის კატეგორია თუ უნებლიობის ვნებითი: კრებ. „ქართული ენა", თბ., 1984.

შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

შარაშენიძე ნ., ზმნათა ფორმობრივი და ფუნქციური ცვლილებები ქართულში, თბ., 2010.

შმიტდი კარლ-ჰორსტ, ასპექტი და დრო ძველ ქართულში: იკე-ს წელიწდეული, 1985.

შმიტდი კარლ-ჰორსტ, ტმესი ქართველურ ენებში და მისი ტიპოლოგიური პარალელები ინდოევროპულ ენებში: თსუ, კრებული „გიორგი ახვლედიანს", 1969.

ჩიმქე ჰ., ზმნისწინთა სემანტიკური ნიუანსები ახალ სალიტერატურო ქართულში, თბ., 2016.

ჩიქობავა არნ., წარ პრევერბის ისტორიისათვის ქართულში: ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937.

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; 2008 (II გამოც.).

ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950; ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ცქიტიშვილი თ., ტმესი ძველ ქართულში: მაცნე, 1965, №5.

წიბახაშვილი გ., ზმნისწინის ლექსიკური და გრამატიკული ფუნქციები: „კომუნისტური აღზრდისათვის", №6, 1960.

ჭუმბურიძე ზ., ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის: კრებული „ორიონი", თბ., 1967.

ჯაჯანიძე პ., ზოგი ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში: ქუთაისის პედ. ინსტ. შრ., XI, 1952-1953.

ჯორბენაძე ბ., ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

ჯორბენაძე ბ., ინხოატივი ქართულში: იკე, 28-ე, 1989.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

ჰოლისკი დი ენ, ასპექტი და ქართული მედიალური ზმნა, თბ., 2000.

Джорбенадзе Б., Грузинский глагол, Тб., 1986.

7.13. სერიები და მწკრივები

7.13.1. მწკრივის რაობა
(ზოგადი მიმოხილვა)

ქართული ზმნა მდიდარია პირიანი ფორმებით, რომლებიც გარკვეული ნიშნების მიხედვით იყოფა ცალკეულ ჯგუფებად. თითოეულ ამ ჯგუფს **მწკრივი** ეწოდება. მწკრივში გაერთიანებული ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით. მაგალითად:

ვიზრდები მე, იზრდები შენ, იზრდება ის

ვიზრდებით ჩვენ, იზრდებით თქვენ, იზრდებიან ისინი

ტერმინი „მწკრივი“ დაამკვიდრა ა. შანიძემ. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვა ტერმინებიც: „ნაკვთი“ (არნ. ჩიქობავა), „დრო“, „კილო“, „დრო-კილოთა ფორმები“... ამათგან დღეს სასკოლო პრაქტიკაში გამოიყენება „მწკრივი“, სამეცნიერო ლიტერატურაში კი უფრო დამკვიდრებულია „ნაკვთი“[1].

ა. შანიძე მწკრივს მიიჩნევს ზმნის ერთ-ერთ გრამატიკულ კატეგორიად, სხვა მეცნიერთა აზრით, ნაკვთი (მწკრივი) ვერ იქნება გრამატიკული კატეგორია, რადგან მას არ გააჩნია გრამატიკული კატეგორიის არც ფორმა და არც ფუნქცია.

მწკრივი, სხვა ზმნური კატეგორიებისაგან განსხვავებით, რთული ენობრივი ერთეულია: მოიცავს რამდენიმე კატეგორიას, რომელთაც მ წ კ რ ი ვ ი ს ე ლ ე მ ე ნ ტ ს უწოდებენ. ესენია: დრო, კილო, ზოგჯერ – ჯერობა, აქტი, თანამდევრობა (ა. შანიძე).

ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, თანამედროვე ქართულში 11 მწკრივია. ისინი ფორმათა წარმოებისა და სინტაქსურ თავისებურებათა შესაბამისად ქმნიან სამ დიდ ჯგუფს, ანუ სამ სერიას. ესენია: I, II და III სერიები.

---

[1] „ნაკვთი“ ტექნიკური ტერმინია და მიუთითებს უღვლილების ერთეულზე ფუნქციის აღუნიშნავად (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ბ. ჯორბენაძე...).

სამ სერიად დაყოფა ეყრდნობა მორფოსინტაქსურ კრიტერიუმს – ზმნის თემისა (ფუძისა) და კონსტრუქციის განსხვავებას.

I სერიაში გამოიყოფა ორი წრე – აწმყო და მყოფადი. აწმყოს წრის მწკრივებია: აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს კავშირებითი; მყოფადის წრის მწკრივებია: მყოფადი, ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი; II სერიაში ორი მწკრივია: წყვეტილი, II კავშირებითი, III-ში – სამი: I თურმეობითი (I შედეგობითი), II თურმეობითი (II შედეგობითი), III კავშირებითი.

ტერმინები: „სერია“, „თურმეობითი“, „კავშირებითი“ შემოღებულია ა. შანიძის მიერ.

როგორც მართებულად მიუთითებენ, ქართულში მწკრივთა სახელდება მეტ-ნაკლებად პირობითია, რაც გამოწვეულია მწკრივის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, სირთულით (მწკრივის ელემენტთა სიუხვით). მიუხედავად ამისა, ასეთ შემთხვევაშიც, ა. შანიძის აზრით, ისეთი ხერხი მაინც უნდა იქნეს მოძებნილი, რომ მოვლენის არსებითი მხარე არ დაიჩრდილოს; მწკრივების სახელთა დარქმევის დროს შეიძლება ვიხელმძღვანელოთ შემდეგი პრინციპით: როდესაც მწკრივში ელემენტთაგან მარტო დრო და კილო არის, თხრობითკილოიან მწკრივებს დროის მიხედვით დავარქვათ სახელი, სხვა კილოიან მწკრივებს კი – კილოთა მიხედვით. როცა მწკრივში დროსა და კილოს სხვა ელემენტებიც ემატება, მაშინ სახელის დარქმევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ამ დამატებულ ელემენტს. ქართულ გრამატიკაში მწკრივთა სახელდებისას ძირითადად ეს პრინციპია გათვალისწინებული (ა. შანიძე).

შენიშვნა: ცოცხალი მეტყველების მიხედვით, სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ დრო-კილოთა IV ჯგუფის ფორმებს ანუ IV სერიას, რომელშიც შედის: III თურმეობითი (მინავალა), IV თურმეობითი (მინავალიყო), IV კავშირებითი (მინავალიყოს). **მინავალა** ტიპის ფორმები გვხვდება დასავლურ დიალექტებში. ასეთივე წარმოებისა უნდა იყოს აღმოსავლურ კილოებში დადასტურებული **მიდენილა, მიდენილიყო** ტიპის ფორმები (IV სერიის მწკრივთა წარმოება, მათი ცალკე სერიად გამოყოფა და ფორმათა კვალიფიკაცია დაწვრილებითაა განხილუ-

ლი გ. როგავას ნაშრომში „დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში“).

მწკრივებს აქვს სპეციალური სავრცობები (**-დ, -ოდ** სუფიქსები) და მწკრივის ნიშნები (**-ი, -ა, -ე, -ო,** ე.წ. ნართაული **-ი**).

ზმნის ცვლილება მწკრივთა მიხედვით ქმნის უღლების სისტემას. ბ. ჯორბენაძის განმარტებით, უ ღ ლ ე ბ ა (|| უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ა) არის ზმნის ფორმის ცვლილება პირის, რიცხვის, დროის, კილოს და ასპექტის გრამატიკული კატეგორიების მიხედვით.

7.13.2. I სერიის მწკრივები

აწმყოს წრე

აწმყო. კითხვა – რას ვშვრები? – ვ-წერ - **Ø**, ვ-იმალებ-ი, ვ-ეზრდებ-ი... მწკრივის ნიშანია სუფიქსი **-ი** (გარდაუვალ ზმნებთან) და **Ø** (ნული) (გარდამავალ ზმნებთან). **-ი** ზმნას მოუდის I-სა და II პირში, III-ში კი დაკარგულია ფონეტიკური ცვლილების გამო (დაერთვის S_3 პირის ნიშანი).

აწმყოს მწკრივი არის ამოსავალი ამ წრეში შემავალი დანარჩენი ორი მწკრივისათვის. იგი დროის მიხედვით ა ხ ლ ა ნ - დ ე ლ ი ა (წერს, აშენებს, თამაშობს...), იშვიათად მომავლის გაგებაც შეიძლება ჰქონდეს ან სულ დაცლილი იყოს კონკრეტული დროის გაგებისაგან (ხვალ ამასაც ვასწავლი; ორმოცი წელია ისტორიას ასწავლის...); ზოგჯერ შეიძლება აჩვენოს „ზოგადი აწმყო, განგრძობილი მოქმედება“ ან კიდევ წარსულის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდეს („ამირანი მიდის დევის საძებნელად“). ამგვარი ფორმები ხშირია ზღაპრებში; კილო არის თხრობითი (იზრდება, დგას, ამზადებს...), **ნუ** ნაწილაკის დართვისას კი – უკუთქმითი ბრძანებითი; ასპექტი უსრულია.

სახელწოდება „აწმყო“ დარქმეულია დროის მიხედვით: „აწ მყოფი“ > აწმყო (დატოვებულია ძველი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს მხოლოდ მწკრივს და არა დროს).

უწყვეტელი. კითხვა – რას ვშვრებოდი? – ვ-წერ-დ-ი, ვ-იმალებ-ოდ-ი, ვ-ეზრდებ-ოდ-ი... მწკრივის ნიშანია **-ი** სუფიქსი (I-სა და II პირში), სავრცობი – **-დ** გარდამავალ ზმნებში და **-ოდ** გარდაუვალ ზმნებში (თუმცა სავრცობების გამოყენების მხრივ არსებობს გამონაკლისებიც).

უწყვეტელი ეყრდნობა აწმყოს მწკრივის ფუძეს; გამოხატავს ნარსულ დროს, თხრობით კილოს, უსრულ ასპექტს. სახელწოდება დარქმეულია იმის მიხედვით, რომ ამ მწკრივის ფორმა მოქმედების პროცესს წარმოგვიდგენს უწყვეტლად.

აწმყოს კავშირებითი. კითხვა – რას ვშვრებოდე? – ვ-წერ-დ-ე, ვ-იმალებ-ოდ-ე, ვ-ე-ზრდებ-ოდ-ე... მწკრივის ნიშანია სუფიქსი **-ე** (სამივე პირში), სავრცობი – **-დ** და **-ოდ.** იგი გამოხატავს ახლანდელ ან მომავალ დროს, კავშირებით კილოს (ზოგჯერ შეიძლება გამოხატავდეს ბრძანებითსაც: რისხავდეს!), უსრულ ასპექტს. სახელწოდება დარქმეულია წრისა და კილოს მიხედვით. მისთვისაც ამოსავალია აწმყო.

მყოფადის წრე

მყოფადის წრის მწკრივები ნაწარმოებია აწმყოს წრის მწკრივებისაგან ზმნისწინის დართვით. ფორმობრივად, ზმნისწინის გარდა, მათ შორის სხვა განსხვავება არ არის.

მყოფადი. კითხვა – რას ვიზამ? – და-ვ-წერ-Ø, და-ვ-იმალებ-ი, გა-ვ-ეზრდებ-ი... მწკრივის ნიშანი გარდაუვალ ზმნაში არის სუფიქსი **-ი,** გარდამავალი კი უნიშნოა.

მყოფადი გამოხატავს მომავალ დროს (ზოგჯერ წარსულში მომხდარი განმეორებული მოქმედების გადმოსაცემადაც გამოიყენება: ვანო ყოველ დილით წამოდგება, რამდენიმე გვერდს დაწერს, შემდეგ კი ისვენებს), თხრობით კილოს (**ნუ** ნაწილაკის დართვისას – აკრძალვითს ბრძანებითს: ნუ დახატავ!), სრულ ასპექტს, თუმცა მყოფადი ყოველთვის ვერ იქნება სრული ასპექტისა, მაგ.: „სტუმარი მოვა, **აკაკუნებს, აკაკუნებს** და, რომ არ დახვდებიან, წავა“. მყოფადი ნაწარმოებია აწ-

მყოსაგან ზმნისწინის დართვით. მწკრივს სახელწოდება დარქმეული აქვს დროის მიხედვით (მყოფადი = მომავალი).

ხოლმეობითი. კითხვა – რას ვიზამდი? – და-ვ-წერ-დ-ი, და-ვ-იმალებ-ოდ-ი, გა-ვ-ეზრდებ-ოდ-ი... მწკრივის ნიშანია სუფიქსი **-ი** (I-სა და II პირში), სავრცობი – **-დ** და **-ოდ**.

ხოლმეობითით გადმოიცემა წარსული დრო, თხრობითი კილო (შეიძლება კავშირებითის შინაარსიც შეიძინოს), სრული ასპექტი, ზოგჯერ აქვს მრავალგზისობის გაგებაც. იგი ნაწარმოებია უწყვეტლის მწკრივისაგან ზმნისწინის დართვით. სახელწოდება დარქმეულია გზისობის მიხედვით. არნ. ჩიქობავა ამ მწკრივს უწოდებს **პირობითს,** სასკოლო სახელმძღვანელოებში მას **ხოლმეობით-შედეგობითი** ჰქვია.

მყოფადის კავშირებითი. კითხვა – რას ვიზამდე? – და-ვ-წერ-დ-ე, და-ვ-იმალებ-ოდ-ე, გა-ვ-ეზრდებ-ოდ-ე... მწკრივის ნიშანია სუფიქსი **-ე** (სამივე პირში), სავრცობი – **-დ** და **-ოდ**.

მყოფადის კავშირებითი გამოხატავს მომავალ დროს, კავშირებით კილოს, სრულ ასპექტს.

მწკრივი ნაწარმოებია აწმყოს კავშირებითისაგან ზმნისწინის დართვით. სახელწოდება დარქმეულია წრისა და კილოს მიხედვით.

მყოფადის წრის ისტორია ძირითადად იწყება XII საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ზმნისწინმა შეიძინა ასპექტის გამოხატვის ფუნქცია (უნარი).

7.13.3. II სერიის მწკრივები

წყვეტილი. კითხვა – რა ვქენი? – და-ვ-წერ-ე, და-ვ-იმალ-ე, გა-ვ-ეზარდ-ე, და-ვ-აბ-ი, მო-ვ-ხან(ი). მწკრივის ნიშნებია **-ი, -ე** სუფიქსები და ე.წ. ნართაული **-ი. მოკვალ(ი)** ტიპის ზმნებთან თანამედროვე ქართულში თავჩენილ **-ი**-ს უწოდებენ ნ ა რ თ ა ულ **ი**-ს. როგორც მართებულად არის აღნიშნული, დღეს ეს **-ი,** ჩვეულებრივ, მწკრივის ნიშნად უნდა ჩა-

ითვალოს (ალ. ონიანი). აქედან გამომდინარე, წყვეტილის მწკრივის ნიშნებია მხოლოდ **-ე** და **-ი.**

წყვეტილის მწკრივით გადმოიცემა წარსული დრო (წართქმითი ბრძანებითის შემთხვევაში – მომავალი), თხრობითი კილო; ზმნის ფორმას შეიძლება დაერთოს ან არ დაერთოს ზმნისწინი. შესაბამისად, ასპექტი არის სრული ან უსრული.

სახელწოდება „წყვეტილი" დარქმეულია იმის მიხედვით, რომ იგი მოქმედების პროცესს შეწყვეტილად წარმოგვიდგენს (უწყვეტლისაგან განსხვავებით). ამ მწკრივის აღსანიშნავად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულია აგრეთვე ტერმინები: „აორისტი", „ნამყო ძირითადი", „ნამყო წყვეტილი".

II კავშირებითი. კითხვა – რა ვქნა? – და-ვ-წერ-ო, და-ვ-იმალ-ო, გა-ვ-ეზარდ-ო, და-ვ-აბ-ა, მო-ვ-ხნ-ა. მწკრივის ნიშნებია სუფიქსები: **-ა, -ე, -ო.** ამათგან უძველესი და ძირითადია **-ე.**

II კავშირებითით გადმოიცემა მომავალი დრო, კავშირებითი კილო (შეიძლება გამოიხატოს წართქმითი ბრძანებითიც: ისწავლოს! წავიდეთ!), სრული ან უსრული ასპექტი.

სახელწოდება დარქმეულია სერიისა და კილოს მიხედვით.

7.13.4. III სერიის მწკრივები

წარმოების მიხედვით III სერიის მწკრივებს I და II სერიის ფორმებთან შედარებით ახასიათებს თავისებურებანი:

1) გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმები ინვერსიულია;
2) გარდაუვალი ზმნები იწარმოება მეშველი ზმნით;
3) III სერიაში სამპირიანი გარდამავალი ზმნა არ გვხვდება;
4) გარდამავალ ზმნებს ქცევის გაგება არა აქვს.

I შედეგობითი. კითხვა – რა მიქნია? – და-მ-ი-წერ-ი-ა, მო-მ-ი-ხნ-ავ-ს, და-მ-ი-ბ-ამ-ს, და-ვ-მალულ-ვარ, გა-ვ-ზრდი-ვარ. მწკრივის ნიშანია **-ი**, რომელიც ძველი ქართულის **-იე**-ს ნაშთია: დამიწერ-ია < დამიწერ-იე-ს.

I შედეგობითი გამოხატავს წარსულ დროს, შეიძლება ზოგჯერ გამოყენებული იყოს აწმყოს ან მყოფადის მნიშვნელობითაც (კეთილი მგზავრობა **მისურვებია**! თუ დროზე არ **წაგიღია**, დაგეკარგება!), წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს, თხრობით კილოს, იშვიათად კავშირებით-ბრძანებითს – წყევლა-დალოცვისა და მისთანა გამოთქმებში. მას ზოგჯერ შეიძლება უნახაობის გაგებაც ჰქონდეს.

ამ მწკრივის აღსანიშნავად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულია რამდენიმე ტერმინი: „I თურმეობითი“ (იგი დაამკვიდრა ა. შანიძემ. მისი აზრით, მოქმედება უნახავია, „თურმეს“ გაგებას შეიცავს), „I შედეგობითი“ (არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე...), „I რეზულტატივი“ (დ. მელიქიშვილი). ამათგან უფრო მისაღებია ქართული ტერმინი „I შედეგობითი“ (უცხოურად იგივე „I რეზულტატივი“), რომელიც წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს უფრო გადმოსცემს, ვიდრე უნახავ მოქმედებას. მისთვის არაა ძირითადი „თურმეს“ გაგება. ანალოგიური ვითარებაა ტერმინ „II შედეგობითის“ შემთხვევაშიც.

მაშასადამე, უნახაობის გაგება – თურმეობითობა არ არის I და II თურმეობითის მწკრივების ძირითადი ფუნქცია. ამ მწკრივების აღსანიშნავად უფრო მართებულად მიგვაჩნია ტერმინი „შედეგობითი“.

გარდაუვალ ზმნათა I შედეგობითი იწარმოება აღწერითად: ა) ერთპირიანი ზმნები – მიმღეობისა და **არის** მეშველი ზმნის აწმყოს ფორმის შეერთებით: წავსულვარ, გაზრდილხარ... ბ) ორპირიანი ზმნები – საუღლებელი ზმნის მასდარისა და **არის** მეშველი ზმნით: მოვფარებივარ, გაზრდიხარ...

II შედეგობითი. კითხვა – რა მექნა? – და-მ-ეწერ-ა, და-ვ-მალულ-იყავ(ი), გა-ვ-ზრდ-ოდ-ი... გარდაუვალი ზმნები იწარმოება შერეულად: ა) ერთპირიანი ზმნები მიმღეობისა და **არის** მეშველი ზმნის წყვეტილის ფორმით: წავსულიყავი... ბ) ორპირიან გარდაუვალ ზმნებში აღწერითი წარმოების ნაცვლად არის **-ოდ** სავრცობი და **-ი** მწკრივის ნიშანი: მოვფარებოდი...

II შედეგობითით გადმოიცემა წარსული (იშვიათად – მომავალი) დრო, თხრობითი ან კავშირებით-პირობითი კილო, ზოგჯერ – უნახაობის სემანტიკაც.

III კავშირებითი. კითხვა – რა მექნას? – და-მ-ეწერ-ო-ს, და-მ-ებ-ა-ს, და-ვ-მალულ-იყო, გა-ვ-ზრდ-ოდ-ე. მწკრივის ნიშნებია: **-ა, -ე, -ო** სუფიქსები (როგორც II კავშირებითში).

გარდაუვალ ზმნათაგან ა) ერთპირიანი ზმნები იწარმოება მიმღეობისა და **არის** მეშველი ზმნის II კავშირებითის ფორმით: წავსულიყო... ბ) ორპირიან ზმნებში არის **-ოდ** სავრცობი და **-ე** მწკრივის ნიშანი: მოვფარებოდე...

III კავშირებითით გადმოიცემა წარსული ან მომავალი დრო, კავშირებითი კილო. სახელწოდება დარქმეულია სერიისა და კილოს მიხედვით. დღეს III კავშირებითის მოხმარების შემთხვევები (სხვა მწკრივებთან შედარებით) არ არის ხშირი, რადგან ახალ ქართულში მისი ფუნქცია ნაწილობრივ შეითავსა II შედეგობითმა; მიუხედავად ამისა, იგი დამოუკიდებელი მწკრივია, განსაკუთრებით აუცილებელი მომავალი დროის კავშირებითი კილოს გადმოსაცემად (ათი ვაჟი გაგეზარდოს!..).

7.13.5. სერიებად და მწკრივებად დაყოფის საკითხი

ქართულ ლინგვისტიკაში ზმნის სერიებად და მწკრივებად დაყოფა ნიკო მარის დამსახურებაა. მან პირველმა შე-

იტანა გარკვეულობა უღლების სისტემაში, დააჯგუფა ერთნაირი წარმოების ფორმები და ამის მიხედვით გამოყო სამი სერია, თუმცა სამივე სერიისათვის დაჯგუფების პრინციპი ერთნაირი არ არის: I და II სერიებისათვის ამოსავალია მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი პრინციპი – საწარმოებელ ფუძეთა ერთიანობა (თემის ნიშანთა ქონა ან უქონლობა), III სერიაში მთავარია წ ა რ მ ო ე ბ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ა, კერძოდ: გარდამავალთათვის – ინვერსია (წინადადების სინტაქსური კონსტრუქცია), გარდაუვალთათვის კი – მეშველზმნიანი წარმოება. სწორედ ამის გამოა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებანი:

1. უფრო მართებული იქნებოდა მწკრივები დაგვეჯგუფებინა წარმოების პრინციპის მიხედვით და ყველა ნაკვთი (მწკრივი) გაგვეერთიანებინა ორ სერიაში: აწმყოსა და ნამყო ძირითადის (წყვეტილის) წყებაში (არნ. ჩიქობავა).

2. ახალ ქართულში შეიძლება გამოიყოს მხოლოდ რვა მწკრივი: პირველ სერიაში სამი, მეორეში – ორი, მესამეში – სამი. რამდენადაც II და III სერიის თითოეულ მწკრივში გაერთიანებულია ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები, სწორედ ამ პრინციპით უნდა მოხდეს I სერიის ფორმათა დაჯგუფებაც. შესაბამისად, I სერიაში მოიშლება წრეებად დაყოფა და აქაც სამი მწკრივი იქნება: აწმყო-მყოფადი (აკეთებს – გააკეთებს), უწყვეტელ-ხოლმეობითი (აკეთებდა – გააკეთებდა), I კავშირებითი (აკეთებდეს – გააკეთებდეს) (გ. გოგოლაშვილი, ალ. ონიანი).

3. თანამედროვე ქართულში გრამატიკულ-სემანტიკური პრინციპის გათვალისწინებით უნდა გამოიყოს 16 მწკრივი და განაწილდეს სამ სერიაში. ამ დაყოფისათვის ამოსავალია ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დიფერენცირება. შესაბამისად, ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებელ მწკრივებად (ა. არაბული).

4. ფორმალური (მორფოსინტაქსური) პრინციპით შეიძლება გამოიყოს ზმნის სამსაფეხუროვანი პარადიგმა: I (დიდი) პარადიგმა (ზმნის ფორმაცვალება ყალიბების მიხედვით); II (კლასიკური) პარადიგმა (ზმნის ყალიბის ცვლა მწკრივთა მიხედვით); III (მცირე) პარადიგმა (ზმნის მოცემული მწკრივის ფორმის ცვლა პირთა კომბინაციების მიხედვით); ამგვარად აგებული პარადიგმა გამოსადეგი იქნება ქართული ზმნის კომპიუტერული მოდელირებისათვის (ტ. ფუტკარაძე).

7.13.6. უღლების ნიმუშები

I სერია

ა წ მ ყ ო ს წ რ ე

აწმყო

გარდამავალი	გარდაუვალი	
ვ-აშენ-ებ/-თ	ვ-თბ-ებ-ი/-თ	ვ-ე-მალ-ებ-ი/-თ
ა-შენ-ებ/-თ	თბ-ებ-ი/-თ	ე-მალ-ებ-ი/თ
ა-შენ-ებ-ს/-ენ	თბებ-ა/-ი-ან	ე-მალ-ებ-ა/-ი-ან

უწყვეტელი

ვ-აშენ-ებ-დ-ი/-თ	ვ-თბ-ებ-ოდ-ი/-თ	ვ-ე-მალ-ებ-ოდ-ი/-თ
ა-შენ-ებ-დ-ი/-თ	თბ-ებ-ოდ-ი/-თ	ე-მალ-ებ-ოდ-ი/თ
ა-შენ-ებ-დ-ა/-ნენ	თბ-ებ-ოდ-ა/-ნენ	ე-მალ-ებ-ოდ-ა/-ნენ

აწმყოს კავშირებითი

ვ-აშენ-ებ-დ-ე/-თ	ვ-თბ-ებ-ოდ-ე/-თ	ვ-ე-მალ-ებ-ოდ-ე/-თ
ა-შენ-ებ-დ-ე/-თ	თბ-ებ-ოდ-ე/-თ	ე-მალ-ებ-ოდ-ე/თ
ა-შენ-ებ-დ-ე-ს/-ნენ	თბ-ებ-ოდ-ე-ს/-ნენ	ე-მალ-ებ-ოდ-ე-ს/-ნენ

მ ყ ო ფ ა დ ი ს წ რ ე

მყოფადი

ა-ვ-აშენ-ებ/-თ	გა-ვ-თბ-ებ-ი/-თ	და-ვ-ე-მალ-ებ-ი/-თ
ა-ა-შენ-ებ/-თ	გა-თბ-ებ-ი/-თ	და-ე-მალ-ებ-ი/თ
ა-ა-შენ-ებ-ს/-ენ	გა-თბ-ებ-ა/-ი-ან	და-ე-მალ-ებ-ა/-ი-ან

ხოლმეობითი

ა-ვ-აშენ-ებ-დ-ი/-თ	გა-ვ-თბ-ებ-ოდ-ი/-თ	და-ვ-ე-მალ-ებ-ოდ-ი/-თ
ა-ა-შენ-ებ-დ-ი/-თ	გა-თბ-ებ-ოდ-ი/-თ	და-ე-მალ-ებ-ოდ-ი/თ
ა-ა-შენ-ებ-დ-ა/-ნენ	გა-თბ-ებ-ოდ-ა/-ნენ	და-ე-მალ-ებ-ოდ-ა/-ნენ

მყოფადის კავშირებითი

ა-ვ-აშენ-ებ-დ-ე/-თ	გა-ვ-თბ-ებ-ოდ-ე/-თ	და-ვ-ე-მალ-ებ-ოდ-ე/-თ
ა-ა-შენ-ებ-დ-ე/-თ	გა-თბ-ებ-ოდ-ე/-თ	და-ე-მალ-ებ-ოდ-ე/თ
ა-ა-შენ-ებ-დ-ე-ს/-ნენ	გა-თბ-ებ-ოდ-ე-ს/-ნენ	და-ე-მალ-ებ-ოდ-ე-ს/-ნენ

II სერია

წყვეტილი

[ა]-ვ-აშენ-ე/-თ	გა-ვ-თბ-ი/-თ	და-ვ-ე-მალ-ე/-თ
[ა]-ა-შენ-ე/-თ	გა-თბ-ი/-თ	და-ე-მალ-ე/თ
[ა]-ა-შენ-ა/-ეს	გა-თბ-ა/-ნენ	და-ე-მალ-ა/-ნენ

II კავშირებითი

[ა]-ვ-აშენ-ო/-თ	გა-ვ-თბ-ე/-თ	და-ვ-ე-მალ-ო/-თ
[ა]-ა-შენ-ო/-თ	გა-თბ-ე/-თ	და-ე-მალ-ო/თ
[ა]-ა-შენ-ო-ს/-ნ	გა-თბ-ე-ს/-ნენ	და-ე-მალ-ო-ს/-ნ

III სერია

I შედეგობითი

ა-მ-ი-შენ-ებ-ი-ა	გა-ვ-მთბარ-ვარ	და-ვ-მალვ-ი-ვარ
ა-გ-ი-შენ-ებ-ი-ა	გა-მთბარ-ხარ	და-მალვ-ი-ხარ
ა-უ-შენ-ებ-ი-ა	გა-მთბარ-ა	და-მალვ-ი-ა
ა-გვ-ი-შენ-ებ-ი-ა	გა-ვ-მთბარ-ვარ-თ	და-ვ-მალვ-ი-ვართ
ა-გ-ი-შენ-ებ-ი-ა-თ	გა-მთბარ-ხარ-თ	და-მალვ-ი-ხართ
ა-უ-შენ-ებ-ი-ა-თ	გა-მთბარ-ან	და-მალვ-ი-ან

II შედეგობითი

ა-მ-ე-შენ-ებ-ინ-ა	გა-ვ-მთბარ-იყავ(ი)	და-ვ-მალ- ოდ-ი
ა-გ-ე-შენ-ებ-ინ-ა	გა-მთბარ-იყავ(ი)	და-მალ- ოდ-ი
ა-ე-შენ-ებ-ინ-ა	გა-მთბარ-იყო	და-მალ- ოდ-ა
ა-გვ-ე-შენ-ებ-ინ-ა	გა-ვ-მთბარ-იყავ(ი)-თ	და-ვ-მალ- ოდ-ი-თ
ა-გ-ე-შენ-ებ-ინ-ა-თ	გა-მთბარ-იყავ(ი)-თ	და-მალ- ოდ-ი-თ
ა-ე-შენ-ებ-ინ-ა-თ	გა-მთბარ-იყვ-ნენ	და-მალ- ოდ-ნენ

III კავშირებითი

ა-მ-ე-შენ-ებ-ინ-ო-ს	გა-ვ-მთბარ-იყო	და-ვ-მალ- ოდ-ე
ა-გ-ე-შენ-ებ-ინ-ო-ს	გა-მთბარ-იყო	და-მალ- ოდ-ე
ა-ე-შენ-ებ-ინ-ო-ს	გა-მთბარ-იყო-ს	და-მალ- ოდ-ე-ს
ა-გვ-ე-შენ-ებ-ინ-ო-ს	გა-ვ-მთბარ-იყო-თ	და-ვ-მალ- ოდ-ე-თ
ა-გ-ე-შენ-ებ-ინ-ო-თ	გა-მთბარ-იყო-თ	და-მალ- ოდ-ე-თ
ა-ე-შენ-ებ-ინ-ო-თ	გა-მთბარ-იყვ-ნენ	და-მალ- ოდ-ნენ

7.14. გვარი

7.14.1. ზმნურ ფორმათა დაჯგუფების საკითხი

ქართულ ლინგვისტიკაში არაერთგვაროვანია ზმნურ ფორმათა დაჯგუფების საფუძველი. საკლასიფიკაციო ნიშნად აღებულია მორფოლოგიური, აგრეთვე მორფოსინტაქსური, სტრუქტურულ-სემანტიკური პრინციპები. ამის გამო სხვადასხვაგვარად ხდება ზმნით გამოხატული მოქმედება-მდგომარეობის შეფასება. ამ პრობლემას ართულებს ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმი, აგენსისა და პაციენსის მიმართება და მათი გრამატიზება.

მორფოლოგიური პრინციპის საფუძველზე ტრადიციულად ქართულში ზმნის ერთ-ერთ კატეგორიად ასახელებენ **გვარს.** ზმნის გვარის შესწავლის ისტორია იწყება დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან. ქართულ ლინგვისტიკაში გვარი პირველად განხილულია ანტონ I-ის გრამატიკაში. ავტორმა გამოყო გვარის სამი სახე: მოქმედებითი, ვნებითი და უმეშვეობითი. ანტონისეულ კვალიფიკაციას ეყრდნობოდნენ მომდევნო ხანის ქართველი გრამატიკოსებიც (მეტ-ნაკლებად განსხვავებული მიდგომით).

XX საუკუნეში გვარის კატეგორიის შესწავლა დაკავშირებულია ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, გ. მაჭავარიანის, ბ. ჯორბენაძის, დ. მელიქიშვილის, ლ. ნოზაძის, ა. არაბულის, გ. გოგოლაშვილისა და სხვათა სახელებთან. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, რასაც განაპირობებს გვარის კატეგორიის არაერთგვაროვანი გაგება, გვარს მაინც მიიჩნევენ ზმნის ერთ-ერთ კატეგორიად და ძირითადად გამოყოფენ მის სამ (მოქმედებითი, ვნებითი, საშუალი) ან ორ სახეს (მოქმედებითი, ვნებითი). ამგვარი კვალიფიკაციით ზუსტად ვერ ხერხდება ქართული ზმნის ერთიანი სისტემის ასახვა. განსაკუთრებით სადავო პრობლემად იქცა საშუალი გვარისა და აქტივ-პასივის ურთიერთმიმართების საკითხი.

თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში გვარის კატე-

გორიად მიჩნევასთან დაკავშირებით გაჩნდა სრულიად განსხვავებული შეხედულებები (დ. მელიქიშვილი, რ. ასათიანი, ი. მელიქიშვილი, ა. ჰარისი...).

დ. მელიქიშვილმა მიუთითა იმ ნაკლზე, რაც ახასიათებს ტრადიციული გაგებით გვარისა და მისი სახეების, აგრეთვე აქტივისა და პასივის გამოყოფას როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური ასპექტით. მან ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის ზმნური ბაზის (9000 ზმნური ფუძის) მორფოსინტაქსური ანალიზის საფუძველზე ქართული ზმნის სტრუქტურისა და კონსტრუქციის ერთიანობის გათვალისწინებით გამოყო დ ი ა თ ე ზ ი ს გრამატიკული კატეგორია, გვარი კი დიათეზის სახელ მიიჩნია (ვრცლად იხ. გვ. 299-304).

შენიშვნა: სახელმძღვანელოში წარმოდგენილია გვარის კატეგორიასთან დაკავშირებული როგორც ტრადიციული კვალიფიკაცია და ტერმინოლოგია, ასევე განსხვავებული შეხედულებანი, მათ შორის, გვარისა და დიათეზის მიმართების საკითხიც.

7.14.2. გვარის სახეები
(ზოგადი მიმოხილვა)

ქართულ ლინგვისტიკაში, ტრადიციული გაგებით, **გვარი** არის ზმნის კატეგორია, რომელიც მიუთითებს, თუ როგორია ურთიერთობა გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის, ანუ გვიჩვენებს, სუბიექტი მოქმედებს სხვა პირზე, თუ თვითონ განიცდის მოქმედებას. ამ თვალსაზრისით, გვარი სამი სახისაა: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გვარის ზმნაში გრამატიკულად მოქმედ პირს (სუბიექტს) მოეპოვება სამოქმედო პირი – პირდაპირი ობიექტი, ე. ი. სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე. მაგალითად: აგორებს ის მას (ბავშვი ქვას), აშენებს ის მას (კალატოზი სახლს)...

ვ ნ ე ბ ი თ ი ა გვარი, როცა სუბიექტი არ მოქმედებს ობიექტზე, თვითონ განიცდის მოქმედებას, ოღონდ ზმნის ფორმით არ ჩანს, თუ ვისგან ან რისგანაა გამოწვეული ეს მოქმედება: გორდება ის (ქვა), შენდება ის (სახლი)...

ს ა შ უ ა ლ ი გვარის სუბიექტი მოქმედებს, მაგრამ არა აქვს სამოქმედო ობიექტი, თუმცა არც თვითონ განიცდის ამ მოქმედებას: გორავს ის (ქვა), დუღს ის (წყალი).

ტერმინი „გვარი“ თავისი შინაარსით ტოლია ლათინური genus-ისა.

უცხოურად მოქმედებითს „აქტივს“ უწოდებენ, ვნებითს – „პასივს“, საშუალს – „მედიუმს“.

7.14.3. დინამიკურობა-სტატიკურობის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში

ზმნით გამოხატული მოქმედება ზოგადად შეიძლება წარმოდგენილი იყოს პროცესის ან შედეგის სახით, ამიტომ გვარის კატეგორიას ბუნებრივად უკავშირდება დინამიკურობა-სტატიკურობის საკითხი.

დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი ა ზმნა, რომელიც მოქმედებას წარმოგვიდგენს პროცესის სახით, ს ტ ა ტ ი კ უ რ ი კი მიუთითებს მოქმედების შედეგზე.

ა. შანიძის აზრით, დინამიკურობა-სტატიკურობა მხოლოდ ვნებითი გვარისთვის არის დამახასიათებელი, ე.ი. მხოლოდ ვნებითი გვარის ზმნა შეიძლება იყოს დინამიკური ან სტატიკური. მაგალითად, დინამიკურია: ეფინება, ეფარება, ეწერება... სტატიკურია: აფენია, აფარია, აწერია... ამ ზმნათა შორის სხვაობა ისაა, რომ დროის ერთსა და იმავე მომენტში – ახლანდელ დროში ერთი აშკარად გვიჩვენებს მოქმედების პროცესს (ეფინება), ხოლო მეორე მიუთითებს შედეგზე (აფენია = დაფენილი არის).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სტატიკურობა-დინამიკურობა თავისი არსით უფრო ძვე-

ლია, ვიდრე გვარის კატეგორია. სანამ ქართულ ზმნაში გვარის კატეგორია ჩამოყალიბდებოდა, მანამდე ზმნები ერთმანეთს უპირისპირდებოდა დინამიკურობა-სტატიკურობით, რასაც ადასტურებს სხვა კავკასიურ ენათა დღევანდელი ვითარებაც. მაგალითად, დღეს აფხაზურ-ადიღეურსა და სხვა კავკასიურ ენებში გარჩეულია დინამიკურობა-სტატიკურობა, თუმცა ვნებითი გვარი ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული.

არნ. ჩიქობავას მიხედვით, ქართულში ყველა ზმნა იყოფა ორ ჯგუფად: დინამიკურად და სტატიკურად. პირველს მიეკუთვნება ყველა მოქმედებითი გვარის ზმნა, აგრეთვე ე.წ. დინამიკური ვნებითები, ხოლო სტატიკურია ე.წ. „სტატიკური ვნებითები“, „საშუალი გვარის“ ის ზმნები, რომლებიც მოქმედების შედეგზე მიუთითებენ (დგას, წევს, ზის...) და ე.წ. „მედიოაქტივები“, რომელთაც მეცნიერი ისტორიულად უგვარო სტატიკურ ზმნებს უწოდებს. ამ ტიპების ზმნათა სტატიკურად მიჩნევას საფუძვლად უდევს როგორც შინაარსობრივ-სემანტიკური, ისე ფორმობრივი მსგავსება: ვერ აწარმოებენ საკუთარი ფუძით ყველა მწკრივს, არ შეუძლიათ სრული ასპექტის გამოხატვა (რადგან სტატიკური ზმნა განგრძობითი ასპექტისაა; მას არ შეიძლება ჰქონდეს სრული ასპექტი), ზმნისწინს არ დაირთავენ; თუკი დაერთო, მხოლოდ გეზსა და ორიენტაციაზე მიუთითებს; აწმყოს მწკრივში წარმოდგენილი არიან მეშველი ზმნით... სტატიკური ზმნა, რომელიც გამოხატავს საგნის ან მოქმედების მდგომარეობას (გდია, ხატია... კანკალებს, ყვირის, ცხოვრობს) ასახავს ენის განვითარების უძველეს საფეხურს და ძირითადი ლექსიკური ფონდის უძველეს ნაწილს, ამიტომაც არის ღარიბი კატეგორიებით.

არნ. ჩიქობავას ეს თვალსაზრისი მართებულად მიაჩნიათ აგრეთვე სხვა მეცნიერებს (ქ. ლომთათიძე, გ. მაჭავარიანი, ნ. ნათაძე, დ. მელიქიშვილი, ზ. ჭუმბურიძე, ბ. ჯორბენაძე, მ. სუხიშვილი...).

7.14.4. მოქმედებითი გვარი. კონვერსია

მოქმედებითი გვარის ზმნა ყველა გარდამავალია, ორპირიანი ან სამპირიანი: აშენებს ის მას, ათბობს ის მას, წერს ის მას, ხატავს ის მას... უმზადებს ის მას მას, უგზავნის ის მას მას, აცნობს ის მას მას... მაგრამ ყველა გარდამავალი ზმნა არ არის მოქმედებითი. ასეთია **იცის** და **უწყის** (მან ის). ეს ზმნები იმდროინდელი წარმონაქმნია, როცა ზმნას გვარის კატეგორია არ მოეპოვებოდა და, შესაბამისად, საპირისპირო ფორმა – ვნებითი ან საშუალი აღარ განუვითარებიათ (არნ. ჩიქობავა).

მოქმედებითი გვარის ზმნას გვარის ნიშანი არა აქვს. იგი გამოიცნობა გარდამავლობით, თუმცა ვარაუდობენ, რომ ისტორიულად მოქმედებითის ნიშანი უნდა ყოფილიყო **ა**-პრეფიქსი (ა-დენს ის მას, ა-ჩენს ის მას), რომელიც თავდაპირველად გარდამავლობას აღნიშნავდა.

ქართული აქტიური ბუნების ენაა – ზმნათა დიდი უმრავლესობა მოქმედებითი გვარისაა, თუმცა თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით სამეცნიერო და ტექნიკურ ლიტერატურაში, გახშირდა პასიური კონსტრუქციების გამოყენების შემთხვევებიც. ამ ტენდენციას აძლიერებს ევროპული ენებიდან დიდძალი ლიტერატურის თარგმნა.

ა. შანიძის აზრით, ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნა უპირისპირდება ვნებითს. მათ შორის ურთიერთობა ისეთია, რომ ადვილად შეიძლება ზმნის გადაყვანა ერთი გვარიდან მეორეში. ამ მოვლენას **კონვერსია** ანუ **მობრუნება** ჰქვია.

კონვერსიისათვის ამოსავალია მოქმედებითი გვარი, ვნებითი მისი მობრუნებული სახეა. ამ დროს ცვლილებას განიცდის **S** და პირდაპირი **O**. თუ მოქმედებითი გვარის ზმნას ვნებითში გადავიყვანთ, მაშინ პირდაპირი **O** იქცევა ვნებითის სუბიექტად, მოქმედებითის **S** დაიკარგება, ირიბი **O** კი უცვლელად გადავა. მაგალითად:

S **O^{i}** **O^{d}**
უზრდის ის მას მას (დედა შვილს სამშობლოს) – მოქმედებითი გვარი

S O^{i}

ეზრდება ის მას (შვილი სამშობლოს) – ვნებითი გვარი

თუ ვნებითი გვარის ზმნას გადავიყვანთ მოქმედებითში, მაშინ ვნებითის **S** იქცევა მოქმედებითის პირდაპირ ობიექტად, გაჩნდება ახალი **S**, ირიბი უცვლელად გადავა:

grS grO

ეწერება ის მას (წერილი შვილს) – ვნებითი გვარი

S O^{i} O^{d}

უწერს ის მას მას (დედა შვილს წერილს) – მოქმ. გვარი

ზოგ შემთხვევაში მოქმედებითის კონვერსიული შეიძლება იყოს საშუალი გვარიც: ადუღებს ის მას – დუღს ის.

კონვერსიის დროს იცვლება პირთა რაოდენობა: ემატება ან აკლდება სუბიექტი.

სხვა ენებში, რომლებშიც მოქმედებითი გვარის ზმნა ერთპირიანია, მორფოლოგიური განსხვავება აქტივსა და პასივს შორის დამყარებულია მხოლოდ იმაზე, რომ მოქმედებითი გვარის საპირისპირო ფორმას ვნებითის შინაარსი აქვს, ქართულში კი აქტივი ყოველთვის ერთი პირით მეტია პასივზე.

მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტი ბრუნვაცვალებადია. მისი ბრუნვებია:

სახელობითი: აქებს **ის** მას (ლექტორი სტუდენტს) – I სერია

მოთხრობითი: აქო **მან** ის (ლექტორმა სტუდენტი) – II სერია

მიცემითი: უქია **მას** ის (ლექტორს სტუდენტი) – III სერია

მოქმედებითი გვარის ზმნა უღლებადი სიტყვაა, იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით. მისი უღლების წესი სამივე სერიაში ერთნაირი არაა: I სერიის ყველა მწკრივისათვის ამოსავალია აწმყო, II სერიისათვის – წყვეტილი, III კი ამოსავლად იყენებს ხან I სერიას და ხან – II სერიას. III სერიაში მოქმედებითი გვარის ზმნები ინვერსიულია; არ გვხვდება სამპირიანი ზმნა, საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო ქცევაც არ განირჩევა (ზმნის ფორმაში წარმოდგენილი **ი-** და **უ-** პრეფიქსები უფუნქციოა) (უღლების ნიმუში იხ. გვ. 276-278).

7.14.5. ვნებითი გვარი

ვნებითი გვარის ზმნა გარდაუვალია, შეიძლება იყოს ერთპირიანი ან ორპირიანი. ა. შანიძის კვალიფიკაციით, იგი ორგვარია: დინამიკური და სტატიკური.

დინამიკური ვნებითი. წარმოების მიხედვით დინამიკური ვნებითი არის ნიშნიანი და უნიშნო. ნიშნიანი ვნებითი შეიძლება იყოს პრეფიქსიანი და სუფიქსიანი.

პრეფიქსიანი ვნებითის ნიშნებია **ი-** და **ე-. ი-** ნიშნიანს **ინიანი** ვნებითი ჰქვია, **ე-** ნიშნიანს – **ენიანი.**

ინიანი ვნებითი ერთპირიანია. მათი უმრავლესობა პირველადი ზმნაა, იშვიათად შეიძლება იყოს ნასახელარიც: ი-ხატება (ის), ი-მალება, ი-ზრდება, ი-წერება... ი-ნომრება, ი-ბეჭდება...

ენიანი ვნებითი ორპირიანია: ე-ხატება (ის მას), ე-მალება, ე-ზრდება, ე-წერება... გამონაკლისის სახით დღეს არსებობს რამდენიმე ერთპირიანი ზმნაც: დაეცა ის (მიწაზე), დაემხო ის (მაგიდაზე), გაემართა ის (ქალაქში)... ისტორიულად ისინიც ორპირიანები იყვნენ და შემდგომ დაკარგეს ერთი პირი (რომლის აღდგენაც შესაძლებელია); მეორე მხრივ, ზოგიერთი ენიანი ვნებითი თანამედროვე ქართულში სამპირიანი გახდა.

სუფიქსიანი ვნებითის ნიშანია **-დ**; შესაბამისად, მას **დონიანი** ვნებითიც ჰქვია. დონიანი ვნებითი ერთპირიანია ან ორპირიანი: ა) წითლ-დ-ება, თეთრ-დ-ება, ბერ-დ-ება... ბ) უ-წითლ-დ-ება, უ-თეთრ-დ-ება, უ-ბერ-დ-ება...

სუფიქსიანი ვნებითის უმრავლესობა იწარმოება სახელებისაგან, ამიტომ მათ ნასახელარ ვნებითსაც უწოდებენ. მაგალითად: დიდ-ი > დიდ-დ-ება, შავ-ი > შავ-დ-ება, სამ-ი > გასამ-დ-ა... გამონაკლისია რამდენიმე პირველადი ზმნა: შენ-დ-ება, კეთ-დ-ება, ტყ-დ-ება, ჩერ-დ-ება.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ვნებითის სუფიქსური წარმოება გვიანდელია პრეფიქსულთან შე-

დარებით. იგი ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდგომდროინდელ მოვლენადაა ჩათვლილი სვანურისა და მეგრულის ჩვენებათა მიხედვით (სუფიქსური წარმოება საერთოდ არ ჩანს სვანურში, მეგრულშიც აქა-იქ გამოვლენილი დონიანი ვნებითის ფორმები ივარაუდება ქართულიდან მოგვიანებით შესულად). ამ ასპექტით ვნებითის წარმოებაში მომხდარი ოდინდელი ცვლილების პროცესი ასახულია დღემდე შემორჩენილ გაეხარა || გაეხარდა || გაუხარდა, შეეშინა || შეეშინდა || შეშინდა, შეეეჭვა || შეეჭვდა ზმნათა პარალელურ ფორმებში. ოდენპრეფიქსული ფორმები ჯერ კიდევაა დაცული დიალექტებში, ხოლო სალიტერატურო ენაში ძირითადად მართებულად არის მიჩნეული სუფიქსიანი გაუხარდება, გაუხარდა (გამიხარდა, გაგიხარდა)... თუმცა ზოგიერთ ზმნასთან დაშვებულია პარალელიზმიც: შეეშინდა || შეშინდა... (ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი). ამგვარივე კანონზომიერი ფორმები ჩანს: დაესახლა || დასახლდა, დაეფუძნა || დაფუძნდა...

უ ნ ი შ ნ ო ვნებითს გვარის მაწარმოებელი არა აქვს, თუმცა ვნებითობის ყველა სხვა ნიშანი მოეპოვება. იგი ერთპირიანია ან ორპირიანი: ა) ქრება, დნება, ხმება, ჭკნება... ბ) უქრება, უდნება, უხმება, უჭკნება...

უნიშნო ვნებითი არაპროდუქტიულია. იგი უძველესი წარმოშობისაა, დღემდე შემონახულია მხოლოდ რამდენიმე ფუძე. ვარაუდობენ, რომ ამ ტიპის ზმნები იმდროინდელია, როცა გვარის კატეგორია არ არსებობდა. ისინი, როგორც ერთპირიანი დინამიკური უგვარო ზმნები, უპირისპირდებოდნენ უგვარო სტატიკურ ზმნებს; მათ შემდგომშიც ვერ შეძლეს გვარის ნიშნის დართვა, თუმცა იმასაც მიუთითებენ, რომ თანამედროვე ქართულში აშკარად ჩანს ტენდენცია **თბება** ტიპის ზმნათა ნამდვილ ვნებითად გადაქცევისა. მაგალითად, დიალექტებში **თვრება** წარმოდგენილია **ითვრება** ფორმით (ქ. ლომთათიძე).

დინამიკურ ვნებითს გვარის ნიშნები აქვს I-სა და II სერიაში, III-ში არ გადაჰყვება. მაგალითად:

I სერია:	ვ-**ი**-მალებ-ი	ვ-**ე**-ზრდებ-ი	ვ-თეთრ-**დ**-ები
II სერია:	და-ვ-**ი**-მალ-ე	გა-ვ-**ე**-ზარდ-ე	გა-ვ-თეთრ-**დ**-ი
III სერია:	და-ვ-მალულ-ვარ	გა-ვ-ზრდი-ვარ	გა-ვ-თეთრებულ-ვარ

III სერიისათვის ამოსავალია საუღლებელი ზმნის საწყისი ან მიმღეობა, რომელთაც არ გააჩნიათ გვარის ნიშანი.

ყველა ტიპის დინამიკური ვნებითი ერთნაირად იუღლება I-სა და II სერიაში, მნიშვნელობა არა აქვს პირთა რაოდენობას; საერთო აქვთ სავრცობი (**-ოდ**) და მწკრივის ნიშნები (**-ი, -ე, -ო**), მაგრამ III სერიაში წარმოება განსხვავებულია პირთა მიხედვით, კერძოდ:

1) ერთპირიანი ზმნების წარმოება აღწერითია: საუღლებელი ზმნის მიმღეობას ემატება მეშველი ზმნა. მიმღეობა საერთოა სამივე მწკრივისათვის, განსხვავებას ქმნის მხოლოდ მეშველი ზმნა (**ვარ, ხარ, არის**), რომელიც იცვლება მწკრივების შესაბამისად.

2) ორპირიანი დინამიკური ვნებითები III სერიას შერეულად აწარმოებენ: I შედეგობითს – აღწერითად, II შედეგობითსა და III კავშირებითს – ორგანულად, მეშველი ზმნა არ ერთვის (უღლების ნიმუში იხ. გვ. 278).

სტატიკური ვნებითი. სტატიკური ვნებითი შინაარსით გამოხატავს მოქმედების შედეგს. იგი ერთპირიანია ან ორპირიანი: ა) გდია, ყრია, ხატია, წერია... ბ) აფენია, ახატია, აწერია, აყრია... ასეთი ზმნები მნიშვნელობით უტოლდება შედგენილ შემასმენელს: ხატია = დახატული არის, თესია = დათესილი არის.

სტატიკურ ზმნათა რაოდენობა ქართულში მცირეა. ა. შანიძის მიხედვით, მათი რიცხვი დაახლოებით 120-მდე აღწევს. სტატიკური ზმნები აგებულებით სხვადასხვაგვარია, წარმოებაც განსხვავებული აქვთ დინამიკურთან შედარებით.

სტატიკურ ვნებითს ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი:

1) ზმნისწინს არ დაირთავს, უასპექტოა.

2) საკუთარი ფორმით ეწარმოება მხოლოდ აწმყოს მწკრივი; მყოფადის წრეს, II და III სერიებს ივსებს შესაბამისი ფუძის დინამიკური **ენიანი** ვნებითისაგან სესხების გზით, ოღონდ უზმნისწინოდ; უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი საერთოდ არა აქვს;

3) აწმყოს მწკრივის I-სა და II პირებში დაირთავს მეშველ ზმნას, რომელიც ძველ ქართულში არ გამოიყენებოდა. მის ნაცვლად ზმნას მოუდიოდა **-იე** დაბოლოება. მაგალითად, ძველად იყო: ვწერიე მე, სწერიე შენ, წერიეს იგი. დღეს არის: ვწერივარ, წერიხარ, წერია. ამგვარი ფორმები ძველ წერილობით ძეგლებში X-XI საუკუნეებიდან დასტურდება. საერთოდ, III პირში სტატიკური ზმნა **-ია**-ზე ბოლოვდება, გამონაკლისია რამდენიმე ფორმა: **აკრავს, ახურავს, უჭირავს...**, თუმცა ამ ზმნებშიც, სხვა სტატიკურთა ანალოგიით, სასაუბრო ენაში **-ავ**-ის ნაცვლად არის **-ია:** აკრია, ახურია, უჭერია...

აქვე შევნიშნავთ, რომ დღეს დიალექტებში აშკარად შეიმჩნევა სტატიკურ ზმნათა გამოყენების არეალის გაფართოების ტენდენცია ე. წ. მედიოპასივთა ხარჯზე: წევს – წვია, დგას – დგია, ზის – ზია / ჯდია, დევს – დვია, უყვარს – უყვარია, სძულს – სძულია და მისთ.

უღლების ნიმუშები

I სერია

აწმყოს წრე

	ერთპირიანი სტატიკური	ორპირიანი დინამიკური
აწმყო:	ვ-წერი-ვარ/-თ	ვ-ე-წერ-ებ-ი/-თ
უწყვეტ.:	–	ვ-ე-წერ-ებ-ოდ-ი/-თ
აწმყ. კავშირ.:	–	ვ-ე-წერ-ებ-ოდ-ე/-თ

მყოფადის წრე

მყოფადი:	ვ-ე-წერ-ებ-ი/-თ	ჩა-ვ-ე-წერ-ებ-ი/-თ
ხოლმ.:	ვ-ე-წერ-ებ-ოდ-ი/-თ	ჩა-ვ-ე-წერ-ებ-ოდ-ი/-თ
მყოფ. კავშ.:	ვ-ე-წერ-ებ-ოდ-ე/-თ	ჩა-ვ-ე-წერ-ებ-ოდ-ე/-თ

II სერია

წყვეტილი:	ვ-ე-წერ-ე/-თ	ჩა-ვ-ე-წერ-ე/-თ
II კავშირ.:	ვ-ე-წერ-ო/-თ	ჩა-ვ-ე-წერ-ო/-თ

III სერია

I შედეგ.:	ვ-წერებულ-ვარ/-თ	ჩა-ვ-წერი-ვარ/-თ
II შედეგ.:	ვ-წერებულ-იყავ(ი)/-თ	ჩა-ვ-წერ-ოდ-ი/-თ
III კავშირ.:	ვ-წერებულ-იყო/-თ	ჩა-ვ- წერ-ოდ-ე/-თ

ორპირიანი სტატიკური ვნებითის უღლება ერთპირიანისაგან განსხვავებულია აწმყოს მწკრივსა და III სერიაში, ხოლო ერთნაირია მყოფადის წრესა და II სერიაში:

აწმყო: ვ-უ-წერ-ი-ვარ/-თ მე/ჩვენ მას, შდრ. ვ-წერ-ი-ვარ/-თ მე/ჩვენ

	სტატიკური	დინამიკური
I შედეგ.:	ვ-ს-წერებ-ი-ვარ/-თ	ჩა-ვ-წერი-ვარ/-თ
II შედეგ.:	ვ-ს-წერებ-ოდ-ი/-თ	ჩა-ვ-წერ-ოდ-ი/-თ
III კავშირ.:	ვ-ს-წერებ-ოდ-ე/-თ	ჩა-ვ-წერ-ოდ-ე/-თ

მაშასადამე, სტატიკური ვნებითის წარმოებისათვის ამოსავალია შესაბამისი ფუძის **ენიანი** ვნებითი: რაც ენიანი ვნებითის აწმყოს წრეა, ის არის სტატიკურის მყოფადი, II და III სერიებში ორივე ტიპის წარმოება მთლიანად ემთხვევა, განსხვავდებიან მხოლოდ ზმნისწინით.

აღწერილობითი ვნებითი. ვნებითის ნიუანსები. ზოგიერთ ზმნას არ უხერხდება ვნებითის ფორმათა წარმოე-

ბა. ამიტომ მათს მაგივრობას ეწევა ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ანუ პ ე რ ი ფ რ ა ს ტ უ ლ ი ვნებითი, რომელიც მიიღება ასე: საუღლებელი ზმნა წარმოდგენილია მიმღეობის სახით, მწკრივის წარმოება კი დაკისრებული აქვს **იქნება/იქნა** მეშველ ზმნას.

აღწერილობითი ვნებითი გვხვდება მხოლოდ ერთპირიან სრულასპექტიან ზმნებში, ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს აწმყოს წრეში. აღწერილობითი ვნებითი არ არჩევს სულიერსა და უსულოს. მაგალითად:

თანხა გაღებულ იქნა – ძმა გაგზავნილ იქნა

ტვირთი გატანილ იქნება – დედა წაყვანილ იქნება...

მიმღეობა მეშველ ზმნას შეეწყობა ფუძის სახით.

აღწერილობითი ვნებითი მეტწილად გამოიყენება წაყვანა, გატანა, გაღება, შეძენა და მსგავს ზმნებთან, მაგრამ თანამედროვე ქართულში ასეთი ფორმები თანდათან იფართოებს გამოყენების არეს. აღწერითად შეიძლება გამოვლინდეს ორგანული წარმოების ვნებითიც. მაგალითად: დალაგებულ იქნა || დალაგდა, გაკეთებულ იქნა || გაკეთდა, გამზადებულ იქნა || გამზადდა...

ვნებითის ნიუანსები. გამომსახველობითი ნიუანსების მიხედვით გამოყოფენ ვნებითის ოთხ ჯგუფს: შესაძლებლობის, მიჩნევის, გუნების, უნებლიობის ვნებითებს (ა. შანიძე).

შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს (პოსიბილიტური) ვნებითის ფორმა აღნიშნავს, რომ მოქმედება შესაძლებელია (ფიზიკურად), დაშვებულია, ნებადართულია: იჭმება [იჭმევა] (ის), ისმება [ისმევა][1], გვეცხოვრება, დაგვედგომება... ეჭმევა (ის მას), ესმევა... ერთპირიანიცაა და ორპირიანიც.

მ ი ჩ ნ ე ვ ი ს ვნებითის ფორმა მიუთითებს, თუ რად მიაჩნია გრამატიკული **S** გრამატიკულ **O**-ს. ასეთი ზმნა მხოლოდ

[1] ბ. ჯორბენაძის დაკვირვებით, ვნებითი გვარის ფორმები: იჭმება || იჭმევა, ისმება || ისმევა ფაქტობრივად იდენტურია გრამატიკული სემანტიკის მიხედვით (არც იჭმება, არც ისმება. შდრ. არც იჭმევა, არც ისმევა). მაგრამ პარალელური ფორმების პოვნიერება ხელს უწყობს სემანტიკური სხვაობის დამყარებას. **იჭმება** საკუთრივ ვნებითის ფუნქციას იმკვიდრებს, **იჭმევა** პოტენციალისას; ფორმობრივ კი ეს გაირჩევა **ებ, ევ** ფორმანტებით.

ორპირიანი და ნასახელარია, წარმოდგენილია ვნებითის **ე-** ნიშნით: ედიდება, ეპატარავება, ებევრება, ეცოტავება...

გ უ ნ ე ბ ი ს ვნებითით ნაჩვენებია, რომ ადამიანის სულიერი განწყობილება მიმართულია ზმნით აღნიშნული მოქმედებისაკენ. ასეთი ვნებითი ორპირიანია, **ე**-თი ნაწარმოები; პირველადიცაა და ნასახელარიც: მეცინება, მეტირება, მემღერება, მეხალისება...

უ ნ ე ბ ლ ი ო ბ ი ს ვნებითი ისეთ მოქმედებას აღნიშნავს, რომელიც წინასწარ არ არის განზრახული, იგი შეიძლება მოხდეს სუბიექტის უნებურად. ასეთებია: შემომეხარჯა (ფული), შემოატყდა (ჭიქა), შემოეჭამა (ხილი)...

უნებლიობის მაწარმოებლად მიჩნეულია **შემო** ან **წა(მო)** ზმნისწინები (შემომელანძღა, წამომცდა, ხელი წამცდა...). უნებლიობის, როგორც ენობრივი მოვლენის, კვალიფიკაციის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებანიც. მაგალითად, ალ. ფოცხიშვილის აზრით, უნებლიობა არ არის ვნებითის ნიუანსი; იგი უნდა ჩაითვალოს ზმნის ერთ-ერთ ლექსიკურ-გრამატიკულ კატეგორიად, როგორც გვარი, ქცევა, კონტაქტი, და გამოიყოს გვარის შემდეგ... უნებლიობა საკმაოდ გავრცელებულია ენაში. იგი ვნებითის გარდა მოეპოვება მოქმედებითი გვარის ზმნებსაც. რ. ზექალაშვილის დაკვირვებით, უნებლიობა არის არა ცალკე გრამატიკული კატეგორია, არამედ მოდალობის, როგორც სემანტიკური კატეგორიის, ერთ-ერთი ნიუანსია.

7.14.6. საშუალი გვარი

ზმნის გვარის სახეთაგან განსაკუთრებით თავისებური და პრობლემურია საშუალი გვარი. იგი ვერ ქმნის სრულყოფილ პარადიგმას (ვერ აწარმოებს მწკრივის ყველა ფორმას) და არ გააჩნია საკუთარი ადგილი ზმნის უღლების სისტემაში... სწორედ ამიტომ იქცა საშუალი გვარი ლინგვისტიკაში ერთ-ერთ ყველაზე სადავო საკითხად. მაგალითად, არნ. ჩიქობავა მას საერთოდ არ მიიჩნევს გვარის დამოუკიდებელ სახედ და ზოგადად უწოდებს უ გ ვ ა რ ო ს ტ ა ტ ი კ ურ ზმნას.

საშუალი გვარის ზმნა გარდაუვალია, შეიძლება იყოს ერთპირიანი (დგას, წევს, დუღს, ჭიკჭიკებს...) ან ორპირიანი (უწუხს, უყვარს, მოსწონს...).

საშუალი გვარის გამოყოფის საფუძველი არსებითად ფუნქციურია. იგი გვიჩვენებს, რომ სუბიექტი მოქმედებს, მაგრამ არ მოეპოვება სამოქმედო ობიექტი; ამიტომაა, რომ ასეთი ზმნები ერთმანეთისაგან განსხვავდება ფორმობრივ-სემანტიკურად: ზოგი ფორმით მოქმედებითს ჰგავს, ფუნქციით – ვნებითს. ზოგიერთი მათგანი სტატიკურთა მსგავსად მიუთითებს შედეგზე (წევს = დაწოლილი არის, დგას = დამდგარია...). ამ ჯგუფის ზმნებს მაწარმოებელი ნიშანი არა აქვს.

საშუალი გვარის ზმნას ახასიათებს თავისებურებანი:

1) არ დაირთავს ზმნისწინს და ასპექტსაც ვერ აწარმოებს (უასპექტოა). მცირე ნაწილს ზმნისწინი აქვს მხოლოდ მიმართულების გამოსახატავად (მიდის – მოდის, შევიდა – გავიდა...).

2) არის მწკრივნაკლი: საკუთარი აქვს მხოლოდ აწმყოს მწკრივი ან აწმყოს წრე, დანარჩენ ფორმებს ივსებს შესაბამისი ფუძის მოქმედებითი ან ვნებითი გვარის ზმნათაგან.

ნასესხებ ფორმათა მიხედვით, ა. შანიძემ საშუალი გვარის ზმნები დაყო ორ ჯგუფად. ესენია: საშუალ-მოქმედებითი (მედიოაქტივი) და საშუალ-ვნებითი (მედიოპასივი).

მ ე დ ი ო ა ქ ტ ი ვ ი ა ზმნა, რომელიც დანაკლის მწკრივებს ივსებს მოქმედებითი გვარისაგან სასუბიექტო ქცევის ფორმით, ოღონდ პირდაპირი ობიექტის გამორიცხვით. ამის გამო მედიოაქტივები ავლენენ მოქმედებითის თვისებებს: **S II** სერიაში მოთხრობითშია, **III**-ში – მიცემითში; განსხვავება ისაა, რომ მედიოაქტივს არ შეეწყობა პირდაპირი **O** და ქცევის გაგება არა აქვს (ზმნის ფორმაში წარმოდგენილი **ი**- პრეფიქსი უფუნქციოა).

მედიოაქტივ ზმნათა რიცხვი დიდია. ასეთებია: ძირითადად **მეფობს, დუღს, წვიმს** ტიპისა, აგრეთვე: ა) **-იალ**-ზე დაბოლოებული (სრიალებს, ტრიალებს...), ბ) ხმიანობის გამომ-

ცემი (გალობს, ჭიკჭიკებს...) და გ) მეორეული წარმოშობის ზმნებიც (თევზაობს, გორაობს)...

უღლების ნიმუში

მედიოაქტივი	მოქმედებითი გვარი
აწმყო: დულ-ს (ის)	ი-დულ-ებ-ს (ის მას)
უწყვეტ.: დულ-დ-ა	ი-დულ-ებ-დ-ა
აწმყ. კავშ.: დულ-დ-ეს	ი-დულ-ებ-დ-ეს
მყოფადი: ი-დულ-ებ-ს	ა-ი-დულ-ებ-ს
ხოლმ.: ი-დულ-ებ-დ-ა	ა-ი-დულ-ებ-დ-ა
მყოფ. კავშ.: ი-დულ-ებ-დ-ეს	ა-ი-დულ-ებ-დ-ეს
წყვეტილი: ი-დულ-ა (მან)	ა-ი-დულ-ა (მან ის)
II კავშ.: ი-დულ-ო-ს	ა-ი-დულ-ო-ს
I შედეგ. უ-დულ-ი-ა (მას)	ა-უ-დულ-ებ-ი-ა (მას ის)
II შედეგ. ედულა	ა-ე-დულ-ებ-ი-ნ-ა
III კავშ. ედულ-ო-ს	ა-ე-დულ-ებ-ი-ნ-ო-ს

მაშასადამე, მედიოაქტივს საკუთარი აქვს აწმყოს წრე, დანარჩენი შევსებულია მოქმედებითისაგან. კერძოდ: რაც მოქმედებითის აწმყოა, ის მედიოაქტივის მყოფადის წრეა, II სერიას განასხვავებს მხოლოდ ზმნისწინი, III-ს კი – თემის ნიშანი. ამ ორი გვარის ზმნებს შორის საერთოა ბრუნვაცვალებადი სუბიექტი, სავრცობი და მწკრივის ნიშნები. გარდა ამისა, მედიოაქტივის (ნასესხებ) ფორმაში თავს იჩენს **ი-** პრეფიქსი, რომელიც უფუნქციო ხდება, რადგან მას პირდ. **O** არ შეეწყობა; მედიოაქტივების აწმყოსა და მყოფადის წრე ზოგჯერ განსხვავებულია თემის ნიშნებითაც: ცხოვრობს – იცხოვრებს. II და III სერიებს მედიოაქტივები ისევე აწარმოებენ, როგორც შესაბამისი ფუძის მოქმედებითი გვარის ზმნები (პირდ. **O**-ის გარეშე).

მ ე დ ი ო პ ა ს ი ვ ი ზმნა დანაკლის ფორმებს ივსებს ვნებითისაგან. ასეთ ზმნათა რიცხვი გაცილებით მცირეა (დგას, წევს, ზის, უყვარს, სძინავს...), თუმცა ფორმობრივ-სემანტიკურად უფრო მრავალფეროვანია.

ისინი ძირითადად გამოხატავენ:

ა) მდგომარეობას: დგას, ზის, წევს[1]...

ბ) გრძნობას: უყვარს, სძულს, მოსწონს...

გ) ყოლა-ქონებას: აქვს, ჰყავს

დ) სხვადასხვა შინაარსს: ღირს, სძინავს, სწამს, სჯერა...

მედიოპასივი ზმნები ერთმანეთისაგან მწკრივთა წარმოებითაც განსხვავდება. გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

1) აკლიათ უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი;

2) აკლიათ II სერიის მწკრივები.

მედიოპასივებს ძველად მარტივი უღლება ჰქონდათ, შემდგომ მათი ფორმა უფრო გართულდა I-სა და II პირებში მეშველი ზმნის დართვით: ვდგა-ვარ, ვზი-ვარ... < ძვ. ქართ. ვდგა, ვზი...

მედიოპასივები უღლების დროს დანაკლისი მწკრივების საწარმოებლად იყენებენ ვნებითებს: ერთპირიანი – ინიანს, ორპირიანი – ენიანს. მწკრივის ნიშნები და სავრცობი საერთოა.

უღლების ნიმუში

	ერთპირიანი	ორპირიანი
აწმყო:	ვ-დგა-ვ-არ/-თ	ვ-უ-ყვარ-ვარ/-თ
	დგა-ხ-არ/-თ	უ-ყვარ-ხარ/-თ
	დგა-ს/-ნ-ან	უ-ყვარ-ს/-თ
უწყვეტ.:	—	ვ-უ-ყვარ-დ-ი/-თ
		უ-ყვარ-დ-ი/-თ
		უ-ყვარ-დ-ა/-თ

[1] სპეციალურ ლიტერატურაში ამ ტიპის ზმნათა აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი „მდგომარეობითი ზმნები“ (ბ. ჯორბენაძე).

აწმყ. კავშ.:	—	ვ-უ-ყვარ-დ-ე/-თ უ-ყვარ-დ-ე/-თ უ-ყვარ-დ-ე-ს/-თ
მყოფადი:	ვ-ი-დგებ-ი/-თ ი-დგებ-ი/-თ ი-დგ-ებ-ა/ი-ან	ვ-ე-ყვარ-ებ-ი/-თ ე-ყვარ-ებ-ი/-თ ე-ყვარ-ებ-ა/-თ
ხოლმ.:	ვ-ი-დგებ-ოდ-ი/-თ ი-დგებ-ოდ-ი/-თ ი-დგ-ებ-ოდ-ა/-ნენ	ვ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ი/-თ ე-ყვარ-ებ-ოდ-ი/-თ ე-ყვარ-ებ-ოდ-ა/-თ
მყოფ. კავშ.:	ვ-ი-დგებ-ოდ-ე/-თ ი-დგებ-ოდ-ე/-თ ი-დგ-ებ-ოდ-ე-ს/-ნენ	ვ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ე/-თ ე-ყვარ-ებ-ოდ-ე/-თ ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-ს/-თ
წყვეტ.:	ვ-ი-დექ-ი/-თ ი-დექ-ი/-თ ი-დგ-ა/ -ნენ	– – –
II კავშ.:	ვ-ი-დგ-ე/-თ ი-დგ-ე/-თ ი-დგ-ე-ს/-ნენ	– – –
I შედეგ.	ვ-მდგარ-ვ-არ/-თ მდგარ-ხარ/-თ მდგარ-ა/-ან	ვ-ყვარები-ვ-არ/-თ ჰ-ყვარები-ხ-არ/-თ ჰ-ყვარები-ა/-თ
II შედეგ.	ვ-მ-დგარ-ი-ყავ(ი) /-თ მ-დგარ-ი-ყავ(ი) /-თ მ-დგარ-იყო/-ნენ	ვ-ყვარებ-ოდ-ი/-თ ჰ-ყვარებ-ოდ-ი/-თ ჰ-ყვარებ-ოდ-ა/-თ
III კავშ.	ვ-მ-დგარ-იყო/-თ მდგარ-იყო/თ მდგარ-იყო-ს/-ნენ	ვ-ყვარებ-ოდ-ე/-თ ჰ-ყვარებ-ოდ-ე/-თ ჰ-ყვარებ-ოდ-ე-ს/-თ

მედიოპასივ ზმნათა უღლება შესაბამისი ვნებითის მსგავსად III სერიაში განსხვავებულია პირთა რაოდენობის მიხედვით. საშუალი გვარის ზოგიერთ ზმნას მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები აქვს: ჩანს, მწიფს, დუმს, ყვავის...

დღეს ზეპირ მეტყველებაში, განსაკუთრებით დასავლურ დიალექტებში, შეიმჩნევა ზოგიერთი მედიოპასივი ზმნის: წევს, დგას, ზის, დევს, უყვარს... პარალელური ფორმები: წვია, დგია, ზია/ჯდია, დვია, უყვარია... ჩანს, უნიფორმაციის ტენდენციით, სტატიკურობის სემანტიკის გამოსახატავად ენა ყველა ტიპის ზმნაში იყენებს **-ია** დაბოლოებიან ყალიბს (შდრ. აფენია, ხატია...).

მედიოაქტივ და მედიოპასივ ზმნათა გასარჩევად არსებობს პრაქტიკული წესი: თუ გამოსაცნობი ზმნის სუბიექტი II სერიაში მოთხრობით ბრუნვაში ჩადგება, მაშინ ზმნა მედიოაქტივია, თუკი ბრუნვა არ შეიცვალა (ისევ სახელობითში დარჩა), მედიოპასივი იქნება:

ცხოვრობს ის – იცხოვრა მან (მედიოაქტივი)
შდრ. დგას ის – იდგა ის (მედიოპასივი).

7.14.7. გვარის ფორმათა წარმოების ზოგიერთი თავისებურება მართლწერის საკითხებითურთ

1. უ გ ვ ა რ ო ზ მ ნ ე ბ ი. როგორც უკვე აღინიშნა, ტრადიციული თვალსაზრისის მიხედვით, ქართულში გვარის კატეგორია კარგადაა ჩამოყალიბებული. ზმნათა უმრავლესობას მოეპოვება საპირისპირო ფორმები, ზოგი მათგანი სათანადო აფიქსითაცაა გამოხატული. მაგალითად, **ამწიფებს** მოქმედებითია, **მწიფდება** – ვნებითი, **მწიფს** – საშუალი... მაგრამ ამათ გვერდით გამოიყოფა ზმნები, რომელთაც აკლიათ საპირისპირო ფორმები და არ ხერხდება გვარის რომელიმე სახედ მიჩნევა. ასეთ ზმნებს უ გ ვ ა რ ო ზმნებს უწოდებენ. ესენია: არის, იცის, უწყის, სწამს, ღირს...

შესაძლოა, გვარის ფორმამ ისე იცვალოს შინაარსი,

რომ მნიშვნელობით დასცილდეს ოდესღაც საკორელაციო ფორმებს და ამით სულ გამოვიდეს გვარის კატეგორიიდან. მაგალითად, **გაყო** – მოქმედებითია, **გაიყო** – მისი ვნებითი (ორად გაყო, ორად გაიყო). ერთსაც და მეორესაც ზმნისწინი აქვს. უზმნისწინო **ყო** (შდრ. ცხადყო, ნათელყო...) დღეს ცალკე აღარ იხმარება. დარჩა მისი საპირისპირო **იყო**, მაგრამ მას დაეკარგა ვნებითის მნიშვნელობა, უგვარო გახდა (ა. შანიძე).

ძველ ქართულში **ყო** (ჰყოფს, იყოფის...) და მისი კონვერსიული **იყო** მიუთითებდა ქმნაზე, კეთებაზე, ყოფაზე.

იყო ახალ ქართულში აღარაა ვნებითი გვარისა (თუმცა ზმნაში ისტორიული ნიშანი წარმოდგენილია). იგი უგვაროა, ზოგჯერ მეშველ ზმნადაც გამოიყენება. **იყო არის** ზმნის გაგრძელებაა (აღნიშნავს არსებობას, ყოფნას) და სტატიკურთა პარადიგმაში დგას, სტატიკურობა მისთვის მეორეულია (მ. შინჯიაშვილი).

ი-ყ-ო ფორმაში **ი** ისტორიულად ვნებითის ნიშანია, დღეს კი უფუნქციოა, რადგან ზმნა უგვაროა.

2. დ ე პ ო ნ ე ნ ს ე ბ ი. სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკე გამოყოფენ ისეთ ზმნებს, რომლებშიც **grS** რეალურად მოქმედია: იგინება, ილანძღება, იკბინება, ისწავლება, იფიცება, იძლევა... მათ ფორმა პასივისა აქვთ და მნიშვნელობა – აქტივისა. რადგან ეს ზმნები ვერ თავსდება ზმნის გვარის ტრადიციულ ყალიბში, ამიტომ უწოდებენ მათ დ ე პ ო ნ ე ნ ს ე ბ ს (ა. შანიძე). დ. მელიქიშვილის დაკვირვებით, სწორედ დეპონენსები გვიჩვენებს ტრადიციულ გრამატიკებში აქტივისა და პასივის მიმართების ასპექტით არსებულ წინააღმდეგობას; წინააღმდეგობა ჩანს ასევე **ე** პრეფიქსიან „მეტყველების წრისა" და ვნებითად მიჩნეულ სხვა ზმნებშიც, რომლებიც აქტიურ სუბიექტს შეიცავენ: ეკითხება, უყვება, იტყვის, ეტყვის, აცხრება, ეჩხუბება... ამგვარია ათასობით ზმნა.

3. **დ უ ღ ს** ტ ი პ ი ს ზ მ ნ ე ბ ი. ამ ტიპის ზმნათა ერთი ჯგუფი (დუღს, წუხს, ბიბინებს...) თანამედროვე ქართულში II და III სერიის ნაკლულ მწკრივთა შესავსებად ძველიდან

მომდინარე ე. წ. მედიოაქტივ ფორმათა პარალელურად იყენებს შესაბამისი ფუძის დონიან ვნებითსაც: იდუღა (მან) || ადუღდა (ის), უდუღია (მას) || ადუღებულა (ის); იბიბინა || აბიბინდა, უბიბინია || აბიბინებულა; იწუხა || შეწუხდა, უწუხია || შეწუხებულა... ამგვარ ზმნათა მიხედვითაც, ჩანს, რომ დღეს ენაში აშკარად იკვეთება ტენდენცია – გარდაუვალი ზმნები სამივე სერიაში მოაქციოს წარმოების ერთ ყალიბში (შდრ. დუღ-დ-ება, ადუღ-დ-ა, ადუღებულა; წუხ-დ-ება, შეწუხ-და, შეწუხებულა და მისთ.) და მოხმარების სიხშირის გათვალისწინებით პარალელურ ფორმათაგან უპირატესობა მიანიჭოს დონიან ვნებითს.

გვარის ფორმათა მართლწერა

1) თუ ინიანი ვნებითის ფორმას **მი-** ზმნისწინი დაერთო, თავს მოიყრის ორი **ი:** მი-იმალა, მი-იპარება, მი-იზლაზნება, მი-იწურება, მი-ილევა...

2) ენიანი ვნებითის ფორმაში **შე-** ზმნისწინის დართვისას ორი **ე** უნდა: შე-ე-ჭიდა, შე-ე-პარა, შე-ე-ჩვია. თუ ასეთ შემთხვევაში ზმნის ძირი იწყება **ე** ხმოვნით, მაშინ მოსალოდნელია სამი **ე**: ეჭვი > ეეჭვება > შე-ე-ეჭვა. ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით, მართებულია: **ეეჭვება, ეეჭვა; ეეჭვოს** – უზმნისწინო **ე**ნიანი ვნებითის ფორმები, მაგრამ **შე** ზმისწინის შემთხვევაში **შეეეჭვა**-ს ნაცვალად დასახელებულია შეეჭვდება, შეეჭვდა, რომელშიც ამოსავალია ამ ზმნის პარალელური ფორმა – **დ**ონიანი ვნებითი და არა: **ე**ნიანი.

3) თუ ზმნის ფუძე **დ** თანხმოვანზე ბოლოვდება, ვნებითის **დ** სუფიქსის დართვისას ორი **დ** იქნება: დიდი > დიდ-დ-ება, გულადი > გულად-დ-ება...

4) აღწერილობითი ვნებითის მიმღეობა ფუძის სახით იხმარება, თუ იგი უსწრებს მეშველ ზმნას, მაგრამ, თუკი მოსდევს, მაშინ სახელობითის ფორმაა საჭირო: (თანხა) გა-

ღებულ იქნა, წაკითხულ იქნება/იქნეს... მაგრამ: იქნა გალებული, იქნება/იქნეს წაკითხული.

5) სუბიექტის განცდა-მდგომარეობის გამომხატველ მედიოაქტივ ზმნებთან მეშველი ზმნის გამოყენება არაბუნებრივია. უსიდა იყოს: ვყვირი, ვტირი, ვტკბი, ვკრთი, ვშლერი, ვხტი... და არა: ვყვირივარ, ვტირივარ, ვტკბივარ, ვკრთივარ, ვმღერივარ, ვხტივარ...

7.15. დიათეზა

თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში არსებობს ზმნის უღლებადი ფორმების დაჯგუფების განსხვავებული, მორფოსინტაქსური პრინციპი, რომლის საფუძველზეც დ. მელიქიშვილმა გამოყო დიათეზის გრამატიკული კატეგორია.

ავტორის განსაზღვრებით, **დიათეზა არის გრამატიკულად მარკირებული, სტრუქტურითა და კონსტრუქციის ერთიანობით განსაზღვრული კატეგორია, რომლის სემანტიკური ნიშნით გამოყოფილი ქვესახე არის გვარი**. დიათეზების ფარგლებში გვარი ვერ ჩაითვლება ქართული ზმნის გრამატიკულად მარკირებულ კატეგორიად, რადგანაც მასში შემავალი სამი **სემანტიკურად მარკირებული** გვარის – **ავტოაქტივის** (რეფლექსივის, ე.ი. თვითმოქმედი სუბიექტის მქონე, უკუქცევითი ზმნების), **აქტივისა** და **პასივის** გრამატიკული მახასიათებლები საზიაროა: კერძოდ, ერგატიული კონსტრუქციის ავტოაქტივისა და აქტივის სტრუქტურა (R-Ø)* ერთნაირია. ნომინატიური კონსტრუქციის პასივის, ირიბობიექტიანი აქტივისა და ავტოაქტივის (R-ი) სტრუქტურაც ერთნაირია. კონვერსიით მიღებული ორგანული ფორმა ხშირად არ იძლევა პასიურ შინაარსს. ამიტომ პოლისემიის დასაძლე-

* პირობით ნიშნებში R-ით აღნიშნულია ზმნური ძირი, [th.suf.] ნიშნავს „თემის ნიშნებით" გართულებულ ზმნურ ძირს, ხოლო Ø – ნულოვან სუფიქსს.

ვად საკუთრივ პასივის ფუნქციის გამოსახატავად ძველსავე ქართულში ჩამოყალიბდა ავტოაქტივისა და აქტივისაგან განსხვავებული ფორმა: აღწერითი კონსტრუქცია (ნამყო დრ. მიმღ. + „იქმნა“ მეშვ. ზმნა: განგდებულ ვიქმენი/ იქმნა), რომელიც ისტორიულად მეორეულია და ტიპოლოგიურად არ თავსდება ქართველური ზმნის ამოსავალი სისტემის – დიათეზის ფარგლებში.

დიათეზა საერთოქართველური ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციისათვის ამოსავალი სქემაა, რომელმაც მეგრულსა და ლაზურში ენების განვითარების გზაზე გარკვეული ცვლილებები განიცადა.

უღლების ტიპების კლასიფიკაცია დიათეზის მიხედვით ხდება ქართული ზმნის სტრუქტურისა და კონსტრუქციის ანალიზის საფუძველზე, რაც წარმოაჩენს დიათეზის კატეგორიის კერძო გამოვლინებების (ვერსია, რეფლექსივი, გვარი, კაუზატივი) საფეხურებრივი ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესს. გამოიყოფა დიათეზების სამი ჯგუფი. თითოეული დიათეზა მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობით ხასიათდება.

I დიათეზაში გაერთიანებულია ორი სემანტიკური ქვეჯგუფი: **ავტოაქტიური** (თვითმოქმედი) (ნაკლული კონსტრუქციისაა – არ შეიცავს პირდაპირ ობიექტს) – და **აქტიური** სუბიექტის შემცველი ზმნები, რომელთა ორივე ქვეჯგუფის **grS** ბრუნვაცვალებადია:

სახელობითი: წუხს ის; წერს ის მას – I სერია

მოთხრობითი: იწუხა მან; დაწერა მან ის – II სერია.

ლაბილური კონსტრუქციის ავტოაქტიური ზმნების შინაგანი პირდაპირი ობიექტი ხან ამოტივტივდება, ხან იკარგება. მაგალითად: თამაშობს ის – თამაშობს ის მას, ლაპარაკობს ის – ლაპარაკობს ის მას, სწავლობს ის – სწავლობს ის მას, უჩხიკინებს ის მას მას – უჩხიკინებს ის მას, უკირკიტებს ის მას...

I დიათეზის ორივე ქვეჯგუფი აქტიურსუბიექტიანია.

II დიათეზაში გაერთიანებულია სრული კონსტრუქციის მქონე აბსოლუტურგარდაუვალი და რელატიურგარდაუვალი (ირიბგარდამავალი) დინამიკური ზმნები, რომელთა **grS** და **grO** (ირიბი) ბრუნვაუცვლელია:

სახელობითი: ვთბები მე; ვი/ეზრდები მე/მე მას – **I** სერია

სახელობითი: გავთბი მე; გავი/ეზარდე მე/მე მას – **II** სერია.

II დიათეზაში გაერთიანებულ ზმნათა აწმყოს სტრუქტურაა **Ø-R-ებ-ი, Ø-R-დ-ებ-ი,** იშვიათად **ევ, ემ** არქაული თემის ნიშნებით. ამათგან ერთი ნაწილის სტრუქტურა ძირეულია (ე.წ. **თბება** ტიპის ზმნები), მეორე ნაწილისა კი წარმოქმნილია აქტივის ფორმათა კონვერსიის გზით (**ი/ეზრდება, ი/ემალება**), რომელიც ყოველთვის არ იძლევა პასივის შინაარსს. ამავე დიათეზას განეკუთვნება **-დ** სუფიქსიანი ნასახელარი ზმნები (თეთრი – თეთრდება, მეფდება...). -დ სუფიქსი სახელისაგან ზმნის მაწარმოებელი მაინტენსივებელი სუფიქსია.

II ქვეჯგუფს ქმნიან დინამიკურ ზმნათა შესაბამისი არასრული კონსტრუქციის სტატიკური ზმნები, რომელთა აწმყოს თემა ასევე **-ი** სუფიქსიანია, ოღონდ მარტივი, მადინამიკურებელი თემატური სუფიქსის გარეშე (**ვწერი-ვარ – (ს)წერია,** ძვ. **ვსწერიე**).

თბება ტიპისა და **-დ** სუფიქსიანი ზმნების ერთპირიანი ფორმები, ასევე ე.წ. დეპონენსები: იკბინება, ილოცება, ისუსხება... სემანტიკურად ავტოაქტივებია. საკმაოდ დიდი რაოდენობა **ე**-პრეფიქსიანი ზმნებისა აქტიური სუბიექტის შემცველია, როგორც, მაგალითად, ელაპარაკება, ეჩხუბება, ეჯაჯგურება... ასევე: ახტება, აცხრება...

ამგვარად, **R-ებ**-ი სტრუქტურა საერთოა ავტოაქტიური, აქტიური და პასიური შინაარსის (სემანტიკის) ზმნებისათვის.

საკუთრივ ვნებითისათვის (პასივისათვის) ენამ ძველსავე ქართულში გამოიყენა აღწერითი წარმოება, რადგანაც **ი**-პრეფიქსიანი კონვერსიული ფორმები ომონიმურია აქტივის სასუბიექტო ქცევის ფორმებისა: **მოიკლა** მან იგი – **მო-**

იკლა იგი. ენამ ომონიმია დაძლია აღწერითი წარმოების საშუალებით: მოკლულ იქნა, წამებულ იქნა, დავიწყებულ იქნა... (ნაცვლად „დავივიწყე მე, ვითარცა მკუდარი“: ფსალმ.).

III დიათეზაში გაერთიანებულია ე.წ. ინვერსიული (დატიური) კონსტრუქციის ნარევი სტრუქტურის ზმნები: **ი/უ-R-0 (უყვარს), ა-R-ებ (აკანკალებს), ე-R-ებ-ი (ემღერება)**. ამ დიათეზის II ნარევი კონსტრუქციის ქვეჯგუფი ზმნის პირთა ინვერსიის გზითაა მიღებული და ხშირად პირის დაკარგვის შედეგად ჩამოყალიბებული: მაცახცახებს ის მე > მაცახცახებს მე; მაცინებს ის მე > (რა) მაცინებს მე; გამაგებინა მან მე ის > ნეტავი გამაგებინა მე ის... ამ ზმნათა რიგშია პასივის **ე-R-ებ-ი** სტრუქტურის მქონე ინვერსიული კონსტრუქციის ზმნები: მეზარება, მეჯავრება, მეცინება, მაგვიანდება... ისინი სემანტიკურად სხვადასხვა ნიუანსს შეიცავენ.

III დიათეზის ზმნათა I ქვეჯგუფი ძირეული სტრუქტურის სტატიკური ზმნებია, გრძნობა-აღქმის სემანტიკის მქონე (მიყვარს, მძულს, მომწონს, მიჭირს, მშია, მწყურია, მეშინია...).

დიათეზების ფარგლებში გვარი სემანტიკური მახასიათებელია და არა – გრამატიკული.

I დიათეზა (ერგატიული)	
სტატიკური (რელატიური სტატიკა)	დინამიკური
გვარი: ავტოაქტივი//რეფლექსიური	გვარი: აქტივი
სტრუქტურა: R - Ø; ი-/უ-R [ე/ი]- Ø; პრევ-R- ა-/ი-/უ-R-th.-Ø	სტრუქტურა: ა-/ი-/უ-R-Ø; ა-/ი-/უ-R [ე/ი]-Ø; ა-/ი-/უ-R-th სუფ.-Ø
კონსტრუქცია არასრული: [ის – მან; ის მას – მან მას]	კონსტრუქცია სრული: [ის მას – მან ის; ის მას მას – მან მას ის]

II დიათეზა (ნომინატიური)	
სტატიკური(აბსოლუტური სტატიკა)	დინამიკური
უგვარო	გვარი: აქტოაქტიური, აქტიური, პასიური
სტრუქტურა: Ø-/ი-/უ-R-ი	სტრუქტურა: Ø-/უ-R-ებ-ი; Ø-/უ-R-დ-ებ-ი; ა-R-ებ-ი; ე-R-ებ-ი; ი-/ე-R-ებ-ი
კონსტრუქცია არასრული: [ის – ის]	კონსტრუქცია სრული: [ის –ის; ის მას – ის მას]

III დიათეზა (დატიური)	
სტატიკური (განმცდელი სუბ.)	სტატიკური, დინამიკური. (განმცდელი სუბ.)
სტრუქტურა ძირეული: ი-/უ-R-Ø ი-/უ- R-ი	სტრუქტურა წარმოქმნილი: ა-R-ებ-Ø ე-R-ებ-ი
კონსტრუქცია: [მას – მას; მას ის – მას ის]	კონსტრუქცია: [მას – მას; მას ის – მას ის]

* * *

რადგანაც გვარი არის არა მხოლოდ მორფოლოგიური, რამედ სინტაქსური კატეგორიაც, დ. მელიქიშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმის პირობებში სუბიექტური და ობიექტური პირების გარჩევის საკითხის გადაჭრა (ინვერსიის პრობლემა), ე.წ. ვნებითი და საშუალი გვარის ფორმათა ფუნქციური გამიჯვნა (მასხრობს – ემასხრება, საუბრობს – ესაუბრება), მეორე მხრივ, მოქმედებითი და საშუალი გვარის ფორმალური გამიჯვნა (აკანკალებს ის მას – აკანკალებს მას) რთულდება, რაც კლასიფიკაციის არასწორ საფუძველზე მიუთითებს.

ამ სირთულის დაძლევის ოპტიმალურ გზად შეიძლება ჩაითვალოს დიათეზის გრამატიკული კატეგორიის გამოყოფა. ზმნურ ფორმათა ტრადიციულისაგან განსხვავებული მორფოსინტაქსური პრინციპით დაჯგუფება კარგად ასახავს ქართული ზმნის ბუნებას, პარადიგმატულ სისტემას, ამარტივებს აქტივისა და პასივის ფორმალურ და ფუნქციურ გამიჯვნას.

7.16. ქცევა

7.16.1. ქცევის რაობა. სახეები
(ნეიტრალური, სასუბიექტო, საობიექტო)

ქცევა არის ზმნის ფორმა, რომელიც გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებითს ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტს ან ობიექტებს შორის. მაგალითად, დედა უკერავს შვილს კაბას – ამ წინადადებაში კუთვნილებითი ურთიერთობა გამოხატულია ობიექტებს შორის: კაბა (**O^{d}**) ეკუთვნის შვილს (**O^{i}**), ხოლო წინადადებაში – დედა იკერავს კაბას – პირდაპირი ობიექტი (კაბა) ეკუთვნის სუბიექტს (დედა).

საზოგადოდ, აგენსსა და პაციენსს შორის კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობა არაერთგვაროვანია, ამიტომ სხვადასხვა ენაში ამ მიმართების გამომხატველი კატეგორია განსხვავებული ტერმინებით გამოიხატება. ქართულ ლინგვისტიკაში ტრადიციული ტერმინია „ქცევა“, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში მის პარალელურად არსებობს „ვერსია“ (ლათ. versio – სახეცვლილება, შებრუნება).

ქცევა ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიაა. ა. შანიძის აზრით, იგი მოეპოვება ინდოევროპულ ენებსაც, ოღონდ იქ მკაფიოდ გარჩეული არ არის. როგორც წესი, ყველა ენას შეუძლია სემანტიკურად გამოხატოს კუთვნილებითი მიმართება მოქმედსა და სამოქმედო პირებს შორის, მაგრამ ეს მიმართება ზოგან არ არის წარმოდგენილი გრამატიკული ნიშნებით. შესაბამისად, ქცევის მორფოლოგიური კატეგორია არსებობს ზოგ ენაში, ზოგ-

ში – არა. მაგალითად, ქცევა კარგად გამოკვეთილი მორფოლოგიური კატეგორიაა საერთოქართველურ დონეზე. მრავალფეროვნად არის იგი გამოვლენილი ქართულშიც.

ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, ქცევა სამი სახისაა: საარვისო, სათავისო, სასხვისო (ა. შანიძე). სამეცნიერო ლიტერატურაში პარალელურად დამკვიდრებულია სხვა უფრო ზუსტი ტერმინებიც: „ნეიტრალური“, „სასუბიექტო“, „საობიექტო“ (არნ. ჩიქობავა).

ქცევა ძირითადად არის დამახასიათებელი გარდამავალი ზმნებისთვის. აქ კარგად უპირისპირდება ერთმანეთს ქცევის სამწევროვანი ოპოზიციური ცალები.

ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი ა (ს ა ა რ ვ ი ს ო) ქცევა, როცა პირდაპირი ობიექტი არავის არ ეკუთვნის და არც ვისთვისმეა განკუთვნილი (ამიტომ უწოდებენ ნეიტრალურს). მაგალითად, კალატოზი აშენებს სახლს. ამ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული, თუ ვის ეკუთვნის პირდ. **O**, თუმცა რეალურად **სახლი** ვიღაცისთვის შენდება.

ნეიტრალური ქცევის ნიშანია პრეფიქსი **ა-**: ა-მზადებს, ა-თეთრებს, ა-დიდებს... შეიძლება იგი უნიშნოც იყოს: წერს, მალავს, ღვრის...

ნეიტრალური ქცევა მეტწილად აქვს ორ- და სამპირიან გარდამავალ ზმნებს: ა-თბობს ის მას, შლის ის მას... ჰკითხა მან მას ის, სთხოვა მან მას ის, მისწერა მან მას ის...

ზოგიერთი მკვლევარი ნეიტრალურ ქცევას არ მიიჩნევს დამოუკიდებელ სახედ. საცილობელ არგუმენტად, ზოგადად, იმას ასახელებენ, რომ იგი კუთვნილებით ურთიერთობას არ გამოხატავს, თუმცა ქართულ ლინგვისტიკაში უფრო გავრცელებულია შეხედულება, რომ ეს ფორმა – როგორც მორფოლოგიური ოდენობა, ქცევის სამწევროვანი ოპოზიციის ერთ-ერთი წევრი, გაფორმებული სათანადო აფიქსითაც – უნდა განიხილებოდეს სასუბიექტო და საობიექტო ქცევათა გვერდით.

ნეიტრალური ქცევა ფორმით ჩამოჰგავს **საზედაო სი-**

ტუაციას, რომელიც უჩვენებს ზმნით გამოხატული მოქმედების ლოკალიზაციას – რაზედმე მოქმედებას, მაგალითად, **ა**-წერს, **ა**-ხატავს... ქცევა კი აღნიშნავს კუთვნილებით ურთიერთობას.

სასუბიექტო (სათავისო) ქცევა მიუთითებს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის სუბიექტს ან განკუთვნილია მისთვის. მაგალითად, მეზობელი იშენებს სახლს – პირდ. **O** (სახლი) განკუთვნილია სუბიექტისთვის (მეზობელი).

სასუბიექტო ქცევის ნიშანია პრეფიქსი **ი-**. იგი სამივე პირში გადაჰყვება ზმნას. სასუბიექტო ქცევა აქვს მხოლოდ ორპირიან გარდამავალ ზმნებს: ვ-ი-ბარებ მე მას, ი-ზრდი შენ მას, ი-თბობს ის მას... ასეთი ფორმები საკმაოდ გავრცელებულია ქართულში. მათი გამოყენების შემთხვევებიც მრავალფეროვანია. სასუბიექტო ქცევა შეიძლება შეგვხვდეს:

1) როცა **S** მოქმედებს თავის სხეულზე ან სხეულის ნაწილებზე (პირი და-ი-ბანა, თავი მო-ი-ფხანა...);

2) როცა ობიექტად დასახელებულია თავსაბურავი, სამკაული, ტანისამოსი ან იარაღი, თუნდაც ეს **O** არ ეკუთვნოდეს სუბიექტს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ის, რომ **S** თავისთვის მოქმედებს (ქუდი და-ი-ხურა, საყურე გა-ი-კეთა);

3) როცა მოქმედება სუბიექტისთვისაა დანიშნული ან მისკენაა მიმართული (ფული ი-სესხა, წიგნი ი-თხოვა, გამოცდა ჩა-ი-ბარა...);

4) როცა ნეიტრალური ქცევის გარდამავალი ზმნის ირიბი ობიექტის გამორიცხვაა საჭირო (სახელი ჰკითხა > სახელი ი-კითხა...).

სასუბიექტო ქცევის ხშირი ხმარების გამო შეიძლება ზოგიერთი ზმნის ნეიტრალური ქცევის ფორმა დაიკარგოს და მისი ადგილი დაიჭიროს სასუბიექტო ქცევის ფორმამ. ა. შანიძის აზრით, „ეს მოვლენა ისტორიულად კარგად არის დადასტურებული **პოვნა** ზმნაში. ძველად იგი საარვისო ფორმით იხმარებოდა – **პოვა** მან იგი. ახლა კი გვაქვს **იპოვა**. ოღონდ ამ სათავისოს ფუნქცია საარვისოსი აქვს. ასევე შინაარსდაცლი-

ლი სათავისოა: შეინახა, დაიწყო, წაიღო, გაიგო, მოიტანა, იზამს... ისინი ფუნქციის მიხედვით საარვისოსთან არიან გათანაბრებულნი. როცა ფუნქცია და ფორმა არ შეესატყვისება, მაშინ აქაც უპირატესობა ფუნქციას უნდა მიენიჭოს და ეს ზმნები საარვისოდ ჩაითვალოს".

სასუბიექტო ქცევაში პირდაპირ ობიექტად, ჩვეულებრივ, არის III პირი, იშვიათად I და II პირიც გვხვდება: მი-ი-ღო მან ის, მი-ი-სვა მან ის, მაგრამ: მიმისვა მან მე (ახლოს), და-ი-გდო მან ის, მაგრამ: დაგ-ი-გდო მან (ავადმყოფობამ) შენ...

საობიექტო (სასხვისო) ქცევა გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებითს ურთიერთობას ობიექტებს ან სუბიექტსა და ირიბ ობიექტს შორის. იგი მოეპოვება სამპირიან გარდამავალსა და ორპირიან გარდაუვალ ზმნებს. გარდამავალ ზმნებში პირდაპირი **O** ეკუთვნის ირიბს: უმზადებს დედა შვილს სადილს (ის მას მას) – პირდ. **O** (სადილი) განკუთვნილია ირიბისათვის (შვილს); გარდაუვალ ზმნებში კი **grS,** რომელიც პირდ. **O**-ის კონვერსიული ფორმაა, **S** ეკუთვნის ირიბს: უშენდება სახლი მეზობელს (ის მას) – შდრ. კალატოზი უშენებს მეზობელს სახლს.

საობიექტო ქცევის ნიშნებია **ი-** და **უ-** პრეფიქსები. **ი-** გამოიყენება მაშინ, როცა გრამატიკულ ირიბ ობიექტად I ან II პირია, **უ-** კი – III პირთან:

მ-**ი**-გზავნის ის მე მას	მ-**ი**-თეთრდება ის მე
გ-**ი**-გზავნის ის შენ მას	გ-**ი**-თეთრდება ის შენ
უ-გზავნის ის მას მას	**უ**-თეთრდება ის მას

ქართულში იშვიათად, მაგრამ მაინც, მოგვეპოვება გარდამავალი ზმნის საობიექტო ქცევის ისეთი ფორმები, რომელთაც შეეწყობა ორი ირიბი. ეს მაშინ ხდება, როცა სამპირიანი ნეიტრალური ქცევის ფორმას გადავაკეთებთ საობიექტოდ:

მიაბა მან მას ის	–	მი-მ-**ი**-ბ-ა მან **მე მას** ის
		მი-გ-**ი**-ბა მან შენ მას ის
მისწერა მან მას ის	–	მი-მ-**ი**-წერა მან მე მას ის
აჭამა მან მას ის	–	მ-**ი**-ჭმია მან მე მას ის

მაშასადამე, გარდამავალ ზმნას აქვს სათანადო მარკერებით გაფორმებული სამივე სახის ქცევა, გარდაუვალს კი ქცევა ან სრულიად არ მოეპოვება, ან შეიძლება ჰქონდეს ძირითადად – საობიექტო ქცევა, ისიც მხოლოდ ორპირიანთა ნაწილს. კერძოდ, ქცევა შედარებით კარგად არის გამოხატული სუფიქსიან, უნიშნო და ე.წ. სტატიკურ ვნებითებში, ასევე საშუალი გვარის ზოგიერთ ზმნაში. რაც შეეხება პრეფიქსიან ვნებითებს, საზოგადოდ, აქ ქცევას არ განარჩევენ (ა. შანიძე). ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისით, რადგან გარდაუვალ ზმნებში კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობა საერთოდ არ ჩანს, ზმნაში წარმოდგენილი **ი-** და **უ-** პრეფიქსები ქცევის ნიშნებად ვერ ჩაითვლება. ამგვარ ფორმებში ისინი ირ. **O**-ის მარკერებია.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ერთპირიან ზმნებში ქცევის კვალიფიკაცია არაერთგვაროვანია: ა. შანიძის აზრით, ერთპირიანი ზმნები საარვისო ქევისაა, არნ. ჩიქობავა კი საერთოდ ერთპირიან ზმნებში ქცევის საკითხის დასმას გაუმართლებლად მიიჩნევს, ანუ სხვაგვარად: რამდენადაც ქცევა გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებითს ურთიერთობას ორ პირს შორის, ამდენად, ერთპირიან ზმნებში ქცევა არ უნდა გაირჩეს.

სასუბიექტო და საობიექტო ქცევათა საზიარო ნიშანია **ი-** პრეფიქსი. მათი გარჩევისათვის არსებობს პრაქტიკული წესები:

1) ზმნასთან შეწყობილი I ან II პირების III-ში გადაყვანისას, თუ **ი-** პრეფიქსი შეიცვალა **უ-**თი, მაშინ ქცევა საობიექტოა, მაგრამ, თუ არ შეიცვალა, ქცევა სასუბიექტოა:

მ-ი-ხატავს ის მე მას
გ-ი-ხატავს ის შენ მას
უ-ხატავს ის მას მას (საობიექტო)
შდრ. ვ-ი-ხატავ მე მას
ი-ხატავ შენ მას
ი-ხატავს ის მას (სასუბიექტო).

2) თუ ზმნა ორპირიანი გარდამავალია, ქცევა სასუბიექტოა; თუ სამპირიანი გარდამავალი – საობიექტო.

ქცევის საკითხი მესამე სერიაში. ქცევა გამოკვეთილი გრამატიკული კატეგორიაა I-სა და II სერიებში, რადგან არსებობს სათანადო ნიშნებით გამოხატული საპირისპირო ფორმები: ა-შენებს, ი-შენებს, უ-შენებს. თუ ამ განსხვავებულ ფორმებს გადავიყვანთ III სერიაში, სამივე ერთი ფორმით იქნება წარმოდგენილი:

აშენებს || ააშენა
იშენებს || აიშენა → აუშენებია
უშენებს || აუშენა

III სერიის **აუშენებია** უცალო ფორმაა და ქცევა არ განირჩევა. მართალია, I შედეგობითში წარმოდგენილია **ი-** და **უ-** პრეფიქსები: ა-მ-**ი**-შენებია, ა-გ-**ი**-შენებია, ა-**უ**-შენებია, მაგრამ აქ ისინი უფუნქციონი არიან. ეს ნიშნები გადმოჰყვა ნასესხებ ამოსავალ ფუძეს (სტატიკური ვნებითის საობიექტო ქცევის აწმყოს), შდრ. უწერია მას ის (სტატ. ვნ., აწმყო, ქცევა საობიექტო) – (და)უწერია მას ის (მოქმ. გვარი, I შედეგობითი).

უქცეო ზმნები. ენაში არსებობს რამდენიმე ზმნა, რომელთაც სამივე სერიაში არ მოეპოვება საპირისპირო ცალები. ამდენად, ისინი ჩათვლილია უქცეო ზმნებად, თუმცა გარეგნულად წარმოდგენილი არიან ქცევის ნიშნებით. ასეთებია: ახსოვს, აქვს (ფორმით ნეიტრალურია), იცის (სასუბიექტო), უნდა, უჭირს, უღირს, უყვარს (საობიექტო). **ა-, ი-, უ-** პრეფიქსები ამ შემთხვევაში უფუნქციოა, ამ ფორმაში „ქცევა" მოჩვენებითია (ა. შანიძე). სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ამ ზმნებში არსებული პრეფიქსების ძირითადი ფუნქცია არ უნდა ყოფილიყო ქცევის აღნიშვნა არც ისტორიულად და არც თანამედროვე დონეზე.

უქცეო ზმნას არც ერთ ფორმაში არა აქვს საოპოზიციო (საპირისპირო) ცალი, ე.ი. საერთოდ არა აქვს ქცევის გა-

გება, ხოლო, როცა ვამბობთ: ქცევას არ ვარჩევთ III სერიაში ან პრეფიქსიან ვნებითში, ეს ნიშნავს, რომ ასეთ ზმნას საპირისპირო ცალი არ გააჩნია მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, თორემ სხვა შემთხვევაში რომელიმე ქცევის გაგება აქვს. მაგალითად: **ა**-ნათებს, **ი**-ნათებს, **უ**-ნათებს > გაუნათებია. მაგრამ: **იცის** – ეს არის ამ ზმნის ერთადერთი ფორმა და ამიტომ უქცეოა.

ქცევის ფორმათა მართლწერა

1) თუ **ა** ნიშნიან ქცევის ფორმას დაემატება **ა** ან **ა**-ზე გათავებული ზმნისწინი, ორი **ა** მოიყრის თავს: ა-ა-შენა, გა-ა-გზავნა, გა-ა-ნათა, გა-ა-თბო... მაგრამ, თუკი **ა**-ხმოვნით დაწყებულ ფუძეს დაემატება **ა** ქცევის ნიშანი და **ა** ან **ა**-ზე გათავებული ზმნისწინი, მაშინ სამი **ა** უნდა:

ანალიზი > ა-ანალიზებს – გა-ა-ანალიზა

ადვილი > ა-ა-დვილებს – გა-ა-ადვილა

ახალი > ა-ახლებს – გა-ა-ახლა

ანონსი – აანონსებს – დააანონსა

2) სასუბიექტო ქცევის ფორმაზე **მი-** ზმნისწინის დართვისას ორი **ი** უნდა: მი-ითვისა, მი-იჩვია, მი-იწვია, მი-ისვა...

3) **უ** ხმოვნით დაწყებულ ზმნაზე ქცევის **უ** ნიშნის დართვის შედეგად ორი **უ** მოიყრის თავს: უთო > უუთოებს, უუმჯობესებს, გაუუქმა, გაუუფერულა...

7.16.2. ხმოვანპრეფიქსების ფუნქციური კვალიფიკაციის საკითხი

ქართულ ლინგვისტიკაში ქცევის კატეგორია საკმაო სისრულითაა შესწავლილი. ქართულ ზმნაში იგი პირველად შენიშნა და დაახასიათა ნიკო ჩუბინაშვილმა (უწოდა „მიჩემებითი“ და გამოყო სამი ძირითადი სახე). ამგვარ ფორმებს მეტ-ნაკლებად ეხებოდნენ სხვა გრამატიკოსებიც; საგულის-

ხმო მოსაზრებებია გამოთქმული აგრეთვე ნ. მარის შრომებში, მაგრამ ქცევის კატეგორიის მეცნიერული შესწავლა დაკავშირებულია ა. შანიძის სახელთან. მის განსაკუთრებულ დამსახურებად ითვლება ისიც, რომ პირველმა დასვა ზოგადენათმეცნიერული საკითხი – ქცევის პრობლემა ინდოევროპულ ენებში. და მაინც, თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს ტრადიციულისაგან განსხვავებული შეხედულებები ქცევის სახეებსა და მათი მარკერების ფუნქციებთან დაკავშირებით. მაგალითად, სადავოდაა მიჩნეული ნეიტრალური ქცევის ცალკე სახედ გამოყოფის საკითხი (რამდენადაც მასში არ ჩანს კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობა). გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ ქცევის კატეგორიის უწინარესობამ გვართან შედარებით განაპირობა ზმნის სხვადასხვაგვარი მორფოსინტაქსური ცვლილებები, აუცილებელი გახდა ამ კატეგორიის სრულიად ახლებური ანალიზი (მ. მაჭავარიანი, ვ. ბოედერი, მ. დამენია, ბ. ჯორბენაძე, რ. ასათიანი...). მიუთითებენ, რომ ქართული (და ქართველური) ზმნის ძირითადი კატეგორიებია პირი და ქცევა... ქცევის მორფოსინტაქსური ფუნქციებიდან პირველ რიგში უნდა დასახელდეს ზმნის ობიექტების წარმოქმნა ან დაკარგვა სათანადო სადერივაციო **ა-, ე-, ი-, უ-** პრეფიქსების საშუალებით; სწორედ ქცევის ფორმებშია დალექილი მისი მაწარმოებელი აფიქსების მრავალფუნქციანობა და, შესაბამისად, ქცევის პოლისემანტიკაც (მ. მაჭავარიანი).

ცნობილია, რომ ქართული ზმნა თანდათან რთულდებოდა კატეგორიებით. შესაბამისად, ზმნის ფორმაში ოდითგანვე თავჩენილ აფიქსებს განსხვავებული ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა. ამ ასპექტით საინტერესოა ქცევის ნიშნებად მიჩნეული ხმოვანპრეფიქსები.

ისტორიულად ქცევის კატეგორია უსწრებდა გვარის კატეგორიას, რამაც გამოიწვია ამ ორი კატეგორიის მაწარმოებელი აფიქსების ფუნქციური სიახლოვე და იდენტურობაც კი.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ა-, ი-, უ-** ხმოვანპრეფიქსების წარმომავლობისა და ფუნქციების შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა თვალსაზრისი, რომელთა მიხედვით:

- **ა-** პრეფიქსი ზმნებს ანიჭებს გარდამავლობას, აწარმოებს მოქმედებით გვარს, ნეიტრალურ ქცევას, გამოხატავს საზედაო სიტუაციას, მიუთითებს კაუზატივზე; გარდაუვალ ზმნათაგან აწარმოებს გარდამავლებს, წარმოქმნის პირდაპირ და ირიბ ობიექტს, მიუთითებს ირიბი ობიექტის პოვნიერებაზე. **ა** ხმოვანი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო სიტყვაწარმოების ელემენტი სახელებსა და ზმნებში; გარკვეულ შემთხვევაში უჩვენებდა სუბიექტისადმი ან ობიექტისადმი მიმართულ მოქმედებას...
- **ი-** პრეფიქსი არის უკუქცევითობის ნიშანი, სასუბიექტო ქცევის ნიშანი გარდამავალ ზმნებში, საობიექტო ქცევის ნიშანი როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში; გარდამავალ ზმნებში აღნიშნავს მხოლოდ პირდაპირ ობიექტს. **ი** ხმოვანი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო დეიქტური ნაწილაკი, შემდეგ შეიძინა რეფლექსური უკუქცევითი შინაარსი და ბოლოს დამკვიდრდა სასუბიექტო ქცევის ფუნქციით. **ი-** პრეფიქსი გამოხატავს კუთვნილებას, მომდინარეობს კუთვნილებითი **ჩემ-ი, შენ-ი** ნაცვალსახელებისაგან.
- **უ-** ნაცვალსახელური ნაწილაკი ჩანს, წარმოქმნის მხოლოდ III ირიბ ობიექტს, მიუთითებს ირიბი ობიექტის პოვნიერებაზე; გარდამავალ ზმნებში აღნიშნავს მხოლოდ უახლოეს (პირდაპირ) ობიექტს. **უ-** პრეფიქსი (**ა**-სა და **ი**-ს მსგავსად) თავდაპირველად უნდა ყოფილიყო დეიქტური ელემენტი სახელსა და ზმნებში, ქცევის ნიშნად იქცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხმოვანპრეფიქსებს საერთოდ დაუკავშირდა კუთვნილებითი ურთიერთობის გაგება.

7.17. კონტაქტი

7.17.1. კონტაქტის სახეები. მისი წარმოება

კონტაქტი ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა.

ტრადიციული განმარტებით, **კონტაქტი** არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს **S** პირდაპირ ობიექტზე – უშუალოდ თუ სხვა პირის მეშვეობით. იგი ორი სახისაა: უშუალო და შუალობითი.

უ შ უ ა ლ ო კონტაქტი მიუთითებს, რომ **S** პირდაპირ ობიექტზე მოქმედებს უშუალოდ, სხვა პირის ჩაურევლად: წერს, ხატავს, კერავს, აშენებს...

შ უ ა ლ ო ბ ი თ ი ა კონტაქტი, როცა **S** პირდაპირ **O**-ზე მოქმედებს სხვა პირის მეშვეობით: აწერინებს, ახატვინებს, აკერვინებს, აშენებინებს...

შუალობით კონტაქტს უცხოურად **კაუზატივი** ჰქვია (ტერმინი „კაუზატივი“ ლათინური წარმოშობისაა: causa – „მიზეზი“).

თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შუალობითი კონტაქტის აღსანიშნავად, ჩვეულებრივ, გამოიყენება „კაუზატივი“.

კაუზატიურ ფორმებში მოქმედების პროცესში მონაწილეობს სამი პირი (**S**, ირ.**O**, პირდ.**O** – სამოქმედო საგანი), მაგრამ რეალურად მოქმედებს ორი პირი: ერთი ხელმძღვანელია, მეორე – უშუალოდ შემსრულებელი. მაგალითად, აწერინებს ის მას მას (დედა შვილს დავალებას): აქ ხელმძღვანელი (ორგანიზატორი) არის დედა (**S**), ხოლო მოქმედების შემსრულებელი (ეგზეკუტორი) – შვილი (ირ.**O**).

ქართულში კაუზატივის მაწარმოებლებია: **-ინ, -ევ, -ევინ** სუფიქსები. ამათგან ძირითადია **-ინ.**

-ევ უნდა იყოს კაუზატივის თავდაპირველი ნიშანი, რომელიც შედარებით ხშირად გამოიყენებოდა საშუალ საუკუნეებშიც. დღეს იგი შემორჩენილია მხოლოდ თითო-ოროლა

ზმნაში: აჭმ-ევ-ს, აცმ-ევ-ს, ასმ-ევ-ს... ზოგი მკვლევარი **-ევ**-ს თანამედროვე დონეზე მიიჩნევს არა კაუზატივის მაწარმოებლად, არამედ თემის ნიშნად, რადგან ის II სერიაში ზმნას აღარ გადაჰყვება: აჭმ-ევ-ს – აჭამა... შდრ. აწერ-ინ-ებს – დააწერ-ინ-ა (გ. ნებიერიძე, ალ. ონიანი).

-ინ სუფიქსი შედარებით ახალია, X საუკუნემდე არ იხმარებოდა. დღეს იგი მოუდის ზმნათა უმეტესობას: ამზადებს > ამზადებ-ინ-ებს, აცხობ-ინ-ებს, აკეთებ-ინ-ებს...

-ევინ რთული აფიქსია, მიღებულია **ევ**-ისა და **-ინ**-ის შეერთებით (**ევ+ინ**): როცა **-ევ** არ აღმოჩნდა საკმარისი კაუზატივის საწარმოებლად, დაემატა **-ინ** და წარმოიქმნა ახალი მაწარმოებელი **-ევინ:** შლის > აშლ-ევინ-ებს, დგამს > ადგმ-ევინ-ებს, ხნავს > ახვნ-ევინ-ებს...

კაუზატივი მოეპოვება სამპირიან გარდამავალ ზმნებს (მოქმედების პროცესში მონაწილეობს სამი პირი: ხელმძღვანელი, შემსრულებელი და სამოქმედო პირი), იშვიათად – ორპირიან გარდამავალს (გაიტეხ-ინ-ა მან ის – დედამ გული) და გარდაუვალთაგან ენიანი ვნებითის ფორმებს (ეთრევ-ინ-ება, ელანძღვ-ინ-ება, ეკვლ-ევინ-ება...). ამგვარი გამონაკლისები ძირითადად თავს იჩენს აღმოსავლურ კილოებში. იგი შეიძლება შეგვხვდეს მხატვრულ ლიტერატურაშიც.

თუ უშუალო კონტაქტის ფორმა სამპირიანია, შუალობითად გადაკეთების დროს ოთხპირიანად იქცევა: დამიწერა მან მე ის – დამიწერინა მან მე მას ის.

ძველ ქართულში კაუზატივის ფორმები შედარებით იშვიათი იყო. ამ სემანტიკისათვის გამოიყენებოდა ორგვარი წარმოება: აღწერითი და ორგანული. ამათგან უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო პირველი.

კაუზატივის ფორმათა მართლწერა

1) კაუზატივის მაწარმოებლები სრული ფორმით უნდა იქნეს გამოყენებული: აკეთებ-**ინ**-ებს, დააწერ-**ინ**-ა, წააშლ-**ევინ**-ა... და არა: აკეთებ-ი-ებს, დააწერ-ი-ა, წააშლ-ევი-ა...

2) **-ავ** სუფიქსიანი (თემისნიშნიანი) ზმნების შუალობითი კონტაქტის ფორმებში აუცილებლად უნდა დარჩეს სუფიქსისეული **ვ** თანხმოვანი: ხატ-ავ-ს > ახატ-ავ-ინ-ებს > ახატვ-ინ-ებს; ლოკავს > ალოკვ-ინ-ებს... და არა: ახატ-ინ-ებს, ალოკ-ინ-ებს || ალოკ-ი-ებს...

7.17.2. კაუზატივის კატეგორიის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში

კონტაქტი ქართულში არის მკაფიოდ გამოხატული უძველესი კატეგორია; იგი, მკვლევართა დაკვირვებით, გვარის კატეგორიაზე ადრინდელი ჩანს (ანუ სხვაგვარად: მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზა კაუზატივი უნდა ყოფილიყო). მას იცნობდნენ ძველი ქართველი გრამატიკოსებიც.

ანტონ კათალიკოსმა **ა წ ე რ ი ნ ე ბ ს** ტიპის ზმნებს უწოდა „სხმითგარდასლვითი“, რაც ნიშნავდა „ნაწარმოებს“, მაგრამ მაშინ არ იყო გარკვეული მიმართება უშუალო კონტაქტის ფორმასა და შუალობითს შორის; შესაბამისად, არ იყო შემჩნეული კონტაქტის კატეგორიის ცნებაც. ამის გამო შუალობითი კონტაქტი განსაკუთრებული გვარის ფორმად მიაჩნდათ.

ქართულ ლინგვისტიკაში კონტაქტის კატეგორია პირველად დაადგინა და შეისწავლა ა. შანიძემ (1930 წ.). ამ კატეგორიისათვის მან შემოიღო ტერმინი „გზა“, რომელსაც შემდგომ უწოდა „შეხება“ ანუ „კონტაქტი“ და შეიტანა ქართული ენის გრამატიკებში.

კაუზატივის კატეგორია აქვს ზოგ სხვა ენასაც. მაგალითად, არაბულში, თურქულში, სპარსულში შუალობითის სემანტიკა მორფოლოგიური ნიშნით არის გამოხატული, როგორც ეს დამახასიათებელია იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, ევროპულ ენებში კი კაუზატივი არ არის გრამატიკული კატეგორია, რადგან მას ზმნაში სპეციალური მარკერი არ გააჩნია.

ზოგადად კონტაქტისა და ასევე კაუზატივის მაწარმოებელ აფიქსებთან დაკავშირებით ქართულ ლინგვისტიკაში არსებობს მეტ-ნაკლებად განსხვავებული არაერთი მოსაზრება.

საერთოქართველური და კავკასიური ენების მონაცემთა გათვალისწინებით ვარაუდობენ, რომ ქართულში კაუზატივის თავდაპირველი მაწარმოებელი შეიძლებოდა ყოფილიყო **ა-** პრეფიქსი, რომელიც შემდგომ გართულდა **-ევ, -ინ, -ევინ** სუფიქსებით (**ა – ევ, ა – ინ, ა – ევინ:** შე-**ა**-წყნარა > შე-ა-წყნარებ-**ინ**-ა...).

კაუზატივის პრეფიქსული წარმოება ქართული ენის ძირითადი და ამავე დროს არქაული ფენის კუთვნილებადაა ჩათვლილი. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ სხვა ქართველურ და აფხაზურ-ადიღეურ ენებში კაუზატივის მაწარმოებელი არის პრეფიქსი; ამჟამად შეიმჩნევა **ა–ინ** ტიპის წარმოების განზოგადება (ე. გეურქოვა, ა. თაყაიშვილი, გ. მაჭავარიანი...), თუმცა, სხვა თვალსაზრისით, საერთო ქართველურისათვის კაუზატივის მაწარმოებელი უნდა ყოფილიყო **-ენ, -ინ,** სუფიქსები (დის – ად-ენ-ს, მო-ა-კვდ-ინ-ებს...) (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). **-ენ, -ინ** სუფიქსების ამგვარ კვალიფიკაციას მართებულად მიიჩნევს ნ. მაჭავარიანიც. იგი ამ სუფიქსებს გენეტურად უკავშირებს მრავლობითი რიცხვის **ნ** თანხმოვანს (როგორც ნ. მარი და ქ. ლომთათიძე ვარაუდობდნენ).

7.18. ზმნის ძირი, ფუძე, თემა

7.18.1. ძირი და ფუძე
(ზოგადი მიმოხილვა)

ზმნის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: ძირი, ფუძე, თემა, აფიქსები.

ძირი არის ზმნის დაუშლელი (უაფიქსო) ნაწილი. იგი საერთოა მისგან ნაწარმოები ყველა ფორმისათვის. მაგალითად, ა-კეთ-ებს, გა-ა-კეთ-ებს, გა-ა-კეთ-ა, გა-უ-კეთ-ებია ფორმათა ძირია **კეთ**; ა-ქ-ებს, შე-ა-ქ-ებ-ს, შე-ა-ქ-ო, შე-უ-ქ-ი-ა ფორმების ძირია **ქ**. ძირში არც ერთი მაწარმოებელი არ შედის.

ფუძე არის ზმნის ის ნაწილი, რომელსაც უკავშირდება სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა. იგი მიიღება პირისა და

რიცხვის ნიშნების ჩამოშორებით (სხვა დანარჩენი აფიქსი შენარჩუნებულია). მაგალითად: ვ-ესალმებოდი-თ ზმნის ფუძეა **ესალმებოდი**, აშენებდ-ნენ – ფუძეა **აშენებდ**, მი-ს-წერ-ს – ფუძეა **მიწერ**, გადა-იღებ-ენ – ფუძეა **გადაიღებ**, შე-აქ-ეს – ფუძეა **შეაქ**... თუმცა დღეს ზოგი მკვლევარი ფუძის შემადგენელ ნაწილად არ მიიჩნევს ზმნისწინს.

საზოგადოდ, როცა საუბარია ზმნის ფუძეზე, იგულისხმება ცალკეული მწკრივის ფუძე, მაგალითად, ვ-ზრდი-თ ზმნის აწმყოს მწკრივის ფუძეა **ზრდი**, უწყვეტლისა – **ზრდიდი** (შდრ. ვ-ზრდიდი-თ), წყვეტილისა – **გაზარდე** (შდრ. გა-ვ-ზარდე-თ) და ა. შ.

ფუძე შეიძლება იყოს სრული ან უსრული. უსრული ფუძიდან, როგორც წესი, იკარგება **ა, ე** ხმოვნები ან **ვ** თანხმოვანი: **ვ-თალ-ე – ვ-თლ-ი**, გავ-**ჭერ-ი – ვ-ჭრ-ი**, **ძვრ**-ებ-ა – ა-**ძრ**-ობს...

ზოგჯერ ძირი და ფუძე ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, წერ-ს, ჭამ-ს, ტეხ-ს ზმნებში **წერ, ჭამ, ტეხ** ძირიცაა და ფუძეც; მაგრამ ქართულში ძირი და ფუძე მეტწილად განსხვავებულია, რაც გამოწვეულია აფიქსების სიუხვითა და მრავალფეროვნებით.

ქართული ზმნა მდიდარია კატეგორიებით, ამიტომ ზმნის ერთ ფორმაში შეიძლება ერთდროულად წარმოდგენილი იყოს რამდენიმე აფიქსი. მაგალითად, **ვაწერინებდით** ზმნაში გამოიყოფა შემდეგი აფიქსები: **ვ-** (S_1-ის ნიშანი), **ა-** (ქცევის ნიშანი), **წერ** (ძირეული მორფემა), **-ინ** (კაუზატივის ნიშანი), **-ებ** (თემის ნიშანი), **-დ** (სავრცობი), **-ი** (მწკრივის ნიშანი), **-თ** (რიცხვის ნიშანი): ვ-ა-წერ-ინ-ებ-დ-ი-თ.

7.18.2. თემა. თემის ნიშნები

ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, თემა არის საერთო (დასაყრდენი, ამოსავალი) ნაწილი I ან II სერიის ფორმებისათვის. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს თემის ასეთი განმარტებაც: თემა არის ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომე-

ლიც საერთოა ერთი სერიის მწკრივთა ფორმებისათვის (გ. გოგოლაშვილი). შესაბამისად, I და II სერიებს თავიანთი თემები აქვს. მაგალითად:

I სერია

ვ-ხატავ	და-ვ-ხატავ
ვ-ხატავ-დ-ი	და-ვ-ხატავ-დ-ი
ვ-ხატავ-დ-ე	და-ვ-ხატავ-დ-ე

I სერიის ყველა მწკრივის საყრდენია **ხატავ** – I სერიის თემა.

II სერია

ვ-ხატ-ე || და-ვ-ხატ-ე
ვ-ხატ-ო || და-ვ-ხატ-ო

II სერიის თემაა **ხატ**. ამ ორ თემას განასხვავებს **-ავ** სუფიქსი.

იმ სუფიქსს, რომელიც I სერიის თემას განასხვავებს მეორისაგან, **თემის ნიშანი** ჰქვია. თემის ნიშნებია:

-ი: შლ-ი-ს, ღვრ-ი-ს, თლ-ი-ს...
-ავ: ხატ-ავ-ს, მალ-ავ-ს, ბარ-ავ-ს...
-ამ: აბ-ამ-ს, დგ-ამ-ს, ურტყ-ამ-ს...
-ებ: აშენ-ებ-ს, ამზად-ებ-ს, იმალ-ებ-ა...
-ობ: ათბ-ობ-ს, აქრ-ობ-ს, მეფ-ობ-ს, ცხოვრ-ობ-ს...
-ოფ: ყ-ოფ-ს
-ემ: მისც-ემ-ს
-ევ: ინგრ-ევ-ა, იქც-ევ-ა, იმსხვრ-ევ-ა...
-ან: დგ-ან-ან, წვ-ან-ან, ჰყვ-ან-ან, ჰგვ-ან-ან.

ზმნა შეიძლება იყოს ერთთემიანი ან ორთემიანი.

ერთთემიან ზმნას თემის ნიშანი არ დაერთვის. ასეთებია: წერს, ჭამს, ტეხს, ბანს, მოიტანს, მიიყვანს, ძოვს, ქსოვს (ვ. თოფურიას დაკვირვებით, **ოვ** უძველეს ქართულში უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი აფიქსი – თემის ნიშანი).... ამ ტიპის ზმნათა რიცხვი დღეს ქართულში მცირეა, ძველში

კი გაცილებით მეტი იყო, მაგრამ დროთა ვითარებაში ზოგმა დაირთო **-ავ** და ორთემიანი გახდა: თესავს (< თეს+ავ), ხოცავს, ჩეჩავს, ბერტყავს, რეცხავს... შესაძლებელია პირიქითაც მოხდეს: თემის ნიშანი შეეზარდოს ზმნის ძირს და ორთემიანი ზმნა ერთთემიანად იქცეს. მაგალითად, ძველ ქართულში **სცემს** (ურტყამს) ორთემიანი იყო: სცე**მ**ს იგი მას მას – შდრ. სცა მან მას იგი. შემდეგ **ემ** ძირის კუთვნილება გახდა: სცემ-ს – სცემ-ა. იგი აღარაა თემის ნიშანი.

ანალოგიური ცვლილება მოხდა **შობს** ზმნაშიც: ამოსავალი უძველესი **შევ** (შვა) ფუძისა და **ებ** თემატური სუფიქსისაგან ფონეტიკური ცვლილებით (შევ+ებ>შვებ>შობ) მიღებული **ობ** თემის ნიშანი (შობ-ს – შვა, იშვა...) დროთა ვითარებაში ძირს შეეზარდა და განსხვავებული თემის წარმოების ფუნქციაც დაკარგა: შობს – შობა, იშობა... ამავე ფუძისგანაა ნაწარმოები ზმნა მშობიარობს.

ო რ თ ე მ ი ა ნ ი ა ზმნა, რომელსაც თემის ნიშანი დაერთვის. I სერიაში ზმნა არის თემისნიშნიანი (ეს პირველი თემაა), მეორეში თემის ნიშანი ზმნას არ გადაჰყვება (მეორე – განსხვავებული, უთემისნიშნო თემაა), შდრ. **ამზად-ებ**-ს – **მოამზად**-ა.

ქართულში ორთემიან ზმნათა რიცხვი საკმაოდ დიდია, რადგან თემის ნიშნები დაერთვის ზმნათა უმრავლესობას. გარდა ამისა, ორთემიანად ითვლება შუალობითი კონტაქტის ფორმები და ე. წ. ფუძედრეკადი ზმნები.

ფ უ ძ ე დ რ ე კ ა დ ი ა ისეთი ზმნა, რომლის I სერიის თემისეული **ე** ხმოვანი II სერიაში იცვლება **ი** ხმოვნით: დრე**კ**ს – დრი**კ**ა, გრე**ხ**ს – გრი**ხ**ა, გლე**ჯ**ს – გლი**ჯ**ა...

გრეხს – გრიხა ტიპის ზმნებს ხ მ ო ვ ა ნ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ს უწოდებენ. დღეს ხმოვანმონაცვლე ფორმებია: აჩე**ნ**ს – გამოაჩი**ნ**ა, ადგე**ნ**ს – დაადგი**ნ**ა, ამჩნე**ვ**ს – შეამჩნი**ა**, აქცე**ვ**ს – წააქცი**ა**...

ორთემიან ზმნას, როგორც წესი, I სერიაში აქვს თემისნიშნიანი თემა, მეორეში – უთემისნიშნო. III სერიას საკუთარი თემა არა აქვს, იგი იყენებს პირველი ან მეორე სერიის

თემას: თუ III სერიაში თემის ნიშანი წარმოდგენილია, გამოყენებულია I სერიის თემა; თუკი მის გარეშეა, ამოსავალი ყოფილა II სერიის თემა:

აკეთ-ებ-ს – გააკეთა – გაუკეთ-ებ-ია (I სერიის თემა)
აქ-ებ-ს – აქო – უქია (II სერიის თემა)

ახალ ქართულში ყველა თემის ნიშანი ერთნაირი სიხშირით არ გამოიყენება: ყველაზე პროდუქტიული სუფიქსებია **ებ, ავ, ობ**; ზოგი კი მხოლოდ ერთეული შემთხვევებით დასტურდება. მაგალითად: **ოფ** და **ემ** დღეს გვხვდება თითო ფუძესთან (რომელიც დაირთავს სხვადასხვა ზმნისწინს): ჩაყოფს, გადაყოფს, შეყოფს, ამოყოფს... მისცემს, გასცემს, დასცემს... **ამ** მოუდის თხუთმეტიოდე ზმნას; **ევ, ან** სუფიქსებიც ძალზე იშვიათია (სპეციალურ ლიტერატურაში მათი კვალიფიკაციაც არაერთგვაროვანია).

სადავოდაა მიჩნეული აგრეთვე ფუძედრეკადი ზმნების ორთემიანობის საკითხიც. მაგალითად, არნ. ჩიქობავას აზრით, ამ ტიპის ზმნათა დაბოლოებები (ეკ, ენ, ეთ, ეტ...) მხოლოდ სახელისაგან ზმნის მაწარმოებელი ელემენტებია (ე. ი. წარმოქმნის საშუალებაა და არა თემის ნიშანი), რომლებიც დროთა ვითარებაში ფუძისეულად იქცნენ; ამიტომ ისინი ვერ იქნებიან თემის ნიშნების ტოლფასი.

მართლაც, ხმოვანმონაცვლე ზმნები ფორმობრივ-ფუნქციურად რომ არ არის ძირითადი ორთემიანების ტოლფასი, ამას აშკარად მოწმობს თანამედროვე დიალექტებში გამოვლენილი ერთი ენობრივი ტენდენციაც, კერძოდ: ცოცხალი მეტყველება დ რ ე კ ს - დ რ ი კ ა ტიპის ზმნებს აღიქვამს ერთთემიანად და, რომ აქციოს ის ორთემიანად, აფორმებს კიდეც **-ავ** თემის ნიშნით: დრეკავს || დრიკავს, ზელავს || ზილავს, გლეჯავს || გლიჯავს, წყვეტავს || წყვიტავს (შდრ. დრეკს, ზელს, წყვეტს...).

მეორე მხრივ, თანამედროვე ქართულის რეალური ვითარების გათვალისწინებით, აშკარაა ამ ტიპის ზმნათა თემისნიშნიანი ფორმების გაბატონების ტენდენცია, რის გამოც, როგორც სამართლიანად მიუთითებენ სპეციალურ ლი-

ტერატურაში, გამოყენების სიხშირით თემისნიშნიანები დიალექტებში თითქმის გაუთანაბრდა უთემისნიშნოებს (ე. ბაბუნაშვილი, ლ. ნოზაძე...).

შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი ს მიხედვით თემა შეიძლება იყოს მარტივი, რთული და გავრცობილი.

მ ა რ ტ ი ვ ი ა თემა, თუ მას არ დაერთვის თემის ნიშანი. ასეთი თემა აქვს ყველა ერთთემიან ზმნას სამივე სერიაში, ორთემიანს – II სერიაში, ზოგჯერ – III-შიც.

რ თ უ ლ ი თემა მიიღება მარტივზე თემის ნიშნის დართვით. რთული თემაა I-სა და III სერიაში: ათბ-ობ-ს; აუშენ-ებ-ია.

გ ა ვ რ ც ო ბ ი ლ ი ა თემა, თუ ზმნის ფორმაში თემის ნიშანთან ერთად არის მწკრივის სავრცობები **-დ** ან **-ოდ**: ამზად-ებ-**დ**-ა, ესალმ-ებ-**ოდ**-ა...

სამეცნიერო ლიტერატურაში სტრუქტურის მიხედვით განასხვავებენ აგრეთვე მარტივსა და რთულ თემის ნიშნებს. მ ა რ ტ ი ვ ი ა: **-ავ, -ამ, -ებ, -ობ, -ოფ, -ევ, -ემ.** რ თ უ ლ ი თემის ნიშანი მიიღება ორი თემის ნიშნის შეერთებით. გ. გოგოლაშვილმა რთულ თემის ნიშნებად გამოყო **-ვებ** (< -ავ+-ებ: რგავს – ირგ-ვებ-ა) და **-მებ** (< -ამ+-ებ: დგამს – იდგ-მებ-ა).

თემის ნიშანი ქართულ ლინგვისტიკაში ერთ-ერთი საინტერესო ენობრივი ერთეულია. ჯერ კიდევ ანტონ I-ის გრამატიკაში არის მსჯელობა **-ებ, -ამ**, -ავ... სუფიქსებზე.

თემატურ აფიქსთა გენეზისი თუ ფუნქციები მეტ-ნაკლები სისრულით იყო წარმოდგენილი მომდევნო ხანის გრამატიკოსთა ნაშრომებშიც. და მაინც საკითხის პირველი მეცნიერული კვლევა ა. შანიძის სახელთან არის დაკავშირებული.

თემატურ აფიქსთა შესახებ შემდგომშიც გამოითქვა არაერთი საყურადღებო, მეცნიერულად ფასეული თვალსაზრისი. მაგალითად: თემის ნიშნების თავდაპირველ ფუნქციად მიჩნეულია ნეიტრალური ფუძის გააქტიურება (არნ. ჩიქობავა), განგრძობითი მოქმედების აღნიშვნა (გ. მაჭავარიანი), ისტორიულად **ი** თემის ნიშანი იგივე ოდენობაა, რაც ხოლმეობითის **ი** (მ. ივანიშვილი) და ა. შ. ზმნურ ფორმათა წარმოე-

ბა-ფუნქციებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ძირის, ფუძისა და თემის გამოყოფის ასპექტით, ასევე საინტერესოა თანამედროვე მკვლევართა ნაშრომები, რომლებშიც წარმოდგენილია ტრადიციულისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოსაზრებები – საკითხის ახლებური კვალიფიკაცია (იხ. ლიტერატურის ჩამონათვალი).

7.18.3. თემის ნიშანთა მართლწერა

1) **-ავ, -ამ** თემის ნიშნები ზმნას გადაჰყვება III სერიის I შედეგობითშიც: ხატავს ის მას, აბამს ის მას – დაუხატავს მას ის, დაუბამს მას ის... და არა: დაუხატია, დაუბია.

შენიშვნა: თანამედროვე ქართულში (ცოცხალ მეტყველებასა და სამწერლობო ენაში) საკმაოდ გავრცელებულია უთემისნიშნო ფორმებიც: უთქვია, უნახია, დაუდგია (მას ის), რომლებიც გამართლებულია ფორმათა სემანტიკური დიფერენციაციის პრინციპით და პერსპექტიულია ნორმირების ასპექტით. გარდა ამისა, **უთქვია** ტიპის წარმოების გაჩენა-გავრცელების საფუძველია ენაში აქტიურად მოქმედი უნიფიკაციის ტენდენცია, **-ია** დაბოლოებიანი (**შეუქია** ტიპის) ზმნების ანალოგია და პარადიგმის შევსება-გასწორების პრინციპი (შდრ. დავუხატივარ, დაუხატიხარ, დაუხატია) (ზ. ჭუმბურიძე, დ. მელიქიშვილი, გ. გოგოლაშვილი, რ. საღინაძე, რ. ზექალაშვილი...).

2) ერთთემიან ზმნებს თემის ნიშანი არ უნდა: წერს, ტეხს... და არა: წერავს || წერამს, ტეხავს || ტეხამს...

3) უთემისნიშნო ზმნების I-სა და II შედეგობითში ფუძის შემდეგ **ნ** არ არის საჭირო. უნდა იყოს: დამიწერია, დამეწერა, უჭამია, ეჭამა და არა: დამიწერ-ნ-ია, დამეწერ-ნ-ა, უჭამ-ნ-ია, ეჭამ-ნ-ა.

4) **-ებ** სუფიქსიან ზმნებს II შედეგობითსა და III კავშირებითში თემის ნიშნის შემდეგ **-ინ** მოუდის: გამეკეთ-ებ-ინ-ა, გამეკეთ-ებ-ინ-ოს და არა: გამეკეთებია, გამეკეთებიოს.

5) თემის ნიშანი არ დაერთვის ხმოვანმონაცვლე ზმნებს. სწორია: ვგრეხ, ვგლეჯ, ვზელ... და არა: ვგრეხავ || ვგრიხავ, ვგლეჯავ || ვგლიჯავ, ვზელავ || ვზილავ...

7.19. თავისებური ზმნები

ქართულში ზოგიერთი ზმნა არ ექვემდებარება ენაში შემუშავებულ ზოგად წესებს და ავლენს თავისებურებას. ასეთ ზმნებს **თავისებური** ზმნები ჰქვია. სხვაგვარად მათ **დეფექტურსაც** უწოდებენ (რადგან აკლიათ რომელიმე ერთი ფორმა ან ნიშანი).

წარმოების საერთო წესიდან გადახრის მიზეზი არის სხვადასხვაგვარი:

1) არქაული ფორმის (ხარ, მოხვედი...) შემორჩენა;
2) ზმნის ცვლილება ფონეტიკური ფაქტორის გამო (ტეხს – ტეხდ-ება – ტხდება – ტყდება).
3) ბუნების მოვლენების აღმნიშვნელ ზმნებთან I და II პირების კლება (წვიმს, თოვს).

თავისებურება შეიძლება შეპირობებული იყოს ანალოგიური და დიალექტური წარმოებითაც.

რამდენადაც თავისებურების საფუძველი მრავალნაირია, შესაბამისად, თავისებური ზმნაც მრავალგვარია. ტრადიციულად, ამ ჯგუფში გაერთიანებულია რთული, მიმღეობითი, ფუძემონაცვლე, პირნაკლი, ქცევანაკლი და მწკრივგამოცვლილი ზმნები.

7.19.1. რთული და მიმღეობითი ზმნები

რ თ უ ლ ი ეწოდება ისეთ ზმნას, რომელიც ერთზე მეტი ფუძისაგან შედგება. იგი იწარმოება სახელისა და მეშველი ზმნის საშუალებით. ესენია: შეურაცხყოფს, სრულყოფს, ცხადყოფს, უგულებელყოფს, უზრუნველყოფს; პატივისცემა (პატივს სცემს), ყურადღება (ყურად იღებს)...

რთულ ზმნაში სახელადი ნაწილი პირველ ადგილზეა. იგი ფორმას არ იცვლის, წარმოდგენილია ფუძის სახით. რთული ზმნის საუღლებელ ფუძედ გამოყენებულია **ყოფა, ცემა, ღება...** ზმნები, რომლებიც იცვლება შესაბამისი კატეგორიების მიხედვით: სრულვყოფ, სრულყოფ, სრულყოფს...

რთული ზმნის ნაწილები, ჩვეულებრივ, ერთადაა (უკვდავყოფს), მაგრამ ზოგჯერ გვხვდება მათი გათიშვის შემთხვევებიც: **„ავტორებს ყურად უნდა ეღოთ ეს კრიტიკა“.**

ძველ ქართულში რთული ზმნები ფართოდ იყო გავრცელებული, დღეს მათგან მხოლოდ რამდენიმე შემოგვრჩა. ამ ტიპის ზმნათა გამოყენებას უკავშირდება I სუბიექტური პირის **ვ-** პრეფიქსის მართლწერის საკითხი. ენაში გვხვდება ასეთი პარალელური ფორმები: **ვ**-უარ-ყოფ || უარ-**ვ**-ყოფ || **ვ**-უარ-**ვ**-ყოფ. ამათგან მართებულია **უარ-ვ-ყოფ.** პირის ნიშანი უნდა ერთვოდეს მხოლოდ მეშველ ზმნას (გ. შალამბერიძე).

მ ი მ ღ ე ო ბ ი თ ი ზ მ ნ ე ბ ი ენაში ახლად განვითარებული ფორმებია. ასპექტის სისტემის შეცვლის მიუხედავად, ზოგმა უზმნისწინო ზმნამ II სერიაში შეინარჩუნა ძველი ვითარება – სრულასპექტიანობა. ამის გამო მათი აწმყოს წრის მწკრივები მყოფადის წრეში გადავიდა და იქაც სრულასპექტიანია. ასეთებია: ვნახავ, ვიყიდი, ვიპოვი, ვიშოვი, ვილოცავ... მათი აწმყოს ადგილი დაცარიელდა, ამიტომ ენამ ცარიელი ადგილის შესავსებად ხელახლა აწარმოვა ამ ზმნათა აწმყოს მწკრივები, რისთვისაც გამოიყენა **-ილ-**სა და **-ულ-**ზე გათავებული შესაბამისი საობიექტო მიმღეობა: ვყიდულობ, ვნახულობ, ვკითხულობ, ვსესხულობ, ვპოულობ, ვშოულობ, ვლოცულობ... ამის გამო აწმყოში გაჩნდა პარალელური ფორმები: ვიღებ – ვღებულობ, ვიგებ – ვგებულობ... ისინი განსხვავდებიან მომენტურობა-განგრძობითობის სემანტიკით (ვ. კალანდაძე, რ. საღინაძე...).

7.19.2. ფუძემონაცვლე ზმნები

ქართულში დეფექტურ ზმნათა დიდი უმრავლესობა მიღებულია შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ი ს შედეგად. ზმნები, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლება, ერთიმეორის მიმართ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ე ბ ი ა.

ფუძემონაცვლე ზმნები დანაკლის ფორმებს ივსებენ სხვა ფუძის შენაცვლებით. ენაში მათი რიცხვი სხვა თავისებურ ზმნებთან შედარებით გაცილებით მეტია. შენაცვლება ხდება რიცხვში, მწკრივში, პირში, ასპექტში, გვარში... არსებობს აგრეთვე პირნაკლი, რიცხვნაკლი, მწკრივნაკლი, ქცევანაკლი, მწკრივგამოცვლილი და ა. შ. ზმნები.

1. **რ ი ც ხ ვ შ ი შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა** ხდება მაშინ, როცა ზმნა მრავლობითის ფორმას ვერ აწარმოებს თავისივე მხოლობითის ფუძიდან. ასეთ შემთხვევაში იგი მრავლობითისათვის სხვა ფუძეს ინაცვლებს. რიცხვში მონაცვლეობა ეხება სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს.

ა) შენაცვლება სუბიექტური პირის მიხედვით:

ზის **ის** – სხედან **ისინი**

იჯდა – ისხდნენ

ვარდება – ცვივდება (|| ცვივა)

აბია – ასხია

გდია – ყრია...

ბ) შენაცვლება ობიექტური პირის მიხედვით:

ჩააგდო მან **ის** – ჩაყარა მან **ისინი**

დასვა – დასხა

მოიბა – მოისხა

მოკლა – დახოცა

გააგდო – გარეკა

წაიყვანა – წაასხა...

2. **მ წ კ რ ი ვ შ ი შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა** უფრო ფართო ხასიათისაა. აქ ერთმანეთს ენაცვლება ორი ან სამ-სამი ფუძე:

ვარ – ვიქნები – ვიყავ

მივდივარ – მივალ – მივედი
მაქვს – მექნება
ვხედავ – დავინახავ
დავდივარ – ვივლი – ვიარე
ვამბობ – ვიტყვი – ვთქვი
ვშვრები – ვიზამ – ვქენი
ვეუბნები – ვეტყვი – ვუთხარი
ძევს – იდვა
მიმაქვს – წავიღებ – მივიტან...

მორფოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა **დი-ვალ-ვედ (ვიდ)** მონაცვლე ძირისაგან მიღებული ზმნები: მივდივარ – მივალ – მივედი (მივიდა).

ვალ ფუძე ძველ ქართულში უზმნისწინოდაც იხმარებოდა (დღეს მას მხოლოდ ზმნისწინიანი ფორმები გააჩნია), უსრული ასპექტისა იყო (დრო ახლანდელი). შემდგომ კი ზმნისწინი დაირთო და მომავალი დროის გაგება შეიძინა. ამით მან გაწყვიტა კავშირი აწმყოსთან და მყოფადში გადავიდა, აწმყოს ადგილი დაიკავა **დი** ფუძემ. წყვეტილის I-სა და II პირში გამოყენებულია **ვედ**, ხოლო მესამეში – **ვიდ**.

3. ზმნის **პ ი რ შ ი შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა**. პირის მიხედვით მონაცვლე ზმნათაგან ერთი გვხვდება ჩვეულებრივ საუბარში, მეორე – თავაზიანი მიმართვის დროს:

არის – გახლავს, ბრძანდება
ხარ – ბრძანდები
მოდი – მობრძანდი
დაჯექი – დაბრძანდი
მოვედი – გეახელი
ვჭამე – გეახელი (|| გიახელი)
ჭამე – მიირთვი
აიღე – ინებე...

თავაზიან (მორიდებულ) საუბარში ერთი პირისადმი გამოყენებულ ზმნებში გრამატიკულად მრავლობითის აღ-

მნიშვნელი **-თ** სუფიქსი საჭირო არ უნდა იყოს, რადგან თვით ზმნის ფუძე გამოხატავს თავაზიანობას, მაგრამ თანამედროვე მეტყველებაში ხშირად გვხვდება სუფიქსიანი ფორმებიც: „მობრძანდი**თ**, ბატონო დავით!“ ინებე**თ**, მიირთვი**თ**...

ეს **-თ** აძლიერებს თავაზიანობას, მას არ აკისრია გრამატიკული ფუნქცია.

მობრძანდი ტიპის ფორმები ძველი ქართულისათვის არ იყო დამახასიათებელი, დღეს კი ფართოდ არის დამკვიდრებული. ამგვარი თავაზიანი ფორმების გაჩენისა და გავრცელების საფუძველია ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა, სოციალურ ფენათა მიმართება. ამ ზმნათა მხოლობითის ფორმებთან **-თ** სუფიქსის დამატება გამოწვეული უნდა იყოს თავაზიანობის **თქვენ** (ერთი პირისადმი) ფორმის ანალოგიით (თქვენ კითხულობთ = შენ კითხულობ) და აგრეთვე ენის ტენდენციით – მოახდინოს განსხვავებული სემანტიკური ერთეულის გრამატიზაციაც (გააფორმოს სათანადო აფიქსით).

4. ასპექტში შენაცვლება მაშინ ხდება, როცა უსრული ასპექტის ზმნის ფუძისაგან არ ხერხდება სრული ასპექტის წარმოება და საჭიროა სხვა ზმნის გამოყენება:

ვსვამ – დავლიე

ვაძლევ – მივეცი

ვუმზერ, ვუცქერ – შევხედე...

თანამედროვე ქართულში გამოიკვეთა ერთი ტენდენციაც: **სვამს** ზმნა თავისივე ფუძით აწარმოებს სრულ ასპექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასთან ობიექტურ პირად იგულისხმება სიტყვა „სადღეგრძელო“. მაგალითად:

სვამს სადღეგრძელოს (უსრ. ასპექტი) – შესვა სადღეგრძელო (სრ. ასპექტი).

მაგრამ: სვამს წყალს (წამალს) – დალია წყალი (წამალი), ე.ი. მოხდა სემანტიკური დიფერენციაცია.

5. გვარში შენაცვლება. ზოგჯერ მოქმედებითი გვარის ზმნა კონვერსიულ ვნებითს აწარმოებს სხვა ფუძის შენაცვლებით:

მოქმ. გვარი	ვნებ. გვარი
გააგდო **მან ის**	გავარდა **ის**
მოკლა	მოკვდა
დასვა	დაჯდა
გაწყვიტა	გაწყდა
დააყენა	დადგა
გახეთქა	გასკდა
გატეხა	გატყდა
გაიყვანა	გავიდა

7.19.3. სხვადასხვა სახის თავისებური ზმნები

1. პირნაკლი ზმნები: **თოვს, წვიმს, ელავს, ქუხს...** გამოიყენება მხოლოდ III პირის ფორმით. მათ აკლიათ I და II პირები (რადგან I და II პირი გულისხმობს ადამიანს, რომელსაც არ შეიძლება მიეწერებოდეს ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკა). **წვიმს** ტიპის ზმნები რიცხვნაკლიცაა.

2. ქცევანაკლ ზმნებად მიჩნეულია უქცეო ზმნები: აქვს, იცის, ახსოვს, უყვარს...

3. მწკრივგამოცვლილი ზმნებია: იცის, უწყის, უნდა.

იცის, უწყის, წარმოშობით II სერიის II ხოლმეობითის მწკრივის ფორმები, გამოხატავდნენ განგრძობითს ასპექტს, მაგრამ დროთა ვითარებაში, როცა II ხოლმეობითის მწკრივი გამოვიდა ხმარებიდან, **იცის (უწყის) მან იგი** კონსტრუქცია თავისი მრავალგზისობის (განგრძობითობის) შინაარსის გამო გამოყენებულ იქნა I სერიის აწმყოსათვის ზოგადი აწმყოს გადმოსაცემად.

თანამედროვე ქართულში იცის (უწყის) მან ის აწმყოა, თუმცა S მოთხრობითშია, პირდაპირი O – სახელობითში, ე. ი. შენარჩუნებულია II სერიის კონსტრუქცია.

ი ც ი ს და უ წ ყ ი ს უძველესი წარმოშობის ერთეულებია. არნ. ჩიქობავას სიტყვებით რომ ვთქვათ: „**იცის** ზმნა უღვლილების სისტემისათვის ძვირფასია, მისი ბიოგრაფია ცალკე უნდა დაიწეროს. ქართული ენის ისტორიაში ეს სიტყვები სხვადასხვა ლიტერატურული წრის შემონატანი უნდა იყოს, მასთან სხვადასხვა დროისა. **უწყის** უფრო ძველია, **იცის** – შედარებით ახალი“.

მკვლევართა აზრით, **უწყის** ზმნის პირვანდელი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო **უყურებს, ხედავს**, რაც დასტურდება მეგრულ-ჭანურისა და სვანურის ჩვენებითაც. ქართულში, ჩანს, ამ ზმნას განუცდია სემანტიკური ცვლილება (დ. მაჭავარიანი).

უ ნ დ ა ზმნა ძველ ქართულში უწყვეტელი იყო. აწმყოში გამოიყენებოდა **მინა, გინა, უნა** ფორმით. X-XI საუკუნეებიდან აწმყოს ფორმები დაიკარგა. მათი ადგილი დაიჭირა უწყვეტელმა: მინდა, გინდა, უნდა. დაცარიელებული უწყვეტლისათვის ენამ ხელახლა აწარმოვა ფორმები: მინდ-ოდ-ა, გინდ-ოდ-ა, უნდ-ოდ-ა. თანამედროვე ქართულში უ ნ დ ა ზმნის უღლების პარადიგმა აწმყოს წრეში ასეთია:

აწმყო	უნდ-ა
უწყვეტელი	უნდ-ოდ-ა
აწმყ. კავშ.	უნდ-ოდ-ე-ს.

4. თავისებურ ზმნებად მიჩნეულია ხანმეტობის ნაშთები: **ხარ, მოხვალ, მოხვედი.** მხოლოდ ამ ზმნებს აქვს შენარჩუნებული S_2 პირის ნიშნად **ხ-** პრეფიქსი, რომელიც ერთადერთი მარკერი იყო ძველი ქართული ენის ხანმეტობის პერიოდში.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1992.

არაბული ა., ქართული ზმნის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის საკითხისათვის ქართულში: ენათმეცნიერების საკითხები, I, თბ., 1999.

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

ასათიანი რ., კაუზაცია და კონტაქტი ქართველურ ენებში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, I, თბ., 1989.

ასათიანი რ., გვარის მორფოლოგიური კატეგორია ქართულსა და ქართველურ ენებში: ტიპოლოგიური ძიებანი, თბ., 1990.

ასათიანი რ., ზმნური ხმოვანპრეფიქსების ფუნქციები ქართველურში; ვერსია და კაუზაცია: კრებ. ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის პრობლემები, თბ., 2016.

აფრიდონიძე შ., უ- ხმოვნიანი ფუძის ობ თემისნიშნიანი ზმნები ახალ ქართულში: ქესს, IX, 2005.

აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.

ბაბუნაშვილი ე., ფუძედრეკადი ზმნების ერთი თავისებურება ქართულში: თსუ, შრ. ტ. 174, 1977.

ბაბუნაშვილი ე., საშუალი გვარის ზმნებთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართულში: თსუ შრ., ენათმეცნიერება, №10, თბ.,1986.

ბაბუნაშვილი ე., II თურმეობითის სემანტიკასთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, IV, 1995.

ბაბუნაშვილი ე., III კავშირებითის სემანტიკის დაზუსტებისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, V, 1996.

ბარამიძე ლ., ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები, თბ., 2008.

ბერია თ., სამვალენტიანი ენიანი ვნებითების შესახებ ქართულში: ქესს, IX, 2005.

ბერიძე მარ., სტატიკურ ზმნათა ერთი ჯგუფისა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის წარმოების საკითხისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, VII, თბ., 1998.

ბერიძე მარ., ფიზიკური მდგომარეობის ზმნები და „არსებობის", „მკვიდრობის" გამოხატვა ქართულში: ქესს, X, 2009.

ბურჭულაძე თ., ზოგი ზმნური შესიტყვების თაობაზე: ქსკს, 13, 2013.

გაბუნია კ., მწკრივი და ნაკვთი (ზმნის მორფოლოგიური და სემანტიკური კატეგორიების გამიჯვნისათვის ქართულში): კრებ. „ბესარიონ ჯორბენაძეს", თბ., 2003.

გაგუა კ., კვლავ სუფიქსიანი ვნებითის საკითხისათვის ქართულში: იკე, XXIX, 1990.

გეგუჩაძე ლ., ერთი ტიპის ზმნათა გარდამავლობისა და გვარის საკითხისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, VI, თბ., 1997.

გეურქოვა ე., კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის კავკასიურ ენაში: მაცნე, №2, 1971.

გიორგობიანი თ., ქცევის კატეგორიისათვის ქართულში: ქელს, №1, 1971.

გოგოლაშვილი გ., ავ, ამ თემისნიშნიან ზმნათა ვნებითი გვარის ფორმათა შესახებ ახალ ქართულში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1987.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988.

გოგოლაშვილი გ., თემის ნიშანთან დაკავშირებული ზოგი საკითხი საშუალი გვარის ზმნებში: საენათმეცნიერო ძიებანი, XX, 2005.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნა (ფორმანარმოების საკითხები), თბ., 2010.

გოგოლაშვილი გ., თემის საკითხისათვის III სერიის ფორმებში: იკე, 39-ე, 2011.

გოგოლაშვილი გ., ე ხმოვნიანი ზმნური ფუძეები ქართულში: იკე, 42, 2014.

დათუკიშვილი ქ., ძირი, თემა და ფუძე ქართული ზმნის ფორმალიზებულ სისტემაში: ქესს, VII, 1998.

დათუკიშვილი ქ., მწკრივის წევრთა რაოდენობის საკითხი ქართული ზმნის მოდელში: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XII, 2001.

დამენია მ., ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები, თბ., 1982.

დეისაძე ო., საშუალი გვარის სწავლება სკოლაში: ქელს, 1972, №3.

დეისაძე ო., ქართული ზმნის გვარი და მისი სწავლება რვაწლიან სკოლაში, საკანდიდატო დისერტაცია, 1973.

დეისაძე ო., ქცევის სწავლების თანამიმდევრობისათვის VI კლასში: ქელს, 1975, №3.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

ერთელიშვილი ფ., დ/ნ ვნებითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: თსუ, შრ., ტ. 93, 1960.

ერთელიშვილი ფ., ქცევის საკითხისათვის ქართულში: თსუ შრომები, №114, ფილოლოგიის მეცნიერებათა სერია, თბ., 1965.

ვაშაკიძე თ., აღწერითი ვნებითის ფორმათა გამოყენებისათვის ახალ ქართულში: მაცნე, 1990, №4.

ზექალაშვილი რ., ქართული მართლწერის საკითხები, თბ., 2004.

ზექალაშვილი რ., სალიტერატურო ენის ცვლილებები და ნორმირება. წერილი მესამე: ზმნის მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2008, №№1.

ზექალაშვილი რ., ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), თბ., 2012.

ზექალაშვილი რ., ახლავს ზმნის გამოყენების ისტორიისა და მართლწერისათვის ქართულში: ჰუმანიტარული კვლევები. წელიწდეული, 2012, III, თბ., (დაიბეჭდა 2014 წელს).

ზექალაშვილი რ., თავაზიანობის გამომხატველი ზოგიერთი ზმნის გამოყენების ისტორიისათვის ქართულში: II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა", შრ., ქუთაისი, 2013.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა (გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), თბ., 2011.

თაყაიშვილი ა., კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში: ქესს, IV, თბ., 1974.

თოფურია ვ., მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში: სმამ, ტ. III, 9, თბ., 1942.

თოფურია ვ., ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში: იკე, VII, თბ., 1955.

თოფურია ვ., ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები: ქელს, №3, 1967.

თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ., ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968; 1998.

თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965; 1988.

ივანიშვილი მ., თემის ნიშანთა ფუქციისათვის ქართველურ ენებში: მაცნე, 1986, №1.

იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., ზმნა ძველ ქართულში, ნაწ. I, ნაწ. II, მაინის ფრანკფურტი, 1996.

იმნაიშვილი ი., ზმნის ფუძე: ქელს, №3, 1974.

იმნაიშვილი გრ., ვნებითი გვარი, წარმოება და ფუნქციები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: იკე, XXI, 1979.

იმნაიშვილი გრ., ქართული ზმნის გვარის კატეგორიის შესწავლის ისტორიიდან. I: იკე, XXII, თბ., 1980; II: იკე, XXXI, თბ., 1992.

კალანდაძე ვ., იგებს – გებულობს ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში: თქსენ, ბიულეტენი, №3, თბ., 1987.

კეკელია შ., დავითიანი აკ., ქართული ენა, თბ., 1973.

კვანტალიანი ც., ზმნისწინი და ქცევის ფორმათა წარმოების საკითხები: საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბ., 1999.

კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

კობაიძე მ., უღლების ტიპების შესახებ ქართულში: ქესს, XI, 2011.

ლოლაძე ნ., არსებობისა და ქონა-ყოლის ზმნათა მიმართებისათვის: ქესს, IX, 2005.

ლოლაძე ნ., ე პრეფიქსიანი პასივი ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

ლოლაძე ნ., გრძნობა-აღქმის ზმნები ქართულში: იკე, XXXV, თბ., 2005.

ლომთათიძე ქ., „თბება" ტიპის ზმნების ისტორიისათვის ქართულში: იკე, IV, თბ., 1952.

მაჭავარიანი გ., „უნიშნო ვნებითი" ქართველურ ენებში: ქესს, I, თბ., 1959.

მაჭავარიანი გ., ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში: მაცნე, 1973, №1.

მაჭავარიანი გ., კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში: იკე, XXVII, თბ., 1988.

მაჭავარიანი გ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002.

მაჭავარიანი გ., ნებიერიძე გ., მორფოლოგია: ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

მაჭავარიანი დ., უწყის ზმნის ეტიმოლოგიისათვის: ქუთაისის პედინსტიტუტის შრ., XI, 1952-1953: იხ. კრებ. ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 2013.

მაჭავარიანი ნ., კაუზატივის კატეგორიის აფიქსები ქართულსა და აფხაზურში: მაცნე, 1987, №1.

მაჭავარიანი მ., ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბ., 1987.

მახარობლიძე თ., ვერსიის კატეგორიის თავისებურებანი: იკე, 41, 2013.

მახარობლიძე თ., ისევ მესამე სერიისა და ინვერსიის შესახებ: საენათმეცნიერო ძიებანი, 29-ე, 2009.

მელიქიშვილი დ., მოქმედებითი გვარის ზმნის უღლების სისტემა თანამედროვე ქართულში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, I, 1979.

მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.

მელიქიშვილი დ., დიათეზისა და გვარის ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში: შოთა ძიძიგური – 90, თბ., 2002.

მელიქიშვილი დ., ფილოლოგიური ძიებანი (სტატიების კრებული), თბ., 2009.

მელიქიშვილი დ., არის თუ არა გვარის კატეგორია ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაციის საფუძველი: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 1-2, 2010.

მელიქიშვილი დ., მეთოდოლოგიური პრობლემები ქართული ენის გრამატიკულ ლიტერატურაში: იკე, XL, თბ., 2012.

მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, თბ., 2014.

მელიქიშვილი ი., ქცევა, როგორც ასპექტური დაპირისპირების გამოხატვის საშუალება ქართულში: ენათმეცნიერების საკითხები, 4, თბ., 2002.

ნათაძე ნ., მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში: იკე, VII, თბ., 1955.

ნებიერიძე გ., ქცევის კატეგორია ქართულში: მაცნე, №4, 1976.

ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.

ნებიერიძე გ., გვარისა და კაუზატივის ურთიერთმიმართება ქართულში :საენათმეცნიერო ძიებანი, კრებ. I, 1984.

ნიკოლაიშვილი მ., გვარის კატეგორიისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, XVI, 2004.

ნიკოლაიშვილი მ., რა განსაზღვრავს ზმნის კონსტრუქციებს ქართულში? ჟურნ. „სპეკალი", 2012, №5.

ნოზაძე ლ., პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის: ქესს, II, 1961.

ნოზაძე ლ., მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში: იკე, XIX, 1974.

ნოზაძე ლ., ხმოვანმონაცვლე ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულსი: ქესს, VII, 1998.

ნოზაძე ლ., ისევ მედიოაქტიური ზმნების შესახებ ქართულში: იკე, XXXV, თბ., 2005.

ონიანი ალ., ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978.

ონიანი ალ., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

პაპიძე ა., III კავშირებითი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში: ქსკს, II, თბ., 1979.

პაპიძე ა., მყოფადის ხოლმეობითი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქსკს, VIII, 1988.

ჟღენტი დ., წყვეტილის ზოგიერთი სემანტიკური თავისებურებების შესახებ ქართულში: ქესს, XI, 2011.

როგავა გ., დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში: იკე, V, თბ., 1953.

სალაძე ნ., ქცევის კატეგორიის შესწავლის ისტორიისათვის: ქელს, 1977, №4.

სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

საღინაძე რ., ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები, ქუთაისი, 1995.

საღინაძე რ., ძველი ქართული ენა, თბ., 2008.

საღინაძე რ., ზმნურ ფორმათა ვარიაციულობა და ნორმირების საკითხები ქართულში: სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები, თბ., 2013.

სოსელია ე., სონანტებიდან სონორებამდე; თანხმოვანთა ფონოტაქტიკა ორწევრა კომპლექსების მიხედვით ქართულში: კრებ. ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის პრობლემები, თბ., 2016.

სუხიშვილი მ., სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1976.

სუხიშვილი მ., მედიოაქტივთა საქცეო სისტემის საოპოზიციო ცალების ზოგიერთი გრამატიკული და სემანტიკური თავისებურების შესახებ: იკე, 36-ე, 2008.

სუხიშვილი მ., გვარი – ქართული ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეული; ქცევის კატეგორია, კაუზატივის კატეგორია: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია – სალიტერატურო ენა, თბ., 2011.

ტუსკია მ., ნასახლარ ზმნათა ჩამოყალიბების ისტორია და თანამედროვე ენობრივი სიტუაცია: ქსკს, XIV, 2014.

უთურგაიძე თ., კონვერსიისათვის კაუზატიურ ზმნებში: ქესს, VI, 1996.

უთურგაიძე თ., კონვერსიისათვის II სერიაში: კრებ. „გიორგი როგავას", თბ., 1997.

უთურგაიძე თ., მდგომარეობის ზმნები ქართულში: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XII, 2001.

უთურგაიძე თ., გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

ფეიქრიშვილი ჟ., მესამე სერიის მწკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში (საკანდიდატო დისერტაცია, 1973); დაიბეჭდა წიგნად, თბ., 2007.

ფეიქრიშვილი ჟ., კაუზატიურ ზმნათა III სერიის ფორმები ახალ ქართულში: მაცნე, 1973, №1.

ფეიქრიშვილი ჟ., თურმეობითის მნიშვნელობა და გამოყენება ახალ სალიტერატურო ქართულში: ქესს, IV, 1974.

ფეიქრიშვილი ჯ., სტატიკურ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი: ქელს, 1975, №14.

ფეიქრიშვილი ჯ., საშუალი გვარის ზმნათა ერთი ჯგუფის წარმოებისათვის: ქელს, 1977, №4.

ფეიქრიშვილი ჯ., გარდამავალ ზმნათა II თურმეობითის წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულში: ქსკს, II, 1979.

ფეიქრიშვილი ჯ., ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.

ფეიქრიშვილი ჯ., საშუალი გვარის **ობ** სუფიქსიან ნასახელარ ზმნათა ფუნქციისათვის თანამედროვე ქართულში: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრ., ტ. III (37), 2003; ასევე: ვრცლად იხ. ენათმეცნიერული ძიებანი, თბ., 2009.

ფეიქრიშვილი ჯ., ძირის საკითხი **აშენებინებს** ტიპის კაუზატიურ ზმნებში: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის შრომ., ტ. VIII (1), 2006.

ფეიქრიშვილი ჯ., ზმნის ძირისა და ფუძის კვალიფიკაციის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში: ენათმეცნიერული ძიებანი, თბ., 2009.

ფოცხიშვილი ალ., უნებლიობის კატეგორია ქართულ ზმნაში: კრებ. „თსუ, გიორგი ახლედიანს", თბ., 1969.

ფოცხიშვილი ალ., ქართული ენა, თბ., 2000.

ფუტკარაძე ტ., ქართული ზმნის ლოგიკური პარადიგმის საკითხისათვის: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის შრომები, VIII (I), ქუთაისი, 2006.

ფუტკარაძე ტ., ქართულ ზმნურ ფორმათა განდასების მეთოდოლოგიური საფუძვლებისათვის: XIII საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის „ქუთაისური საუბრები" მასალები, ქუთაისი, 2013.

ქავთარაძე ივ., დრო-კილოთა III სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში: იკე, VII, 1955.

ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ქირია ჭ., ნაკვთის (მწკრივის) გრამატიკული სტატუსისათვის: ქესს, VIII, თბ., 2003.

ქირია ჭ., კონტაქტი: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ქურდაძე რ., ხმოვანმონაცვალე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბ., 2005.

ქურდაძე რ., **ებ** თემის ნიშნიანი ხმოვანმონაცვლე ზმნებში: ქესს, VI, 1996.

ღვინაძე თ., აღწერითი ვნებითი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქსკს, ტ. IX, 1989.

ღვინაძე თ., ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა სტილისტიკა, თბ., 1989.

შალამბერიძე გ., ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ.,1980.

შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე ა., უნებლიობის კატეგორია თუ უნებლიობის ვნებითი: კრებ. „ქართული ენა", თბ., 1984.

შარაშენიძე ნ., ზმნათა ფორმობრივი და ფუნქციური ცვლილებები ქართულში, თბ., 2010.

ჩიქობავა არნ., ვნებითის ჩამოყალიბების ზოგი საკითხისათვის ქართულში მასდარის ჩვენებათა მიხედვით: იკე, VIII, 1956.

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; II გამოცემა 2008.

ჩიქობავა არნ., ქართული ზმნის ნაკვთეულთა დაჯგუფების პრინციპისათვის: იკე, XVII, 1962.

ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950; ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ჭუმბურიძე ზ., მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1968.

ჭუმბურიძე ზ., ავ, ამ თემისნიშნიან ზმნათა ცვლილებისათვის I თურმეობითში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრ., ტ. 19, 1976.

ჭუმბურიძე ზ., ნასახელარი ზმნები ქართულში: კრებ. „აკაკი შანიძეს", თბ., 1981.

ხომასურიძე მ., ზმნის ა პრეფიქსი და სასუბიექტო მიმღეობა ქართულში: ქესს, V, 1981.

ჯორბენაძე ბ., ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხი ქართულში, თბ., 1975.

ჯორბენაძე ბ., ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

ჯორბენაძე ბ., მოქმედებითის და ვნებითის ფორმათა დაპირისპირების პრინციპებისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.

ჯორბენაძე ბ., ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.

ჯორბენაძე ბ., უღვლილება: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ჯორბენაძე ბ., ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში: ქსკს, 10, 1993.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

ჯორბენაძე ბ., თემის ნიშანთა განაწილებისათვის ქართულში: იკე, XXVII, 1988.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

ჯორბენაძე ნ., საშუალი გვარის ზმნათა უღლების სისტემა თანამედროვე ქართულ ენაში: იკე, 36-ე, 2008.

ჯორბენაძე ნ., ობ თემისნიშნიანი საშუალი გვარის ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი: ქესს, X, თბ., 2009.

ჯორბენაძე ნ., საშუალი გვარის უთემისნიშნო ზმნების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი და უღლების ძირითადი საკითხები: იკე, 38-ე, 2010.

ჯორბენაძე ნ., ავ თემისნიშნიანი საშუალი გვარის ზმნათა სემანტიკისა და ნორმატიულობის საკითხისათვის: იკე, 41-ე, 2013.

ჯორბენაძე ნ., საშუალი გვარის ზმნებისა და თემის ნიშანთა მონაცლეობის შესახებ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში: იკე, 42-ე, 2014.

ჰარისი ა., ვნებითი ქართულში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, 1981.

ჰოლისკი დი ენ, ასპექტი და ქართული მედიალური ზმნა, თბ., 2000.

Джорбенадзе Б., Грузинский глагол, Тб., 1986.

Марр Н. Я., Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, СПб., 1908.

Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

Boeder Wienfried, Über die Versionen des Georgischen Verbs: Fol. 2, de Gryter-Ian 1, 1968.

თავი VIII. სახელზმნა

8.1. სახელზმნის რაობა. მისი სახეები (ზოგადი დახასიათება)

სახელზმნა არის ისეთი სიტყვა, რომელსაც აქვს სახელისა და ზმნის გრამატიკული ნიშნები. იგი ბრუნებადი სიტყვაა და წინადადებაში სახელის ფუნქციას ასრულებს. მისი კითხვებია: **რა? რომელი? როგორი?** მაგალითად: დავიწყე **წერა** (რა?), მოვიდა **მშენებელი** კაცი (რომელი?), **დანგრეული** სახლი აშენდა (როგორი?).

სახელზმნას აქვს სახელისა და ზმნის კატეგორიები. სახელის კატეგორიებიდან მოეპოვება ბრუნება (წერა, წერა-მ, წერა-ს...) და რიცხვი (მშენებელი – მშენებლები). იგი უფრო მდიდარია ზმნური კატეგორიებით, შეუძლია გამოხატოს გეზი, ორიენტაცია, გვარი, კონტაქტი, დრო. ამიტომ, ა. შანიძის აზრით, „მისი ადგილი უფრო ზმნათა სისტემაშია, ვიდრე სახელისაში. გარდა ამისა, ზმნასთან მას აერთიანებს ლექსიკური შინაარსი, წარმოება და გამოყენება III სერიის ფორმათათვის“.

ქართულში სახელზმნა, როგორც მეტყველების ნაწილი, არსებითი ან ზედსართავი სახელია (თუმცა გარკვეულ შემთხვევაში ზმნის მსგავსად სახელს შეიწყობს ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით: ფანქრით წერს წერილს – შდრ. ფანქრით დაწერილი წერილი...).

სახელზმნა ორგვარია: საწყისი (მასდარი) და მიმღეობა.

ტერმინი „სახელზმნა“ ქართულ გრამატიკაში დაამკვიდრა ანტონ I-მა იმ ფორმის აღსანიშნავად, რომელსაც დღეს ეწოდება საწყისი (მასდარი). ანტონისეული ტერმინის მნიშვნელობა თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში გაფართოებულია: მოიცავს საწყისსაც და მიმღეობასაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ტერმინი „სახელზმნა“ კარგად ასახავს მის მიერ აღსანიშნი ცნების

როგორც სემანტიკურ, ისე მორფოლოგიურ სპეციფიკას: სახელზმნა, მართალია, სახელია (ბრუნებადი სიტყვაა და არა უღლებადი), მაგრამ ის გამოხატავს არა სახელურ, არამედ ზმნურ სემანტიკას (ალ. ონიანი).

სახელზმნა, თავისი სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, მეტად რთული და საინტერესო ენობრივი ერთეულია. მასთან დაკავშირებით ქართულ ლინგვისტიკაში გამოთქმულია არაერთი განსხვავებული მოსაზრება. განსაკუთრებით სადავოა სახელზმნათა ადგილი მეტყველების ნაწილთა სისტემაში, მათი მორფოლოგიური კვალიფიკაცია. მაგალითად:

1) ა. შანიძის აზრით, სახელზმნები ზმნის უპირო უუღლებელი ფორმებია და უპირისპირდება ზმნის უღლებად ფორმებს. ორივე (საწყისი და მიმღეობა) არის ზმნა ფართო გაგებით... ავტორი სახელზმნას მიიჩნევს შუალედურ, გარდამავალ საფეხურად სახელსა და ზმნას შორის, მაგრამ, როგორც მეტყველების ნაწილი, სახელებში აქვს გაერთიანებული.

2) ბ. ჯორბენაძის კლასიფიკაციით, სახელზმნა მხოლოდ სახელია.

3) სხვათა თვალსაზრისით, სახელზმნა ცალკე მეტყველების ნაწილადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული (აკ. დავითიანი); „მასდარი და მიმღეობა გარკვეული სპეციფიკური თავისებურებების გამო ქართული ენის მორფოლოგიურ სისტემაში ქმნიან ცალკე კლასს, რომელიც განსხვავდება ფორმაცვალებადი სიტყვების ორი ძირითადი ტიპისაგან – სახელისა და ზმნისაგან“ (დ. ჩხუბიანიშვილი...) და ა. შ.

შენიშვნა: მართალია, სახელზმნა დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი არ არის (მორფოლოგიურად სახელია), მაგრამ ამჯერად მისი განხილვა სახელებისა და ზმნის შემდეგ გამართლებულია ტრადიციით და იმითაც, რომ მას სახელის ნიშნებიც აქვს და ზმნისაც.

8.2. საწყისი

8.2.1. საწყისის რაობა. მისი კატეგორიები

საწყისი არის ზმნისაგან ნაწარმოები სიტყვა, რომელიც ატარებს ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას, მაგრამ არა აქვს უღლების კატეგორიები. მორფოლოგიურად იგი განიხილება როგორც არსებითი (მოქმედების) სახელი, ამიტომ მას უწოდებენ ნაზმნარ არსებით სახელსაც.

სპეციალურ ლიტერატურაში ნაზმნარი არსებითი სახელების (სუბსტანტივების) აღსანიშნავად ტერმინი „საწყისის“ პარალელურად გამოიყენება არაბული სიტყვა „მასდარიც“ (= გამოსავალი, საიდანაც გამოდიან); ზოგი მკვლევარი უპირატესობას ამ ტერმინს ანიჭებს.

სინტაქსურად საწყისი შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება, გარემოება...

თესვა გაზაფხულზე იწყება (ქვემდ.);

„გულმა **ძგერა** დამიწყო“ (პირდ. დამ.);

მუშაობის შემდეგ დავისვენებ (დრ.გარ.).

საწყისი მოქმედება-მდგომარეობის აღმნიშვნელი ბრუნებადი სიტყვაა. იგი ფორმას იცვლის ბრუნვათა მიხედვით: ხატვა, ხატვა-მ, ხატვა-ს, ხატვ-ის, ხატვ-ით, ხატვა-დ; ე. ი. საწყისს სახელის კატეგორიებიდან აქვს ბრუნება, მაგრამ მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოება, თუმცა სტილისტური საჭიროებისა და კონკრეტული სემანტიკის შემთხვევაში იშვიათად შეიძლება ჰქონდეს **ნ**არიანი მრავლობითი (ისიც მეტწილად მხატვრულ ლიტერატურაში): მღერანი, ჩქერანი, ძგერანი, მზერანი... ხოლო, როცა ზოგიერთ საწყისს მთლიანად დაკარგული აქვს ზმნური შინაარსი და არსებით სახელთა რიგში არის გადასული, მაშინ იგი **ებ**იან მრავლობითსაც აწარმოებს: კითხვა – კითხვები, სხდომა – სხდომები, კრება – კრებები, განცხადება – განცხადებები, (საკონტროლო) წერები...

საწყისს შეუძლია გამოხატოს ზმნური კატეგორიები – გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი, იშვიათად – გვარიც:

ფრენა – გაფრენა (გეზი)
წასვლა – წამოსვლა (ორიენტაცია)
კეთება – გაკეთება (ასპექტი)
გამზადება – გამზადებინება (კონტაქტი)

როგორც წესი, საწყისი არის საზიარო ფორმა მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათათვის: მაგალითად, **შენება** არის **აშენებს** და **შენდება** ზმნების საწყისი, მაგრამ რამდენიმე ზმნასთან საწყისი განსხვავებულია გვარის მიხედვით; მოქმედებითისაა: ტეხა, წყვეტა, ხეთქა, დუღება... ვნებითისა: ტყდომა, წყდომა, სკდომა, დუღილი...

8.2.2 საწყისის წარმოება

ახალ ქართულში საწყისი იწარმოება ზმნის აწმყო-მყოფადის გაუვრცობელი ფუძისაგან **-ა** სუფიქსის დართვით, კერძოდ: ზმნის ფორმას უნდა ჩამოშორდეს პირის, რიცხვის, მწკრივის ნიშნები, სავრცობი, ქცევის, გვარის მაწარმოებელი აფიქსები და შემდეგ დაემატოს **ა** სუფიქსი: აკეთებ-ს > კეთებ-ა, ხატავდ-ა > ხატვ-ა, უშენებ-ენ > შენებ-ა, აბამს > ბმ-ა (**-ა** სუფიქსის დართვა ფუძეში ზოგჯერ ფონეტიკურ ცვლილებას იწვევს). ამ წესით იწარმოება საწყისთა დიდი უმრავლესობა.

შესაძლებელია, საწყისის მარტივი **-ა** მაწარმოებელი გართულებული იყოს **-ომ, -ოლ, -ნ** ფორმანტებით. ამგვარ ფორმებს უწოდებენ **ომიან, ოლიან** და **ნარიან** საწყისებს. მაგალითად:

-ომ: ჯდ-ომ-ა, დგ-ომ-ა, სხდ-ომ-ა, ტყდ-ომ-ა...

-ოლ: წ-ოლ-ა, ყ-ოლ-ა, ქრ-ოლ-ა, ბრძ-ოლ-ა, თრთ-ოლ-ა...

-ნ: პოვ-ნ-ა, შოვ-ნ-ა, თხოვ-ნ-ა...

ძველ ქართულში საწყისი განსხვავებულად იწარმოებოდა. დღესაცაა შემორჩენილი ძველი წარმოების ფორმები:

-ილ: ტირ-ილ-ი, ჩივ-ილ-ი, ყვირ-ილ-ი, დუღ-ილ-ი...

სი–ილ: სი-რბ-ილ-ი, სი-ც-ილ-ი, სი-რცხვ-ილ-ი...

სი–ულ: სი-არ-ულ-ი, სი-ყვარ-ულ-ი, სი-ხარ-ულ-ი...

ს–ა: ს-ვლ-ა (< ს-ლვ-ა), ს-რბ-ა...

სი–ა: სი-მღერ-ა...

-ილ, სი-ილ, სი-ულ აფიქსებით წარმოქმნილი სახელები დღეს უკვე არსებით სახელთა რიგებში დგანან.

ქართულში ზოგჯერ საწყისის მაგივრობას ეწევა ის სახელი, რომლისგანაც ნაწარმოებია ზმნის პირიანი ფორმა. ასეთებია: ლაპარაკი, ბაასი, საუბარი, ტრიალი, კაშკაში, ჩუხჩუხი, ღიღინი, ჭიკჭიკი, შრიალი, ბრაგუნი, ხარხარი და ა. შ. არნ. ჩიქობავას მიხედვით, **შრიალი** ტიპის სახელები პ ი რ ვ ე ლ ა დ ი მასდარებია, **კეთება** ტიპისა კი – მ ე ო რ ე უ ლ ი (იწარმოება ზმნისაგან).

სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ გარკვეული ნიშნით ერთმანეთს ამსგავსებენ ანუ ერთნაირ ოდენობად განიხილავენ ქართულ საწყისსა და ევროპული ენების ინფინიტივს, მაგრამ მათ შორის მთავარი განსხვავება ის არის, რომ ინფინიტივი არის ამოსავალი ზმნისათვის, საწყისი კი იწარმოება ზმნისაგან...

8.3. მიმღეობა

8.3.1. მიმღეობის რაობა. მისი კატეგორიები

მიმღეობა ზმნისაგან ნაწარმოები უუღლებელი სიტყვაა, რომელიც იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით. მორფოლოგიურად იგი ნაზმნარი ზედსართავი სახელია. მისი კითხვებია **როგორი? რომელი?** – აქვს ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიები.

სინტაქსურად მიმღეობა შეიძლება იყოს განსაზღვრება ან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი:

აშენებული სახლი, **მოწმენდილი** ცა... (განსაზღვრ.)

სახლი **აშენებული** იყო, დედა **გახარებული** არის (შედგ. შემ. სახელ. ნაწ.) და ა. შ.

ტერმინი „მიმღეობა“ ანტონ I-ის გრამატიკიდან მომდინარეობს. ავტორის მიხედვით, ამ ფორმას მიმღეობა იმიტომ ჰქვია, რომ ზმნისა და სახელისაგან იღებს კატეგორიებსა და თვისებებს. მკვლევართა აზრით, ტერმინი „მიმღეობა“ არ არის ზუსტი. აჯობებდა უფრო შესატყვისი გამონახულიყო (მაგალითად, „მონაწილე“, „მოზიარე“ ან სხვა რამ), მაგრამ იგი ტრადიციულია და ამიტომ ჯერ კიდევ ძალაშია (ა. შანიძე, ე. ოსიძე...).

მიმღეობა ბრუნებადი სიტყვაა. მაგალითად: გახარებულ-ი, გახარებულ-მა, გახარებულ-ს... დაჭრილი – დაჭრილებ-ი... თუმცა მას ძირეული სემანტიკით შემორჩენილი აქვს ზმნური კატეგორიებიც: დრო, ასპექტი, გეზი, ორიენტაცია, გვარი, კონტაქტი. მაგალითად:

გაგზავნილი – გასაგზავნი (დრო)

გზავნილი – გაგზავნილი (ასპექტი, გეზი)

გაგზავნილი – გამოგზავნილი (ორიენტაცია)

გამგზავნი – გაგზავნილი (გვარი)

გამკეთებელი – გამკეთებინებელი (კონტაქტი)

მართალია, მიმღეობას მოეპოვება რამდენიმე ზმნური კატეგორია, მაგრამ ახალ ქართულში იგი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ (აღნიშნავს ნიშან-თვისებას), ფ ო რ მ ა ც ვ ა ლ ე ბ ი თ ა (იბრუნვის) და ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი ფ უ ნ ქ ც ი ი თ (განსაზღვრებაა) მაინც სახელია.

ტრადიციულ ქართულ გრამატიკებში მიმღეობას ახასიათებენ გვარების მიხედვით. გამოყენებულია ტერმინები: „მოქმედებითი გვარის მიმღეობა“, „ვნებითი გვარის მიმღეობა“, „საშუალი გვარის მიმღეობა“, მაგრამ მათში სუბიექტ-ობიექტის მიმართება ზმნით გამოხატულ შინაარსთან ნათლად არ არის წარმოდგენილი... ამის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიღეს განსხვავებული ტერმინები: „სასუბიექტო მიმღეობა“, „საობიექტო მიმღეობა“. ე. ოსიძის აზრით, მიმღეობებში არ არსებობს გვარის მიხედვით დაპირისპირებული ფორმები, რომლებშიც გამორიცხულია კონკრეტული დროის აღნიშვნაც.

8.3.2. მიმღეობის წარმოება

მიმღეობის საწარმოებლად გამოყენებულია პრეფიქსი, სუფიქსი ან პრეფიქს-სუფიქსი (კონფიქსი).

ს ა ს უ ბ ი ე ქ ტ ო მ ი მ ღ ე ო ბ ა თავისი სემანტიკით გულისხმობს მოქმედ პირს, სუბიექტს: მშენებელი (ვინც აშენებს), მხატვარი (ვინც ხატავს), მცურავი (ვინც ცურავს)...

სასუბიექტო მიმღეობის მაწარმოებლებია:

მ-: და-მ-წერ-ი, მ-კერავი, გა-მ-ტეხი, მ-ცურავ-ი, მ-ხოხავ-ი, მ-ფეთქავ-ი...

მ–ელ: მ-შენებ-ელ-ი, მ-კეთებ-ელ-ი, მ-ჭრ-ელ-ი, მ-თლ-ელ-ი, მ-კვლ-ელ-ი...

მა–ელ: და-მა-არსებ-ელ-ი, და-მა-მშვენებ-ელ-ი, წა-მა-ხალისებ-ელ-ი, შე-მა-წუხებ-ელ-ი...

მ–არ (-ალ): მ-ხატვ-არ-ი, მ-წერ-ალ-ი, მ-კურნ-ალ-ი (დღეს ეს სიტყვები გაარსებითებულია), მ-ძინ-არ-ი, მ-ღვიძ-არ-ი, მ-ტირ-ალ-ი, მ-ყვირ-ალ-ი...

მ–არე (-ალე): მ-დგომ-არე, მ-ჯდომ-არე, მ-სხდომ-არე (ამ ტიპის მიმღეობის ამოსავალი ფორმაა საწყისი: დგას > დგომა > მ-დგომ-არე...), (მ)ბრწყინვ-ალე, მ-წოლ-არე...

მ–არ-ი/ე: მ-ქუხ-არ-ი/ე, მ-დუმ-არ-ი/ე, მ-დუღ-არ-ი/ე...

სასუბიექტო ფორმა იწარმოება აგრეთვე სხვა აფიქსების დართვითაც:

მ–ე: მ-ქონ-ე (< აქვს)...

მო–ე: მო-ჭიდავ-ე, მო-ციმციმ-ე, მო-ცახცახ-ე, მო-რაკრაკ-ე, მო-ჭიკჭიკ-ე, მო-თამაშ-ე, მო-ალერს-ე, მო-ყვარ-ე (< უყვარს)...

მო–ულ: მო-ხარ-ულ-ი (< ხარობს), მო-ყვარ-ულ-ი (< უყვარს)...

თავისებურად იწარმოება სასუბიექტო მიმღეობის ზოგიერთი ფორმა: მ-საჯ-ულ-ი, მე-ტყვ-ელ-ი, მო-ქმ-ედ-ი, მო-ძრავ-ი...

„ს ა ო ბ ი ე ქ ტ ო ა მ ი მ ღ ე ო ბ ა, რომელიც აღნიშნავს სამოქმედო საგანს ანუ იმ პირს, რომელიც სათანადო

ზმნურ ფორმაში ობიექტის ნიშნებითაა გადმოცემული“ (ნ. ჯორბენაძე). საობიექტო მიმღეობას, სასუბიექტოსაგან განსხვავებით, აქვს წარსული და მომავალი დროის ფორმები. ასევე იგი შეიძლება იყოს წართქმითი და უკუთქმითი.

წ ა რ ს უ ლ ი დ რ ო ი ს საობიექტო მიმღეობა წარმოების მიხედვით სამგვარია: პრეფიქსიანი, სუფიქსიანი და პრეფიქს-სუფიქსიანი (კონფიქსიანი). მისი მაწარმოებლებია:

ა) **ნა-:** ნა-წერი, ნა-თქვამი, ნა-ნახი, ნა-კეთები, ნა-პარავ-ი, ნა-ტეხ-ი... ზოგჯერ **ნა**-ს ერთვის **არ** სუფიქსი: ნა-ჩუქარ-ი, ნა-უბ-არ-ი...

ბ) **-ილ:** დაწერ-ილ-ი, გაშლ-ილ-ი, დაბეჭდ-ილ-ი...

-ულ: დამალ-ულ-ი, ნახ-ულ-ი, აგებ-ულ-ი, ჩა-ცმულ-ი, და-ხატ-ულ-ი...

გ) **მ–არ (-ალ):** გა-მ-ხმ-არ-ი, გა-მ-თბ-არ-ი, გა-მ-შრალ-ი, გა-მ-ქრ-ალ-ი... (ამგვარი წარმოება არ არის პროდუქტიული).

შესაძლებელია შეგვხვდეს ერთი და იმავე მიმღეობის პარალელური (პრეფიქსიანი და სუფიქსიანი) ფორმები: ნა-ნახი || ნახ-ული, ნათქვამი || თქმ-ული, მო-ნა-გები || მოგებ-ულ-ი, და-ნა-წერი || დაწერ-ილ-ი... დღეს უფრო უპირატესია პრეფიქსიანი წარმოება, ძველ ქართულში კი პირიქით იყო.

მ ო მ ა ვ ა ლ ი დ რ ო ი ს საობიექტო მიმღეობის მაწარმოებლებია:

სა-: სა-წერი || და-სა-წერი, გა-სა-ტეხი, გა-სა-ყიდი, გა-სა-გზავნი...

სა–ელ: და-სა-შლ-ელ-ი, გა-სა-თლ-ელ-ი, და-სა-ღერ-ელ-ი...

უ კ უ თ ქ მ ი თ ი (უარყოფითი) მიმღეობა იწარმოება **უ-** პრეფიქსითა და **უ–ელ** კონფიქსით: და-უ-ხატავ-ი; ა-უ-შენებ-ელ-ი, გა-უ-გზავნ-ელ-ი, და-უ-მზადებ-ელ-ი...

ზოგიერთი მიმღეობა დღეს სახელადაა ქცეული. ასეთებია: მასწავლებელი, მცველი, მატარებელი, მშობელი, დამრიგებელი, შვილი, მოსწავლე, მოწაფე, მოახლე, კრებული, თხრილი, ნაჭერი... თუმცა ამათგან მცირე ნაწილს ზოგჯერ შეიძლება შენარჩუნებული ჰქონდეს მიმღეობის სემან-

ტიკაც. მაგალითად, „ვირუსის მატარებელი“, „ჭკუის მასწავლებელი“...

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ქართულში არის ერთი ჯგუფი სახელებისა, რომლებიც შინაარსით უახლოვდებიან სასუბიექტო მიმღეობას, თუმცა ფორმით მკვეთრად განსხვავდებიან მათგან. ასეთებია **ია**-თი ნაწარმოები – **ნაცარქექია** ტიპის სახელები (ბელტიყლაპია, დოყლაპია, ნემსიყლაპია... ჩიტირეკია, ყველიჭამია, კაციჭამია... კევიღეჭია, კურდღლიჭერია და მისთ.) ამ ტიპის სახელთა ფორმობრივ-სემანტიკური კვალიფიკაცია ბევრი მკვლევრის საგანგებო მსჯელობის საგანი იყო (ვრცლად იხ. ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, 1992).

შენიშვნა: 1. შვილი – სახელისათვის ამოსავალია ძველი ქართულის **შევ**-ს ზმნა; მისგან -ილ სუფიქსის დართვით (ფონეტიკური ცვლილებით) მიღებულია: შევ(ს)+ილ > შევ-ილ-ი > შვ-ილ-ი.

2. ზ. სარჯველაძის აზრით, **მოწაფე** მომდინარეობს **წაფ** ძირისაგან. მისგანაა ნაწარმოები მიმღეობა მ-წაფ-ელ-ი, რაც ძველ ქართულში ნიშნავდა „წამყვანს“, „წინამძღოლს“. უფრო მოგვიანებით „მწაფელი“-საგან მიღებულ იქნა მო-წაფ-ე (= მიმყოლი, მიმდევარი). **წაფ** ძირთან ს წ ა ვ ლ ი ს , ს წ ა ვ ლ ო ბ ს მნიშვნელობა მეორეულია.

ლიტერატურა

ანტონ პირველი, „ქართული ღრამმატიკა" (II რედაქცია – 1767), თბ., 1997

არაბული ა., ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის წარმოების ისტორიისათვის: იკე-ს წელიწდეული, XIV, თბ., 1987.

ბარამიძე ლ., ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები, თბ., 2008.

დავითიანი ა., სახელზმნათა ადგილისათვის მეტყველების ნაწილთა სისტემაში: ქელს, 1975, №2.

ერთელიშვილი ფ., მიმღეობის ერთი ტიპი ქართულში: თსუ შრ., 117, 1985.

ზექალაშვილი რ., ინფინიტივის გადმოცემის საშუალებები ქართულში: აკად. სერგი ჯიქიას დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, თბ., 2009.

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა (გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), თბ., 2011.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ., ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968; 1998.

კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

კიკვიძე ბ., მიმღეობის ერთი ტიპის წარმოებისათვის ქართულში: მეცნ. აკად. მოამბე, II, 1960.

მარტიროსოვი არ., მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის: იკე, VII, თბ., 1955.

მაჭავარიანი ნ., ჩიტირეკია ტიპის სახელთა წარმომავლობისათვის ქართულში: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XI, 2000.

მრევლიშვილი მზ., კომპოზიტები ქართულ ენაში: თსუ შრ., 67, 1957.

ნათაძე ნ., შესაძლებლობის მიმღეობათა წარმოებისათვის თანამედროვე ქართულში: იკე, XIII, 1962.

ნოზაძე ლ., მასდარის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში და ქეგლი: საენათმეცნიერო ძიებანი, XIII, თბ., 2002.

ოსიძე ეკ., მიმღეობის წარმოება ქართულში: თსუ შრ., 67, 1957.

სანიკიძე თ., მიმღეობათა პარალელური ფორმების წარმოების ზოგი საკითხისათვის: თსუ შრ., ენათმეცნიერება, ტ. 164, 1975.

საღინაძე რ., მიმღეობურ ფორმათა სემანტიკური დიფერენციაცია ქართულში ნორმირების ასპექტით: ქსკს, XIII, თბ., 2013.

სალინაძე რ., სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები, თბ., 2013.
ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.
ქავთარაძე ივ., ერთი ტიპის ზმნათა ფუძისა და სახელის წარმოების თავისებურება ქართულში: მეცნ. აკად. მოამბე, 1960, №3.
ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
ქურდაძე რ., ხმოვანმონაცვლე ზმნათა I სერიისა და სახელზმნის წარმოების შესახებ: იკე, 33-ე, 1995.
ღუტიძე ი., ავ და ამ თემისნიშნიან ზმნათა მიმღეობის შესახებ: საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.
ღუტიძე ი., მიმღეობა: ქართული ენა – ენციკლოპედია, I, თბ., 2008.
ყორღანაშვილი უ., სახელზმნის სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973.
შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950; ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.
ჩიქობავა არნ., მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის: იკე, IV, 1953.
ჩხუბიანიშვილი დ., მასდარი, სახელზმნა: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.
ჯორბენაძე ნ., სახელზმნა: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, თბ., 2011.

თავი IX. ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები (უდეტრები)

ტრადიციულ ქართულ გრამატიკებში ფორმის ცვალებადობისა და ფუნქცია-მნიშვნელობის მიხედვით მეტყველების ნაწილები დაყოფილია ორ დიდ ჯგუფად: პირველში შედის სახელები და ზმნა (ფორმაცვალებადი სიტყვები), მეორეში კი გაერთიანებულია ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული (ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები). ამ ჯგუფში შემავალი სიტყვებიც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც მორფოლოგიურად, ისე სინტაქსური თვისებებით. ამიტომაც ა. შანიძემ მართებულად მიიჩნია, მათთვის საერთო სახელად ეწოდებინა **უდეტრები** („უდეტერი" ბერძნულია, ნიშნავს არც ერთს ორიდან, ანუ უდეტერია ის, რაც არც სახელია და არც ზმნა). მათში გამოიყოფა ერთგვარი ნიშნების მქონე ქვეჯგუფები: ზ მ ნ ი ზ ე დ ა, მ ხ ლ ე ბ ე ლ ი (თანდებული, კავშირი, ნაწილაკი) და შ ო რ ი ს დ ე ბ უ ლ ი.

ფორმაუცვლელი სიტყვები მართლაც განსაკუთრებული ენობრივი ერთეულებია. თეორიული თვალსაზრისით, მათი დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილებად გამოყოფასთან დაკავშირებით, ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია ბ. ჯორბენაძის კლასიფიკაცია. მიუხედავად ამისა, წიგნის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, თანამედროვე სკოლებში ქართული ენის სწავლების რეალური ვითარების გათვალისწინებითაც, ამჯერად ტრადიციული მიდგომით შემოვიფარგლეთ და ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები ცალ-ცალკე განვიხილეთ.

9.1. ზმნიზედა

9.1.1. ზმნიზედის მნიშვნელობა და ფუნქცია

ზ მ ნ ი ზ ე დ ა (ზ მ ნ ი ს ა რ თ ი) არის ფორმაუცვლელი სიტყვა, რომელიც განსაზღვრავს ზმნით გამოხატული მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს ანუ აღნიშნავს, თუ სად, როდის, როგორ, რა ზომით, რამდენჯერ, რატომ ან რისთვის ხდება ზმნით გამოხატული მოქმდება. მაგალითად: **აქ** სიცოცხლეა (სად?), **დღეს** მერცხალი შემოფრინდა (როდის?), **ნელა** ეფინება ბინდი გარემოს (როგორ?) და ა. შ. იგი, ჩვეულებრივ, ახლავს ზმნას და ნაზმნარ სახელსაც: **გუშინ** წავიდა; **გუშინ** წასული კაცი დაბრუნდა; **გუშინ** წასვლა გადაიფიქრა... ზმნიზედა ზოგჯერ განსაზღვრავს თვით ზმნიზედას ან ზედსართავ სახელს: **ოდნავ** ნელა, **ძალიან** კარგი...

სინტაქსურად ზმნიზედა გარემოებაა; შეიძლება იყოს შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილიც: **ხვალ აქ** ზეიმი იქნება; **ძალიან** ჩქარობდა... ბავშვი **ავად** გ ა ხ დ ა ... ზმნიზედა თანდებულის ფუნქციასაც ასრულებს, თუ ის დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას: **სახლის წინ** ჭადარი დგას (შდრ. **წინ** მიდის); ოთხი წლის შემდეგ; მდინარის გაღმა...

ზოგიერთი ზმნიზედა ორმაგი ფუნქციის მქონეა, წინადადების წევრია და კავშირის როლშიც გამოდის (სინტაქსურად წევრ-კავშირია): **სადაც** ვარდი ამოდის, იქ ეკალიც თესია.

ზმნიზედისაგან შეიძლება წარმოიქმნას სხვა მეტყველების ნაწილები: არსებითი (**აქაურობა** < აქ, **იქაურობა** < იქ), ზედსართავი (**იქაური** < იქ, **გარეული** < გარეთ, **შინაური** < შინ..).

ფორმის მიხედვით ზმნიზედა ორგვარია: ძირეული (პირველადი) და ნაწარმოები.

ძ ი რ ე უ ლ ი ზმნიზედა ცოტაა: **აქ, იქ, წინ, შინ, ხვალ, აწ, სად...**

ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ზმნიზედა მიღებულია სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან, სახელის რომელიმე გაქვავებუ-

ლი ბრუნვის (მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი) ფორმით (ძირი > ძირს, ღამე > ღამით, გეზი > გეზად; ახლოს, დილას, დღეს...) ან კიდევ სპეციალური მაწარმოებლებით: **-გან, -ივ, -რე, -ხელ, -ჯერ, -გზის, -მო, -შე, -ღამ, -ხან:** ერთგან, ყველგან, ირგვლივ, მარჯვნივ, ეგრე, სამჯერ, ორგზის, ზემოთ, ქვემოთ, წინაშე, გარეშე, ერთხელ, ამაღამ, ერთხან(ს), დიდხანს... ზმნიზედად შეიძლება გამოყენებული იყოს სახელის ფუძეც: **ღამე || ღამით:** ავადმყოფს მთელი ღ ა მ ე არ ეძინა.

მაშასადამე, რაც ზედსართავია არსებითი სახელისათვის, ისაა ზმნიზედა ზმნისათვის; იგი ზმნასთან გამოსაყენებელი სიტყვაა (სწორედ ამის მიხედვითაა შექმნილი ამ მეტყველების ნაწილის ბერძნულ-ლათინური სახელწოდება **adverbium** = „ზმნის თანა“).

თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში დამკვიდრებულია ტერმინები „ზმნიზედა“ და „ზმნისართი“. ა. შანიძის აზრით, ზმნიზედა (ზმნის ზედა) მომდინარეობს სლავურ-რუსულიდან (იგი **наречие**-ს თარგმანია). „ზმნის-ზედა პირველად გვხვდება ანტონ I-ის გრამატიკაში, „ზმნისართი“ კი პირველად გამოიყენა ს. ხუნდაძემ. დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო გავრცელებული ტერმინია **ზმნისართი,** თუმცა ა. შანიძემ უპირატესობა **ზმნიზედას** მიანიჭა. ორივე ტერმინი მაინც პირობითია, რეალურ ვითარებას ვერ ასახავს, რადგან ამ ჯგუფში შემავალი სიტყვა იხმარება არა მხოლოდ ზმნასთან, არამედ ზედსართავ სახელთან და ზმნიზედასთანაც.

9.1.2. ზმნიზედის შინაარსობრივი ჯგუფები

ქართულში გამოიყოფა ზმნიზედის რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი:

ა დ გ ი ლ ი ს ზ მ ნ ი ზ ე დ ა გამოხატავს მოქმედების ადგილს ან მიმართულებას. მისი კითხვებია: **სად? საიდან? სადამდე? საითკენ?**

წარმოების მიხედვით ადგილის ზმნიზედა შეიძლება იყოს პირველადი და ნაწარმოები. პირველადი ზმნიზედებია: აქ, იქ, წინ, უკან, შინ (მათი რიცხვი მცირეა)... ნაწარმოები ზმნიზედებია: ძირს, ახლოს, შუაში, შინისკენ, ბოლოსკენ, გვერდით, შორით, ქვემოთ, გარეთ, საიდან, მაღლა, დაბლა, აქამდე, იქამდე, სადამდე, მეზობლისას... ამ ჯგუფის ზმნიზედათა უმეტესობა არის სახელის გაქვავებული ბრუნვის ფორმა.

დროის ზმნიზედა აღნიშნავს მოქმედების დროს, ანუ დროის კონკრეტულ მონაკვეთს, რომელშიც სრულდება მოქმედება. მისი კითხვებია: **როდის? რა დროიდან? რა დრომდე? რამდენ ხანს?** დროის ზმნიზედათა მცირე ნაწილი პირველადია, უმეტესობა – ნაწარმოები:

ა) ახლა, აწ, წელან, წუხელ, გუშინ, შარშან, უწინ, ხვალ, ზეგ, ჯერ, მერმე, გვიან, მალე...

ბ) წელს, დღეს, საღამოს, საღამოზე, ბოლოს, დაწყებისას, დამთავრებისას, ერთხელ, მარადის, ღამით, დილით, ხვალიდან, წლობით, ძველად, ამჟამად, პირველად, აქამდე, მანამდე...

დროის ზმნიზედა მიიღება აგრეთვე ფუძის გაორკეცებით ან სხვადასხვა ფუძის შეერთებით: ხანდახან, წინდაწინ, დღედაღამ, ზამთარ-ზაფხულ, დილა-საღამოს...

ვითარების ზმნიზედა მიუთითებს, თუ როგორ, რა ვითარებაში ხდება ზმნით აღნიშნული მოქმედება. მისი კითხვებია: **როგორ? რანაირად?**

ვითარების ზმნიზედა ძალზე იშვიათად გადმოიცემა მარტივი ფუძით, მეტწილად კი იგი იწარმოება თანდებულიანი თუ უთანდებულო სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმისაგან, ასევე ფუძის გაორკეცებითა და სხვადასხვა ფუძის შეერთებით. ასეთებია: ასე, ისე, ძალიან, ძლიერ, ზეზე, ძალზე, ლომსავით, ლომისებრ, წყენით, ოხვრით, მშვიდად, ამნაირად, გეზად... ლუკმა-ლუკმა, ფეხდაფეხ, ცხენდაცხენ, განუწყვეტლივ, ეგრე, მაგრე, თავქვე, პირაღმა, გარდიგარდმო...

ზომა-ოდენობის ზმნიზედა აღნიშნავს, თუ რა

ზომით, რა ოდენობით ხდება მოქმედება. მისი კითხვებია: **რა ზომით? რა ოდენობით? რამდენად?**

ზომა-ოდენობის ზმნიზედა წარმოდგენილია ფუძის სახით ან მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმით: სულ, ნაკლებ, სრულებით, სავსებით, მეტრობით, მთლად, მეტად, ცოტად, ათად, ამდენად.

რიგობით-ჯერობის ზმნიზედა უჩვენებს ზმნით გამოხატული მოქმედების ჩადენის რიგს ან რაოდენობას. მისი კითხვებია: **რამდენჯერ? მერამდენედ? მერამდენეჯერ?**

რიგობით-ჯერობის ზმნიზედა მიიღება რიცხვითი სახელისა და ნაცვალსახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან ან ფუძეზე ზმნიზედის მაწარმოებლის დართვით: მეორედ, მეათედ, ერთჯერ (ერთხელ), იმდენჯერ, ერთგზის, მრავალგზის...

მიზეზის ზმნიზედა გამოხატავს მოქმედების გამომწვევ მიზეზს. მისი კითხვაა **რატომ?** ასეთი ზმნიზედებია: ამიტომ, მაგიტომ, მიტომ, რატომღაც...

მიზნის ზმნიზედა გამოხატავს მოქმედების მიზანს. მისი კითხვებია: **რად? რისთვის? რა მიზნით?** მიზნის ზმნიზედებია: ამისთვის, მაგისთვის, იმისთვის, მისთვის, იმად, ამად. ისინი მიიღებიან ჩვენებითი (ეს, ეგ, ის) და კითხვითი (რა) ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვისაგან **თვის** თანდებულის დართვით ან უთანდებულო ვითარებითისაგან. ამათ გარდა, მიზნის ზმნიზედად გამოიყენება მომავალი დროის მიმღეობისა და **სა-ო** აფიქსებით ნაწარმოები ზოგიერთი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა: მისატანად, სასწავლებლად, სანადიროდ, სათამაშოდ...

მიზეზისა და მიზნის ზმნიზედები ნაცვალსახელური წარმოშობისაა.

კითხვითი ზმნიზედებია: სად, საიდან, საითკენ, სადამდე, როდის, რა დროიდან, რამდენ ხანს, როდემდე, როგორ, რამდენჯერ, რატომ, რად, რისთვის.

მიმართებითი ზმნიზედა მიიღება კითხვით

ზმნიზედაზე **ც** ნაწილაკის დართვით: სადაც (< სად+ც), საიდანაც, საითკენაც, როდესაც, როგორც... ეს ზმნიზედები დამოკიდებულ წინადადებას აერთებენ მთავართან და ასრულებენ მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციას.

9.1.3. ზმნიზედათა მართლწერა

1) მოქმედებითი ბრუნვის ფორმისაგან წარმომდგარი ზმნიზედების ბოლოს უნდა იყოს **თ** და არა **დ**: ზემოთ, ქვემოთ, გარეთ, წინათ, უნებლიეთ, აქეთ, იქით...

2) ვითარებითი ბრუნვისაგან ნაწარმოები ზმნიზედების ბოლოს აუცილებელია **დ** და არა **თ**: უცბად, ამჟამად, ცუდად, მეტად, კარგად, ლამაზად...

3) დეფისით იწერება ფუძეგაორკეცებული ზმნიზედები: ჩქარ-ჩქარა, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მთა-მთა, ტყე-ტყე...

4) დეფისით იწერება ანტონიმური ზმნიზედებიც: დილა-საღამოს, აქა-იქ, გაღმა-გამოღმა, ზევით-ქვევით...

5) უდეფისოდ (ერთად) იწერება **და** კავშირიანი ზმნიზედები: ხანდახან, თანდათან, დროდადრო, გზადაგზა...

6) ერთად იწერება შერწყმული ზმნიზედები: ცალმხრივ, ყოველმხრივ, ყოველნაირად, დიდხანს, დროგამოშვებით...

7) **წინ** და **უკან** ანტონიმური ზმნიზედებია. თუ საუბარია წარსულში მომხდარ ამბავზე, უნდა გამოვიყენოთ **წინ**: ორი საათის წინ დამთავრდა სხდომა. შდრ.: გუშინწინ და არა გუშინუკან; შარშანწინ და არა შარშანუკან; ამას წინ და არა ამას უკან...

8) უნდა ითქვას და დაიწეროს **ალბათ** და არა ალბად.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაბულიდან შემოსული **ალბათ** (ამოსავალია **ჰელბეთ** = „რასაკვირველია“, „უსათუოდ“) სხვადასხვა მეტყველების ნაწილად არის განხილული: ზოგი მკვლევრისთვის ის ზმნიზედაა, ზოგი მას საერთოდ არ ასახელებს მორფოლოგიაში და ჩართულად (განკერძოებულ სიტყვად) მიიჩნევს. გარდა ამისა, არ არის ერთგვაროვ-

ბა მასთან დაკავშირებით სასვენი ნიშნების გამოყენებაშიც: ხან მძიმეებით გამოიყოფა, ხანაც მის გარეშეა.

ალბათ სიტყვის კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი უნდა იყოს კონტექსტი, ე.ი. წინადადების სემანტიკით განისაზღვროს მისი ფუნქცია და, შესაბამისად, სასვენი ნიშნის საკითხიც.

9.1.4. ზმნიზედის ადგილი მეტყველების ნაწილთა სისტემაში და ზოგიერთი ფორმის კვალიფიკაციის საკითხი

ზმნიზედა ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილთა შორის ყველაზე მრავალფეროვანი და თავისებურია როგორც წარმოებით, ისე სემანტიკურად. იგი მორფოლოგიური აღნაგობითა და ფუნქციით ახლოს დგას სივრცის გაგების მქონე თანდებულებსა და ზმნისწინებთან (შდრ. **შინ**, სახლსა **შინა** (→სახლში), **შევიდა**). ამ მსგავსება-სიახლოვის საფუძვლად მიაჩნიათ მათი გენეზისური ერთიანობა. კერძოდ: სამივესათვის ამოსავალი უნდა იყოს დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა – ზმნიზედა, რომელიც შემდგომში, თანდებულად ან ზმნისწინად ჩამოყალიბების პროცესში, მაწარმოებელი ელემენტების თანდათანობითი ჩამოცილების გზით კარგავს დამოუკიდებლობას და გვევლინება ზმნისწინისა და თანდებულის სახით (პ. ჯავჯანიძე, არ. მარტიროსოვი, ი. ვეშაპაძე).

სპეციფიკური ფორმობრივ-სემანტიკური ბუნების გამო ბ. ჯორბენაძე ზმნიზედას (რომელსაც მხოლოდ რამდენიმე ბრუნვის ფორმა აქვს) **ნაკლული პარადიგმის** მქონე **ფორმაცვალებად სიტყვათა** რიგში განიხილავს.

მართლაც, ზმნიზედათა დიდ ნაწილში გამჭვირვალედ ჩანს მათი ფორმაცვალებადობის თვისება, აგრეთვე, სახელების მსგავსად გარკვეული სინტაქსური მიმართების დამყარების უნარი წინადადების სხვა წევრებთან და ა. შ., რაც კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ზმნიზედის გაერთიანებას სა-

ხელებში. ამ მიმართებით თეორიულად საინტერესო და პრაქტიკულადაც მნიშვნელოვანია სხვადასხვა ბრუნვისაგან მიღებული სიტყვაფორმის „მორფოლოგიური სტატუსის“ საკითხი.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, სიტყვები: დღეს, საღამოს, ძირს... დილით, ღამით... კარგად, თეთრად, ლამაზად, მშვიდად... სინტაქსურ-სემანტიკური ფუნქციიდან ამოსვლით მეტწილად ზმნიზედებად არის ჩათვლილი, თუმცა, როგორც მართებულად მიუთითებენ, ამა თუ იმ ფორმის სინტაქსურ-სემანტიკური ფუნქცია არ უნდა განსაზღვრავდეს მის მორფოლოგიურ სტატუსს (თ. ვაშაკიძე). აქედან გამომდინარე, ჩვენც ვფიქრობთ, რომ, როცა ბრუნვისფორმიანი სიტყვა ზმნასთანაა დაკავშირებული, მორფოლოგიურად იგი ზმნისართად არ უნდა ჩაითვალოს. ასეთი სიტყვაფორმები სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ. მაგალითად: **დღეს** მერცხალი შემოფრინდა (დროის გარემოება); **დილით** მზემ ამოანათა (დროის გარემოება); ბავშვი **კარგად** წერს (ვითარების გარემოება). მიუხედავად ამისა, ეს სიტყვები (დღეს, დილით, კარგად) ყველა შემთხვევაში სახელებია. შდრ.: **დღეს** ღამე მოსდევს (არსებითი სახელი); დღევანდელი **დილით** კმაყოფილი ვარ (არსებითი სახელი); „ავსა **კარგად** ვერვინ შეცვლის“ (ზედსართავი სახელი).

9.2. თანდებული

9.2.1. თანდებულის ფუნქცია და შედგენილობა

თანდებული არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი ფორმაუცვლელი სიტყვა ან ბგერათა კომპლექსი, რომელიც დაერთვის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას და ამყარებს მიმართებას სახელსა და სახელს შორის ან სახელსა და ზმნას შორის.

თანდებული (კავშირისა და ნაწილაკის მსგავსად) ახლავს სხვა სიტყვას და ასრულებს გარკვეულ ფუნქციას (ამის გამო ა. შანიძემ მას უწოდა **მხლებელი**).

ფ უ ნ ქ ც ი ი ს მიხედვით თანდებული მრავალფეროვანია: აღნიშნავს საგნის მდებარეობას, მიმართულებას, დანიშნულებას, მსგავსებას და ა. შ. ზოგი თანდებული ერთი ფუნქციის მქონეა, ზოგს კი ერთდროულად რადენიმე ფუნქცია აქვს (თანდებულთა ფუნქციები, გამოყენების შემთხვევები მართლწერის საკითხებითურთ და ზოგი მათგანის გენეზისი უფრო დაწვრილებით იხ. გვ. 143-148).

თანდებული მიიღება სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან, სრულმნიშვნელოვანი სიტყვებისაგან:

-თვის < თავ-ი, **-მდე** < მიდღედ, **-მდის** < მიდღის (ა. შანიძე) (არს. სახ.);

მიხედვით < მიხე̩დვა (**ხედავს** ზმნის საწყისის მოქმ. ბრ. ფორმა), **შესახებ** < შესახები (**ეხება** ზმნის მომავალი დროის მიმღეობა);

-ზე < ზედა, **-ში** < შინა, **-თან** < თანა, **-კენ** < კერ < კერძ < კერძო... (ზმნისართი) და ა. შ.

შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი ს (ფორმის) მიხედვით თანდებული ორგვარია: მარტივი და რთული. მ ა რ ტ ი ვ ი ა ერთმარცვლიანი თანდებულები: **-გან, -კენ, -ებრ, -თვის, -ზე, -ში, -თან.** რ თ უ ლ ი ა ორ- და მეტმარცვლიანები: **მიერ, გამო, მიმართ, შესახებ, გარდა, -თანავე.** მარტივი თანდებულები **-ზე, -ში, -თან...** წარმოშობით რთულია.

თანდებული შეიძლება უშუალოდ ერთვოდეს ბრუნვის ფორმას (იშვიათად ფუძესაც) ან ცალკე იდგეს. ამის მიხედვით გამოიყოფა შ ე რ წ ყ მ უ ლ ი და ც ა ლ კ ე მ დ გ ო მ ი თანდებულები. ერთმარცვლიანი (მარტივი) თანდებული შერწყმულია ბრუნვის ფორმასთან, რთული კი ცალკე მდგომია (გამონაკლისია მხოლოდ **-თანავე**).

გენეზისურად თანდებული შეიძლება იყოს პ ი რ ვ ე ლ ა დ ი და მ ე ო რ ე უ ლ ი. პირველადია: **-ზე, -ში, -თან, -ვით, -გან, -კენ, -ებრ || -მებრ, -მდე/-მდის, გამო, გარდა, მიერ, მიმართ, შორის, შუა...**

მეორეულ თანდებულებად ითვლება თანდებულის ფუნქციით გამოყენებული სახელები და ზმნიზედები.

სახელური თანდებულებია: შესახებ, თაობაზე, საშუალებით, მიზნით, წყალობით, მიხედვით, მიუხედავად, შედეგად, მსგავსად, ნაცვლად... ხოლო ზმნისართული ია: წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, ქვეშ, ზევით, ქვევით, ირგვლივ, გარშემო, გასწვრივ, გაღმა, შემდეგ, წინათ...

ქართულში თანდებული დაერთვის ხუთ ბრუნვას:

სახელობითი – **-ვით** (დევივით, ბავშვივით).

მიცემითი – **-ვით** (დედასავით), **-თან** (ხესთან), **-ზე** (მთაზე), **-ში** (სახლში), **შუა/შორის** (მთებს შუა/შორის).

ნათესაობითი – **-გან** (დედისგან), **-თვის** (შვილისთვის), **-კენ** (სახლისკენ), **-ებრ** (ლომებრ), **-თანავე** (წასვლისთანავე), **-დამი, და** (მისდამი, ჩემდა თავად), **გამო** (ავადმყოფობის გამო), **მიერ** (შვილის მიერ), **გარდა** (მეგობრის გარდა), **გულისთვის** (ძმის გულისთვის), **შესახებ** (წიგნის შესახებ), **ნაცვლად** (სიმღერის ნაცვლად), **მაგიერ** (სწავლის მაგიერ), **მიმართ** (მეზობლის მიმართ), **მიხედვით** (ნაშრომის მიხედვით), **მიუხედავად** (წყენის მიუხედავად).

მოქმედებითი – **-გან||-დან** (ქალაქიდან < ქალაქითგან), **-ურთ** (შვილითურთ).

ვითარებითი – **-მდე** (სახლამდე), **-მდის** (სახლამდის).

-ვით თანდებულს ერთნაირი ფუნქცია აქვს სახელობითსა და მიცემითში (ორივე შემთხვევაში მსგავსებას გამოხატავს), მაგრამ განსხვავებულია მათი მოხმარების სფერო: სახელობითში **-ვით** ერთვის მხოლოდ თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს, მიცემითში კი – ყველა სახელს, განურჩევლად ფუძის დაბოლოებისა: წიგნ-ი-ვით – შდრ. წიგნ-ს-ა-ვით, მზე-ს-ა-ვით... თანამედროვე ქართულის მიხედვით, თანხმოვანფუძიან სახელებთან **-ვით** თანდებული სახელობითში უფრო ხშირად არის, ვიდრე მიცემითში. ამ პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთის უპირატესობას სტილისტური ფაქტორიც უნდა განსაზღვრავდეს.

9.2.2. თანდებულის შესწავლის ზოგიერთი საკითხი

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თანდებული ქართულში შედარებით ცოტაა. ეს ფაქტი ახსნილია იმით, რომ ზმნისა და სახელის მიმართებითი ფორმებით (ბრუნვათა სიმრავლით, ქცევის ფორმებით) უთანდებულოდაც ზუსტად გამოიხატება აზრი.

თანდებული დამახასიათებელია კავკასიური ენებისთვისაც. ევროპულ ენებში მისი შესატყვისია წ ი ნ დ ე ბ უ ლ ი.

თანდებული, როგორც მეტყველების ნაწილი, შეტანილი და გაანალიზებული არის ანტონ I-ის გრამატიკაში, რომლის მიხედვით, თანდებული არსების (ე. ი. არსებითი სახელის) გარემოების გამომხატველია და აქვს ბრუნვებში სახელის მართვის უნარი. ტერმინი „თანდებულიც“ მანვე დაამკვიდრა, მაგრამ (ჩანს, ევროპული ენების გავლენით, წინდებულის მსგავსად) ყველა თანდებული მის მიერ დამოწმებულ მაგალითებში სახელის წინ არის მოთავსებული: „თჳს კავშირთა“, „თჳს თანდებულთა“... ავტორის ეს ცდა ამაო იყო. წინდებულის სისტემა ქართული ენის ბუნებიდან არ გამომდინარეობდა და სალიტერატურო ენამ არ მიიღო (ე. ბაბუნაშვილი).

ახალ ქართულში თანდებულის ადგილი მყარია, სიტყვას ერთვის ბოლოში (ძირითადად ასეთი პოზიცია ჰქონდა მას ძველ ქართულშიც), თუმცა დღესაცაა შემორჩენილი თითო-ოროლა შემთხვევა წინდებულის ხმარებისა: **გარდა** ამისა, **ნაცვლად** ამისა, **მიუხედავად** ამისა (შდრ. ამის გარდა, ამის ნაცვლად, ამის მიუხედავად).

თანდებული მიჩნეულია დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვებისაგან მომდინარედ. ამასთან დაკავშირებით მიუთითებენ, რომ დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე მეტყველების ნაწილთა დამხმარე სიტყვებად გამოყენება-გადაქცევის პროცესი მხოლოდ ისტორიული ფაქტი არ არის, იგი დღესაც აქტუალურია. თანამედროვე სალიტერატურო ენაში თანდებულთა რიცხვი თანდათან იზრდება ძირითადად იმ ზმნისართებისა და სახელების ხარჯზე, რომლებიც სემან-

ტიკურად გამოხატავენ მიმართება-დამოკიდებულებას. გარდა ამისა, თანდებულებს სიტყვაში (შესაბამისად, წინადადებაში) შეაქვს **სხვადასხვა სემანტიკური ელფერიც**. მაგალითად, თანდებულთა უდიდესი ნაწილი – ძირითადად პირველადი და ზმნისართული წარმოშობისა – განეკუთვნება სტილისტურად ნეიტრალურ ლექსიკას; ემოციურად შეფერილი თანდებულებია: წყალობით, მეოხებით, შემწეობით; წიგნური შეფერილობისაა: შესახებ, თაობაზე, დაკავშირებით, მიმართებით, შესაბამისად... სასაუბრო ელფერი აქვს **-ზე** თანდებულს მიზნის სემანტიკის გადმოსაცემად **პურზე მიდის** ტიპის შესიტყვებებში და ა. შ. (ვ. კალანდაძე).

მაშასადამე, თანდებული ქართულში ერთ-ერთი საინტერესო ენობრივი ერთეულია, აქვს გარკვეული გრამატიკული და სტილისტური ფუნქციები – მათი მეშვეობით მყარდება მიმართება სახელსა თუ ზმნასთან, ზოგჯერ იცვლება ფრაზაში შინაარსობრივი ნიუანსი და ა. შ.

9.3. კავშირი

9.3.1. კავშირის შედგენილობა. მისი სახეები

კავშირი დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილია. იგი აერთებს ორ სიტყვას ან ორ წინადადებას. მაგალითად: მთა **და** ბარი ამწვანდა; შემოსულა შემოდგომა დოვლათით **და** ბარაქით; მზე ამოვიდა **და** ქვეყანამ გამოიღვიძა.

შედგენილობის მიხედვით კავშირი ორგვარია: მარტივი და რთული.

მარტივია: და, რომ, თუ, მაგრამ, ხოლო, კი, რათა, რადგან...

რთულია: იმიტომ რომ, ასე რომ, მაშინ როდესაც, რის გამოც, თუნდაც (< თუ უნდა)... რთული კავშირი მიიღება ორი ან მეტი სიტყვის შეერთებით.

მარტივი კავშირი შეიძლება იყოს პირველადი და ნაწარმოები. პირველადი კავშირები ძველისძველი წარმოშობისაა, მათი რიცხვი ენაში ცოტაა (**და, თუ, ხოლო...**). ნაწარმოები კავშირები გვიანდელია, მიღებულია სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან – ნაცვალსახელების, ზმნის პირიანი ფორმების, ზმნიზედებისა და ნაწილაკებისაგან:

რათა < რაჲთა (ნაცვალსახელის მოქმ. ბრ.)

გინდ < გინდა (ზმნა)

ვიდრე < ვი+დ+რე (ვინ ნაცვალსახელის ვით. ბრ. ფორმა+ ნაწილაკი)

თუნდაც < თუ + უნდა + ც (კავშირი + ზმნა + ნაწილაკი)

თუმცა < თუ + მცა (კავშირი + ნაწილაკი) და ა. შ.

ზოგი კავშირი (და, თუ, კი...) ცალეულია, ზოგიც წყვილის სახით გამოიყენება. წყვილეულ კავშირს აქვს ორი დამოუკიდებელი ნაწილი, რომელთაგან ერთი წინადადების პირველ ნაწილშია, მეორე კი – მეორე ნაწილში. ასეთებია: არა მარტო – არამედ, არამცთუ – არამედ, კი არა – არამედ, თუმცა – მაგრამ...

ფუნქციის მიხედვით კავშირი ორგვარია: მაერთებელი და მაქვემდებარებელი.

მაერთებელი კავშირი აერთებს ორ სიტყვას ან ორ თანასწორ წინადადებას; გამოიყენება შერწყმულსა და რთულ თანწყობილ წინადადებებში. მისი ჯგუფებია:

მაჯგუფებელი: და, თუ.

მაცალკევებელი: ან, ან – ან, ან – ან არადა, ხან, ხან – ხან, ხან – ხან კი, გინდ, გინდ – გინდ, თუნდ, თუნდ – თუნდაც, თუ.

მაპირისპირებელი: მაგრამ, ხოლო, კი, თორემ, არამედ, კი არა – არამედ, არა მარტო – არამედ, ოღონდ, თუმცა.

მაიგივებელი: ანუ, ესე იგი (ე.ი.).

მაქვემდებარებელი კავშირი გამოიყენება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში; აერთებს ერთმანეთის მიმართ გრამატიკულად არათანასწორ წინადადებებს – მთავარსა და დამოკიდებულს.

მაქვემდებარებელი კავშირის ჯგუფებია:

დ რ ო ი ს: რა, თუ არა, სანამ, ოდეს, რაწამს, რაკი, როს, ვიდრე, რომ[1]...

მ ი ზ ე ზ ი ს: რადგანაც, იმიტომ რომ, ვინაიდან, რაკი, რომ, რამეთუ...

მ ი ზ ნ ი ს: რათა, რომ, იმისთვის რომ...

პ ი რ ო ბ ი ს: თუ, თუკი, რომ, უკეთუ, ოღონდ...

დ ა თ მ ო ბ ი ს: თუმცა, გინდ, თუნდ, გინდაც, თუნდაც, მიუხედავად იმისა, რომ...

მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ასრულებენ აგრეთვე მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნისართები.

9.3.2. ზოგიერთი კავშირის ფუნქციური თავისებურებანი

ქართულში კავშირთა უმრავლესობა ერთი ფუნქციის მქონეა – ან მაერთებელია, ან მაქვემდებარებელი. მაგალითად, **და** (მაჯგუფ.), **ხან** (მაცალკ.), **მაგრამ** (მაპირისპ.), **რომ** (მაქვემდ.) და ა. შ.; მეორე მხრივ, ზოგიერთი კავშირი ორი ან მეტი ფუნქციითაც გამოიყენება. ასეთებია: **თუ, თუმცა, ოღონდ...** მაგალითად:

აქ ყველგან ხარობს ნაძვი **თუ** ფიჭვი (მაჯგუფ.)

შდრ. **თუ** სიბნელე არ გინახავს ფასს ვერ დასდებ სინათლესა (მაქვემდ.).

ბიჭი მაღალია, **თუმცა** ულონო (მაპირისპ.)

შდრ. **თუმცა** აპრილი იდგა, მაინც ციოდა (მაქვემდ.).

ვარდი ლამაზი ყვავილია, **ოღონდ** ეკლიანი (მაპირისპ.)

---

[1] რამდენადაც ქართულში **რომ** კავშირი ფუნქციურად მრავალფეროვანია (შ. ძიძიგური ასახელებს მის ცხრა ფუნქციას) და, შესაბამისად, გამოიყენება სხვადასხვა სემანტიკის წინადადებაში, ამდენად, ძნელია მისი მიკუთვნება ამა თუ იმ კონკრეტული ჯგუფისათვის; იგი შეიძლება შეგვხვდეს ყველა სახის დამოკიდებულ წინადადებაში.

შდრ. **ოღონდ** მემღერებოდეს, არ მინდა დიბა-ატლასი (მაქვემდ.).

სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსის გამო ზოგჯერ ძნელი ხდება **ოღონდ** კავშირის ფუნქციის დადგენა. მიუთითებენ, რომ ეს კავშირი პირველად თავს იჩენს საშუალი ქართულის გვიანდელ ძეგლებში მხოლოდ დადასტურებითი შინაარსით, შემდეგ შეითავსა გამორჩევითი ფუნქცია და დაუახლოვდა მაპირისპირებელ კავშირებს, უფრო მოგვიანებით აღიჭურვა მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციითაც. საცილობელ ფორმათა სემანტიკის დასადგენად ერთ-ერთ პრაქტიკულ წესად შეიძლება გამოვიყენოთ „მაგრამ“: თუ **ოღონდ** კავშირს თავისუფლად ენაცვლება **მაგრამ**, მაშინ იგი მაპირისპირებელია (ლ. კვანტალიანი).

რამდენადაც კავშირები სხვადასხვა დროისა და ფორმის (ძირეული თუ წარმოქმნილი) ლექსიკური ერთეულებია, მათი თავდაპირველი სახის აღდგენა ყოველთვის არ ხერხდება. თუმცა ზოგიერთის წარმომავლობის დადგენა ჯერჯერობით მაინცაა შესაძლებელი. მაგალითად:

თორემ < თუარე-მ < თუ არა-მ
ან < ანუ
რადგან < რა-ჲთ-გან
ვინაიდან < ვინაჲდგან < ვინა-ჲთ-გან
რაკი < რა კი
რათა < რა-ჲთა
რომ (||რომე) < რომელ-რა
ესე იგი < ესე იგი არს
ოღონდ < უღონიოდ < უ-ღონ-ი-ო-დ.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **რადგან** კავშირის ფუნქციით კვლავ გააქტიურდა **რამეთუ**, თუმცა იგი ყოველთვის როდი იხმარება თავისი ფუნქციით. ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ უმართებულოდ გვხვდება მიზნის ან სხვა სემანტიკის კავშირადაც. მაგალითად, წინადადებაში „მე დამსაჯოს ღმერთმა, რამეთუ ცოდვილი ვარ “, **რამეთუ** კავშირით გამოხატულია მიზეზი, ხოლო წინადადე-

ბაში – „ექიმებმა ურჩიეს დასვენება, რამეთუ აღედგინა შერყეული ჯანმრთელობა“, იგი გამოყენებულია მიზნის კავშირის ფუნქციით.

დღეს ზოგიერთი მკვლევარი კავშირს, ფორმობრივ-სემანტიკური ვითარების გათვალისწინებით, აღარ მიიჩნევს დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად; მას მიაკუთვნებენ სინტაქსის სფეროს.

9.4. ნაწილაკი

9.4.1. ნაწილაკის რაობა. მისი ფუნქცია

ნაწილაკი არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი ბგერა, ბგერათა კომპლექსი თუ სიტყვა. იგი ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და რაიმე მხრით უცვლის მას მნიშვნელობას, მასში შეაქვს სხვადასხვა ელფერი. მაგალითად, ბავშვი მოვიდა, შდრ. ბავშვიც მოვიდა. ნაწილაკს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამონათქვამების შინაარსობრივ გამთლიანებაში.

ნაწილაკის ადგილი სიტყვასთან მყარია ან თავისუფალი. პირველ შემთხვევაში მისი პოზიცია მუდამ ერთნაირია: ან მხოლოდ წინ უძღვის, ან მხოლოდ მოსდევს. პრეპოზიციური ნაწილაკებია: **ნუ, არ, ვერ...** პოსტპოზიციურია: **-მე, -ვე, -ღა, -ცა, -ოდე...**

ზოგი ნაწილაკის ადგილი თავისუფალია: ყიდის თურმე || თურმე ყიდის...

ნაწილაკი შეიძლება ახლდეს სახელს (ერთვის ყველა ბრუნვის ფორმას, გარდა წოდებითისა), ზმნას, ზმნიზედას და თვით ნაწილაკსაც (ბავშვსაც, ხუთიოდე, არ წერს, გუშინაც, არ+ც...). იგი იწერება სხვადასხვაგვარად: ცალკე (ხოლმე, არ, ვერ, ნუ, თურმე) ან დეფისით გამოეყოფა სიტყვას (მივდივარ-მეთქი), ანდა უშუალოდ ერთვის სიტყვას (ვინმე, სადღა, ორიოდე...).

გარდა ამისა, რამდენიმე ნაწილაკი განკერძოებით დგას და მეტყველებაში მთელი წინადადების ტოლია. ესენია: **ჰო, კი, დიახ, არა.**

ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა ერთ შემთხვევაში ნაწილაკია, მეორე შემთხვევაში – სხვა მეტყველების ნაწილი. მაგალითად: წავიდა **თუ**? (ნაწილაკი), შდრ. **თუ** კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი (კავშირი); ახლავე **უნდა** გააკეთოს (ნაწილაკი), შდრ. მოხუცს დასვენება **უნდა** (ზმნა) და ა. შ.

ნაწილაკი საინტერესო ენობრივი ერთეულია არა მხოლოდ ფორმობრივ-ფუნქციურად, არამედ იმ მხრივაც, რომ ბევრმა მათგანმა საუკუნეთა განმავლობაში განიცადა მნიშვნელოვანი სემანტიკური ევოლუცია, მაგალითად, ზოგში მთლიანად (ან ნაწილობრივ) დაიჩრდილა ოდინდელი მნიშვნელობა და ახალ ქართულში აღიჭურვა დამატებითი სემანტიკური ნიუანსებით.

9.4.2. ნაწილაკის ჯგუფები ფუნქციის მიხედვით

ფუნქციის მიხედვით ნაწილაკი მრავალფეროვანია. ზოგ მათგანს ერთი ფუნქცია აქვს, ზოგს კი – ერთდროულად ორი ან მეტი. მაგალითად, **ნუ** მხოლოდ უარყოფითი ნაწილაკია, **ც** კი მიმართებითობას ანიჭებს კითხვით ნაცვალსახელს (ვინც) და აგრეთვე გვხვდება გაძლიერებითი ნაწილაკის ფუნქციითაც (დედაც მოვიდა) და ა. შ.

გამოიყოფა ნაწილაკის რამდენიმე შინაარსობრივი ჯგუფი:

ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი: ა, აი, აჰა, ჰა.

კ ი თ ხ ვ ი თ ი: ა, თუ, ნუთუ, განა[1], ხომ, აკი (<არ-კი).

უ კ უ თ ქ მ ი თ ი (უ ა რ ყ ო ფ ი თ ი): არ, ვერ, ნუ, როდი, აღარ, ველარ, ნულარ, არც(ა), ვერც(ა), ნურც.

[1] **ნუთუ** და **განა** ერთდროულად გამოხატავს კითხვა-გაკვირვებას: ნუთუ აღარ დაბრუნდება?! განა ყველაფერი დამთავრდა?!

არ გამოხატავს მოქმედების კატეგორიულ უარყოფას, რაც დამოკიდებულია სუბიექტის ნება-სურვილზე (არ გავაკეთებ!)[1]; **ვერ** აღნიშნავს რისამე შეუძლებლობას და არა კატეგორიულ უარყოფას. ეს შეუძლებლობა სუბიექტის ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული (ვერ გავაკეთებ); **ნუ** აწარმოებს უკუთქმით ბრძანებითს (ნუ გააკეთებ!); **როდი** გამოხატავს ისეთ უარყოფას, რომელსაც ახლავს განცვიფრების ელფერიც: როდი წამოვიდა ჩვენთან ერთად (=არ წამოვიდა).

მიგებითი
- დადასტურებითი: ჰო, კი, დიახ (< დიაღ).
- უარყოფითი: არა, ვერა, ნურა.

სიტყვასიტყვითი: -მეთქი, -თქო, -ო. **-მეთქი** გამოიყენება მაშინ, როცა მოუბარი პირი (I პირი) იმეორებს წინათ ნათქვამს ან განაზრახს: ვიფიქრე, წავალ-მეთქი; **-თქო** (<თქვა) იხმარება მაშინ, როცა I პირის ნათქვამი II პირმა უნდა გადასცეს III პირს: გადაეცი, მოდი-თქო; **-ო** (სხვათა სიტყვის ნაწილაკი) მიუთითებს, რომ ნათქვამი ეკუთვნის III პირს, უმეტესად გვხვდება ანდაზებში. მაგალითად: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!“ **-მეთქი** და **-თქო** დეფისით გამოეყოფა სიტყვას, **ო** კი სიტყვასთან ერთად იწერება.

გაძლიერებითი: -ც, -ც კი, კიდეც, უკვე, მაინც.

გამორჩევითი: -ღა, მხოლოდ, მარტო.

განუსაზღვრელობითი: -მე, -ღა, -ღაცა.

ნება-სურვილის გამომხატველი: ნეტავი, ნეტა, -მცა, -მც, ნეტამც, უნდა, ბარემ, დაე, ვინძლო, აბა, მოდი.

---

[1] საგულისხმოა, რომ **არ** ნაწილაკი თანამედროვე ქართულში ხშირად გამოიყენება დადებითი სემანტიკითაც, ვლინდება მრავალფეროვანი სტილური ნიუანსებით. მაგ., აქვს დადასტურებითი ფუნქცია (ახლა **არ** წავიდა?), აღნიშნავს განცვიფრებას, გაოცებას (ძლივს შუბლგახსნილი **არ** ვნახე?), აძლიერებს – ინტენსიურს ხდის წინადადების აზრობრივ მხარეს (რაც **არ** უნდა მოხდეს, ამ საქმეს მაინც გავაკეთებ) და ა. შ. (ჟ. ფეიქრიშვილი).

შესაძლებლობა-ვარაუდისა და განცვიფრების: იქნებ (იქნება), ეგებ (ეგების), შეიძლება, რა, არა, აკი, აკი არ.

მიახლოებითი: კინაღამ, ლამის, თითქოს, -ოდე.

მიმართებითი: **ც** (< **ცა**). ძველ ქართულში მიმართებითი ნაწილაკის ფუნქციით გამოიყენებოდა აგრეთვე **ესე, ეგე, იგი.** მიმართებითი ნაწილაკები დაერთვის სრულმნიშვნელოვან სიტყვებს და აქცევს მათ მიმართებითად.

გარდა ამ ჯგუფებისა, ნაწილაკები გამოხატავენ სხვა სემანტიკასაც, მაგალითად, **ხოლმე** – მრავალგზისობას, **თურმე** – უნახაობას, **ვითომ, თითქო, თითქოს** – მსგავსებას, **ვაითუ** – შიშს და ა. შ.

ნაწილაკთა ჯგუფში განიხილავენ ე. წ. პროსოდიულ **ო** და **ა** ხმოვნებს (ა. შანიძე), რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტულ პოზიციაში გამოიყენება არა რაიმე გრამატიკული დანიშნულებით, არამედ ლექსებში მარცვალთა რაოდენობის შესავსებად: წინ მეძებრები მოუძღვის დაგეშილი ჩემზედაო...

ნაწილაკები მიღებულია სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან. მათთვის ამოსავალი შეიძლება იყოს სახელი, ზმნა, ზმნიზედა, ნაწილაკი ან სიტყვათა შეკავშირება. მაგალითად: რა (ნაცვალსახ.), უნდა, იქნება, შეიძლება, მოდი, დაე (ზმნა), მერე, ოდე, როდი, აგერ... (ზმნიზედა), ვაითუ < ვაი+თუ (შორისდებულისა და **თუ** ნაწილაკის შეერთებით), მეთქი < მე ვთქვი (სიტყვათა შეკავშირება) და ა.შ.

ისტორიულად ნაწილაკთა უმეტესობა მომდინარეობს სრულმნიშვნელოვანი სიტყვისაგან. ამათგან ზოგმა დროთა ვითარებაში დაკარგა დამოუკიდებელი მნიშვნელობა და გარეგნულადაც ისე იცვალა სახე, რომ დღეს ძნელია მისი თავდაპირველი ფორმის აღდგენა, თუმცა ჯერ კიდევაა შემორჩენილი ისეთი ნაწილაკებიც, რომელთა წარმომავლობა გამჭვირვალეა. მაგალითად: დაე < დაეხსენ, ეგებ < ეგების, ოდე < ოდენ, თითქოს < თუ ითქვას, ნეტავი < ნეტარვინ, დიახ < დიაღ < დია ღმერთო, ხოლმე < ხუალმე, ვითომ < ვითარმცა, ვინძლო < ვინ შეიძლო, ვინიცობაა შეიძლო...

ძველ ქართულში ნაწილაკი ფორმითა და ფუნქციით უფრო ნაკლებ მრავალფეროვანი იყო. იგი, როგორც დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი, ქართულ ლინგვისტიკაში მოგვიანებით (XIX საუკუნეში) გამოყვეს. ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მის მეცნიერულ შესწავლას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა.

9.5. შორისდებული

9.5.1. შორისდებულის რაობა. ჯგუფები წარმოების მიხედვით

შორისდებული ჰქვია ბგერას, ბგერათა კომპლექსს ან სიტყვას, რომელიც ადამიანის გრძნობებსა და ნება-სურვილს გამოხატავს, მაგრამ ისე, რომ არ ასახელებს მას. სხვაგვარად: „შორისდებული ჰქვია ბგერას, ბგერათა კომპლექსს ან სიტყვას, რომელიც ადამიანს აღმოხდება პირიდან ბუნების ამა თუ იმ მოვლენის თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელიმე კონკრეტული ვითარების განცდის გამო, როგორც მოკლე, სწრაფი და უშუალო გამოძახილი ამ განცდისა“ (ა. შანიძე). შორისდებული რაიმე მოვლენას კი არ აღნიშნავს, რაიმე საგანს (ან მოვლენას) კი არ „მიემართება“, არამედ წარმოადგენს „მეტყველის განცდათა ობიექტივაციის, გამოვლენის კონვენციალურ (=პირობით) საშუალებას“ (ბ. ფოჩხუა).

შორისდებული, როგორც დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი, ანტონ I-ის გრამატიკიდან იღებს სათავეს და იგი თავისი სპეციფიკის გამო ქართული ლინგვისტიკის ერთ-ერთი საინტერესო ობიექტი ხდება. ანტონის განმარტებით, შორისდებული არის მეტყველების ნაწილი, რომელიც სულის სხვადასხვა ვითარებას აღნიშნავს. ტერმინი „შორისდებული“ მანვე შემოიღო ლათინური ტერმინოლოგიის შესაბამისად.

ზმნიზედის, თანდებულის, კავშირისა და ნაწილაკის

მსგავსად შორისდებული ფორმაუცვლელი სიტყვაა მორფოლოგიური ასპექტით, მაგრამ სინტაქსური ფუნქციით მკვეთრად განსხვავდება სხვა დანარჩენი მეტყველების ნაწილებისაგან... „შორისდებული სემანტიკური ოდენობაა“ (არნ. ჩიქობავა). იგი სხვა სიტყვებს უპირისპირდება, როგორც წინადადების ეკვივალენტი. სწორედ ამ თავისებურებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მკვლევარი შორისდებულს არ მიიჩნევს დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად.

შორისდებული განკერძოებული სიტყვაა, მაგრამ ზოგჯერ იგი წინადადებაში იხმარება სახელის მნიშვნელობით. ასეთ შემთხვევაში იგი სინტაქსურად შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება. სახელად გამოყენებული შორისდებული იბრუნვის, მაგალითად: „ბევრმა ვაიმ სულ დამლუპა“, „ვაის გავეყარე და უის შევეყარეო“. პირველ წინადადებაში **ვაიმ** ქვემდებარეა (მოთხრობითი ბრუნვა), მეორეში კი – **ვაის** და **უის** დამატებებია (მიცემითი ბრუნვა).

შორისდებული ინტონაციურად მდიდარი და მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია თვით ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამოვლენის მრავალფეროვნებით. იგი დამახასიათებელია სასაუბრო ენისათვის.

წარმოების მიხედვით, ქართულში შორისდებული ორგვარია: პირველადი და წარმოქმნილი (მეორეული).

პ ი რ ვ ე ლ ა დ ი შორისდებული სხვა სიტყვისაგან არაა ნაწარმოები. იგი შედგება ერთი ბგერისაგან ან ბგერათა დაუშლელი ჯგუფისაგან. ასეთებია: ო, ა, ჰმ, ტს, უჰ, სს, ერიჰა.

წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ანუ მ ე ო რ ე უ ლ შორისდებულთა სფერო უფრო ფართოა. აქ ერთიანდება:

ა) დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვები, რომლებიც ქცეულან შორისდებულად. ისინი იწარმოებიან სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან: ბიჭოს! დედა! ქა! (არსებითი სახელი), ჩუ, ჩუთ (ჩუმად: ზედსართავი სახელი), დახე, დახეთ, მო (ზმნა), უიმე, ვაიმე (უი+მე, ვაი+მე: შორისდებული და ნაცვალსახელი), ბეჩა (< ბეჩავ < ბეჩაო < ბეთშაო < ბედშავო: მსაზღვრელ-საზღვრული);

ბ) შორისდებულის მნიშვნელობის მატარებელი სიტყვები და სიტყვათა მყარი შეხამებანი, რომლებიც გამოყენებულია საფიცრად, მისალმება-გამოთხოვების დროს, საალერსოდ, სამადლობელად (ჩემმა მზემ, დედაშვილობას, გმადლობთ, ნახვამდის...), ასევე ფრაზეოლოგიური ერთეულები (ო. გაჩეჩილაძე);

გ) შორისდებულის სემანტიკით გამოიყენება ზოგიერთი ნაწილაკიც: **აი, აი,** როგორ არ გრცხვენია? **აბა, აბა,** რა დიდებული სანახავია?!

შენიშვნა: ფუნქციურად შორისდებულებს უახლოვდება ხმაბაძვითი სიტყვები, რომლებითაც გამოხატულია ფრინველების, მწერების, ცხოველებისა და მისთანათა მიერ გამოცემული ხმა: ჭივ-ჭივ, ყვა-ყვა, კრუხ-კრუხ, ყიყლიყო...

9.5.2. შორისდებულის შინაარსობრივი ჯგუფები

შინაარსის მიხედვით გამოიყოფა შორისდებულის სამი ძირითადი ჯგუფი:

1.შორისდებულები, რომლებიც ამა თუ იმ გრძნობის, ემოციის გამოძახილს წარმოადგენენ;

2. შორისდებულები, რომლებიც გამოხატავენ ფიცილს, ალერსს;

3.შორისდებულები, რომლებიც მოუბრის ნება-სურვილს ასახავენ.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს სხვაგვარი დაჯგუფებაც: ყველა შორისდებული გაერთიანებულია ორ ძირითად ჯგუფში. პირველს მიეკუთვნება შორისდებულები, რომლებიც ადამიანის შინაგანი განცდებისა და გრძნობების გამოძახილი არიან (ანუ „ემოციური შორისდებულები“), მეორეს კი – მთქმელის ნება-სურვილის გამომხატველი შორისდებულები (ანუ „იმპერატიული შორისდებულები“: ლ. კვაჭაძე).

გრძნობა-ემოციების გამომხატველი შორისდებულები იყოფა ცალკეულ ჯგუფებად, რომელთა მიერ შეიძლება გადმოიცეს:

ნ ა ტ ვ რ ა: ეჰ, ოჰ, აჰ, ახ...

მ ო წ ო ნ ე ბ ა, ს ი ხ ა რ უ ლ ი, ა ღ ტ ა ც ე ბ ა: ოჰ, უჰ, ყოჩაღ, ო, იჰ, ვიშ, ახ, ბარაქალა, იფ-იფ...

მ წ უ ხ ა რ ე ბ ა: ჰოი, ოჰ, უჰ, ვაჰმე, ვაი, ვაიმე, უი, უიმე, ჰმ, ოხ, ახ, უუ...

გ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა - გ ა ო ც ე ბ ა: ეჰ, ოჰ, აბა-აბა, ვა, ქა, ერიჰა, ბიჭოს, დახე, უჰ...

დ ა ნ ა ნ ე ბ ა - ს ი ბ რ ა ლ უ ლ ი: ეჰ, აჰ, აფსუს, ვიშ, ოო, ახ, ვაგლახ...

დ ა ც ი ნ ვ ა: ხა! ხა! ხა! იფ-იფ, ოლოლო...

ზ ი ზ ღ ი: ფუჰ, ფუ, ფუი...

დ ა ს ტ უ რ ი: ჰო, ო, ჰაი, ჰაი–ჰაი...

წ ა ქ ე ზ ე ბ ა - გ ა მ ხ ნ ე ვ ე ბ ა: ჰა.

ზოგჯერ ერთი და იგივე შორისდებული სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ასეთია: **ოჰ** (ნატვრა, მწუხარება, გაკვირვება, გაოცება), **უჰ** (გაკვირვება, გაოცება, მოწონება, სიხარული, აღტაცება) და ა. შ.

გრძნობა-ემოციების გამომხატველი შორისდებულების რიცხვი ქართულში დიდია.

ფიცილის, ალერსის, მისალმება-გამოთხოვების, მადლობის გამომხატველი შორისდებულებია: გამარჯობა, გაგიმარჯოს, ღმერთმანი, მამაშვილობამ, ძმობამ, ჩემმა მზემ, ხელი მოგიმართოს, მშვიდობით, გენაცვალე, შენი ჭირიმე, შენი კვნესამე, გეთაყვა...

ნება-სურვილის გამომხატველი შორისდებულები გამოიყენება ადამიანის, ცხოველის, ფრინველის, გაპიროვნებული უსულო საგნების მიმართ, რომ მათ შეასრულონ მთქმელის ნება-სურვილი. ესენია: ჰაუ! ჰაუ-ჰაუ! არიქა, ეი, ჰეი, სუ, სუთ, ჩუ, ციც... ჯი-ჯი, წიპ-წიპ! აქშა-აქშა, ქუცი-ქუცი... მათი რიცხვი შედარებით მცირეა. ამ ჯგუფის შორისდე-

ბულები მნიშვნელობითა და მოხმარების თვალსაზრისით უახლოვდება ბრძანებითი კილოს ფორმებს.

შორისდებული წინადადებაში განკერძოებით დგას, სხვა წევრებისაგან გამოიყოფა სასვენი ნიშნებით (მძიმით, მძიმეებით, ძახილის ნიშნით).

წერილობით შორისდებულის ზუსტი გადმოცემა შეუძლებელია, ხერხდება მხოლოდ მისი მიახლოებითი გამოხატვა; მაგალითად, იმე, ჰმ, მ, ნწ, აჰ... მხოლოდ მიახლოებით გადმოსცემენ სავარაუდო წარმოთქმას.

მიუთითებენ, რომ სემანტიკისა და ბგერითი შედგენილობის მიხედვით, ქართული შორისდებულები ემსგავსება ევროპული ენების შორისდებულებს, მაგრამ აქ სესხებასთან როდი გვაქვს საქმე. სხვადასხვა სისტემის ენებში ისინი დამოუკიდებლად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ. ჩანს, განსხვავებულ ენებს რთულ ემოციურ გრძნობათა გამოსახატავად ერთნაირი ენობრივი მასალა გამოუყენებია (თუმცა იშვიათად შორისდებულის სესხებაც შესაძლებელია: ურა! ბრავო! აფსუს!). ძველ ქართულში შორისდებული მეტად იშვიათია.

ლიტერატურა

აბესაძე ნ., რომ კავშირი ქართველურ ენებში: თსუ შრ., 96, 1963.
აბესაძე ნ., ზმნისწინებისა და თანდებულების ურთიერთობის საკითხი ქართველურ ენებში: თსუ შრ., 143, № 4, 1972.
აბულაძე ლ., წინ|უკან თანდებულების დეიქტური ხმარება: იკე, 35-ე, 2005.
ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767); თბ., 1997.
არაბული ა., ზოგი წარმოქმნილი (მეორეული) ზმნისართის შეხამებისათვის ნაცვალსახელებთან: ქსკს, XIV, 2014.
აფრიდონიძე შ., ზმნისა და ზმნიზედის ურთიერთობისთვის ქართულში: ქელს, № 1, 1974.
აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.
ბაბუნაშვილი ე., ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
გაბუნია კ., ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბ., 1993.
გაჩეჩილაძე ო., შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში, თბ., 1979.
გიგინეიშვილი ივ., თანდებულთა და თანდებულიან სახელთა მართლწერა: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970.
დარასელია ნ., შორისდებული როგორც სამეტყველო აქტი: საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, 2007.
დარასელია ნ., შორისდებული საკომუნიკაციო კომპეტენციის თვალსაზრისით, თბ., 2013.
ვაშაკიძე თ., ვითარებით ბრუნვისფორმიან სახელთა მორფოლოგიური და სინტაქსურ-სემანტიკური სტატუსისათვის: იკე, 38-ე, 2010.
ვეშაპიძე ირ., ზმნისწინის, თანდებულისა და ზმნიზედის ურთიერთდამოკიდებულება: თსუ შრ., 96, 1963.
თალაკვაძე მ., ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1959.
თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.
თოფურია ვ., ძი ნაწილაკი ქართულში: ენიმკის მოამბე, ტ. XVI, 1944.
თოფურია ვ., ქართული ენა, განაკვ. I-IV, თბ., 2000.
კალანდაძე ვ., თანდებული: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

კეკელიძე მ., „რამეთუ“ კავშირი ქართულში: ქელს, № 3, 1977.
კეკელია შ., დავითიანი აკ., ქართული ენა, თბ., 1973.
კვანტალიანი ლ., არის ზმნის ფუნქციისათვის ქართულში: მეცნ. აკად. მოამბე, 1988, № 2, ტ. 131.
კვანტალიანი ლ., „ოლონდ“ კავშირი ქართულში: ქელს, 1975, № 4.
კვანტალიანი ლ., ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსი, თბ., 1990.
კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.
კიზირია ნ., ემოციის გამოხატვის შესახებ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: იკე, 33-ე, 1995.
კოტინოვი ნ., მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციებისათვის ქართულში: მაცნე, № 2, 1971.
ლეჟავა ლ., ზმნისართ-კავშირთა გამოყენებისათვის: ქელს, № 3, 1983.
მარტიროსოვი არ., თანდებული ქართულში, იკე, I, თბ.,1946.
მარტიროსოვი არ., ზმნისართისა და თანდებულის სინტაქსური ურთიერთობისათვის; იკე, XII, თბ., 1960.
მაღრაძე ვ., არ|არა და ვერ ნაწილაკებით უმართებულოდ ნაწარმოები ახალი სიტყვები: კრებ. „ქართველოლოგია“, 2013, № 3.
მახარობლიძე თ., თანდებულები ერგატივის სემანტიკით: „საენათმეცნიერო ძიებანი“, 29, 2009.
ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.
ნოზაძე ლ., რე ნაწილაკი ქართულში: იკე, XXVII, 1988.
ონიანი ალ., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.
ტეტელოშვილი თ., ზოგ თანდებულთა კვალიფიკაციისათვის ტრანსლიტერაციასთან დაკავშირებით: ქესს, XII, 2013.
უთურგაიძე თ., კითხვითი ა და მე ნაწილაკები ქართულში: იკე, IV, თბ., 1953.
უთურგაიძე თ., ზმნისართები ით სუფიქსით: ქესს, IX, 2005.
ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.
ფეიქრიშვილი ჟ., არ ნაწილაკის ერთი ფუნქციისათვის თანამედროვე ქართულში: კრებ. „საენათმეცნიერო ძიებანი“, VIII, თბ., 1999.
ფოჩხუა ბ., ხმოვანსართული ზმნისართები ქართულში: ქესს, I, 1959.
ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
ღვინაძე თ., ზმნიზედის სწავლების ზოგიერთი საკითხი: ქელს, №1-4, 1987.
ღლონტი ალ., ისევ „რამეთუს“ გამო: ჟურნალი „დროშა“, № 4,1984.
შალამბერიძე გ., ქართული მართლწერა, თბ., 1961.

შამელაშვილი რ., განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდიკა, თბ., 1958.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

შარაშენიძე ნ., ხოლმე ნაწილაკის ისტორიისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

შარაშენიძე ნ., იქნებ ნაწილაკის ისტორიისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, 1999, № 2.

ჩინჩალაძე მ., შორისდებულის სწავლება VI კლასში: „სკოლა და ცხოვრება", 1962, № 2.

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; II გამოც., 2008.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950; ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ძიძიგური შ., კავშირები ქართულში, თბ., 1969.

ჭუმბურიძე ზ., უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების თავისებურებანი: ქელს, № 2, 1970.

ჯაჯანიძე პ., ზოგი ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში: ქუთაისის პედინსტიტუტის შრ., ტ. XI, 1952-1953.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

დანართი

სავარჯიშო მასალა

(წინადადებები)

- ცოდნა უენოს ფეხს აადგმევინებს, გონებას მოხნავს, სიბრძნეს დასთესს და ფუძეს დაადგმევინებს (სულხან-საბა).
- რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, /საშვილიშვილოდ გარდაეცემის (ნ. ბარათაშვილი).
- ქვეყანაზედ ზოგი იმისთანა საგანია, რომ, თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ, და ზოგიც იმისთანა, რომ, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ (ილია).
- ქალი მიდის, რომ სხვაგან ბუდე გაიკეთოს, კაცი კი ბედს შინ მოელოდება (ილია).
- ზოგი კაცი იმისთანაა, რომ არ ვიცით, რომელი მხრიდან დავუწყოთ ყურება, რადგანაც ყოველი მხრიდან დიდებული სანახავია (ილია).
- სანამ მე გონს მოვიდოდი, დათიკო ძირს ჩამოვარდნილიყო (ილია).
- სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდი, თუნდა ნაასალი მადლი გიორგისა არა სცხებოდა (ილია).
- ქვეყანა ტაძარი კი არ არის, სადაც კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, სადაც უნდა ირჯებოდეს და შრომობდეს (ილია).
- ვნანობ, რომ ასე უსახელოდ მოგეკვლევინე (ილია).
- მეტყველების ნიჭს ისეთივე ვარჯიშობა უნდა, როგორც ყველაფერს სხვას (ილია).
- იქ თვით სამოთხე ჯოჯოხეთია, /სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური (ილია).
- მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული /და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული! (ილია)
- ჩვენი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი კიდევ გულ-ღვიძლიდან გამოწურული ჩვენი ოფლია (ილია)
- მე რომ მიყვარდი, ის სიყვარული მოკვდავთა ენით არ გამოითქმის (აკაკი).

- შრომა აიღე მახვილად და მოთმინება ფარადა! (აკაკი).
- რატომ არ ჰგუობს, არ ვიცი, ამ ჰანგს ბუნება ბარისა?! (ვაჟა).
- გახარებული უფალი კარგ ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა (ვაჟა).
- ლამაზად შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა (ვაჟა).
- გათენებისას ჭიუხში შურთხმა დარეკა ზარიო (ვაჟა).
- თუ მზე ხარ, მაშინ მიმზევე, მიშველე, შემიბრალეა (ვაჟა).
- მღერა ისე გაძლიერდა, რომ ტყეს ჭახჭახი გაჰქონდა (ვაჟა).
- ნუმც გაჯავრდება პირიმზე, ნუმც დამწყევლიან იანი (ვაჟა).
- ცამ გადიბანა პირიდან მური ნაცხები ღრუბლისა (ვაჟა).
- რუსთაველის მადლი გადაჰფენია /საქართველოს პოეზიის ცხრა წყაროს (ალ. აბაშელი).
- დგას საქართველო ოქროს თასივით /შენი ლექსების ნექტარით სავსე (ალ. აბაშელი).
- ჩემი ქვეყანა, ეგრე ლამაზი, /შავი ზღვის პირად აღმართულია (ალ. აბაშელი).
- განუსაზღვრელად მახარებს მათი მზერა და მათი დაწერა და ამიტომაც მოცლილ ბალღსავით ვეთამაშები ქართულ ასოებს (კ. გამსახურდია).
- და როგორც მდინარენი მიდიან და აღარ მოდიან, ისევე ილევიან დღენი და თან მიაქვთ ნატამალნი ჩვენი სულისა და ხორცისა (კ. გამსახურდია).
- თუ მწერალი ხელს წამოავლებს უძველეს სიტყვას და ახალ ჟღერადობას მიანიჭებს მას, იგი კვლავ გაცოცხლდება (კ. გამსახურდია).
- პაპა ციმბირის ცივ მიწაში იწვა, შვილი – მცხეთაში, ხოლო მათი ჩამომავალი მარაბდის ბებერ მიწაზე ეყარა (მ. ჯავახიშვილი).
- ეხლა ფოთლების გუნდი შრიალებს /და წვიმას უნდა მიწა დანამოს (ტ. გრანელი).
- ქვეყანა მიაქვს შურს უბოროტესს, /მიწა სავსეა ქვეყნის ჭორებით... /პოეტი მაინც უნდა ცხოვრობდეს /მხოლოდ პოეტის დიდი ცხოვრებით (ი. აბაშიძე).
- ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა, /იწვა გალაკტიონი და თავისას ფიქრობდა, /აღმართ-აღმართ მდინარე, მთაწმინდისკენ დიოდა (მ. ლებანიძე).
- მზემ აიწია ფეხის წვერებზე, /მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა, /იდგა თბილისი, როგორც ერეკლე, /ხმალშემართული ნარის ციხესთან (ა. კალანდაძე).

- ქარი გიმღერის ნანასა, /ზღაპარს გიამბობს ჭადარი, /ძეწნამ ალერსით ამავსო, /ეჭვებით ნაავადარი (ა. კალანდაძე).
- მთათ ორბის მთები მოისხეს, /ცაში ასულა ძერაი... /დაბლა შრიალებს მოლისებრ, /ყანაი გაუყელავი (ა. კალანდაძე).
- თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა /და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ (ა. კალანდაძე).
- ლამის სახლში შემოიჭრას თუთა, /ლამის წელზე შემომხვიოს ხელი (ა. კალანდაძე).
- ქვეყნად რომ ერთიც დარჩეს ქართველი, /აკვნებს გამართავს, ვაზს გაახარებს (გრ. აბაშიძე).
- გაზაფხულის ნაზი სურნელებით დაინანთებული მიწის ღრმა სუნთქვა ტკბილად უერთდებოდა ცად აფრენილ ტოროლათა უსაზღვრო ლხენას (თ. დონჟაშვილი).
- მზეს დედამიწა იმიტომ ახსოვს, /ბუხრიდან მიტომ ამოდის კვამლი, /რომ შეხვდეს სოლმე საკუთარ წარსულს /– ადამიანი – ხანდახან მაინც (მ. მაჭავარიანი).
- აიზნიქება ტალღა ლურჯი, უზარმაზარი... /დამუქრებული... ნაპირისკენ მოემართება... /ასკდება მიწას, დაიფშვნება, /დაშოშმინდება და... /იხევს უკან (მ. მაჭავარიანი).
- ზეცა ფერწითლობს – დახუნძლული თითქოს ხურტკმელით... /მიწა ფერჭრელობს – შემოსილი ცისარტყელათი (მ. მაჭავარიანი).
- ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს /ჩემი სამშობლო დიდების ღირსი, /ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე, /ვინ მოიგონა სიმცირე მისი?! (ს. ჩიქოვანი).
- მომწყურდა ჩვენი ქართული ენა / – ბულბულის სტვენა, ჭახჭახი შაშვის, /ხან ჩუმი, როგორც ფოთლების ცვენა, /ხან როგორც მეხის გავარდნა ცაში (რ. მარგიანი).
- მთის კალთაზე სახლი მედგას, /ხეც ხარობდეს ათიოდე, /იისფერად განუწყვეტლად /ცაში კვამლი ადიოდეს (რ. მარგიანი).
- კაცი ჭკვიანი სახლს არ დაამხობს, /ახალ ნერგს დარგავს, /ძველს არ გაახმობს (საფო მგელაძე).
- ისეთ სადღეგრძელოს ვიტყვი, /ბულბულს დავსვამ ჭიქაზე (გ. შატბერაშვილი).
- ვინც ეწვევა საქართველოს /საოცნებო სერებს, /სიმღერაც რომ არ იცოდეს, /მაინც დაიმღერებს (გ. ქუჩიშვილი).
- ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, /რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს (ტ. ტაბიძე).

- მე არ ვწერ ლექსებს, /ლექსი თვითონ მწერს, /ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს (ტ. ტაბიძე).
- დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა /და საქართველოს მედგას უღელი (ტ. ტაბიძე).
- ვიყავი მხოლოდ ლექსით მდიდარი, /არ მიძებნია მეტი ქონება, /და ლექსის გარდა არავითარი /მე არ მხიბლავდა სხვა შთაგონება (ვ. გაფრინდაშვილი).
- მტკვარს მოჰყვებიან ფიჭვის ტივები, /ვით მოცურავე თეთრი ქალები (პ. იაშვილი).
- ქართლის მიწავ, უტკბილესო, /საყვარელო ქართლის მიწავ, /ჩვენს ცხრათვალა და დიად მზეს /და ალისფერ დროშას ვფიცავ! (მ. გელოვანი).
- მოვკვდე ისე ღიმილმჩენი, /ვით კვდებოდნენ გმირნი ძველად, /რომ, სამშობლოვ, საქმე ჩემი /დარჩეს შენდა სადღეგრძელოდ (მ. გელოვანი).
- თუ მტერმა დამცეს ხმალგაბასრულმა, /დარდს ნუ მოიხვევთ ღრუბლის გუნდებად (ს. ისიანი).
- რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა, /მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება?! (ს. ისიანი).
- მჯერა მამულის მზე არ გამრიყავს, /გულში სათუთად რომ ვინახავდი (ს. ისიანი).
- მე თქვენს სიმწვანეს, მშობელნო მთებო, /შემეძლოს – მკერდში დავიმარხავდი (ს. ისიანი).
- ჩვენ სიყვარული დაგვტანჯავს, ვიცი, /და უკურნელი დარდით შეგვბურავს, /დაბადებიდან მე ასე ვიწვი /და ისე ვქრები, არ ავნთებულვარ (გ. ნაფეტვარიძე).
- საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, /სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ! (ლ. ასათიანი).
- რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, /სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, /როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე (ლ. ასათიანი).
- ცა იწმინდება და სისხამ დილით /მზე ერეკება ღრუბლების ფარას (ლ. ასათიანი).
- მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა /თავისი ქვეყნის ხალხი და მინა (ლ. ასათიანი).
- მე ვეტრფი იმ თეთრჩოხიან მაყარს, /კრიმანჭულის დროს ცას რომ ახედავს (ლ. ასათიანი).

- დაიტვირთნენ ვაზები, დაიშაქრნენ მტევნები, /აღაჟღაჟდნენ ვაშლები, გადაყვითლდნენ ტევრები (ლ. ასათიანი).
- მეც სუმბულივით დავიგოლვები /და მეც გამახმობს უცხო ზმანება, /თუ საქართველოს ლურჯი გორები /დროზე არ ნახა ჩემმა თვალებმა (ლ. ასათიანი).
- მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი, /ცა ფიროსმანის დახატულია (ა. მირცხულავა).
- შემოსულა შემოდგომა დოვლათით და ბარაქით /და მასპინძლობს ხელგაშლილი მთელი თბილის ქალაქი (ი. ნონეშვილი).
- მიყვარს თბილისი! ირაკლივით მუდამ მშფოთარი /და მსურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს (ი. გრიშაშვილი).
- ვიდრე ერთი ქართველიც კი /სამშობლოსთვის ასე ზრუნავს, /არ მოკვდება საქართველო, /მაინც ბრუნავს... მაინც ბრუნავს (ი. გრიშაშვილი).
- და თუ რამ კარგი გადამრჩენია, /ისიც სამშობლოს დროშად ანთია (ი. გრიშაშვილი).
- წვიმა კი მღეროდა ხან მაღლა, ხან ჩუმად, /ხან სარკმლის მინებზე როკავდა ძალუმად (ი. გრიშაშვილი).
- იქ, სადაც წინათ არ ჰყვაოდა /ხრიოკ მიწაზე ბუჩქი და ჩირგვი, /დღეს მცენარეთა სხვადასხვაობა, /ჩემო თბილისო, გამშვენებს ირგვლივ (ი. გრიშაშვილი).
- და ქარი მისწვდა ატმის ყვავილებს, ვარდისფერ ღილებს შეატყო ჟრუოლა (გალაკტიონი).
- შორს ერთადერთი ენთო სანთელი, /უუძველესი ბაღის ტოტებით (გალაკტიონი).
- თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს, /მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერის (გალაკტიონი).
- ხელში გეჭიროს სიმართლის თასი, /მასში მტევნები გრძნობით ჩასწურე! (გალაკტიონი).
- მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია, /მარად და მარად ტყდება ჩინარი (გალაკტიონი).
- როცა დათბება და ჩამოცხება, /სიმღერის მინდა მე წამოწყება (გალაკტიონი).
- მე ვეკითხები კახეთს, /თუ რაზე ფიქრობს ქართლი (გალაკტიონი).
- რაც სიძულვილმა გაანადგურა, /მას სიყვარული აღადგენს ისევ (გალაკტიონი).

- სანამ არ გადამხმარან /ბაღში ვარდთა ბარდები, /მიწავ, ნუ გეცოდები, /ცაო, ნუ გედარდები (გალაკტიონი).
- შუქი გაიშალა, წყალი დაიფერა, /სიო დაიბერა, ჩალა გაიჩალა (გალაკტიონი).
- ოჰ, არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე (გალაკტიონი).
- აუხდენელ ფიქრს ვინ არ იგონებს, /ძველ ოცნებებზე რომელი არ წუხს?! (გალაკტიონი).
- ო, ბუნებაო, რა ჯადო არის /შენს სიმღერაში დამკვიდრებული (გალაკტიონი).
- თუმც ბევრი სისხლი, ჩვენო მიწავ, მიმოიღვარა, /მაინც ამაყი ქედი პოეზიამ არ მოიხარა (გალაკტიონი).
- მთიდან დაეშვა ღამე /და დაიბინდა მდელო, /შენ მაინც მითხარ რამე, /ვრცელი ალაზნის ველო! (გალაკტიონი).
- სადღეგრძელო იყოს მისი, /ვინც ოცნებით იწვოდა, /ვინც პოეტის მარადისი /აღტაცება იცოდა (გალაკტიონი).
- სიონი ჩემი ნათელს დამათოვს, /მტკვარიც დაანთებს ნათელ ხარებას (გალაკტიონი).
- დღემ ნისლი შემოიხვია, /გზაც სიარულმა დალია (გალაკტიონი).
- ბევრი მხარე მოვიარე, /ასე იწყებს ამბავს მთვარე, /მაგრამ საქართველოსთანა /არ მინახავს არსად მხარე (გალაკტიონი).
- ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, /ის პოეზიას ჩემსას გაიგებს (გალაკტიონი).
- კაცი ის არის, ვინც ჰპოვა ჭირთაგან გამოსავალი, /ვინაც თავისად ჩასთვალა ხალხის თავგადასავალი (გალაკტიონი).
- გაქრა ღამის მოჩვენება, /ცას დააჩნდა ნათლის ბზარი, /გორის მაღალ გუმბათებზე /ირეკება ცისკრის ზარი (გ. ლეონიძე).
- სწორედ ამ დროს, როცა მზემ უკანასკნელი სხივები ჩაწურა ჩასავლეთში, გამოჩნდა ივრიდან მომავალი ჩირიკი (გ. ლეონიძე).
- თქვენს წინ კაცი კი აღარ იდგა, არამედ დაკემსილი, გაცრეცილი ღამე (გ. ლეონიძე).
- არ დაიდარდო, დედაო, /ნუ მიეცემი სევდასა (გ. ლეონიძე).
- იქ, სადაც შენი გულია, /სულ მუდამ გაზაფხულია (გ. ლეონიძე).
- საზანდარმა ღამე ააცახცახა, /ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა, /ცა – ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა /და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა (გ. ლეონიძე).
- შენი სახელი ისე სწერია, /ვერც დრომ, ვერც წარღვნამ ვერ გადარეცხოს (გ. ლეონიძე).

- მაისის წვიმამ დაწურა ლაჟვარდის იაგუნდები (გ. ლეონიძე).
- მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა ნუშის ნაფერთალი, /ცას ვარსკვლავი ანათებდა, /ვით კამეჩის თვალი (გ. ლეონიძე).
- ჩანდა კვალი ვარსკვლავთა, /ნაოთხალი მთვარისა (გ. ლეონიძე).
- მე არ დამკარგავს სამშობლო, /სულ ვეხსომები ლევანი, სანამდის საქართველოში /იწურებოდეს მტევანი (გ. ლეონიძე).
- მთვარე გომბორზე წაიქცა, /რძით გავსებული ტაგანი (გ. ლეონიძე).
- ბრწყინავს ქართლი – ვარდის ბაღი, /შეფრქვეული მინანქრით, /იაგუნდის წვიმა დასწვიმს, /სურნელების დაჰქრის ქარი (გ. ლეონიძე).
- ელავს ბაღი – ხოხბის ყელი, /შვიდ მაისის წვიმით მთვრალი (გ. ლეონიძე).
- ჰგავს ალვის ხე თეთრ ჩოხაში საქორწილოდ მორთულ სიძეს (გ. ლეონიძე).
- დილა ატმებში შეყუჟულა ხოხბის ლაპივით, /ცრის თეთრი წვიმა – ცის წყალობად გამოგზავნილი... /თოხის პირებზე გამოუკრავს მზე საგზალივით /და მინდორ-მინდორ სათოხარში მიდის აპრილი (შ. ნიშნიანიძე).
- ამ წყეულ ნიღბებს იმიტომ ვიცვლი, /რომ ჩემი სახე შევინარჩუნო, /ცხოვრებას კიდევ გავუძლო ვინძლო, /ვიცხოვრო, ვწერო და ვიფაჩუნო (შ. ნიშნიანიძე).
- მაშ, გაფრინდი, ბედაურო, გრძელფაფარა, კანჭწვრილო, /არც ქერი გაქვს, არც არაყი, არც მოთმენა, არც ძილი, – /ახრამუნე ჰორიზონტი... გადახუხე მანძილი (შ. ნიშნიანიძე).
- ქვეყნად ყოველი უსამართლობა /მაინც სიმართლის სახელით ხდება (შ. ნიშნიანიძე).
- რა თქმა უნდა, კარუსელს ჰგავს /წუთისოფლის ბრუნვაც, / ვისთვის მხოლოდ გართობაა, /ვისთვის ცდა და ზრუნვა (შ. ნიშნიანიძე).
- კედლებს ფრესკებად შეხიზნულო წმინდა დედანო, /ხვედრი თქვენებრი აღარავის გადაეტანოს (შ. ნიშნიანიძე).
- მრავალი დღე და მრავალი ღამე / მეცა ვყოფილვარ სიჩუმით მთვრალი (შ. ნიშნიანიძე).
- ძლივს გამოვდივარ წარსულიდან და მოგონება /ნაშუბარ ჯაჭვის პერანგივით მერღვევა ტანზე (შ. ნიშნიანიძე).

- შენ კი ისეთი დედა ხარ, მიწავ, /ჩვენ კი ისეთი შვილები მხოლოდ, /ხეტიალის და წანწალის შემდეგ /შენთან ვბრუნდებით ბოლოს და ბოლოს (შ. ნიშნიანიძე).
- მირონო, ჩემი მიწის მირონო, /იმედო, რწმენავ – სულ შემენახე, /სულ იარაგვე, სულ ირიონე, /სულ იჯეჯილე, სულ ივენახე (შ. ნიშნიანიძე).
- შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეს, /მტრედის გრუტუნი და მუხის ჩერო, /ჩხებით, აკვნებით და ბუდეებით /ამაღლდი, ჩვენო ფუძევ და ჭერო (შ. ნიშნიანიძე).
- მოფრინდა შავი მერცხალი ჭიკჭიკით, ყელმოღერებით / და წიგნში, როგორც ბუდეში, ჩაფინა იის ღერები (შ. ნიშნიანიძე).
- ოცნება ფრუტუნებს და მიირაშება /ფინჯანში დალექილ ყავის მირაჟებად (შ. ნიშნიანიძე).
- დღეს მერცხალი შემოფრინდა, /გადმოლახა ნისლი ხშირი, /ტანზე კაბად ღამე ეცვა, /მთვარის თეთრი გულისპირით (შ. ნიშნიანიძე).
- დედამიწაზე დრო აქილევსივით გარბის, ვარსკვლავეთში კი კუსავით მიჩოჩავს (შ. ნიშნიანიძე).
- იდიდე, წიგნო, იდიდე, /ქართული სულის ლაზათო, /ღმერთი თუ არა, ღმერთკაცი /იქნებ კვლავ ბევრი გაზარდო (შ. ნიშნიანიძე).
- ხევიდან ხევზე მიხტოდა ყეფა, /ხოლო დამფრთხალი, მშიშარა ექო /მიცუნცულებდა მელიასავით /და მიითრევდა სიჩუმის გრძელ კუდს (შ. ნიშნიანიძე).
- ვაზო, ვაზო, ღმერთის სულო, /ღმერთის სისხლო, სხეულო,/ ქართულ ლექსში და ანბანში / გემღეროს და გეხუვლოს (შ. ნიშნიანიძე).
- აქ ისეთი სიჩუმეა, ღვთის ისეთი წყალობანი, – /არ იქნება, არ მოგესმას ანგელოზთა გალობანი (შ. ნიშნიანიძე).
- კორძიან სიტყვებს კუნძებივით აგუგუნებდნენ (შ. ნიშნიანიძე).
- საათები კი აკნაწუნებენ და აკნაწუნებენ ჟამს და სიცოცხლეს (შ. ნიშნიანიძე).
- კაცი ზევიდან მოდიოდა, ხოლო ქვევიდან პატარა ბიჭი ლომა ხარებს მიიდენიდა (შ. ნიშნიანიძე).
- ხმელი ყვავილები ლბილ მინდვრებს მაგონებენ, – კიდევაც მახარებენ და კიდევაც მაღონებენ (მ. ლებანიძე).
- თუ საიქიო არა სჯობს /ამ წუთისოფელს წყეულსა, /ერთს ვისმე მაინც ვნახავდით /იქიდან გამოქცეულსა (ხალხური).

- თუ გინდა სწორად იცხოვრო, გახსოვდეს სიკვდილი (ხალხური).
- სიცოცხლე ის მოფუსფუსე სადგურია, სადაც მარადიული არსებობის გზაზე დროებით შეჩერდება ხოლმე ადამიანის სული (ხალხური).
- თუ გინდა გაიმარჯვო, ისწავლე მოთმინება (ხალხური).
- ყველაზე ბედნიერი კაცი ის არის, ვინც სულ უფრო ბევრ ადამიანს ანიჭებს ბედნიერებას (დ. დიდრო).
- პატიოსანი სახელი ის ფულია, რომლითაც შეგიძლია ივაჭრო და მოგება ნახო (ფრ. შილერი).
- ღმერთის სიყვარულის ალი მუდამ რომ იყოს ცოცხალი, შენი გულის ლამპარში ყოველდღიურად დაამატე გულმოწყალების ზეთი (ლ. ტეცა).
- ბრძენი ადამიანი არასოდეს არ არღვევს სიჩუმეს, თუ არა აქვს სათქმელი სიჩუმეზე უფრო მნიშვნელოვანი (პითაგორა).
- წიგნები აზრის ხომალდებია, რომლებიც მოგზაურობენ დროის ტალღებზე და თავიანთი ძვირფასი ტვირთი ფრთხილად მიაქვთ თაობიდან თაობამდე (ფ. ბეკონი).
- ენა ტორტმანებს დიდი მწერლების მედიდური სულის მეოხებით (გოეთე).
- ეროვნული სულის სიმდიდრე და სიძლიერე ან კიდევ მისი სიღარიბე და უილაჯობა არსად არ იხატება ისე ნათლად და ხელშესახებად, როგორც ენაში (გ. ქიქოძე).
- ვაი მას კი არა, ვინც ჯოჯოხეთში იტანჯება, ვაი მას, ვინც სიცოცხლეშივე ჯოჯოხეთს ატარებს გულში (ი. ჭყონია).